

ბატონო დავით!

ძვირფასო მეგობარო, ძალიან გვინდოდა სიმღერების ცალკე წიგნად გამოცემა, მაგრამ ბედისწერამ არ დაგვაცალა...

მაქვს ნაფიცი, — სიკვდილით შეგისრულოთ!

[illegible]

თბილისი, 2022 წ.

რედაქტორი:
ᲓᲝᲓᲝ ᲜᲐᲠᲛᲐᲜᲘᲐ
(დონა კოლხი)

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲮᲝᲡᲘᲐᲣᲠᲘ

გამომცემლობა „მინიატურა“
თბილისი, მ. კოსტავას 6
ტელ.:2996367; 577444997.
www.miniatura.ge

ISBN 978-9941-9785-6-2

სონეტები, ავტორი: დავით გაბუნია
თბილისი, 2022 წ.



# სონეტები



# სონეტი

ლირიკული ლექსი მყარი ფორმისაა, – რომელიც 14 სტრიქონისგან შედგება. იგი წარმოებულია ორი ოთხსტრიქონიანი კატრენისგან (ორი რითმისგან) და ორი სამსტრიქონიანი – ტერცეტისგან (2 ან 3 რითმით).

ფრანგული ფორმა შედგება – abba abba ccd eed ან (ccd ede). იტალიური ფორმა – abab ccd eed (ან cde cde). ინგლისური ფორმა abab cdcd gg (შექსპირული. ამ ფორმათა შორის იტალიური ფორმა განსაკუთრებით პოპულარულია.

სონეტის ფორმის შემქმნის მამამთავრად პეტრარკა ითვლება. მიუხედავად იმისა, რომ მანამდისაც იწერებოდა სონეტები სხვა-დასხვა ფორმით.

განსაკუთრებით დიდი კვალი დატოვა პოეზიაში ინგლისურმა სონეტებმა, რომლის დიდოსტატები იყვნენ – შექსპირი და ვორდსვორტი. ლექსის ამ ფორმამ დიდხანს გაუძლო ყოველგვარ ცვლილებას – მასში საუკეთესოდ ერწყმის ერთმანეთს პოეტური მეტყველება და ფილოსოფიური აზროვნება.

ჩემთვის სონეტი მეტად საინტერესო ჟანრია



**25.03.01**

* * *

ჩემი ერის საუკუნოებრივი სატკივარი რამდენადაც შევძელი გავითავისე, საკუთარ ტკივილად ვიწამე! არც ჩემი დროის სხვა ხალხთა მძაფრი ტრაგიკული ტკივილები ყოფილა ჩემთვის უცხო და მიუღებელი!

ბედნიერი ვარ იმით, რომ შეკვეთით – ვინმეს საამებლად, არც ერთი სტრიქონი არ დამიწერია. რაც მაწუხებდა, მტკიოდა და მაღელვებდა სულის სიღრმემდე, მხოლოდ იმაზე ვწერდი! ვწ-ერდი, ჩემი მრავალტანჯული ქვეყნის ბედზე, მის მოუშუშებ-ელ წყლულებს ვეფერებოდი!.. გრძელ ღამეებში ვფურცლავდი „ქართლის ცხოვრებას“ და ბევრჯერ სასოწარკვეთამდე მისული ცრემლის ფიორს ვაფენდი მის სისხლით ნაწერ სტრიქონებს!..

მაპატიოს დიდი ილიას აჩრდილმა, რამეთუ, ვერც წარსულ დროებზე მოვიკალი დარდი და ვერც სხვა ვარსკვლავს ვსდიე!.. ჩემთვის ორგანულად ზედგამოჭრილი აღმოჩნდა ალექსანდრე ჭავ-ჭავაძის ცნობილი სტრიქონები: „არ ვსდევ ჟამთასვლას, მე იგივე ვარ მარად და მარად!..“



**14.05.21 თბილისი**

# დავით გაბუნიას სონეტების სამყაროში...

დავით გაბუნია ჩვენი დროის ერთ-ერთი საინტერესო პოეტია - ღირსებითა და ნიჭით დაჯილდოებული, სულით არისტოკრატი განსხვავებული ბედისწერით ცხოვრებაში. ის თავისი ესთეტიკით ეხმიანება ნიკოლოზ ბარათაშვილს, დავით გურამიშვილს. ფრანგ და ქართველ სიმბოლისტებს და გატანჯული მეტაფორებით ახმოვანებს ლირიკულ ასოციაციათა „ექოს“, „ნეტარ ხილვებად“ აღქმული წარსულის ფრაგმენტებს. ჩვენი აბურდული ცხოვრებისა და ქაოსური ყოფისგან განრიდებული მთელი არსებით ისწრაფვის მარადისობისკენ...

„მარადისობას ჩვენ ვიძენთ მხოლოდ ჩვენთვის განკუთვნილ დროსა და სივრცეში, ჩვენს სამშობლოში და ეპოქაში. ამიტომაც ვიყოთ „მარადისტები“ მარადიულ ღირებულებათა აღმასრულებელნი და არა მოდერნისტები. აი, რისკენ მოგიწოდებთ თქვენ“... „ის, რაც დღეს მოდერნიზმად ცხადდება, ათი წლის შემდეგ, მოდის გაუფასურებასთან ერთად უაზრო „ხარახურად“ მოგეჩვენება“ (მიგელ დე უნამუნო).

სწორედ ამ ამპლუაში თვალსაჩინოვდება დ. გაბუნიას მორალურ-ეთიკური იდეალები, სამყაროს მისეული აღქმის პარამეტრები და „ანალიტიკურ ფიქრთა“ დეფინიციებიც...

დავით გაბუნია თავისი პოეზიით განსაკუთრებულ დამოკიდებულებას გამოხატავს სონეტის მიმართ. აკი სონეტის

ფორმა სამართლიანადაა მიჩნეული „პოეტური სიბრძნის განსახიერებად. პოეტური ოსტატობისა და მძაფრი ემოციური მეხსიერებით აღბეჭდილი სახეების მოწესრიგებულად, კანონზომიერად წარმოდგენის საშუალებად ...“ (39, გვ. 197). ხოლო, სასკოლო ლიტერატურულ ენციკლოპედიაში ვკითხულობთ: „სონეტი (იტალ.) (ქსე) მყარი სალექსო ფორმა. შეიცავს 14 ტაეპს და ორ ნაწილად იყოფა. პირველ ნაწილში 2 ოთხტაეპედია (კატრენები), მეორეში კი – 2 სამტაეპედი (ტერცინები). ძირითად სონეტის 3 სახეობაა გავრცელებული: 1. „იტალიური“, 2. „ფრანგული“, 3. „ინგლისური“ ვიდრე ამ მყარ კომპოზიციურ ნაწილებს შეიძენდა, იწერებოდა 16-17 ან 20 — ტაეპოვანი სონეტებიც. სონეტების კომპოზიციურ მოდელს იყენებდნენ დანტე, პეტრარკა, უ. შექსპირი, ა. შლეგელი, ა. პუშკინი, ა. მიცკევიჩი, პ. ვერლენი, ს. მალარმე, ა. რემბო, ვ. ბრიუსოვი, საქართველოში — გ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, პ. იაშვილი და სხვა“ (40, გვ. 23).

თემურ შავლაძე წერილში „გენო კალანდიას სონეტები ანუ სინათლე სარკეში“ წერს: რომ ეთერ კაკალაძის და ნინო ბერიძის მიერ შედგენილ სასკოლო ლიტერატურულ ენციკლოპედიაში მკაცრი სიზუსტითაა განმარტებული სონეტი – როგორც პოეტური (ლექსემური) ფორმა და ნორმა და ეს არის სწორედ ის „მშრალი რეკვიემი“ სონეტის შესახებ რომ გვიქმნის წარმოდგენას ენციკლოპედიური და „ლიტერატურათმცოდნეობითი“ ცნობარებით. ცნობარი-ცნობარად, თუმცა ამ „ჩამონათვალის“ შევსება — გაგრძელებაც შეიძლება: გრიგოლ რობაქიძე, გიორგი ლეონიძე, შალვა კარმელი, ჯემალ ინჯია, ჯემალ აჯიაშვილი, ლია სტურუა, ვაჟა

ყუბუსიძე, დავით გაბუნია (41, გვ.5).

დავით გაბუნიას თითოეული სონეტი იკითხება, როგორც დრამატული მონოლოგი, რომელსაც თავისი სივრცე აქვს. ეს სივრცე კი თავისებური და ორიგინალურია. ესაა პოეტის მიერ ხილვა სოფლისა და ზესთასოფლის, ამქვეყნიურისა და იმქვეყნიური დაფარული საიდუმლოსი, მთელი კოსმიური სამყაროს ორომტრიალისა. ესაა გზა ბავშვობიდან „გარდარეულ სიბერემდე" (გ. მერჩულე), ვარდფურცლობიდან სიშორის ფერებამდე... სწორედ აქ, ამ სალექსო ფორმაში ვლინდება მისი მოქალაქეობრიობაც და პოეზიისთვის ორგანული მოტივები... და მართლაც, უნიკალურია მისი ლირიკული ხილვებით ნაძერწი სონეტები, რომლებშიც ირეკლება მისი გონითი სასწაულები. რატომღაც მგონია: კოლხური ცივილიზაციის მაღალი გენი ასხივებს მის არსებაში, მარტოსული პოეტი — პილიგრიმი მუდმივად რომ ეძებს რაღაც ახალს, განუმეორებელს და ლექსებით ცდილობს კოსმიურ მარადიულობაში განფენას...

დ. გაბუნია გვანცვიფრებს პოეზიის უსაზღვრო მშვენიერებით და „მწერლური ბუნების სიუხვით"... პოეტისთვის სონეტი, ლექსის ეს ფორმა აუცილებლობაა, სიტყვა ხომ ბედია და ზოგჯერ ბედისწერაც! მართლაც იგრძნობა ამ სონეტებში რაღაც ისეთი — განგებითი და ამიტომაც ეძებს ლირიკული პერსონაჟი წონასწორობის ცენტრს ბუნებაში, საგნებში, სიტყვებში, საკუთარ თავშიც და დაუსრულებლად მიელტვის სიშორის ფერებს... „ირეკლავს სივრცე გარდასულის იდუმალ ხსოვნას, დღე ვარდფურცლობის არ ნებდება უამინდობას!" („ირეკლავს სივრცე").

პოეტი სულში ატარებს ეპოქის მისწრაფებათა უძვირფასეს საგანძურს, ეხმაურება წარსულს და მომავალსაც განჭვრეტს. თავდავიწყებით უყვარს ბუნება, უყვარს სიცოცხლე, უყვარს გაზაფხული. აყვავებული მიმოზები და მაგნოლიის ხეები, ალიონის პეშვით მორთმეული ბადაგი და ეოცნებება უღრუბლო და უშფოთველი ცხოვრება...

დიახ, მაშინაა ამაყი, როცა პაპა ძღვენით, სავსე ხურჯინით შედის თითოეულ ოჯახში, როცა გაზაფხული ხოხობივით იწყებს ყივილს, როცა ყაყაჩოს თრთოლვით ეხსნება ბაგე, ძარღვებში სისხლი აუჩუხჩუხდება და საოცარი ხილვაა: „გაზაფხულია... გალობს ჩიტი ხმით საამურით, ირხევა სიმი სიყვარულის შეუცნობელი! ვინ ააჟღერა ამ მინდორზე მზის სალამური, ხმით მშვენიერით, რომ წამისად დატკბეს სოფელი?“ („ეს ვინ გამოსცდა“)... ამ სტრიქონებიდან მოსჩქეფს ჭეშმარიტი პოეზია... და წერს პოეტი განთიადზე, გაზაფხულზე, სალამურზე. მისი პოეზია ვარდფურცლობის პოეზიაა და თითოეული სონეტიც იფურჩქნება ვარდის კოკორივით...

დ. გაბუნიას სონეტები საინტერესო კულტურული ფენომენია, სადაც შემოქმედის მსოფლმხედველობრივი ასპექტები, მისი ფსიქოანალიტიკური ნათელხილვანი და სტოლიციზმთან წილნაყარი სიცოცხლის ფილოსოფიაა არეკლილი - და მაინც, საოცრად გადამდებია მისი შინაგანი გულწრფელობა, კეთილშობილება და ის მაღალი არისტოკრატიზმი სულისა, რომელიც ცნაურდება ეგზისტენციალურ ხილვებში, „ჟამის დინებას ვერ გაექცა სული კეთილი, ყველაფერს გლეჯს და ანადგურებს ხელი მსახვრალის! მზე შემოდგომის იხედება სხივმოთენთილი და სივრცეებში ირეკლება სხვა გზა ახ-

ალი“ - („შორეულ გზაზე“) - წერს და თავის შინაგან სამყაროს გამოფენს. ეს სტრიქონები სიბრძნითა და ფილოსოფიური ხედვითაა გაჯერებული, რომლებიც პოეტის მთელ ბუნებას, მის მიერ ბავშვობიდან განვლილ გზას უცოცხლებს მკითხველს. შთამბეჭდავად ახერხებს ავტორი თავისი განცდები უშუალობითა და მაღალმხატვრულობით გადმოგვცეს და დაგვარწმუნოს ჭეშმარიტებაში — „რა რჩება ქვეყნად? — იდუმალი კვალი ნათელი, სხვა არაფერი, მეგობარო, სხვა არაფერი!“... ესაა სიკეთის მარადიული ნათელი, ადამიანის მიერ ღირსეულად განვლილი გზა ცხოვრებისა. სიკეთე, ღირსების შეგრძნება ხომ დღეს ყველაზე უფრო მეტად გვჭირდება... და მარგალიტებივით ჩამოცურდებიან პოეტის ულამაზესი ხატ-სახეები მზის ოქროსფერ ბილიკზე... თითქოს ურიცხვ ვარსკვლავთა კრებული ჟრიამულობს ზეცის თავანზე... და იშლება ჩვენს თვალწინ რაღაც ახალი, უჩვეულო პოეტური სამყარო... პირადად ჩემთვის მისი სონეტები მისი სულის სარკეა, რომელიც თანამედროვე მწარე სინამდვილეს ირეკლავს, ესაა სამყაროს სიყვარულითა და სიკეთით გამთბარი მონოლოგები, რომელიც აკეთილშობილებს სულს, პიროვნულ, ადამიანურ ღირსებას ამაღლებს. აი, ასეთ სტრიქონებს ვგულისხმობ: „ლაჟვარდებიდან ანგელოზთა გალობა მესმის, სიცოცხლე ისევ ფრთაშესხმული წამოდგა მკვდრეთით! მიწის სიღრმეში უთვალავი ხმაურობს ფესვი და დედამიწას სიყვარულით გაუთბა მკერდი!... ვის არ აოცებს შემოქმედის ო, ეს მეობა, სიკვდილ-სიცოცხლის საოცარი მონაცვლეობა!“ („ცამ, შეარხია ზონარი წვიმის“).

დ. გაბუნიამ თავის სონეტებში ჩვენი ეპოქის პოლიტი-

კურ-კულტურული და სოციალური თემები წამოსწია. მან დაძლია პიროვნული განზომილება და ტანჯული ეპოქის ხმად იქცა, რომელშიც ცდილობს სახე უცვალოს კაცობრიობას. იბრძოლოს ქვეყნად მშვიდობისა და თავისუფლებისათვის.

პოეტმა ძალიან კარგად იცის მარტო სიყვარული არ კმარა სამშობლოსადმი, ნანატრი თავისუფლებისთვის და ამიტომაც მარტოსულად გრძნობს თავს, ხედავს რომ ქვეყანაში კრიზისი ღრმავდება და ტრაგიკული, ეგზისტენციალური ხასიათი მიიღო. და ამიტომაც ტკივილით აღმოხდება: „წარსულს ვეჩურჩულები... მტკივა ნაიარევი, სულში ფეთქავს იმ დღეთა ღელვა გაუხუნარი! ახლა ქუჩაბანდებში მარტო დავიარები, ჟამის მღვრიე ქარები ჩემს გარშემო ბრუნავენ!... ცას ოცნებით გავცქერი, მზემ ღრუბლები არია, გული ასე რომ ღელავს ნეტავ ვისი ბრალია?!" („მზე ამოდის მაისის მეწამული ქსოვილით"). ეს სონეტი როდია ერთადერთი გამონაკლისი დ. გაბუნიას იმ სონეტთაგან, სადაც პოეტი წარსულს გამოიხმობს და ესაუბრება, ჩვენი აზრით, პოეტი ქმნის პარადოქსებს, მკითხველის გონებაში უამრავ კითხვას ბადებს და ამას მძაფრი ემოციის გამოხატვით აღწევს.

საგულისხმოა ის, რომ „ცის და მიწის ოთხი ხეივანი" ამ საერთო სათაურით გამოცემულ ოთხივე წიგნში გაბნეული სონეტები პირდაპირ მომდინარეობს პოეტის ცხოვრებიდან - და მაინც, პოეტს ესმის, რომ „უნივერსალური რეცეპტორები", მართალია არ არსებობს, მაგრამ მისი შინაგანი მე არ ჰგუობს არასტაბილურობას, ბოროტებას, ძალადო-

ბას, უსამართლობას ზნეობრივი ორიენტირების წამდაუწუმ ცვალებადობას, რაც ჩვენს აბურდულ ყოფაში კიდევ უფრო მეტ შანსს იძლევა ურთიერთსაწინააღმდეგო სიტუაციების გამძაფრებისთვის, მეორე მხრივ, წარმოშობს გამუდმებულ დაბნეულობას, ეჭვს, უნდობლობას და ადამიანი განწირულია. უძლურია იბრძოლოს არსებობისთვის, თავისუფლებისთვის: „ნუთუ ვერ ხვდება ვერც ბრძენი და ვერც მეცნიერი, თუ რა ხლართებს ქსოვს შეუცნობელს ჟამის ობობა?! სიკვდილი რატომ დააბიჯებს მეფურ იერით, ან ასე რატომ ვეწირებით დაუნდობლობას?!“ („ო, ეს სიკვდილი, რატომ არის ასე ძლიერი“).

სონეტებში, ვფიქრობ, დ. გაბუნიას პორტრეტი გამოიკვეთა - პორტრეტი კაცისა, რომელსაც პოეტობა პროფესიად უქცევია, თუმცა მშობლიურ კუთხეზე, ადგილის დედაზე ზრუნვას ვერ შელევია, აბაშის წყლის ზვირთებიდან გამოყოლილი სასიცოცხლო ენერგია მისი პოეტური შთაგონების სათავეა. დიახ, აბაშის სანახებს, მთებსა და ველებს ყმაწვილური აღფრთოვანებით ეტრფის... ყველაზე უკეთ ეს მხარე ამოტვიფრულა მის გულში, ეს მხარე უმაგრებს საძირკველს ცნობიერებაში აღბეჭდილ, მამა-პაპის მიერ მოტანილ ღირებულებებს. სონეტში, როგორც სარკეში, ისე ჩანს წინაპართა გამოცდილებისა და ნაანდერძევის ჭეშმარიტი ძალა და ხიბლი... „ჩემო აბაშავ! კვლავ იდინე ზვირთების მსხვრევით, გულო იმღერე, როცა სევდა მოგეძალება!... საუკუნეებს გადაუქროლე არწივის ფრთებით, შორს მოიტოვე სიბერე და ფერიცვალება!“ („მე ამ კბოდებზე ბავშვობიდან მიყვარდა დგომა!“).

„რა არის პოეზია, ამას ვერა კაცი ვერ აგიხსნის, – წერს ილია, – მთქმელიც ტყუილად მოსცდება. პოეზია საგრძნობელია და არა საცნობელი. ვიცით ხატებაა ჩვენთა გრძნობათა, გულის-თქმათა, ფიქრთა, ნაღველზე, ლხინთა, ერთი სიტყვით ხილულთა და არა ხილულთა. ვიცით, რომ მისგან მოხიბლულს კაცს, „ავიწყდება საწუთროება“ გულის-თქმა კაცისა ცისა იქით ეძიებს სადგურს, ზენა არსთ სამყოფთა.“ პოეზია უცნაური მადლია და პოეტი ამ მადლით მოსილი.“ (42, გვ. 24). ამ „უცნაური მადლითაა“ მოსილი დავით გაბუნია, რომლის ყოველი სტრიქონი ლიტერატურული გარჯისა და სულიერებით ტკბობის უმშვენიერესი ღლესასწაულია.  ამავე დროს, ნერვიული თრთოლაც ნეგატიური კონოტაციებით ალბეჭდილი ჩვენი ერის კულტურული თუ სოციალური მდგომარეობის გამო.

დ. გაბუნიას სონეტებში შთამბეჭდავად წარმოჩინდა ტრაგედია, რაც ჩვენმა ქვეყანამ საუკუნეების მანძილზე თავისი მხრებით ზიდა. მის მიერ ნაგრძნობი და დანახული შინაგანი და გარეგანი რეალობა თავისებური რიტმულობით სჭრის და სერავს სულს, ნებისმიერი სონეტის კონცეფტი მშვენიერებისა და სათნოების ზეიმია, ბრძოლაა ბოროტებისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ. და: „ჩემი სამშობლო უკვე ტროას ნანგრევებს მოჰგავს, გამიპარტახეს და მომტაცეს საწმისი ვერძის! გული აზვირთდა! არაფერი გამოვა ხვეწნით, რეკავს საათი, ცა და მიწა ნიადაგ ბორგავს, რას ელოდები, მეგობარო, მომგვარე რაში, მე ვწყვეტ ბნელეთთან საუკუნოდ ყოველგვარ კავშირს“ („სად შევეხიზნე ამ ვრცელსა და უდაბურ ტრამალს?“).

დ. გაბუნიას სონეტების მთელი ციკლი იმის დასტურია, რომ მთელი სისრულით წარმოჩინდა მისი ნიჭიერება, რაც გაპირობებულია მასალის არჩევით, ხედვის თავისებურებით, აზროვნების მანერით, მოვლენებისადმი ემოციური დამოკიდებულებით.

სონეტებში აშკარად გამოიკვეთა, მისი მებრძოლი სული. ის „ყველა დროში" (კამიუ) მოხეტიალე პოეტი რაინდია, რომელიც შეძრულია საქართველოს უბედობით. წუხს და შფოთავს საომრად აშლილ საავდრო ღრუბლებზე. პოეტის აღშფოთებული გონი რეალობისკენ ისწრაფვის და მთლიანად გარემატერიალური სამყაროს შემეცნებისკენაა მიმართული (9 აპრილის ტრაგედია, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომები). შთამბეჭდავად წარმოაჩენს ამ ტრაგედიების ემოციურ და სულიერ-ზნეობრივ ტენდენციებს. წინა პლანზე წამოწევს მძიმე რეფლექსიებს, რომლებიც საზრდოობს ქართული სულით. ხედავს ავის მომასწავებელ ღრუბლებს, ებრძვის ღალატს, შურს, ეგოიზმს, გაუტანლობას. და: „გზებით იდუმალების ჟამმა ბევრი მატარა, თუმცა ცეცხლი მგზნებარე გულში ისევ მინთია! ისევ მომსდევს ჯიუტად ჟამის შავი სატანა და დღეები თავნება სადღაც ქროლვით მიდიან!... რადგან ბევრჯერ შემასვა შუქი ცისკრის ცინცხალი, წავალ, მაგრამ დარჩება გზები დაუვიწყარი!" („ო, ამ დილით ვენერა რა საოცრად ციმციმებს!").

პოეტის ქვეტექსტები ამჟღავნებენ ნოსტალგიას იმ თვალსა და ხელშუა გაუჩინარებულ ძვირფას ღირებულებებზე, მისეული ლირიზმით შეფერილი ნოსტალგია რაღაც შიშისმომგვრელი განცდით გვაგრძნობინებს, რომ: „მზე ვერასო-

დეს გაანათებს ცისფერ აივნებს და სამუდამოდ ბნელსა და ქაოსს დაემონება!...დაიპყრეს სივრცე დემონებმა დაუპყრობელი, მიექანება უფსკრულისაკენ ნუთუ ყოველი.“ თანამედროვე რეალობით გულნატკენი პოეტი გადამწყვეტ ნაბიჯებს ელის მათგან, ვისაც ვითარების გაჯანსაღება ხელეწიფება. ღრმად სწამს, რომ ,,მოდის ზამთარი... ალბათ, გული კვლავ ღელვას მორჩება! ცვივა ფოთოლი... მაგრამ ბაღი კვლავ ინორჩება!... (,,ამ ცის და მიწის, ალბათ, დიდხანს გვემახსოვრება“).

დაწურულია და ბოლო ორ ტაეპშია ჩატეული პოეტის განცდა, ხვალინდელი დღის იმედი და რწმენა. დ. გაბუნიას უშრეტ ბარაქიანობაში მჟღავნდება მისი პოეტური ქმნილებების ფესვთა სიმაღლე და ძლევამოსილება, უწყვეტი კავშირი მშობლიურ ნიადაგთან. მისი სონეტები ბავშვური გულუბრყვილობით გადმოგვცემენ გარემომცველ სინამდვილეს, მშობლიური კუთხის ლანდშაფტებს... აბაშის ,,თვალსამოთხე ნაპირები“ მისი ყრმობის ემბაზია, მისი პოეტური ფიქრების საასპარეზო. ჭაბუკური ვნებანი მისი თანამდევია, ასე გულწრფელად, ასე ლაღად და სათუთად მოტანილი ჩვენამდე... დახვეწილი, რიტორიკული, ემოციური, ლაკონური და სავსე მტევანივით დაწურული: ,,ისევ მეძახის იდუმალი შენი ხატება და ლაჟვარდები ჩემი ზეცის ფერთა შრიალით! მზის ელვარებით ეს ღრუბლები გაიფანტება და ჩემს მინდორზე აცურდება ლურჯი ნიავი... აჟღურტულდება ჩემი ბაღის ჭრელი ჩიტები, დაეკიდება რტოს მტევნები იასამანის, მერე სიმღერის მიტოვება არ მოგინდება, ტრფობამ არ იცის თუ რა არის დროის სამანი!“...

პოეტს ნამდვილად ძალუძს ინტიმურიც საყოველთაოდ გამოიტანოს, რომ ინდივიდუალური სივრცის უხილავი ზღვარი არსად დაარღვიოს და სიყვარულით სავსე გულით სამყაროს ერთიანობის ნაცნობი განცდის რკალშია მოქცეული. და: ,,იმ დღეთა, როგორც ფიფქი კვლავ მეფინება, ვიხსენებ იმ დროს, ჭაბუკივით მემღვრევა სისხლი! დარეკავს ზარი! მოვა ჟამის ურჩი დინება და სადმე კლდეებს უშველებელს მიმახლის რისხვით... თუნდაც რომ შევძლოთ, საყვარელო, მოსვლა მეორედ, იმ აღტაცებას დრო ვერასდროს გაიმეორებს“ (,,ამდენი თოვლი მეგობარო ჯერ არ მინახავს“). სუბიექტურ ასოციაციათა დინება, არტისტული ხილვები აქ უფრო თვალშისაცემია. მხატვრულ ანალოგს თუ მოვიშველიებთ, მინდა გულწრფელად ავღნიშნო: ალბათ, რაღაც განსაკუთრებული სიჩუმეა საჭირო, რომ დაინახო, თუ როგორ იღვრება ფიფქთა სიქათქათე, როგორ ირწევა სივრცე, დრო ვარდფურცლობისა, და ჭაბუკის უმისამართო ხეტიალი ბილიკებზე და ისიც: ,,ეს ცა და მიწა საოცარი გულით ინთება“, მოდის საოცარი განცდა, რეფლექსია, განწყობილება, რომელიც განსაკუთრებულად ათრთოლებს ჩვენს სულს, მეტაფორული მუსიკის სტიქია მთლიანად გვიმორჩილებს და თავს ვერ ვაღწევთ მხატვრული აზრის მდინარებას. და აჰა: ,,შეხედე, ამ ბაღს რა ლამაზად იცვლის სამოსელს და მზემ დალეწა ყინულეთის ყველა ურდული. ო, ეს ბინულიც ჩემს ბაღებში გადის ქლურტულით და მიმიწვიეს ამ ზეიმზე მე მესამოცედ!“

და ასე უსასრულოდ იღვრება თბილი ფერები ალუბლისფერი, შინდისფერი, ატმისფერი, მძაფრდება განცდა ,,ეზმანე-

ბა ვარსკვლავები მოფართქალე ოცნების ცაზე“ და კვლავაც წუთისოფლის ლანდებს ეფერება...

პოეტი მუდმივად ზღვარზეა, ეძებს რაღაც ახალს, უბრალოდ ისე, თითქოს თავისთვის და მოაბიჯებს ბილიკზე, სიყვარულის სანთლებს მოარხევს, და: ჰო, ვინ იცის, „იქნება მარადი განახლების ქარი ქრის ნელი და სული ისევ მხოლოდ ახალ სამოსელს ელის.“ („საიდან მოვედი, ან საითკენ მივდივარ ნეტავ“). „ადამიანი ცოცხალია მანამ, სანამ ის ბედნიერებას ეძებს, ვიდრე მის გულში კიდევ ღვივის სიყვარული. აღთქმული ქვეყნის ნახვის იმედი. და ერთადერთი ხიდი, რომელიც ჩვენ ამ ბავშვობის წლებში მოლანდებულ ნათელ სიზმართან გვაახლოვებს, პოეზიის მიერ უსასრულობაში გატყორცნილი ხიდია. მხოლოდ დიდი ტკივილის ხარჯით შეიძლება ბედნიერების ნაპირებთან მიახლოება (43, გვ. 357).

დავით გაბუნიასეული სონეტის ტაეპედები ლაღად და თავისუფლად იკითხება. სონეტი მისი სტიქიაა, მისი ღვრიტა და აღმაფრენა. და თუ მეტაფორა წარმოდგენის ლოგიკაა (ემერსონი), მაშინ, დ. გაბუნიას პოეტური ხატები ქმნიან იმ ერთიან, ზოგად შეგრძნებას, რომელიც მზესავით ბრწყინდება მისი მრავალფეროვანი პოეტური სამყაროდან. მისი თითოეული ლექსი, პოემა თუ სონეტი საყურადღებოა და ძვირფას შთაბეჭდილებას ტოვებს. აი თუნდაც: „რა სიყვარულით ეფერება სიცოცხლის ფეთქვას მზე მოშრიალე, ოქროსფერ სხივთა ჩქერალით გაგაოცებს იდუმალი თამაში ფერთა და გაზაფხულის სილამაზით ცა მომღერალი... იდინე დროო სიშორეში, შენ როგორც გაწყობს, ოღონდ, უდროოდ

ნუ გადისვრი წარსულში აწმყოს!“

და მაინც, რა არის ის, რაღაც მარადი, რაც ღვთაებრივს მიელტვის ადამიანში, გამუდმებით რომ შეაგრძნობინებს, სადღაც სხვაგან რომაა კაცის მარადი, მაღალი სამშობლო?! სწორედ ამ კითხვაზე პასუხს იძლევა დ. გაბუნიას უმშვენიერესი სონეტები მაღალი სულისა და ნათელი გონის ანარეკლები. თითოეული ტაეპედი მისი მსოფლმხედველობის სიღრმიდან მოდის, უცნაურად გაღელვებს, და გრძნობ, როგორი აღმაფრენით ილტვის პოეტი ჭეშმარიტებისკენ... სამყაროსეული უცხო არომატი, სიწმინდე, პოეტის შინაგანი მზე, ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიის, ფორმის, შინაარსისა და ფერის მხატვრულად ამეტყველების ჭეშმარიტებაა დავით გაბუნიაში... „მამულში მხოლოდ პოეზიით გავიდგი ფესვი. რაა პოეტის უკვდავება? – სიცოცხლე ლექსის!“

**ციალა მესხია,**
**ლიტერატურათმცოდნე,**
**ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,**
**პროფესორი**

* * *

ქვემეხის ლულა დაუფარავთ მტრედებს ღუღუნით
და სული ისევ ხვალინდელ დღის რწმენით აინთო!..
მე თვალწინ მიდგას სივრცეები, გადაბუგული,
გულო, ბოლომდე ბოროტება აღარ დაინდო!

ვიხსენებ იმ დროს, ჟამის კედლებს სევდას მივახლი,
კუთხე – კუნჭულიც აღარ დარჩა, ბრძოლის გარეშე!
მიწა დახეთქეს, შემზარავი ცეცხლის ნიაღვრით,
ქარტეხილებმა დედამიწა გადითარეშეს...

დღე მიირხევა სიშორეში, ფრთამოღუღუნე,
მაგრამ ტკივილი, მოგონების მწარედ მედება!.
ჩემი ბავშვობის კვლავ მეძახის, ტყიდან გუგული,
რომელიც უკვე, ცისკარივით მეიმედება...

ველარ დაშრიტეს მზის თვალები დინოზავრებმა,
სივრცე გუგუნებს.. კვლავ მშვიდობის რეკონ ზარებმა!.

**27.06.52.**
**სოხუმი**

* * *

იმ დღეთა ხსოვნა კვლავ ულმობელ ტკივილად მაწევს,
მე თქვენზე ვფიქრობ, შეპყრობილი ღელვით, განცდებით!
დღემდე ცრემლები მწარედ კაწრავს დედების ღაწვებს,
გამოწვეული ბრძოლის ველზე თქვენი დაცემით!

იდექით მედგრად, შეკრულები ერთ დიდ სხეულად,
მერე დაეცით დაგლეჯილნი ტყვიების ჯერით...
მჯერა იბრძოლეთ, მეგობრებო, გამორჩეულად,
ასეთი იყო ბედისწერის ეს განაჩენი!

თქვენი ღიმილის გულწრფელობა შემომრჩა ყმაწვილს,
თუ სად დაეცით ბრძოლის ხაზზე, არავინ იცის!
მამულის ტრფობით, ჭაბუკური გულები დასწვით,
ბოლომდე დარჩით ერთგულები - კაცური ფიცის!..

ქართული სისხლი, ცეცხლოვანი, უშიშრად ღვარეთ
და დაუბრუნდით აჩრდილებად, მშობლიურ ჭალებს!..

**14. 05.55.**
**ბანძა**

* * *

მაკოცე მერი! სანამ ჟამი არარად გვაქცევს,
ნუთუ ბუნებამ ერთმანეთი ფუჭად გვანახა?!
რაც კი გვიბოძა, ამ სიმდიდრეს თუ ვეღარ გავცემთ,
დარეკავს ზარი! – გადვიქცევით მიწად, ბალახად...

თუ არ გავხდებით ოკეანე, ძვირფასო, ვნების,
მაშინ საწუთრო უცაბედად გვაქცევს არარად!
ამოისუნთქავს ეს სამყარო იდუმალ შვებით,
ოცნების ცაზე სულ ამაოდ შევკრავთ კამარას.

რადგან მოვედით, ზურგს ნუ ვაქცევთ მიწიერ გრძნობას,
თორემ ცხოვრება, დავიწყების ბინდებში გაგვხვევს!..
სიცოცხლისადმი, თვით ბუნება დაკარგავს ნდობას
და სიყვარულსაც სამუდამოდ, ეცვლება სახე!

უსიყვარულოდ სილამაზე არაფერს ნიშნავს
და სულ უბრალოდ შევერევით - შლამსა და ქვიშას!..

**12. 10. 56.**
**სოხუმი**

* * *

ღამეა... უკვე მეთორმეტედ დარეკა ზარმა,
ჩვენ კი თამამი ნაბიჯებით, დავდივართ ისევ...
იღვრება ზღვაში, შორეული ვარსკვლავთა ქარვა
და ბილიკებზე მიირწევა - ფერმკრთალი ნისლი...

შრიალებს მთვარის მოცისფერო, ხასხასა ფარჩა,
ზღვა გატრუნულა და ხანდახან იდუმალ ხვნეშის!
დავდივართ ორნი.. ირგვლივ უკვე არავინ არ ჩანს,
ღამეს ვარსკვლავებმოგალობეს, შემოვრჩით ხელში..

დარეკა ზარმა, მეთორმეტედ დარეკა ზარმა,
გვაფრთხილებს, მაგრამ სულაც აღარ მიგვეჩქარება!
ააშრიალა ბაღი ისევ მაისის ქარმა
და ჩვენ არაფრად მიგვაჩნია, დროის ჩარევა!

ციმციმებს სივრცე, შუქთა კრთომით გადანასერი
და ვერწყმით ჩვენ ამ სილამაზეს - მთელი არსებით!..

**12. 05.59**

**სოხუმი**

* * *

შენ, პირზამბახა გოგონავ, ვერ იქნა ველარ გივიწყებ,
რად ჩამიღვარე სხეულში, ასე უღმერთოდ კოცონი?!
ეს სული შენკენ მოფრინავს და გულიც შენკენ მიიწევს,
დავდივარ შენით ძლეული, გრძნობას ვერ ვუძლებ მოწოლილს!

საიდან გადმოანათე, ო, ასე თვალებკამარამ,
რა გულმა უნდა გაუძლოს, ამგვარ რხევას და ნათებას?!
შენ გამირბიხარ ნუკრივით და ვრჩები სევდის ამარა,
ჩემი ყველა გზა, ძვირფასო, კვლავ შენსკენ მოემართება!..

მაგ სათნო გულის დაპყრობა, ვერ იქნა, ველარ შევძელი,
უკვე ოცნებით დაღლილი, ეულად დავეხეტები!..
წალეკილი ვარ ერთიან, მაგ სილამაზის მეწყერით,
რა ვქნა, როდესაც უბრალოდ, აღარ მწყალობენ ღმერთები!

ო, მაგ ცისფერმა თვალებმა, მინდა სულ ჩემში იალოს,
ჩამოიქროლე და სადმე, კვლავ შემახვედრე, ნიავო!

**12. 08. 61**

**სოხუმი**

* * *

დაჩოქილი ვარ შენს წინაშე, ჩემო ღვთაებავ!
სიოც მაშინებს, არ შეგახოს ხელი უხეში!
მე ეს სამყარო შემაყვარეს, შენმა თვალებმა
და ორმა მთვარემ, რომ საოცრად გითრთის უბეში.

მღვრიე ქაოსის გავხდებოდი, ალბათ ნაწილი,
ძვირფასო ჩემო! ამ ბილიკზე, რომ არ მენახე!
ზედ დამყიოდა, მსხვერპლს უმწეოს, ციდან არწივი,
მაგრამ შენ გაჩნდი და საშველად ხელი შემახე!

ო, რა საოცრად განმარიდე ღამის უკუნეთს
და სიყვარულით ჩემი გული ცამდე აზიდე!..
ქამი, როდესაც მღვრიე ზვირთებს ააგუგუნებს
და ჩასანთქავად სამყაროც რომ ერთად აზვირთდეს, –

ეგ ჩემი სული გადურჩება, ალბათ, უვნებლად,
რადგან მაჩუქა სიყვარულის ნიჭი ბუნებამ!

**21. 04. 62**
**ბანძა**

* * *

ჩამოდიოდა სიშორიდან, თოვლი შრიალით
და მეგობრები, ახალი წლის მოსვლას ველოდით!..
მოვიდა ღამე, ფრთებქათქათა, თეთრთავშლიანი,
გადაათეთრა მინდვრები და მთები მელოტი..

ბუხართან ახლოს, სიყვარულით გავშალეთ სუფრა,
და იყო ღამის იდუმალი - თრთოლვა დიადი!..
ჩამოდიოდა გარეთ თოვლი, თეთრი და სუფთა
და შორს ჰფანტავდა მდუმარებას, ურჩი წყვდიადის!

მახსოვს ის ღამე - უჩვეულო, სავსე ღირსებით,
დღემდე რომ მირხევს სათნოებით სულის ანტენებს...
მე მოგონების მხოლოდ მძაფრი შუქით ვივსები,
ვით ცა იანვრის, უთვალავი თეთრი ფანტელით!

ჩვენ გვეჯდა გვერდით – სამ მეგობარს, სამი რჩეული
და ირხეოდა, გარეთ ზამთრის თეთრი სხეული!

**31. 12. 63**
**სოხუმი**

* * *

მე მუდამ მჯერა, შენი გულის უღალატობის,
რა ვქნა, ძვირფასო, ბედისწერამ აღარ დამინდო!
გადმომალღვარა ყველა სხივი ციდან მნათობმა
და მაინც ველარ შეიცვალა ჩემში ამინდი!

ველარ ვიშორებ, ამ ცხოვრების, ბრჭყალებს საშინელს,
მაგრამ სრულებით არ ვნებდები უიმედობას!
დღე ხვალინდელი კივის, მაგრამ ველარ მაშინებს,
რადგანაც სულმა შენი ტრფობის ზღვაში შეტოპა!..

რად მიცქერ აგრე ცრემლიანი, ჩემო ქალღმერთო?
შენსკენ მოვილტვი, მინდა ისევ გავინაპირო...
რას მიზამს ჟამი, რადგან გრძნობა შენით აღენთო
და რა სინაზით მეფერება ცა სააპრილო!..

იმედად მიჩანს მაგ თვალების, ლურჯი ზმანება,
რად ამატირა, გაზაფხულის შემობრძანებამ?!

**19. 03. 64.**

**სოხუმი**

* * *

ვდგავართ ნაპირზე და ზღვა არხევს ტალღებს უჩუმრად,
ვუსმენთ მზის ჩასვლის მელოდიას მე და შენ, მერი!.
გზებს შეღამების გადაუვლის ნიავი ფრენით
და ყვავილნარში ჩაიმუხლებს მერე ჩურჩულით...

გადააქვს ზეფირს, ლურჯი ფრთებით ვარდების სუნთქვა
და როგორ გვხიბლავს, იდუმალი, თამაში ფერთა...
აქ ყველაფერი უწმინდესი ტრფიალით ფეთქავს
და ცას სერავენ თოლიები, ზღვის თავზე გუნდად...

მზე კი ჩაეშვა... კიდევ ერთი დღე მიიწურა,
ჩვენს აღტაცებას - უჩვეულოს, არა აქვს ბოლო!..
როგორ არ მინდა, ამ დღეებმა რომ ჩაიქროლონ,
შორს, ცის სიღრმეში, ღრუბლის თეთრი გედი მიცურავს...

მოდის საღამო... სულს ფარული ღელვა მოება
და ჩვენ შევხარით უკვე ღამის მოახლოებას!..

**07.05. 64.**

**სოხუმი**

* * *

ეს ვინ გამოსცდა წუთისოფლის მღვრიე მდინარეს?
უკრთის თვალებში იდუმალი ცეცხლი ღვთიური...
როგორ იქნება ეს სიმაღლე გაუჩინარდეს,
ან უჩვეულო ნეტარება ამქვეყნიური?!

გაზაფხულია... გალობს ჩიტი - ხმით საამურით,
ირხევა სიმი სიყვარულის შეუცნობელი!.
ვინ ააჟღერა ამ მინდორზე, მზის სალამური,
ხმით მშვენიერით, რომ წამისად დატკბეს სოფელი?

შენი თვალების გამოხედვას, ვერ ვემალები
და სული სულის, სილამაზეს ესხივოსნება!..
შენით მთვრალია ჩემი გული, ჩემი თვალები,
მხოლოდ ლამაზი სიყვარული ვიცით მგოსნებმა!

ღამის ნისლებში თუ გაქრება, შენი ხატება,
ჩემს ლექსს შერჩება მაგ თვალების ლურჯი ნათება!..

**17.04. 65.**
**ბანძა**

* * *

აჰა, საცაა მოვარდება გრიგალი ურჩი,
იჩქარე, სულო, ახლა შევხვდეთ და არა მერე!
სანამ ტკივილით გახუნდება, ბუნება ლურჯი
და შემოდგომა მოაზღვავებს სევდიან ფერებს!..

შორეულ გზებზე, ვარსკვლავები მიქრიან სადღაც,
არც მომავალი, არც წარსული, არ ვიცით მათი.
ძვირფასო ჩემო! სამზეოზე მოვედით რადგან,
ამ გაზაფხულის სურნელებით - ბოლომდე დავთვრეთ!..

სული ზეიმობს, საყვარელო, როცა ვარ შენთან,
სიყვარულია ერთადერთი მაღალი ღმერთი!
მთელი სამყარო ამ საოცარ ბურანში ფეთქავს
და გვიხმობს მარად საოცნებო ბილიკი თეთრი.

შეხედე ზეცას, სიყვარულის გამოა სუფთა,
ჩვენსავით მთელი ვარსკვლავეთი, ტრფიალით სუნთქავს!..

**19. 08. 65.**
**სოხუმი**

* * *

**ედიტ პიაფს**

Თრთოდი "ბელურა" იადონის უკვდავი ყელით,
მთელი პლანეტის ღვთაებრივი გახდი ასული.
შენ სიმღერასთან, დედოფალო, ხარ განუყრელი,
ის იყო შენი დასაბამიც და დასასრულიც...

მაგ ხმათა სპექტრთან, ო, რამდენჯერ ღამე ვათიე,
მოფრინდი ციდან, იმღერე და შებრუნდი მისკენ..
შენ, ორფეოსის მარადიულ და დიდ პარტნიორს
მიწის ტკივილი გამღერებდა ისევ და ისევ...

მსოფლიო სევდა, გსდევდა მარად მოურჩენელი,
მერე გედივით გაცურდი და მიწაც დატოვე...
ცის სიშორიდან ღმერთი იყო, შენი მრჩეველი,
ფერიცვალებას არ მორჩილებ, შენ ქალბატონო!

დგახარ ამაყად სივრცისა და ჟამის გარეშე,
შენს ნაკვალევზე, დრო ვერასდროს გადითარეშებს!

**14. 09. 65.**
**სოხუმი**

* * *

აპრილის ჩიტი ყვავილნარში ო, ისევ გალობს,
ირწევა სივრცე და დღეები იალქნებს შლიან!..
წამოდი, მერი, გაზაფხული სანამდის გვწყალობს,
მივაყურადოთ ხეივნების იდუმალ შრიალს!..

ვიჩქაროთ, თორემ, შეუმჩნევლად გაირბენს წლები,
მიეფარება სანატრელი დღეები თვალებს!
ვერც ბაგეები შეხვდებიან ერთმანეთს ვნებით,
ვერც ხეივანში შეცურდება სინაზით მთვარე!

და გაფრენილი წლები ძალზე დაგვენანება,
ჩვენს ნაფეხურებს, როცა ჩუმად დაფარავს თოვლი...
მერე ამაოდ გაგვიტაცებს შორი ზმანება
და ყვავილები სიოს ფრთებით კვლავ ანათრთოლი!

წამოდი, თორემ, ჟამთა დენის გავხდებით მსხვერპლი
და ამ დღეთაგან, თითქმის აღარ დარჩება ფერფლიც!

**16. 04. 66.**
**სოხუმი**

* * *

ირეკლავს სივრცე გარდასულის იდუმალ ხსოვნას,
დღე ვარდფურცლობის არ ნებდება - უამინდობას!
მოვდივარ ღელვით და ეს გული მგზნებარე მომაქვს,
რადგან მან ყოფნა სამუდამოდ შენთან ინდომა.

ვიცი, ჩემს სხეულს გაიტაცებს ჟამის მორევი,
მაგრამ ვერ შესძლებს, ის ამ სულის გაბედითებას...
ძვირფასო, მე ხომ უკვდავებას შენგან მოველი,
არც მინატრია და არც მინდა მე სხვა დიდება!

მზე გაზაფხულის, ისევ ცურავს ზეცის თავანზე,
ის ჩავა უხმოდ და ცა მთვარით მოისირმება!
მე გული გიძღვენ და შენც გული შემომთავაზე
და სული მძაფრად შემირხიეს ლექსის სიმებმა!

ეს გაზაფხულიც წავა ისე, ვით სხვა წასულა,
მაგრამ ამ ღელვას, მე ვერ ჩავთვლი ფერგადასულად!

**24.04. 66.**

**სოხუმი**

* * *

რამ შეგაყვარა, საყვარელო, ფერი მოცხარის,
ასე საოცრად, რომ გიტაცებს და ეფერები?
ციდან გვიცქერის ანგელოზის, თვალი მოწყალე
და ქრის ნიავი - სიყვარულის დაუბერები...

რამ შეგაყვარა ო, ეს ზღვა და ზღვის მელოდია
და სიოს ფრთებზე, უჩვეულო რხევა სიმების?
ვერ გამიგია, ეს დღეები ასე რად რბიან
და რატომ გვათრობს, მზე მაისის ოქროს წვიმებით?!

რამ შეგაყვარა იდუმალი ქროლვა ნიავის
და ნაპირისკენ ზღვა როდესაც ტალღებს მოდენის?..
მე შენი სულის სილამაზე გავიზიარე
და აღტაცება უსაზღვრო და მოულოდნელი!

მოხვედი ქვეყნად? – სურნელს მიწის უნდა იწოვდე,
რომ ასაფრენი სივრცე აღარ დაგივიწროვდეს!

**20. 05. 66.**
**სოხუმი**

* * *

ვინ იცის, სულო, ვისთვის რას ქსოვს ბედი მაცდური?
გულს სიყვარულის უბოლოო ზვირთი მოება!..
სულში ღრუბელი ვარდისფერი, ისევ აცურდა
და სულ ამაოდ იმმორება, ამაოება!..

რა შორს ფეთქავენ, ვარსკვლავების მღვრიე თვალები,
საწუთროს სიო ნეტავ რაზე გვეჩურჩულება?
მის ფრთებს ულმობელს, ვიცი, ვერც ჩვენ დავემალებით,
რა რჩება ქვეყნად? – სიყვარულზე მხოლოდ თქმულება.

ნაზამთრალ მინდვრებს, გადაათოვს ფერი ატმების,
ცა გაზაფხულის ოცნებებით გაიბადრება!..
ჩვენ ამ ხეივნებს უჩვეულოდ მოვენატრებით,
როცა სივრცეში გავიბნევით ხსოვნის სანთლებად...

ჟამი არ მკიდეს მე ისეთი რა მეგულება?
მაგრამ სიყვარულს ის ვერ წაშლის, ვერც ერთგულებას!

**12. 02. 68.**

**სოხუმი**

* * *

ო, მზის გარშემო სანამ ბრუნავს ეს დედამიწა
და ჩვეულებრივ, სანამ კიდევ საათი რეკავს!..
თუ ბილიკებზე ხარ-ირმების ყვირილი მიწყდა,
აცრემლდებიან გულსაკლავად ღვია და დეკა...

თუკი სიცოცხლის ნაკვალევზე, სიკვდილი გაწვა
და მზის ნატერფალს, აეფარა დემონი ურჩი!
რა ეშველება, ფრთებს ცეცხლოვან ლავაში, დამწვარს,
ჩამოიშლება ლაჟვარდები, საოცრად ლურჯი!..

ხავერდოვნებას თუ დაკარგავს, საგნების წყება,
დაიშლამება საუკუნოდ, ჩქერები ვერცხლის!..
და მიეცემა ყოველივე აქ დავიწყებას,
არც ბულბულის ხმას გავიგონებთ, არც ჭიკჭიკს მერცხლის!

რას ვუცდით, მერი, კვლავ დავჭიმოთ სიმები მძაფრად
და სიყვარულის ერთხელ კიდევ გავშალოთ აფრა!

**02.04. 68.**

**სოხუმი**

* * *

ბული განსაცდელს, კიდევ დიდხანს გაუძლებს, ალბათ,
რადგან აინთო სიყვარულის ძლიერი სხივით!..
მე დავეწაფე შენი ბაგის, ვარდისფერ შარბათს
და სულმა სულთან, უთვალავი გააბა სიმი!..

მინდორზე ფეთქავს, გაზაფხულის ყვავილი ქორფა
და სიოს ფრთების უფაქიზეს შეხებას ელის!
მერე ზამთარი, გაავებულს აუშვებს ქოფაკს
და შემოგრჩება მწუხარებით, თვალები სველი!..

შეუქცევადი არის მარად, ჟამის დინება,
ძვირფასო, შენი სიყვარული, რამდენს მავალებს!
მოგაგონდები, ვიცი, იგრძნობ და გეტკინება,
და ბევრჯერ ჩუმად, აგაცრემლებს მზე ჩამავალი..

ქვეყნად ვერ უძლებს ვერაფერი ჟამის შეტევას,
მაგრამ მაგ შენი სიყვარულის მეიმედება!

**28.05.68.**

**სოხუმი**

* * *

შევდივარ ბაღში, დათოვილი ხეები დგანან,
მიდის მდინარე ყინულის ქვეშ... არ ისმის ჩქამი!
ზამთრის დღეები ტყუპებივით ერთმანეთს ჰგვანან
და ტოტებიდან ვისმენ ისევ, ყვავების ჩხავილს...

მდინარის იქით, გადავცქერი თოვლიან ბექობს
და ზამთრის შიშით, არემარემ შესწყვიტა სუნთქვა!
შორეულ დღეთა მომაწყდება, ფარული ექო,
ო, ეს რამდენი ფიფქი მოდის - ფაქიზად, სუფთად...

და სივრცეები თვალუწვდენელი გამხდარა თითქოს,
მიდის ღრუბელი ცის თავანზე აუჩქარებლად...
სული, ძვირფასო, ისევ შენსკენ გაფრენას ითხოვს
და ტკივილების ძალზე უჭირს უკვე ტარება!

დავდივარ მარტო... ჩამორეკეს ზამთრის ზარებმა
და ვუცქერ ღელვით, თოვლით მორთულ შემოღამებას!..

**27.12.69.**

**სოხუმი**

* * *

შენი დრო სადღაც, მოსახვევში შეჩერდა უკვე,
ჩემი დრო, ბიჭო, ისევ მთელი სისწრაფით მიქრის!
ო, ვინაც გშობა, ისევ იმის იქეცი ლუკმად,
მე დავიღალე სიცოცხლეზე ამაო ფიქრით...

ჩვენ სიბნელიდან ამოვდივართ, ჩქერზე სინათლის...
და სულ ცოტა ხანს ვხეტიალობთ - ოცნების წრეში...
რაღაცას ვეძებთ, ხან მივსტირით, ხანაც მივნატრით
და შორს მიცურავს ცის თავანზე ღრუბელი მრეში

ფერიცვალებას სამზეოზე არა აქვს ზღვარი
და ფრთებით მძლავრით ეხეთქება სივრცეს ზღვაური...
მიაყურადებ, ისევ რეკავს... ვის უხმობს ზარი?
მიდის ზვირთები სიშორეში აურზაურით!..

რბიან დღეები - მსხვრევას, განგაშს, ბოლო არ უჩანს,
მაგრამ კბოდეზე ისევ დგას და ყვავის ალუჩა!

**25.04.70.**
**ბანძა**

* * *

ეს ნავი ო, რა გაბედულად მიარღვევს ტალღებს,
ისევ მივცურავთ ზღვის სივრცეში, სულო, თამამად!..
რა უნდა ჩვენთან, საყვარელო, სევდას და ნაღველს,
მზე ამოვიდა და გულწრფელად მოგვესალამა...

მივარღვევთ სივრცეს, ხვალინდელ დღის გვეიმედება
და აფრებს ზემოთ, უთვალავი ფეთქავს თოლია!
ჩვენ ვარდფურცლობის საოცარი ცეცხლი გვეძლება,
თუმც ნაპირამდე, საყვარელო ძალზე შორია!..

არ ვიცით ახლა, თუ საითკენ მივემართებით,
მზე ამოვიდა და სულს შუქი მოეფინება!..
ძვირფასო, ვიცით, რომ ჩვენი გზა არის ნათელი,
აღარ ვმორჩილებთ, საყვარელო, დროის დინებას!

მივქრივართ ერთად, ცა და მიწა ჩვენი გვგონია,
და მოძრაობის სულაც არ ვცვლით ტრაექტორიას!

**17.05.70.**
**სოხუმი**

* * *

დირსების დარად ვერ შევამკე შენი სახელი,
მაგ მშვენებასთან, პოეზიაც თითქოს ურჩია...
ვუცქერი ახლა, მე შენს თვალებს ცისფრად გახელილს,
ვარდის ბაგეებს - ვარდის სიტყვა ვერ შევურჩიე!

მუდამ ნაქები ამ ზღვისა და ზეცის სილურჯე,
ორივე ერთად, მაგ თვალების მკრთალი ლანდია.
რის თქმაც მინდოდა, ვერ შევძელი, გულო იყუჩე,
ვერ ვპოვე შენთვის შესაფერი სიტყვა, ნათია!

გადგას გვირგვინი სილამაზის, ჩემო იმედო,
და უკვე ველარ ვეგუები დიდხანს მოლოდინს...
ჩემო ძვირფასო, შენ თუ არა ვიღას მივენდო,
როცა ერთბაშად გულს მისერავს ჟამი ბოროტი!

შენს მშვენებასთან ეს სონეტი რა ფერმკრთალია,
ნუ გამამტყუნებ, გრძნობა ჩემი შენით მთვრალია!

**14.06.70.**
**სოხუმი**

* * *

არ მინდა სევდა შემოდგომის შემოეპაროს –
ამ ჩვენს სიყვარულს, ვარდ-ყვავილთა თრთოლვით
ნაფერებს!.
დასაბამიდან ანგელოზთა ფრთები გვეფარა,
რას უცდი, ისევ გაზაფხულის ქარო, დაჰბერე..

არ მინდა ო, ის აღტაცება გაუჩინარდეს
და შემოდგომის მოყვითალო ფერი მოედოს!
გზას ვარსკვლავების, შორეული შუქი გინათებს,
რადგან, სიყვარულს უმღეროდი მუდამ, პოეტო!

მიწაზე შენთვის, ხომ ყველა გზა გახდა ცნობილი,
ამ მზე და მთვარემ ეს რამდენი შუქი გვათოვა...
რაც ვნახეთ დღემდე, ნუთუ გახდა უკვე ყოფილი?
ვეღარ დაგვძლია, თუმც დრომ ბევრჯერ დაგვიმარტოვა!

მზეო, რას უცდი დაგვირხიე ისევ ფერები,
ჯერ ბევრი რამე დაგვრჩა კიდევ მოსაფერები..

**17.04.71.**

**სოხუმი**

* * *

არავინ იცის, საიდან და როგორ მოვედით,
უდაბურ გზებზე, რა ჯიუტად ვიხეტიალეთ!..
ძალავ განგების, შენ მომმადლე სული პოეტის,
თუმც, ეს ცხოვრება, ვერ გავიგე როგორ ტრიალებს?!

მე შენს წინაშე, კვლავ ვლოცულობ, მზეო მაღალო!
რომ არ მოაკლდეს ჩემს პლანეტას, შენი წყალობა,
შენი სიუხვით გააცოცხლე, მიწა აყალო,
რომ ველ-მინდვრების საოცარი, გვესმის გალობა..

მე შენს კალთაზე ეს რამდენჯერ ვიგაზაფხულე
და თვალებს ჩემსას სიყვარულის ცრემლი მოება...
შენ შეგღაღადებ, საყვარელო, შენი მსახური
და სული ჩემი ეხეთქება... ამაოებას!

მზეო, მე რადგან მეხოტბე ვარ შენი მშვენების,
მჯერა, მიმავალს სიბნელეში შემეშველები!.

**27.05. 72.**

**სოხუმი**

* * *

სიცოცხლის თავთავს, ანგელოზი საკმეველს უკმევს,
მზე ვარდფურცლობის ცის თავანზე, კვლავ უნდა ენთოს!
“პანდორას ძღვენი” – რა ხანია გაიხსნა უკვე
და მოაზღვავა ბოროტება... მიწაზე ერთობ!..

რა დრო გასულა, რაც პლანეტა უკუღმა ბრუნავს?!
აწევს სიცოცხლეს სიმძიმილი სიმძიმით მთების...
დამსგავსებია დედამიწა მხეცების ბუნაგს
და დემონებმა ვეებერთელა გაშალეს ფრთები!

მიწა სატკივარს ვულკანივით აბოლებს ისევ,
მზე გადაღლილი იმზირება ზეციდან მორცხვად.
ვერ გაარღვია მოჯარული ღრუბლების სისქე
და სული ცისკენ, სულ ამაოდ, აღავლენს ლოცვას!

აქ ბოროტება ყორანივით ფრთებს იქნევს მძიმეს,
დრო მიქრის, მაგრამ ხვალინდელ დღის გვიტოვებს იმედს!..

**14.07.74.**

**მოსკოვი**

* * *

შღელი მძიმე თუ დაიდგი, – უნდა ატარო,
ხელი მსახვრალის არ შეეხოს, სულის კლავიშებს!
ძვირფასო ჩემო, მე არ ვიცი, რას შეგადარო,
ან ეს ცხოვრება უკუღმართი, რას მიმანიშნებს?!

ხეებს ფუტუროს, ვერ აღვიძებს ქარი აპრილის
და ბერწ მიდამოს, მზეც კი ველარ ააყვავილებს!
დავდივარ მარტო... შეღამების შევრჩი ნაპირებს
და ქამი უნდო კვლავ დამჩხავის თავზე ყვავივით!..

შენზე ფიქრებით მოითენთა ჩემი არსება,
მოვდივარ შენთან, ოცნებებით დამენათევი!..
სანამ სიცოცხლე ხეს ფუტუროს დაემსგავსება,
იქნებ იმედის მომალვაროს დილამ ნათელი?!

შენა ხარ ჩემი ერთგულების თეთრი ასული,
ჩემი ტრფიალის დასაწყისი და დასასრული!

**19.08.74.**
**სოხუმი**

* * *

ჩემი ცხოვრება უჩვეულო დინებით მიდის,
ის არ ცნობს ქვეყნის, არც კანონებს და არც ბრძანებას!
ქუჩებს, ხეივნებს, ფოთოლცვენის მოაწვა ბინდი
და სული ველარ ეგუება – ფერიცვალებას!

მე სიყვარულით მიცქერიან შენი თვალები,
ეს ცხადია, თუ საოცარი არის ზმანება?
მივდივარ, ციდან ვარსკვლავები მითვალთვალებენ
და შენთან, ვიცი, განშორება დამენანება!

დარჩება ჩვენი ალტაცების, თეთრი კარავი,
თუ ჟამმა ისიც არ მოშალა, მოულოდნელად!
მიერეკება ქარი ცაზე, ღრუბლის ქარავანს,
შემოდის სულში ტკივილები ქვეყნისოდენა...

მიდის ცხოვრება, იცვლის გზაზე ფერს და კალაპოტს
და მაინც მინდა სიყვარულზე გელაპარაკო!..

**29.08.74.**
**ბანძა**

* * *

მე შენს გარეშე როგორ გავძლებ, ჩემო სოფელო!
შენ დამირწიე ვერხვის ძირას, ყრმობის აკვანი...
ამ გულის ღელვით, გაირღვევა შავი საკანი,
რომ უკუვაგდო ეს სიკვდილი – დაუნდობელი!

ამაზე მეტი, ვის რა უნდა მოეცა ჩემთვის,
რაც მომანიჭე სიყვარულით, ძვირფასო ჩემო.
მე დღენიადაგ, მხოლოდ შენით მივფრინავ ზემოთ
და ქროლვა ჩემი, არვის ძალუძს, რომ შეაჩეროს!.

ამოვიზარდე, შენი მძლავრი ფესვების წიაღ
ჩემს ღელვასა და მისწრაფებას არ უჩანს ბოლო!..
ძვირფასო ჩემო! შენ ერთს გეტრფი მხოლოდ და მხოლოდ,
ხანაც ფარულად და ხან კიდევ აშკარად, ღიად!..

შენზე ძვირფასი სამზეოზე არვინ მეგულვის,
მომასმენიე ერთხელ კიდევ – ნანა მეგრული...

**14.11.74.**
**ბანძა**

* * *

**ძოწ-ლალ-ბაგეო, დამდაგეო,**
**სულთ – წამარებო!**
**ბესიკი**

მე შენს სიყვარულს, დავიწყებას ვერასდროს მივცემ,
თუნდაც ურიცხვმა გადიქროლოს, მიწაზე წელმა!. .
გაქღენთილია შენი შუქით, ეს ჩემი სივრცე
და რას დამაკლებს დემონების, მრისხანე წყევლა?!

მე ცას და მიწას ვევედრები, მაჩუქონ შვება,
ო, მაგ ბაგეთა მოფერების ღირსი რომ გავხდე...
სულს ტკივილებთან, თუმცა, ბევრჯერ ჰქონია შებმა
და მაინც სიმებს სიყვარულის, საოცრად არხევს!..

ვინ შეაჩერებს მღელვარებას დროის მორევის,
ბრუნავს ნიადაგ და ღრმა ფსკერზე ყველაფერს ითრევს...
სულმა ტკივილის, უსაშველოდ იგრძნო მოსევა,

მაგრამ ზეციდან, შუქის კრთომას, ისევ მოველი.
სიმებს იდუმალს, კვლავ შეახებს თოვლისფერ თითებს
და ცა ოცნების ვარდისფერად შეიმოსება...

**23.03.75.**
**ბანძა**

* * *

**ბაგემდუმრიად გიალერსებ,**
**ბაგეო - ვარდო!**
**ბესიკი**

მინდა სიცოცხლის ნიაღვრების, ბოლომდე გვწამდეს,
შენ გაქვს სინაზე გაზაფხულთან, განუყოფელი!. .
თრთოლვა ხარ ცისკრის და ოცნებით მაღალი ცამდე
და მხიბლავს შენი სილამაზით, წუთისოფელი!..

ღამეულ ლანდებს ვერ დავუთმობ მაგ შენს ხატებას,
რას უცდი, ცაო, გაზაფხულის შუქი მათოვე..
უშენოდ სულმა, როგორ იგრძნოს, ცისკრის ნათება?
შეგხვდი, ძვირფასო და ერთბაშად... მომაჯადოვე!

ღრუბლები სადღაც, შორს მიდიან, სვენებ-სვენებით,
მოვდივარ შენთან და გულისთქმას, მხოლოდ შენ განდობ!
მოდის აპრილი... ნიავს მოაქვს სუნთქვა ველების
და მე კი... შენი საოცარი ღიმილი მათრობს!..

“ბაგემდუმრიად გიალერსებ, ბაგეო - ვარდო!”
ბაგევ, ბოლომდე ალტაცებით მოგეფერები...

**25. 03. 75.**
**სოხუმი**

* * *

**პირო – მთვარეო, მომიგონე,**
**მზის სადარებო!**
**ბესიკი**

ლამის აფეთქდეს, ო, ეს გული სადმე დენთივით,
შორს დარჩა უკვე, ჭაბუკობის თეთრი ზღაპარი...
ციდან დამცქერის შემოდგომის მზე მოთენთილი,
შევრჩი ტრამალებს დევნილი და მიუსაფარი!. .

ზღვა მაგონდება მშობლიური, მთვარით ნაფერი
და ცა დაღვრილი – ყვავილების ფერად მტევნებად...
შენი ხატება მტკივა მხოლოდ, სხვა არაფერი,
როცა ხეივანს მოგონების, ავედევნები!..

დაცარიელდა ჩემთვის გზები, პირველყოფილი
და ჟამი გახდა, შემზარავად აუტანელი!
სად გპოვო აწი, საოცნებო მთვარის პროფილით,
დრო მიდის, მაგრამ ჩემს ტკივილებს ველარ ანელებს!

არ დამივიწყო სიშორეში მარტოდ მარები,
პირო – მთვარეო, მომიგონე, გემუდარები!

**26. 05. 95.**
**მოსკოვი**

* * *

შორეულ გზაზე, უგზო-უკვლოდ მივექანები
და გული კივის დაფლეთილი ჟამის ლახვარით...
აცახცახებენ მთებს და მინდვრებს ურჩი ქარები
და მოჩანს მხარე, უსაშველოდ ნაპარტახალი!..

ჟამის დინებას ვერ გაექცა, სული კეთილი,
ყველაფერს გლეჯს და ანადგურებს – ხელი მსახვრალის!
მზე შემოდგომის იხედება სხივმოთენთილი
და სივრცეებში ირეკლება, სხვა გზა ახალი!..

არ ავყოლივარ, დღეთა ქროლვას, უიმედობის,
არც მრისხანება მაშინებდა, ჟამის აჩრდილის!
მხოლოდ სივრცეებს, მარად შუქითმოსილს ვენდობი,
ჩემი თეთრონი იქით მიქრის, ფაფარაშლილი..

რა რჩება ქვეყნად? – იდუმალი კვალი ნათელი,
სხვა არაფერი, მეგობარო, სხვა არაფერი!

**14. 09.76.**
**სოხუმი**

* * *

დრო სწორხაზოვნად, უკვე აღარ მიედინება,
შეხედე, სივრცის გამრუდების მოჩანს ნიშანი!..
ქამთან ჭიდილი, მეგობარო, მექცა დილემად,
ო, ზღვები არა, იმღვრევიან თვითონ ქვიშანიც!

ძალა ბუნების, ქვეყნად რამდენ ცოდნას გვანიჭებს,
დღეს მიკროსივრცის, უჩვეულო გავხდით სტუმარი!..
და შემეცნების იმ ძველ მიჯნებს გადავაბიჯეთ,
სადაც არასდროს არ მთავრდება – გზა იდუმალი...

დღემდე სხვა ვიყავ, დღეს არ ვიცი, რა ვარ? ვინა ვარ?
ხან გამიტაცებს, ხან მაბრუნებს ურჩი დინება...
ის რაც ვიცოდით, მეგობარო, იქმნა იავარ,
ძველის დანგრევა, თვით ბუნებამ ასე ინება!

ამ სამყაროში ვერ გავიგე რაა მარადი?
რა გემართება? სულო, ნუთუ დაპატარავდი?!

**24.06.77.**
**სოხუმი**

* * *

ჩვენ ვტოვებთ სცენას და უეცრად სხვები მოდიან,
იხსნება ფარდა, მესამედ რომ დარეკავს ზარი!
ხეს ცხოვრებისას, ქარი არხევს მრავალტოტიანს
და ამ ცვლილებას, სამზეოზე არა აქვს ზღვარი!..

იდუმალების, განუწყვეტლივ ვტრიალებთ წრეში,
ათასი რამე დაგატყდება მოულოდნელად!..
კვლავ აცურდება ცის თავანზე, ღრუბელი მრეში,
რომელიც უკვე სიშორიდან ქარმა მოდენა!..

დანაღმულია, მეგობარო, საწუთროს გზები,
სად აფეთქდები უცაბედად, არავინ უწყის!
შეხედე, ქარი როგორ უტევს, იალქნებს გზნებით
და ცვლიან ერთურთს, ეს დღეები კენტი და ლუწი. .

ვერ ამიხსნია, ამ ქვეყანას თუ ვინ განაგებს,
ჩვენ ბანაკს ავშლით, სხვა თაობა დაიბანაკებს!..

**09.07.77.**

**სოხუმი**

* * *

აქ ცა და მიწამ ერთობ, იგრძნო მოთენთილობა,
მზის ჩანჩქერებმა, ზღვის ვეება ფრთებიც მოღალა!
ჩემი ალვის ხე, აწვართული, ფიქრმა მოხარა,
გულში კი გაჩნდა, იდუმალი და ღრმა ჭრილობა!..

შლამით ერთბაშად დაიფარა, წყალი მდინარის,
ცამ შეაფერხა უჩვეულოდ ღელვა-დინება..
აჰა, საცაა, ტყეს დასიცხულს მიეძინება
და რა საოცრად გატრუნულა ო, ეს ჩინარი!..

მხოლოდ კოდალა კანტიკუნტად კენკავს სიჩუმეს
და ფრინველების უცნაურად შეწყდა გალობა.
ნუთუ ეს არის, ჟამთა დენავ, შენი წყალობა,
რომ ყოველივე ქვეყანაზე დაცხრეს, მიჩუმდეს?!

მიწა ბარბაცებს და ვერ უძლებს, სხივთა ზვაობას,
სივრცე ვარვარებს, როგორ უჭირს, მზეს მოძრაობა?!

**29.07.77.**
**სოხუმი**

* * *

ვიცი, ეს ღელვა, ახლა უკვე ვერაფერს შეცვლის,
როცა სიცოცხლემ, უცაბედად დაკეცა ფრთები.
თამთამებს მთვარე – ლაჟვარდებში გამდნარი ვერცხლი
და ზარის ხმაზე, გუგუნებენ ამაყი მთები..

ამოვა მზე და შემოაცლის ქათქათა სამოსს
ნიავის ფრთებზე მოშრიალე, ბაღების ქარვას,
მითხარი, ცრემლით ეს ბალახი, როდემდე ვნამოთ,
ან ეს მდინარე, მწუხარების საითკენ წავა?!

დასაბამიდან ბედისწერის ვტრიალებთ წრეში,
არავინ იცის, გზა საწუთროს საითკენ მიდის!
მოვა ჟამი და... ამ ნაკვალევს, დაფარავს ნეშო,
მოვა ჟამი და... ამ სევდასაც შეიწოვს ბინდი..

ეს წმინდა ცრემლი, მხოლოდ ტრფობის მიიღე ნიშნად,
სანამ დაფარავს, ამ ჩემს სხეულს, არყოფნის ქვიშა..

**25.05.78.**
**ბანძა**

* * *

შეგუნურებას ქვეყანაზე არ უჩანს ზღვარი,
ვინ იცის, იგი შავი ფრთებით სანამდე მივა?!
მე ჩემი კალმით საუკუნის ვარ თანამგზავრი
და რასაც ვხედავ პლანეტაზე – საოცრად მტკივა!

ვინ მოგვისაჯა, რომ ერთურთი აღარ დავინდოთ
და გადავთელოთ ყოველივე, ველურ ფლოქვებით?!
ატომს სიცოცხლე თუკი აღარ გამოვარიდეთ,
მაშინ ჩაგვძირავს, ოკეანე, აბობოქრების!..

მოდის ღრუბელი – ეს ბირთვული დიდი ობობა,
რომ საუკუნოდ ჩაქრეს ქვეყნად დილა მზიანი...
ყოველ ნაბიჯზე, მეფობს მხოლოდ დაუნდობლობა,
ვერ გახდა სული – სათნოების თანაზიარი!

ფეთქავს სიცოცხლე, ფრთებთეთრი და მოუსვენარი
და უტევს იგი, ბოროტებას ძალით ზენარის!..

**19. 06.78.**

**სოხუმი**

* * *

ნაღვლიან თვალებს, უჩვეულო წამება ახლავს
და ტკივილებით გათანგული, ათევ – აღამებ
არავინ იცის, მეგობარო, საითკენ წახვალ
და განშორების მოგეჯარა, უხმოდ ჭაღარა!..

ვერ გაექეცი, ბედისწერის სისხლიან კლანჭებს,
მთელი ცხოვრება, დრო მხეცივით, გიღრენდა თითქოს!..
ჟამის ხლართები ეცადე და მაინც ვერ გასჭერ
და ახლა შენგან, თავგანწირულ ნაბიჯსაც ითხოვს!..

რა დარჩა უკან, ღამეები ნათევი თეთრად,
რომელსაც ქშენით შემოადგა, ჟამის სიცივე..
არავინ მოდის, გული მწარე ტკივილით ფეთქავს
და ლაჟვარდიდან, მთვარის ლურჯი შუქი ციმციმებს...

ამაყი იყავ, არ გივლია ხვეწნა – მუდარით,
მიტომ ვერ ჰპოვე, ქვეყანაზე ნავსაყუდარი!

**02.07.78.**
**ბანძა**

* * *

საით გამექცა მეწამული ფერის მანტიით –
მზე გაზაფხულის, განთიადის წვიმა შხაპუნა?
მე კი შემოვრჩი, ამ პლანეტას, სულით მარტვილი
და სევდიანი გადავცქერი, მინდვრებს ნაპურალს!..

მივდივარ მარტო, ქამის ზონარს ვჭიმავ დაღლილი
და გული მიმაქვს, უსაშველოდ ნაჭრილობევი!..
ვერ იქნა, სიტყვას ვერ ამოვდე მტკიცედ აღვირი,
გავცქერი სივრცეს, ფოთოლცვენის სევდით მოფენილს..

გულს ვერ ვამშვიდებ! სიყვარული მექცა ტკივილად
და გუბე სევდის, ვერ იქნა და ველარ დავაშრე.
უკვე ჩემს ცაზე, ქარიშხალმა გადიკივილა
და ახლა, სადღაც, მღვრიე ტალღა მიმათამაშებს!

ის დრო გამექცა, დამიწყვიტა ყველა სადავე,
ახლა სად ვპოვო ის სინაზე და სისადავე?!

**25. 10. 78.**

**სოხუმი**

* * *

ციდან უხვად, კვლავ ილვრება ოქრო,
ნახე, ბაღში ისევ ყვავის ნუში!
შენ ისეთი ლამაზი ხარ, გოგო,
რომ უთუოდ ჩაგისვამდი სულში...

დამიბრუნე, ჭაბუკობის ჟამი,
მომაღვარე, სურნელება თმების...
ზღვის სივრცეში გაგიტაცებ, ნავით,
ერთხელ კიდევ, ტრფობით ავივსები!

ერთხელ კიდევ, ამიმღვრიე სისხლი,
ავყვე ღელვით, შენი ტანის მორევს!
უკვდავებად, ალბათ, მყოფნის ისიც,
ალტაცებით, როცა მომიგონებ.

ლექსით გითხარ, მე რაც უნდა მეთქვა,
როცა გულის, მომებალა ფეთქვა!..

**12. 04.79.**
**სოხუმი**

* * *

დედამიწაზე მე დავარქვი, საგნებს, სახელი,
როცა მუსიკით შინაგანით, მომაჯადოვეს...
ჟამი მიდის და მემატება, ჩუმი ნაღველი,
დღეო, რად მინდა, რომ ამდენი სევდა მათოვე?!

ცხოვრებას მაინც, ვერ მოვგლიჯე, შავი ნიღაბი,
ამოუხსნელი დარჩა ჩემთვის ბევრი იგავი!.
დავხეტიალობ, ვერსად ვეღარ გადავიღამე
და ფრთები ბევრჯერ, დამილეწა, ჟამის გრიგალმა!

გავცქერი სივრცეს, ეს რამდენი შუქი ელვარებს
და მაინც დღემდე, ბნელი აკრთობს ნათელ მირაჟებს!
ვერ იქნა, ვეღარ გავაღვიძე ჟამი მთვლემარე
და ვდგავარ ბრძოლით მოქანცული, მე შენს წინაშე!

სადღაც სამყაროს ყრუ კედლებში ვარ ჩაკეტილი
და ოცნებებში სჭარბობს მხოლოდ ბოროტს კეთილი!

**22.08.79.**
**ბანძა**

* * *

ვერ უძლებს სული, უთავბოლო დღეთა მარულას,
მოდის ზამთარი, მოაქვს დარდი აურაცხელი!..
მოარღვევს სივრცეს, შემოდგომის ქარი ხმაურით,
სილამაზის და სიყვარულის მარად მძარცველი!

გამოხტა ჟამი, ფოთოლცვენის სევდის მთოვარი,
შეხედე, როგორ უმოწყალოდ ძარცვავს ბუნებას?!
ის მოდის შენთან, უსახური, ვით მათხოვარი,
მის ხელებს ვერც შენ გადურჩები, ალბათ, უვნებლად!

თვალს მიეფარა, ვარდფურცლობის ჟამი ხასხასა
და ახლა მინდვრის ყვავილები, აღარ გველიან!
გაძარცულ ცაზე მხოლოდ ღრუბლის ფრთები ლასლასებს
და შენი თვალი, ვხედავ უკვე, ცრემლით სველია!..

ძვირფასო ჩემო! არ ჩაიქრო ტრფიალის ცეცხლი,
იცოდე, ქვეყნად ამით მაინც ვერაფერს შევცვლი!

**06. 10. 79.**
**ბანძა**

* * *

ამ დღეთა სრბოლას, ვხედავ უკვე, ვერაფერს ვშველი,
შეხედე, ზეფირს, შემოდგომის ფოთლები მიაქვს...
შენ შვლის ნუკრი ხარ, საყვარელო, მაისის ველის,
თუ წყაროს პირას მწვანე ბუჩქთან შემკრთალი ია?

შენ გაზაფხულის, ყვავილების ჩქერებში ცურავ,
მე შემოდგომის გადაღლილი, ფერები მაწვიმს!
დრო, რა ულმობლად აფერმკრთალებს, ცხოვრების სურათს,
თუმც კვლავ ამბორად მიზიდავენ, ტუჩები მარწყვის!.

ეს სილამაზე, ვინც გვაჩუქა, ვუბრუნებთ მასვე,
მოვდივართ ზღვასთან და ვუცქერით აფრების გაშლას...
შენთან შეხვედრა, მე უსაზღვრო ტრფიალით მავსებს,
თუმც ჟამი მიქრის, როგორც ველზე მერანი კავშა!..

მივაყურადოთ, ვარდფურცლობის სიმები უკრავს
და სული ისევ დაბრუნებას მოითხოვს უკან!..

**09.10.79.**
**სოხუმი**

* * *

შენს უჩვეულო სიდიადეს ვეტრფი, ბუნებავ,
მხოლოდ შენ ერთი, სიყვარულით მწვდები გულამდე!
რამდენ რამეზე ო, რა ბრძნულად მესაუბრები,
ასე იქნება ჩემი ყოფნის დასასრულამდე..

აჟღერებ სიმებს!.. ხელოვანის გისმენ დუმილით,
როცა შენ გალობ, მე ზღვაგრძნობით ვხარობ ბოლომდის.
ამოდის მზე და მოაქვს ტანი ოქროცურვილი,
ამ აღტაცებას რას დააკლებს, ძალა ბოროტი?!

მოდის საღამო, მავსებს მთვარე იდუმალებით,
როცა შუქს უხვად გადააღვრის, ცისფერ ხეივანს!..
ახმაურდება ათას ხმაზე, მწუხრის ზარები
და იზმორება სილამაზით ცა მოზეიმე!..

ვდგავარ ზღვის პირას, უცნაური ტყვე ვარ ზმანების,
ამ საოცრებას ნუ მომაკლებ, გემუდარები...

**10. 05.80.**

**სოხუმი**

* * *

მე ჩემი სოფლის, მიცნობს თითქმის ყოველი კენჭი,
ისევ შემომხვდა ჩემი ღელე, ღელვით, ჩურჩულით!..
დამაგვიანდა უკვე მოსვლა, სინდისი მქენჯნის,
მეძახის ტრფობით, შენი ყველა კუთხე-კუნჭული...

შენა ხარ ჩემი, შთაგონების წყარო დიადი,
ბევრჯერ ნატორი, ამ ცხოვრების შავი ურჩხულით!
კვლავ რეკავს ზარებს გედისფერი ცა განთიადის
და ფეთქავს ზეცა, შეღამების – თვალდალურჯული!..

ო, სანუკვარო! მინდა დავრჩე, მარადის შენთან,
შენს ლურჯ სანახებს, სიყვარულით მისთვის ვედები.
ამ ცრემლს უწმინდესს, აბაშის წყლის დინებას შევრთავ,
ო, შენთანა ვარ, მთელი ჩემი შემოქმედებით!

შენი ყოველი შემოხედვა როგორ მახარებს!
ასე ძლიერად, მითხარ, თავი რად შემაყვარე?!

**21. 05. 80.**
**ბანძა**

* * *

ქამმა ცხოვრება რა უეცრად გამინახევრა?!
ჩემში ყვავილი სიყვარულის ჭკნება ნიადაგ...
ღელვით გავცქერი ახლა ცაზე, მთვარის ნახევარს,
მოვა დუმილი, გადამიქცევს სივრცეს წყვდიადად...

დავხეტიალობ, ახლა თითქოს, სულ სხვა მხარეში,
იმ დღეთა ღელვა, ზამთრის ფრთებით დაიფარება...
ქროლვა ნიავის შეიცვლება, ქარის თარეშით
და მხოლოდ შენი სილამაზე... შემებრალება!

მზერა ლამაზი, გაიტაცეს ჟამის ზვირთებმა,
ბაღი მდუმარებს და ბულბული, აღარ გვიგალობს!
მივდივარ ჩუმად, უხვად სევდას მივეზიდები
და მალე ტოტებს დამილეწავს, სადმე გრიგალი!

იდინე დროო, მე ის სულაც აღარ მაშინებს,
ამ ჩვენს სიყვარულს ჟამთა სვლას ვერ დავუკავშირებ!

**17. 06.80.**

**სოხუმი**

* * *

მე არასოდეს არ ვყოფილვარ, ჟამის მძევალი
და შუბლზე მუდამ, მხოლოდ რწმენის შუქი მეფინა!..
შენით დავძლიე, ჩემო მერი, გზა უძლევარი
და ყოველივე, შენმა ტრფობამ შემაძლებინა!

მიმაჩნდა მუდამ ერთადერთად, გზა არჩეული
და არც თვისება მქონდა, სულო, ქამელეონის!
შენ ერთადერთი, იყავ ჩემი გულის რჩეული
და მივყვებოდი, გზას შორეულს, ქნარით ეოლეს!..

ჩვენს სიყვარულზე, სანუკვარო, ვწერდი ბალადას,
რეკავდა ზარებს, სული ღელვით დაუტევარი!..
მეც მქონდა ჩემი დიდგორი და ჩემი მარაბდა,
მეწურებოდა სულში შენი ტრფობის მტევანი..

დრო რას დამაკლებს, მერი, შენზე გულით მინდობილს,
ჩვენ არ ვმორჩილებთ, თეორიას ფარდობითობის!

**10. 10. 80.**
**ბანძა**

* * *

ზღვას დაეფინა ძოწისფერი სინაზე ისევ,
მშვილდ-ისრით ხელში, ხეტიალობს ცელქი ამური,
ჭაღარა მთები შემოდგომის, არხევენ, ნისლებს
და ზღვის ბადეში, კვლავ ეშვება მზე მეწამული.

მე ყრმობის წლები, მაგონდება, სათაყვანები,
რომელიც, სადღაც, აბაშის წყლის პირას იწყება!
რად შემიყვარდა ჩემი სოფლის ლურჯი ყანები,
რომლისაც ამ გულს, აღარ ძალუძს გადავიწყება!

დავდივარ უხმოდ ხეივანში, ღელვით ვივსები,
ამაწიოკეს ისევ მძაფრად, ჟამის ქარებმა!
კვლავ დამაქვს გული დაგლეჯილი, მძიმე ისრებით
და მაინც შიში განშორების, არ მეკარება!

დასაბამიდან, რადგან მხოლოდ ტრფობას ვუგალობ,
არ განმიმუხტო რწმენისაგან, გული, უფალო!

**12. 10. 80.**
**სოხუმი**

* * *

მზე ამოდის მაისის, მეწამული ქსოვილით,
ჟამის ღელვით დაღლილი, ვდგავარ ფერთა მორევში.
შენი ხსოვნით, ძვირფასო, თვალები მაქვს სოველი,
მოქრის ჟამის ქარები, მარად მოიერიშე!..

საოცნებო ბილიკი, რჩება სევდის ამარა,
დღეთა ორომტრიალში, მივალ – უმისამართოდ..
ხვალინდელ დღეს, ძვირფასო, მაინც გავცქერ თამამად,
რადგან, შენმა თვალებმა, სიყვარულით ამანთო!..

წარსულს ვეჩურჩულები... მტკივა ნაიარევი,
სულში ფეთქავს იმ დღეთა, ღელვა გაუხუნარი!..
ახლა ქუჩაბანდებში მარტო დავიარები,
ჟამის მღვრიე ქარები ჩემს გარშემო ბრუნავენ!..

ცას ოცნებით გავცქერი, მზემ ღრუბლები არია...
გული ასე რომ ღელავს, ნეტავ ვისი ბრალია?!

**04.05.81.**
**სოხუმი**

* * *

მე შენსკენ მზირალს მეფინება – ფერები მთვარის,
არხევს ტირიფებს, ჩრდილოეთის ქარები ურჩი!..
მოწოლას, ერთობ, ტკივილების ვერ გადავურჩი,
მიდიან კვნესით, შემოდგომის დღეები მკრთალი...

მივაყურადებ, მთვარიანში მდინარის ოხვრას,
ო, როგორ მინდა, არ მოედოს მიდამოს თვლემა!
ჩემი ლექსების, იდუმალი შენა ხარ, თემა,
რბიან დღეები, არ იციან, რა არის მოღლა!

ვიცი, ვერასდროს დავიბრუნებ, უკვე გაფრენილს,
როგორც მდინარე, შლამიანი მიდის ცხოვრება!..
შენი თვალების სილაჟვარდე მემახსოვრება
და ცა მაღალი, გაზაფხულის შუქით ნაფერი!

იქროლე სულო, სიშორეში, ფრთებით გრძნეული,
დარჩება ლექსი, დროო, შენგან ვერ დაძლეული!

**25. 11. 82.**
**სოხუმი**

* * *

გაქლენთილია მძიმე სევდით ჩემი პლანეტა,
გზაჯვარედინზე სულ მცირედი იმედიც არ ჩანს...
ო, ამ ტკივილმა ყველა ტკივილს გადაამეტა,
რომ იმ დღეების სილამაზე სადღაც, შორს დარჩა!..

შენ ხარ მშობელი ამ სიცოცხლის, თუ კოსმოსიდან
მოზღვავდა იგი მირიადი ფრთების ხმაურით?!
შეხედე ზეცას, მზის გვირგვინით ვინ ამოზიდა,
აწყდება სივრცეს სიშორიდან ხმა უცნაური...

ჰა, შემოდგომის ხეივანი დავტოვეთ ერთად,
ოცნებას მეტად აღარ ძალუძს, იალქნის გაშლა!
აღარ გვაოცებს ძველებურად, თამაში ფერთა,
ნუთუ მორჩილებს ყველაფერი რღვევას და დაშლას?!

ჩვენც ამ ცხოვრების – რთული ფილმის კინო კადრი ვართ,
არ გაგვიკვირდეს, ეს ნათქვამი, ჩემო ფატიმა!

**12. 11. 84.**

**სოხუმი**

* * *

ო, ეს სიკვდილი რატომ არის ასე ძლიერი –
ყველა არსებულს ის დამხობით რად ემუქრება?
რატომ უცქერის ასე მშვიდად მას ზეციერი,
ან რატომ აძლევს ყოვლისშემძლე – ამის უფლებას?!

ნუთუ ვერ ხვდება ვერც ბრძენი და ვერც მეცნიერი,
თუ რა ხლართებს ქსოვს შეუცნობელს ჟამის ობობა?!
სიკვდილი რატომ დააბიჯებს მეფურ იერით,
ან ასე რატომ ვეწირებით, დაუნდობლობას?!

იქნებ სიცოცხლეს ბუნებისგან მართებს ბეგარა?
ყოფნა-არყოფნის საკითხებით გრძნობა გაწამდა!.
ჩამომაშორეთ ო, ეს შფოთვა უკიდეგანო
და დამიბრუნეთ ტრფობით სავსე რხევა წამწამთა!..

ეს სატანჯველი დავივიწყო კაცმა ეგების,
როცა ბაგეებს ბაგეებით შევეგებები!

**14.08.86.**

**სოხუმი**

* * *

ქამთან ჭიდილში გაცვდა ჩემი ყმაწვილკაცობა,
და მაინც, დღემდე კვლავ თამამად აღმართს მივყვები...
მე პოეტი ვარ და არ ვიცი რაა დაცხრომა,
არც კი მანაღვლებს – რას ფიქრობენ ჩემზე ბრიყვები!

მე ოკეანის შუქი მიპყრობს, მარად მედინი
და ეს პლანეტა რა საოცრად მევიწროება!
შემოღამება მდინარესთან მღერის გედივით
და ირხევიან სევდიანად, ისევ წნორები...

ამდენ ბრძოლაში შეცდომებიც მეპატიება,
თუ უნებურად, მეგობარო, სადმე დავუშვი!
მე არასოდეს ავყოლილვარ მსუბუქ დინებას,
და მემსხვრეოდა ხშირად ფრთები ქარის ხმაურში!..

ხან ზვირთი მსდევდა, ხან ქარიშხალით ვიყავ ნაცემი,
ჟამს ველარ შეცვლი შესაკრებთა გადანაცვლებით!

**27.10.86.**

**სოხუმი**

* * *

ზღვა რა ღონივრად ეხეთქება ამ ღამით ჯებირს
და პორტს სტოვებენ ხომალდები განგაშით, შიშით!..
ჩემი ტკივილი ულმობელი მხოლოდ აქ იშვა,
მაინც მოვდივარ და ნაპირთან ამაყად ვდგები!

ანათებს სივრცეს, შუქურების ჩანჩქერი მძლავრი,
ამოდის მთვარე, ძოწისფერი სხივების რხევით...
ზღვა კი ბობოქრობს უჩვეულოდ და ღრმულს ცვლის – თხემი,
ნაპირს ზვირთები ეხეთქება... ვეება ძალით!..

მე შენში ვხედავ ამ ცხოვრების ფიზიკურ მოდელს,
რომ მიმოქრიან ეს ზვირთები შმაგი ჭენებით...
გუგუნებს იგი ო, ამ ღამით შეუჩერებლივ
და ზედ აწყდება განწირულის შხუილით კბოდეს!

ო, ამ სტიქიონს ნეტავ ეს რა ძალა განაგებს?
ზღვა გაჩუმდება? – მაშინ ნისლი დაიბანაკებს..

**20.11. 87.**
**სოხუმი**

* * *

**სილოვან დარჯანიას ხსოვნას!**

შენ მოგვევლინე დირექტორად რვაწლიან სკოლის
და ჩვენ სიხარულს უჩვეულოს არ ჰქონდა კიდე...
ყოველ ახალ წელს შენ ხვდებოდი თოფების სროლით
და ჩვენი სოფლის სიდიადეც, ტკივილიც ზიდე!

შენ მოკლე ხანში სანიმუშო გახადე იგი
და მთელი სოფლის სიყვარულად იქეცი უკვე!
როგორ შესძელი შენ ამდენი, ძალიან გვიკვირს,
შენით ხარობდა, მეგობარო, ეზო და შუკა!

გახდი, შემთხვევით, სოფლის გზაზე სიკვდილის მსხვერპლი,
მაგ სიდიადეს მისტიროდა სოფელი მწარედ!..
შენი სავანე აღარ იყო, სამარე ფერფლის
და დარჩა იგი სამუდამოდ, ჩვენს თვალში მწვანედ!..

მოვდივართ გრძნობით, სიყვარულით გახსენებთ ახლაც,
მაგრამ საფლავის შენეულის არ გვინდა ნახვა!

**12.04.59**
**ბანძა**

* * *

რად მომეძალა უსაშველოდ მელანქოლია?!
დავდივარ გარეთ, დაღვრემილი სივრცეს გავცქერი...
მოდის ზამთარი, რა აშინებს ამ მთებს გოლიათს,
ან მინდვრებს რატომ აფერმკრთალებს მზე ალმაცერი?!

მაღალ სივრცეებს მიეძალა ჩემი ფიქრები,
რა დამავიწყებს, საყვარელო, მაგ შენს ხატებას?
ვხარობთ ცოტა ხნით, მერე მიწად გარდავიქმნებით,
და შორს, ვარსკვლავეთს შეერევა სულის ნათება!..

ტრფობას ცეცხლოვანს, ვერ აქრობენ ცივი ქარები,
განშორებისას იცის თვალმა ცრემლის მოდება...
ჩვენ ვართ, ძვირფასო, მხოლოდ მსხვერპლი ფერიცვალების
და საოცარი სხვა სამყარო დაგველოდება!

და თუ სხეულებს მიწის თალხი ფერი ეძლევა –
სული? – სული ხომ გაზაფხულზე მოვა ენძელად...

**17. 12. 88.**
**სოხუმი**

* * *

გაივლის წლები და ძვლებს აღარ შერჩება ხორცი,
ო, ამ ყრუ მიწის შენც გახდები მცირედი ლუკმა...
გაჩნდება მინდვრად უმნიშვნელო ფერმკთალი ბორცვი
და ვერასოდეს შეიქცევი მას შემდეგ უკან!

გულგრილი მიწა გარდასულ წლებს არაფრად ჩათვლის,
ვერც ბაგეების გაიხსენებს – ცეცხლოვან კოცნას...
ცა ატირდება შეღამების, თვალებით ჩხართვის
და შორს, ალვის ხე აწვართული აღავლენს ლოცვას!..

ღამის ნიავი ტირიფონში დაუკრავს ფუგას,
როცა წყაროსთან მთვარე თვალებს გაახელს ნაზად...
ჩემი ბავშვობის ატირდება ეზო და შუკა,
როცა ვიქცევი, მეგობარო, უსულო მასად!

მე ამ მიწაზე შენთან მოველ ღიმილის ბიჭი,
შორს, ზარი მიხმობს!.. მთვარე რატომ მიცქერის იჭვით?!

**20. 05. 89.**
**ბანძა**

* * *

მოეცვა ცახცახს ჩემი მთები ტერფით – თხემამდე,
ზღვის პირას იდგა სევდიანი რხევა ნაძვების.
სისხლის ღვარებით ჩემი მიწა გამითხევადეს
და აფროდიტეს დაკაწრული ჰქონდა ღაწვები!..

შემოგრაგნოდა ჩემს სამშობლოს ტანზე მგუდავი
და სძრავდა ტაძრებს შემზარავი რეკვა ზარების!.
იცრემლებოდა ხატი მცხეთის, ხატი გუდანის,
ო, ამ სისხლიან ნაფეხურზე დინოზავრების!..

დაეღო დრაკონს, ხახა შავი, როგორც გვირაბი,
გესლავდა შხამით ყოველივეს, რაც კი ენება!..
და ტორტმანებდა სასიკვდილოდ ყელი ჟირაფის,
იძარცვებოდა ერთიანად ქვეყნის მშვენება...

დავცქერდი მიწას – სისხლით მორწყულს, გვამით მოფენილს!..
გამეღვიძა და გული შემრჩა ნაჭრილობევი!

**12.07.88.**

**სოხუმი**

* * *

ეს ქარიშხალი ო, ამ ღამით როგორ ხმაურობს,
გადამიტეხა ჩემს სარკმელთან ალვა ტანადი!
ისევ აწყდება ჩემს საცხოვრის აურზაურით
და დანა იჭვის გამიტარა გულში ტარამდის!..

სივრცე ცახცახებს, ლამის არის გადაიფერდოს,
მთვარე ღრუბლებში გზას მიიკვლევს – ტანჯვით, წვალებით...
შეხედე, თითქმის ყველგან ჩაქრა სხივი იმედის
და სული კივის ბევრჯერ ჟამით განაწამები! ...

ტყე კი გუგუნებს... ეხეთქება ქარი ულმობლად
და ეცემიან ხენი ველზე, როგორც მხედრები!
ამ ბოროტებას სივრცეს ვინღა გადაულობავს,
მხოლოდ ტყე ებრძვის ამ მოვარდნას, თავგამეტებით.

ვდგავარ სარკმელთან, მაგრამ აღარ მემყუდროება,
ეს ქარიშხალი ლამის არის სულზე მომებას!

**24.10.89.**
**ბანძა**

* * *

მე ამ კბოდეზე, ბავშვობიდან მიყვარდა დგომა,
წლები გაფრინდნენ, მაგრამ ღელვით მოვდივარ შენთან...
მძიმედ გადაღლილს, სატკივარი რამდენი მომაქვს,
იმ დღეთა ტრფობით, გული ისევ ძალუმად ფეთქავს!

მოდის საღამო, იისფერი ედება მინდვრებს
და შემოდგომის მოყვითალო შრიალებს ჩალა...
სიშორეებში ფიქრებს ისევ ფიქრებით მივსდევ
და გული დარდით დამუხტული ვერ მალავს ვარამს!

ჩემო აბაშავ! კვლავ იდინე ზვირთების მსხვრევით,
გულო იმღერე, როცა სევდა მოგეძალება...
საუკუნეებს გადუქროლე არწივის ფრთებით,
შორს, მოიტოვე სიბერე და ფერიცვალება!...

ვიცი, გაუძლებ, ჩემო ლექსო, ყველა დროებას,
რადგან, უმღერდი სიყვარულის უსაზღროებას...

**29. 10.89.**
**ბანძა**

* * *

**ცოტნე დადიანს**

საუკუნეთა სიღრმიდან, ვუცქერ თაობებს კაცურად,
დრო და მანძილი შენს სახელს, განა ოდესმე დაჩრდილავს?
შენმა თეთრონმა რამდენი დროის მღვრიე ზღვა გაცურა
და დააბიჯებს მიწაზე, შენი დიადი აჩრდილი!...

შენს სადიდებლად ყოველღამ ასი ვარსკვლავი ინთება,
მოდიხარ, როგორც ცისკარი, შუქის ფერადი მოსევით!.
მოდიხარ კაცი ლომგული, ლეგენდებად და მითებად
და ცის სიღრმიდან ღვთის ნებით გალობენ ანგელოზები! ...

მზე კვლავ ამოსვლას აპირებს ... ხმა გვათრობს იადონების
და ეფინება ცის ხავერდს ცისარტყელები რიალით! ...
მოდიხარ კაცი რაინდი, სავსე ჭკუით და გონებით,
რომ მოუშუშო ქვეყანას, დაწყლულებული იარა!

შენისთანების იმედით მამული ისევ მხნედ არის,
მოარღვევ საუკუნეებს, სწორუპოვარი მხედარი...

**14.04.90.**
**სოხუმი**

* * *

მინდა გულწრფელად გესაუბროთ, მნათობნო ცათა!
ღამეა და სულს სილამაზით საოცრად მითბობთ..
ო, როგორ მოდის სიშორიდან ამდენი სითბო?
ტკივილს და სევდას შეღამების ნიავქარს ვატან!..

ამ სტრიქონებში თქვენს მშვენებას, ვერაფრით ჩავტევ,
დასაბამიდან, მხოლოდ თქვენი სინაზის, ტყვე ვარ!..
მე ამ ჩქერებში, როგორ მიყვარს ღამეთა თევა
და ჩემი ჩანგით სიშორეში მეც მინდა ვჩანდე..

დავდივარ ზღვის პირს და იდუმალ ვაჟღერებ სიმებს,
ეგ ჩემი სული, სიყვარულით ფეთქავდეს მინდა!..
თქვენა ხართ ჩემთვის სამყაროში ყველაზე წმინდა,
გაძარცულს ჟამით, ო, მაგ თრთოლვით მიბრუნებთ იმედს..

როცა მივწვები სამუდამოდ მაღლობზე სადმე,
ვიცი, ცივ ლოდზე სიყვარულით ამინთებთ სანთელს!..

**20. 05.90.**
**სოხუმი**

* * *

შენ დასაბამით საიდუმლოს ინახავ რამდენს,
მაგრამ გამხელა არასოდეს არ გიყვარს მისი!..
ხან ბობოქრობ და იმოსები მგლისფერი ნისლით,
ხან ვარსკვლავების ათასობით ჩაიღვრი სანთელს..

ჩემი ფიქრები, შენს ლურჯ სივრცეს, რამდენჯერ ვანდე,
მოულოდნელი ამბოხება გჩვევია ხშირად!
ხან ჩუმად წევხარ, ვეშაპივით ძალუმად გშინავ,
ხან მზე და მთვარე აღტაცებით გაღვრიან ვარდებს!..

შენს სიშორეში მიცურავდა ჩემი ოცნება,
აფრა გაშლილი... და მის ქროლვას არ ჰქონდა ზღვარი!..
ალბათ, დავრჩები, შენს ხსოვნაში სიმღერით მგზავრის,
სიცოცხლე ჩემი შენს ნაპირებს, როცა მოსწყდება..

ჩემი ტკივილიც, სიხარულიც, რადგან აქ იშვა,
უშენოდ უკვე ჩემი ყოფნა, არაფერს ნიშნავს!

**18. 08.90.**

**სოხუმი**

* * *

ეს გრძელი ღამე ისევ მექცა შფოთვად, წამებად,
კვლავ შენზე ვფიქრობ და სიმშვიდე არ მეკარება...
როგორც ღრუბლები, ფიქრი ისევ ფიქრებს წაება,
ო, რა უეცრად ამიმღვრიეს სივრცე ქარებმა!.

აწყდება კლდეებს ქარიშხალი, მსხვრევით, ხმაურით,
ქვეყნად ამდენი ბოროტება, ეს ვინ მოდენა?!
და ყველა რისხვა თავს გვატყდება მოულოდნელად,
აიკლეს მხარე დემონებმა – აურზაურით!..

ო, რა ულმობლად გამიძარცვეს ბაღი ზღაპრული,
ამაოდ ვბორგავ, არაფერი მეიმედება!
ვეძახი ცისკარს, მაგრამ მაინც აღარ თენდება,
მხოლოდ მაწყდება სიშორიდან ხმა დაზაფრული!..

კვლავ ველოდები, მზეო, მე შენს ამობრძანებას,
რომ სივრცე აღარ დამიმსხვრიონ ღამის ზარებმა!

**29.09.90.**

**სოხუმი**

* * *

ისევ დაკეცა გაზაფხულმა აფრა ზღაპრული
და შეკრთა სივრცე ვარდფურცლობის შუქით ნათრობი,
ვერ იქნა, სული სიხარულით ვერ დავაპურე,
მიცქერს ირიბად შემოდგომის ციდან მნათობი!..

მოდის განგაშით სიშორიდან წყება ქარების,
რომ სილამაზეს და სინორჩეს ფერი უცვალოს.
მიდის დღეები, რეკავს ზარი ფერიცვალების
და ანგელოზებს თვალებიდან სცვივათ კურცხალი!..

მოეფინება, გზებს იდუმალს, კვნესა ლანდების
და შეჩერდება ცის ხავერდზე, მზერა ობოლი...
ლამაზი რწმენის რად ჩაუქრა ყველა კანდელი –
სულს აკივლებულს, მხოლოდ ჟამის დაუნდობლობით.

არ ვიცი, ასე რატომ გავხდი კაცი ჯვარცმული,
ვირხევი, ვით ხე, ერთობ, ფოთლებშემოძარცული,

**25. 11.90.**

**სოხუმი**

* * *

დედაო მიწავ, შენი ბედი მაშფოთებს ახლა,
შენს თავზე შავად ჩამოწოლილ ზვავებს რომ ვხედავ...
ადრე თუ ჩემში თამაშობდა ცისფერი ტალღა,
დღეს შლის და მარღვევს ტკივილამდე მისული სევდა!

მოვა, სიცოცხლეს ნაპრალებში ჩარეცხავს ქამი,
სიყვარულსა და სილამაზეს მოუღებს ბოლოს!
სივრცეში კიდევ, ერთი ლაქა გაჩნდება შავი
და შთანთქავს ხსოვნას საშინელი დუმილი მხოლოდ...

მერე გამჩენიც ვერ შეარხევს სიცოცხლის ვულკანს,
ზამბახს ვერასდროს გააღვიძებს აპრილის წვიმა.
გახდები მხოლოდ შემზარავი დუმილის ლუკმა
და დავიწყებას მიეცემა – რაც იყო წინათ!..

ადამის მოდგმავ, შენი თავის შენა ხარ მკვლელი!
ვერ გაახარე სულში ნაზი, ყვავილი ველის!

**14. 01. 91.**
**სოხუმი**

* * *

ო, ამ გულიდან სისხლისფერი ცრემლები წვეთავს,
როცა შენ გხედავ, მწუხარეს და უზომოდ დაღლილს!
კვლავ ტანჯვით სავსე სანუგეშოდ მოვდივარ შენთან,
ქამის გრიგალმა დამილეწა მაისის ბაღი...

დღეს არსაიდან, არსაიდან იმედი არ ჩანს,
მხოლოდ ზარები განგაშებენ სიონს და მცხეთას.
ვხედავ, არწივთა ასპარეზი ყვავ–ყორნებს დარჩა
და მივაცილებ უნიათო დღეების ცხედარს!..

მე უნაზესი მოგონება, შემომრჩა მხოლოდ,
გავცქერი ზღვაზე მიტოვებულ ანძების ცახცახს!
ვიცი ეს ტანჯვა, ჩემს არსებას მოუღებს ბოლოს,
თუკი ტკივილი, შემზარავი, სულში არ დაცხრა.

გაჩენის დღიდან ჭიდილი აქვთ კეთილს და ბოროტს,
ვინ გაიმარჯვებს? – კაცი მაინც იმედით ცხოვრობს!..

**08. 06. 91.**
**სოხუმი**

* * *

რაც შენს შესახებ ვიცით, ეს ხომ არცოდნას ნიშნავს,
ნაპირზე ვდგავარ დაღლილი და ვიღაცას ვუცდი...
მივდივარ, მკრთალი ნაკვალევი აჩნდება ქვიშას
და მასაც წაშლის, შემოდგომის ქარები სუსტი!

ისევ გავცქერი ვარსკვლავების გაფანტულ ლაშქარს,
მოდის და მოდის უთვალავი ტალღები ქშენით...
ბექობზე მდგარი ფლოქვებს სცემს და ჭიხვინებს ლაბშა
და სულს ამინთებს შორეული სიმღერა შენი!..

რაც შენს შესახებ ვიცით, ისიც არ არის მყარი,
ქარს მიაქვს საღლაც მოყვითალო ნაკადი ფოთლის...
ჭეშმარიტებად მიგვაჩნია სიცრუე მტკნარი
და სრულ სიმშვიდედ, – აწყვეტილი ტალღების ჩქამი!

მე შენს შესახებ გაოცებას სულაც ვერ ვმალავ,
კაცთა გონისთვის იდუმალო, მარად და მარად!

**17.07.91.**

**სოხუმი**

* * *

სულისკვეთება განწირულის! – სხვა რაღა დარჩა?
დანიის პრინცის შემართებას ის ახლა ითხოვს...
იმედის სხივი არსაიდან არა და არ ჩანს
და ყველა შუქი, ცის თავანზე გამქრალა თითქოს!

ამ დედამიწას – ბოროტების სავანედ ქცეულს,
დასაბამიდან, არასოდეს ჰქონია ბედი.
ამაოდ უცქერს, ის ღმერთკაცის სისხლიან სხეულს
და ყველა გზაზე – გარეწრები დაჰქრიან ეტლით...

ო, ამდენ ტანჯვას როგორ უნდა გაუძლოს კაცმა –
კეთილი სული ვერ ამაღლდა ბოროტსა ზედა!
დრო თავგანწირვას ითხოვს შენგან, მოზომილს მკაცრად
და არა სადმე გასაქცევად, დარახტულ ზერდაგს!

მოხვედი ქვეყნად და თუ კაცის სახელი გქვია,
ნუ შეგაშინებს, – იყოს ყველა ჭრილობა ღია!

**27.07.91.**
**სოხუმი**

* * *

შენს მოლოდინში, გული უკვე ველარ ისვენებს,
მოჩანს თეთრი მთა, იქით კიდევ მთები სვანეთის!
ეს სიხარულის ცრემლებია, თვალს რომ მისველებს,
ვდგავარ ბექობზე, ვიცქირები აღმოსავლეთით...

ცა მოხასხასე, ცისარტყელას ფერით ინთება,
ცვრიან ბალახზე კვლავ დავდივარ ნაიარევი.
შენს სიდიადეს, კოსმოსურო ძალავ, დიდება,
რომ სივრცეს ანთებ, საოცარი ფერიცვალებით!..

მე შენს წინაშე მუხლს მოვიყრი, ძალავ განგების –
მინდა ვუცქირო მზის ამოსვლას, ფერთა სიალით...
შენი გაჩენის საიდუმლოს ვერ მივაგენი,
ოღონდ მახარებს გაზაფხულის დილა მზიანი!..

იდინე დროო, მძლედ გაშალე შენი აფრები,
რაა სიცოცხლე? – მოძრაობა, სხვა არაფერი!..

**28. 05. 92.**
**ბანძა**

* * *

როცა ვერ უძლებს ასე უღვთოდ ხორცის წამებას,
სულმა ნაგვემი სამოსელი უნდა დატოვოს!..
რა შემზარავად განშორების რეკავს წამები,
რომ თავის ნაწილს მიწა ისევ დაეპატრონოს!..

დაუნდობელი ორთა ბრძოლის ახლა მოწმე ვარ,
გულისთქმა ჩემი მინდა მხოლოდ ლექსებს გავანდო..
ხშირად მიხდება სტრიქონების გადამოწმება,
რომ ჟამთან ფუჭად, ულიმღამოდ არ ვიკამათო!

საითკენ ილტვი, სულო, ზეცის თანაზიარო?
არ აჰყოლიხარ არასოდეს ჟამის დინებას!
შენ მარად ირმის ნახტომებზე უნდა იარო,
ცის უფსკრულებში, როცა მზეც კი ჩაიძირება...

ო, რადგან უკვე მიწიერი გზები დახურე, შორს,
ვარსკვლავეთში სამუდამოდ გაიზაფხულებ!

**20.09.92.**
**სოხუმი**

* * *

ეს საუკუნე გულზე მიშენს მოწამლულ ისრებს,
ოცნების კოშკებს დემონები თავზე მანგრევენ..
და ჩემი ქვეყნის ბედს ულმობელს დავსტირი ისე,
როგორც ტროელი ბერიკაცი ტროას ნანგრევებს.

მე გული დამაქვს დაფლეთილი ჟამის ლახვარით,
დავდივარ, ვბორგავ და ვერავინ მიქარვებს ნაღველს!
და დემონების შორით მესმის სტვენა – ხარხარი,
რომელიც ერთობ ჩემს არსებას ბოლომდე არღვევს!.

და ჩემი ჩანგი დღენიადაგ შფოთავს და კვნესის,
ვერ ურიგდება იგი ბედის მწარე განაჩენს!
იმღერე ჩანგო! თუმც შენი ხმა არავის ესმის,
რომ წარსულიდან იქნებ ცოტა რამე გადარჩეს!..

თუ ვერას ასმენ საუკუნეს გაჟღენთილს ბანგით,
ზედ შეალეწე მის ყრუ კედელს ეს შენი ჩანგიც!

**26. 10. 92.**
**ბანძა**

* * *

რამ დამავიწყოს ის დღეები – სავსე ღირსებით,
ჩემი სხეული ჩამავალ მზის სხივებს იწურავს...
გზაჯვარედინზე ვერ გავფანტე რუხი ნისლები
და შორს ოცნების, სათაყვანო გედი მიცურავს!

ზღვა კვლავ ბობოქრობს – ქარაშოტის ფრთებით ნაცემი
და ნაპირები გახდა ერთობ, უკაცრიელი...
ო, რა უგულოდ მიცქერს ციდან მზე ალმაცერი
და მეფანტება შუქი რწმენის, მუდამ ძლიერი!

დრომ გაიტაცა ის ნათელი, დავრჩი ეული
და ხმლის ნატეხით ვიბრძვი, როგორც გლადიატორი!
უკვე რღვევისკენ მიისწრაფის... ჩემი სხეული,
ათი ათასჯერ ბრძოლის ველზე ჟამით ნატორი!..

დრო მიდის ხაფით, მე კი ერთი რამე მაწუხებს,
კითხვებს თავხედურს – თავხედურად ვერ ვუპასუხე!

**22.11.92.**

**სოხუმი**

* * *

მე ისევ ვიწოვ ჩემი ქვეყნის ტკივილებს ხარბად –
დავდივარ ოხვრით და ვერავინ მიქარვებს, ნაღველს!..
ისე ვუმღერი სევდიანად მშობლიურ მთა-ბარს,
როგორც ჩიტები უგალობენ, გაძარცულ ბაღებს!

უდაბურ გზებზე ყვავ–ყორნების ჩხავილი მესმის
და ღრუბლებიდან ვერ გამოდის, მზე სააპრილო...
ამ გულს ღელვისგან ლამის ყველა ჩაუწყდეს, ფესვი
და ზვირთი ისევ ათასობით აწყდება ნაპირს!

მე ჩანგის სიმებს მოვდივარ და ძალუმად ვარხევ,
გულს იმედივით შორეული ედება ალი...
ნუ ჩამახედებ, მეგობარო, ცხოვრების სარკეს,
სად იკარგება ნაფეხური მზისა და მთვარის!..

შენ თუ არ მოხვალ და თუ აღარ მომეფერები,
მე ქარიშხალი გადამთელავს... ალბათ ველების!..

**10. 06.93.**

**სოხუმი**

* * *

ორ ვეშაპს გავსცდით და მესამე გადაგველობა,
ჩემი მამულის ზღვა და მიწა სისხლით აივსო.
რაც ჩაიდინეთ, სამარცხვინოდ ისიც გეყოფათ,
თქვენ, საუკუნის ჯალათებო, სამარადისოდ...

დიდი რუსთველის საქართველოს სისხლი ადინეთ,
და პლანეტაზე ქართველობის მოშლაც ინდომეთ...
სისხლიან ჩექმით ჩემი მხარე გადინადირეთ,
თქვენ, შეპყრობილნო, ბარბაროსთა ყველა სინდრომით!

ო, ამ მიწაზე, ვერ წაგვართმევთ ყოფნის უფლებას,
თუმცა, კი ცდილობთ, გაგვატანოთ ცეცხლს და ნიავქარს!..
იცოდეს ყველამ, ერთიანად დავიღუპებით,
მაგრამ შიშით კი... არასდროს არ დავხრით იალქანს!

არა მეფენი, ოდითგანვე დრონი მეფობენ,
ამიტომ ხმლები უქარქაშო დავიმეგობრეთ!

**22.11. 93.**

**სოხუმი**

* * *

მთელი სისწრაფით ისევ შენსკენ მოვექანები,
უომრად არ მსურს, რომ გავიდე ბრძოლის ველიდან!
რა შემზარავად მოარღვევენ, სივრცეს ქარები
და უბრძოლველად მისხლტებიან, წლები ხელიდან..

მესმის ყივილი არწივების, ჩემი მთებიდან
და შორს კივილით, მეძახიან მცხეთის ზარები..
თვალები ცრემლით ეჰ, რამდენჯერ გადამებინდა,
რომ მამულს სტკივა – ნაფეხური დინოზავრების!..

ო. არ მაჩვენოთ, დარდიანი თვალი დედების,
მივალ იქითკენ, მთვარის ლურჯი ნაფეხურებით...
რომ არ დამენგრეს სათაყვანო ჩემი ედემი,
მე ბრძოლის ველზე ყოფნა მიჯობს, შორით ყურებას!

შეხედე, ჟამის ყველგან მოჩანს, ნათავხედარი,
აპოკალიფსის ისევ მიქრის... ოთხი მხედარი!

**14. 10. 94.**

**თბილისი**

* * *

შეცრად შენში თუკი ყველა სანთელი ჩაქრა,
მაშინ ამ ქვეყნად შენი ყოფნა არაფრად არ ღირს!
იყავ ცოდვილი, შეერევი შლამსა და წარღვნას
და მიწის პირზე არ დარჩება უბრალო ლაქაც!

თუ კართაგენის ნანგრევებად გიქციეს მხარე
და ღირსეულად ვერ მიაგე პასუხი მტარვალს...
მაშინ, რად გინდა, გაიხადე სამეფო სტავრა,
და შეიმშრალე მაგ ნიანგის ცრემლები ცხარე!

თავდადებულის გაიხსენე სიტყვა და საქმე,
ნუღარ გახდები დოლარების უმწეო მონა.
შურისძიების ქარიშხალი რა ახლოს ფრთონავს
და რკინის ღობით შემოზღუდულ ბარიერს ანგრევს!..

ჩემი სამშობლო რად მიქციე ნაკუწ–ნაკუწად?!
შენ კაცი არა, კაცუნა ხარ მხოლოდ ლაქუცა!

**24.07.95.**

**მოსკოვი**

* * *

მკრთალი ბალახი ატირდება ორი საფლავის
და ფოთოლცვენის, მოყვითალო ჩუმი ლანდებით –
ეს შემოდგომა, ვიცი, ტანზე შემოგვაღნება
და მოვა შემდეგ, იანვარი, თოვლის ფაფარით!..

არც მე ვიქნები და არც შენი ვარდის ღიმილი,
დაიფარება საფლავები თეთრი ხავერდით...
მერე ცისკარიც აინთება აღმოსავლეთით
და მზე ამოვა ძოწისფერი, მძაფრი კივილით!..

სივრცე დარჩება გაბზარული მამლის ყივილით
და მთვარე თრთოლვით, გამოჰყვება იმ ძველ ხეივნებს...
ჩვენი ტრფიალის მოზიარე და მოსეირნე,
მოვა საფლავთან სავსე ცრემლით და სიმძიმილით!..

მაგრამ ბუნებას მაინც ვეღარ დავემდურებით,
რადგან მოგვართვა სიყვარულის თაიგულები...

**20.10.95.**

**თბილისი**

* * *

ვერ გავარღვიე ეს საზღვრები, არარაობის,
ერთი ლუკმა ვარ ამ მიწისთვის, – ისიც მცირედი!
ოღონდ, მოვედი, მეგობარო, შენი იმედით
და პლანეტაზე დამხვდა მხოლოდ... სისხლის ჭაობი!

საითაც მივალ, თან მომყვება ჩუმად მაცილი,
მამულის ტრფობას, წუთით მაინც ველარ ვივიწყებ!
ფრთებით დაჭრილით – მე ნიადაგ მზისკენ მივიწევ
და არ ვმორჩილებ კაცი კანონს გრავიტაციის!

შემოვიმტკიცე პოეზიის – სამეფო ვრცელი,
არ დამიზოგავს მსხვრევის შიშით, ფრთები საქარე!
არ ვიცი, ჟამი ულმობელი სად მიმაქანებს,
ან რატომ მიცქერს, ღრუბლებიდან მზე ალმაცერი?!

დავქროდი ზღვაზე და არ გავხდი მაინც მეკობრე,
მხოლოდ ლექსი და შენი გული დავიმეგობრე!

**12.07.96.**

**მოსკოვი**

* * *

მე ვხედავ ჩემს თავს, მეგობარო, ოცი წლის მერე,
ბუდეებს თვალთა მოსდებია მთვლემარე ხავსი.
ღიმილ–ქილიკით, ვიღაც უხეშს მახურავს ბერეტს,
ვაცქერდები და არაფერი მინახავს მსგავსი!

ვინ გამიტენა თავის ქალა, შმორიან მიწით
და ვინ დამიშრო, სიყვარულის ჩქრიალა წყარო?!
დაუფლებია ჩემს ბაგეებს – დუმილი ბილწი,
ძვლების გროვაზე მხოლოდ ლოთი სიკვდილი გალობს!..

ამ ბლანტ სიბნელეს ველარ აკრთობს ქარი და წვიმა,
არც მზე მაისის და არც თეთრი ფიფქების ჩქამი...
საით გამექცა ყოველივე, რაც იყო წინათ,
ვინ მომახვია შემზარავი დუმილი ღამის?!

მითხარ, ბუნებავ, რად მაქციე კაცი ჭაობად,
როცა ვიყავი შთაგონება და მოძრაობა?!

**14.09.96.**
**ბანძა**

* * *

დღევანდელი დღის, ულიმღამო ცხოვრებით ვცხოვრობთ,
ხვალ რა მოგველის, მეგობარო, არავინ იცის!
გული აწყდება მღვრიე ზვირთებს, ნიადაგ ფიცხი,
სად გაქრა ო, ის სილამაზე შუქით ცხოველით?!

ვიქეცით მონად, ისევ ჩვენი დაუდევრობით,
სად დამთავრდება ეს წამება, არავინ უწყის!
იცვალა ფერი ყოველივემ, რაც იყო უწინ,
დღეს კი აზიის ნაწილი ვართ, ხვალ კი ევროპის!

რა ვართ? – თოჯინა სათამაშო დემონის ხელში,
ამ პლანეტაზე ჩვენ ვართ ერი – სულით ობოლი!
ნუთუ ეს ხდება მხოლოდ ბედის დაუნდობლობით,
მიაყურადე, ტკივილისგან მამული ხვნეშის!..

ო, ამგვარ ყოფნას, მეგობარო, არყოფნა გვიჯობს,
ყოფნა ხომ ვნახეთ? – ახლა უკვე არყოფნა ვსინჯოთ!

**17.10.96.**

**თბილისი**

* * *

რა რჩება ჩემგან? – კითხვა დღესვე მოითხოვს პასუხს!
იქნებ ლექსები? – მაგრამ პასუხს არავინ მაძლევს...
დავდივარ ფიქრით დანაღმული, არ ვიცი რა მსურს
და ვზომავ სულით უსასრულო, დროსა და მანძილს!

რა რჩება ჩემგან, იქნებ ორი სტრიქონი მხოლოდ?
ვერ ვთქვი, რაც მსურდა, საყვარელო, გული კი მეწვის!..
მესაიდუმლედ მყავდა ცაში ვარსკვლავთა ქორო
და ცისქვეშეთში, საოცარი შრიალი ლერწმის!..

აქ სული ჩემი, შეუპოვრად ებრძოდა ავდარს
და ის შენს სულთან დაეძებდა იდუმალ კავშირს!
რა რჩება ჩემგან, შემზარავი ტკივილის გარდა?
მოვა ჟამი და როგორც ქვიშას... გამფანტავს ქარში..

ცაო და მიწავ, ვიცი, ბოლოს გამინაწილებთ,
რომ განელდება ჩემი ცეცხლი და სიყმაწვილე!

**19. 11. 96.**

**თბილისი**

* * *

რად დაივიწყე, ბედნიერი დღეების წყება,
რად განერიდე, განთიადზე ხოხბების ყივილს?
რა სატანჯველი მოგიტანეს, ისეთი წლებმა,
რომ გაექეცი, გაზაფხულის ვნებიან ღიმილს?!

ვარდისფერ კაბას, რად არჩიე ძაძები შავი,
ცრემლების გუბედ, რად აქციე თვალების ჭრილი.
რად შეიჩვიე. მონასტრული ზმანება ღამის
და უჩვეულოდ გარინდული – სანთლების ჩრდილი?!

ამური ისევ აყურადებს მაგ გულის ფეთქვას
და ირხევიან ფოთოლცვენის, ფერები ირგვლივ...
შენ სერაფიტის სილამაზე გიბოძა ღმერთმა
და რა უხეშად მას უკანვე მიუგდე იგი?!

ვინ დაგიწეწა უმოწყალოდ, შროშანი სულის,
რომ მაისის ქარს ამჯობინე, სიმშვიდე სრული?!

**04.11. 02.**

**მოსკოვი**

* * *

**ღმერთო სამშობლო მიცოცხლე!**
**მძინარიც ამას ვდუდუნებ...**
**ვაჟა–ფშაველა**

ო, შენ ხარ ჩემი სიყვარულის წმინდა სათავე,
ხან სევდიანი, ხანაც კიდევ ცისკრის ნათებით.
თუმც, დგახარ ფეხზე, მაგრამ წელში გაუმართავი,
ჩემო ქვეყანავ, შენ მსხვერპლი ხარ – შავბნელხლართების!..

დგახარ ეულად და გული გაქვს, ქამით ნატორი,
ვერ იქნა, დღემდე ვერ გაშალე, ფრთები არწივის!
შენ შემართება გქონდა მუდამ, გლადიატორის
და საუკუნის ტრაგედია გაინაწილე!..

შენ გითვალთვალებს, ავი სული – მოუსვენარი,
კვლავ სიშორიდან ყვავ–ყორნების ჩხავილი გესმის!
და გამოდიხარ ბნელეთიდან, ძალით ზენარის,
საიდან მოდის – ეს ამდენი უხამსი გესლი?!

თავისუფლების აფრა ბევრჯერ შემოგეფლითა,
სხვა რაღა დარჩა? – უნდა აღსდგე ისევ ფერფლიდან!..

**26. 04.03.**
**მოსკოვი**

* * *

შენ ხელმეორედ ამ მიწაზე ვერასდროს მოხვალ,
მოვა ჟამი და დაგადუმებს ლოდი სამარის...
უნდა იცოდე, მას არ შველის ცრემლი და ოხვრა,
იჩქარე, დროზე შემოხაზე შენი სამანი!..

ძარღვებში ერთობ შედედდება სისხლის მდინარე,
მითხარ, რა არის სამზეოზე ურღვევ–უხრწნელი?!
განშორებისას, სულო, რამდენ რამეს ინანებ,
დარჩება შენთვის, ბევრი რამე ამოუხსნელი...

გაჰყვები ქროლვით, ზეცისაკენ სივრცის ალმართებს,
რომ შეუერთდე, სამუდამოდ ღელვა – დინებას....
იქნებ, შორს, სადღაც მარადიულ სანთელს აღანთებ,
თუ ლაჟვარდების უფსკრულებში ჩაიძირები?!

გაეცი კითხვას, შენ პასუხი, მოურიდებლად,
შუქთა დინებას უზენაესს მარად დიდება!..

**22. 05. 03.**

**მოსკოვი**

* * *

დროის ტალღებზე კვლავ დრეიფობ, ჩემო პლანეტავ,
არავინ იცის, მომავალში თუ რა მოგელის...
კრთის და ცახცახებს შიშით შენი ყველა განედი,
ბობოქრობს ჟამის ულმობელი შავი მორევი!..

კომეტების და მეტეორთა, შენ ხარ სამიზნე,
მაგრამ, ხომ დღემდე გადაურჩი ყველა მოლოდინს?
დროო შეჩერდი, ზარებს მწუხრის ნუღარ არისხებ,
რომ არ აფეთქდეს ის შიგნიდან ხელით ბოროტის!

გათრობდეს დიდხანს, გაზაფხულის შუქი ცხოველი,
მე მხოლოდ შენი დღეგრძელობა, მინდა ვინატრო!
ნუთუ სიკვდილი მუხანათი შენში ბინადრობს,
და ებრძვის იგი შენს არსებას, დაუცხრომელი!

მე შენზე ფიქრი დღენიადაგ მექცა დილემად,
რომ ნამსხვრევებად აღარ გაჰყვე ჟამის დინების

**02.06. 03.**
**მოსკოვი**

* * *

**იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ**
**თვითვე არიან!**
**ნ. ბარათაშვილი**

მაგ ღვთაებრივი სილამაზე აღარ ვიწამეთ,
ჰა, ლამის არის სათაყვანო ჩაქრეს ნათელი!
ჩვენ ერთმანეთის წამება და ხოცვა ვისწავლეთ
და იცრემლება, ო, რა მწარედ ცა სანატრელი!

აპოკალიფსის, კვლავ მიქრიან სადღაც რაშები,
შუბლზე ამოჭრილ, შემზარავი შავი სვასტიკით...
საბედისწერო ატომურ ცეცხლს ვეთამაშებით,
რომ დავამთავროთ ეს ცხოვრება – წყევლით სასტიკით!

დავძრწით შენს მკერდზე, აღარ არის ჩვენი საშველი!
ტანზე პერანგი სისხლიანი ისევ გაცვია.
ხოლო ქვეყნები დამარღვულთა ხელით ნაშენი,
ამ დემონებმა ლამის არის ფერფლად აქციონ!

ყოფნა-არყოფნა?! – ვდგავართ უკვე ზღვართან მისული
და ამას იქით, მოჩანს სივრცე გადანისლული!..

**15. 06.03.**
**მოსკოვი**

* * *

**ყველაფერი ირღვევა და მდუმარებით**
**ხდება სავსე...**
**გარსია ლორკა**

სიკვდილი მუდამ სიცოცხლეზე იწყებს შეტევას,
ყოველ ნაბიჯზე უხვად თესავს – შხამს და სიავეს..
ხან ჩუმად მოდის, ხან ხმაურით სივრცეს ედება,
სანამ არსებულს ერთობ აღარ გაანიავებს!..

იქნებ ბუნება, ინარჩუნებს წონასწორობას
ამ ორთა ბრძოლით, დიადი და ყოვლისმომცველი...
არ ვიცი, რატომ ეგუება იგი მონობას,
ან რატომ დასცქერს, ასე ცივად, მოჭრილ-მოცელილს?!

ჩვენ ქაოსური მოძრაობის ვხდებით ნაწილი,
როცა ჩაგვიქრობს ჟამი სულის, ყველა ნათურას!
მერე არც მთიდან გავიგონებთ, ყივილს არწივის
და არც მშობლიურ იავნანას, სულო, ქართულად!

მე გთხოვ, ეს თასი ერთხელ კიდევ ღვინით ამივსე!
სანამ ბუნება რღვევა–დაშლით გამითავისებს!

**25. 06. 03.**
**მოსკოვი**

* * *

**არ გათეთრდების ყორანი,**
**რაც უნდა ხეხო ქვიშითა!**
**ხალხური**

შმადურება ისევ მძლავრობს, ახლა შენს ირგვლივ,
შენს დიდი გენიას ის ვერ ჩაკლავს, ვეღარ დაჩრდილავს!
პლანეტა შენმა შემართებამ გადაარჩინა,
ვდგავარ ამ ძეგლთან და რაც ხდება, სულაც არ მიკვირს!

გავერანებულს ვხედავ სოფელს კვლავ კიდით კიდე,
არა აქვს ზღვარი: მეძაობას, მკვლელობას, ძარცვას!.
აქ ბოროტება მეფობს ყველგან, სიმართლის ნაცვლად,
ჩამოაფარეთ სიმახინჯეს შავბნელი რიდე!

რწმენის, იმედის მის სარკმელში ვერ შედის სხივი,
რომ შემზარავი სიმახინჯე, არავინ ნახოს!
ისე გაიხრწნა მისი ნეშტი, ვერ მიხვალ ახლოს,
თუ იხსნის რამე, მხოლოდ შავი სამარე ცივი!

მისი ჩხავილის სივრცეს ისევ ედება ექო,
არ გათეთრდების ეს ყორანი, რაც უნდა ხეხო!

**30. 06.03.**
**მოსკოვი**

* * *

გადამაფარეთ ჩემი ზეცის, ხავერდი ლურჯი,
განსასვენებლად შემირჩიეთ, სადმე ზეგანი..
რომ გადავხედო ჩემს სამშობლოს უკიდეგანოს,
ამდენ წამებას და ქარიშხალს რომ გადაურჩა!

ეს მკერდი ბევრჯერ დამილეწა, ქამმა ისრებით,
ავანთე გული და ის დავწვი, დავღვარე ფერფლად...
მე ის მეყოფა დიდებად, რომ პოეტი მერქვას
და დამცქეროდეს ცა ქართული – სავსე ღირსებით!..

მე შენზე ლოცვით, მივყვებოდი ხეივანს მთვარის
და სამრეკლოდან რწმენის ზარებს, რეკავდა მნათე..
ვეტრფოდი მარად უპირველეს – სიშორის ნათელს
და ფოთოლცვენის ლანდებს გზაზე არხევდა ქარი..

თუ შენი ტრფობა ჩავაქსოვე ლექსში ინახად,
მაშინ მეც ჩემი რუბიკონი გადამილახავს!..

**03. 07.03.**

**მოსკოვი**

* * *

**ჭირსა შიგან გამაგრება, ისე უნდა,**
**ვით ქვითკირსა!**
**შოთა რუსთაველი**

გრავიტაციულ ველში ვდგავარ, ყველა სხეული
მიზიდავს მე და, მთელი ძალით მათაც ვიზიდავ...
მაგრამ მათ შორის, ეს მიწაა ჩემი რჩეული,
რადგან აქ ცხოვრობს, ამ მიწაზე, ჩემი იზიდა!

ფეთქავს ეს გული – ამ სამყაროს თეთრი კოცონი,
რომელიც ერთობ ინთება და ქრება თავისით!
ვერ ვიმორჩილებ უსაშველოდ, გრძნობას მოწოლილს
და, მერიქიფევ, მეც გთხოვ ცოტა ღვინო დამისხი!

მე კარგად მესმის, ამ მიწაზე რისთვის მოვედი,
თუმც ვერ დავხურე დემონების გზა უსახური!
მეც ვბორგავ ისე, როგორც ჩემი წინამორბედი,
ვაწყდები სივრცეს კაცი ძალით ჯერ არნახულით..

განვვლე ჩემი გზა და რა დამრჩა? – ერთი მტკაველი!
მაგრამ მამშვიდებს, ჭირსა შიგან, ხმა რუსთაველის!..

**10. 07.96**

**მოსკოვი**

* * *

შიტმენივით მარტოობას ვეჩვევი უკვე,
რადგან იმ ქვეყნად ვიცი, დიდხანს მომიწევს ყოფნა!
ცხოვრებამ, თუმცა ეჰ, რამდენჯერ მიტირა ყოფა,
რადგან ვერ ვიქეც დღემდე მისთვის გემრიელ ლუკმად!

განშორების წინ ვეფერები ყველაფერს ისე,
თითქოს ამ ქვეყნად, მხოლოდ მათი ტრფიალის ტყვე ვარ!
რა დამავიწყებს, საყვარელო, მაგ ტანის რხევას,
რომელიც ახლაც სიშორიდან ქრუანტელს მისევს!..

მოულოდნელი იყო ჩემთვის, ამქვეყნად მოსვლა,
წასვლაც, ასევე უჩვეულო იქნება ალბათ!
არ გაგიკვირდეთ, რომ ყველაფერს ვუცქერი ხარბად
და საუკუნოდ სიყვარულის სხივებით ვმოსავ!..

მივდივარ, მაგრამ თქვენთან ვრჩები, ხალასი გრძნობით,
რომ წრფელი ხსოვნა შემინახოთ, ლამაზი ყრმობის!..

**17.07.03.**

**მოსკოვი**

* * *

გახდები მშრალი, უნაყოფო, მიწავ მშობელო,
და ქარიშხლებით შემზარავით – ნარბევ–ნაცემი,
ვით ხე სამოთხის, საბოლოოდ განიძარცვები,
ყველა ავთვალი მოზღვავდება, დაუნდობელი!..

დაეკიდები მზეს გაძარცულს, სხივდაშრეტილი
და ფერფლად გაქცევს, მოვარვარე ზვირთი ლავების!
აქ დამთავრდება ყოველივე გავერანებით
და სიცოცხლეზე, დემონების მძაფრი შეტევით!

სერაფიმები ცრემლს დაღვრიან, ფიქრის გორაზე
და მაგ მშვენებას დრო უსახოდ გაატიალებს...
შორს, უფსკრულებში შთაინთქმები ორომტრიალით
შენ, დასაღუპად გატყორცნილი პარაბოლაზე...

დარჩება მხოლოდ ორბიტაზე მცირე უვალი, –
კოსმოგონიურ თეორიით გარდაუვალი!

**20. 07.03.**

**მოსკოვი**

* * *

რამ დაგაფიქრა, შენ ბუნებავ, ასე სასტიკად?
იქნებ ვერ უძლებ ღვართქაფებად, ტკივილს მოდენილს?!
ნუთუ ამგვარად შეგაშინა, ო, ამ სვასტიკამ
და “ბოროტების ყვავილებმა” ქვეყნად ბოდლერის!

ვერ ეგუები, ჟამის ასე გაუმაძღრობას,
ვერ იქნა, დღემდე ვერ დახურე გზა ბოროტების!
შენ ვერ შესძელი, დემონების სულის დაცხრომა
და ყოველივე, ვერ გავიგე, რით ბოლოვდება?!

ვხედავ, რომ ველარ გადურჩები გავერანებას,
ნუთუ ამაოდ, გავიარეთ გზები წამების?!
ამ პლანეტაზე უშენობა დამენანება,
და უაფრებოდ ხეტიალი ზღვაზე ნავების!

ამაოებავ, რადგან შენი ხვედრი ვყოფილვართ,
რასაც აქ ხედავ, – მიითვალე უკვე ყოფილად!

**23. 07. 03.**

**მოსკოვი**

* * *

შეხედე, როგორ დაემსგავსა მკვდარ ზღვას, ცხოვრება,
ნუთუ სიცოცხლემ საბოლოოდ დაკარგა, აზრი?!
შენი ხატება, მე მარადის მემახსოვრება,
რადგან ამ ქვეყნად სიყვარულის ბადაგი მასვი!..

ვერ შევეჩვიე მდუმარებას – დაფარულს შლამით,
შეხედე, ეს რა უდაბური გახდა ნაპირი!..
მიედინება ღრუბელივით დღეები შავი
და კვლავ აწყდება ზღვა ჯებირებს, ხმაურით, ხაფით!..

კაცობრიობას მხრებზე აზის – ეშმაკი ორი
და ეწევიან სულის აფრებს სხვადასხვა მხარეს!
ვიცი, რომ მალე დაიმსხვრევა, ეს ზეცა ბროლის,
ანგელოზები იტირებენ ზეცაში ცხარედ!.

შეხედე, მიწას ჭრილობისგან პირი უშრება
და ამ იარებს, ნუთუ იგი გადაურჩება?!

**26. 07. 03.**
**მოსკოვი**

* * *

ამ ქვეყანაზე რომ ცხოვრობდი, არც უნდა ითქვას,
თუ ვერ აუნთე, მამულს რწმენის ერთი სანთელიც!
როგორ არ მინდა, რომ დავხარჯო უბრალოდ რითმა,
შენ ხომ კაენის ბადიში ხარ, უსხივნათელო!

ლამის აგვირთდეს სული ტანჯვით, ულვთოდ ნარბევი,
დაკეცა ჟამმა უკვე აფრა - შენი დიდების...
აჰა, ინთება, ცათა შინა, სული აბელის
და ვხვდები მოწმე უკვე შენი გაბედითების!..

შენგან ჩადენილ დანაშაულს, აღრიცხავს ვერვინ,
შთამომავლობა მოგიგონებს, ათასჯერ წყევლით!..
შენი სახელი, ერთი მითხარ, რას ეტყვის მერმისს,
როცა სანთელიც არ ფარფატებს მამულში რწმენის!

მზე ვერ ამოდის, ილეწება გრიგალში ვერხვი...
შენ კი ნანგრევებს ეფარები – მესაჭე ქვეყნის!

**27.07.03.**

**მოსკოვი**

* * *

აწი ვერავინ დაგიბრუნებს იმ დიდ სიყვარულს,
ისე ლამაზად, აწი ვერვინ მოგეფერება!
მზე გაზაფხულის რა უეცრად გადაიხარა
და ვარდფურცლობის მოხასხასე ჩაქრა ფერები!..

ცრემლის წვეთები დაეკიდა მთელი სიმძიმით,
მაგ გრძელ წამწამებს – მოითენთა ერთობ სხეული.
დღემ აღტაცებით მინდორ–ველი გადიციმციმა
და ჩაქრა შუქი... ციდან ნაზად ჩამორხეული!

შენი ცხოვრება გახდა უკვე, მიუსაფარი
და მოგეძალა განშორების, მძაფრი ტკივილი!..
მინდორზე ნისლმა, შეარხია რუხი ფაფარი
და ბაგეებზე უნაზესი გაქრა ღიმილი!..

ვიცი, ღაწვები ბევრჯერ ცრემლით დაგეცვარება,
მაინც ამაყად ეგებები ფერიცვალებას!..

**13. 08. 03.**
**მოსკოვი**

* * *

არავინ იცის, ეს ცხოვრება თუ როგორ ბრუნავს
მღვრიე დღეებით, ან საითკენ მიექანება?!
ნახე, პლანეტა დაემსგავსა, მხეცების ბუნაგს
და ყველა ანძა, ილეწება ზღვაზე ქარებით!..

ასე ულმერთოდ განაწამებს, დასაბამიდან
უფრო და უფრო უღრმავდება ყველა ჭრილობა,
ვერ იქნა, ვეღარ შეიცვალა ქვეყნად ამინდი,
გული ვერ უძლებს, მწუხარების უნაპირობას!.

რას უცდი, სულო, შეელეწე გრიგალს მოვარდნილს,
როდესაც მძიმე განსაცდელში ბორგავს ხმელეთი...
რა ვუყოთ, თუნდაც დაილეწოს შენი ხომალდი,
ოღონდ, ცხოვრება არ დანებდეს – შურსა და ბნელეთს!

თუკი სიცოცხლე, სიძულვილით არის ნათრობი,
ამის მნახველი, რად არ ქრება ყველა მნათობი?!

**22. 08. 03.**

**მოსკოვი**

* * *

**სული და სხეული**

შორს, ცის სიღრმეში მიირხევა შუქი ულევი,
დრო მიქრის, ვით ქვა გატყორცნილი მძიმე შურდულით...
რომ ვთქვა სიმართლე, შენ უთუოდ დამემდურები,
წარმავალი ხარ, მუდამ ჟამით შემოზღუდული!

ვერ გამიგია, ერთ ჭურჭელში როგორ ვთავსდებით,
მე ფრთებდიადი, შენ სუსტი ტყვე ფერიცვალების?!
როცა არა გვაქვს ერთმანეთთან მცირე მსგავსებაც,
მე უკვდავი ვარ, შენ მთავრდები გარდაცვალებით!..

ხავსმოდებული გადიქცევი მიწად, ბალახად,
და შემდგომშიც კი, თავს არავინ იკლავს ხსენებით!
ალბათ, ეშმაკსაც შეაძრწუნებს შენი დანახვა,
როცა ბნელეთში სამუდამოდ ჩაესვენები!..

მე ცისკენ წავალ, ზეციური ძალის მიწვევით,
შენ მიწა იყავ და კვლავ მიწად გარდაიქცევი!..

**30. 09. 03.**

**მოსკოვი**

* * *

მას შეჩერებულს და მდუმარეს ვერასდროს ნახავ,
ჩვენ გვეჩვენება, თუ ნამდვილად მოძრაობს იგი?
რომ მიიჩქარის, ნეტავ რა აქვს იდუმალ ზრახვად?
დაუძლეველის რატომ იდგამს, მრისხანე გვირგვინს?!

შორეულ გზაზე, დემონური ნაბიჯით მიდის,
არაფრად აგდებს, ის აღმართულ, ჯებირთა წყებას!..
მიარღვევს სივრცეს და არავის არა აქვს რიდი,
მთელი სამყარო მის წინაშე - ბავშვივით კრთება!

მოდის საიდან? – ან მიიწევს საითკენ ნეტავ?
ხან გეფერება, ხანაც კიდევ უხეშ ფრთებს გახლის...
შეხედე სივრცეს, ეს რამდენი ვარსკვლავი ფეთქავს,
რომელიც შემდეგ მსხვერპლი ხდება ნგრევის და წარღვნის!.

ეს სისტემები ასე საით მიექანება? –
დრო მოძრაობს თუ ჩვენ ავყევით მხოლოდ ზმანებას?!

**12. 02.04.**
**მოსკოვი**

* * *

ცამ შეარხია მირიადი ზონარი წვიმის,
კვლავ ფეთქავს სივრცე უმოწყალოდ გადაგვალული!
მივაყურადებ ჩიტუნების ტკარცალს და წივილს,
რა უთვალავი სიმი არხევს, მთა–ბარს წკარუნით?!

გადამხმარ მინდვრებს მოუვლინა ზეცამ წყალობა,
დავდივარ ჩუმად და სიცოცხლის ქღურტულით ვთვრები...
არ დაანება ის სიკვდილის გარდუვალობას
და ლურჯ მიდამოს ისევ არხევს ნიავი ფრთებით!..

ლაჟვარდებიდან, ანგელოზთა გალობა მესმის,
სიცოცხლე ისევ ფრთაშესხმული, წამოდგა მკვდრეთით!..
მიწის სიღრმეში, უთვალავი, ხმაურობს ფესვი
და დედამიწას სიყვარულით გაუთბა მკერდი!..

ვის არ აოცებს შემოქმედის ო, ეს მეობა,
სიკვდილ–სიცოცხლის საოცარი მონაცვლეობა!

**25. 08.05.**

**თბილისი**

* * *

შენი ხმა სიმებს ისევ არხევს - ცისა და მიწის,
მღერი საოცრად, ღვთაებრივი ძალის უფლებით!
კამკამებს სულის ლაჟვარდები, სცენაზე იწვი
და მთელ პლანეტას სიყვარულზე ესაუბრები!..

ილვრება ფერთა ცისარტყელა – ზეცის საუნჯე
და იფანტება სივრცეებში ფერად ბროლივით...
ბაღის სიღრმეში, ბულბულები თითქოს დამუნჯდნენ,
ცაც გაიტრუნა ვარსკვლავებით მოოქროვილი!

მიწიერი ხარ, სულო, მითხარ, თუ ზეციერი?
მაგ ლურჯ თვალებში, ეს რამდენი შუქი ციმციმებს!..
ვინ მოგავლინა ქვეყანაზე, ღელვით ძლიერით,
რომ საუკუნოდ გაგვიფანტო - ჟამის სიცივე?!

ერწყმი სივრცეებს, ხმის ხავერდით... გაუხუნარით,
რომ აღტაცების დაუბრუნო მიწას უნარი!

**08. 09. 05.**

**თბილისი**

* * *

შენ ხომ სიცოცხლის სილამაზეს, ეტრფოდი მუდამ,
გჯეროდა მხოლოდ, სიყვარულის უსაზღვროების!..
გიყვარდა ქარში გაზაფხულზე რხევა რტოების
და ბაღებიდან მობერილი - ნიავის სუნთქვა..

არ შეიძლება არ ახსოვდეთ, ხეივნებს ფერადს,
სიცოცხლის რხევით ანთებული, შენი ხმის ეშხი...
შენ მოფართქალე წყაროს წყალი, მოგქონდა პეშვით
და ეს ჩინარი მოგონებით ო, ახლაც ღელავს!

ეჰ, რა მოკლე გზა გაიარე, მაგრამ შენს სახელს
დროის დინება, ჩემს ხსოვნაში, ვერასდროს წაშლის...
კიდევ კარგი, რომ ველარ ვხედავ მაგ სხეულს დაშლილს,
რომელსაც უკვე შემზარავი ქაოსი არღვევს!..

დავდივარ მარტო და სიცოცხლეს ვუცქერი იჭვით,
საით წახვედი ასე უცბად, ღიმილის ბიჭი?!

**14. 06.57.**

**სოხუმი**

* * *

ო, ეს მდინარე რა ულმობლად მიიგრაგნება
და მის ტალღებზე ველარ ვხედავ შუქის ნაკვალევს!
ასე ინება ყოველივე, იქნებ, განგებამ,
რომ ვერ გავშალო მის სივრცეში, აფრა საქარე!

წკვარამ ღამეში მე ამ ზვირთებს ბევრი ვეომე
და შორს მოჩანდა, გუმბათები... ოქროცურვილი.
ხელში მეჭირა იდუმალი ქნარი ეოლეს,
მაგრამ სურვილი ჩემი, ისევ დარჩა სურვილად!

ჩემს რწმენის აფრას, ზამთრის მღვრიე ქარი წეწავდა,
ვერ ავიტანე, საყვარელო, სულით ობლობა!
თუმც გადალახვა, ამ მდინარის, ბევრჯერ მეწადა,
ველარ ვაჯობე - ბედისწერის დაუნდობლობას!

მე წინაპრების შემართება ჭაბუკს გამომყვა,
მაინც ვერ შევძელ, რაც მინდოდა, - დავრჩი გამოღმა!

**22. 12. 62.**
**ბანძა**

* * *

დავემშვიდობე, გაზაფხულის დღეებს - სანუკვარს
და განშორების ულმობელი ცეცხლი მედება..
წავიდა ის დრო! – ხელმეორედ ველარ დაუკრავს.
საით გაფრინდნენ ჩემი ყრმობის თეთრი გედები?!

რეკავს საათი და ისრები ისვრის ნაპერწკლებს,
როგორც ეს გული მწარე ტკივილს, მძიმედ დაჭრილი!..
არ ვიცი, ახლა ამ მინდორზე თუ რას დავეძებ,
მიახლოვდება, მეგობარო, შენი აჩრდილი!..

ველარ გავრანდე ეს ცხოვრება, გაურანდავი,
რა უსაშველო, ვებერთელა ფრთები მეცემა...
დროს მიაქვს უხვად ჩემი ოხვრა, როგორც ნადავლი,
აჰა, საცაა, ჩემი აფრაც დაიკეცება!..

შემომეფანტა გზაზე რწმენის ყველა ნათელი,
მივათრევ ტკივილს - მოქანცული, ღამენათევი!

**08. 09. 63.**
**სოხუმი**

* * *

ჩვენი ბავშობის სილამაზე საითკენ მიდის?
ამ წუთისოფლის ავანჩავანს ვერვინ გაიგებს!
ნაპირს ვშორდებით, ვგრძნობთ სიმძიმეს ავიამზიდის,
ქამი კი ისევ გვათამაშებს, როგორც პაიკებს!..

მოვარდნილ დელგმას, მეგობარო, თავს ვერ ვარიდებთ
და დემონების უჩვეულო ვხდებით სამიზნე...
გასცდები სცილარდს, ვერ წაუხვალ პირქუშ ქარიბდას
და ზღვა გუგუნით გამოგრიყავს, სადმე ნაპირზე!

დასაბამიდან ჩვენი გზები მიდიან შორეთს,
მაგრამ ამ ქვეყნის ლაბირინთებს ძნელად გასცდები!
ო, ეს საწუთრო, მეგობარო, ჰგავს მღვრიე მორევს,
და მას ვერასდროს ვერ გაარღვევ - შფოთვით, განცდებით!

თუ გესევიან ყვავ–ყორნები - დაჭრილს ბოლომდე,
რომც იყო ვეფხვი, ქამი მაინც გაგაბოროტებს!

**20. 05. 64.**

**სოხუმი**

* * *

მომწვანო ბილიკს, ზღვისკენ მარტო გავყევი ღამით,
ვერცხლისფერ შუქზე, თვლემდა ჩუმად, მიდამო ვრცელი.
მოჰქონდა ნიავს, საოცარი სურნელი - ველის
და ნიამორთა მუდამ ფრთხილი, ფარული ჩქამი!

ფერდობზე წყარო ჩამორბოდა ხავერდით მთვარის
და ილვრებოდა რბილი შუქი საამო რხევით. . .
ზღვას კი ემოსა გამჭირვალე სამოსი თხელი
და ვარსკვლავების ფერთა კრთომით ვიყავი მთვრალი!..

ერწყმოდა სული, ლაჟვარდების იდუმალ ფრთოლვას
და მიცურავდა ცის თავანზე, მთვარე ეული.
მოჰქონდა ნიავს სიშორიდან ხმა უჩვეულო
და ზღვა არხევდა ნავსადგურში - თოვლისფერ ხომალდს.

ხსოვნას იმ ღამის დავიწყება არ ეკარება,
თუნდაც კივილით გადიქროლონ, სივრცე ქარებმა!

**12. 06. 64.**

**სოხუმი**

* * *

სად შეწყვეტს ღელვას, ო, ეს გული, არავინ იცის,
შორს გავსცდი უკვე ჭაბუკობის ცისფერ ნაპირებს...
შენ სულთან იყავ, დასაბამით - შეკრული ფიცით,
ბრძოლის ველიდან ნუთუ ადრე გასვლას აპირებ?!

იქნებ, ვერ შეძელ, მეგობარო, ძალის მოკრება
და შეუშინდი, სიშორიდან... გავარდნას მეხის?!
ვერ გაუძელი, იქნებ ჟამის აბობოქრებას,
როცა ერთბაშად მიეხეთქე, ცხოვრების გრეხილს!

ვიცი, კივილით შეძრავს სული - ცასა და მიწას,
ბრძოლის ველიდან, თუკი შენი გაქცევა ნახა.
ფიცხელ ბრძოლაში სისხლდაცლილი, რომ ვეღარ მიწექ,
ო, ის ვერასდროს გაიკარებს, შენს ხსოვნას ახლოს!

რადგანაც ფიცი დასამაბით, შეჰკარი მტკიცედ,
ბოლომდე უნდა შეუტიო - დროსა და სივრცეს!..

**14. 09 .64.**
**სოხუმი**

* * *

ვზივარ ნანგრევზე, ზღვა ბობოქრობს - ლურჯი და ვრცელი
და დროის ლანდი წარმავალი... გავცქერ დინებას.
ვერ მოვიშორე სატკივარი და სევდა ძველი,
რას იზამ, როცა ეს ბუნებამ ასე ინება?!

შენ მოხვალ ჩემთან - ისევ ცისფერ ყვავილს მომიტან,
მზე ცის თავანზე, შემოხაზავს, შუქთა ფანტომებს...
შენთან შეხვედრა, საყვარელო, ისევ მომინდა
და ისიც ვიცი, რომ ბოლომდე ვერ მიმატოვებ!

გარდასულ დროის სევდიანი მესმის სიმღერა,
რბიან დღეები და გული გრძნობს რბევას, წამებას!..
შეხედე, ზღვაზე ეს რამდენი ზვირთი მიღელავს,
მიახლოვდება, ლურჯი ფრთებით შემოღამება.

დგას ჩემს გარშემო, ფოთოლცვენის ფერთა შრიალი
და მიმსუბუქებს ამ სიმძიმეს - შენი ტრფიალი...

**14. 08. 65.**
**სოხუმი**

* * *

ამდენი თოვლი, მეგობარო, ჯერ არ მინახავს,
ილვრება ფიფქთა სიქათქათე, სივრცე ირწევა..
მე შენს სიყვარულს, ჩემო მერი, გულში ვინახავ,
სანამ დუმილად და ქაოსად გარდავიქცევი...

ო, რა ძლიერად მომენატრა - დრო ვარდფურცლობის
და ბილიკებზე ხეტიალი უმისამართოდ...
ჩვენ მივდიოდით სიშორეში, გზებით უცნობით,
შენი თვალების სილაჟვარდემ ისე დამათრო!

იმ დღეთა შუქი, როგორც ფიფქი, კვლავ მეფინება,
ვიხსენებ იმ დროს, ჭაბუკივით მემღვრევა სისხლი...
დარეკავს ზარი, მოვა ჟამის ურჩი დინება
და სადმე კლდეებს, უშველებელს, მიმახლის რისხვით!

თუნდაც რომ შევძლოთ, საყვარელო, მოსვლა მეორედ,
იმ აღტაცებას დრო ვერასდროს გაიმეორებს!

**12. 01. 67.**
**სოხუმი**

* * *

ასე ულმობლად ვინ დანაღმა ცხოვრების ველი?
სად აფეთქდები უცაბედად – არავინ იცის!
იკივლებს ქარი, შეწყვეტს ქროლვას ნიავი ნელი,
ნუთუ ამაოდ ვეტრფით ცაზე, ვარსკვლავთა ციმციმს.

სავსეა სივრცე, დასაბამით ხვრელებით შავით,
ყველა ჩვენი გზა, მეგობარო, იქითკენ მიდის..
ცას ათასობით ვარსკვლავების მოსწყდება ზვავი
და ჩვენს ნაკვალევს დავიწყების დაფარავს ბინდი..

ორი პოლუსი უმზერს ერთურთს თვალებით ცივით,
თუ ვინ ვის დასძლევს საბოლოოდ, არავინ უწყის!
და ჩვენი ლამაზი სიყვარულის ჩაქრება სხივი,
დღეებს დღეები აღარ შეცვლის – კენტი და ლუწი!

ყოვლის დამხობი მოვარდება ზღვიდან გრიგალი
და პლანეტაზე არ დარჩება ნაბილიკარიც!

**24.09.67.**
**ბანძა**

* * *

ჩემს წინ ქარი ისევ არხევს - ალვებს ტანადს,
როგორც მაშინ, კვლავ მიღელავს გული ცხელი!
სივრცეს თოვლი რა უეცრად მოეძალა,
მოდი ჩემთან, დავიღალოთ ფიფქთა ცქერით!..

წლებს გარდასულს, ისევ ღელვით აველევნოთ,
შენთან ქროლვით, მერი, ცხრა მთას გადავივლი..
ფეხშიშველა გადავსერავთ ცისფერ მდელოს
და მაისის მივადგებით ფერთა ლივლივს!..

ო, ეს გული შენი ტრფობით მუდამ ღელავს
და იმ დღეთა მოგონებით სული იწვის...
ტოტზე ისევ შეირხევა საქანელა
და ვარსკვლავი სიყვარულის იწყებს ციმციმს!..

როცა შენი მომინდება, სულო, ნახვა,
მთებს და მინდვრებს ოცნებებით გადავლახავ..

**14. 01. 70.**
**სოხუმი**

* * *

ვერ ამოწურავს სათქმელს ჩემსას ჯერი ლექსების,
უფრო ღრმა არის, ო, ეს ჩემი გრძნობის მორევი!
როცა შენთან ვარ, საყვარელო, ფრთები მესხმება,
იდუმალ ნათელს სიყვარულის შენგან მოველი...

გახსოვს, ზღვის პირას, რომ ფრთებს შლიდა ჩვენი ოცნება,
და მზეს მაისის, რომ მოჰქონდა სუნთქვა ნიავის?!
ო, იმ სინაზით, ნუთუ კვლავ ვერ შევიმოსებით
და იმ დღეების, კვლავ ვერასდროს, ვიგრძნობთ სიამეს?!

ჩაბარდა წარსულს ალტაცებით ფრენა ტოლებთან
და ცრემლიანი მივსდევთ ახლა მთვარის ბილიკებს...
რა იქნა, სულო, ის დღეები, რომ გვათრთოლებდა,
მოვა ჟამი და რა ულმობლად გაგვაქილიკებს!

ირგვლივ ყოველი რა უეცრად შეკრთა, გახუნდა,
ყოველ ნაბიჯზე, ჟამი ისევ გვიგებს სახუნდარს!

**17. 11. 70.**
**სოხუმი**

* * *

ტყე იხდის ტანზე, შემოდგომის მთვარისფერ ფარჩას,
ხმაურობს სივრცე - უბოლოო ტკივილით სავსე.
ჩვენი ლამაზი ნაფეხური თუ აღარ დარჩა,
მაშინ, ამაოდ გვიცხოვრია ამ ქვეყანაზე!

თუ ვერ შევძელით, გავარღვიოთ სამანი მღვრიე
და ბოროტ თვალებს კეთილისგან თუ ველარ ვარჩევთ.
დაილუქება სადმე ჩვენი სამარე ძლიერ
და დავიწყებას მამალმერთიც ვერ გადაგვარჩენს!

ო, ჩემო მერი! სივრცე თუ ვერ გავიცისკროვნეთ,
თუ ვერ აგვინთებს ტრფობით გულებს მზე ალმავალი!
მითხარი მაშინ, რაა ნეტავ სულის სიცხოვლე
და სამზეოზე ჩვენი ყოფნის აზრი მთავარი?!

თუ ვერ გაიჭერ მთელი ძალით ჟამის ბილიკზე,
ო, ჩვენი ტრფობის ატირდება მაშინ პირიმზე!

**24. 10. 71.**
**სოხუმი**

* * *

ჩვენს შორის უკვე ჩაქრა თითქმის ყველა სანთელი
და სიყვარულის ყველა სხივი ტკივილით დაწყდა...
რა ვუყო ამ გულს გაძარცულს და ქამით გათელილს,
ო, ასე მწარედ, მეგობარო, ღმერთი რად გაწყრა?!

რად შეწყდა რტოზე ჩიტუნების გალობა ტკბილი,
ან მინდვრის ყვავილს, რად სდის ასე ცრემლები ცხარე?
დაღლილი გული დაუნდობელს ვერ უძლებს ტკივილს,
თუმცა სივრცეში კვლავ თამაშობს ფერები მწვანე..

ვერ იქნა, დღემდე ვერ დავძლიე, სიმუხთლე ბედის,
ვერ იტანს სული, უბოლოო ცხოვრების რიალს!
ო, ჩემი ტრფობის სიშორეში გაცურდა გედი
და დააქვს ახლა მინდვრად ჩემი ცრემლები ნიავს!..

აჰა, საცაა, შემოდგომა მოდგება კიდეც,
ჩემი ცა ლურჯი, გაზაფხულის მოიხსნის რიდეს!

**12. 08. 74.**

**სოხუმი**

* * *

შენს ფანჯარასთან ვიდექ ჩანგით, კაცი ეული
და ჩემს არსებას უებარი ცეცხლი მოება!..
შენ ერთადერთი, იყავ ჩემი გულის რჩეული
და ვუმღეროდი მაგ სინაზეს და სათნოებას!..

ამოდიოდა მთვარე თრთოლვით და ვარსკვლავები
უსმენდნენ კრძალვით, ჩემი სულის იდუმალ რხევას...
ბავშვური გულით შენი ტრფობის ქსელში გავები
და, საყვარელო, ახლაც შენი ღიმილის ტყვე ვარ!..

მე გამძაფრებით ვაწვებოდი სიმებს ელვარეს
და მოიწევდა შენკენ გული დაუცხრომელი...
ვიდექ სარკმელთან, როგორც ბარდი ღამისმთევარი,
სანამ ბროლის კოშკს აგივსებდა შუქი ცხოველი!

გაფრინდა ის დრო!.. ამიტირა ჩანგის სიმები
და მხოლოდ ხსოვნას შერჩა შუქი მონასხივები..

**24.08.79.**

**სოხუმი**

* * *

შერჩება მერმისს, სტრიქონები სავსე განგაშით,
რადგან ცხოვრება შენთვის გახდა აუტანელი!
სიმძაფრე სულის ვერ იქნა და ვერ შეანელა,
გადაივიწყა შენმა ხმალმა უკვე ქარქაში!

ვერ შეურიგდი, დემონების ირიბულ მზერას
და თავგანწირვით ქამის ბევრჯერ, ეკვეთე კედელს.
შენ გაიმარჯვებ, ოღონდ რწმენა არ დაგიბერდეს,
რადგანაც ენდე, მეგობარო, ოცნებას ფერადს.

დასამხობელი დაემხობა და ცის თავანზე,
ასი ათასი აინთება ვარსკვლავი რწმენის!..
სივრცეს ვარდები კვლავ აანთებს ღიმილით წრფელით
და გაზაფხული კვლავ სიყვარულს შემოგთავაზებს!..

წლები კი არა, საუკუნე მიდის, ბერდება
შენ დგახარ მარტო და მომავლის გეიმედება!

**25.08.79.**

**ბანძა**

* * *

ვეფერებოდი მე შენი თმის ლამაზ კულულებს,
როგორც ტირიფებს ეფერება ღამის ნიავი...
ცა იყო მთვარის ნაზი შუქით გადაბურული
და იდგა ზღვაზე ვარსკვლავების ლურჯი შრიალი.

ჩვენში რამდენი ირხეოდა, ქამის სინათლე
და ირგვლივ იდგა, იდუმალი თრთოლვა ყვავილთა!
მე ის შეხვედრა, საყვარელო, ბევრჯერ ვინატრე,
თუმც ის დღეები, ჩვენგან უკვე რა შორს წავიდა?!

მერი, ძვირფასო! გავცდით უკვე იმ ძველ სანახებს,
მაგრამ, იმ დღეთა მოგონება, მეხალისება!..
ო, მაგ ბაგეთა თრთოლვა ერთხელ კიდევ მანახა
და იმ თვალების სილაჟვარდე სავსე ღირსებით!

საით წავიდა ის სინაზე და სიანკარე?
დრო მიქრის, მაგრამ ფრთებს უხეშად ვერ მიაკარებს!

**22.10.79.**

**სოხუმი**

* * *

**გარჩენილი ვარ ქვებზე კალმახი**
**და ახეული მაქვს ლაყუჩები. . .**
**ტიციან ტაბიძე**

ვინ შეაჩერებს უთავბოლო ზვირთების რიალს,
ან ვინ გამოლევს ქვეყანაზე, სინდისგარეცხილს?
შენს გულს რაინდულს, ჰქონდა ყველა ჭრილობა ღია,
როცა ხედავდი, მამულის ფრთებს, უღვთოდ დალეწილს!

ბრუნავდა შენში პოეზიის შმაგი მორევი,
სულით ხორცამდე ლექსს მიეცი, რაც კი გებადა!
მამულს ღრუბელი შემოადგა ავი ზმორებით
და შენ ეკვეთე სიტყვის ძალით რომ გაგეფანტა!

არ გწამდა კაცი, ჟამის შიშით განაყუჩები,
შენი სახელი, განწირულთა წიგნში ეწერა...
სისხლმა ერთბაშად ითქრიალა ლაყუჩებიდან
და გადმოხეთქა მაგ გულიდან - ლექსის მეწყერმა!..

შენი ტანიდან ჯალათებმა სისხლი აწვიმეს!..
სული ლექსებმა აქ მიწაზე გაინაწილეს!..

**25. 06.80.**
**სოხუმი**

* * *

**პაოლო იაშვილს**

დგება ჟამი და შემართებას რაინდულს ითხოვს,
როცა ბარბაცებს საუკუნის - "მთვრალი ხომალდი!"
მაგ გულის ცეცხლით, სულ უბრალოდ, ადნობდი ლითონს
და შეეხეთქე თავგანწირვით - გრიგალს, მოვარდნილს!..

წამოიმართა მრისხანებით, დემონი შავი,
გახელებულმა ვერ მიაგენ, შხამის სათავეს!
ვერ გაუძელი, ყელგამოჭრილ მამულის ბღავილს,
შემოიგლიჯე ტანზე ჟამის ყველა სადავე.

და ტყვიას შუბლი შეაგებე, ფაფარაშლილმა,
შენ არ იცოდი, თუ რა იყო სულის დაცხრომა!
იფოფრებოდა შემზარავი შავი აჩრდილი,
მაგრამ ვერ შესძლო, რომ დაემხო შენი კაცობა!

დღეს ვეფერებით შენს ლამაზ სულს - მსხვერპლად მიტანილს,
კაცობის გზაზე შემართული დგახარ ტიტანი!..

**19.09. 80.**
**სოხუმი**

* * *

შერიცვალების აიწყვიტეს უკვე ქარებმა,
გადააყვითლეს უცაბედად, ირგვლივ ყოველი!..
წავიდა ის დრო და არაფერს აღარ მოელი,
იცრემლებიან გულსაკლავად, შენი თვალები..

შეხედე, მინდვრად გაზაფხულის ჭკნება ყვავილი
და მიაქვთ ქარებს, უგზო–უკვლოდ წყება ფოთლების
შენ დგახარ ჟამით, უცნაურად შენაშფოთები
და გამღვრევს ირმის, სევდიანი შორი ბღავილი...

ცა გაძარცული მერცხლებისგან სევდას გაწვიმებს,
ზღვაც იშმუშნება, უცნაურად ნაჭრილობევი...
კარუსელივით ფერს იცვლის და ბრუნავს სოფელი,
რომ სამზეოზე არსებობა გაიხანგრძლივოს!

შენ მიხვალ, სულო, წუთისოფლის გზებზე მარები
და მიგაქვს გული, უსაშველოდ ნაიარევი!..

**16. 09.83.**

**სოხუმი**

* * *

ჩემი ცხოვრების შემოდგომა დამთავრდა უკვე
და ზამთრის ბილიკს სევდიანი მივყვები ალმა...
წუხელ, რა მწარედ შემომტირა ბავშვობის ბაღმა,
რომელიც ადრე მიცქეროდა თვალებით ნუკრის!..

ო, ჩემს წინ უკვე, ზამთრის ღამე წვება ხმაურით
და სულის აფრა დამიწეწეს - ულვთოდ ქარებმა!..
არ ვიცი ახლა, თუ საითკენ მიმეჩქარება
და ზვირთი ჯებირს კვლავ აწყდება აურზაურით!..

შეღამების გზას ვერ მინათებს, მთვარის სხეული,
ო, იმ დღეების საუკუნოდ ჩაქრა ნათება!
საით გამექცა სათაყვანო შენი ხატება?
შეხედე, ქამმა, რა უეცრად დამასნეულა!

ვინ ამოაშრობს ჩემს ბილიკზე, ცრემლებს, დაღენილს,
რა ვუყო ამ გულს, წუთისოფლის სევდით დატენილს?!

**29.11.87.**

**სოხუმი**

* * *

ქვლავ შეღამების ბილიკს გავცქერ ფოთლებდაფენილს,
მზე ჩამავალი იზმორება სველი თვალებით!..
ვინ დააბრუნებს, სიშორეში დღეებს გაფრენილს
და ხეივანი მოჩანს ზღვასთან ნაფერმკრთალები!..

მიდის მდინარე, გადაღლილი - ქამთან დუდუნით
და ნაპრალებში რუხი ფერის, წვება ნისლები...
ჩაკეტავს მალე, ყინვა მკაცრი, სივრცეს ურდულით
და წყლის სარკეზე, ცვივა სხივთა, მყიფე ისრები!..

ქარი მრისხანე დაუბერავს სივრცეს მთვლემარეს,
გაქღენთილია არემარე, ზამთრის ზმანებით!.
სული ბობოქრობს, ქვეყანაზე დაუტევარი,
ამხედრებული ნაფეხურზე დინოზავრების!..

მოაქვს მთის ქარებს, კვლავ ღრუბლები - თოვლით ორსული,
ვდგავარ ზღვის პირას მძიმე სევდით გარემოცული!..

**29. 11. 90.**
**სოხუმი**

* * *

შევედი ბაღში, შუქი თოვდა მოლურჯო მთვარის
და მე, მარტოსულს, ხეტიალი მომინდა დიდხანს!
ბუნებამ ჩუმად საიდუმლო რამდენი მითხრა
და იყო სივრცე, გაზაფხულის სურნელით მთვრალი!..

ამ ხეივანში დავდიოდით მე და შენ, მარი!
მახსოვს, მაშინაც მთვარე ასე ლამაზად თოვდა...
გულები ჩვენი უჩვეულო სინაზით თრთოდა
და ტირიფებთან ფარფატებდა - აპრილის ქარი...

ის სილამაზე საით გაჰყვა დინებას ჟამის
და სუნთქვა წყლიდან ამოყვანილ თევზივით მიჭირს!
ანკარა წყალში სილუეტი ირხევა ფიჭვის
და მოგონების სივრცეს ფარავს დუმილი ღამის!.

ვტოვებ ზღვის ნაპირს და გავდივარ უჩუმრად გზაზე,
ზამთრის ჩიტივით კვნესის გული! – ნეტავი რაზე?!

**24.04.91.**

**სოხუმი**

* * *

არ ვიცი ახლა, ვის მოვუხმო, ვის ვესაუბრო?
უგუნურებამ, ნახე, ყველგან ხელი დარია!..
ო, ეს ქვეყანა დემონების გახდა საუფლო,
როგორ მომრავლდა ქვეყანაზე ბაკქანალია!..

გაუთავებელ დავას ჟამთან სული ვერ იტანს,
ისევ რა ურჩად იზმორება შავი აჩრდილი!..
მე სისხლის ნთხევით გამოვედი ბრძოლის ველიდან
და მკერდზე კიდევ შემზარავად ბოძალგაჩრილი!

ჟამის გრიგალმა ულმობელმა აღარ დამინდო,
შემოუტია ბევრჯერ ჩემი ციხის გალავანს...
მაგრამ შემომრჩა დაუმცხრალი სული რაინდის,
ვდგავარ, ყიჟინით მივაცილებ დღეთა ქარავანს!..

დრო მიდის!.. მე კი არაფერი მეიმედება,
ნუთუ ტკივილი უჩვეულო აღარ ბერდება?!

**22. 10. 91.**

**სოხუმი**

* * *

მახსოვს, დავქროდით ჩვენ ორივე, ზღვაზე, გლისერით,
თითქოს, ძვირფასო, ლაჟვარდების ვგავდით ბინადარს...
ცა თოლიებით ეჰ, რამდენჯერ გადაისერა
და შემდეგ, საღლაც სიშორეში გაუჩინარდა!..

სად გაქრა ნეტავ, ის ღიმილი შეუდარები
და აღტაცება ვარდფურცლობის - შუქით ნაფერი?!
თვალს მიეფარა ყოველივე, როგორც ზმანება,
და ის დღეები მახსენდება, – სხვა არაფერი!

ცა შემოდგომის გაფერმკრთალდა, შეწყდა ჟღურტული,
აჰა, საცაა, ბილიკებზე თოვლიც მიწვება...
ნუთუ ყოველი ჟამით არის შემოზღუდული
და ის თვალებიც ვერ აიცდენს გადავიწყებას?!

მოვდივარ ზღვასთან, განშორების ზღვართან მისული,
და ღელავს სივრცე შემოდგომის გადანისლული.

**26. 11. 91.**
**სოხუმი**

* * *

შენს ყვავილნარში ახლა უკვე არავინ მოდის,
დადუმდა, დაო, ვარდფურცლობის სიმი წკრიალა!
იქნებ აყვავდეს ხელმეორედ, მაგრამ ეს როდის?
და მოგონებამ თვალი ბევრჯერ ამიწყლიანა..

იქვე წყაროსთან კვლავ ირხევა ალუბლის ტოტი,
რომელიც შენზე უჩვეულო ხსოვნას ინახავს!..
ამ ყვავილნარში ახლა უკვე არვინ მოდის
შენ კი, ძვირფასო, სამუდამოდ ცათა შინა ხარ!

წავიდა ის დრო, მზის სხივების თამაშით მთვრალი,
ნიავის ფრთებზე საოცარი სინაზით თრთოდი...
და დილის შუქზე ციმციმებდა ცისფერი წყარო.

კვლავ გელოდება, მაგრამ ზღვარი არ უჩანს ლოდინს,
სული კი ტკივილს შეუპყრია, აქ უმოწყალოდ
და შუქი მკრთალი ეფინება მზისა და მთვარის...

**26. 01. 92.**
**სოხუმი**

* * *

ისევ აცეკვდნენ ჩიტუნები მოლზე აპრილის
და მოდის ციდან განთიადის შუქი ულევი. . .
ეს არის ჩემი ჭაბუკობის ლურჯი ნაპირი,
დღე დარწეული ყვავილების თაიგულებით!..

ისევ აენთნენ ალტაცებით - მთის მწვერვალები
და შორს თხემებზე გაზაფხულის ნისლი მიცურავს...
სულო, ძვირფასო, კვლავ მეჩვენე, ნუ მემალები,
შეხედე ტირიფს სალოცავად ზღვასთან მისულა!

კვლავ ფეთქავს სივრცე, დაცხრილული, ოქროს ისრებით,
ვიხსენებ წარსულს, უკვე გრძნობას ველარ ვერევი...
როგორც ზღვა სხივით, მეც იმ დღეთა შუქით ვივსები,
აქ ირწეოდა ჟამი ჩემი ბედნიერების!..

მე შენ მიზიდავ. . . სიყვარულით შენკენ მივიწევ!
როს დაგშორდები, – ზღვაო, ნუღარ გადამივიწყებ!

**12.04.92.**

**სოხუმი**

* * *

რატომ დაგჩემდა ხეტიალი მთვარიან ღამით,
რამ შეგაყვარა ასე ძლიერ მდინარის პირი?
მიაყურადებ გაზაფხულზე ირმების ბღავილს, –
იქიდან, სადაც ტირიფები ირხევა ხშირი.

იხსენებ ელვით გაფრენილი დღეების წყებას,
რომელსაც ხშირად უბრუნდები იდუმალ გრძნობით...
მაგ სულის თრთოლვას ვერაფერი დააკლეს წლებმა,
რომელსაც კრძალვით ეფინება ფერები ყრმობის!

დღეებს სალოცავს ეთხოვები ტკივილით დიდით,
რომელსაც აწი დაგიბრუნებს, ალბათ, ვერავინ.
ამ სამზეოზე ყველაფერი თავის გზით მიდის,
იხსენებ დღეებს–გაფრენილებს სისწრაფით ელვის!..

არ ვიცი, ასე რად ვაღმერთებთ ძალას ბუნების,
როცა გზას გვიხშობს ის ყრმობისკენ შემობრუნების?!

**27.05.92.**

**სოხუმი**

* * *

რა სუსხიანი და სასტიკი დღეები ბრუნავს,
განდევნა ქარმა, ულმობელმა, ლურჯი ნიავი!
ეს ჩემი ბაღი დაემსგავსა მხეცების ბუნაგს
და დგას გარშემო უჩვეულო ორომტრიალი.

მზე ღრუბლებიდან იმზირება - შიშით, ცახცახით,
ნუთუ ავდარმა დაულეწა, სხივები ერთობ?
გაფრენილ დღეებს ყიჟინით და სტვენით გავძახი,
მაგრამ, ამაოდ! არავინ ჩანს მშველელი, ღმერთო!

ჩემს ბაღს არ შერჩა არც სურნელი, არც სილამაზე
და გულისცემას ვერ იქნა და ველარ ვამშვიდებ!
ამ დღეთა ბრუნვა მე ნიადაგ ტკივილით მავსებს
და უსაშველო ღელვით მიკლებს, სანამ დამშლიდეს!

თუ ზამთრის ქარმა ბაღი ერთობ გამინიავა,
ვინ ამიყვავებს გაზაფხულზე ქცეულს, იავარ?!

**12. 11. 92.**
**სოხუმი**

* * *

**ჩ**ემი ცხოვრების, როცა უკვე სამოც წელს გავცდი,
ბუნების საგნებს და მოვლენებს სხვა თვალით ვუცქერ...
სულ სხვა საზომით ვზომავ ახლა ნანახს და განცდილს
და ვაფენ ჩუმად, ცრემლის ფიორს, ამ ბოლო ფურცლებს!..

ჩემი ცხოვრების, როცა სამოცს გადავაბიჯე,
ო, გული უკვე, მეგობარო, სხვაგვარად მიცემს!..
რა შორს დავტოვე საოცნებო - ველი ნარინჯის
და ულმობელი ტკივილებით ვაწყდები სივრცეს!..

ჩემს დიდ ოცნებას რა უეცრად ეცვალა ფერი
და ახლა ჩემში თითქმის ყველა უჯრედი კვნესის!..
გადადის ცაზე შემოდგომის ღრუბლები ფრენით
და სულის აბედს ველარ ვანთებ - გრძნობების კვესით!

მითხარი, ჟამო, რატომ გახდი შეუბრალები?
რად შემიშფოთე ასე მძაფრად სულის ზარები?!

**02. 12.92.**
**ბანძა**

* * *

ჩემს თვალთამზერას მიეფარა წლები ნათელი
და ახლა ხსოვნას - უძვირფასესს დავუმეგობრდი!..
მზე ჩადის ზღვაზე, ქრება კიდევ ერთი სანთელი
და სევდა ტბორავს იმ მიდამოს, სად მზე მეფობდა!..

ცას მთვარე ისევ აედევნა მკრთალი ნაბიჯით,
ამაღამ ზღვაში ვეღარ ჩაჰყრის, ოქროს ანკესებს!
აჰა, სამოც წელს უმოწყალოდ გადავაბიჯე,
დავეშვი მთიდან ჩემი ჩანგით უკვე ვაკეზე!.

შენ გული ჩემი – ეს რამდენჯერ მოინადირე,
მანამდის, თითქმის სიყვარულში დაუგეშავი!
შორს დარჩა ჩემი ჭაბუკობის თეთრი სატივე
და შემრჩა ჟამი უსაშველოდ მოუხეშავი!..

ეს ვინ მომტაცა უცაბედად შუქი ცხოველი?
დავდივარ მარტო, დამაქვს გული დაუცხრომელი!..

**24.12.92.**

**სოხუმი**

* * *

ველარ ნელდება ჩემში ზვირთთა აბობოქრება,
კვლავ იცრემლება ო, ეს ზეცა უფაქიზესი!
საით მიდიან ეს ნისლები ასე ბოლქვებად,
მარქვით, ამ დღეთა მდუმარების რაა მიზეზი?!

ჩემი მამულის ყველა ბურჯი, ერთობ დაინგრა
და ულმობელი მომეძალა, გულზე ნაღველი..
ჟამი ცივია და მრისხანე, როგორც ტაიგა,
სულით–ხორცამდე შეძრწუნდება, მისი მნახველი!

შენს დიდ ტანჯვაზე, კვნესის ჩემი ჩანგის სიმები,
მაგრამ წყლულების მოშუშება, ველარ შევძელი!
გაქრა დღეები მზით და მთვარით მონასხივები
და ვერ ვიშორებ, მეგობარო, ტკივილს შეძენილს!

ო, მე შენზე ვარ ფიქრით, გრძნობით ღამის მთევარი
და რას დამაკლებს დემონივით ჟამი მდევარი?!

**25. 06.93.**
**ბანძა**

* * *

ვერ იქნა, ვეღარ მოვიშორე, ეს ფუჭი სევდა,
ვერ ავაღევნე სული ცაზე, ვარსკვლავთა ციმციმს!
ცხოვრება, თუ რას დაემსგავსა, ამას ხომ ვხედავთ,
ხვალ რა იქნება, მეგობარო, ესეც ხომ ვიცით?!

შეხედე, ირგვლივ ყველაფერი იცვლება... მდორედ,
ამ წუთისოფლის საიდუმლოს ვერაფრით ვწვდები.
და ძველებურად უკვე ვეღარ მივარღვევ მორევს,
მომსდევს დემონი, ულმობელი, შორეულ წლების!..

მინდორზე ისევ ჭაბუკობის ჭიხვინებს კვიცი,
მე კი თვალები, ბრძოლით დაღლილს, მევსება ცრემლით!..
ვდგავარ კბოდეზე და ბუნება სამოსელს იცვლის,
ზღვა ხმელეთს ისევ ემუქრება, ზვირთების ცემით...

იჩქარე, მედგრად გაარღვიე ზვირთების წყება,
თორემ მინდორზე, ზამთრის გრძელი წყვდიადი წვება!

**31. 07.93.**

**სოხუმი**

* * *

საიდან მოველ, ან საითკენ მივდივარ ნეტავ?
ჩემი წამება, ულმობელი, არავის ესმის!..
რად გამაჩინე ამ ტანჯვისთვის, ძვირფასო დედა!
მე ვგრძნობ, რომ ახლა შენი სული, შორიდან კვნესის!.

მოვედი ქვეყნად, რომ მეხილა სამოთხის ბაღი
და ვარსკვლავები მოფართქალე ოცნების ცაზე...
მაგრამ, ეს სული, უსაშველო, ტკივილმა წარღვნა,
საპნის ბუშტივით გაქრა სივრცის, ის სილამაზე!

და ვეფერები, წუთისოფლის საოცარ ლანდებს,
ბაღის სიღრმეში სევდიანი ჟივჟივი ისმის...
მივდივარ გზაზე, სიყვარულის მივარხევ სანთელს,
ფერიცვალების ჩემს გარშემო ირხევა ნისლი!..

იქნებ მარადი განახლების ქარი ქრის ნელი
და სული ისევ მხოლოდ ახალ სამოსელს ელის!

* * *

ზღვა გატრუნულა და სიზმარში იდუმალ ხვნეშის,
რა ეჩვენება, ან რად არის შენაშფოთები?
კუდიანები, ისე სწრაფად დაქრიან ბნელში,
ვით ზამთრის პირას, ქარის ფრთებზე, ხმელი ფოთლები.

აუტანია სივრცე ცახცახს, იმ დღეთა გამო
და ზღვის კალთაზე იცრემლება, მთვარე გრძნეული!
იღვრება წყალში სევდიანი ცა მოკამკამე
და მიბარბაცებს ჟამი ანძებგადამსხვრეული...

რად გახდი, გულო, მღელვარე და დაუნდობელი,
ეს ვინ ჩააქრო, აქ სიცოცხლე ანაყვავები?
ყოველი წამი რატომ მექცა უდაბურებად?

შეხედე, როგორ შემზარავად ბრუნავს სოფელი...
ისევ ჩხავილით აწყდებიან სივრცეს ყვავები,
ვერ იქნა, დღემდე ველარ ჩავსწვდი კაცის ბუნებას!

**15. 11. 93.**
**სოხუმი**

* * *

შენ ბედისწერის ლაბირინთში იხეტიალე,
არ გაიკარე, მეგობარო, დაცემის შიში!
ო,ეს ცხოვრება დასაბამით ასე ტრიალებს,
სანამდის აღარ გადაფარავს, უღაბნო ქვიშის!

და გამხნევებდა შორეული, ზეცის სიალე,
შუბლზე კი რწმენის, გამარჯვების შუქი გეღვარა!..
შენ ბედისწერის ლაბირინთში, იხეტიალე,
ამას ხედავდა დასაბამით მთელი ქვეყანა!..

ვეფხვის ნახტომით გადათელე ჟამი ვერაგი
და შეუპოვრად, შენ უზომო მსხვერპლი გაიღე!
ტანზე შემოგრჩა სისხლიანი თეთრი პერანგი,
რომელსაც ჟამთააღმწერელი დაათარიღებს.

ერთმა შესძელი, რაც ვერავინ შესძლო მანამდე
და უკვდავება... შენ სიკვდილით გაიმარადე!

**14.02.94.**
**ბათუმი**

* * *

როცა ისარი შეწყვეტს ცახცახს, ჩვენი საათის,
გადაუვლიან სივრცეს ქროლვით, თეთრი ცხენები.
მერე არასდროს შეიცვლება ეს მისამართი
და მამულის ცით, ვიცი, ბევრჯერ დავიცრემლებით!..

დარეკავს ჟამი, მოვარდება ქარბუქი ზამთრის
და გაფრინდება გაზაფხულის თეთრი ფრინველი...
დროის დინება ჩვენს სიყვარულს არაფრად ჩათვლის,
რაა ამაში უჩვეულო, გასაკვირველი?!

საფლავის მიწა გამოფიტავს - ბაგეებს ლამაზს,
აათამაშებს მთვარის ლანდებს, ცისფერი ტოტი.
მერე ცხოვრება, ჩვეულებრივ, თავის გზით წავა,
დაიფარება სველი ხავსით, საფლავის ლოდი!..

ჩვენი სულები ვარსკვლავეთში ივლიან ფრენით,
თუ სიყვარულის ვარდფურცლობის, შემორჩათ ფერი!..

**26. 05.94.**

**ბათუმი**

* * *

შჩემოდ, ვიცი, მკვლავებს უხეშს რომ მოგხვევს ჟამი,
ვიცი, უჩემოდ, ტკივილებით გაითანგები!..
გაგახსენდება ბილიკები თეთრიც და შავიც
და ცის თავანზე ოცნებებით კოშკი ნაგები!..

სულო, უჩემოდ შენ ჯვარცმული გახდები, ვიცი,
ვიცი, უჩემოდ შენ სიკვდილსაც არაფრად ჩათვლი.
თვალს მიადევნებ იმ შორეულ ვარსკვლავთა ციმციმს,
ოდესღაც ჩვენი სიყვარულის სივრციდან ათვლილს!..

ვიცი, უჩემოდ მოგაწყდება, ლანქერი სევდის,
რომ გაიტაცოს შენი დიდი სინათლის ნაშთი!
რადგან, საოცრად ულმობელი, ყოფილა ბედი,
შენი ხომალდიც განშორების იალქნებს გაშლის!..

როდესაც უხმოდ, ჩვენ მიწიერს, გავიხდით, სამოსს,
შორიდან ყრმობის ბილიკები ცრემლებით ვნამოთ!..

**12.09.94.**
**ბანძა**

* * *

ვდგავარ ზღვის პირას, ღამე ოხვრით ეშვება ზღვაზე,
მოჩანს აფრები - ზღვის სივრცეში ნადაისარი.
ჩემში ადგილიც აღარ რჩება, ერთი მისხალი,
იგი ისეა მოზღვავებულ ტკივილით სავსე...

ჟამის ქარებმა დაუნდობლად ბევრჯერ დამტორეს,
მაგრამ ეს გული, მეგობარო, მაინც მხნედ არის!
აპოკალიფსის საით მიქრის ოთხი მხედარი -
როგორ გაუძელ, გულო ჩემო, ამ სიმარტოვეს?!

შორს მიცურავენ, სიშორეში, ღრუბლის ტივები,
ვერ დავიოკე გრძნობა მარად დაუოკები!
პრომეთესავით მიჯაჭვული რკინის თოკებით,–
ჩემი მამულის ბედზე ვბორგავ და მეტირება!..

თავისუფლება, ჩემი ქვეყნის, ღმერთმა ინება,
გადაურჩება იგი ჟამის მღვრიე დინებას?!

**27. 10. 94.**

**ბათუმი**

* * *

წუხელ სიზმარში ნაღვლიანი გამომეცხადე,
დავიღალეო, ბიჭო, წოლით ამდენი ხანი.
მე შენთან ყოფნა–საუბარი დიდხანს მეწადა,
მაგრამ თვალებში მხოლოდ სასოწარკვეთა ვცანი!..

ტანზე კი გეცვა სამოსელი, შავი... უხეში,
იდექი მარტო, უჩვეულოდ და ყრუდ გმინავდი.
მოლურჯო შუქი გიფეთქავდა თვალთა გუგებში,
შემომხედე და უცაბედად გაუჩინარდი!

საით წახვედი, ვერაფერი ველარ გავიგე,
უსაზღვრო სივრცე იყო ყრუ და დაუძლეველი..
თითქოს გარშემო ზამთრის ცივი იდგა ტაიგა
და ცახცახებდა, უჩვეულო შიშით ტყე–ველი!..

გამომეღვიძა, ჩანდა სივრცე ნაფერმკრთალები
და განშორების ცრემლით მქონდა, სავსე თვალები..

**20.07.98.**

**მოსკოვი**

* * *

დღეს ჩემს ეზოში, ტყვიისფერი დუმილი სუფევს,
დავხეტიალობ, კუთხე–კუთხე, მიუსაფარი!
ეს გული უკვე, ტკივილების ქცეულა გუბედ
და ტყის ნაპირზე დამაყარა ნისლმა ფაფარი...

დროსთან ჭიდილს კვლავ უმკლავდება, ღელე პატარა,
სხივებს ისრუტავს და სიბერეს აღარ იკარებს!
რად დაეუფლა ამ ჩემს ზღაპარს, ჟამის სატანა,
ვინ წამიშალა, სიყმაწვილის, ნაბილიკარი?!

გაუძელ გულო! ამ ულმობელ ჟამის შეტევას,
ო, სულის ღელვას ვცდილობ, მაგრამ ველარ ვანელებ!
მოვა აპრილი, ცა ფერებით გადიპენტება,
მაგრამ გახდება იგი ჩემთვის აუტანელი...

ვერ ეგუება მარტოობას, კაცის ბუნება,
დავდივარ უხმოდ, მხოლოდ სევდა მეხმაურება!..

**20.10.98.**
**ბანძა**

* * *

ამიერიდან, არ სჭირდება, ჩემს კუბოს გახსნა,
ხელი არ ახლოთ, მეგობრებო, ამ თავის ქალას!
სული, ხომ ქროლვით დედამიწის სამანებს გასცდა,
სხეული ვანდე ქაოსსა და ღამეებს წკვარამს...

დასაბამიდან, ანგელოზი მფარველად მყავდა,
თუმც ვაწყდებოდი, დემონების სიურჩეს მედგრად..
ო, ამ მიწაზე ჩემი ყოფნის, დამთავრდა ვადა,
სული გაფრინდა და სხეულმა შეწყვიტა ფეთქვა!

ამ ბაღს და მინდვრებს, ეჰ, რამდენი ვესაიდუმლე,
რომელსაც ჟამი ულმობელი ბოლომდე ძარცვავს...
შორს დარჩა ო, ის ბილიკები გადაბინდული,
არ შეუშინდი რკინის ფარდებს, წყევლას და ჯვარცმას!..

მითხარი, სულო მეამბოხევ, საითკენ ილტვი?
შენ შორს იქნები, მაგრამ სათქმელს ლექსები იტყვის!

**24.10.99.**

**მოსკოვი**

* * *

ვდგავარ ეულად საუკუნის გადასახედზე,
კვლავ მოდის ჟამი, რომ ის ხსოვნა ჩემში მოშალოს.
დემონი ისევ ფრთებს ულმობლად მახლის სახეზე,
რომ ჩემი სული, სამუდამოდ დააკოშმაროს!.

შმაგი შეტევა, თუმცა, ბევრჯერ მოვიგერიე,
არ მინდა მხრებზე, ყვავ-ყორნების ჩრდილი მეფინოს.
მე სამშობლოსკენ, შორეული გზები მელიან,
შეუძლებელი, ღმერთო, იქნებ შემაძლებინო!

იმღვრევა სივრცე, ქარაშოტის მესმის კივილი,
შეხედე ერთი, ბოროტება როგორ ნებივრობს..
რა უსაშველოდ მომეძალა უკვე ტკივილი
და ლამის არის გადმოლახოს ყველა ჯებირი!

მე ხიდზე ვდგავარ, ირყევიან ღელვით ბურჯები,
რა ვუყოთ მერე, თუკი ვეღარ გადავურჩები!

**25. 12.99.**

**მოსკოვი**

* * *

მეგობრებიდან უკვე თითქმის არავინ დამრჩა,
ო, ეს ტკივილი ულმობელი, აღარ ბერდება!
ამ ხეტიალში, ეს რამდენი, გავცვითე ლანჩა,
გული კი მკერდში, კვლავ განაგრძობს მედგრად შეტევას.

დღეს აჰა, უკვე სამოცდაათს გადავაბიჯე,
სული სიმშვიდეს, მეგობარო, მაინც არ ითხოვს.
მე ჩემი სოფლის ისევ ვუხმობ ერთგულ ძმაბიჭებს
და ვიწვი კაცი, ბიბლიური ბუჩქივით თითქოს!..

ვერ მოვიშორე დემონების ეს წყევლა–კრულვა,
მივარღვევ სივრცეს, უჩვეულო სულისკვეთებით!..
ო, აღარ შედრკე და ბოლომდის იბრძოლე, გულო,
სანამ მდუმარედ, სარკოფაკში, ჩაიკეტები!

იბრძოლე მედგრად! არ მოგედოს კვნესა და შიში,
რომ აღარ გშთანთქას, საუკუნოდ, უდაბნომ ქვიშის!

**21. 09. 01.**

**მოსკოვი**

* * *

გადავუქროლე საუკუნის უღელტეხილებს,
ომი, სისხლის ღვრა, ველურობა, ვნახე მრავალი...
შენი თვალების სილაჟვარდე რომ არ მეხილა,
ამაკივლებდა ზღვის სიღრმეში, მზე ჩამავალი!

ვერ იქნა, დღემდე ვერ ვიშორებ, დროის სიურჩეს,
კვლავ ხვნეშის გული, უჩვეულო ცეცხლის მოდებით...
რეკავს საათი, მაგრამ ღელვას ვეღარ მიყუჩებს,
ვაწყდები კაცი, ჟამის კედლებს... გაბოროტებით!..

ვერ მოვიტოვე საუკუნის ლაბირინთები,
ისევ მიქრიან ეს დღეები შმაგი ჭენებით!
არ მიცხოვრია სამზეოზე მხოლოდ მითებით,
რად მემუქრება ეს დემონი გადაშენებით?!

უნდა დავსძლიო ტკივილები, გაუსაძლისი,
რომ გავამართლო ქვეყანაზე, ჩემი საწყისი!

**22. 01. 01.**

**მოსკოვი**

* * *

ვიღაც მომყვება და რა მკაცრად მითვლის ნაბიჯებს,
მზე ჩადის უხმოდ, გულს ტკივილი აღარ ურჩება!
აჰა, თამამად სამოცდათს გადავაბიჯე,
მაგრამ კალამი, სრულებითაც არ მეურჩება!

დროის მდინარე მიდის, ტალღებს მიათამაშებს,
ხან მზე იცინის, ხან ქარიშხლით სივრცე იმღვრევა...
ლექსებს ვწერ, მაგრამ სულში სევდა ველარ დავაშრე,
გული ბობოქრობს, ალბათ, ისიც გადაიღლება!

ვაჟღერებ სიმებს, შეღამების რეკენ ზარები,
მშვიდობით აწი - განშორების ღელვა მეღება...
მე სიშორეში ახალ ვარსკვლავს დავემგზავრები
და შენ გიტოვებ, ჩემ სულიერ შემოქმედებას!

გაზაფხულია, ვეთხოვები მინდვრებს, მოლიანს,
ჟამი ვერ წაშლის, ჩემს პოეტურ ტრაექტორიას!..

**17.02. 02.**
**ბანძა**

* * *

მდინარის პირას უჩვეულო რწმენით ვანთივარ,
თუმც, ხშირად მზვერავს დემონების თვალი ტიალი...
საიდან შესძლებ, რომ იცხოვრო კაცმა მარტივად,
როცა დგას ირგვლივ, ულმობელი ორომტრიალი!..

ყველაფერს ხედავს სიშორეში სული მზირალი,
ვერ ეგუება იგი ამდენ უთავბოლობას.
თავს დამაქციეს სალოცავი ზეცა, ზრიალით,
თავისუფლება, რომ ვარჩიე ქვეყნად მონობას!

გაუმაძღრობას, ნუთუ არსად, არა აქვს ზღვარი,
რატომ იქცევა იგი ხშირად ხალხთა დილემად?!
ასი ათასი, თუნდ რეკავდეს, სიმართლის ზარი,
ის მაინც თავის კალაპოტით მიედინება!..

ზღვა ღელავს ძლიერ და ზღვაურს სცვლის ისევ ზღვაური,
მიდის ცხოვრება და ფრთებს მძიმეს მიახმაურებს!.

**22.04.02.**

**თბილისი**

* * *

საქართველოში, ქართველს უკვე არ ედგომება,
ისევ ყმუიან სიშორიდან - მგლები ტრამალის...
აგვაწიოკეს მომთაბარე უცხო ტომებმა,
არც დავითი ჩანს ახლომახლო და არც თამარი!

ამ ჩვენს მოთმენას და ტკივილებს, ბოლო არ უჩანს
და ლამის არის, ჩვენი ჯიში უკვე ალაგმონ!
ვერ იქნა, დღემდე მაგ შენს ჩექმას ვერ გადაურჩით,
როგორ მოუნდათ, რომ ბოლომდე გაგვაჩანაგონ?!

არ ვიცი, ახლა, თუ საითკენ მივემგზავრებით,
სიტყვა რას შველის, დაემსგავსე თუნდაც ციცერონს...
სიონს და მცხეთას აგანგაშდნენ ისევ ზარები,
დრო ულმობელი ყალყზე დგება საბედისწეროდ!

უნდა ამხედრდეს, როგორც ლომი, ისე ბოკვერი,
რადგან, გზა გვიდევს... წინ ურჩი და დაუნდობელი!..

**26. 08.02.**

**თბილისი**

* * *

დავალ თბილისში, მაგრამ ველარ ვპოულობ... თბილისს,
ნუთუ შეცნობის დამეკარგა უკვე უნარი?!
შემუსვრა ყოვლის, რატომ გახდა გარდაუვალი,
რატომ ქვითინებს უცნაურად, ნიავი დილის?!

ასე ბეჩავი, რატომ გახდა, სული ქართული?
არარაობად, ნუთუ იქცა ქვეყნად ყოველი?!
ვრცელი სამყარო რუსთაველის მიუწვდომელი,
ან, ეს ტაძრები, კელაპტრებად ცადაღმართული?

მთაწმინდის მთვარე, რატომ კვნესის იდუმალ ხმაზე,
რამ შეუცვალა ზღაპრულ ქალაქს, შნო და იერი?
ამ ჩემს მამულში, რას ბობოქრობს გადამთიელი
ვერ იქნა, მტრისთვის ეს კარები ვერ გადავრაზეთ!

დავდივარ კაცი და ქალაქი მეუცხოება,
ნუთუ დასრულდა სამუდამოდ ქართლის ცხოვრება?!

**06.09.02.**

**თბილისი**

* * *

მზემ ცის სიღრმიდან, რა უმწეოდ გამოიხედა,
ვერ იქნა, იგი ველარ გაცდა, ღრუბლის ტყვეობას...
დაგუბებული ნისლი უკან აღარ იხევდა
და ქარიც თითქოს გაურბოდა მოვალეობას!..

რწმენას, მომავლის მწუხარებად, ვხედავ გადაზრდილს
და ეს მთა–ბარი უიმედო დუმილს მოუცავს...
ვხედავ, მთაწმინდას ძოწისფერი ორთქლი გადასდის
და იმ ქუჩებსაც, ჯალათებს რომ სისხლით მოურწყავთ!

მიაყურადე, ნუთუ სულის ქროლვაც შეჩერდა
და უმწეობის სიჩუმეში თითქოს შეტოპა...
სვეტიცხოველი არ მიქციოთ, ოღონდ... მეჩეთად,
სულო, აენთე, არ დანებდე უიმედობას!

ჟამი მიდის და... ზვირთი ისევ ზვირთზე მიგორავს!..
და მტკვარზე ისევ ქარიშხალმა გადაიქროლა!..

**16. 10. 02.**

**თბილისი**

* * *

მოველი შენთან, ერთხელ კიდევ, მდინარევ ჩემო,
და განშორების სევდა მინდა რომ ავიცილო!
მიირხევიან შემოდგომის ღრუბლები, ზემოთ,
ბავშვობის ჭალა სიყვარულით გამიფენს ჭილოფს...

ვიხსენებ უკვე გარდასული დღეების ზღაპარს,
როცა შენ გხედავ, გული ო, რა ძლიერად მიცემს!
შორს, გორმახებზე ისევ შლიან ნისლები ფაფარს,
გაქღენთილია ხმით ბავშვობის ეგ შენი სივრცე...

საცაა, ქამი გამომტაცებს ხელიდან ავშარს,
ვინ იცის, სულო, სად წამიყვანს ტრიალი ბედის?!
ბექობზე დგას და ჩემი თეთრი ჭიხვინებს ლაბშა,
ფლოქვების ცემით მომლოდინე... ამაყი მხედრის!..

მივდივარ შენგან და თვალები ცრემლებს ვერ მალავს,
დაუვიწყარო ამ გულისთვის, მარად და მარად...

**04. 10.02.**
**ბანძა**

* * *

ცოცხალთა შორის, მეგობარო, შენ უკვე არ ხარ,
რა ვუყო ამ გულს, ჟამის ურჩი ზვირთით გათელილს?!
ვისმენ შორიდან, დემონების უცნაურ ხარხარს
და ჩემში უკვე, კიდევ ერთი ჩაქრა სანთელი!

აწი ვერასდროს ვესტუმრებით საყვარელ ჭალას,
წავიდა ის დრო, რომ ვანთებდით ბრიალა კოცონს!
მინდორზე მხოლოდ, ის ალვის ხე ირხევა ცალად
და მიქანაობს ცის ხავერდზე ღრუბელი მომცრო

ირეკლავს წყალი, მოკამკამე ბავშვობის მზერას,
ჩვენ რომ გვიყვარდა, იმ მოცისფრო კბოდესთან ახლოს!..
მე ვდგავარ მარტო და მიდამოს ამაოდ ვზვერავ,
აქ, ახლა მხოლოდ გარდასულის ლანდები სახლობს!..

იმ დღეთა ხსოვნა, მე ამ ლექსის სტრიქონებს ვანდე
და ცრემლიანი მზერით მივსდევ - ბავშვობის ლანდებს!..

**20.10.02.**
**ბანძა**

* * *

ეს მზის სისტემა, უშენოდ ხომ არაფერს ნიშნავს,
მის სილამაზეს მხოლოდ შენით ეძლევა აზრი!..
რაა სამყარო? სივრცე - მრუდე და მრავალნიშნა,
რა რჩება, თუკი, გადაესვა სიცოცხლეს ხაზი?!

ირგვლივ ყოველი საოცარი ფერებით ფეთქავს
და არხევს სიმებს - სიყვარულის სხვადასხვა ხმაზე..
კვლავ შენსკენ მიხმობს, იდუმალი თამაში ფერთა
და აღტაცებით ვიმუხტები, შენს დანახვაზე...

საითკენ მიდის ჩვენი გზები, არავინ იცის!
მზე ეზიდება ო, ეს რამდენ პლანეტას ერთად..
მე თვალს ვადევნებ, სიშორეში ვარსკვლავთა ციმციმს
და შენზე ფიქრით, ისევ ვათევ ღამეებს თეთრად...

აზრი მატყუებს, მაგრამ გრძნობით ყველაფერს ვწვდები,
მივილანდები ორღობეში დაღლილი წლებით!..

**26. 10. 02.**
**ბანძა**

* * *

მინდა იმ დღეებს, საოცნებოს, კვლავ მოვეფერო
და სურნელოვან ყვავილებით მოჩითულ ფერდობს!..
იმ ქამის ხსოვნას, სათაყვანოს, როგორ არ ვენდო,
რომ მირხევს ამ სულს–საიდუმლო, ვით ლერწმის ღეროს..

შენი ტალღების, გამჭვირვალე ნათელში ვთრთოდი
და მამულის ცა დამცქეროდა საოცრად თბილი!..
მთებიდან ქროდა, გაზაფხულის ნიავი რბილი,
იმ წლების განცდა, ახლაც ო, რა სიწრფელით მოდის.

აბაშავ ჩემო! უხსოვარი დროიდან მოხვალ,
ამ შენს ნაპირზე თაობები მოდის და მიდის!..
შენა ხარ ჩემი სიყვარული - უსაზღვროდ დიდი
და განშორების შეინახე ეს ამოოხვრა...

გემშვიდობები! გული კი აქ დარჩენას ითხოვს,
რა დამავიწყებს მონიჭებულ იმ დღეთა სითბოს!

**05. 11. 02.**
**ბანძა**

* * *

ო, აქ ბავშვობის ნაფეხურებს დავეძებ ისევ,
დავდივარ ჩუმად ფოთოლცვენის არის რიალი.
ნეტავ, სად გაქრა ის სინაზე და სიმაისე?
შემომხვდა ჩემი ატმის ტოტი თვალცრემლიანი...

ვერ განვერიდე მოგონების, ტკივილებს მწარეს,
მიცურავს მშვიდად, ცის თავანზე, ღრუბელი თალხი.
სად არის ო, იმ გაზაფხულის - თვალები მწვანე,
საით წავიდა, აქ რომ იყო, ნეტავ ის ხალხი?!

რად შემაშფოთე, მოგონებავ, ო, ასე ძლიერ?
ტკივილი ერთობ მომეძალა, ჯვარცმული გავხდი!..
ვხედავ, რომ ჩემი შემართება მხოლოდ შენ სძლიე,
საით გამექცა ის დღეები, ესოდენ ნაღდი?!

კვლავ მიდის წყარო - ნაღვლიანი, ჩემი სატივე,
მოგონებებო, ასე ცხარედ რად ამატირეთ?!

**13. 11. 02.**
**ბანძა**

* * *

**ბ**ავშვობის დღეთა უჩვეულო მახსოვს სიამე,
რა სიყვარულით გვეძახოდა ჭალა აბაშის!..
მეც მაღვიძებდა გაზაფხულზე დილის ნიავი
და მზეს ვხვდებოდი, ჩემს მინდორზე თამაშ–თამაშით!..

გაფრინდა ჟამი!.. შეიცვალა ფერი დროებამ
და ტკივილებმა საუკუნის ღელვით ამანთო.
არ ვიცი, ასე მძიმე სევდა გულს რად მოება?
და რად დამჩემდა ხეტიალი... უმისამართოდ?!

უკვე აღარ ჩანს, გზაზე ჩემი მესაიდუმლე,
მივდივარ მარტო და რამდენი ლანდი რიალებს!..
მოჩანს ბილიკი, უცნაურად გადაბინდული -
და მხოლოდ სევდა შემოდგომის, მოაქვთ ნიავებს!.

გზა შეღამების, ვერ იქნა, ვერ გავიადვილე,
ამდენი ცრემლი, ჟამით დაღლილს, რატომ მადინე?!

**14. 11.02.**
**ბანძა**

* * *

საწუთროს გზებზე, ხეტიალმა, დამღალა ძლიერ,
არ დამკლებია ქარიშხალი, თოვლი და სეტყვა...
გარშემო ჩემი მთა–გორების სიმაღლე მერტყა,
დავდივარ კაცი და ულმობელ... ტკივილს ვერ ვსძლიე!

რა შემრჩა?–სისხლით დატბორილი მინდორ–ველები
და შემზარავად მოქუფრული ზეცის თავანი...
აღარ შორდება ჩემ სამშობლოს თვალი მავანის
და მთები ფიქრმა დამიბერა, დაუბერები!

დღითი დღე უფრო მიღრმავდება, ყველა იარა
და გული კივის, უსაშველო ცეცხლის მოდებით!..
უკვე არ ვიცი, მეგობარო, ვის ველოდები,
ეს მერამდენედ ქარიშხალმა გადამიარა...

ვერ მოვიშორე, ულმობელი თვალი - მაცდურის
და შემომცქერის მზე ირიბად, სხივგაძარცული!..

**27.11.02.**

**თბილისი**

* * *

ო, თქვენი მოსვლით გაიფანტა ცაზე ღრუბლები,
აწი ჩვენს იღბალს, ძაღლიც ველარ დააყეფს ავად!
ვერ გამიგია, რას დაგვცინის, რა უნდა მავანს,
როცა მოზღვავდა, ჩვენს რწმენაში, თავისუფლება!

თითქოს მხრებიდან მოვიხსენით უღელი მძიმე,
ტაშიც კი დავცხეთ, რომ მოგვადგა ბედნიერება!
მომავლის რწმენით გაიხარეს ყველგან ერებმა
და ალტაცებით გუგუნებდა ცა მოზეიმე...

რასაც ველოდით, მასზე მეტი ჩანდა ნათება,
პლანეტავ ჩემო! გიხაროდეს აღორძინება!..
დილის ცვარ–ნამი დაიკიდე ყელზე მძივებად,
ცა დაგვეღვრება აწი თავზე განთიადებად.

„დემოკრატებო,“ ვენაცვალე მაგ თქვენს საქციელს,
ვიყავით რაღაც და არარად გადაგვაქციეთ!

**14. 12.02.**

**თბილისი**

* * *

მოვიდა თოვლი და გათეთრდა ერთობ ქალაქი,
მაგრამ ის ვეღარ გაგაოცებს რხევით ზღაპრულით!
იზრდება თვალწინ უჩვეულოდ თოვლის მარაგი
და დაფორთხავენ ჭილყვავები ხმადაზაფრულნი..

შევდივარ ბაღში, ირხევიან ქარში მუხები,
კვლავ ბუჩქებიდან ბეღურების მესმის წივილი...
ო, ახლა როგორ მენატრება სოფლის ბუხარი
და ხეებიდან გადმოხრილი თოვლის ღიმილი!

ამ თეთრ ზეგანზე, კვლავ ყვავების მესმის ჩხავილი,
თვალს არაფერი აღარ რჩება შეუმჩნეველი...
აქ სეტყვა ცვივა, იქ კი ჩვენთან - თოვლის ყვავილი,
ზამთრის ბექთარში გმინავს ისევ თეთრი ტყე–ველი!

აქ ყველგან ყინვის წარწერები მოჩანს ლურსმული
და სიცივეში ჩაძირულა გული რუსული!

**17.12.02.**

**მოსკოვი**

* * *

ტრამალებიდან ნაზამთრალი მგლები ყმუიან,
ადევნებული სიშორიდან ბილიკს მთვარიანს...
სივრცეს უდაბურს, ქარიშხალი გადიშხუილებს,
მოდის აპრილი, ჩემს მამულში კვლავ ავდარია!..

სანთლებით ხელში, საფლავებზე დადის სანათა,
ამ დემონებმა, ეს რამდენი სისხლი დალიეს...
რას უცდი, მზეო, მთელი ძალით ამოანათე,
უმღერე ჩანგო, განახლებას – მრავალჟამიერ!

დრო მიქრის, მაგრამ გული ბოლმას უკვე ვერ იტევს -
საუკუნეებს გაუსწორე თვალი ამაყად!
ლექსო აენთე! ჟამის სათქმელს არ მოერიდო,
თორემ, ცხოვრება, ერთობ გაქცევს მტვრად და ბალახად!

ჩემო მამულო, შენც ქრისტეს გზა გაიზიარე,
ტანი დაგგლიჯეს, სული ველარ დაგიზიანეს!

**28.03.03.**

**თბილისი**

* * *

ჟამის მდინარე, ისე სწრაფად მიედინება,
რომ მის სრბოლაზე, ვერც კი ვასწრებ თვალის შევლებას!
შენი ტკივილი, საყვარელო, მექცა დილემად,
ო, ეს რა ულვთოდ, მეძარცვება შენი მშვენება?!

ვერ ურიგდება, სული მაგ შენს ამდენ წამებას
და თვალთა შუქი, ბევრჯერ სევდამ გადამიბინდა..
ჩემთვის ცისკარი, იქცა უკვე, შემოღამებად
და სულში დარდის ნაზამთრალი მოლი ბიბინებს!..

თითქოს ვადაზე გადამიტყდა დავითფერული,
ეს რა უეცრად დამიმსხვრიეს, იმედი წლებმა!
და ეს დღეები მიგორავენ, კვლავ უფერულად,
როგორც დაღმართზე, ცარიელი კასრების წყება!..

მოდის ზამთარი... და იმ დღეთა მიჭირს ყურება,
ვერ ვუმკლავდები მოზღვავებულ უბედურებას!..

**01.05.03.**

**მოსკოვი**

* * *

შენ უმღეროდი, გაზაფხულის მოსვლას მიწაზე,
დრომ არ დაგინდო, გასაფრენად ფრთები გაშალე!..
მაინც ლამაზი სიყვარულის ღელვა იწამე,
თუმც გიწეწავდა ზღვაზე აფრებს, ქარი აშარი!..

ჩვენი შეხვედრა, ნუთუ იყო მოკლე სიზმარი?
რომელიც ძალამ იდუმალმა განაპირობა...
ამურმა უხმოდ მერამდენედ გვტყორცნა ისარი
და ჩვენც მივნებდით... სიყვარულის უნაპირობას!

ბევრი გეძებე იმავ გზებით, იმავ ბილიკით,
გაჰფანტა ქარმა, ვარდფურცლობის ნაზი სურნელი!..
ჩემს წინ მდელოზე, დემონებმა გადიქილიკეს
და შემატოვეს ჭრილობები განუკურნელი..

დავეხეტები სიშორეში - კაცი ეული
და ყველაფერზე გავხდი უკვე, ხელჩაქნეული!

**06. 05.03.**

**მოსკოვი**

* * *

უშენოდ რაა ეს ქვეყანა, ხომ კარგად ვიცით,
როგორ იღვრება, სულ უმიზნოდ, სისხლი ტონობით!..
აშკარად ვხედავთ, ის თუ როგორ ინგრევა, იწვის
და გახდა მსხვერპლი: უმეცრების, უპატრონობის.

უშენოდ რაა ეს ქვეყანა, ხომ ყველამ ვნახეთ,
ისე დაიქცა, მისგან რამეს არც კი მოველით.
ვუცქერთ ცოცხალ ლეშს, დაუკარგავს აზრი და სახე
და ზედ გრიფები დასევია დაუნდობელი!..

მშვიდობით, აწი ვერ იხილავ, რაც იყო იმას,
ამაოდ ისხამ შიშველ ტანზე - ეკლებს ზღარბივით!..
სად მზე მეფობდა, დღეს, იქ მეფობს ქარი და წვიმა,
კვლავ დაბრმავდი და დაუბრუნდი, ისევ ლაბირინთს!..

იყავ მწვერვალი! ახლა რა ხარ?– მხოლოდ ცხედარი,
აპოკალიფსის ისევ მიქრის ოთხი მხედარი!..

**16. 05. 64.**
**სოხუმი**

* * *

დრო ისე მიქრის, რომ მე თითქმის ვერაფერს ვასწრებ
და ღელავს გული დღენიადაგ დაუცხრომელი...
სული ლექსს ისვრის ხშირად, როგორც დატენილ ვაზნებს,
დღეო, რას უცდი, მომაღვარე შუქი ცხოველი!

მე შორს ვარ ახლა, სამშობლოდან დევნილი კაცი,
რომელიც თავის ცას და მიწას ეთაყვანება...
ყველა ჩემი ცდა დაბრუნების დამთავრდა მარცხით,
სული ჩხავილით დამიცხრილეს ბევრჯერ ყვავებმა!..

მესმის შორიდან, რომ ქვითინებს ადგილის დედა
და ზვირთი კბოდეს ეხეთქება, რბევა–ღრიალით!..
შენზე ვედრებით, ღამეს ისევ ვათენებ თეთრად,
ქუჩაბანდებში ვხეტიალობ... თვალცრემლიანი!..

დრო მიდის მსხვრევით და ჩემს რწმენას ნიადაგ ძარცვავს,
არ ვიცი, სულო, ასე სანამ გავუძლებ ჯვარცმას?!

**20.05.03.**

**მოსკოვი**

* * *

ომ დღეთა ხსოვნას, დავიწყება ვერაფერს უზამს,
ფეხქვეშ გათელვა მოინდომეს, შენი სახელის!
დროს აუმხედრდი რაინდულად, შენ ჩემო მუზავ,
აჟღერე ჩანგი ამაყი და დაუძრახველი..

შენი სურვილი გახდა ჟამით მოუთოკველი,
თუმც მიგიჩნიეს, ბევრჯერ, როგორც ღობე დაბალი!
ათი ათასი აგიჩეხეს ველზე ბოკვერი
და უცოდველთა სისხლით მორწყეს, შენი მთა–ბარი!

მემატიანე ნუთუ შესძლებს, ყოვლის აღწერას?
ურჩი მდინარე ვერ გააპე, მძლავრი მხარულით.
მაგრამ დარჩება სამუდამოდ ქვაზე წარწერა,
გამოყვანილი სისხლიანი ასომთავრულით!

იმის მაგივრად, რომ გაეგოთ ფიანდაზები,
ო, რა ულმობლად დაგიგლიჯეს ძუძუ გაზებით!

**24.05.03.**

**მოსკოვი**

* * *

**ჩემს შვილებს – ნანას და გოჩას**

ჩვენ გამოვდივართ, მოქანცული ბრძოლის ველიდან,
თქვენ კი შედიხართ მთელი ძალით და შემართებით.
ასე იყო და, ასე არის ამიერიდან,
ბუნების ამ წესს, ერთი მითხარ, რას ვემართლებით?!

კაცობრიობის ბილიკები მოდის შორიდან,
არა გალობით, ო, არამედ–ბრძოლით, ხმაურით...
გეძახით ქამი!.. თქვენი ჯერი უკვე მოვიდა,
ჰა, თალპიონზე დგას ხაფი და აურზაური!..

ეცადეთ მუდამ, არ მოგედოთ შიში მზარავი,
არავინ იცის, ძვირფასებო, თუ რა მოგელით...
გაიყოლიეთ მხოლოდ რწმენა, გაუბზარავი
და მკერდი მედგრად შეუშვირეთ - ქარებს მობერილს!..

ჩვენ კი ვეშვებით, თქვენ კი ფრთებს შლით, უტევთ ვერტიკალს,
მაშ, გაუმარჯოს ბუნების ამ დიალექტიკას!..

**29. 05.03.**

**მოს სკოვი**

* * *

ფრთხილად დაადგი ამ მიწაზე ფეხი, იცოდე,
ამ ცას და მიწას, უპირველეს, ეცი თაყვანი!
ადამიანი ზენაარმა მისთვის გიწოდა,
არ დაამსგავსო ეს პლანეტა - მსხვერპლად აყვანილს!

მზის სისტემაში ერთადერთი ესაა მხოლოდ
სილამაზის და შთაგონების, ნაღდი გარანტი...
ეცადე იმას, რომ სიცოცხლე არ ჩაიქროლოს
და მოახმარე მის მშვენებას, შენი ტალანტი...

გავერანებულს, ნაპარტახალს ნუ დაამსგავსებ,
მშობლიურ მიწას, ვინც ერთგულად ძუძუ გაწოვა...
იყავი მუდამ სიყვარულით, სიკეთით სავსე,
ნუ გადარუჯავ ამ ქალაქებს, ტყეს და საძოვარს!

ბუნების ძალამ უანგაროდ შენ ეს გაჩუქა,
მერწმუნე, ძმაო, დაფასება უნდა ნაჩუქარს!

**12.06. 03.**

**მოსკოვი**

* * *

შორს, ცის სიღრმეში ანგელოზთა გალობას ვისმენ..
დახუნძლულია ვარსკვლავებით ცისფერი ტოტი.
ო, ეს ზმანება აღარ მინდა გავანდო ვისმეს,
მე შენს წინაშე ნუთუ დღემდე, ამაოდ ვკრთოდი?!

ზღვის ბაგეებზე ირწეოდა შუქი მაისის
და ჩვენ, ძვირფასო, ამ სინაზეს ბოლომდე ვენდეთ!..
მივაყურადებ გარდასულ ჟამს, ის ხმა არ ისმის,
რომელიც ლურჯი სიშორიდან, მოჰქონდათ გედებს!..

გამრუდდა ჟამი და არც მე მსურს ცხოვრება მდოვრე,
ტკივილის მეწყერს, სული უკვე ყველა კარს უღებს!..
ძვირფასო ჩემო! ამ გულისთქმას რა ვუყო თორემ,
ბრძოლით დაღლილი, გადავიგდებ ცხოვრების უღელს!

გაფრინდა ის დრო. გაჰყვა სივრცის სიმრუდეს შორად
და ახლა თითქოს გაყოფილი დავდივარ ორად!

**14. 06. 03.**

**მოსკოვი**

* * *

დადგება ჟამი - ატომური მკაცრი დუელის,
გამარჯვებული აქ არავინ იქნება მაშინ...
ამ ულმობელ დროს გადარჩენას ნურავინ ელის,
გადაუვლიან დემონები პლანეტას მარშით!..

შმაგი ნაბიჯით ყველაფერი იქითკენ მიდის,
რომ არსებული იქცეს მხოლოდ ნანგრევთა გროვა...
ამაზე ამბობს– უთვალავი ეს რაკეტმზიდი,
დაფარავს სივრცეს წამებულთა კვნესა და გლოვა..

საშინელ ნგრევას ვერ უშველის ლოცვა –ვედრება,
ვერ აიცილებს დედამიწა, ვამპირთა სისინს..
ყოფნა–არყოფნის შიში მიწას უკვე ედება,
ღმერთის თვალებში ირეკლება ჩვენდამი ზიზღი!..

არც ზღვა დარჩება, არც ეს მთა და არც ეს ზეგანი
და გავიბნევით სივრცეებში უკიდეგანოდ!..

**16. 06. 03.**

**მოსკოვი**

* * *

შენ გული გქონდა, საყვარელო, თბილი და სუფთა
და არ იცოდი, თუ რა იყო შური და ბოღმა!
მაგ ხმის ხავერდში ვარდფურცლობის ისმოდა სუნთქვა
და სიოს ფრთებზე, ვით ლერწამი, არ გრძნობდი მოღლას!..

ღამით ვარსკვლავნი გისხდებოდნენ, უბეში მორცხვად
და გაზაფხული, აღტაცებით გვასმევდა შარბათს...
ათი ათასჯერ ბაგეები მიწვევდნენ კოცნად
და მიზიდავდნენ უჩვეულო ტრფიალით ხარბად!

გაფრინდა ის დრო, მოგალობე ჩიტების დარად
და ჩემს ტკივილებს, ახლა უკვე ვერავინ შველის!..
ხსოვნად შერჩება ის დღეები ამ ლექსებს მარად,
ვით ჩემს ზმანებას, იდუმალი ნათელი შენი!.

წავიდა ჟამი და მიმაგდო გზაზე ჭაღარით,
ის მიქრის სადღაც და თან მიაქვს - ნაყაჩაღარი!..

**17.06.03.**

**მოსკოვი**

* * *

შენზე სხივმნათი მე არავინ არ მეგულება,
ასე უმანკო და საოცრად მოსაფერები.
ვერ ეგუება უშენობას ჩემი ბუნება
და სიყვარული უჟამო და დაუბერები!.

რწმენით მავსებდა განთიადის ცა მოსარკული,
ვით გამოხედვა მაგ თვალების ნაოცნებარის...
ჩამოვიშორე ბილიკებზე მზერა მზაკვრული
და სიყვარულმა გამინათა... გული მგზნებარი!

საწუთროს ბრუნვამ, უკუღმართმა, ბევრჯერ მატირა,
ეცადა, მაგრამ ვერ ჩამიქრო ხხივი იმედის!
ეკლიან გზებზე ამედევნა, სისხლიც მადინა
და ბარიერთან კაცი ჩემივ რწმენით მიველი..

ჟამი დუელში გავიწვიე... შუქი მეფინა...
შეუძლებელი შენმა ტრფობამ შემაძლებინა!..

**19. 06. 03.**

**მოსკოვი**

* * *

ტევტონთა მიწას, მოსწყდა ერთობ, სიკვდილი ქროლვით
და აბობოქრდა უსაშველოდ ზღვა და ხმელეთი...
დადგა მიწაზე სისხლისა და გვამების ტბორი
და ეს პლანეტა, სიცოცხლისთვის, გახდა ბნელეთი!..

იდგა სიცოცხლე, ბარიერთან ყოფნა–არყოფნის,
ისმოდა ხაფი შემზარავი, ბილწი გონების...
ცხოვრების ხიდან მოსცვიოდა, მჭკნარი ნაყოფი,
ვერ დაიმონეს, სული მაინც, დაუმონები!

შენ კი ღმერთებმა გამოგზავნეს, კაცი მედგარი,
ხელთ სიმართლის და სიყვარულის დროშა გეჭირა.
ტანზე რაინდის შეუვალი გეცვა ბექთარი,
რომ ეს პლანეტა დაღუპვისგან გადაგერჩინა!

რაც არ უნდა სთქვან, შენს გენიას ვერვინ დაჩრდილავს,
სხვები, ხომ შენთან შედარებით მოჩანს აჩრდილად!

**22.06. 03.**
**მოსკოვი**

* * *

მას სათავისკენ კვლავ მოუნდა შემობრუნება
და წარსულისკენ ნაწამებმა, პირი იბრუნა...
სახეს ნაღვლიანს, ღრუბლითა და ნისლით იბურავს,
რა უცნაურად გაფერმკთალდა - დედა ბუნება?!

ამ სიდიადეს, თუკი გონი უდევს საფუძვლად,
ნეტავ, ასე რად შეუპყრია უიმედობას?!
მრუდე სურვილმა, სიღრმეებში ისე შეტოპა,
რომ ლაქაც აღარ შემორჩება, ალბათ ნაფუძარს!

მზე ვერასოდეს გაანათებს, ცისფერ აივნებს
და სამუდამოდ, ბნელს და ქაოსს დაემონება..
აწი ვერასდროს მიენდობა მაღალ გონებას,
ვერც აინშტაინს, ვერც ფერმსა და ჰოპენჰაიმერს!

დაიპყრეს სივრცე, დემონებმა დაუპყრობელი,
მიექანება უფსკრულისკენ... ნუთუ ყოველი?!..

**29.06. 03.**

**მოსკოვი**

* * *

ცხურს გონება აზროვნებით, მიარღვევ შორეთს,
მაგრამ დღემდე კი ისიც ველარ გამოიცანი
პირველადია ციცარი, თუ კვერცხი ციცარის,
სად არის შენი მჭვრეტელობის, მაღალი დონე?!

ვეფხვის სიმარდით ცდილობ გაჭრას მიღმა ხილულის,
სინათლის წლებით, დაშორებულ კვაზარებს სინჯავ
შენ ცნობილიდან - უცნობისკენ მიილტვი დინჯად
და მესმის უკვე სიშორიდან ხმა განწირულის!..

ისე შორს მიხვალ, რომ ფეხებქვეშ გეცლება ზღუდე,
ეგ შენი სული, შეუცნობის შეცნობით იწვის!..
მაგრამ ერთბაშად იძარცვება, სურნელი მიწის,
მაშინებს ისიც, რომ გონება არ გადახურდეს!

შენი გონების მონაპოვრით ეძახი ქაოსს...
ლამის, ეს მიწა დაამსგავსო დიდ სასაფლაოს!..

**01. 07.03.**

**თბილისი**

* * *

რად შევეხიზნე ამ ვრცელსა და უდაბურ ტრამალს?
ეს ჩემი სული ნაწამები ტკივილით იძვრის...
ვერ იქნა, ველარ მოვიშორე დიაცი სიძვის,
ვერ გავექეცი, მეგობარო, ცხოვრების დრამას!..

ჩემი სამშობლო, უკვე ტროას ნანგრევებს მოჰგავს,
გამიპარტახეს და მომტაცეს საწმისი ვერძის
გული აზვირთდა, არაფერი გამოვა ხვეწნით,
რეკავს საათი... ცა და მიწა ნიადაგ ბორგავს!

ვერას შეასმენ, გულბოროტთა ტომების მოდგმას,
გადაგვარებულს და ამღვრეულს, ველური სისხლით!
ხანდახან, ისე უსაშველოდ შემიპყრობს ზიზღი,
როცა მამულის მესმის მწარე, კივილი – მოთქმა...

რას ელოდები, მეგობარო, მომგვარე რაში,
მე ვწყვეტ ბნელეთთან საუკუნოდ, ყოველგვარ კავშირს!..

**07.07.03.**

**მოსკოვი**

* * *

შენოდ რა ვქნა, ახლა ძალზე შორსა ვარ შენგან!
ვერ გეფერები, მაგრამ მაინც იმედით ვსუნთქავ...
ვერ იქნა, ქვეყნად ბოროტება, ვერ გადაშენდა,
თუმც უძლურებაც ბოროტების არავის უთქვამს!

ორთა ბრძოლაში სიკეთესთან, ის უფრო ხშირად,
ათასგვარ ხერხით წარმატების მიღწევას ცდილობს!
ხან შემართებას გოლიათურს, სასტიკად ჩრდილავს,
რომ სიდიადე შეურაცყოს და დაამციროს!

და მის ქმედების დასასრულს ხომ ბოლო არ უჩანს,
ის ფოცხვერივით, მოზომილი ნაბიჯით დადის.
ბევრჯერ დაფარა შავი ღრუბლით, ეს ზეცა ლურჯი,
ასი ათასჯერ ხელთ ჩაიგდო, სამეფო ტახტიც!

ის უზენაესს ნუთუ აღარ ემორჩილება?!
კაცობრიობას იგი უკვე ექცა დილემად..

**08. 07.03.**

**მოსკოვი**

* * *

დემოკრატიამ რა უეცრად დაკარგა ფასი,
უსაქმურობის და ლაყბობის იქცა ჭაობად...
რა არის იგი? – ქაოსი და არარაობა,
შესანდობარი მისი უნდა შეისვას თასით!

რომ ააფარონ, ბნელ საქმეებს, ფარდები შავი,
ქვეყნის მესვეურთ მხოლოდ მისთვის დასჭირდათ იგი!
შეხედეთ კარგად, რა ქაოსი დამკვიდრდა ირგვლივ,
მიაყურადეთ, ჭილყვავების უმწეო ჩხავილს!..

მიდის ცხოვრება ულიმღამოდ და უიმედოდ,
ყოველ განედზე, ბრმა თვალებით სიცოცხლე კვნესის!..
თუმც, ეს ტკივილი, ქვეყანაზე არავის ესმის,
სიცოცხლეს ჯვარცმულს დასაბამით, – მიხედე, ღმერთო!.

ის ხალხს ებოძა, საჩუქარი გაილეს უქმად,
ქვეყნის უფალნო, ო, რა მსუყე მოგვართვით ლუკმა!.

**09.07.03.**

**მოსკოვი**

* * *

ძვირფასო, შენი სიყვარული რამდენს მავალებს,
გაუსაძლისი გახდა ჩემთვის შენი სიშორე..
ეს მარტოობა ვერ იქნა და ვერ მოვიშორე,
მავსებს ტკივილით უცნაურად მზე ჩამავალი ..

ჯერ კიდევ ფეთქავს, ამ ჩემს სულში, რწმენის მარცვალი,
თუმც, არასოდეს არ ვყოფილვარ, მე ბედსვიანი!
ახლა დაღმართზე ეს ცხოვრება მიდის სრიალით
და იფანტება ჰორიზონტზე ფერფლი, ნაცარი!..

ვერ იქნა, დღემდე ვერ დავლეწე, ჟამის ურდული
და კვნესის სული - უსაშველოდ განაწამები..
თუკი მიშველის, მხოლოდ რხევა მაგ წამწამების,
დე, დემონებმა ისევ მზვერონ თვალით ქურდულით..

მე ჩანგის სიმებს, ვარხევ ისევ ძალით ფარულით,
თუ გადამარჩენს – მაგ სინაზე და სიყვარული!

**12.07.03.**

**მოსკოვი**

* * *

თუნდაც იარე ქვეყანაზე, გზებით უვალით,
მის მახინჯ სახეს, მაინც ვერსად დაემალები!
თუ გინდ გაიქეც, გახდი კაცი უცხოდ მარები,
მოგიწევს ბრძოლა - ბარიერთან გარდაუვალი...

შიშით გათანგულს, ის ამარცხებს ძალზე უბრალოდ,
მამაცის ლანდის დანახვაზეც, კრთება მაცილი!
ბევრჯერ გათელე ფეხქვეშ მკაცრად დრო და მანძილი,
ოსტატის ფასი, თუმც სიკვდილმაც იცის, უფალო!

გმირს და გენიოსს, ის ვერასდროს ველარ ეწევა,
ისინი სივრცეს გადაუვლიან ღელვით, ხმაურით...
სიკვდილსაც ერთობ ალმოხდება, ხმა უცნაური,
როცა მათ ფრთებზე, საუკუნოდ დაილეწება!

რეკენ ზარები.. და გუგუნებს ერთობ მთა–ველი!..
ტოვებს ნაფეხურს გორგასალი და რუსთაველი!..

**19. 07.03.**

**მოსკოვი**

* * *

რა გეშველება, უმოწყალოდ გულო დაჭრილო,
ვის სჭირდებოდა - ეს ქალაქი, ან ეს სოფელი?
იქნებ არც იყო, ამ მიწაზე მოსვლა საჭირო,
თუ იქნებოდა ხოცვა – ჟლეტა დაუნდობელი?!

თუ ბოროტებას ფრთები აღარ დაელეწება,
დაიხურება აქ ყველა გზა შუქით ნაფერი...
სივრცე ზღაპრული, ქარაშოტით დაიწეწება
და რა დარჩება? – გზები რუხი, სხვა არაფერი!

რატომ და რისთვის? – დღენიადაგ განსჯას ვუნდები,
რად ვეურჩებით ასე ულვთოდ ძალას ბუნების?
თუ მიგვატოვა, ის არასდროს არ დაბრუნდება
და ყველაფერი დამთავრდება უდაბურებით!..

ჩვენ მივეჩვიეთ სისხლის ნთხევას, ჩეხვას, კვეთებას,
და დღემდე მხოლოდ გზა წამების გვეიმედება!

**23. 08. 03.**

**მოსკოვი**

* * *

ო, ისევ მიტევს ეს ცხოვრება, ფრთებით მსახვრალით,
დავდივარ მარტო და დარდი მკლავს გაუდინარი!
ზედ დამთამაშებს მოყვითალო ჩრდილი ჩინარის,
გარბის მაცილი და მიდამოს იკლებს ხარხარით!..

მოსკოვის პირას, გავხდი კაცი მოხეტიალე,
მამულის კარი ჩამირაზეს - რკინის ურდულით!
და გულს ვაწყდები მე საკუთარს ხმამოგუდული,
რად გახდა ასე ულმობელი ჟამის ტრიალი?!

ჩემი ზღვის პირის რა შორს დარჩა ლურჯი ნიავი
და დუმილს რატომ მიეჩვია, ბაგემეტყველი?
ო, როგორ ვუძლებ, ჩრდილოეთის ქარის შეტევას,
კაცი, ამ ქვეყნად დამნახველი - ბევრი სიავის?!

როცა მოვკვდები, წამერთმევა ბრძოლის უნარი,
მაშინ, ჩემი ცა დამახურეთ გაუხუნარი!.

**30.08.03.**

**მოსკოვი**

* * *

ადამიანო, ავი ზრახვით ნუ აინთები
ნუ მისცემ შენს თავს ქვეყანაზე ყოვლის-უფლებას!
მაგ შენს სურვილებს დაულეწე ბოროტი ფრთები,
თორემ უთუოდ ეს პლანეტა დაიღუპება!

ღმერთმა ედემი შეგირჩია, შენ საცხოვრისად
და ავი ფიქრით, შენი გრძნობა ნუღარ ალესე!
მის სილამაზეს ნუ დაამხობ, ნუ გადანისლავ,
მხოლოდ უსაზღვროდ მოეფერე, მოეალერსე...

და თუ დაკარგე, მას ვერასდროს ვერ დაიბრუნებ,
ასჯერ გაზომე, დაუფიქრდი მაგ შენს ნაბიჯებს...
თორემ შერჩება დედამიწას ამაოდ ბრუნვა,
შენთვის განკუთვნილ მიჯნებს თუკი გადააბიჯე!

დაფიქრდი კარგად, შენ იმაზე, თუ საით მიხვალ!
ნუ მოჭრი იმ ტოტს, რომელზედაც ლამაზად ზიხარ!

**08. 09.03.**

**მოსკოვი**

* * *

ო, ქარი ისევ, აშრიალებს მაღლობზე ვერხვებს
და სული იცვლის ყოვლისშემძლე, ნიადაგ ფაზებს...
მთვარიან ღამით, ცისფერ გზაზე მივდივარ მეხრე
და ვარხევ სიმებს - უჩვეულო სევდიან ხმაზე!..

ვერ გამიგია, თუ საითკენ მივემართები,
შენი ნათელის სიდიადით კაცი ძლეული!
ვუახლოვდები უკვე ცისკარს ღამენათევი,
ისევ ვღიღინებ მოფერებას გადაჩვეული!

დასაბამიდან აყოლილი შეხლას, კვეთებას,
ამ სამზეოზე ბევრი რამის გავხდი მხილველი!..
და დავტრიალებ ჩემს პოეტურ შემოქმედებას,
გადმოხვეწილი სიშორიდან ლურჯი ფრინველი.

ნუთუ მთავრდება ჟამი პოვნის, ჟამი ძიების?
იმღერე სულო! სანამ ბნელში ჩაიძირები!..

**12. 09.03.**

**მოსკოვი**

* * *

ომ დღეთა ხსოვნა, ჩემს გულს, როცა მოეძალება,
კაცი ერთბაშად ტკივილებად, დავიქცე ლამის!
უმტკივნეულოდ ვერ გავექეც, ფერიცვალებას
და შემოდგომის მოირხევა მინდორზე ღამე...

ფიქრით ათასჯერ ვუბრუნდები, იმ ძველ ნაპირებს,
როგორც ზღვა ტალღებს – ხსოვნა ერთობ ლანდებს მოდენის!..
უკვე ოცნებით ვეღარ ვწვდები ზეცის საფირონს,
ვერც სხივგაძარცულ მზის ამოსვლას დაველოდები.

გაუსაძლისი გახდა ჩემთვის, დღეთა ჭენება,
ვერ იქნა, ვეღარ გადავთელე - ჟამის ბუნაგი!
მაინც მივქრივარ მომავლისკენ შეუჩერებლად,
ნუთუ უმიზნოდ და უომრად, მოვწყდე უნაგირს?!

ო, რა უღმერთოდ გამეძარცვა შენი მშვენება,
ნუთუ ამ ტანჯვას არაფერი არ ეშველება?!

**26. 09.03.**

**მოსკოვი**

* * *

ისევ აცურდა შემოდგომის ღრუბელი ცაზე,
ავდარი უტევს ჩაყვითლებულ ხეების წყებას.
გარშემო ზამთრის ნაცრისფერი ნისლები წვება
და მე შევდივარ ბაღში მძაფრი ტკივილით სავსე!..

აქ სანახევროდ გაძარცული ხეები დგანან
და სულს მიშფოთებს, მათი ჩუმი კვნესა, ტირილი!..
ყვავილებს თავი დაუხრიათ, კვლავ სიმძიმილით,
თითქოს, მათ ყელში გამოუსვეს უეცრად დანა!

ზამთარი უკვე მობაჯბაჯებს, დათვივით მოდის
და ამღვრევს სივრცეს, ქარიშხალი შემზარავ სტვენით...
ო, რა ულმობლად, აქ ყველაფერს ეცვალა ფერი,
შეხედე, როგორ იწურება დღე შემოდგომის!..

მე ბევრჯერ მახსოვს, შენი თრთოლვა და აღტაცება,
როგორ არ მინდა, ისევ ვნახო შენი დაცემა!

**20.10. 03.**

**მოსკოვი**

* * *

ასე საოცრად წარსულს რატომ ველაციცები,
ან დემონები, უცნაურად რისთვის მზვერავენ?
დრო მიდის, მაგრამ ღელვა სულაც აღარ მიცხრება,
ნუთუ ეს ხდება ყოველივე ძალით ზენარის?!

ეს გული ბევრჯერ დამისერეს, ჭაბუკს დანებით
და ჩემს ჭრილობას, დააფარეს შემდეგ ჩრდილები!..
ქამი უხეში ველარ ითმენს, შემოდავებას,
სურს გადამთქეროს, რადგან, აღარ ვემორჩილები!

ო, ეს სავალი ვხედავ ისევ, როგორ რთულდება,
მინათებს სივრცეს, შემოდგომის სხივთატეხილი..
დრო მიდის საღლაც... იცვლის ფერს და მიმართულებას
და ჩემს წინაშე მოჩანს რუხი უღელტეხილი!..

თუ დავეცემი გზაზე სადმე მოულოდნელად,
შერჩებათ ლექსებს ტკივილები მთებისოდენა!..

**15. 11. 03.**

**მოსკოვი**

* * *

მე ჩემ წილ სივრცეს გავაჯერებ, ძვირფასო, დარდით,
რადგან ამქვეყნად, უჩვეულო წამება მერგო...
დავდივარ უხმოდ და გულიდან ცრემლები დამდის,
რომ ვერ აყვავდა, ჩემს წიაღში, ფარული ნერგი!

და ჭრილობებმა, დღემდე ველარ შეიკრა პირი,
არ ითქმის ენით, ამ ტკივილმა როგორ ამანთო!..
და შავი ფრთებით, დამსისინებს თავზე ვამპირი,
დავხეტიალობ, სადღაც შორს, შორს, უმისამართოდ..

გამოვეთხოვე ჩემი ქვეყნის სევდიან ხედებს,
ვერ გამიგია ვერაფერი... ჟამის დინების!..
თავისუფლების მწვანე ზღაპარს ამაოდ ვენდე,
მითრევს მორევი და მე კი ხავსს ვეპოტინები!..

ეს საუკუნე გახდა ჩემთვის, გაუსაძლისი!
ამ ბოროტების ვერ შევიცან, – რაა საწყისი?!

**17.11.03.**

**მოსკოვი**

* * *

თოვლმა დაფარა ჩემი მინდვრის, მწვანე ხავერდი,
ო, რა სიამით მაგონდება - წლები ბავშვობის...
ჯოხის ცხენებით, რომ ვიწყებდით თოვლში ლაშქრობას,
იმ წლების ზღაპარს მე ყველაფერს შემოვავედრებ!

მას შემდეგ უკვე ეს რამდენი წელი გავიდა,
მაგრამ ფიფქები მოშრიალე მაინც მახარებს!
ცაო ლამაზო, შენი ურთოლვა გადმომაღვარე,
თითქოს ვიწყები ამ თოვაში უკვე თავიდან!..

საით წავიდა ის ხატება სათაყვანები?
ვინ მოთვლის ახლა, რამდენი მაქვს მოსაგონარი!..
მე იმ დღეების სანატრელის ისევ მონა ვარ
და საუკუნოდ ის თვალები კვლავ მეყვარება!

რბიან დღეები, გარდასული ისევ ხმიანობს,
არ დაცხრე, გულო, ო, მუდამჟამ ომახიანო!..

**23. 11. 03.**
**მოსკოვი**

* * *

ამ ცას და მიწას, ალბათ, დიდხანს ვემახსოვრები,
საცაა, მთა –ბარს მოაწყდება ქარი აშარი!..
დგანან ხეები მდინარის პირს, როგორც მსტოვრები,
ცურავს სივრცეში ვარსკვლავების - თეთრი ლაშქარი.

მიდის ცხოვრება ხევხუვებით, ვით მთის მდინარე
და მის სივრცეში მღვრიე ტალღა ფეთქავს ულევი!..
იმღერე სულო! დიდხანს აღარ გაუჩინარდე,
მიართვი მერმისს, შუქით სავსე თაიგულები!..

შენ, ამ მიწაზე არ გივლია უმტკივნეულოდ,
თუმც, ბევრი გახსოვს, დღე ლამაზი, ღამე ნათელი!
არ გაქვს უფლება დამივიწყო, გულის რჩეულო,
რადგან, მე შენში - სიყვარულის ვანთე სანთელი!..

მოდის ზამთარი... ალბათ გული ღელვას მორჩება!
ცვივა ფოთოლი... მაგრამ ბაღი კვლავ ინორჩება...

**25. 11. 03.**
**მოსკოვი**

* * *

აქ ყველაფერი დროის ფრთებზე მიედინება
და უძრავსა და გაქვავებულს ვერაფერს ნახავ...
დრომ იცის ჩუმი ჩასაფრებაც, თუკი ინება,
თუ გაგიმეტა – ის ათასჯერ გაძგერებს ლახვარს!..

ტკივილს და ცრემლებს, იშვიათად გაიზიარებს,
მის მკაცრ დინებას, რომც გინდოდეს, ვერასდროს შეცვლი!
ვერას შეასმენ, გულს საშინლად დაგიზიანებს,
თუნდაც უყვირე – მიაყარე ყრუ კედელს ცერცვი!..

ის ყველგან მეფობს, გაუთელავს არაფერს სტოვებს,
თანაც ფრთხილია, ფოცხვერივით მუდამ ფხიზელი!
თუ მიენდობი, – შუქს მოგაღვრის საოცრად ცხოველს,
ხან ისე გაგხდის გაწყვეტაზე გქონდეს კისერი!

მიდის და ანგრევს ათასობით ქვეყნებს, ქალაქებს
და მერე სიკვდილს უმოწყალოდ მოაბალახებს!..

**29. 11. 03.**

**მოსკოვი**

* * *

მე დავდიოდი ჩემს ქალაქში წუხელის სიზმრად,
იყო ქუჩები - ზამთრის რუხი ნისლით ნაფერი...
ვაყურადებდი არემარეს ეული, ფხიზლად
და აწყდებოდა ზღვა ნაპირებს, სხვა არაფერი!..

აქ სასაფლაოს, შემზარავი დუმილი იდგა,
ძლივს კრთოდა ნისლის სიშორეში მთვარის სხეული...
მე დავდიოდი უკაცრიელ ქუჩებში დიდხანს,
ისევ შხუოდა ქარის ფრთებზე ზღვა ამღვრეული!..

მთა საოცნებო დაეფარა უჟამო სევდას
და სიბნელეში ის ყრუდ იყო თითქოს ჩაფლული...
ირგვლივ ყველაფერს მხოლოდ მკვდრული სიჩუმე სდევდა,
არ ირხეოდა ო, იმ დღეთა აფრა ზღაპრული!

და ვიხსენებდი კაცი წარსულს, სულით ნათელით,
გავცქერდი ქალაქს - ბედისწერის ფლოქვით გათელილს!..

**12.12. 03.**

**მოსკოვი**

* * *

ვინ დამირბია უმოწყალოდ სულის სიმშვიდე?
კვლავ კივის იგი და სხეულში ველარ ეტევა...
ხელს, საყვარელო, შენი ტრფობა რომ არ მიშლიდეს,
 ეს იქნებოდა უკვე ჩემი ბოლო შეტევა!

რაც დღემდე ვნახე, ველარ გავხდი მისი ერთგული,
უსახურების, როგორ გავხდე კაცი მსახური?
მიემსხვრეოდა, როგორც ზვირთი, ჯებირს ეს გული,
მაგრამ მაჩერებს სულში გრძნობა გადანახული!

რატომ მევსება ხშირად ცრემლით, ო, ეს თვალები,
როცა ბილიკზე მივალ კაცი - უმისამართოდ?
რად გახდა ზეცა მოკიაფე – ნაფერმკრთალები,
ან მოგონებამ უცნაურად რატომ ამანთო?!

მე დღემდე შენთვის ავიტანე - ტანჯვა მრავალი,
რადგან ვიწამე ეგ შენი მზე, ამომავალი!..

**24.12.03.**

**მოსკოვი**

* * *

თოვს... გვიან ღამით აქ ყვავების არის ჩხავილი,
მამულზე ვფიქრობ და მე ძილი არ მეკარება!.
როგორ მაშფოთებს მოგონება, წლების ჩავლილის
და ლამის არის მიმიხუროს ქამმა კარები...

რა დამამშვიდებს, როცა მამულს უჭირს ესოდენ,
მიდის ეს ღამე უჩვეულო ღელვით, ხმაურით!..
რა მიჭირს მაშინ, შენი კვნესა რომ არ მესმოდეს
და არ არბევდეს ჩემს არსებას, როგორც ზღვაური...

შორსა ვარ შენგან, მაგრამ ტანჯულს კვლავ გეფერები
და გულს მითელავს, ეს წამება შეუდარები...
ჩამოდის თოვლი ეფინება მიწას ფენებად,
ვით გაძლოს გულმა ო, ამდენი შხამის დალევით?!

მე შენზე ვფიქრობ, მავიწყდება, სხვა საფიქრალი,
ქამმა რა მწარედ დამირბია, სულის ფიქალი?!

**26. 12.03.**

**მოსკოვი**

* * *

ჩვენ, ჩვენი წილი ოკეანე უკვე გავცურეთ,
რა გვრჩება? – წლები დასათვლელი ხელის თითებზე!
მზე სისხლნაკლული უკანასკნელ სხივებს გვაწურავს
და გვიცქერს ზეცა, შემოდგომის განაფითრები!.

სულ არ გვახსოვდა! – ეს რამდენი წელი გასულა?!
და მაინც ფეთქავს ორი გული დაუოკები...
მოჩანს ბილიკი ვარდფურცლობის ფერგადასული
და თეთრი ნავი – ზღვა რომ არხევს დაბმულს თოკებით...

ამ ზღვას და ხმელეთს, ვიცი, დიდხანს ემახსოვრება -
ჩვენი ღიმილი, ჩვენი თრთოლვა გაუხუნარი...
ასპარეზიდან გადის უკვე ჩვენი ცხოვრება
და რჩება უკან, ეს სოფელი მიწყივ მბრუნავი!..

როცა დავყოვნდით, მოგვისია ჟამმა ჭაღარა,
თუ სიყვარულით, ზეცამ ფიფქი, გადმოგვაღვარა?!

**27.12.03.**

**მოსკოვი**

* * *

ადამიანო, რად არ იშლი მხეცის ბუნებას,
შენ სილამაზის რატომა ხარ ასე მგმობელი?
მითხარ, რად გიჭირს სიკეთისკენ შემობრუნება,
რატომ ხარ, ასე უცნაურად, დაუნდობელი?!

ო, იქნებ დღემდე ვეღარ შესძელ - გარღვევა რკალის?
თუმც დასაბამით არ გქონია ამის სურვილი.
საითაც წახვალ, სისხლიანი მოგყვება კვალი,
გემსხვრევა თავზე... გუმბათები ოქროცურვილი!..

ო, ეს პლანეტა რატომ უნდა იქცეს, ჭაობად,
რატომ არ გინდა, რომ სამოთხის გახდეს ის დარი?
აზრი დიადი, რატომ იქცეს არარაობად,
რატომ მოვშალოთ ნაფეხური, მზისა და მთვარის?!

მე შენზე ვფიქრობ, მესმის ურჩი გუგუნი ღამის
და სირცხვილისგან, დედამიწა - გაწითლდეს ლამის!

**28. 12.03.**

**მოსკოვი**

* * *

ცეცხლი ედება, მეგობარო, ჩემს სხეულს მკაცრად
და გულიც ერთობ, მხოლოდ ცეცხლის ალმურში იწვის!..
ვერ იქნა, დღემდე ეს ტკივილი ოდნავ ვერ დაცხრა,
ვეღარ დავსძლიე, ამ ცხოვრების დღეები ბილწი!

ხანდახან, ერთობ უჩვეულო შემიპყრობს, განცდა,
ქარს დააქვს ველზე, მარად მედინს, სურნელი წიწვის...
არ ვიცი, ჩემზე ასე ძლიერ ღმერთი რად გაწყრა,
კაცი ვდგავარ და ბიბლიური ბუჩქივით ვიწვი!

მე გავიარე საუკუნის წამება, ჯვარცმა,
რამდენჯერ, გზაზე ულმობელი დავძლიე იჭვი!
ჟამი მიდის და დაუნდობლად - ნიადაგ მძარცვავს
და ამ ქაოსში ხშირად თვალის გახელაც მიჭირს!

მივდივარ მარტო, უსასრულო გზებით წამების
და ღღენიადაგ წლები არა – მამსხვრევს წამებიც..

**30. 12. 03.**

**მოსკოვი**

* * *

მზის სისტემაში ჩვენ სიცოცხლეს ამაოდ ვეძებთ,
თანამგზავრებით სიშორეებს ამაოდ ვკეცავთ...
იქნება სული უმეგობროდ ვერა და ვერ სძლებს,
ან იქნებ სწრაფვა სიმაღლისკენ, წყურვილად გვექცა?!

დედამიწაა ოაზისი, ტრფობის, ოცნების,
ადამიანმა ოღონდ ისიც დაამახინჯა!
მივალ ამაყად, მიწავ, შენით განაოცები
და აღარ მინდა, დაგამსგავსონ, დედავ, სახიჩარს!

რასაც აქ ვხედავ, ნუთუ იგი არაფერს ნიშნავს,
ნუთუ იმდენად ვერ ამაღლდა, გონება კაცთა?
რატომ ვაქციოთ ეს ზღაპარი ფერფლად და ქვიშად,
დუმილის კლიტე, რად დავადოთ ყველაფერს მკაცრად?!

ადამიანო, ნუ მოიხვევ პირქუშ საბურველს,
არაა ძნელი, მიწა ისევ გაუდაბურდეს!..

**10. 01.04.**

**მოსკოვი**

* * *

ბევრჯერ დაცურდი, მეგობარო, მოლიპულ გზაზე,
საბედისწერო გაიარე შენ მაინც ხიდი..
რამდენჯერ იყავ ულმობელი ტკივილით სავსე,
მაგრამ ცხოვრების მღვრიე მორევს, არ შეუშინდი!

გადაგდიოდა ქარიშხალი - კივილით თავზე
და თეთრ პერანგზე, ბევრჯერ გაჩნდა ზოლები სისხლის!..
ბრძოლის ველიდან არასოდეს არ მდგარხარ განზე
და ბოროტებას უცქეროდი, მუდამჟამს ზიზღით!..

იდექ ამაყად, არ გიცდია უკანდახევა,
მოჰქონდა დღეებს, უდაბური ქარები ქვიშის!..
მუდამ შეტევამ შენ სიცოცხლე გაგინახევრა,
თითქოს ამ ქვეყნად, მეგობარო, ბრძოლისთვის იშვი!

მაგ შემართება და სიმტკიცე იქცა თქმულებად
და მომავალი შენ ამაოდ დაგემდურება!

**19. 01. 04.**

**მოსკოვი**

* * *

**თემურლენგი**

შენ ხალხთა სისხლით გახდი ერთობ გაუმაძღარი,
ო, ამ სამზეოს მოევლინე, როგორც ურჩხული!..
სიკვდილ – სიცოცხლის მოსპე თითქმის - ყველა საზღვარი
და დღესაც კივის, მიწა, ხანძრით გადარუჯული!

იყავი წარღვნა, უდაბნოდან გადმოსროლილი
და მოგუგუნე, ულმობელი ცხელი ქარებით!..
ახლაც იჭრება შენი ხსოვნა სულში სოლივით,
სიკვდილს უგებდი კოშკს უძლეველს, თავის ქალებით!..

შენ დედამიწას მოევლინე კანონგარეშე,
ცოდვით ხალხების ცა და მიწა მწარედ ატირე...
შენ, ამ მიწაზე დაუნდობლად გადითარეშე
და სიცოცხლეზე უმოწყალოდ გადინადირე!

დრომ თან წაიღო შენი რისხვის, ყველა ტიტული
და იზმორები სიშორიდან, უკვე ფიტული!..

**23. 01.04.**
**მოსკოვი**

* * *

სულის სიღრმეში, უჩვეულო ვიგრძენ ნათება,
მეყოფა დღემდე, რაც წამება გადავიტანე!
ჩემი ყველა გზა, მხოლოდ შენკენ მიემართება
და ბედისწერას კვლავ შევები - ძალით ტიტანის!..

ისევ მეძახის, იდუმალი შენი ხატება
და ლაჟვარდები, ჩემი ზეცის ფერთა შრიალით!..
მზის ელვარებით ეს ღრუბლები, გაიფანტება
და ჩემს მინდორზე... აცურდება ლურჯი ნიავი...

აჟღურტულდება ჩემი ბაღის, ჭრელი ჩიტები,
დაეკიდება, რტოს, მტევნები იასამანი...
მერე სიმღერის მიტოვება არ მოგინდება,
ტრფობამ არ იცის, თუ რა არის, დროის სამანი!

მე შენზე ვფიქრობ, საყვარელო, გაუთავებლად
და აღტაცებით, ლამის არის, ენა დამებას!

**04. 03.04.**

**მოსკოვი**

* * *

სიტყვა და საქმე, სააკაძის ხმალივით გიჭრის,
ბორგავს ვეშაპი, მაგრამ ფარ-ხმალს არა და არ ყრი...
ჩვენ კარგად ვხედავთ, მეგობარო, თუ როგორ გიჭირს,
მსოფლიოს უხმე, მერამდენედ ჩაჰბერე საყვირს!..

ერის ტკივილი, მწვერვალივით აზიდე მაღლა,
რომ შენი ხალხის გასაჭირი, მსოფლიომ ნახოს!.
შავი ვეშაპი, ჩასაყლაპად მოაწვა ბაღნარს,
შენ კი ხანჯალი მკერდში – გულთან უმარჯვე ახლოს!

ეს მერამდენედ გადავურჩით, ნანგრევად ქცევას,
ერთობ გვაწამებს პოლიტიკა - ხალხების ჩაგვრის!
ჩვენ ხომ ერი ვართ საამაყო და არა სქემა,
კვლავ ვდაგავართ მედგრად, იალბუზზე რუსთველის ჩანგით!..

შენ ებრძვი მძლავრად ბედისწერის ულმობელ ტრიალს
და მოაქვს ისევ, გაზაფხულის სურნელი ნიავს!..

**19.04.04.**

**თბილისი**

* * *

ვარდის ბაგეო! აწი ველარ მოიცლი ჩემთვის,
ლაწვო მწყაზარო, უკვე ველარ გეამბორები!
დროო, ღიმილით ჩემს ჭაღარას რად შეაჩერდი,
რატომ დამიშრე საუკუნოდ - ტრფობის მორევი?!

სული წამებით იფოფრება, უკიდეგანოდ,
დღეებს მაისის სულ ამაოდ ვეჩურჩულები...
საით გაფრინდი, ყრმობის ჟამო, დაუდეგარო,
რად შემატოვე მწუხარება, ასე ულევი?!

ჟამთან ჭიდილში ვერას გავხდი, დღეები რბიან
და ცა ოცნების, მეძარცვება, გაუხუნარი!
ვერ გავატანე სიშორეში ტკივილი ნიავს
და მე შემოვრჩი - გზას მოლიპულს, ასე მჭმუნვარი!..

რად ამიკივლე, დროო, სული ხანძრის მოდებით,
ო, სიყვარულო! აწი ველარ დამელოდები!

**02.06. 04.**

**მოსკოვი**

* * *

შეწირებიან თაობები, თქვენს გულზვაობას,
გინდათ სიკეთეს, რომ დაუსვათ ბოლო წერტილი...
არამზადებო! – თქვენ ვინა ხართ? –არარაობა
და ბოროტება - უსაშველოდ თავაწყვეტილი!..

გადითარეშეთ დედამიწა, ბნელი გუგუნით,
არაფერია თქვენგან უკვე, მოულოდნელი.
არა აქვს ზღვარი სამზეოზე უგუნურებას,
სისხლის ზვირთებად და სიბილწედ ერთობ მოდენილს!

რა ულიმღამოდ კრთება ცაზე რწმენის სანთელი?
გზები ოცნების და სიკეთის გინდათ მოშალოთ!
რა ვუყო ამ სულს, ჟამის მძიმე ბორბლით გათელილს,
რომ ცა ზღაპრული საუკუნოდ დამიკოშმარეთ...

შეები ლექსო, სივერაგეს შმაგი კვეთებით,
ან გაიმარჯვებ, ან ბოლომდე მოიკვეთები!

**08. 09.04.**

**მოსკოვი**

* * *

ამ პლანეტაზე მე ვიცხოვრე - უმკაცრეს დროში,
ეს ყველაფერი ვინ მარგუნა, მითხარით, რაზე?
ჩემი ოცნების ცის თავანზე დაინგრა კოშკი
და მოვიქანცე ხეტიალით, მოლიპულ გზაზე...

ჩემი ქალაქი ვამპირების საბუდრად იქცა,
არ დამკლებია: ქარიშხალი, სეტყვა და თოში...
შემომიტია მერამდენედ ტკივილმა ფიცხლად
და მე ვბრუნდები, ჩემ სანუკვარ საქართველოში!..

სიკეთის ფესვი ვინ დაგლიჯა, ხელით მსახვრალის,
ეს ვინ ამივსო ჩემი ბაღი, სისხლის მორევით?
არ მინდა ვნახო, უკვე ჩემი ნამოსახლარი,
არც ის მინდორი – ნახტომებით ნიამორების!..

გემშვიდობებით სანახებო და ზღვის ნაპირო!.
და თან მიმყვება, სევდა - მძიმე და უნაპირო!..

**25.09.04.**

**მოსკოვი**

* * *

დადევი ფიცი, შენ საფლავთან, დიდი დავითის,
დაუჩოქე და ეამბორე მის დიად აჩრდილს.
მამულის ტრფობა უწმინდესი სანთლად აინთე
და შენ ამ ფიცის რაინდულად ერთგული დარჩი!..

უსულგულობით იდგა იგი დაღუპვის კართან
და კარგად ვიცით – რა ულმობლად ბრუნავს სოფელი!..
გადააფარა შენს გმირობას მფარველმა კალთა,
გამართე ბრძოლა მამულისთვის დაუნდობელი!..

შლიდნენ იალქნებს, მოვლენები, სისწრფით ელვის
და მხოლოდ ბნელი კოშმარული მეფობდა ირგვლივ.
შენ ვაჟკაცურად სამსახურში ჩადექი ერის,
რომ არ ექციათ კართაგენის ნანგრევად იგი!

ო, ისევ რწმენის, გამარჯვების მუსიკა უკრავს,
ვერ გაიხადა საქართველო - ვეშაპმა ლუკმად!

**20. 10.04.**

**თბილისი**

* * *

ფრთებს შლის სუსხიანს, ხეივანში ქარი ავყია,
მივყვები ბილიკს, შემოდგომის, მცირემოთოვილს.
დავდივარ ბაღში და ხეები ფოთლებს მაყრიან,
ხვალ ცხოვრების ხეს მეც მოვწყდები, როგორც ფოთოლი!

იზიდავს მიწა, ყოველივეს ძალით ზენარის,
დრო, ისევ მიქრის სიშორეში, შმაგი ჭენებით...
რად გახდი ასე, გულო ჩემო, მოუსვენარი?
უნდა იბრძოლო, სანამ აღარ ჩაესვენები!..

ო, როგორ გინდა, ჟამის აღარ გედგას უღელი,
ბევრჯერ მოსწყვიტე ცის სინაზეს, შუქისმტევნები!
შენ ბრძოლის ველზე სიმამაცით ხარ დაუღლელი
და რას დაგაკლებს, თუ დემონი... აგედევნება?!

შენ გრძნობ უთუოდ, თუ სიკვდილი ერთხელ მოგცელავს,
მერე ვერასდროს ვეღარ შეძლებ, უკუმოქცევას!

**24.10.04.**

**მოსკოვი**

* * *

დროისკვეთებას ველარ უძლებს, ფუჭი დიდება,
ცახცახებს იგი, საცოდავად, სიკვდილის კართან!
წარმავალია ყველაფერი - კაცობის გარდა,
რომელსაც ველარ შემობედავს, გაბედითება!

ნაფეხურები, რაინდული, რჩება ნიადაგ,
რომელიც სულაც არ მოითხოვს - ტაშს და შექებას.
სხვას კი ყველაფერს ჟამი სადღაც მიერეკება,
მხოლოდ კაცობა უძლებს მარად, თქეშს და ნიაღვარს!

იცის ცხოვრებამ: ამაღლებაც, რბევაც, დაცემაც,
გვახარებს დილა ვარდფურცლობის, როცა თენდება...
ო, თქვენ რომ არა, ეს პლანეტა მოითენთება,
თქვენი წყალობით, მიწა სუნთქავს, სხვა გატაცებით!..

თუ არა თქვენი შემართების, ნაღდი ბუნება,
ვერ აიცდენდა ეს პლანეტა - განადგურებას!

**01. 11. 04.**

**მოსკოვი**

* * *

ანგელოზებო, დაგიმსხვრიეს სივრცე ფერადი,
ეძებენ, ახლა თუ ვინ არის, მტყუან–მართალი!
უკეთესია ქარიშხალი დაუბერავდეს,
რომ მტვრად აქციოს, ჯოჯოხეთის, ეს სამართალი..

ის აღმოცენდა ნანგრევებზე... ბნელი ძალების
და ბოროტებას ბოროტება, უდევს, საფუძვლად!
მას ვეღარ შველის ხელოვნური ფერიცვალება,
მხოლოდ ამოთხრა–ამოძირკვა უნდა ნაფუძარს!

ეს სისხლიანი ნაფლეთები - დახოცილ ბავშვთა
გამოფინეთ და შეახედეთ მსოფლიო კარგად...
ქვეყნიერება სინდისისგან, ნუთუ მთლად დაშრა,
რომ ყველაფერი არსებული, სახეს რომ კარგავს?!

შენ წყევლა–კრულვით მოგიგონებს ყველა თაობა,
დასაბამიდან, რადგან იყავ, არარაობა..

**09. 11.04.**

**მოსკოვი**

* * *

**შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო,**
**შენ ისე ღრმა ხარ,**
**სამკვიდრო შენს ქვეშ, მტრად მოსულმა,**
**ვერავინ ნახა...**
**ანა კალანდაძე**

საუკუნენი გადმოვლახეთ: ბრძოლით, ყიჟინით,
მტრებს მტრებად ვცნობდით და მეგობარს კიდევ მეგობრად.
შეხედე, ეს ვინ გადაგვიდგა გზაზე გიჟივით
და რა ულმერთოდ, უმოწყალოდ გადაგველობა!..

გვეგონა, უკან მოვიტოვეთ, წლები უღრანი,
მაგრამ დემონმა, ისევ მღვრიე, ფრთები გაშალა!..
შეშფოთდა ძლიერ, როცა ქედი არ მოვუხარეთ
და ჩაგვიხერგა უსაშველოდ, ყველა გზა-შარა!

ტანი ზღარბივით შეუმოსავს ეკალ–ბარდებით,
იბერება და... თავის კანში ველარ ეტევა.
მოისურვებს და ყაჩაღივით მოგივარდება
და ყველა ფრონტზე დაუნდობლად იწყებს შეტევას!..

სხვა გზა არაა – საქართველო უნდა გადარჩეს,
ის ამ ველურსაც, გამოუტანს ალბათ, განაჩენს!..

**05. 01. 1998.**

**მოსკოვი**

* * *

ო, ასე უღვთოდ, ვინ წამგლიჯა ღმერთის წყალობა?
შავი დღეები, ჩემს ქვეყანას, ახსოვს მრავალი!..
ჩემი სამოთხე სისხლით, ეს ვინ დამიჭაობა,
მზე გაზაფხულის, ვინ ჩამიქრო ამომავალი?!

მხარე ზღაპრული, დაამსგავსა არარაობას,
ნისლი წითელი, კვლავ გადადის ზღვაზე ზმორებით!..
ო, როგორ უჭირს დღემდე სუნთქვა მიწას ნაომარს,
შეწყდა გალობა ჩემს ბაღებში - იადონების!

ვინ მომიდრიკა მწარე ფიქრით, მთები მაღალი?
ვინ შემატოვა ტკივილები გაუყუჩები?
მოდით, იხილეთ ამ ველურთა ნაყაჩაღარი,
რომ უცოდველთა სისხლით მორწყეს გზები, ქუჩები!..

ჩემი მამული, სისხლის წარღვნით, ეს ვინ წალეკა?
შურისძიების ზარო, მითხარ, როდის დარეკავ?!

**09.01.05.**

**მოსკოვი**

* * *

შენს სიახლოვეს მე თავს ვგრძნობდი, ვით თევზი წყალში,
რომელიც ცდილობს არ გასცილდეს ჯადოსნურ სამანს
მწუხრის ნიავი, შენს ყვავილნარს, ცრემლებით ნამავს,
მოვა ზამთარი და გულცივად, ყველაფერს წაშლის!..

იმ დღეთა ხსოვნა, ცისარტყელას იალქნებს გაშლის,
რომელიც მუდამ სიშორეში მიეფინება...
შეხედე, ერთი, ამ ზვირთების პირქუშ დინებას,
არარად აქცევს, მეგობარო, ის დროთა კავშირს!

კვლავ ირხევიან, მოგონების თეთრი ჩრდილები,
რომელსაც მიაქვს მწუხარება, სხვა არაფერი!
ის ზეცა ჩაქრა, ვარდფურცლობის შუქით ნაფერი,
რადგან, ყოველი, რღვევა–დაშლას ემორჩილება...

სულო, რას უცდი? – სამზეოზე სანამ ტრიალებ,
დროს არ მოეშვა და ბოლომდე გაატიალე..

**30. 05.05.**

**მოსკოვი**

* * *

შენ უიმედოდ ყრუ კედელთან მიმდგარხარ ჟამის
და ზვირთთა მღვრიე მოზღვავებას ველარ ანელებ!
ო, რა ულმობლად მიგუგუნებს დღეები შავი
და სულის აფრებს, დრო გიწეწავს აუტანელი!

შორს, შორს მიცურავს განთიადის ღრუბელი მრეში,
ეს რა ულმობლად მოიქანცე, დღეთა ჭენებით!..
არ დაგკლებია: ქარბორბალა, ყინვა და თქეში,
ბობოქრობს ჟამი, უსაშველოდ შენაჩვენები!

შენ ცრემლიანი გაურბიხარ ნიავის ალერსს,
რადგან ხარ კაცი, მოფერებას შეუჩვეველი!
რამ შეგაყვარა უჩვეულოდ ღამე და მთვარე
და უცნაური მდუმარება შორი ტყე–ველის?!

ვერ იქნა ველარ, დაამსხვრიე საკანი რკინის,
დგახარ მდუმარედ, მაგრამ სული საშინლად კივის!..

**15. 08. 05.**

**თბილისი**

* * *

მიქრიან დღენი, სიშორეში - კივილით, ქშენით,
შენ კი დაღმართზე, გადაღლილი, ღელვით ეშვები..
ფრთებს კეცავს სული სამზეოზე, ვერავინ გშველის,
მიდიხარ მარტო და არავინ გენუგეშება!

მიქრიან დღენი!.. უკვე ფინიშს უახლოვდები,
არავინ უწყის, თუ რა არის, ამ მიჯნის იქით!..
უიმედობას შეუტიე, ნუ დაღონდები,
თავს ნუ დაიღლი, მეგობარო, ამაო ფიქრით!

მოველდით ღელვით, ქვეყანაზე ბრძოლისთვის ვიშვით,
იარე მშვიდად, ნე იქნები განახელები -
ნურც დაღონდები, თუ სიკვდილმა შეგბედა ქიში
და განშორების დაგიქნია ჟამმა ხელები...

აქ ყველაფერი კვლავ მორჩილებს ნგრევას, შენებას,
ფარდობითია სიცოცხლეც და გადაშენებაც!

**04.09.05.**

**თბილისი**

* * *

ამ ქვეყნად მხოლოდ, ერთხელ მოდის ადამიანი
და ბედისწერის განაჩენი არავინ იცის!
ვინ უწყის, ვისი, სად ჩაქრება დილა მზიანი,
სად გადაგვჩეხავს უფსკრულებში - ქურანა კვიცი?!

ბედნიერებას რა ხშირად ცვლის, უბედურება,
მოულოდნელად დაგატყდება, ცხოვრება რისხვით!..
შეხედე, როგორ იცვლის ნიღაბს დედაბუნება
და რატომ გიკვირს, თუ შეჩერდა ხმაური სისხლის?!

ფერიცვალების მოლოდინში, სული გრძნობს ტანჯვას,
დინებას დროის, ის ვერასდროს დაემალება!
ვერ დაეწევი სიშორეში გაფრენილ მარჯანს
და სულ ამაოდ რეკავს მკაცრად სულის ზარები!..

მოხვალ ცოტა ხნით, ტკივილებით იხეტიალებ,
რას იზამ, როცა ყველაფერი ასე ტრიალებს?!

**05.09.05.**

**თბილისი**

* * *

ისევ ამხედრდნენ, შემოდგომის ქარები ურჩი,
რომ შეუცვალონ ფერი ამ ჩემს ყანებს, ყამირებს
ხედავ, ყვავილებს უკვე თვალის გახელაც უჭირთ,
მოვა ზამთარი თოვლს და ყინვას ააყვავილებს!

ო, მოდის ჟამი, უცნაური ფერიცვალების,
შეხედე, მზეს ვინ დაულეწა, ოქროს მშვილდები?
სიცოცხლე, ისევ ირღვევა და კვდება წვალებით,
მოქრის გრიგალი - ტკივილის და არ დამშვიდების!.

რბიან დღეები, სიშორეში - კენტი და ლუწი,
სხივგაძარცული მზე სექტემბრის ღრუბლებს ეფარვის!..
საით მივდივარ, რომელი გზით, არავინ უწყის
და რჩება დღემდე, ყოველივე გაუგებარი!..

დავდივარ ჩუმად და თვალებზე, ცრემლს ვერ ვიშორებ,
ნუთუ ყოველი, ასე ერწყმის ღელვით სიშორეს?!

**07.09.05.**

**თბილისი**

* * *

ცის სიშორეში, ღრუბლის თეთრი მიცურავს ტივი,
მიყვარს შეფოთლილ, ტოტებგაშლილ ხეებქვეშ დგომა...
ჩემს სულში უკვე, გაზაფხულის ჩიტუნა ტირის,
მტკვარს გადავცქერი - სევდიანი, ვით შემოდგომა...

ჩემი თბილისის ისევ ვეტრფი ქუჩებს, ხეივნებს,
თუმც, რამდენ რამეს, რა ულმერთოდ, ეცვალა ფერი!
დუმს სული მკაცრად, ის არ არის დღეს მოზეიმე,
წავიდა ჟამი... სიყვარულის და აღმაფრენის!

გულხელდაკრეფით ვხვდები მთიდან მონაბერ ნიავს,
ვდგავარ მღელვარე და თვალებზე ცრემლშეუშრობი...
და მამჩნევია ეს რამდენი ჭრილობა ღია,
მაგრამ ვერ ვშველი, უჩვეულო სატკივარს მშობლის!

დავალ მწუხარე, ვერ ვიშორებ, ნისლის საბურველს,
ნუთუ ჟამთა სვლა, ყოველივეს აუდაბურებს?!..

**09.09.05.**

**თბილისი**

* * *

ნაღვლიანია დედამიწა შეღამებისას,
როცა სერავენ არემარეს, გრძელი ჩრდილები...
ბევრი გელოდე, მაგრამ ნახვა აღარ მეღირსა,
ვდგავარ ბექობზე, გადაღლილი, ფიქრით ვილევი...

აქ ყველაფერი ჩემთან ერთად მიედინება,
რა შორს ირხევა ჰორიზონტზე, ჩემი საწყისი!..
საით მივყავარ ო, ამ უქმურ მღვრიე დინებას
და რატომ გახდა ყოველივე გაუსაძლისი?!

მზის ბილიკიდან გადავდივარ მთვარის ბილიკზე,
ვუცქერ და ზღვაზე ცარიელი ნავი ქანაობს...
ო, ეს რამდენჯერ ამიცრემლა ჟამმა პირიმზე
და სევდიანი ჩემი ფიქრი შორს მიქანაობს!..

რა მემართება? – ასე დარდით რატომ ვივსები?!
რა დრო გასულა, – სივრცეს აღარ ვეხალისები!

**12.09.05.**

**თბილისი**

* * *

ო, დედამიწის დაღუპვის წინ ჩემი აჩრდილი
ნანგრევის ლოდზე ჩამოჯდება სევდანასვამი!.
დარჩება გზები გადახანძრულ, გადაჩრდილული,
დაფარავს ზეცას ყორნის ფრთები მრუმე სავსავით..

გაბზარავს კოსმოსს, ხმა ზარების - უკიდეგანო,
მზე ძოწისფერი, კვლავ აიკლებს... სივრცეს ბღავილით...
შორს, ჩამიქრება მოქათქათე მთვარის ზეგანი
და ატირდება ჩემი სატრფო – მინდვრის ყვავილი!

ცის უფსკრულებში, შთაინთქმება ხმები დიადი,
დაიწეწება, ჩემი სულის რბილი ქსოვილი!..
ჩვენს ნაკვალევზე რა დარჩება? – მხოლოდ წყვდიადი!
ჩაქრება სივრცე... სამუდამოდ, მოოქროვილი!

შენ მზის სისტემის, სათაყვანო იყავ ასული,
ცის უფსკრულებში ჩაიშლები მზეგადასული.

**14. 09. 05.**

**თბილისი**

* * *

**უნდა დაინგრეს კართაგენი..**
**სციპიონ აფრიკელი (უმცროსი)**

ამ ღრმა ჭრილობებს, გამიმრთელებს აწი ვერვინ,
მთელი სურათი ტრაგედიის მეშლება თვალწინ!..
როცა ქარები, ჩრდილოეთის, დაუბერავენ,
რად უსველდება ჩემს ქვეყანას, ცრემლებით ღაწვი?!

სისხლის ლანქერმა გადარეცხა ჩემი მთა–ბარი,
მახსენდება და... ზღვა კვლავ იწყებს, გრიგალში კივილს!..
ჩემი მამული, ისევ ბორგავს სისხლით ნაბანი
და მერამდენედ, სულში სევდის აცურდა ტივი...

ო, აფხაზეთო! ვინ აგანთო შურისძიებად,
ეს ვინ გაგხადა ასე გიჟი, სულით სნეული?!
მაგ ახირებას, რომ იცოდე შეეწირები,
მაგრამ ფერფლისგან, კვლავ აღსდგება... შენი სხეული..

შენ ნაწილი ხარ, საქართველოს განუყოფელი
და რატომ გახდი, ასე ულვთოდ - დედისმგმობელი?!

**15.09.05.**

**თბილისი**

* * *

ამოდის მთვარე, ცის თავანზე, ლაწვებმწყაზარი
და ათოვს მთა–ბარს მოელვარე შუქის ხავერდი...
დგანან მდუმარედ ო, ეს მთები უზარმაზარი
და მათზე ფიქრებს ბავშვობიდან შემოვაბერდი!..

როგორ გაუძელ ამდენ ტანჯვას, მამულო ჩემო?
ხან ხმლის კვეთებით, ხანაც კიდევ მონის უღელით!
დასაბამიდან ბოროტების ეომე დემონს
და შემართებით დგახარ დღემდე - მკლავმოუღლელი!.

კვლავ შლი იალქნებს, სიშორეში სამოგზაუროდ
და უჩვეულო სურვილებით, ისევ ინთები!.
ხან ჩრდილოეთის ქარი გიტევს, ხანაც ზღვაური
და ვერ დახურეს, მაინც შენი - გზები დიდების!..

შენ, ამ პლანეტის მემკვიდრე ხარ, თანაც თამამი
და წინ მიგიძღვის, სხივნათელი... დროშა თამარის!..

**16. 09. 05.**

**თბილისი**

* * *

ამ ჩემს ფანჯრებში გარიჟრაჟი ისევ იღვრება,
მოდის აპრილი და მოლურჯო, ფრთებს შლის ნიავი!
ციმციმებს ზეცა, სივრცის ყველა კარი იღება,
გადითქარუნეს რა ულმობლად, წლებმა სიავის!..

მაგრამ მამული, ვერ მიქციეს, მაინც იავარ,
თუმცა ბორგავდა, ჟამი მღვრიე, დაუნდობელი!
კაცი ფიქრისგან, დავემსგავსე პირქუშ იანვარს,
რადგან ვხედავდი, ჩემს მინდორ–ველს გვამებმოფენილს.

რა შორს წავიდნენ ის დღეები, შმაგი ჭენებით,
ო, ახლაც მესმის, სიშორიდან მსხვრევა ზარების!..
სივრცე კვლავ ბორგავს, კოშმარებით შენაჩვენები
და ნაკვალევი დარჩა მხოლოდ, დინოზავრების...

ვეთაყვანები სამზეოზე ისევ სამებას,
მზე კვლავ ამოდის, მრავალტანჯულს მოგესალმება...

**20. 09.05.**

**თბილისი**

* * *

რად განიძარცვე ასე უღვთოდ, ხეო მაღალო?
ირხევი ქარში ჩრდილოეთის –შავი მანდილით!..
ნუთუ დაბნელდა შენთვის უკვე მთელი სამყარო
და დგახარ მარტო, რუხი ნისლით შემობარდნილი.

მზე არ ამოდის და გევსება სული ნაღველით,
სად გაიფანტა, იდუმალი შუქი ცხოველი?
შენ უძლეველი იყავ და თან ბევრის მნახველი,
ახლა სად არის, ძველი ღელვა დაუცხრომელი?!

დგახარ ბექობზე მოცახცახე, თვალცრემლიანი,
უბრალოდ, ჩქამიც გაკრთობს ხშირად, არვის ენდობი!
არ გიშრიალებს ხავერდოვან რტოებს ნიავი,
რად გახდი მსხვერპლი - ტკივილის და უიმედობის?!

იყავ ზღაპარი, საოცნებო ქნარი მგოსნების,
მოვა აპრილი და სიმწვანით შეიმოსები!..

**06. 10.05.**

**მოსკოვი**

* * *

აღარ შემოგრჩა რტოები თითქმის,
შენ უმოწყალოდ გრიგალთან შეხლილს!
ღრუბლებში მთვარე მიცურავს თითბრის,
გიახლოვდება ელვა და მეხი...

მიწა ცახცახებს, უზომო შიშით
და სივრცეს ერთობ, ეცვალა ფერი!..
მე ვხედავ, მუხავ, ბრძოლისთვის იშვი,
იქეც სიმბოლოდ, შენ ჩემი ერის!

ეს მერამდენედ, ცის რისხვას უძლებ,
კვლავ მოესწრები - ტოტების გაშლას!..
დროსა და სივრცეს ეომე უძლებს
და არ დანებდე, რღვევას და დაშლას!

შენ შემართული, კვლავ დგახარ მედგრად
და ვერ გილეწავს, გრიგალი ბექთარს!

**12. 10.05.**

**თბილისი**

* * *

რომანტიკული გზები განვლე, ჩემი ცხოვრების,
მე არ ვიცოდი, თუ რა იყო კრთომა და შიში!
მშობლიურ ჭალებს საუკუნოდ ვემახსოვრები
და გაზაფხულზე ოკეანეს – ზღვის პირა ქვიშის!..

ვბრუნავდი წრეში მეგობრების, სავსე ოცნებით,
რა დამავიწყებს ერთგულებას, მათი გულების!..
ვრჩები იმ ჟამის, სილამაზით განაოცები,
მოჰქონდა დღეებს... სიყვარულის თაიგულები...

ახლა კი, რა ვარ? – თუმც, არ მინდა ამაზე ფიქრი,
ვინ შერჩენია ო, ამ სოფელს ბოლომდე რწმენით?!
ფერიცვალება წუთისოფლის საოცრად მიკვირს,
რომ შემატოვა მხოლოდ ცრემლით, თვალები სველი!..

სულაც არ ვცდილობ, დავუმოკლო დღეებს სადავე,
ო, რა შორს დარჩა, ის სილაღე და სისადავე?

**15. 10. 05.**

**მოსკოვი**

* * *

მოგსდევს დემონი, ულმობელი, გაჩენის დღიდან,
მზის სისტემაში შენ სიცოცხლის ზეიმად იშვი...
მიექანები და არც იცი, რა არის შიში,
ისევ უბერავს გაზაფხულის ნიავი ზღვიდან...

შენ სიკეთის გზით კვლავ მიარხევ - იალქნებს ფერადს,
დროით და სივრცით, არ გიგრძვნია რა არის მოღლა!
აღზევდა დღემდე – ეს რამდენი შური და ბოღმა,
და ფრთებიც ძლიერ შეეკვეცა, შენს აღმაფრენას!

ვერ იქნა, გზები ბოროტების, ველარ დავხურეთ,
ო, თუმცა რწმენა სიყვარულის, ძალუმად ფეთქავს..
ღამეებს, ისევ შენზე ფიქრით ვათენებ თეთრად,
რომ დროის ელვამ არ მოგტაცოს - მთვარის საყურე!

დღეს ხომ აქ შფოთვენ, ხვალ კი გავლენ მთვარის ყამირზე,
ჩემო პლანეტავ, რომ გაქციონ ბირთვულ სამიზნედ!

**25. 11.05.**

**მოსკოვი**

* * *

მიაყურადე, ცა ფარული ცრემლებით ირწყვის,
რასაც ჩადიან, არის თუმცა არაახალი...
მიქრის პლანეტა, დემონების სიცილ-ხარხარში,
არავის ესმის - უსაშველო ტკივილი მიწის!

აფეთქებებით, თქვენ ბირთვულით, ზეიმობთ, რატომ?
როცა მას მოაქვს ბოროტება აურაცხელი!..
არცერთ ატომისტს აღარ ვხედავ დღემდე დარცხვენილს,
თუმც, კარგად ვიცით, აფეთქებით რა მოაქვს ატომს!..

გაუხუნდება სამოსელი ცასა და ხმელეთს,
ეს, რომ ვერ იგრძნო, შენ უთუოდ ბრმა უნდა იყო.
როცა სიცოცხლე ალტაცებით გვეძახის, გვიხმობს
და მზე და მთვარე სიყვარულით არიგებს ფერებს!..

უსახურებავ, დემონური გრძნობა დაიცხრე!
ფრთხილად, სიცოცხლევ! თორემ რღვევას, ველარ აიცდენ!

**28. 11.05.**

**მოსკოვი**

* * *

მიდის ცხოვრება და თან იცვლის ფერს და კალაპოტს,
ხან ცისკარს ვუხმობთ, ხან ვირხევით მწუხრის ჩრდილებად..
რამდენიც გინდა ეფერე და ელაპარაკე,
ის შენს სურვილებს, არასოდეს ემორჩილება!

როცა გრიგალი მოვარდება, ზღვა მოგუგუნე
მღვრიე ზვირთების მოზღვავებით ხეთქავს ჯებირებს...
ვიღაც გვაბრძოლებს - საუკუნე ცვლის საუკუნეს,
მაგრამ ბოლომდის, არასოდეს გვამარჯვებინებს!

მზერით ვაწყდებით, ყორნებივით ღრუბლებს აშლილებს,
სივრცე ცახცახებს! ულმობელი შიში გვეძლება!..
ცა კი მიწასთან ფარიკაობს ელვის დაშნებით,
ო, ასეთია წუთისოფლის შემოქმედება!

მზემ სიშორიდან, სიბრალულით ბევრჯერ დაგვხედა,
როცა ცხოვრებამ, დაგვამსგავსა ბებერ სახედარს!

**03. 12.05.**

**მოსკოვი**

* * *

ო, სულში თითქოს, დოქით სევდას, ისევ მისხამენ,
როგორ ბობოქრობს, უმოწყალოდ ჟამი წყეული!..
კვლავ ეხეთქება ამ წყვდიადში, ჯებირს მრისხანედ,
ზღვა მარად ურჩი, კალაპოტში ვერ მოქცეული!..

მე შენზე ვფიქრობ, ტანჯვის ოფლი მწყდება შუბლიდან,
დრო მიქანაობს. დღენიადაგ განსჯას ვუნდები...
თუ ავიშალეთ, მეგობარო, ერთხელ სუფრიდან,
აქ, ხელმეორედ, ვერასოდეს ვერ დავბრუნდებით!

ვართ გახლართული ბედისწერის, ქსელში ნიადაგ,
აიკლეს სივრცე, შემოდგომის მღვრიე ქარებმა!
მატარებელი ჩვენი უკვე აცდა ლიანდაგს
და უფსკრულისკენ მთელი ძალით მიექანება...

ღამის კოშმარებს კვლავ გაურბის სული ეული,
ამ წუთისოფლის სივერაგით გადარეული!..

**10. 12. 05.**

**მოსკოვი**

* * *

შიმართულებას ეს ცხოვრება, ნიადაგ იცვლის,
ხან აღმა მიდის, ხან კი დაღმა მიექანება!..
დღეს ფრთებს შეგასხამს, ხვალ რას გიზამს, არავინ იცის,
ხან ნიავს გირხევს, ხან აგიკლებს ზამთრის ქარებით!.

მოულოდნელად გადაგივლის თავზე ზვირთებად,
როცა სიცოცხლის აფრებს გაშლი, კაცი ხალისით...
და შენ ყოფნიდან არყოფნაში გადაირთვები
და ყველაფერი სიშორეში წავა თავისით!..

მიხვალ ბილიკზე, ქამი ყორნის თვალებით გიმზერს,
პირდაბჩენილი უფსკრულები გიახლოვდება..
მხოლოდ ლექსები სიყვარულის ჩავწეროთ ფირზე,
რომ იგრძნოს სულმა, უჩვეულო ცეცხლის მოდება!

სანამდის ვცოცხლობთ, თავს ნუ ვიღლით ამაო ფიქრით,
არავინ იცის, მეგობარო, საითკენ მივქრით!..

**11. 12. 05.**
**მოსკოვი**

* * *

ერთი მითხარით, აქ სად არის დემოკრატია?
არ ჰგავს ცხოვრება, ღვთაებრივი ნებით ანაგებს.
თავისუფლებას ვეძებთ ყველგან გზებით მარტივით,
მაგრამ მსოფლიოს, იარაღის ძალა განაგებს!.

კაცობრიობა ოსტატია ნგრევის, შენების,
ო, აქ რაც ხდება, ვერ აღრიცხავ, იმას ციფრებით!..
ამაოდ ვტკბებით ცის და მიწის ფერთა მშვენებით,
რადგან განაგებს დედამიწას ლიუციფერი!.

ბნელმა ძალებმა, ეს პლანეტა გაინაწილეს,
იდგამენ გვირგვინს საიმედოდ, ღმერთის სახელით!..
დაიმორჩილეს საუკუნოდ დრო და მანძილი
და ვხედავ მხოლოდ, დემონების თვალებს გახელილს!..

ჭეშმარიტებას აქ ვერავინ გაეკიდება,
ამაოდ ვისმენთ, სათნოების ხოტბა–დიდებას!..

**12. 12.05.**

**მოსკოვი**

* * *

ჩემს ბაღში ისევ, სუსხიანი ზამთარი მოდგა,
არ შერჩათ ხეებს, სამოსელი ტანზე ფოთლების...
მივაყურადებ, მესმის მძაფრი წუხილი, მოთქმა,
დაცხრა მდინარე, არაერთხელ შენაშფოთები!..

ჩემს ბაღში ისევ ო, რა მკაცრი ზამთარი სუნთქავს,
აჰა, საცაა, დაიწყება ფიფქების ჩქამი!..
ღრუბლის მორევში მიირხევა ფერმკრთალი თუთა
და მოლოდინში გატრუნულა ეს გრძელი ღამე...

მოფრინდებიან განთიადზე, თეთრი ჩიტები,
დაიზნიქება მათი ფრთებით, ტოტები ხეთა...
ვდგავარ სევდისგან, უჩვეულოდ განაფითრები!

და, როცა ბაღი მოირთვება, ფიფქებით თეთრად,
აცახცახდება წყარო ისევ მთელი სხეულით,
სიმს ააკვნესებს ფაშარ თოვლში, სკვინჩა გრძნეული.

**25. 12.05.**
**ბანძა**

* * *

ო, გულო, იქნებ მოიქანცე ბრძოლით, შეტევით
და ამ უაზრო თამაშიდან გასვლა მოგინდა?
ვერ გაარღვიე ჯებირი და ზედ ეხეთქები,
ეს თავგანწირვა, მე არ ვიცი, თუ რას მოგიტანს?!

ასე უზომოდ ვინ აგანთო, ბრძოლის სურვილით?
ბევრჯერ ჩაები ფიცხელ ომში - შეხლა, კვეთებით...
ისევ გეძახის მამულის ცა ოქროცურვილი,
იქით მიიწევ უჩვეულო თავგამეტებით!..

იბრძოლე მედგრად, სანამ შენში სისხლი ხმაურობს,
საომარ ველზე, იყავ მუდამ, მიუსაფარი!..
გამარჯვებული სული მარად, შორს მოგზაურობს,
რა მოხდა, თუკი დაგაყარა... ნისლმა ფაფარი?!

ჟამის გვირაბი გაიარე ბრძოლის საყვირით,
რომ დავიწყებამ არ ამოგდოს პირზე აღვირი!

**27.12.05.**

**მოსკოვი**

* * *

ქაცობრიობის ისტორია, შობეს ომებმა,
არაკაცებო, თქვენ რით დგახართ, მხეცებზე მაღლა?!
ო, ლამის არის, ეს პლანეტა წალეკოს წარღვნამ,
თარო, ამაოდ იზნიქება... ბრძნული ტომებით!

გაჩენის დღიდან, მტრად ექეცით, დედა–პლანეტას
და აჩანაგებთ ყოველივეს, რასაც ეხებით!
გათელილია უმოწყალოდ, თქვენი ფეხებით,
ო, ამ ვეება დედამიწის - ყველა განედი!..

სამოთხე მიწის, ვერ იქნა და ვერ შეიფერეთ,
იზმორებიან ველ–მინდვრები სისხლის ტბორებით!..
ეს რა ცოდვა გჭირთ, დასაბამით მოუშორები,
ო, ლამის არის ფერფლად იქცეს... ეს ბიოსფერო!..

სიცოცხლევ, რწმენას შენ ამაოდ, ეპოტინები,
შორს მიირხევა, ყოველივე თავის დინებით!..

**30. 12.05.**

**მოსკოვი**

* * *

ყინვის ბეტონში ჩაჭედილა მთელი ქალაქი
და ლამის არის სისხლმა ერთობ შეწყვიტოს დენა!
დაყრუვდა სივრცე, სულს არ ძალუძს აქ აღმაფრენა,
ვინ იცის,იგი რა ვეება სატკივარს მალავს?!

მზე ვერ ამოდის, ამ უმკაცრეს, ყინულის შიშით,
ქუჩაში მხოლოდ მანქანების განგაში ისმის...
უიმედობის სულს ედება ცახცახით ნისლი
და ჩიტუნები ვერ იტანენ წყურვილს და შიმშილს!

წარსული უკვე მისცემია აქ დავიწყებას -
უიმედობას შეუპყრია ქალაქი ერთობ!
ისიც ჩამქრალა, აქ რომ ადრე შუქურა ენთო
და დგას პირქუშად, მხოლოდ ცივი კედლების წყება.

მზე გაძარცულა და შიშისგან, მთვარეც ილევა,
ამის მნახველი, კაცი, ნაღდად გადაირევა!

**04. 01. 06.**

**მოსკოვი**

* * *

პირქუშ კედლებთან, დაბოღმილი ვდგავარ ეული,
დრო ისე მიდის, როგორც ქარში ღრუბლები შავი.
ვაწყდები სივრცეს, კაცი მღვრიე ფიქრების ზვავით
და დამჩხავიან ყვავ–ყორნები ცოფმორეული!

გავცქერ ამ ბუნაგს!  კაცმა ღელვა ვეღარ დავმალე,
ბრძოლის ველიდან, მოაქვთ ხორცი - სვავებს ბრჭყალებით,
ყველაფრისადმი სიძულვილით განიმსჭვალები, –
თავისუფლების, რომ გახედავ, ცოცხალ სამარეს!

ის ბოროტების შეკრულია ყველა ნიშანით,
ტანში გაჟრჟოლებს, შემოგხედავს როცა უბრალოდ.
სტრიქონებს ლექსის ისე ვისვრი, როგორც ყუმბარებს,
რომ ეს კედლები ჩამოირღვეს, ჩამოიშალოს!..

ფრთხილად იარე, არ მოგედოს თავად ხანძარი,
თორემ იქცევი გორმახებად - ფერფლის, ნაცარის!..

**10. 01. 06.**

**მოსკოვი**

* * *

ქეთილი ერთობ დავიწყებას ეძლევა უკვე,
ეს ცისქვეშეთი, ვინ აქცია დემონთა ბუდედ?!
გახედე ამ გზებს, ღვთის დაწყევლილს, სასტიკად მრუდეს,
რომ ბოროტება, ბოროტებას კვლავ გუნდრუკს უკმევს!

ეს უღმერთობა, ღმერთის სახელს რად ეფარება?
თქვენგან ჩადენილ დანაშაულს, არა აქვს კიდე..
კვლავ დიდ ტაძარში დადიხართ და ლოცულობთ კიდეც,
რომ გაიხადოთ ქვეყანაზე, ღმერთი მფარველად!

დღემდე, ვით შესძლო ამ პლანეტამ დაღვრილი სისხლით
ასე გაჟღენთვა, მერე მისი უჩინარყოფა?!
ამ დანაშაულს, მაგ თქვენს ხელებს ვერავინ მოჰბანს
და თქვენს ნაკვალევს, ღმერთი მაღლით დაჰყურებს ზიზღით!..

ვეძებ სათავეს ბოროტების, – ველარ მივაგენ!
და რასაც იგი იმსახურებს, ლექსით მივაგე..

**31. 01. 06.**

**მოსკოვი**

* * *

მზე ამოვიდა, ხეებიდან იღვრება თოვლი,
მივდივარ ამ თეთრ ხეივანში, დაღლილი ფიქრით..
ვერ გამიგია, ეს დღეები, თუ საით მიქრის,
ხან მრისხანებით ულმობელი, ხან კიდევ თრთოლვით!

ვხედავ მსოფლიოს - ამბოხებულს, განგაშებს სივრცე,
ნგრევას და ხანძარს, ამ მიწაზე, ბოლო არ უჩანს...
ო, ეს დღეები სიშორეში მიქრიან ფუჭად
და ჩემში მხოლოდ... აურაცხელ სატკივარს იწვევს!..

ცხოვრების მღვრიე ოკეანე აწყდება კედლებს
და ქარიშხალი უკვე სივრცის ლამობს დაშრეტას!
ტაძარი ხალხთა მეგობრობის ველარ აშენდა
და წუთისოფლის სილამაზეს, ამაოდ ვენდე!

ადამიანო, ამ მიწაზე იარე ფრთხილად,
თორემ გრიგალი, ატომური ჩაგიქრობს დილას!

**06.02. 06.**

**მოსკოვი**

* * *

როგორც რაინდი, ტრიბუნალის წინაშე იდექ,
გასამართლებდა მართლის თქმისთვის, მსაჯულთა ბანდა!..
ო, ეს რამხელა სატკივარი შენ ერთმა ზიდე
და ჩამოხიე ბოროტებას ბოლომდე ფარდა.

მართლმსაჯულება ქვეყნიური სიბილწედ სცანი,
მის გზა-ფარსებზე, რა ამაყად გადინადირე!..
შენ ტიტანივით აღიმართე და მთელი ძალით -
უსამართლობას ცხვირ–პირიდან, სისხლი ადინე!..

და სიცოცხლეში, საუკუნის გასცდი სამანებს,
შენი სახელი განახლების სიმბოლოდ იქცა..
ზრახვა “მამათა”, რადგან ცოცხლად დაასამარე,
ვერ შემოგბედავს დავიწყებას – ეს დედამიწა!..

დრო, ერთ ფოთოლსაც ველარ მოსწყვეტს, მაგ შენს დიდებას,
რადგან შესძელი ულმერთობის გაბედითება!..

**12. 03.06.**

**მოსკოვი**

* * *

რა დაგიშავათ ამ პატარა გოგონამ, ნეტავ?
მშობლების თვალწინ, რომ ულმობლად აკაფეთ დანით!
განბანეთ სისხლში კალმახივით მფეთქავი ტანი,
დავალ მდუმარე, ვერ ვიშორებ ტკივილს და სევდას!

შეხედეთ, დღემდე ქუჩა როგორ ცახცახებს შიშით,
შეხედეთ ხეებს, ნანახით და განცდილით მოხრილთ...
კვნესის მიდამო და მევსება სხეული ბოღმით,
არამზადებო, მხეცის გულით, ნეტავ სად იშვით?!

ამ პატარას ნეშტს, ო, თერთმეტი ჭრილობა მიაქვს,
რას უცდი, ყველას გასაგონად, იყვირე გულო!
ასი ათასჯერ გადამწვარო და გადახნულო,
არ შეურიგდე, საუკუნის ჭრილობებს ღიას!

თუ ეს შური და სიძულვილი, ვერ ამოვბუგეთ,
მაშინ ქვეყანა დაღუპულად, ჩათვალეთ უკვე!

**27. 04. 06.**
**მოსკოვი**

* * *

შენ გული გტკივა შემუსრული, ამდენი განცდით,
რატომ და რისთვის ყოველივე? – განსჯას ვუნდები...
უნდა იყვირო განწირულმა, ვერ გაჩუმდები,
და ლამის არის, წამებისგან, ორბიტს რომ ასცდე...

ვხედავ უსაზღვროდ მგლოვიარეს, გული ღონდება,
ო, ყველგან მეფობს: ბოროტება, სისხლისღვრა, ომი!..
აქ ყველაფერი არყოფნის ზღვარს უახლოვდება,
რაა მსოფლიო ისტორია? – ბრალდების ტომი...

გულის სიღრმიდან, ლამის ლავამ იფეთქოს სისხლის,
ჩემო პლანეტავ, ეს რამდენი ტკივილი ზიდე!..
ვერ იქნა დღემდე ბოროტებას, ვერ განერიდე,
შენ ხომ მსხვერპლი ხარ, უცოდველი, შურის და ზიზღის!

ო, დგანან ისევ, მგლოვიარედ, მთები მაღალი,
მიგაქვს სხეული ნაძარცვი და ნაყაჩაღარი!..

**14. 05. 06.**

**მოსკოვი**

* * *

მიყვარდა შენში ხმა მუდამჟამს თავისუფლების -
ხან ბულბულივით მოგალობე, ხანაც მყივანი!
ეს იყო შენი მოუდრეკი სულის სუფევა,
ო, შემართული ცისქვეშეთში, როგორც მყინვარი!..

დაუნდობელი მტერი იყავ - ჩაგვრის, მონობის,
არ გაგივლია სამზეოზე, გზა უფერული!
სწვდებოდა მწვერვალს სიდიადე შენი გონების,
გზას იკაფავდი ჯევარდნით და დავითფერულით!..

მზე დაგცქეროდა იმედივით, დიდი თამარის,
დიდხანს ბორგავდი სასიკვდილოდ, ხელში ურჩხულის!..
ბარბაროსებმა გადმოლახეს, ვრცელი ტრამალი
და წალკოტები შეგვატოვეს - გადარუჯული..

ერკინებოდი შენ გრიგალებს – მუხა ბებერი,
რადგანაც გქონდა, სული მარად აუღებელი!

**05. 06. 06.**
**მოსკოვი**

* * *

ნუ დავაჩქარებთ, მშობლიური პლანეტის სიკვდილს,
ო, ნუ ჩამოვჭრით იმ ტოტს, რაზეც ლამაზად ვზივართ.
კაცთა ბუნების სივერაგე საოცრად მიკვირს,
მივდივართ სადღაც და არ ვიცით, საითკენ მივალთ,

შეხედეთ, კარგად, დედამიწას, უკვე ფერმიხდილს,
აწამეს იგი დემონებმა – ვერაფერს გახდა!
ნუ დავაჩქარებთ, მშობლიური პლანეტის სიკვდილს,
თვითონ ბუნება, ლამის არის, გადიქცეს სახტად!

დავგლიჯეთ მკერდი სალოცავი, რომლითაც ძუძუს
გვაწოვებს იგი, გადავთელეთ მძიმე ჩექმებით!
ალბათ მიწაზე, მანამ აღარ მოვიშლით ძუნძულს,
ცის უფსკრულებში, სანამ აღარ გადვიჩეხებით!..

ამ ცის დედოფალს, ტრფობით უნდა ვადგამდეთ გვირგვინს
და ლამის არის მზის სისტემას მოვგლიჯოთ იგი!

**10. 06. 06.**

**მოსკოვი**

* * *

**ვაი – პოლიტიკოსებს**

ეს მერამდენედ, უმოწყალოდ დაღვარეთ სისხლი,
დავითის მიწის მწარედ ხვნეშის ყოველი გოჯი!
ათიათასჯერ ღირსი გახდით წყევლის და ზიზღის,
სულით ღატაკნი და გონებით ნიადაგ კოჭლნი...

თქვენ არცხვენთ დიდი პუშკინის და ტოლსტოის მხარეს,
ო, რა ულმობლად ამიჯანყეთ ეს გული მკერდში...
დღევანდელი დღით ცოცხლობთ მხოლოდ, ვერ ხედავთ ხვალეს, –
გზაჯვარედინზე ყრია თქვენი ცოცხალი ლეში!

ბედდაწყევლილნო, რამ გაგხადათ ასე სატანა?
კაენის გზაზე მიბარბაცებთ, ჯალათნო, ოდით...
ტანით ვეება, რამ გაგხადათ სულით პატარა?
რად დამილეწეთ ჩემი ბაღი – ეს ატმის ტოტი?!

ქუჩაბანდებში ვხეტიალობ, მიუსაფარი
და შფოთავს გული... ღღენიადაგ სისხლით ნაბანი...

**05. 08.06.**
**მოსკოვი**

* * *

ო, რა ულმობლად დაგეღალა გული ამაყი –
ცხოვრების პირქუშ ჯებირებზე შეხლით, კვეთებით.
ვერ წაშლის ხსოვნის სილამაზეს ქვა და ბალახი
და მდუმარების ქსელში აღარ ჩაიკეტები!

შენ ბედისწერის მოზღვავებას ებრძოდი, მედგრად,
არ გიცხოვრია ქვეყანაზე - შიშით, ცახცახით!
შენ არ ხარ, მაგრამ, ო, ის გული კვლავ ჩვენში ფეთქავს
და რაინდული სიყვარულით მერმისს გასძახი...

არ გიკვნესია, ქამის ხეზე, ობოლ ჩიტივით,
ჩამოტყდა ტოტი და გაფრინდი მიუსაფარი!..
მე ბილიკებზე შენს ნაფეხურს, ისევ მივსტირი,
დასრულდა ჩვენი მეგობრობის - მოკლე ზღაპარი!

ვეღარ გაწვება შენს საფლავზე ნისლი ძაძებით,
რა შერჩა სივრცეს? – სევდიანი რხევა, ნაძვების!..

**29.03. 07.**

**მოსკოვი**

* * *

**ამერიკელი მსახიობი ქალის – გრეის კელლის**
**და მისი მეუღლის მონაკოს პრინცის საფლავზე აწერია:**
**"სიჩუმე, პატივისცემა."**

ნუთუ სიჩუმემ არ დაგღალა ამდენი ხანი?
შენ, დედოფალო სილამაზის, სიცოცხლის რხევის...
სად არის ახლა ის სინაზე, ხავერდი ტანის
და ლერწამივით მოგალობე სიმაღლე ყელის?!

ო, რამ დაშრიტა ბაგეები, სავსე ღიმილით,
ასფოდელოსის ველზე, იქნებ, ყვავილთა ჩქერში
მიცურავ ქალი... სად ხოხბების ისმის ყივილი,
და მიირწევა სიშორეში... ღრუბელი მრეში.

შენ გაზაფხულის მოშრიალე, იყავ ღვთაება
და შენი ხსოვნით, დედამიწა იდუმალ კვნესის!..
ო, შენი წასვლით, აფროდიტეს ენა დაება,
როცა სიცოცხლეს უცნაურად, ჩაუწყდა ფესვი!

ამ სამყაროში თუ რა ხდება, არავინ უწყის,
მხოლოდ დღეები ცვლიან ერთურთს კენტი და ლუწი!

**18. 04.07.**
**მოსკოვი**

* * *

ჩამოდის თოვლი, აქ მოსკოვში, აპრილის ბოლოს,
თოვლის ბალიშზე, კვლავ რამდენი, დაფორთხავს ყვავი!
ო, ეს დღეები, ჩემს ტკივილებს აშიშვლებს, მხოლოდ,
კვირტების ნაცვლად, ყველგან თოვლის ფიფქები ყვავის!

მივალ ქუჩაში, სულის ხანძარს არავინ მიქრობს,
მზარავს ქალაქი, ისე როგორც - საფლავის ლოდი!
და ტკივილებით დაცხრილული მამულზე ვფიქრობ,
ვის ველოდები, როცა ბოლო არ უჩანს, ლოდინს?!

ფიფქები უხვად ეფინება: ქუჩებს, შენობებს,
აპრილის ბოლოს –ეს რამდენი ფანტელი მოდის...
გული ვერ უძლებს ამ ბობოქარ დროს უშენობით,
ო, ეს წამება დამთავრდება, არ ვიცი, როდის!

სულის აუზი მერამდენედ მევსება ცრემლით,
არარაობის შემძლეობას, ბოლომდე ვწყევლი!

**24.04.07.**

**მოსკოვი**

* * *

შენ ჯოჯოხეთის ჩაირაზე შვიდივე კარი,
აწი იალქნებს სივერაგის უკვე ვერ გაშლი...
წახვედი, მაგრამ ო, რა შავი დატოვე კვალი,
რომელსაც დროის ნიაღვრები, ვერასდროს წაშლის!

დემონურ ძალებს უერთგულე, ბოლომდე კაცმა,
რა ურჩი ფრთები დააფარე, სიცოცხლეს ფერადს...
და ახლა, როცა ქარიშხალი იმ დღეთა დაცხრა,
ნერონის გვერდით, თავდაღმა რომ კიდიხარ, – მჯერა!

დემოკრატიის შენ სახელით, ჯიუტად მოხველ,
შენგან ჩადენილ ბოროტებას, ვერავინ მოთვლის...
შენ ისტორია თემურლენგის შეგარქმევს ბოკვერს,
რომ სპირტით მთვრალი, გახდი უკვე სისხლითაც ლოთი!

ლოცვა – კურთხევა რას გიშველის, დაწყევლილს ბედით,
შენ გაინაღდე სამყოფელი - ნერონის გვერდით!

**28. 04.07.**

**მოსკოვი**

* * *

ყოფნა–არყოფნის მძიმე სევდა რად დაგეუფლა?
შენ არ გამქრალხარ, დაიშალე მხოლოდ რითმებად...
განვლე მოკლე გზა, მაგრამ მაინც მადლობა უფალს,
რომ დავიწყებით, ის არასდროს დაიბინდება!..

ო, ვინ ჩასწვდება ყოვლისმომცველ იდუმალებას,
ვინ გაექცევა სიშორიდან - ქარებს მობერილს?
რატომ გვიზიდავს სილაჟვარდე ოქროსთვალება,
ვინ არის ნეტავ, სიდიადის შენის მფლობელი?!

გრძნობას, - სიმშვიდეს რად ანიჭებს უსაზღვროება?!
მიდის სიცოცხლე სიშორეში, როგორც სიზმარი...
ილეწებიან ჩვენი ყოფნის ქარში რტოები
და აქ მიწაზე, რჩება გზები ნათილისმარი!..

არავინ უწყის, საით მავალთ, როგორ მოვედით,
იქნებ სულია ყოველივეს... წინამორბედი?!

**10. 05.07.**

**მოსკოვი**

* * *

ქვლავ ითვლი დღეებს უკანასკნელს და ტკივილს შენსას,
ო, მე ვგრძნობ უკვე, სამზეოზე არა აქვს ზღვარი!..
შენს სადღეგრძელოს, სიყვარულით ბოლომდე შევსვამ
და განშორების, ვიცი, კიდეც დარეკავს ზარი!

შენა ხარ ჩემი, ბედნიერი დღეების მოწმე,
როგორ იქნება არ მიყვარდე, ძვირფასო ჩემო.
ბავშვობის თბილი ბილიკები, ცრემლებით მოვრწყე,
შენით ვიგრძენი წუთისოფლის ფერი და გემო!

ვინ მოიგონებს, ო, იმ ლამაზ დღეების წყებას,
ჩაბარდა ყოფილს, ყოველივე, რაც იყო წინათ...
შენს სანახებზე დავიწყების ბინდები წვება
და მე ჩამომდის თვალებიდან - ცრემლების წვიმა!..

მე კვირტი ვიყავ, შენ გამშალე და მზე მაცხუნე,
ოღონდ, ის წლები, ხელმეორედ რად მომაწყურე?!

**10. 06. 07.**

**მოსკოვი**

* * *

რად მოუსიე ჩემს ცას, ქარო, ღრუბელი ურჩი,
რად ამიტირე ვარსკვლავები, სულისზიარი?
რად გაუხუნე მზეს აპრილის სინაზე ფუნჯის,
ჩემი მთა–ბარი, ასე რატომ გამიტიალე?!

სიცოცხლის ველზე, ეს რამდენი, კივის მდინარე,
ედება სივრცეს, ქრუანტელი მთების გუგუნის!..
რად შემიშინე იალქნები, შეუშინარი,
შევრჩი ტრამალებს... უსხივოსნოს, ღამის უკუნით...

ზღვასა და ხმელეთს, რად მოედე ასე ავბედად,
ვინ მოგანიჭა, დაუნდობელს, ამის უნარი?!
მითხარი ქარო, შეუძლები, როგორ გაბედე,
რად გამიხუნე – ეს ჩემი ცა, გაუხუნარი?!

საიდან მოდის ო, ამდენი შიში და კრთომა?
დრო მიაბიჯებს გზაზე, როგორც ურწმუნო თომა!

**14.06.07.**

**მოსკოვი**

* * *

დღეებს მიმავალს, მოგონების ცრემლებით ვნამავ,
ამ გულს აჩნია ყოველივე, ძმობილო, ცხოვლად...
აქ ჩვენს ნაკვალევს, მოვარვარე დაფარავს ლავა
და ნასახლარზე არ დარჩება - უბრალო ხსოვნაც!

ო, ყოველივე არსებულის დაშლა და რღვევა
დიალექტიკის კანონია. წაუვა ვერვინ...
ჩვენ სამუდამოდ, ორთაბრძოლის ჭიდილის ტყვე ვართ
და მხოლოდ ხსოვნა შემორჩება, დროებით მერმისს!..

შიშით დაზაფრულს ვერ უშველის ცრემლი და მოთქმა,
როგორ არ მინდა, რომ ამ მიწას კრონოსი ერქვას!
სული ამაყი იმუქრება, ნიადაგ შფოთავს,
დრომ, რომ ლამაზი საბუდარი უქცია ფერფლად...

ააღორძინებს დრო ყველაფერს, მერე კი ღუპავს,
სხვა რაღა დაგვრჩა? – სული უნდა მივანდოთ უფალს!..

**20. 06. 07.**
**მოსკოვი**

* * *

ცახცახებს მიწა, ო, ამდენი სისხლის ღვრით, ომით,
და იმზირება ჩაღამებულ თვალებით სველით...
ვინ მოთვლის, დღემდე თუ რამდენი ამოწყდა ტომი,
ისევ გვებახის ათასობით საბრძოლო ველი!..

ხალხები, ასე ვინ აავსო შურით და გესლით?
სისხლის მორევში კვლავ მიცურავს, სიცოცხლის ტივი..
დასაბამიდან, ათასობით ჩონგური კვნესის,
ასი ათასი ისევ ტირის... გიტარის სიმი!..

გონიერების აქ სად არის ვრცელი სინათლე?
კაენის მოდგმა, კვლავ ატარებს - სამოსელს მხეცის.
ო, ვამპირებო! ამდენ ცოდვას საით მიათრევთ,
მშობელი მიწა, რომ გახადეთ ცივი და ბერწი!

კეთილი ბოროტს, ნუთუ ისევ ამაოდ ებრძვის?!
მორალს კითხულობ? – მიაყარე, კედელზე ცერცვი...

**23.06.07.**

**მოსკოვი**

* * *

მსოფლიომ, ო, რა ავბედითად იცვალა ფერი?!
საავდრო ღრუბლებს, ისევ ვხედავ საომრად აშლილს!..
ჩაკვდება სულის საბოლოოდ აქ აღმაფრენა
და ჩვენს ნაკვალევს, სამუდამოდ, გრიგალი წაშლის!

ო, კვლავ ირხევა, საომარი დროშების წყება,
შეხედე, მთები ისევ იხვევს, ბაძებად ნისლებს!.
რა მოგვიტანა, ყველამ ვიცით, მრისხანე წლებმა
და ყველა სახის იარაღი ჟღარუნობს ისევ.

კვლავ აგანგაშდა, უჩვეულოდ, სივრცეში მარსი
ატომურ დენთით – კარგად ვიცით, თუ ეს რას ნიშნავს...
სიცოცხლისა და სიყვარულის მოშალოს გარსი
და სილამაზე შეუერთოს.. შლამსა და ქვიშას!

აქ, ორი ძალა, დაუნდობლად ერთმანეთს ებრძვის
და რა დარჩება საბოლოოდ? – ქვიშა და ძეძვი!..

**25.06.07.**

**მოსკოვი**

* * *

მზის სისტემაში ერთადერთი შენა ხარ მხოლოდ,
ო, ანთებული სიყვარულის, სიცოცხლის ქინით!..
არავინ უწყის, სად ჩაქრები, ძვირფასო, ბოლოს
შენი ლამაზი ოცნებით და ტკივილით ხშირით...

სიცოცხლე შენ ერთს შემოგყურებს, თვალებით ბავშვის,
ვით მშობელ დედას, მოთაყვანეს შენი ბუნების!
მიდიხარ მედგრად, მიირხევი სიცოცხლის მარშით,
ო, ავსებული მზის და მთვარის ნაფეხურებით!

ზოგი მზის ცეცხლის სამეფოა, ზოგიც ყინულის,
შენ ელემენტთა ჰარმონიის სარტყელში ცურავ..
ო, შემოგყურებთ სიყვარულით თვალებხილულნი,
ფერიცვალების ისევ არხევ ჯადოსნურ სურათს!..

დრო ისევ მიქრის სიშორეში, ო, როგორც გიჟი
და შენ ცახცახებ დღენიადაგ სიკვდილის შიშით!..

**10.07.07.**

**მოსკოვი**

* * *

შენ მაგრძნობინე ამ ცხოვრების ფერი და გემო,
მზე ირხეოდა გაზაფხულის ზეცის თავანზე...
მე ხელთან ერთად, გულიც გთხოვე, ძვირფასო ჩემო,
ორივე ერთად სიყვარულით შემომთავაზე!

ჩვენ არ გვაკრთობდა, წუთისოფლის ბრუნვა–ტრიალი,
შეუპოვრობით გადავლახეთ მთაც და ბექობიც...
ამ ბილიკებზე ეჰ, რამდენი ვიხეტიალეთ
და ვარდფურცლობის სილამაზეს დავუმეგობრდით!

ნუთუ ჟამთა სვლა, აფერმკრთალებს, ხსოვნის სურათებს?
მახსოვს, ძვირფასო, ერთმანეთით როგორ ვთვრებოდით!
ხან თავთუხების უსამანო ზღვაში ვცურავდით,
ხან ცის სინაზეს, უჩვეულოდ ვეფერებოდით...

ახლა ბუნება ო, ჩვენს რღვევა – დაშლას აპირებს,
ნუთუ გავსცდებით სამუდამოდ, ხსოვნის ნაპირებს?!

**11. 07.07.**

**მოსკოვი**

* * *

შენს ყოველ ნაბიჯს, შხამიანი დრაკონი გესლავს,
რომ აღარ შევხვდეთ გაზაფხულის პირზე ალიონს...
ნახე, მტარვალმა ჩვენი სისხლი რამდენი შესვა
და კვლავაც უნდა, მეგობარო, იგი დალიოს!..

ფერს იცვლის მუდამ, ისე, როგორც ქამელეონი,
სხეულთან ერთად, უნდა სულიც გაიყოლიოს!
უკვე იმსხვრევა ტკივილისგან ქნარი ეოლეს,
ჩამოიქროლებს, სადაცაა, კიდეც ბორიო!..

ო, ეს ზღაპრული სილამაზე, როგორ დალეწა,
იმზირებიან საცოდავად, ნასახლარები..
თხოვნით, მუდარით რას შეასმენ შენ ამ გარეწარს,
ნუთუ ამაოდ, სიშორიდან რეკავს ზარები?!

დრო მიდის მკაცრი ნაბიჯებით, მრისხანე სახით,
და რას ჰგავს ხალხი? – დასაღუპად განწირულ ნახირს!

**12.07.07.**

**მოსკოვი**

* * *

**ჰოი, მამულო, თუ დავინგრე, კვლავ ამაშენე..**
**ს. ჩიქოვანი**

Pირველი ღამე მე უსივრცოდ გამიჭირდება,
არ დამაყარო, შემოდგომის ნისლო, ფაფარი.
ადგილის დედავ, მხოლოდ შენი კალთა მჭირდება,
ანგელოზებო, თქვენი ფრთები გადამაფარეთ!..

Pირველი ღამის გამირღვიე, მთვარევ, კოშმარი,
ნე მიმატოვებ სიკვდილისგან ძლეულს, მოცელილს!
ო, ერთხელ კიდევ დამირხიე ფერი შროშანის,
არ დამივიწყო, მზეო, შენზე მუდამ მლოცველი...

თუ დამარღვევდი, მაშინ, მითხარ, რისთვის მაშენე?
რაზე ამინთე სიყვარულის, თეთრი ლამPარი?
ადგილის დედავ! შენი ხელი შემომაშველე,
არ წამეშალოს, ჩემი ცის და მიწის ზღაPარი!

ჯერ გულმოდგინედ ქსოვ და მერე თვითონ შლი ნაქსოვს,
გულუბრყვილობა ო, ამგვარი არავის ახსოვს!

**19.07.07.**
**მოსკოვი**

* * *

შენი თვალები მე არასდროს დამავიწყდება,
რამ დამავიწყოს, საყვარელო, მაგ გულის ფეთქვა?!
ჩემი ცხოვრების სილამაზე შენით იწყება,
ვით გაზაფხულზე, იდუმალი თამაში ფერთა!..

ახლაც, ძვირფასო, იმ დღეების შრიალი მესმის,
იმ ხეივანში, დღესაც ლურჯი ხავერდი წვება..
ჩვენ სიყვარულის, უნაზესი ბადაგი შევსვით
და აღტაცება უჩვეულო მოვისხით ფრთებად!..

დღეს კი ეს გული, ვეებერთელა ტკივილებს იწოვს
და იმ დღეების საოცარი ხატება ქრება!..
ვინ გამიხადა ეს ბილიკი ო, ასე ვიწრო,
საით გაფრინდა, ვარდფურცლობის დღეების წყება?!

დავდივარ უხმოდ და საწუთროს ვუცქერი იჭვით,
ო, იმ დღეების დავიწყება, საოცრად მიჭირს!

**23.07.07.**
**ბანძა**

* * *

რატომ შეჩერდა შენი ქროლვა ჟამის წინარე,
საით გაფრინდი, რომელი გზით, სოფლის სტუმარი?
ამ ცის ქვეშეთში შენი სულის კივის მდინარე,
რამ დაადუმა გული მუდამ დაუდუმარი?!

ო, გადალახე, შეუპოვრად ზვირთი რამდენი,
უტევდი მედგრად მობობოქრე ჟამის ქარტეხილს!..
დაეცი, მაგრამ გადმოღვარე რწმენის ნათელი
და ლექსებს შერჩა ღვთაებრივი შუქის ნატეხი!..

მიდის ცხოვრება... ზვირთი ზვირთზე მიიგრაგნება,
დრო ვერ დაფარავს მაგ ნაკვალევს ალბეჭდილს მტკიცედ...
საშველად კაცთა გამოგგზავნა თითქოს განგებამ
და გააჯერა რწმენის შუქით ჟამი და სივრცე...

შენ ერთხელ მოხველ და ვერასდროს მოხვალ მეორედ,
მაგ სიდიადეს, ნუთუ ვერვინ გაიმეორებს?!

**04. 08. 07.**

**მოსკოვი**

* * *

მახსოვს, წვიმისგან, გვიფარავდა ფოთლები ხშირი,
ნიავი მინდვრის ირხეოდა, მოლზე ფრთასველი...
ჩვენ ერთმანეთი რა საოცრად გვიყვარდა, ლილი,
დღემდე ამ ტრფობის საიდუმლო, ვეღარ ავხსენი!

საიდან მოდის ყოველივე ო, არც კი ვიცით,
რას გვიამბობენ ვარსკვლავები, იდუმალ კრთომით?
ჩვენ ნაწილი ვართ ამ მიწის და სულიერ სივრცის,
ხან მზე გვიტაცებს სილამაზით, ხან კიდევ თოვლი!

აქ ყოველივეს, უხილავი განაგებს ძალა
და ერთმანეთთან აკავშირებს - აწმყოს და მერმის!.
სიცოცხლის ქინი მოკვდავთ მუდამ გვედება მძლავრად
და ნაკვალევი რჩება მხოლოდ, გაფრენილ მერნის!..

რა არის ტრფობა? – იდუმალი მუსიკა სულის
და ის სიცოცხლეს სილამაზის დინებად უვლის!..

**09. 08. 07.**

**მოსკოვი**

* * *

**შენ დამიფარე, ძლევა მეც, დათრგუნვად მე სატანისა.**
**შოთა რუსთაველი**

რასაც მკარნახობს შთაგონება, მასზე ვწერ მხოლოდ,
ნიადაგ ვებრძვი უსასტიკეს დემონურ ძალებს...
უკან დახევა არ იქნება, თუნდაც ჩამქოლონ,
მე, მას ვასრულებ, ყოვლისშემძლევ, რასაც შენ ბრძანებ!

სულაც არ მაკრთობს, გზის და სივრცის უღაბურება,
აღმავალი მზის ნატერფალი რწმენას მიმატებს.
ეს შემართება შენ მაჩუქე მხოლოდ, ბუნებავ,
და ვიცი, სადმე გადავყვები კიდეც სიმართლეს!

ასე მოვდივარ დასაბამით, ქროლვით, კვეთებით,
მზვერავს გზადაგზა ათასობით თვალი მსტოვარის!..
ხშირად კივილით შემზარავით სივრცეს ვედები,
ნუთუ კვლავ ვრჩები კაცი, ისევ გზაუპოვარი?!

დღეს ცისკრის ჩიტი, ხის ტოტიდან მომესალამა,
ჩემი თვალები, ისევ რწმენის, ცრემლმა დანამა..

**12.08. 07.**

**თბილისი**

* * *

მე ამ ცხოვრებამ დაუნდობლად მომქანცა უკვე
და ახლა იგი, მხოლოდ ბოლო რაუნდზე მიწვევს!
როგორმე უნდა, რომ ამ მიწის მაქციოს ლუკმად
და ხელში დაშნით, უკვე ბოლო შეტევას ვიწყებ...

ო, როგორ მიჭირს, თუმცა დარტყმას ვპასუხობ დარტყმით,
და აჰა, უკვე ბედისწერას მივენდე თითქმის!..
ვერას გახდები ქვეყანაზე, მარტოდენ ნატვრით
და სადმე რისხვით კლდეს მიგახლის უდაბურს, ზვირთი!..

ჩემი აქ ყოფნის ო, ეს ლექსი მიიღე ნიშნად,
ვერ ვნახავ აფრებს, ზღვის სივრცეში - ამაყად გაშლილს...
ო, საბოლოოდ შევერევი შლამსა და ქვიშას
და აურაცხელ ნაწილაკად ბუნება, დამშლის!

სიკვდილი თუკი შლის და არღვევს, ყოველგვარ კავშირს,
ის სიცოცხლეზე უძლეველი ყოფილა მაშინ!

**10. 08.07.**

**მოსკოვი**

* * *

ისევ რეკავენ გამუდმებით და სევდას ღვრიან
ხსოვნის ზარები – ნაგასაკას და ხიროსიმას!..
ვინ მოგიშუშებთ, ქალაქებო, ჭრილობას ღიას,
დაე, იდინოს თვალებიდან ცრემლების წვიმამ...

რაც მოხდა იგი, სამარცხვინოდ ეყოფა კიდეც
ქვეყნის მესვეურთ, რომ ტრუმენის გონებით სჯიან!..
ცოდვის კითხვაა, რომ ბირთვები სიცოცხლეს მკიდეს,
კვლავ ისმენს ჟამი, სისხლიანი ანძების ჭრიალს.

მიწას ცახცახით, მერამდენედ დააწყდა ძარღვი,
ვინ ემუქრება რღვევა – დაშლით სიცოცხლეს დიადს?!
შენ, ბოროტებავ, მესვეურო მსოფლიო წარღვნის,
ო, ლამის არის შეუერთო სიცოცხლე წყვდიადს!..

გაჩენის დღიდან დასწყევლილი ვყოფილვართ ბედით
და რამეს შველის ბრძოლის ველზე, კივილი მხედრის?!

**17. 08. 07.**

**მოსკოვი**

* * *

ჩემი ცხოვრების მიწიერის მთავრდება ჟამი,
გული ჩერდება და პლანეტა ისევ ტრიალებს...
თავზე ორბივით დამტრიალებს ღრუბელი შავი,
ვგავარ დონკიხოტს, უგზო – უკვლოდ მოხეტიალეს...

მასვეს ღიმილით დემონებმა, რამდენი შხამი,
მეგონა ვიყავ აღჭურვილი - ყველა უფლებით!
ვერ გავარღვიე უშავესი ბურუსი ღამის,
მომავალს მაინც, სიყვარულზე ვესაუბრები!..

ყველა ბილიკი, უკვე ღელვით შემოვიარე,
ვერ მოვიშორე გზიდან კაცმა თვალი მზაკვარის!
ბევრჯერ ოცნებით აველევნე მინდვრის ნიავებს,
ვეფერებოდი ჩემი ყრმობის ცისფერ ნაკვალევს..

ვინ მოთვლის აწი, თუ რამდენი მსხვერპლი გავიღე,
მაგრამ აქ ყოფნა, მხოლოდ ლექსით დავათარიღე!

**31. 08. 07.**

**მოსკოვი**

* * *

გამოფენა: „ძველი ქალაქი“

ძველი ქალაქის ვაკვირდებით, ხედებს ოვალურს,
ო, ეს ცხოვრება, მეგობარო, არის ბანაკი..
თუმც მის გაცნობის, უსათუოდ ჩვენ ვართ მოვალე,
ხვალ ჩვენც გავხდებით მოქალაქე ძველი ქალაქის!..

თვალს ვერ ვაშორებთ: რა რხევები, რა სილამაზე!
და შემართება ვაჟკაცური გვხიბლავს უზომოდ...
ამ ქალბატონებს ვაცქერდებით, შევშფოთდით რაზე?
დროს ყოველივე ო, რა მკაცრად გადაუზომავს?!

მიდის ცხოვრება, საოცარი ფერიცვალებით,
კრთება სიცოცხლე... ცა დაისის ბინდით აივსო...
რა სევდიანად იმზირება ჩვენი თვალები,
რად სურს ბუნებას, რღვევა – დაშლით გაგვითავისოს?!

ამ სილამაზის, ასე შეცვლა, ეს ვინ ინება?
ფერიცვალებით ვზომავთ უკვე დროის დინებას..

**18.09.07.**

**მოსკოვი, ბოტანიკური ბაღი**

* * *

**ჩ**ემი ცხოვრება ნუთუ უკვე ყოფილად იქცა,
მე, როგორც მსურდა, ვერ გავტეხე ისე ყამირი...
გულამღვრეული, შეშფოთებით დავცქერი მიწას,
რომ ყვავ–ყორნები კვლავ იკლებენ სივრცეს ჩხავილით!

ბევრი ვეომე ბარიერთან - დემონებს ბოროტს,
ჟამი მიდის და სევდა ისევ, სევდას მოება...
ნუთუ ყველაფერს უმოწყალოდ ელება ბოლო
და სამუდამოდ რჩება ხელში ამაოებას!

ვერაფერს ვუგებ სოფლის ბრუნვის უთავბოლობას,
ხან თრთოლვით გავსებს, ხან ბობოქრობს მღვრიე მორევი...
ბრძოლა ვარჩიე, მეგობარო, მაინც მონობას,
რადგან ბრძოლაა ეს ცხოვრება დაუცხრომელი!..

უნდა ეკვეთო მთელი ძალით ზვირთთა გრეხილებს,
თუნდაც დაეცე ბრძოლის ველზე... ფრთამოტეხილი!

**19. 02.08.**

**მოსკოვი**

* * *

რას ჩამოვყევით ამ მიწაზე, რომელ დინებას?
სადაც კივიან განუწყვეტლივ ურჩი ქარები.
ო, ეს ცხოვრება, ვინ გვიქცია ამგვარ დილემად,
დავდივარ ქამის ბილიკებზე ნაფერმკრთალები!..

სული ფერს იცვლის, რომ გაექცეს სიკვდილის კლანჭებს
და ტოვებს სხეულს - უსაშველოდ ნარბევს და დაცლილს...
ამგვარ ბრუნვისთვის წუთისოფლის, რა ვუთხრა გამჩენს,
რაც კი გვიბოძა, მას უხეშად ხელიდან გვაცლის!

არავინ იცის, აქ სიცოცხლე რა გზებით იშვა,
შეხედე, ეს რა სივერაგე ნებივრობს ირგვლივ?!
ჰორიზონტებზე ქარებს დააქვთ უდაბნოს ქვიშა
და მზეს სიცოცხლის ემუქრება, ჩაქრობით იგი!

ამ ვრცელ მიწაზე ჩვენ მოვდივართ მხოლოდ დროებით
და ვხდებით მერე, ჩუმი მსხვერპლი... უსაზღვროების!

**04. 05. 09.**
**მოსკოვი**

* * *

ქანაობ სადღაც - ტყის სიღრმეში, თუ მის ნაპირას,
ჰორიზონტიდან ამოზიდულ მზე გადგამს გვირგვინს!
აჰა, საცაა კაცს სიბერე გამინაპირებს,
ჩემი ცხოვრების იხურება ლამაზი წიგნი...

ვდგავარ ბექობზე, მზე ეშვება ზღვაზე ნოემბრის,
ო, ამ ბილიკებს, ალბათ დიდხანს ვემახსოვრები...
გულზე ტკივილი ულმობელი, ისევ მომება,
რომ იხურება ვრცელი წიგნი... ჩემი ცხოვრების!

უცნობო ხეო! შენ მექცევი ალბათ სასახლედ,
ვინ მოთვლის, დღეო, ეს რამდენი სევდა მათოვე..
ვეღარ ვიპოვი საუკუნოდ ბილიკს დასახევს,
როდესაც ჟამი დამადუმებს, გამიმარტოვებს..

და რა დარჩება? –მხოლოდ სული, სევდით ნაოსი,
როცა ჩემს სხეულს ჟამი ერთობ მოაქაოსებს!

**09. 05. 97.**

**ბათუმი**

* * *

მე ვგრძნობ უზომოდ დაიღალე, ო, გულო ჩემო!
შენი ცხოვრების ტრაგედია, მხოლოდ მე ვიცი...
უტევდი მედგრად, წუთით აღარ დანებდი დემონს,
დარჩი ბოლომდე, მეგობარო, ერთგული ფიცის!

შენ დადიოდი, ქარიშხლიან გზებით მიწაზე,
უმკლავდებოდი შეუპოვრად, დელგმას მოვარდნილს...
მხოლოდ სიცოცხლის, სიყვარულის ფერი იწამე
და შორს, სივრცეში გაფრენილი თეთრი ხომალდი!

სულს მეამბოხეს სივრცეს ვერვინ გადაუზომავს!
ბევრჯერ იყავი დაგლეჯილი ღვარებით, სეტყვით..
შენ დაიღალე, გულო ჩემო! კიდეც უზომოდ,
ო, მოვა ჟამი და მერმისი მადლობას გეტყვის!

დრო, ისევ მიდის სიშორეში ნაფერმკრთალები
და მამღვრევს, დედავ, სევდის ტბორი შენი თვალების!..

**27. 06. 09.**
**მოსკოვი**

* * *

მხრებზე ჰკიდია ჩემს ცას რუხი ნაფლეთი, ღრუბლის,
ცახცახებს მიწა, საუკუნით ნაგრიგალევი...
დავდივარ უხმოდ, როგორ მიხურს ფიქრისგან შუბლი,
ეს, ვინ აწყდება ჩემი ციხის მაღალ გალავანს?!

დრო, ხომ გულქვაა, მიდის იგი, და იალქნებზე
ისტორიული მოვლენების რჩება ლაქები!..
ო, საუკუნევ! დაბოღმილი ვსაუბრობ შენზე,
რად დამიმსხვრიე ბროლ–ბადახშით კოშკი ნაგები?!

გულო, სათქმელი თქვი ბოლომდე, აღარ დამალო,
რად გინდა იყო, შენ უბრალოდ შენაშფოთები.
ეს, ვინ ჩაგვიქრო, მზე ცის თაღზე ამომავალი?
ადგილის დედის ო, რა მწარედ ისმის გოდება!..

შეხედე, ქამი ნანგრევებზე მიიგრაგნება...
რად გაგვიმეტე უსაშველოდ, ასე განგებავ?!

**28. 06. 09.**

**მოსკოვი**

* * *

ვიხსენებ იმ დროს და მე გრძნობას ველარ ვერევი,
შენ თრთოდი, როგორც გაზაფხულის თეთრი ასული!
ვიყავი მოწმე ქვეყნად შენი ბედნიერების
და ყველაფერი წამიერად როგორ დასრულდა?!

მაგ ნორჩ ბაგეზე ვარდფურცლობის დაჭკნა ყვავილი,
შენში ყოველი ბედისწერის ზღვართან მისულა!
ცის ლამაზ ფონზე, ყვავ-ყორნებმა გადიჩხავილეს
და ლურჯ ხავერდზე, გარდასულის ლანდი მიცურავს.

მას შემდეგ, გულმა დღემდე ველარ... გაიზაფხულა,
მოდის დაისი, უცნაურად ნაფერმკრთალები!
ბედმა ულმობლად ყველა შენი გზები დახურა
და უჩვეულოდ ცრემლიანი - შეგრჩა თვალები!..

ვინ მოგისაჯა, ასე უღვთოდ, სულის ობლობა,
ან რა ვუწოდოთ, ბედის ამგვარ დაუნდობლობას?!

**10.05.64**
**ბანძა**

* * *

მე ის დღეები სიკვდილამდე მემახსოვრება,
დავხეტიალობ ბილიკებზე, როგორც ყარიბი!..
უკვე დაიწყო ფოთოლცვენა ჩემი ცხოვრების
და მე შემომრჩა უშენობით სივრცე ღარიბი!.

შეხედე ვარსკვლავს, ცაზე როგორ მიდის ციმციმით,
იქნებ, ეგ შუქი მაგ თვალების ათინათია?!
ახლა მარტო ვარ, მწარედ ვიგრძენ ჟამის სიცივე,
სული ვერ უძლებს უშენობას - ჩემო ნათია!

ყივის მამალი - ჟამთა სვლის ეს მესაიდუმლე
და სანახები გამიძარცვეს ულვთოდ ქარებმა..
დროის ტალღაზე დღე ქანაობს, როგორც ფიტული
და ყველაფერი თითქოს სადღაც მიექანება!

მე ზღვასთან ვდგავარ, ზღვა ხმაურობს... ფაფარაშლილი,
ისევ მოდის და მეფერება შენი აჩრდილი!

**14.07.65**

**სოხუმი**

* * *

შავი ზღვა იყო იმ საღამოს - საოცრად ლურჯი,
ამ შეღამებამ, მეგობარო, რამდენი გვითხრა..
მზე ჩამავალი ცის გუმბათებს ხატავდა ფუნჯით,
ჩვენ კი ნაპირზე ვჩურჩულებდით, ძვირფასო, დიდხანს!..

შემოდიოდნენ ხომალდები - ბღავილით პორტში
და შეღამება ქლიავისფერ იალქნებს შლიდა...
ჩვენს ზემოთ პალმის ირხეოდა, ლამაზი ტოტი,
და მიცურავდა მთვარე ისევ, სივრცეში მშვიდად...

შორს, ვარსკვლავები, სიყვარულით ახელდნენ თვალებს
და მთის კალთებზე, გამჭვირვალე ნისლი ეფინა...
კვლავ მიდიოდა ქვეყნად ბევრის მნახველი მთვარე,
ჩამოიქროლა ლურჯი ფრთებით, მთიდან ზეფირმა!

ო, ის საღამო, რომ არ იქცეს დროის ტარიგად,
იგი, ამ ლექსმა საბოლოოდ დაათარიღა!

**14.05.72**

**სოხუმი**

* * *

გაფრინდა, ო, ის ყრმობის წლები - სისწრაფით ელვის,
გული კვლავ ღელავს, ჭაბუკური ცეცხლის მოდებით...
მოდიხარ ზღვასთან, სადაც უკვე არავინ გელის,
მაგრამ გარდასულს, მთელი გრძნობით უახლოვდები!

მოცურავს ისევ, ხეივანში, სექტემბრის მთვარე,
ნიავი თრთოლვით გადაუვლის ფერმკრთალ ფშიარებს...
აქ, ღამე ისევ ახამხამებს იისფერ თვალებს
და ირგვლივ მხოლოდ ფოთოლცვენა დადის შრიალით!..

ვის ეძებ ახლა ფეხაკრეფით მავალი მგზავრი,
ო, როცა უკვე ჰორიზონტზე არავინ არ ჩანს?!
ეს მეთორმეტედ რეკავს უკვე საათის ზარი
და ქარი ისევ აშრიალებს ქარვისფერ ფარჩას...

შენ კი ამაოდ ეჭიდები, დრო-ჟამის ფაფარს,
წავიდა ის დრო და ზღვა ვრცელი გაცურა აფრამ!..

**28.09.72**

**სოხუმი**

* * *

ო, როგორ სწრაფად ჩაიქროლეს, წლებმა ბავშვობის,
და შეწყდა ჩვენი ჟრიამული - ჟამის წინარე!
შეხედე ფოთლებს, მზის სხივებზე რომ თამაშობენ,
ფრთები ქარიშხლის რა უეცრად აუჩინარებს?!

ქარმა გაჰფანტა ვარდფურცლობის ნაზი სურნელი
და ატმის რტოზე მაფშალიას შეწყდა გალობა!
მე შემრჩა მხოლოდ ტკივილები განუკურნელი,
ნუთუ ეს არის, რომ ვეძახით გარდუვალობას?!

მზე მუქ ქსოვილში იძირება შემოღამების
და მეწამული შუქით კოცნის ზეცის საფირონს...
ჩემი ბილიკი მე გავლიე ღელვით, წამებით,
შეუერთდება ჩემი სული ცას უნაპიროს...

თუ ერთი ლექსიც შემოტევას გაუძლებს ჟამის,
გადამილახავს დავიწყების მდინარე შავი!..

**22.07.75**
**ბანძა**

* * *

მოდის კივილით, ქარიშხალი, ისევ ტრამალის,
გადავეჩვიე, მაგ შენს ჩურჩულს, ჩემო ზეფირო...
მზე კი აწყდება მაღალ მწვერვალს ამომავალი,
რომ შემდეგ მთა-ბარს, აღტაცებით შემოეფინოს!..

სული გაარღვევს ჟამს უდაბურს და თან საშინელს,
რომ შეიყვაროს საუკუნოდ ცა უნაპირო!..
ჩემო ძვირფასო, დრო განგაშით ნუღარ გაშინებს
და ულმობელი ეს სისინიც, ბნელში ვამპირის!..

გაუთავებელ მწუხარებას, გული ვერ იტანს,
ვერც დიდხანს ყოფნას, ამ მიწაზე განმარტოებით!
შენთან შეხვედრამ კვლავ აღმანთო, ჩემო მელიტა,
და გაზაფხულის აშრიალდნენ... სულში რტოები!..

ეგ შენი თრთოლვა სილამაზით ასე საჩინო,
თუ არა ტრფობამ, სხვა რამ უნდა გადაარჩინოს?!

**22.01.76**
**ბანძა**

* * *

**სამამულო ომის ორდენის ორგზის კავალერის,**
**არსენ დარჯანიას ხსოვნას!**

შენზე ძვირფასი, მეგობარო, მყავდა არავინ
და მაგ თვალებში, ბევრჯერ ჩუმი ცრემლი მინახავს..
შავი მდინარე ბობოქარი და შემზარავი
მღვრიე ღამეში, მარტოდმარტო გადაგილახავს!

ახლა, როდესაც მომეძალა, წლები ვერაგი,
თუმც არ ხარ, მაგრამ, შენი ნაღდი მზერა მდარაჯობს.
მე მეჩვენება სისხლიანი თეთრი პერანგი
და ბრძოლის ველზე დაგლეჯილი შავი ფარაჯა!

შენი თვალების საოცარი გამონათება
წკვარამ ღამეში, მოგანგაშე სივრცეს გააპობს...
დაიღვენთება, შენი სულის, თეთრი სანთელი
და მიღმეთიდან, სიცოცხლისკენ გაჭრის კალაპოტს!

შენ კაცი იყავ და კაცური გზებით იარე,
მაგ შენს კაცობას მხოლოდ ლექსით შევეხმიანე!

**30.09.81**

**სოხუმი**

* * *

როგორ მათრობდა თეთრი შუქი შენი ღაწვების,
როცა სივრცეში გაზაფხულის იდგა სინაზე...
სადღაც, შორს დარჩა ის დღეები, ზღვა აღტაცებით
და იმ ბავშვობის ნატერფალი - ჟამის სილაზე...

ცრემლის წვეთებში ილანდება ჩემი წარსული,
შენთან შეხვედრა, ვიცი, ახლაც დამაიმედებს!..
ო, ის დღეები, ნეტავ, რომელ გზებით წასულან,
ჩვენ, რომ ოდესღაც სიყვარულის თვალით მივენდეთ?!

ქარმა დაფხრიწა აფრა ჩემი ყმაწვილკაცობის,
ვერ იქნა, სწრაფვა ყოფას ველარ მივუსადაგე.
როცა ვიგრძენი გადაღლილმა სულის დაცხრომა,
ჟამმა ხელიდან გამომტაცა ყველა სადავე!

დრო მიდის სადღაც და არ ვიცი, რას ვემართლები?
ოღონდ ამას ვთხოვ, არ ჩამიქროს სულის სანთლები!

**15.08.83**

**სოხუმი**

* * *

შენ არ გივლია გათელილი გზებით მიწაზე,
არც ისე ჩუმად, როგორც დადის ლანდი მავანის...
შენი ღიმილი და ლამაზი თრთოლვა ვიწამე
და ვარსკვლავებით მოქარგული ზეცის თავანი...

თვალს მიეფარა საოცარი - წლები ბავშვობის
და ჭაბუკობის მოქათქათე აფრა გაშალე!..
იყავ, ძვირფასო, ზეცის მკვიდრი, მიწის ნაშობი,
გააპე ზვირთი და გამოღმა კვალი წაშალე!

შეები სივრცეს, ბედისწერამ ასე ინება
და სამუდამოდ მიწიერი გზები დახურე...
შორს, უგზო-უკვლოდ შენი სული მიეფინება
და მე კი ტანჯვა უსაშველო დავიმსახურე...

შენ წახველ სულო, შეუერთდი სივრცეს უჩუმესს,
აქ, შენს ბილიკზე, გაზაფხულის ქარი ჩურჩულებს!

**22.10.85**

**სოხუმი**

* * *

ვერ უძლებს სული, ფარულ ოხვრას, შემოღამების
და ტკივილებმა ჩემი გული მწარედ დასერა!..
არ ვიცი, რატომ მომისაჯა ღმერთმა წამება
და ძველ სანახებს, ცრემლის წვიმით რატომ ვასველებ?!

მეგონა ის დრო, ფოთოლცვენის გაჰყვა მდინარეს
და ვერ გაუძლო ჟამის უღვთო ცვალებადობას.
განვშორდით ერთურთს - განშორების ცრემლით ვინამეთ,
მაგრამ სიყვარულს არ სცოდნია თურმე დანდობა!

მე რა ვიცოდი, სულის ღველფში ცეცხლს რომ ვმალავდი,
დროის დინებით თურმე იგი არ დაიძლევა!
ფერს იცვლის ხშირად, მაგრამ გულში რჩება მარადის
და ვულკანივით კვლავ სცოდნია გამოღვიძება.

რადგან ყვავილი ჩემში ტრფობის მარად მზიანობს -
ის ზამთრის სუსხმა, აღარ მინდა დააზიანოს!

**10.12.87**
**სოხუმი**

* * *

რა ვქნა უშენოდ, სამზეოზე ახლა მარტო ვარ
და ორღობეებს მივსდევ სივრცე შემოძარცული...
დრომ შენთან ყოფნა, საყვარელო, აღარ მადროვა
და ჩემში ქამის შავი ნისლი ისევ დაცურავს!

ვიცი, ამ ქვეყნად საზეიმოდ არ გავჩენილვარ,
თუმცა, ძვირფასო, შენთან ყოფნა დიდხანს მეწადა!
უშენოდ ახლა, ერთი მითხარ, რა დამრჩენია? –
შავი ფრინველი ბედისწერის გამომეცხადა!..

ჩემი ხომალდის ზღვის გრიგალში, ტყდება ანძები,
აჰა, საცაა, ალბათ კიდეც ჩაიძირება...
მზე გაზაფხულის შეიმოსა, ჩემთვის, ძაძებით,
რა ვქნა, ძვირფასო, ბედიწერამ ასე ინება!

თუ ზღვის სიღრმეში დაინთქმება ჩემი სხეული,
სული ზეცისკენ თრთოლვით წავა სხივშეფრქვეული...

**27.06.88**

**სოხუმი**

* * *

ქუჩაბანდებში ვხეტიალობ თვალცრემლიანი,
ვინ შემაჩვია ჩურჩულსა და განმარტოებას?
გავცქერი სივრცეს, ვარსკვლავების მოჩანს ცხრიანი
და გულს ტკივილის უსაშველო ღამე მოება!..

ჩვენ, ბედისწერამ, უჩვეულო გზებით გვატარა,
რასაც აქ ვხედავთ, ჟამის ზვირთით გაითელება...
ღამით ფრთებს თრთოლვით გვაფარებდა, დედა პატარებს
და ჩვენ ვხვდებოდით ჟრიამულით - დღის გათენებას!

მახსოვს, ღამეში უჩვეულო შენი ქვითინი,
სიკვდილის ლანდის შემაზრზენი თვალის ცეცება...
ვიცი, ეს ხსოვნა შემორჩება ამ ლექსს მითივით,
ჩემი სხეული, როცა ქარში დაილეწება!

მოვა ჟამი და ყველაფერი გაიფანტება,
მაინც ლექსს ვანდე სიყვარულით შენი ხატება...

**18.07.88**
**ბანძა**

* * *

სიკვდილს ათასჯერ გავაშიშვლებ, სანამდის იგი
აზავთებული მთელი ძალით გადმოვა ჩემზე...
მე თავზე დაფნის სამუდამოდ დავიდგამ გვირგვინს
და მარჯანივით, ასაფრენად შევდგები ცერზე!..

რას დამაკლებენ დემონები ისრების ტყორცნით,
კვლავ ვერასოდეს ველარ მოვალ ამ ბაღის კართან!
ამოიზრდება, სადმე, ველზე ცისფერი ბორცვი
და ცა დუმილით დამაფარებს - ცრემლიან კალთას.

ხსოვნა ფრთებს გაშლის, შეერევა ცისფერ ნათებას
და გახუნებულს, მოიშორებს სამოსელს ერთობ.
ტანზე ფერები ვარდფურცლობის შემომადნება,
რომ სული მხოლოდ სიყვარულის სიმბოლოდ ენთოს!..

ვეთაყვანები, საყვარელო, მე იმ მაისებს,
ვდგავარ ზღვის პირას და ირხევა ცა მოდაისე...

**24.08.88**

**სოხუმი**

* * *

ისევ ირხევა მდინარესთან ალვა ტანადი,
შენთან შეხვედრა, ჩემო მერი, როგორ მომინდა!
შენ, ცაო ჩემო, ნუთუ ისე დაპატარავდი,
რომ ხელმეორედ აღტაცებას ველარ მომიტან!

ო, აწი ვინღა დამიბრუნებს იმ ფერებს ცინცხალს,
მომიახლოვდი, რატომ დუმხარ, ღამის აჩრდილო!
ჩემო ოცნებავ, სიმაღლეებს შეები ფიცხლად,
ჟამთა დინებამ საბოლოოდ, რომ არ დაგჩრდილოს!

სანამ სიკვდილი ნაკუწ-ნაკუწ გაქცევდეს, მინდა
იმ დღეთა ხსოვნა სტრიქონებში შუქად ჩავღვარო!..
მერე ამ ლექსებს ვერაფერი ვერ გადაბინდავს
და შემიფარებ შენს ლურჯ ფრთებქვეშ, ცაო მაღალო!..

შენი თვალების სილაჟვარდე მე გზას მინათებს!.
ო, ის დღეები ნეტავ, საით გაუჩინარდნენ?!

**20.10.88**

**სოხუმი**

* * *

შორს, გაზაფხულის საოცარი დღეები თვლემენ...
რა ვარ მე ახლა? – წუთისოფლის ლანდი ფერმკრთალი!
ქრის ქარიშხალი, მაგრამ ჯერაც ვერ გადამთელა
და მეფინება სევდიანი ღიმილი მთვარის...

მე უჩვეულო მჭმუნვარება შემიპყრობს ხშირად
და ოხრავს სული ზამთრის გზებზე მიუსაფარი!..
რბიან ზვირთები... უცნაურად ზღვა ისევ ქშინავს
და დუმს მიდამო, როგორც ლურჯი ლოდი საფლავის!..

დღეებს გაფრენილთ, მივსდევ ისევ სტვენა–ყიჟინით
და განშორების უჩვეულო ცეცხლი მედება...
ბალახ-ბულახში ბელურების ისმის ჟივჟივი,
არ მინდა სევდამ დამიტბოროს შემოქმედება!

ჩამოიქროლე, ერთხელ კიდევ, ლურჯო ზეფირო,
რომ ჩემს სტრიქონებს, ცა მაისის გადმოეფინოს!.

**28.11.88**

**სოხუმი**

* * *

**ნ**აზამთრალ მინდვრებს გაზაფხული ეწვია ისევ
და ცის თავანზე, მზე ოქროსფრად ისევ ღაღანებს...
ხევში ხმაურით გადაეშვა ზვავები მქისე,
ორთქლი გადასდით მოცისფერო მინდვრებს საყანეს...

შენი თვალები იცრემლება - ცასავით სუფთა,
ხსოვნა წარსულის ამიკივლებს იმ ძველ იარებს!..
ირგვლივ მინდვრები საოცარი სინაზით სუნთქავს,
როცა მთებიდან დაეშვება თრთოლვით ნიავი.

ყველა ჭრილობას ტკივილამდე ერთობ ვაშიშვლებ,
ძვირფასო ჩემო, არ მშორდება შენი ხატება!
არ ვიცი, რა ვქნა, ვერ ვიშორებ ფიქრებს საშინელს,
მიდის დღეები... სევდა სევდას კვლავ ემატება!..

მზე გაზაფხულის და მინდვრების ჭრელი კალთები,
უშენოდ რაა? – სულს მიმღვრევენ სუსტი ნათებით...

**26.03.89**

**სოხუმი**

* * *

ის დღე ძვირფასო, შენთვის გახდა უკანასკნელი
და სული ისვრის სტრიქონებად ტკივილს ნაფეთქარს.
ახლა ჩემს ყოფას – ამ მიწიერს ციდან დასცქერი
და შენზე ფიქრით, მეგობარო, გული დაბერდა!

მეტეორივით გაიქროლე ცაზე არსობის,
ლაჟვარდთა წიაღ უცნაურად გაუჩინარდი!
ანგელოზები გიგალობენ ცაში ასობით,
მიგაცილებენ უცხო გზებით მიწის ბინადარს...

შენს ნაფეხურებს, დავცქერ მთვარით მოვარაყებულს
და ზღვის ტალღები ძველ ნაპირებს აწყდება ისევ...
მე მახსოვს, ქარში გადახსნილი შენი საყელო
და გაზაფხულის ვარდფურცლობა და სიმაისე!

შენი აჩრდილი წუხელ ისევ გამომეცხადა,
ვერ გითხარ ლექსი შესაფერი, რაიც მეწადა!.

**16.07.89**

**სოხუმი**

* * *

ტყემ მიიძინა... დგას ტალღების ლურჯი შრიალი,
მოვდივარ მარტო, ტირიფებთან ვდგები მდუმარი!
შორი მთებიდან მთვარის ლურჯმა შუქმა იალა
და ხსოვნის სიმებს არხევს მძაფრად ხმა იდუმალი!..

წავიდა ის დრო - ცრემლიანი შევრჩი სანახებს
და ვხეტიალობ კაცი გულზე ცეხცლის მოდებით...
ო, ერთხელ კიდევ მაგ თვალების შუქი მანახეთ
და სიყვარულით ანთებული განვმეორდები!..

მივაყურადებ... ზღვაზე ანძის მესმის ჭრიალი,
გემი დაბმული ბაგირებით, ისევ ქანაობს!
ჩქერი ტალღების მთვარის შუქზე ისევ ბრჭყვიალებს
და ფიქრი ჩემი, უჩვეულოდ შორს მიქანაობს...

დროოო, რა მიქენ, რა ულმერთოდ გამიმარტოვე,
რად განმარიდე ო, იმ ქალებს და ქალბატონებს?!

**15.08.89**

**სოხუმი**

* * *

იმ შადრევნებთან, აწი უკვე ვერასდროს მივალთ
და ვერც ყვავილებს, სიყვარულით მოვისვრით წყალში...
მივდივარ მარტო, უჩვეულო ტკივილი მიმაქვს,
რომელსაც ჟამის სივერაგე ვერასდროს წაშლის!

იმ დღეთა ხსოვნა იდუმალი ხეივნებს შერჩა,
ციდან ჩამოღვრილ ვარდფურცლობის ფერადი შუქით...
დღეებს დარჩენილს მე რა ვუყო - უმწეოს, ბეჩავს,
რომ ტანზე ნისლის სამოსელი ჩაუცვამთ მუქი!..

დამთავრდა ჩვენი საოცარი დღესასწაული,
არ ვიცი, უკვე საიმედო რა ვუთხრა მერმისს?
რბიან დღეები, ფრთებს უხეშად მახლის ზღვაური,
გული ვერ უძლებს შემოტევას - ულმობელს, მერი!

ვით რტო ნოემბრის, გამიძარცვა სული ბუნებამ,
ამაოდ ვცდილობ, გარდასულის შემობრუნებას!.

**24.09.89**

**სოხუმი**

* * *

ო, ეს სამყარო ჟამთა დენის გარეშე ვერ ძლებს,
ყველაფერს სადღაც, იმ ერთი გზით მიეჩქარება!..
დავდივარ, ვწუხვარ და იმ ცისფერ სიმაღლეს ვეძებ,
რომელიც ერთობ გამიძარცვეს, ჟამის ქარებმა!..

ვდგავარ მაღლობზე, გადავცქერი ტალღების რიალს,
არ ვიცი, თუ სად დამთავრდება ჩემი წამება!
ვეღარ დავხურე, საყვარელო, ჭრილობა ღია
და შეეჩვია სული მღვრიე - შემოღამებას!

წუთისოფელმა, შენთან ყოფნა აღარ მადროვა
და გაზაფხულის ტალღამ მხოლოდ გაითამაშა...
წახვედი ჩუმად, დრომ რამდენი სევდა მათოვა
და ახლაც მიტევს, გამძაფრებით... დაღლილს, დამაშვრალს!

დაგეძებ ოხვრით, ის თვალები არა და არ ჩანს!
მხოლოდ ტკივილის მოზღვავება... სხვა რაღა, დარჩა?!

**16.10.89**

**სოხუმი**

* * *

ვნახე, ქარიშხალს რომ შეება მუხა ბებერი
შეუპოვრობა მე ამგვარი ჯერ არ მინახავს!
იბრძოდა იგი რაინდული სულისკვეთებით,
ამდენი ძალა, ნეტავ როგორ, შემოინახა?!

ტოტებდარბეულს, არ აკრთობდა შიში სიკვდილის,
ცას გადაკვროდა, შემზარავი ფერი გუდრონის!
ო, ჯერ არავის არ უნახავს, ის ფერმიხდილი,
თუმც ბევრჯერ რისხვით დაემუქრა, ქამი უნდობი!

ვეება სივრცე ირგვლივ, როგორც, კოშმარი იწვა,
იმუქრებოდა ღრუბლის დელგმა ცეცხლის მოდებით!
ის კი ტოტებით ეხებოდა მშობლიურ მიწას,
როცა გრიგალი შეუტევდა გაბოროტებით!

მზე კვლავ ჭრილობებს უშუშებდა ღამით ნაომარს,
ქამთან კვეთებით გაურბოდა... არარაობას!

**22.11.89**

**სოხუმი**

* * *

ვერ აღვადგინე ჩემს ხსოვნაში შენი ხატება,
მხოლოდ ხმის ტემბრი შერჩა სმენას, გაუხუნარი!..
როცა ტყემალი გაზაფხულზე იწყებს ნათებას,
რად მავსებს იგი, უცნაური თრთოლვის უნარით?!

რად გავხდი ასე, ხმის ხავერდით კაცი ძლეული,
ან გარდასულ წლებს, მტკივნეულად რატომ მახსენებს?
მივდივარ მარტო... სმენას მიკრთობს, ის ხმა რჩეული
და ჩემს წამწამებს, დღენიადაგ ცრემლი ასველებს!..

ცას ვევედრები, ის სიზმარი რომ დამიბრუნოს
და გამიფანტოს ო, ამ დღეთა სევდა უძირო!..
ჟამის ტკივილით სული ვინღამ გადამიბურა,
იზმორებიან ღამეები... ტანჯვით, უძილოდ!..

იმ დღეთა გამო, ჩემში ღელვამ დაისადგურა,
ეს ვინ ამინთო, სულში სევდის, ლურჯი ნათურა? !

**24.11.89**

**ბანძა**

* * *

**ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო,**
**კურთხევა თქვენდა, ტკბილ–სახსოვარნო!..**
**ნ. ბარათაშვილი**

მახსოვს, მსოფლიო - უჩვეულოდ განახელები,
ბარბაროსები, მოვარდნილი ცეცხლის ღვარებით!.
მე თვალწინ მიდგას, დაძარღვული თქვენი ხელები
და ტკივილებით დანალმული - სივრცე თვალების!..

არ ნებდებოდით, ბედის მწარე უიმედობას,
ხელში გეჭირათ ხან თოხები, ხანაც ბარები!
დასტრიალებდით ჯეჯილებს და მინდვრის დედოფალს,
მოჩანდა ყველგან, მხოლოდ თქვენი ნატერფალები!..

მაგ შემართებას, ვერ დაიტევს, ალბათ ტომებიც,
მსგავს სიმამაცეს, ვერ იხსენებს, მიწა ბებერი...
თქვენ მახსენდებით, ჩემი სოფლის ქალბატონებო,
და ის დღეები... ერთგულებით უბერებელი!

ვერ დაგიწერეთ შესაფერი ჯერაც ბალადა,
აქ იყო თქენი დიდგორიც და... თქვენი მარაბდაც!

**12.06.90**
**ბანძა**

* * *

ვერ შეეჩვია უშენობას ჩემი არსება,
ვდგავარ ბექობზე და არ ვიცი, ვის ველოდები!
არ დამიწყია მე ცხოვრება, წერით ოდების,
მიყვარდა ღამე მთვარის შუქით გადანასერი.

დრომ - ვარდფურცლობის, რა უეცრად გადიშრიალა,
თან გაიტაცა უჩვეულო, შენი ნათელი!.
და შემატოვა უღიმღამო, დღე დღევანდელი,
პირშეუმშრალი, ძოწისერი მწვავე იარით!..

და ბოკვერივით, გული მკერდქვეშ, ველარ ეტევა!
ნუთუ, ამაოდ, შევარხიეთ გრძნობის ზონარი?
დარჩეს ის ჟამი, როგორც მარად მოსაგონარი
ქუჩაბანდებში, მთვარის თეთრი ორნამენტებით.

დღეს იმ მიდამოს სევდიანი ღამე დაჰყურებს
და წყლის სარკეში, ტირიფებთან არხევს... საყურეს.

**20.08.90**

**სოხუმი**

* * *

რა სწრაფად იცვლის, ზომებს, შენი ტყავი შაგრენის?
ამ დღეთა სრბოლას, სრულებითაც ვერ ეგუები
ფერიცვალების კარუსელით განაბრუები, –
მის შეჩერების საიდუმლოს ვერ მიაგენი!..

შენ მოიტოვე, სამი ჟამი მძიმე ფიქრებით
და მეოთხისკენ, უჩვეულოდ მიექანები!..
რა შემზარავად ახმაურდნენ, ზღვაზე ქარები?
და ყოველივე, შენ ერთბაშად თვალწინ გიქრება!..

ჯადოსნურ ტყავის, ვერ გაექეც, პირქუშ ზმანებას,
დროის დინება ნუთუ ქვეყნად, ამ ერთს მორჩილებს?!
მოგლიჯე კედელს, თითქოს ჟამი დაიმორჩილე,
მაგრამ მეოთხედ ჩამორეკეს მკაცრად ზარებმა!..

გადაისროლე, მოიშორე გზიდან ჩვენება!
და მაინც გარბის ჟამი, სადღაც შეუჩერებლად..

**12.09.90**

**მოსკოვი**

* * *

ჩვენი შეხვედრა, ეს რა ძალამ განაპირობა?
შენ გახდი, ჩემი საოცარი ღელვის მიზეზი...
რამ დამავიწყოს, იმ დღეების უნაპირობა
და ბაგე ვარდის ფურცელივით უფაქიზესი!..

მახსოვს, ის ბაღი, მოგალობე ჩიტებით სავსე
და სურნელება ვარდფურცლობის - დაჰქონდა ნიავს...
მე არ მინახავს, სინატიფით დღეები მსგავსი
და სილაჟვარდით ასე სავსე თვალები, ლია!

დღესაც მოვდივარ, მთვარის შუქით ნაფერებ ბაღში
და ხეებიდან მოყვითალო ფოთლები სცვივა...
ის წყაროც თითქოს თვალებს იფშვნეტს ხელებით ბავშვის
და სანახევროდ შიშველ ხეებს ასველებს წვიმა...

საით წავიდნენ ის დღეები - ჩუმი და სადა,
კალმახებივით რომ დამისხლტნენ ხელიდან სადღაც?!

**22.10.90**

**სოხუში**

* * *

ვდგავარ ზღვის პირას, გავცქერ ღელვას - ლურჯი მორევის,
ო, ეს ტკივილი, უჩვეულო, ვინღამ მოდენა?
დაიწყო ცვენა ცის სიღრმიდან, მეტეორების,
შენ რად დაღონდი, გულო ჩემო, მოულოდნელად?!

წავიდა ის დრო, ალტაცების და შემოდგომის,
ცივი ქარები მიაფრენენ ფოთლებს, ხმაურით...
გახუნდა სივრცე და ფერი აქვს ამაღამ ქრომის,
ზვირთები ჯებირს აწყდებიან... აურზაურით!

საით მიაფრენს ფერმკრთალ ფოთლებს, ავყია ქარი?
ამ ჩემს ტკივილს და მწუხარებას არა აქვს ზომა...
როგორ დაიმსხვრა უმოწყალოდ ცა მინანქარის,
ნუთუ ზეცაში, ვარსკვლავებმაც, დაიწყებს კვდომა?!

ბუნების წესით, ვისაც მოსვლა დაებედება,
შიში რღვევის და დავიწყების რატომ ედება?!

**25.10.90**

**სოხუმი**

* * *

**ჩ**ვენ მივდიოდით, მივყვებოდით ო, ამ ხეივანს
და ზღვის ხავერდზე ირწეოდა მთვარე ეული!
შენ ერთი იყავ მხოლოდ ჩემი გულის რჩეული
და აღტაცებით დაგვცქეროდა ცა მოზეიმე...

ახლა გავცქერი იმ ნაპირებს, გაძარცულს ქარით,
რტოები, რხევით რომ გვათრობდა, მიწაზე ყრია!
ვდგავარ უმწეოდ, თვალს ვადევნებ ნისლების ყიალს,
და ის ლამაზი ნაფეხური... გამქრალა მთვარის!

მოდის ზამთარი... შემოდგომა ტოვებს სავარძელს,
ზღვაზე აფრებმა სევდიანად დაუშვეს ფრთები.
ჟამის წინაშე, ჩანგო ჩემო, შენ რაზე კრთები -
ვინ დაგიმსხვრია ბროლის კოშკი, ზეცის თავანზე?!

ბებერი მთვარე, კრიალოსანს გზადაგზა მარცვლავს,
რა შემრჩა ხელში, იმ ლამაზი დღეების ნაცვლად?!

**14.11.90**

**სოხუმი**

* * *

ამ განშორებამ, ჩემი გული, დაფლითა მწარედ,
ვერ შევეჩვიე ტკივილსა და სულით ობლობას!
მეტირება და კიდეც ვტირი, ძვირფასო, ცხარედ
და მარტოობის ბადეს მიქსოვს - ჟამის ობობა!

აწყდება სივრცეს, ბედისწერის შავი გრიგალი
და გაზაფხულის გუმბათები, სცვივიან ზათქით!
მე ამ ცხოვრების ვერ გავზომე... სიგრძე და განი
და მოდის უკვე შეტევაზე - დღეები ზამთრის...

ამ განშორებამ ჩემი, გზები ყველგან მოშალა,
სიყვარულს მუდამ ბედისწერის, დასდევს ფურია!..
შეხედე, მინდვრად როგორ ჭკნება თეთრი შროშანი,
ნუთუ ყველაფერს ქვეყანაზე დასასრული აქვს?!

მაგრამ დაცემას სულით მაინც, აღარ ვაპირებ,
შევხვდებით სადმე, - ხელმეორედ გავიაპრილებთ.. -

**17.11.90**

**სოხუმი**

* * *

რა ნებივრად ბანაობდნენ ბელურები, წყალში
და გარშემო აქ ჟივჟივი ჩიტუნების იდგა!..
მაღლა ტოტი, ქარის ფრთებზე, ირხეოდა ვაშლის
და ფოთლები მოყვითალო მოცურავდნენ ხიდან...

მზეს სივრცეში მოწყენილად გაეშალა აფრა,
გავცქეროდი ბაღს მთვლემარეს, უხმოდ, დანანებით...
ხიდან ყვავი მივიწყებულს, დასჩხაოდა საფლავს
და ტალღები ჩუმი თრთოლვით, ეხლებოდნენ ჯებირს!

ყველაფერი მძაფრი კრთომით იდგა ზამთრის კართან,
ბაღს ჩაეცვა სამოსელი - ტანზე მინანქარის!.
შემოდგომას გაეშალა ისევ ჭრელი კალთა
და მინდორზე ფოთლებს საღლაც მიაფრენდა ქარი...

ვიდექ წყლის პირს, გავცქეროდი შორს ტალღების დენას...
რად ჩამიკლა ჟამმა უღვთოდ, ო, ის აღმაფრენა?!

**24.11.90**
**ბანძა**

* * *

მიაყურადე ამ იდუმალ გამოღვიძებას,
ეს ცა და მიწა, საოცარი ძალით ინთება!.
უზენაესო, შენს სიუხვეს მარად დიდება,
რომ ყველაფერი სხივნათელი ძალით ირწევა!..

სივრცეს კვლავ ათრობს, ხმით ფერადით, ფრინველთ გალობა,
მთა იშმუშნება... ზღვის თვალები ელავს ზღაპრული!..
მოჩანს კლდეები ჩანჩქერებით ჩამოქაფული,
ეს ყველაფერი არის მხოლოდ... შენი წყალობა!

შეხედე, ამ ბაღს, რა ლამაზად იცვლის სამოსელს
და მზემ დალეწა ყინულეთის ყველა ურდული!
ო, ეს ბინულიც ჩემს ბაღებში გადის ქღურტულით
და მიმიწვიეს ამ ზეიმზე მეც მესამოცედ!

ლაჟვარდებიდან მოცისფერო კრთიან თვალები,
არ დამივიწყო, სათაყვანოვ, გემუდარები!..

**12.03.91**

**სოხუმი**

* * *

ამ შეხვედრების მე ვიხსენებ, ყოველგვარ წვრილმანს,
გულს უხარია და გრძნობასაც ველარ ვერევი!
ხან მზე გვათრობდა, ხან აპრილის ფერადი წვიმა
და ირწეოდა სივრცე ჩვენი ბედნიერების!.

რაც იყო, იმას, აწი უკვე ნუ ველოდებით,
წლების დინებით, ის სადღაც შორს, გაუჩინარდა...
წავიდა ის დრო, რომ ვფეთქავდით შუქის მოდებით
და ვშრიალებდით ისე, როგორც მზეზე ჩინარი..

მოდის საღამო... მოაქვს სევდა აურაცხელი,
რომლის ატანა, საყვარელო, გვიჭირს ძალიან...
მწუხარე თვალით დავცქერთ ხშირად ფოთლებს დაცვენილს,
მაგრამ ცოტა ხანს სიკვდილისთვის აღარ გვცალია!

ისევ ვუცქიროთ აღტაცებით მზეს და ლიანებს,
არ გვიწყენს ჟამი, თუ კი ცოტას დავიგვიანებთ!

**15.04.91**

**სოხუმი**

* * *

**ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,**
**ციდან ჩამოესმა რეკვა..**
**ხალხური**

შენ ქედს იხრიდი მხოლოდ ღვთის და ერის წინაშე,
სხვა სალოცავი სამზეოზე აღარ გყოლია!
მოსეულ მტერზე, ვით ლომგულმა ბევრჯერ ილაშქრე
და ბრძოლის ველზე დაუძლეველს, ჰგავდი... გოლიათს!

წაღმა აბრუნე იბერიის ბედის ბორბალი
და საალაფოდ არ აქციე ყორან–ყვავების!
მამულს დაკოდილს - მამაცურად წყლული მოჰბანე,
გახდი, მეფეო, კაცი ერის სათაყვანები!..

აღარ დაინდე, ორგულები – ქვეყნის დამქცევნი,
შენმა მარჯვენამ მტრები ერთობ მოსრა-მიახრჩო!
იყავი ქვეყნის ხმლით და სიბრძნით, მეფევ, დამცველი,
აღარ დაუთმე ქართლი მომხდურს - საპიტიახშოდ!

დალეწე ყველა - შერკინება, ვინც კი შეგბედა
და სიცოცხლეში უკვე იქეც კაცი ლეგენდად!

**25.12.91**

**სოხუმი**

* * *

**გიორგი სააკაძეს**
**ის იყო საომარი თალპიონის**
**სწორუპოვარი ხელოვანი.**
**ლ. სანიკიძე**

ორმა ვეშაპმა საქართველო ველარ გაიყო,
ჯვარცმულს სიკვდილი, სიცოცხლეზე ასჯერ ერჩივნა!
შენ, ერთადერთმა ვეებერთელა მსხვერპლი გაიღე,
რომ შენი ერი დაღუპვისგან გადაგერჩინა!..

ებრძოდი მედგრად, შინ და გარეთ, უკუღმართობას,
ფარნავაზის და გორგასალის ქვეყნის სატკივარს!..
შენი სახელი ელვარებდა, როგორც მნათობი,
იყავ გენია ბრძოლის ველის, რომ ვთქვათ, მარტივად!

უნაგირიდან ვერ მოგისხლეტს დრო ულმობელი,
შენ ორ დიდ ვეშაპს – ქარიბდას და სცილარს ეომე!..
ეს იყო ომი მრისხანე და დაუნდობელი
და საქართველო კვლავ ფერფლისგან აღდგა მეორედ!..

შენისთანები ეწირება მამულს საჩინოდ,
ოღონდაც სული, ერის სული გადაარჩინონ!

**28.12.91**

**სოხუმი**

* * *

შემოიჭრა ღრუბელი და მზე ააცახცახა,
ქარის ფრთებზე მდინარე შიშით მიედინება...
სულს წუხილი მოედო, უსაშველო, – ცალსახად
და ბუნებამ ყოველი, ნუთუ ასე ინება?!

ცის უდაბურ ტრამალზე, წერომ გადიკივილა,
მზე კი ღრუბლის ტევრებში სადღაც მიილანდება...
და მთა-ბარი შებოჭა შემზარავმა ტკივილმა,
როგორ გაუჩინარდა, ცაო, შენი ხატება!..

ო, რა მწარედ ტირიან, შემოდგომის ფერები,
სივრცე ხდება მრისხანე და თან დაუნდობელი!
ვეღარ იტევს დრო მკრთალი, სევდას მინდორ-ველების
და იდგამენ შორს მთები, მხრებზე ბროლის ობელისკს...

დღეებს ოხვრით მიმავალს ღელვით ვემშვიდობები,
ჟამი ისე ცივია, ვით საფლავთა ლოდები!

**30.12.91**

**სოხუმი**

* * *

შენ არ იცოდი, მეგობარო, რა იყო მოღლა,
მაგრამ ცხოვრებამ გულზე ლომის მოგარტყა თათი!
ამიერიდან აწი უკვე ვერასდროს მოხვალ
და ძველ ბილიკზე შენი თეთრი აჩრდილი დადის!..

გაიყოლიე ვარდფურცლობის ფერების წვიმა,
გზას გინათებდა შენ, შორეულს ვარსკვლავთა ხომლი..
დავდივარ მარტო და ეს გული საშინლად მტკივა,
ვერავინ შესძლებს, მეგობარო, მორჩენას რომლის!

აწი უშენოდ ამ მიწაზე რა მინდა ნეტავ?
ზღვა ღელავს ისევ, ეხეთქება ზვირთები ჯებირს!..
ვინ დამიბრუნებს შორს გაქცეულ იმ დღეთა წყებას
და ცრემლით ვტბორავ მიწას ძლეულს საფლავის ჯვრებით!..

ისე მივდივარ, თითქოს მხრებზე ლოდები მადევს
და სამრეკლოზე ზარებს რეკავს ნაღვლიანს მნათე!..

**08.06.92**

**სოხუმი**

* * *

ო, ის ნაბიჯი გახდა შენთვის... საბედისწერო,
მწუხარე ცაზე გავცქერ მთვარის მოლურჯო ქსოვილს...
მე მომისაჯა ღმერთმა მხოლოდ ლექსები ვწერო,
როცა შემარხევს ტკივილამდე სიმები ხსოვნის!

გაარღვევს კედელს - ყრუს, შემზარავს, სიტყვების ჯერი,
მიარღვევს სივრცეს შენი სულის ობოლი წერო!.
არ დაგივიწყებს, მეგობარო, სიმღერა ჩემი,
თუნდაც იქროლონ გრიგალებმა ათასი წელი!..

საწუთროს ბრუნვა სულაც აღარ აშფოთებს გამჩენს,
მოისურვებს და ჩამოუშვებს შემზარავ ფარდას...
სიკვდილის შემდეგ ქვეყანაზე რა უნდა დარჩეს,
სიყვარულის და სათნოების ნაყოფის გარდა?!

თუკი დარჩება, ეს ორივე მშვენება კაცის,
ვერ დაამარცხებს მაგ შენს სახელს სიკვდილი მკაცრი!

**15.08.92**

**სოხუმი**

* * *

დროის დინება ნუთუ ქვეყნად ყველაფერს აქრობს
და დავიწყების ბინდი უხმოდ მოეფინება?!
შენი მშვენება, საყვარელო, როგორ არ ვაქო,
როდესაც ღმერთმა ის საჩუქრად... ჩემთვის ინება!..

შემოეძარცვა გაზაფხულის შუქი მინდორ-ველს
და ფოთოლცვენის ლანდი უხმოდ დაეხეტება!..
იმ დღეთა ხსოვნას, მე როგორც განძს, ჩემთვის ვიტოვებ
და მას ვერაფერს ვერ დააკლებს - ჟამის შეტევა!

შენი სინაზე მოეფინა ლექსის სტრიქონებს,
თუმც განშორების სიო ჩუმად მეჩურჩულება!..
შენ ამ მიწაზე სილამაზედ გადაიქროლე
და პოეზიის ცაზე რჩები - როგორც თქმულება...

ამ ჩვენს სიყვარულს ჟამთა დენა ვერასდროს წაშლის,
თუნდ, უჩვეულო სიძულვილით, ჩაგვიდგეს კვალში!..

**26.09.92**

**სოხუმი**

* * *

ეს მერამდენედ პაემანზე მოვდივარ შენთან,
მაგრამ აქ ახლა მხოლოდ სრული სიჩუმე სუფევს.
ეს ხეივანი უკვე დარდის ქცეულა გუბედ
და არხევს სივრცეს, მოყვითალო ფოთლების სევდა..

ისმის ჯებირთან, გადაღლილი ტალღების ჩქამი
და შეუცნობი, იდუმალი ტკივილით მავსებს..
აქ მოგონება მწუხარებას უზომოდ მასმევს,
ვიხსენებ დღეებს გაზაფხულის, ლამაზად ჩავლილს..

ო, ვინ ჩამიქრო უცაბედად, სხივები რწმენის
და გული ახლა თითქოს დანით დასერილს მიგავს.
გაუტაცნია ო, ის წლები ულმობელ გრიგალს
და მივაბიჯებ ხეივანში... არავის ველი!

იდუმალ გრძნობით ხმას გარდასულს, მივაყურადებ,
მშვიდობით მერი!.. იმ შორეულ გაზაფხულამდე...

**02.10.92**

**სოხუმი**

* * *

ო, როგორ კარგავს სილამაზეს, ეგ შენი სახე,
ჩემი თვალებიც უკანასკნელ ნაპერწკლებს ისვრის!.
საცაა, ღამე შემოდგომის ნისლებში გაგვხვევს,
უკვე ზღვის პირას ქარის ავი სისინი ისმის...

ჩვენ კი ერთმანეთს სევდიანი თვალებით ვუცქერთ
და დღეთა სრბოლას უკვე აღარ ვეიმედებით!
ჟამი მრისხანე, ო, იმ დღეთა, დახურავს ფურცელს
და ჩვენი ზეცა სამუდამოდ გადიფერდება..

შეხედე, ბილიკს ხეივანში – იმ ლამაზ დღეთა,
როგორ იმშვენებს, საყვარელო, ნაკვალევს მთვარის?
საცაა, გაშლის ეს მთაც ზამთრის იალქნებს თეთრად
და რა დარჩება? – ნაფეხური ქვიშაზე მკრთალი!..

ვინ იცის, ამ გზით, მეგობარო, უვლია რამდენს?
დრო არხევს ჩვენი განშორების ცრემლიან სანთელს.

**15.10.92**

**სოხუმი**

* * *

გამოვეთხოვე გაზაფხულის დღეებს საოცარს,
სულს მიღრღნის ახლა ჩუმი სევდა - დაუფარავი.
მე ვეფერები მაგ შენს თვალებს მარად სალოცავს,
შორს დარჩა სადღაც, ჩვენი ტრფობის თეთრი კარავი!..

გვითვალთვალებდა ბუჩქებიდან ცელქი ამური
და ხელში უხმოდ დაჭიმული, მშვილდი ეჭირა...
ღამეს უნაზესს ჰქონდა ფერი სიასამურის,
რომ ჩვენი სულის სილამაზე გადაერჩინა!..

და ვარსკვლავები გვიგალობდნენ ციდან საამოდ,
მხრებზე კი შენი თაფლისფერი თმები მეღვარა...
ასე ვხვდებოდით ალტაცებით ყოველ საღამოს,
ჩვენი გვეგონა, საყვარელო, მთელი ქვეყანა!

ახლა უშენოდ ეს ქვეყანა მეუცხოება
და ასე მიდის უფერულად - ჩემი ცხოვრება!

**22.10.92**

**ქუთაისი**

* * *

როგორ იქნება მოგონებამ არ აგაცრემლოს!
მითხარი, დროო, თუ საითკენ მიექანები?
საით წახვედით, ჩემი სოფლის ბერიკაცებო,
დამუხტულებო გაზაფხულის მზით და ქარებით?!

შორს, ცის სიღრმეში, უთვალავი იწვის სანთელი
და მოირხევა სიშორიდან შუქი ღვარებად!.
ჩვენ გზას გვინათებს თქვენი სიბრძნის დიდი ნათელი,
რომ არ დავნებდეთ სიბილწეს და გადაგვარებას!

რწმენის გარეშე სავალს ველარ გაიადვილებ,
თქვენმა ოცნებამ კვლავ ძლიერი ფრთები მოისხა..
თუმც ქამი ყმუის ბილიკებზე, როგორც ნადირი,
მაგრამ ის ველარ გაექცევა ჯომარდ მოისარს!.

მიიზვირთება ეს ცხოვრება მრავალხმიანი,
მაგრამ გვამხნევებს – კვლავ თქვენი ხმა ომახიანი!.. -

**24.10.92**
**ბანძა**

* * *

**ო, ეს ცხოვრება გამოფენა ყოფილა დიდი..**
**უილიამ შექსპირი**

თვალს მიეფარა წლები მძაფრი ახალგაზრდობის
და ვარდფურცლობის ერთობ შეწყდა სიმთა წკრიალი!
ამ ქვეყანაზე ბევრი ვნახე ოინბაზობა
და შემზარავი მხეცობა თუ ორომტრიალი!

ვრცელი ბაზარი მოვიარე ამაოების,
თუმც, ფაუსტივით აღარ მახლდა... ჩემი მრჩეველი!
გულს მწუხარება, როგორც ზამთრის ღამე მოება,
არ დამრჩენია არაფერი შეუმჩნეველი!

რაც ვნახე იგი სულს მარადის ემახსოვრება,
ნანგრევის ბორცვზე მზე ოცნების უკვე დაეშვა...
ჟამის ყრუ კედლებს ეხეთქება ჩემი ცხოვრება
და გული უკვე ველარ უძლებს ამდენ კაეშანს!

მოდის ზამთარი... კრთის ბაღები ფერნაყვავები
და ტოტებიდან ვისმენ ჩხავილს - მხოლოდ ყვავების!..

**20.11.92**

**სოხუმი**

* * *

აქ ყვავ–ყორნები ვერასოდეს ვერ შემოაღწევს,
სად არწივები ბასრი მზერით სივრცეს ზვერავენ...
რად უსველდება ამ ჩემს მთა–ბარს ცრემლით ღაწვები,
ან სევდიანად რად ღიღინებს, ზღვაზე მენავე?!

აქ, ხომ სიცოცხლის იდგა ღელვა და ჟრიამული,
რომელიც ახლოს არ იკარებს - ბნელს და სიბერეს!
რატომ ატირდა უცაბედად ჩემი მამული,
მუდამ გმირულად შემართული... მიწა იბერის?!

ნაფლეთ–ნაფლეთად საით მიაქვს, ქარს მოთარეშეს,
დროის ქარიშხლით დაწეწილი სული ქართული?!
ვერ დავიბრუნებთ ვერცერთ მტკაველს ომის გარეშე,
თუ არ გავედით ბრძოლის ველზე ხმალშემართული!

თუკი მომხდური სიტყვით ველარ შემოირიგე,
შენც ხმლით და ცეცხლით მედგრად უნდა აჰყვე ბილიკებს!..

**15.08.93**

**სოხუმი**

* * *

შენ ატირებდი დაწყვეტამდე სიმებს, გიტარის,
მდინარის პირას – ფონზე მკრთალი სილუეტების...
ვინ მოთვლის იმას, რაც შენ მაშინ გადაიტანე,
და ყველაფერი ეს დამთავრდა გულის შეტევით!

შენ იყავ მსხვერპლი ავბედობის, არაკაცობის,
რომელიც ახლა ქვეყანაზე ყველგან ბოგინებს...
ვერაფერს გახდი, ვერც სიმედგრით და ვერც დაცხრომით,
ვერ გაარღვიე სივრცე მკაცრად შემოღობილი!

მიხვალ დაღლილი და ქამისგან მიუსაფარი,
წამებით სავსე, მისი სული იხსენ უფალო!..
იქვე, წყლის პირას დაგახურეთ ქვიშის საბანი
და ზედ აღვმართეთ მეგობრებმა ჯვარი... უბრალო!

შენ თქვი სათქმელი მოყვითალო ფონზე ფერების
და მე შემომრჩა, მწუხარება - დაუბერები!..

**25.11.93**

**ბათუმი**

* * *

ეს მერამდენედ ამექოჩრა თვალებზე ცრემლი,
ო, როცა თქვენთან განშორების დადგა წამები...
მღვრიე ზვირთების უჩვეულო მოვარდნას ვწყევლი
და ვხეტიალობ უსაშველოდ განაწამები!..

თქვენ გეფერებათ ჩემი სული ჩუმი ალერსით,
მე არ მყოლია მეგობარი თქვენი ბადალი!
ამინთეთ გული სიყვარულით უმხურვალესით,
სამყაროს გზებზე საოცარი ფრთებით მატარეთ!.

მშვიდობით აწი!.. მე რა მეთქმის მადლობის მეტი,
მიმაფრენს აფრა, მაგ თვალების შუქით ნაფერი!..
გზებით გადაღლილს დამფარფატებს ფიფქები თეთრი
და ქრის ქარები სივრცეებში... სხვა არაფერი!

თქვენი სიმაღლე იყო ჩემი სულის სავანე
და ვიცი უკვე უთქვენობა დამასამარებს!..

**09.01.94**

**ბათუმი**

* * *

**უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე,**
**არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ!**
**გალაკტიონი**

ჩემს სარკმელს, ფრთებით ეხლებიან, თეთრი მტრედები,
მალე მინდვრები ყვავილებით მოიჩითება!..
მე გაზაფხულის მოსვლა ისევ მეიმედება,
რომ მერე დილხანს იგალობონ, ბაღში ჩიტებმა...

მზე კვლავ ამოდის უჩვეულო ფერთა თამაშით,
ფრთები მოისხეს ალტაცებით - მთებმა, ქედებმა...
შენთან შეხვედრა კვლავ მომინდა დაღლილს, დამაშვრალს,
გულს სიყვარულის დაუშრეტი ცეცხლი ედება!

უსიყვარულოდ სულიერის ვერ სძლებს ნასახიც,
რადგან მოხვედი, გზები ქროლვით უნდა მოლიო!
ო, ეს სამყარო არის მხოლოდ ტრფობის სასახლე,
იმსხვრევა სული - უსივრცო და უჰარმონიო!

იქროლე მედგრად, სიყვარულის ფრთებით ძლიერით
და რას დაგაკლებს სივერაგე... გადამთიელის!

**08.02.94**

**მოსკოვი**

* * *

**ჩემი ძვირფასი მეგობრის -**
**ბორის ზარქუას ხსოვნას!**

ქამმა მუხთალმა დაგვაშორა, ერთმანეთს, ბიჭო,
და მოგონება უსაშველო ტკივილად მექცა...
უშენოდ ყოფნას, მეგობარო, არყოფნა მიჯობს,
და მეც შენსავით მიწის შავი პერანგი მეცვას!..

ახლა შენს სხეულს აქუცმაცებს - ქამი ტიალი,
რომ ლექსად არ ვთქვა, ალბათ, სადმე დამახრჩობს ბოღმა...
მე ვერაფერი ვერ გავიგე სოფლის ტრიალის
და ისიც, ვიცი, რომ ეს სული ამაოდ ოხრავს!

მოვიდა ღამე - ღამე ბერწი, ქვეგამხედვარი
და შენს საფლავთან შემზარავი დუმილით მიწვა...
ბედნიერი ვარ, რომ ვერ ვნახე შენი ცხედარი
და ვერც ცრემლებით დაგისველე საფლავის მიწა!

მშვიდობით ძმაო! – სულს თუ არ ჰყავს სიკვდილი მეკვლედ,
მაშინ ზარები დავიწყების ამაოდ რეკენ!

**18.10.94**

**ბათუმი**

* * *

**მწერალ ვლადიმერ მისაბიშვილის ხსოვნას**

ცხოვრების გზაზე ღელვით დაღლილს, შემოგაღამდა,
შემოგიტია უცაბედად სიკვდილმა ძლიერ
ო, ასეთია მეგობარო, ხვედრი მაღალთა,
როცა ცხოვრების ოკეანე ბობოქრობს მღვრიე...

ვერ აიტანა გულმა დღეთა ორომტრიალი,
მზე გაზაფხულის ბოროტებამ, კვამლში გახვია!..
ისევ გამოჩნდა ყორნის ფრთებით ქამი ტიალი
და სისხლიანმა ქარიშხალმა სივრცე გახია!..

გაუტანლობას, შურს და ღალატს ბევრი ედავე,
თუმც ეს ცხოვრება დასაბამით ასე რიალებს!..
შენ არასოდეს არ ყოფილხარ გაუბედავი
და შეუპოვრად ეკლიანი გზებით იარე...

მშვიდობით ძმაო! გეთხოვებით ქამით გათელილს!.
მაგრამ აქ რჩება კვალი შენი... მარად ნათელი!..

**24.10.94**
**ბათუმი**

* * *

**შოთა ლაბარტყავას ხსოვნას**

ხედავდი მამულს ფრთებდალეწილს და გულში დაჭრილს,
ჟამს გამოხედვა ჰქონდა ურჩი და თავხედური..
ვაჟკაცი იყავ და ბოლომდე ვაჟკაცად დარჩი,
გაითავისე, მეგობარო, გზა უბედურის.

მიაბიჯებდი ნანგრევებში მხედარი მტკიცედ,
ბოლმამ ერთბაშად გადმოხეთქა ყველა ჯებირი!..
შემოგბლაოდა დაშრეტილი თვალებით სივრცე
და მზე სიცოცხლის - ათასობით გადაჯეგილის!..

და ბარიერთან ბოროტების პირისპირ დადექ,
გეფინა შუბლზე უკვდავების შუქი ძლიერი!..
ამიერიდან შეუერთდი მამაცთა ლანდებს,
ვეფხვის ნახტომით დაასრულე გზა მიწიერი!..

არ გინაღვლია განშორება სულის და ხორცის,
სული გაფრინდა... და აქ დარჩა საფლავის ბორცვი!

**17.12.94**
**ბათუმი**

* * *

**მეგობარ პოეტ ქალს – ქუქუნა ხაჯიშვილს**

შინდისფერ თასებს სცლიდა ღამე, განაფითრები,
მიირწეოდა ლაჟვარდისკენ ჭერი გალობით...
სიმები ქნარის მთვრალი იყო... შენი თითებით
და ცა და მიწა საოცარი შენი ქალობით!..

ქარი არხევდა შემოდგომის ქარვისფერ ხაზებს,
და მთვარე ლოცვად მუხლმოყრილი, ვნახე ნაძვებთან..
სულმოუთქმელად ცლიდა ღამე შინდისფერ თასებს
და მერე სადღაც, დასავლეთით... მიბარბაცებდა..

ათრობდა სივრცეს პოეტური სულის ნათება.
და სიმებს ჩანგის ღვთაებრივი შუქი ემოსა!..
ოდნავ ფეთქავდნენ, მოთენთილი მთვარის ჩრდილები....

ჩვენ ლექსებით და სიმღერებით ღამეს ვათევდით.
დაფარფატებდნენ ფრთებქათქათა ანგელოზები...
და მერე ლოცვით ცისკენ გაჰყვნენ შუქის დინებას...

**16.04.95**

**ბათუმი**

* * *

თუ განშორების ულმობელი დარეკავს ჟამი,
ეს ზეცა, ვიცი, გაზაფხულის ცრემლს რომ მაწვიმებს...
მოვა აჩრდილი საიდუმლოდ, მთვარიან ღამით,
რომ მომაგონოს გაფრენილი ის სიყმაწვილე..

ღამეულ სივრცეს გააჯერებ მხურვალე ლოცვით,
ანგელოზების ხმები ზეცას მოახავერდებს!..
მერე, ძვირფასო, გეტკინება სულიც და ხორციც,
რომელსაც მთელი მგზნებარებით ასე გავენდე..

დაღლილ რტოებთან იქანავებ ოქტომბრის თვეში
და შეერევი ფოთოლცვენის იდუმალ ლანდებს!..
მერე დაფარავს შეღამების ღრუბელი მრეში
ჩვენი ლამაზი სიყვარულის საოცარ სანთლებს!.

მოვა ზამთარი, უჩვეულო ძალას რომ იკრებს
და ჩვენი სული იქნებ თოვლის ჩამოჰყვეს ფიფქებს?!

**28.08.95**

**ბათუმი**

* * *

ქარი ქრის და ზღვის ოქროსფერი შრიალებს ქვიშა..
ვიხსენებ იმ დროს და ტკივილით, იმღვრევა სული!..
ნუთუ ეს ხსოვნა, მეგობარო, არაფერს ნიშნავს
და კივის სივრცე - უჩვეულოდ ფერგადასული...

ამაოდ ვეძებ, მე შენს ღიმილს, გაფანტულს ქარში
და მწუხარებით მოქანცული ქვიშაზე ვწევარ...
ვიცი, საწუთრო ულმობელი მეც მალე დამშლის
და ცას გაარღვევს ჩემი სულის ობოლი წერო!..

ვემახსოვრები, უცნაურად გარინდულ ალვებს
ჩამწკრივებულებს - მოდუდუნე მდინარის პირას...
ვიცი, ტკივილით მონუსხული ეს ჟამიც წავა,
სიკვდილ-სიცოცხლის ღმერთი უხმოდ გადახრის პინას!

შემოღამების ცაზე მოჩანს ღრუბელი მომცრო,
მიქრიან დღენი, მაგრამ სული იმედით ცოცხლობს!..

**19.09.95**

**ბათუმი**

* * *

მე გული ისევ, საყვარელო, შენკენ მიმიწევს,
შორს დარჩა უკვე ის დღეები და ზღვის ნაპირი!..
ო, გაზაფხულო, ასე რატომ გადამივიწყე,
რად არ მეძახი სიშორიდან, მზეო აპრილის?!

რად მექცა ხსოვნად ყოველივე, რასაც ვეტრფოდი,
რატომ მომაწვა სიმძიმილი, ულმობლად გულზე?
დღეო მომავლის, ვიცი, ახალს ვერაფერს მეტყვი,
ნუთუ შენს რხევას, მთვარევ, უკვე ამაოდ ვუმზერ?!

ცისკრის ჩიტუნავ, ნუ მახსენებ დღეებს გაფრენილს,
მზის ამოსვლის წინ, ასე რატომ შეირხა ტოტი?
რა ვუყო გულზე უმოწყალოდ სევდას დაფენილს,
ველარ ვაშორებ ჩანგის სიმთა მწუხარე მოტივს!..

ჭრილობის ხანძარს, მეგობარო, ვერავინ მიქრობს,
დავდივარ უხმოდ და არ ვიცი, თუ რაზე ვფიქრობ!

**14.07.96**

**ბათუმი**

* * *

აწი გაზაფხულს ერთად ველარ შევეგებებით,
არც შემოდგომის უჩვეულო ფერიცვალებას.
ჩვენ არც ბლავილი მოგვაწყდება, ზღვიდან გემების,
საფლავის ლოდი სველი ხავსით დაიფარება!..

საით გაფრინდა მოლაღურის ფრთების შრიალით
ეგ შენი სული, ღვთაებრივი ნაზი არსება?!
უშენოდ, ვხედავ, იცრემლება მინდვრად ნიავიც
და ჩემი ყოფნა, ხეს ფუტუროს, დაემსგავსება!..

ბევრი გეფერე, არ მინდოდა შენი გაშვება,
დარდით მოქანცულს, ამ სხეულის მიმძიმს ტარება!
ახლა უშენოდ ვხეტიალობ ამ ბნელ ღამეში,
ვიგონებ ცრემლით გარდასულ დროს, იმ ნეტარებას!..

ვიცი, ვერასდროს დავიბრუნებ იმ დროს თავიდან,
ასე ყოფილა მეგობარო, დასაბამიდან!..

**21.07.96**

**ბათუმი**

* * *

როგორ ვთვრებოდი, მაგ ბაგეთა ნაზი სურნელით?!
და მთვარე ციდან შუქს გვაფრქვევდა - ვარდივით ქორფა...
შემორჩი ჩემს სულს, ვით ჭრილობა განუკურნელი
და განშორებამ, - რა უსაზღვრო ტკივილი შობა?!

მაშინ, ძვირფასო, გვიტაცებდა ფერები შინდის,
ო, იმ ყვავილმა, რა უეცრად დაიწყო ჭკნობა?!
თუ ატმის რტოდან გვიგალობდა ზღაპრულად ჩიტი,
ახლა მიგზავნის შემოდგომა - მწუხარე ნობათს!..

დროის დინებამ, რა უზომო სამსალა მასვა
და ჩემს გარშემო ყველაფერი როგორ ხუნდება?!
თითქოს ბუნება გადაიქცა უსულო მასად,
წავიდა ის დრო და არასდროს არ დაბრუნდება!

მივდივარ მარტო, როგორ მიჭირს, სევდის ტარება!
საით წავიდა ის ღიმილი და ნეტარება?!

**24.09.96**

**თბილისი**

* * *

მოვა ჟამი და დავშორდებით ერთმანეთს, ხორცით,
მაგრამ სულები აინთება - ვარსკვლავთა წიაღ...
დარჩება ჭალა და ცისფერი პატარა ბორცვი
და ყვავილებიც, თამაშით რომ გადააქვს ნიავს!..

ჩვენ რომ გვიყვარდა, ის დღეები გაფრინდა სადღაც
და ის ვარდები ჟამის ურჩი ქარებით დაჭკნა!
ამ სამზეოზე ჩვენი ყოფნის თავდება ვადა,
უნდა გავფრინდეთ, მეგობარო, სხვა რაღა დარჩა?!

ცოცხალთა შორის ვინ მიხვდება, რა ხდება იქით?
შეუცნობია ჩვენთვის მარად, განგების ძალა!..
ჩვენ იმ სივრცეებს ველარ ვწვდებით, მოკვდავნი ფიქრით,
ყველაფერს, რაღაც იდუმალი ბურუსი ფარავს!

და თუ სხეული სულთან ერთად მტვერია მხოლოდ,
მაშინ მითხარი, საყვარელო, რა რჩება ბოლოს?!

**02.10.96**

**თბილისი**

* * *

გაზკამერისკენ მიმავალთა იდექი რიგში,
მეოცე ნომრით, ნაწამები პატარა გოგო!
ნუთუ ამ ქვეყნად, საყვარელო, ტანჯვისთვის იშვი,
გართმევდა სუნთქვას, ჟამის დელგმა ვარდისფერ კოკორს!

გაქცევა სცადე და ის კაცი - ხალათით თეთრით,
ყელში გწვდა შვლის ნუკრს, შეგაბრუნა მწყობრისკენ მარცხნივ...
დაგეპნა მძივი სამახსოვრო, საყვარელ დედის,
ხოლო სურვილი, სამუდამოდ დამთავრდა მარცხით!

იქ ჩაგაყენეს, სად გიცდიდა ჯიუტად რიგი,
ბრდღვინავდა მხეცი კაცის სახით, მართლაც წყეული!
ვეღარ გაუძლო გულმა ეკრანს, გამოვრთე იგი
და ავცახცახდი... ტკივილისგან, მთელი სხეულით!

ექიმო კაცო! ვინ გაგხადა ასე სასტიკი?
ვინ შეგიცვალა მკერდში გული შავი სვასტიკით?!

**16.03.97**

**მოსკოვი**

* * *

აწი, სად ვპოვო ის ღიმილი, საოცრად თბილი?
დაგეძებ, მაგრამ არაფერი მეიმედება...
ვეღარ ვშორდები, ჩემი ყრმობის გაძარცულ ბილიკს,
დრო მიდის, მაგრამ მწუხარება აღარ ბერდება!

ვერ იქნა, ჩემში სატკივარი, ვეღარ დაძველდა,
დავცქერი ლოდებს - სამუდამოდ გაჟღენთილს სევდით.
ამოდის მთვარე, კვლავ ჩერდება მაღალ ნაძვებთან
და მელანდება... სათაყვანო აჩრდილი დედის!

დავდივარ მარტო, აქ ჩემს გარდა არავინ არის
და სული მექცა ამოუშრობ წუხილის გუბედ...
ისევ იღვრება, სიშორიდან სხივები მთვარის
და ჩემს გარშემო იდუმალი სიჩუმე სუფევს!..

თქვენ მაგონდებით, ამ მთვლემარე ფონზე ლოდების,
როცა მეც წავალ, ნუთუ ვინმეს მოვაგონდები?!

**10.10.97**
**ბანძა**

* * *

ხმით სევდიანით, ისევ არხევ, სივრცეს შორეულს,
მღერი გოგონა და ტირიან ვარსკვლავნი ღამის...
გისველებს ღაწვებს, ჩუმი ცრემლი... გრძნობამორეულს,
ვინ ჩაგიღვარა მაგ სხეულში, ანგელოზს შხამი?!

იქნებ ცხოვრების ეჭიდები - ვეება ბაგირს
და მწუხარების მთელი ძალით გაშალე აფრა..
შენ მღერი მარტო, არხევ სიმებს ღვთაებრივ ჩანგის
და სიყვარულით კვლავ ეძახი... ბავშვობის ზღაპარს..

იქნებ, დღეებმა შეგარხიეს, კივილით მძაფრით
და მღვრიე ზვირთი უსაშველო მორევში გითრევს!
მითხარ, ასულო, ასე ძლიერ რად ღელავ, მარქვი,
იქნებ ტრფიალის აუტანელ სატკივარს ითმენ?!

იქნებ დემონის უსახური ლანდი გაშინებს
და სული ციურ ანგელოზებს დაუკავშირე?!

**21.06.99**

**მოსკოვი**

* * *

ყინვაში, თოვლში, ქარიშხალში ცეცხლით, მახვილით -
გზას მიარღვევდით, არ იცოდით, რა იყო შიში...
სიკვდილს ხვდებოდით ვაჟკაცური შემოძახილით
და გამარჯვების მზე დიადი კივილით იშვა!

იმ დღეთა ქროლვას დრო ვერასდროს გადაივიწყებს -
ის უებარი მამაცობის სიმბოლოდ იქცა.
ზღვას ჰგავდა ქარში სულის ღელვა - სულის სიფიცხე
და ინერციით დღესაც დუღს და ბობოქრობს მიწა!..

სამოცი წელი გაჭიმულა, როგორც ზონარი,
მაგრამ ქვემეხთა დღემდე ველარ გაცივდა... ლულა!
ეს ომი იყო მრისხანებით გაუგონარი,
კაცობრიობას სამუდამოდ რომ ექცა წყლულად...

ყველამ გაიგოს - ეს იცოდეს ყველა თაობამ!..
შემდეგი ომი მიწას აქცევს არარაობად!

**17.06.01**

**მოსკოვი**

* * *

რად გახდა ასე პროზაული, ჩემი ცხოვრება?
დღეებს მიმავალთ, თითქმის უკვე მხარი ავუბი!
შენი ხატება, სულო, მარად მემახსოვრება,
ო, ის ლამაზი ღიმილი და ტონი საუბრის!..

ის ხეივანი გახდა უკვე - ცივი და მკაცრი,
ფერთა თამაშით მიილია დღეები მწველი...
რაც კი გვებოძა, ჟამი ისევ ხელიდან გვაცლის,
რა შეგვრჩა? – მხოლოდ მოგონებით თვალები სველი!..

მივათრევ დღეებს ულიმღამოს და როგორ მიჭირს,
ჩამოიქროლე, ერთხელ კიდევ, ლურჯო ნიავო!
საით წავიდა ის პატარა, ლამაზი ბიჭი,
რომ შორს გაქცეულს, ეწეოდა, ველზე ნიამორს?!

გულს მძიმედ დაღლილს – ეს რა მძიმე სევდა მოება!..
სად გაქრა ო, იმ სილამაზის უსაღზვროება?!

**12.09.01**
**ბანძა**

* * *

ომ პირქუშ დღეებს, თქვენი მკაცრი დუმილი აზის,
როცა განვშორდით ჩვენ ერთმანეთს, გული მეტკინა!
არ ვიცი, ხშირად რად იმარჯვებს ბოროტი აზრი,
უთქვენოდ ქვეყნად სიცოცხლეც ვერ წარმომედგინა!

ჩემო წიგნებო, დაფერფლილნო უგნურთა ხელით,
ვინ დამიმსხვრია, საუკუნის ფრთები ძლიერი?
მოვდივარ სახლში, მაგრამ უკვე არავინ მელის,
მხოლოდ დამსდევენ დემონები... შურისძიებით!

სული მშფოთვარე, ვით გაუძლებს ამდენ სიმძიმის,
არ შემრჩა ძალა, რომ იმდენი სისხლი მადინეს!
ო, ჩემში თქვენი საოცარი შუქი ციმციმებს,
უთქვენოდ გზები, აწი ვინღამ გამიადვილოს?

დრო მიდის, მაგრამ ყველაფერი მეუცხოება
და თქვენს ხსოვნაში, იფერფლება ჩემი ცხოვრება!..

**17.04.02.**
**ბანძა**

* * *

ვდგავარ კბოდეზე და გარშემო არავის ვხედავ,
მხოლოდ ტალღები უჩვეულო ხმაურით მიდის!..
რატომ ამკიდე სიყვარულის ვეება ტვირთი
ჟამთან ჭიდილში, ბრძოლის ველზე გადაღლილ მხედარს?!

სად გაქრა, ნეტავ, ჟრიამული ბავშვობის წლების?
იმ დღეთა შუქით ო, ეს ზეცა რატომ არ ბრწყინავს?!
ეს მთებიც და ეს მინდორიც ო, სხვა იყო წინათ
და სულში უკვე უბოლოო ტკივილი წვება..

ვუცქერ და გული, მწუხარებით მევსება თითქოს,
მინდა, კვლავ ერთხელ ვეამბორო მაგ ცისფერ ნათელს!
დრო რეკავს ზარებს დაუცხრომლად, ვითარცა მნათე
და ბუჩქებიდან იცრემლება ბავშვობის ხვითო...

აბაშავ ჩემო! მთელი გულით მე შენი ტყვე ვარ!
გემშვიდობები! სისხლი ღელვით აწყდება ვენას!..

**10.10.02**

**ბანძა. აბაშისპირი**

* * *

აჰა, ვშორდები ჩემს ეზოს და სანუკვარ მინდვრებს,
რომელსაც აწი, მეგობარო, ვერასდროს ვნახავ!
წინ ნისლიანი საცალფეხო ბილიკი მიდევს
და ქამი გულზე, რა უღმერთოდ მიმიზნებს ლახვარს!

მე ვეფერები კოშკს ოცნების, რომელიც ვაგე,
ვით მინდვრის ყვავილს ეფერება ნიავი დილის...
გზებზე მოფანტულს, ვხედავ ჩემი ცხოვრების ნანგრევს
და ჩემი ლანდი სიყმაწვილის საბრალოდ ტირის!..

სევდიან მზერით, შორს მიმავალ იალქნებს მივსდევ
და მივაბიჯებ, მშობლიური ჭალისკენ ოხვრით!..
ჩემო აბაშავ, უჩვეულო ტკივილებს მისევ
შორეულ გზებზე ხეტიალით უზომოდ მოღლილს!

ო, ერთხელ კიდევ ჩავისუნთქავ, შენს ჰაერს ხარბად
და მერე თვალებს განშორების, ცრემლებით განვბან!..

**12.11.02**
**ბანძა**

* * *

Ისევ მოვედი, მომენატრა ჩემი სახლ-კარი,
დრო მიისწრაფის, ეზო სევდას ველარ იფერებს!
ნუთუ ყველაფერს აცამტვერებს ჟამი მსახვრალი,
ჩემი ატმის რტო, ღმერთო, ასე რად დამიბერე?!.

მინდა ჩემს ჭალას მოვეფერო! იქითკენ მივალ
და გზაზე თითქმის აღარ მხვდება - სახე ნაცნობი!
მივდივარ მარტო, ყველა ძარღვი საოცრად მტკივა
და ლამის ღელვამ ამომიგდოს, გულის საცობი!

მინდვრებს საყანეს, მოსდებია ხშირი წალამი!
რამ დააყრუა ეს შარაგზა, როგორც ტრამალი!
ცაზე ჰკიდია მოწითალო ღრუბლის ალამი
და სოფლის ბოლოს, სევდიანად ყივის მამალი!..

თვლემს ჩემი ჭალა და აბაშა, მიდის დუდუნით,
სად გაიტყორცნა ის დღეები - დროის შურდულით?!

**18.11.02.**
**ბანძა**

* * *

თითქმის ყოველდღე, რადიოდან გვესმოდა მარში,
ასე რამ შეკრა ეს ქვეყანა, ერთ დიდ სხეულად?!
ჩვენი ყველა გზა მიდიოდა ფრონტისკენ მაშინ,
ჩემი სოფელიც იდგა ფეხზე გამორჩეულად..

და კიდით კიდე, მძაფრად რეკდნენ რწმენის ზარები,
არ ჩაუხრია სოფელს მუხლი, თითქმის წამისად!
მსხვრევით, ხმაურით მოდიოდნენ დინოზავრები,
თვალს მიეფარა, სამუდამოდ ის დრო წავიდა!..

გუთნის სახელურს, ძლივს ვსწვდებოდით მაშინ ბიჭები,
მაინც სახეზე ყველას რწმენის შუქი გვეფინა..
იმ წლების ხსოვნა ჩემში ახლაც მძლავრად იჭრება,
რა ძალა იყო შემართების, გამაგებინა?!

ო, სიმამაცე, ჩემი სოფლის, მყოფნის მოტივად,
მე შენს წინაშე კვლავ ქუდს ვიხდი, როცა მოვდივარ!

**17.11.02**
**ბანძა**

* * *

ჩეში ბუხრიდან ძლივს ამოდის ფთილები კვამლის,
აჰა, საცაა აქ სიცოცხლის გაწყდება ძარღვი.
როგორ არ მინდა, ისევ შეწყდეს ყივილი მამლის
და ნასახლარზე შემზარავად აყმუვლდეს ძაღლი!..

არ მინდა ოხვრით დადიოდეს, ადგილის დედა,
ეხუროს თავზე, მგლოვიარეს, მანდილი შავი.
შორს, ჩაქრეს ცაზე, ვარსკვლავების საამო ფეთქვა.
და დასჩხაოდეს ეზოს ხიდან... ბებერი ყვავი!..

მზარავს მამის ხმა სიშორიდან - წამებით სავსე.
ედება სივრცეს, ცრემლიანი დედის ქვითინი!..
ო, მთვარე ისევ სევდიანი მიცურავს ცაზე,
ჩვენზე თქმულება შემორჩება სოფელს მითივით!..

ო, ალბათ მალე აქ სიცოცხლის შეწყდება რხევა,
რომ არ მესმოდეს ეს ტკივილი, - ფუტურო ხე ვარ?!

**25.11.02.**
**ბანძა**

* * *

**ჩემი ბვირფასი ლექტორების ხსოვნას**

გარბიან წლები დარბეულნი ჟამის ზღვაურით
და საოცრად ვგრძნობ იმ შორეულ დღეთა ნათებას!..
ზღვა ძველ ნაპირებს კვლავ აწყდება აურზაურით
და თქვენ ანთიხართ მწვერვალებზე - ხსოვნის სანთლებად!..

ვინ შეაჩერებს უთავბოლო ზვირთთა კვეთებას
ან ვინ ჩააქრობს, სამუდამოდ თვალებს სატანის...
თქვენ არ ხართ, მაგრამ ცოცხლობს თქვენი შემოქმედება,
ნეტავ, სად ვპოვო, სად ვეძებო, თქვენი ბადალი?!

რა ულმობლად ცვლის ჟამს აღმასვლის, ჟამი დაცემის,
რაც მოხდა ალბათ, სულს წამებად, ესეც ეყოფა!..
სადა ხართ ახლა, სათაყვანო ერისკაცებო,
რომ ბოროტებას მთელი ძალით გადაეღობოთ!..

იყავით მუდამ სულით, საქმით ერის მსახურნი
და არ იცოდით, თუ რა იყო სხვა სამსახური!

**20.04.03**

**მოსკოვი**

* * *

**ჩემი ძვირფასი ლექტორის, ცნობილი ფიზიკოსის**
**ვიქტორ ბეშიძის ხსოვნას!**

მოვიდა სხვა დრო, სხვა ფიქრებით, სხვა გატაცებით,
თქვენი ამაგი ო, მე მუდამ მემახსოვრება!..
როგორ მომრავლდნენ ქვეყანაზე... არაკაცები,
რასაც ებრძოდი შემართებით მთელი ცხოვრება...

მოვიდა სხვა დრო, სხვა ფერებით სუნთქავს ქალაქი,
რაც იყო,იგი საუკუნოდ, დარჩა თქმულებად...
თქვენს საფლავზე კი ნაზამთრალი ფეთქავს ბალახი
და გაზაფხულის სიო ლურჯი... ეჩურჩულება...

მოვიდა სხვა დრო, და ამაზე წუხდი ნიადაგ!
იმ დიდ წარსულთან, ამ დღეების არ ჩანს მსგავსებაც!
დროთა კავშირის ვხედავ უკვე აყრილ ლიანდაგს,
ღირებულების ულვთოდ ხდება გადაფასება..

წავიდა ის დრო და ვერასდროს მოვა მეორედ,
მაგ სულის ღელვას, კვლავ ვერავინ გაიმეორებს!.

**21.04.03**

**მოსკოვი**

* * *

დამანჩელივით, მეც დავრახტე ჩემი თეთრონი,
ტანს კი ბექთარი მიმშვენებდა, თავს მუზარადი!..
გავიჭერ გზაზე, რომ მომესპო ეს ულმერთონი
და ბრძოლის ველზე, ხმლით და ხაფით, ბოროტს ვზარავდი!..

მეც მახლდა სანჩო, მეაბჯრე და ერთგული მოწმე
და დაჭრილს, ბევრჯერ დამაფარა, ტანზე ზეწარი!..
მეც სისხლით, ქარის წისქვილების, მინდორი მოვრწყე
და ვლეწე მტერი - ჯერ ბოლომდის დაულეწავი!

გადავცქეროდი გზებს და მინდვრებს - სახით მჭმუნვარით,
სწორუპოვარი მეომარი და შორსმჭვრეტელი...
მეც ღმერთმა მომცა, ქვეყანაზე, ბრძოლის უნარი
და სული მქონდა დაუღლელი, დაუშრეტელი!..

მე რაც გადამხდა, ის საქვეყნოდ გახდა ცნობილი
რა ვიყავ ნეტავ? – რაინდი თუ ძე შეცდომილი?!

**28.07.03**

**მოსკოვი**

* * *

რატომ გჩვევია გულგრილობა ხშირად, ბუნებავ?
ო, როცა შენგან უჩვეულოდ ბევრს ველოდებით!..
თუ მოისურვებ სულს აგვიკლებ კვნესა-გოდებით,
როცა სიკვდილი ათასჯერ სჯობს დაბადებას!

შენ ხომ ვერავინ ვერ შეგზღუდავს მეფურ ბრძანებით,
მოგაქვს ზვირთები ულმობელი, მთებისოდენა..
მთელ დედამიწას, ფერს შეუცვლი მოულოდნელად,
როცა სურვილი - უჩვეულოდ მოგეძალება!..

სამყაროს ბრუნვას, გასაოცარს, მარტო განაგებ,
გავცქერი სივრცეს და სული გრძნობს, ციურ ნათებას!..
ხანაც იმედი სანთელივით შემოგვადნება,
გაგვიცამტვერებ რუდუნებით - კოშკებს ანაგებს!..

არ ვიცი, ასე რად იქცევი ხშირად დილემად,
რატომ გაურბი, ყოვლისშემძლევ, უკუდინებას?!

**30.09.03**

**მოსკოვი**

* * *

**ჩემი მეგობრის – ბორის ზარქუას ხსოვნას!**

ო, რა ლამაზი იყო ჩვენი ძმური კავშირი -
ვიცი, ეს გული მოგონებას ველარ აიტანს!
გელოდებოდა ნავი პორტში აფრაგაშლილი
და ჩვენც გელოდით, ჩვენი ნავის უცვლელ კაპიტანს

შენ კი ხიდისკენ გაემართე ნაბიჯით დინჯით,
ზღვა ბობოქრობდა, შენ ამაყად დადექ საჭესთან...
არ შეუშინდი, ზღვას ამღვრეულს, მამაცი ბიჭი,
როცა სივრცეში უცაბედად ქარიც გაჭენდა..

შორს, მივარღვევდით ჩვენ სტიქიონს აბობოქრებულს,
იდგა გუგუნი და ზვირთი კი - ზვირთზე გარბოდა..
ეხეთქებოდნენ ნავის კედლებს, მძლავრი მოქნევით
და ზღვამ მღელვარემ, ვერ გვაქცია მაინც ნაფოტად!

შენმა სიმხნევემ, შემართებამ გადაგვარჩინა,
რომ არ ვიქეცით ჩვენ სამთავე ღამის აჩრდილად!

**28.08.03**
**მოსკოვი**

* * *

ფიქრით პლანეტას შეაბერდი, იცხოვრე რწმენით,
რა გულუბრყვილო ბატკანი ხარ, მამა–აბრამის?!
ბიბლიურ კაცის რა საოცრად გამშვენებს წვერი,
არც დასასრული ვიცით შენი, არც დასაბამი!

მე ბოღმა მახრჩობს ამ გულიდან გაუდინარი,
რომ შენს ღირსებას ვეღარ შევხვდი, ძვირფასო, ქებით!
ო, ეს ცხოვრება მიდის, როგორც მღვრიე მდინარე
და გავიწაფე კაცი უკვე სროლაში ქვების..

დემოკრატიის სამშობლო ხომ ათენი გახლდათ,
დიდი სოკრატე იყო მისი პირველი მსხვერპლი!
და ყველამ ვიცით, თუ რა ბნელი დაეშვა ფარდა,
დარჩა უდღეურ ნაკვალევზე მტვერი და ფერფლი...

დემოკრატია ჩვენთან ნაღდი იმპორტი გახლავთ,
ყველგან ქაოსი შემზარავი, – საითაც წახვალ..

**02.01.06**

**მოსკოვი**

* * *

შენი ტკივილის არ გიყვარდა სხვისთვის მოხვევა
და მეგობრებში იყავ მუდამ... გამორჩეული!
არც იმას ჰგავდი, ვინც ერთბაშად დაიბოღმება
და ცხოვრების ზვირთს შეასკდება, მთელი სხეულით!..

შენ გაურბოდი დღენიადაგ, სულით ობლობას,
იგერიებდი პირქუშ დღეებს, თითქოს ლაღობით!.
მტრების მიმართაც გაურბოდი დაუნდობლობას
და დაიპყარი ჩვენი სულის - ყველა მაღლობი..

მოკვდავთა შორის იშვიათად იბადებიან
შენისთანები – გადმოფენენ სულის სიუხვეს...
მერე კი ხსოვნის თბილი შუქით იბადრებიან
და მას ვერაფერს ვერ დააკლებს - ჟამის სიმუხთლე!

შენ კაცი იყავ, სული გქონდა სულ სხვა ყალიბის,
შენისთანების წასვლით ვხვდებით, მუდამ ღარიბი!

**03.09.03**

**მოსკოვი**

* * *

შიმედობას, მეგობარო, აღარ დანებდე,
შეხედე, ჟამი ხელუკუღმა ისვრის კამათელს!
იდექ ამაყად, აღარ აჰყვე შიშს და ზმანებას,
თორემ სიკვდილი, სულ უბრალოდ დაგაშამათებს!

დღეების რისხვით, ნურასოდეს ნუ გაყუჩდები,
უღრან ღამეში, მხოლოდ რწმენის შუქი აინთე!..
დაშლას და ქაოსს ხომ ვერავინ გადაურჩება,
მოვა ჟამი და ის ფსკერისკენ ბრუნვით ჩაგითრევს!..

ვერ გადალახავ დავიწყების კლდეებს ციცაბოს,
თუკი ფარანი დიოგენის გზას არ გინათებს...
დასაბამიდან მიზნისაკენ უნდა ისწრაფო
და ბრძოლით უნდა მოიპოვო, მუდამ სინათლე!

დრო ვერ ამარცხებს ბრძოლის ველზე კაცს შუბლოფლიანს,
ო, ასეთია ამ ცხოვრების ფილოსოფია.

**14.09.03**

**მოსკოვი**

* * *

**ერთი წავა და სხვა მოვა, ტურფასა საბაღნაროსა.**
**შოთა რუსთაველი**

წელს სამოცდაათს, გავცდი კაცი უკვე თამამად
და ფინიშისკენ კვლავ ტკივილით მივექანები!..
უიმედობამ თავი უკვე ველარ დამალა,
რა ურჩი ქროლვით, მიკივიან სივრცეს ქარები!..

გზადაგზა თითქმის მეგობრები შემომეცალნენ
და უკვე ჟამით გაძარცული, ლექსებს ვენდობი!..
ჩემს ცაზე რწმენის შემოფრინდა წყვილი მერცხალი,
როგორ არ მინდა, გავხდე მსხვერპლი უიმედობის?!

მინდა გულისთქმას სიმძიმილი არ გავაკარო,
აჰა, საცაა, ვიცი უღვთოდ გავითელები!.
მზე ჩადის... რტოზე შემოდგომის სხივი კანკალებს
და მაინც ველი, სიყვარულით დღის გათენებას!..

ვინ შეაჩერებს გაფრენილი დროის მირაჟებს,
ქედმოუხრელად ვდგავარ ისევ მე შენს წინაშე..

**15.09.03**

**მოსკოვი**

* * *

ვერ შემიცვნია წუთისოფლის გზები ტიალი,
ან ეს პლანეტა როგორ ბრუნავს, ძალიან მიკვირს!
დასაბამიდან აქ იმდენი ცოდვა ტრიალებს,
საოცარია, დღემდე როგორ გაექცა სიკვდილს?!

თანამგზავრებით მზეო, საით მიექანები?
მიწას სირცხვილით უკვე თვალის გახელაც უჭირს...
ცა ვარსკვლავებით ფეთქავს, როგორც ლურჯი ზმანება
და დედამიწა, ცოდვით სავსეს, მიათრევს ხურჯინს!..

ო, ამ სამზეოს, უკვე ქცეულს არარაობად,
აფორიაქებს ბოროტების ფრთები საზარი!.
ჟამი ვერ უძლებს დემონების ამ გულზვაობას,
ლამის დაკეცოს მზემაც ფრთები უზარმაზარი!

ცა მადგას თავზე შემოდგომის შუქით დაცლილი
და გორმახებში სტვენით გარბის სადღაც მაცილი...

**17.09.03**

**მოსკოვი**

* * *

**დედას**

როცა შენ წახველ, თხუთმეტი წლის ვიყავი მაშინ,
ჩემი ბავშვობის ოქროს ხანა დამთავრდა ამით!
სოფლის ბოლოში ჯოხის თეთრი დავტოვე რაში,
მხოლოდ სიზმარში მოდიოდი, ძვირფასო, ღამით.

უკანასკნელად, გულდაწყვეტით შემახე ხელი
და მაგ თვალებში, განშორების მოჯარდა ცრემლი..
ეზოში კრთოდა შემოდგომის ნისლები თხელი
და იდგა მხოლოდ... მოყვითალო ფოთლების ცვენა...

მერე ცხოვრებამ ჩამითრია ხმაურით, ზათქით,
მღვრიე ზვირთებმა, მიმახეთქეს რამდენჯერ ჯებირს!..
ო, რა კივილით მოდის ახლა, დღეები ზამთრის,
მივყვები ბილიკს – შენი შვილი დაღლილი წლებით!.

დროის მდინარე ისევ ღელვით მიედინება!..
მე ის დღეები მასხენდება და მეტირება..

**04.10.03**

**მოსკოვი**

* * *

როცა ჩემს კუბოს, სახურავი დაეხურება,
ვერ მივადევნებ თვალებს ჩემი ზეცის სილურჯეს!
ნუ შეშფოთდები უცნაურად, სულო იყუჩე,
რადგან ინება, ყოველივე ასე ბუნებამ!..

წუთისოფლიდან საიდუმლო მიმაქვს რამდენი,
რას იზამ? – ქვეყნად ყოველივე ასე ხუნდება!
მიწის სიღრმეში ჩემი ძვლებიც ახმაურდება
და ცის სიღრმეში აინთება წყვილი სანთელი..

ობოლი წერო, ჩემს სამარეს გადიკივილებს,
როცა ვერ ვნახავ, მაგ თვალების, ლამაზ ნათებას!
რატომ დაღონდი, გულო ჩემო, რა გემართება,
რადგანაც მოხველ, აიტანე ყველა ტკივილი...

რა მოხდა გულმა თუ დაკარგა ბრძოლის უნარი,
სული დარჩება ამ ლექსებში... გაუხუნარი!

**05.10.03**

**მოსკოვი**

* * *

შევედი ბაღში, შემოდგომის ქროდა ნიავი,
არხევდა სივრცე, გაძარცული სევდიან სიმებს..
მიაბიჯებდა ბერიკაცი ბილიკზე მძიმედ
და ირგვლივ მხოლოდ, ფოთოლცვენის იდგა რიალი.

ნისლებში კრთოდა უცნაურად მზე ალმაცერი
და ხეზე იჯდა, გაზაფხულის ჩიტი მდუმარი!..
ბაღის სიღრმიდან მოდიოდა ხმა იდუმალი
და ჩემს წინ კრთოდა - ხე ბებერი, ქარით ნაცემი.

ღელავდა ირგვლივ, ქარვისფერი სივრცე ფოთლების,
ქროდა ნიავი შემოდგომის მოუსვენარი!..
და ირწეოდა წყლის პირს ლერწმის ტანი კენარი,
ფერიცვალების სივერაგით შენაშფოთები,

ო, მეც ავტირდი, ფოთოლცვენა როცა დასრულდა
და ჩემს ლოყაზე, განშორების ცრემლი დაცურდა..

**06.10.03**

**მოსკოვი**

* * *

სიცარიელეს ვგრძნობ ძალიან უშენოდ ახლა,
დავდივარ მარტო, თუმცა, ხალხით სავსეა ქუჩა...
ამ ჩემს ტკივილს და მწუხარებას ბოლო არ უჩანს,
საცაა ჟამი უმოწყალოდ მაძგერებს ლახვარს!

დრომ მოაზღვავა, ჩემს გარშემო, ლანდები ურჩი,
ასე გულუხვად, რომ მაჩუქა წყეულმა ბედმა...
ცხოვრების ზვირთი - ეს რამდენჯერ მეკვეთა მედგრად,
მაგრამ ამ შეხლას, მერამდენედ კვლავ გადავურჩი!

მოვსულვარ მისთვის, რომ ვეომო უკუღმართობას,
თუ დავეცემი, ძეგლს ამიგებს ხელთუქმნელს მუზა!
ცხოვრების ზღვაში მე უშიშრად ჩავუშვი ღუზა,
რომ ციდან შუქი დამალვაროს თრთოლვით მნათობმა!..

შენ ჩამომშორდი და ღიმილი არ მეკარება,
სიმშვიდე სულის, დამირბიეს ჟამის ქარებმა..

**12.10.03**

**მოსკოვი**

* * *

ქვლავ ეფინება, საოცარი შუქი მინდორ-ველს,
სიომ მაისის, ლერწამს ტანი გადაუზნიქა...
მე შენზე ფიქრი, საყვარელო, იმედს მიტოვებს,
რომ ყველაფერი ფერფლად იქცეს, რჩება მუსიკა...

დასაბამიდან მირიადი გავიდა წელი,
სიცოცხლეს ბევრჯერ, ჟამთა დენამ, მწარედ ქუსლი ჰკრა!
ისევ ვინთები სიყვარულის უსაზღვრო რწმენით,
რომ ყველაფერი ფერფლად იქცეს, რჩება მუსიკა!

ქარიშხლის ფრთებზე, ეს სამყარო ბევრჯერ აზვირთდა
და დედამიწა ქანაობდა, როგორც ხომალდი.
სულმა იმედი უსაშველოდ მაღლა აზიდა
და მზის ფერები, ამ მიწაზე, ისევ მომრავლდა.

ხშირად სიყვარულს ჩანასახში ზამთრის სუსხი კლავს!
რომ ყველაფერი ფერფლად იქცეს, რჩება მუსიკა...

**30.10.03**

**მოსკოვი**

* * *

**შ**ენ არ ხარ, მაგრამ მე ისევ გთვლი ცოცხალთა შორის,
დავცქერი საფლავს და თვალებში თითქოს გიყურებ!
ო, აქ რა გინდა, სადაც მეფობს ხავსი და შმორი,
ეს შავი ლოდი ადრე რისთვის გადაიხურე?!

ამ სიჩუმეში, ვდგავარ მარტო, ფიქრით დაღლილი,
ო, რამ ჩააქრო ასე უღვთოდ შენი ცხოვრება?
ეშვება მძიმედ სიშორეში მზე გადახრილი
და მდუმარება რა საშინლად მეუცხოება!

რამ შეაჩერა გული ღელვით დაუცხრომელი,
მეგონა, ამ გზას გავივლიდით - ერთად ბოლომდის!
ეს რა უეცრად ჩაქრა შენი შუქი ცხოველი
და სატკივარი თითქმის გასცდა ყველა მოლოდინს!

ვიხსენებ წარსულს და აიკლო სული ზმანებამ,
დე, რეკონ ჩემში უსაშველოდ - მწუხრის ზარებმა..

**07.11.03**
**ბანძა**

* * *

თქვენ გინდათ, რომ აქ ნაკვავლევიც არ დარჩეს ჩვენი,
ლამის დუღაბი გადაასხათ, რაც იყო წინათ!..
აქ, ამ მიწაზე გუშინ სისხლის დაუშვით წვიმა
და ყველაფერი მტვრად აქციეთ ბოროტთა რჩევით.

ეს მერამდენედ, აუჯანყდით, მშობლიურ კერას
და ეს ედემი კართაგენის ნანგრევად იქცა!..
შეხედეთ, თუ რა შემზარავად ცახცახებს მიწა,
რომ მოგვევლინეთ: მოღალატედ, ჯაშუშად, მკვლელად!

დავდივარ, მაგრამ აქ თქვენეულს, ვერაფერს ვხედავ,
შეხედეთ, ამ ხეს, რომ ეხვევა ჩიტები გუნდად..
შეხედეთ, ამ ზღვას მზე რომ ათრობს, ქართულად სუნთქავს,
უგუნურებამ ო, ეს მხარე აქცია ცხედრად !

ეს ცა და მიწა არ ეგონოს ვინმეს ტრამალი,
აღარ დარჩება ბოროტების აქ ნატამალიც!

**10.11.03**

**მოსკოვი**

* * *

ეს მერამდენედ ჩამოვკარი სიმები ჩანგის,
გულისთქმა ჩემი მოგანგაშე, რომ ყველას ვამცნო...
დღემდე რად რჩება ეს პლანეტა სამყაროდ ჩაგვრის,
ესმოდეს ყველას - კიდით კიდე, უცნობს და ნაცნობს!..

ხვეწნა-მუდარით, ამ ვეშაპთან ვერაფერს გავხდით,
შეხედე ერთი, მოთმინება სანამდის გვეყო?!
ჩემს სამშობლოში ბარბაროსმა დაიდგა ტახტი,
სწვდება ყველაფერს შემზარავი, მისი ხმის ექო!

სურს დაამსხვრიოს, ჩემს მამულში, სიმაგრე ყველა,
ამ მთებს და მინდვრებს, მწუხარების ნისლები ათოვს...
და ოკეანე, უცნაურად სიცოცხლის ღელავს,
ო, ლამის არის ყველა ქიმი დაემსხვრეს მნათობს!

ბოროტი ძალა ამ პლანეტას ახსოვს მრავალი,
მაგრამ არასდროს, ო, ასეთი ქვეწარმავალი!

**31.12.03.**
**მოსკოვი**

* * *

**ფერიცვალების ველი**

შავი ბერეტი, ბოროტების, თავზე გახურავს,
დასაბამიდან ყოველივეს სპობ და ინელებ...
სად მზე ყვაოდა, იქ ამეფებ მხოლოდ სიბნელეს,
ძარცვავ სინაზეს, სილამაზეს აუსახურებ!..

ბაგე, რომელიც უღიმოდა, დღის ელვარებას,
თვალი, რომელიც ჯადოსნურის, იყო მხილველი!..
სული, რომელიც დაფრინავდა, როგორც ფრინველი,
ჩამოსცილდება მხოლოდ შენით ციურ ზმანებას!..

შეხედე წყაროს, მოხასხასეს ამ ლურჯ ფერდობზე,
უსმინე ჩიტებს, რომ ათრობენ სივრცეს გალობით!..
ეს ყველაფერი იძარცვება შენი წყალობით
და ხდება მსხვერპლი სიმახინჯის, უიმედობის!..

აქ, ხომ ყველაფერს დროის მკაცრი ბეჭედი აზის!
რა რჩება? – ლექსი, მხოლოდ შერწყმა გრძნობის და აზრის!.

**22.12.03**

**მოსკოვი**

* * *

ოდექი ერთხანს, კეისარო, წინაშე სფინქსის,
პირამიდებთან, მძლავრი სუნთქვა, გესმოდა მისი..
თუ რა უთხარით თქვენ ერთმანეთს – არავინ იცის,
მის ცივ თვალებში კრთოდა მხოლოდ ფარული ნისლი!..

უმზერდით ერთურთს – შენ მგზნებარე, ის მკაცრად მშვიდი,
ვეღარ გაუძელ მის ჩუმ ღიმილს, მზერას ალმაცერს!..
შენ კეისარო! – საუკუნის იალქნებს შლიდი,
ის – მარადიულს... და ამიტომ ვერ დაამარცხე!

შენ წარმავლობა აქ იგრძენი დიდების ჟამის,
რომელიც დროის გრიგალ–ქარებს ამაოდ უძლებს!
შებრუნდი მისგან მოქანცული ფიქრებით შავით
და მიხვდი უმალ, რომ ულმობლად შეგერყა ფუძე!..

ის დღესაც იქ დგას, სივრცისა და დროის დარაჯად,
როდესაც შენი მკრთალი ლანდი უკვე არა ჩანს!

**11.01.04**

**მოსკოვი**

* * *

არ ჩაგითრიოს, სიყვარულმა, ცალმხრივმა თორემ,
ის სამუდამო ტკივილად და ტანჯვად გექცევა!..
ვეღარ გაარღვევ, რომც ეცადო, ულმობელ მორევს,
შეეწირები ლამაზმანის თვალის ცეცებას...

თუ ვერ დასძლიე დროზე იგი, მაშინ უცილოდ
ივლი ამ ქვეყნად, უჩვეულოდ განაწამები!..
დღე კი გექნება სავსე ღელვით, ღამე-უძილო,
რადგან, ცალმხრივი სიყვარულის, ქსელში გაები!..

იწამე სული ერთობ სავსე გრძნობით, ღიმილით
და სიყვარულის უნაზესი ცეცხლის მოდებით,
რომელიც ჟამის მუდამ უძლებს რბევას, მოსევას!
ცალმხრივი ტრფობა მოიგლიჯო, უნდა ღილივით,

თორემ შენი გზა მწუხარებით შეიმოსება
და ხელმეორედ ვერასოდეს განმეორდები!

**28.01.04**

**მოსკოვი**

* * *

თუ გაუცინებ, სიყვარულით ცხოვრებას მაშინ,
შენც არ დაგაკლებს ღიმილსა და ფერთა სიალეს...
და თუ მონახავ მეგობართან სულიერ კავშირს,
შენს მწვანე ველზე... გაზაფხული გადიშრიალებს..

ვერას დააკლებ ჟამს ულმობელს - ოხვრით, წუხილით,
სადმე უეცრად და გულცივად გაგინაპირებს...
ზედ გადაგივლის ღვარცოფებით, ჭექა-ქუხილით,
ან მიგახეთქებს სამუდამოდ პირქუშ ნაპირებს!.

გახდები მსხვერპლი უსუსური, - უიმედობის,
ამ ქვეყნად მოსვლა, ო, რა მწარედ დაგენანება...
და შენი ლანდი დაცურდება სადმე ფერდობზე
ადევნებული, იმ შორეულ ფერად ზმანებას!

გწამდეს ცხოვრების, თუმც გულწრფელად ნუღარ ენდობი,
მას დამრეცი აქვს, მეგობარო, ყველა ფერდობი!

**04.02.04**

**მოსკოვი**

* * *

ყველა შემოქმედს, სდევდა გრძნობა, უკმარისობის
და მეც ამ გრძნობამ უცნაურად ამიყოლია...
ჩემი არსება დაიხვრიტა იჭვის ისრებით,
თუმც, ლექსზე უფრო, საიმედო არვინ მყოლია!

ნუთუ ეს არის ყოველივე, რაზეც ვღელავდი
და ფრთების გაშლა უფრო მძლავრად რჩება სურვილად!..
ვინ დამიხურა ჭაბუკობის გზები ფერადი
და ცა ლამაზი, ვარდფურცლობის ოქროცურვილი?!

ო, ეს რამდენჯერ აბობოქრდა, ქამი მრისხანე,
შმაგი კივილით – ეს რამდენჯერ შემომიტია...
ჩემი ფიქრები, მარადმწვანე რტოებს ისხამენ
და სულში მაინც, უკმარობის გრძნობა მინთია!.

ვეცადე, მაგრამ ვერ გაველი იჭვის ველიდან,
გაორებული ვრჩები კაცი ამიერიდან!..

**09.02.04**

**მოსკოვი**

* * *

Სადღაც გაფრინდა მომღერალი ჩიტების გუნდი
და მე შემოვრჩი, შემოდგომის ყვითელ ნაპირებს...
ვერ იქნა, დღემდე ჟამის ვეღარ დავლეწე ხუნდი
და დარდმა ბევრჯერ მომამწყვდია, გამინაპირა

უკვე დაკეცა გაზაფხულმა - აფრები მწვანე
და მოხასხასე გაიხადა სივრცემ მანტია.
გულს მისუსხავენ, ფოთოლცვენის, ქარები მწარედ
და სული ვეღარ ეგებება, ლხენით განთიადს!

დღეთა დინება ვერ მიფანტავს მღვრიე კაეშანს,
მინდორზე უხმოდ მოყვითალო ნისლი მოცურავს...
აიკლო სული, უსაშველოდ ქარის თარეშმა
და ვდგავარ ჩემთვის, ფოთოლცვენით გარემოცული...

უშენოდ, ნეტავ, სანამ უნდა ვიხეტიალო,
მოდი, ეს გულიც ამომგლიჯე, ბარემ, ტიალო!

**22.02.04**

**მოსკოვი**

* * *

შენზე, ძვირფასო, ლამის არის გადავყვე ფიქრებს,
ვერ იქნა, ველარ მოვიშორე, ძალა ბოროტი!
რაღაც ვიყავი, ახლა უკვე არარად ვიქეც,
ვერ გავარღვიე, რის გარღვევაც მსურდა ბოლომდის!

ბორგავდა სივრცე, ჩემს გარშემო, დაუნდობელი,
მაინც არ ვგავდი, მეგობარო, შიშით ატანილს!
მეც მაბრუნებდა უცნაურად ქამის მორევი
და მაწყდებოდა ეს ცხოვრება - ფრთებით სატანის!..

მეფინებოდა სიშორიდან, შუქი დიადი
და ანგელოზის ფრთებს არხევდა შენი ხატება!..
სიმს აღქერებდა უჩვეულოდ ცა განთიადის
და ვგრძნობდი ჩემში, გაზაფხულის შემონათებას!..

ეს ზეცა იყო, თუ ღრუბლიდან ელვამ ინათა?
ვდგავარ ტკივილით დაცხრილული - რუსულ ჩინართან!..

**03.03.04**

**მოსკოვი**

* * *

მე მთაწმინდიდან გავცქერ ახლა, მთვარის ნახევარს
და ჩემი ქვეყნის გასაჭირი - ცეცხლად მედება!
თქვენი შვილობა, მამულს მუდამ ეამაყება,
და თქვენი ჩანგის ფერუცვლელი შემოქმედება!

ძველი წავიდა, საუკუნე მოდის ახალი,
მაგრამ ტკივილი შემზარავი ჯერაც ვერ დაშრა!
ქვეყნად არასდროს არ ბერდება აზრი მაღალი,
რადგანაც იგი არ მორჩილებს რღვევას და დაშლას!

ათიათასჯერ ჩავიმუხლებ თქვენს საფლავებთან,
სანამდე ქვეყნად, მზე ქართლოსის, ცაზე ანთია...
ხვალინდელ დღეზე მწარე ფიქრით გული დაბერდა,
ვეთაყვანები მამულის ცას - მრავალსანთლიანს!..

კარგად იცოდით, რას ნიშნავდა, ერის შვილობა,
სიცოცხლის ფასად უშუშებდით... მამულს ჭრილობას!

**14.05.05.**

**თბილისი**

* * *

ისევ მიდიან, ო, რა ზანტად ღრუბლები გვალვის,
დახეთქილია დედამიწა მზის მხურვალებით!
შეხედე, როგორ გატრუნულან ხეები ალვის
და იმზირება ტყე უზომოდ ნაფერმკრთალები.

მდინარე ერთობ დაუფარავს - შლამსა და ბალახს
და ლამის არის, რომ შეწყვიტოს ღელვა-დინება!
ირმები მთიდან ჩამორბიან მწყურვალნი ბარად,
ნუთუ სიცოცხლე გადაიქცა უკვე დილემად?!

აიკლო სივრცე, მზის ჩანჩქერის მკაცრმა თარეშმა,
ადგილის დედას, რად ჩაუცვამს, ტანზე ძაძები?!
სიცოცხლის ფრთები დამსხვრეული უკვე დაეშვა
და სივრცეს უხმოდ მოსდებია სევდა ნაძვების!..

ვინ გაიმეტა სასიკვდილოდ ო, ეს ზღაპარი?
რად აიკიდე, მზეო, ცოდვა ჩემი მთა–ბარის?!

**07.08.05**
**ბანძა**

* * *

დადიხარ მარტო და ღრმა ტკივილს არავის უმხელ,
ამ ქვეყნად ყოფნა, ვინ გიქცია ასე დილემად?!
მდინარის პირას, ტირიფებთან, იდექი წუხელ,
ცხოვრება, თუმცა კვლავ თავის გზით მიედინება...

მზე გაზაფხულის, გაფერმკვრთალდა ღრუბლების ტევრში
და ორღობეში: დღე უმწეოდ მიილანდება...
რა უცნაურად მიირწევა ნისლები მრეში,
შენთვის არასდროს არ თენდება და არც ღამდება!

და სამზეოზე დასასრული არ უჩანს ტანჯვას,
არც კი ინაღვლებ, თუ ჩაქრება შუქი მცირედი!
ნუთუ შემოქმედს არ ჰქონია უბრალო განსჯაც,
რომ ასე ულვთოდ ჩაგიღვენთა, ყველა იმედი?!

დადიხარ კაცი - ზღვა ტკივილით მიუსაფარი,
რადგანაც ჩაქრა, ჩაიფერფლა ტრფობის საგანი!..

**03.09.05**

**თბილისი**

* * *

სული ვერ უძლებს მოსკოვური ყვავების ჩხავილს,
დრო გულს მისერავს, ულმობელი სევდა მერევა!..
აჰა, საცაა, დაიწყება ქარ-ყინვის ჩქამი,
და ამაზე მეტს, რას ინატრებ, ბედნიერებას?!

ჩემს მინდორ-ველზე, ვარდ-ყვავილებს, მზე ჰყავს გუშაგად,
აქ ყველაფერი კვლავ ცახცახებს - შიშით ყინულის!..
ხედავ, სიცოცხლეს ჟამმა, ფრთები გადაუშავა,
იქ, ჩემს მამულში ფეხშიშველა გარბის ბინული!..

მე ღელვა მიპყრობს, რომ სული არ გაუდაბურდეს,
ვით ავიტანო ო, ეს ტანჯვა აუტანელი?!
შენ ჩემი ქვეყნის, გზა ნათელი, ბევრჯერ დაბურდე,
ჭუჭყში სცურავდი, რჩები კვლავაც დაუბანელი!

უსმინე არყის ტოტებიდან ჩხავილს ყოვების,
მშვიდობით! - უკვე დგება ჟამი გამოთხოვების!.

**29.09.05**

**მოსკოვი**

* * *

მოვედი მაშინ, მეგობარო, როდესაც მიხმე,
ვინ მოთვლის, ჩემში თუ რამდენი ტკივილი სახლობს!..
ცხოვრება ისევ, ცოფიანი ძაღლივით მიღრენს,
როცა ჩავუვლი, გაბედული ნაბიჯით, ახლოს!..

ნისლები რატომ ეფინება ბავშვობის მაღლობს,
მივდივარ მარტო, სანუგეშოს ვერაფერს ვხედავ!
უფერულ დღეთა სრბოლა უკვე არ მინდა ვნახო,
რატომ ჩამომდის თვალებიდან... ცრემლები მხედარს?!

ვერ იქნა, ველარ გავეცალე, უაზრო ჭიდილს,
რწმენის სანთელი, ნუთუ დღემდე, ამაოდ ვანთე?
მსურს ბარიერთან,რომ დავცალო ეს ბოლო მჭიდიც,
საგანთიადო ზარებს რეკავს - შორიდან მნათე...

ჩემი ტკივილი - უსაშველო, შეწყდება მაშინ,
როცა სიკვდილი მომადგება, კარებთან მარშით!..

**12.10.05**

**მოსკოვი**

* * *

**ვინ იტყვის ახლა, რომ ვცხოვრობდით**
**ჩვენ ქვეყანაზე?!**
**გარსია ლორკა**

შენ წახველ, უკვე ხელმეორედ ვერასდროს მოხვალ
და შეუერთდი სულით ზეცას მრავალსანთლიანს!.
ამ განშორებას ო, რა მძიმე ტკივილი მოჰყვა,
დავდივარ, ჩემში შენი ნაღდი ხსოვნა ანთია...

ეს ვინ ჩაგვიქრო, ჭაბუკობის სივრცე ფერადი?
დრო, რომც ეცადოს, მაინც ველარ გაგვაქილიკებს!
რომ ყოფილიყავ, ერთხელ კიდევ შევუბერავდით,
მერე ყიჟინით გავცდებოდით, სოფლის ბილიკებს!..

იმ ჟამს გარდასულს, ვეფერები მძაფრი ტკივილით
და სიო არხევს ტირიფებთან, ისევ ლელიანს!..
სიკვდილსაც შეხვდი, მეგობარო, თურმე ღიმილით,
თუმც ამ ღიმილში, ეჰ, რამდენი სევდა ერია!..

მივათრევ ახლა, ბებერ მხრებით, დღეებს დარჩენილს
და იცრემლება სული, როგორც ღრუბლის ნაჭერი!..

**20.10.05**

**მოსკოვი**

* * *

მძიმე სევდა, ჩემს გულისთქმას იკლებს
და დღეები კვლავ მიდიან ხვნეშით!..
ეს მკლავები ისევ ძალას იკრებს,
უშენობა, მე უთუოდ შემშლის!

კვლავ გავცქერი, მინდორს - ნავენახარს,
თვალებიდან, უხვად ცრემლი დამდის!.
ამ ჩემს ფიქრებს, რა ტკივილი ახლავს,
ისევ მოდის... შენი თეთრი ლანდი...

სული ბორგავს და აწყდება სივრცეს,
გული მკერდქვეშ, ისევ მიცემს, ძლიერ!
მე დუელში საუკუნეს ვიწვევ,
და რა ვუყო, თუკი ველარ ვძლიე !

ქამი ისევ, სიმებს უკრავს ყრმობის
და ვინთები - უჩვეულო გრძნობით !

**14.08.08**

**მოსკოვი**

* * *

მე კოლიბრივით, სხივებს ცისკრის, მოვყევი ციდან,
ვარდ-ყვავილებში, ვერც კი ვგრძნობდი მიწის იარებს!
მერე ცხოვრება, დაუნდობლად, გზადაგზა მცდიდა,
ჟამთან კვეთებით სიხარული გავანიავე...

მოლიპულ გზაზე, არაერთხელ დავცურდი მწარედ
და მაწყდებოდნენ მოვარდნილი ქარები ზღვიდან..
ო, რა შორს დარჩა გაზაფხულის მინდვრები მწვანე,
სატკივარს ჩემსას დრო და სივრცე საოცრად ზრდიდა!

და ახლა, როცა, მომეძალა ჟამი სიბერის,
რომ დავიწყების ნისლი ერთობ შემომახვიოს!
ფერად სამოსელს, მეგობარო, ველარ ვიფერებ,
არ მინდა, კაცი, დავემსგავსო ცირკის მსახიობს!

მინდა კაცურად, რომ გავიდე ბრძოლის ველიდან,
რომ ცას და მიწას, შევრჩე ხსოვნად ამიერიდან!..

**12.11.05**

**მოსკოვი**

* * *

ვიყავით მიწა, გადვიქცევით ისევე მიწად,
მაგრამ ვაი, რომ შენთან იგი რა ადრე მოხდა!
გაფრინდა ჟამი, ქალწულივით მორთული კოხტად
და ხავერდოვან ბილიკებზე, ნისლები მიწვა...

მზეც გაფერმკრთალდა, ძველებურად ისიც არ ფეთქავს,
ამაოდ ვუხმობ, ო, იმ დღეთა აფრების წყებას!
რაც იყო კარგი, უმოწყალოდ წამართვეს წლებმა,
გული ვერ უტევს, მეგობარო, ჯებირებს მედგრად!

მოზღვავდა ღელვა ულმობელი, რომელიც ცდილობს,
რომ რღვევა-დაშლას შეგვაგუოს ამიერიდან!
ო, ის დღეები მენატრება, ჩემო მელიტა.
ვეცადე, მაგრამ დრომ ტკივილი ვერ ამაცდინა!..

თუკი არყოფნამ, ყოფნის კვალი ადრე მოშალა,
მაშინ პლანეტა გადიქცევა - მხოლოდ კოშმარად!..

**04.12.05**

**მოსკოვი**

* * *

სოფელს ერთგულად, შენ ბოლომდე, ედექი მხარში
და არ იცოდი, თუ რა იყო შიში და კრთომა!
ყოველ ნაბიჯზე ბოროტებას იწვევდი ხმალში
და განაგდებდი სოფლის გზიდან... ურწმუნო თომას!

ეზიდებოდი ვაჟკაცურად, უღელს ღირსების,
არ დაგიგდია წეს–ჩვეველი - მამა–პაპური!
სული დიადი ჟამით აღარ დაინისლება
და ის თაობებს შემორჩება, ქროლვით ზღაპრულით!

სიკვდილმა ადრე დაგიმსხვრია, ანძა - საქარე,
რატომ და რისთვის, ვრჩები დღემდე, განაოცები!
ღირსეულ შვილებს, დროო, უღვთოდ სად მიაქანებ,
რომ სოფელს მარჯვედ შეუკვეცო... ფრთები ოცნების!

შენ არ ხარ, მაგრამ არ გვშორდება, მზერა კაცური
და სიშორიდან, კვლავ გვამხვნევებ, ხმით მამაცურით!..

**20.12.05**

**მოსკოვი**

* * *

გუშინ აქ იყო და დღეს უკვე შორს, სადღაც მიქრის,
როგორ გაუძლოს, გულმა ამდენ - მსხვრევას, წამებას?
შენგან ბუნებავ, ყოვლით ბრძენო, ძალიან მიკვირს,
ასე უმლობლად რად ამძაფრებ, ფერიცვალებას?!

ვინ გადაუვა ქვეყანაზე მაგ შენს ბრძანებას,
რას გვათამაშებ ასე უღვთოდ, ძალით ზენარის?
ვუხმობთ სიცოცხლეს და სიკვდილი მოგვეძალება,
ო, მუდამ ურჩი და სასტიკად... მოუსვენარი!..

გაჩენის დღიდან, ჩვენ რღვევისკენ რატომ ვისწრაფით?
გზაჯვარედინზე ვდგავართ, როგორც ბავშვი უძლური!
დრო მიქრის, ისევ სიშორეში, ვეფხვის სისწრაფით,
ხან კი ფერდობზე დაეშვება - დათვის ძუნძულით!

დაჰბერავს ქარი და იმღვრევა ცა მოსარკული,
საითაც წახვალ, გიდარაჯებს... თვალი მზაკვრული!..

**24.12.05**

**მოსკოვი**

* * *

შენ განშორების სევდა უკვე, ველარ დამალე
და წამწამებზე მოგეჯარა - ცრემლის კურცხალი!..
ბედის სიურჩეს მკაცრად ბრძოლა გამოუცხადე,
მშობლიურ მინდვრებს გასცდი კიდეც, გაიტრამალე...

ახლა ბავშვობის აგიხდა შენ, ო, ის სიზმარი,
სად არ დაძრწოდი - დევნილი და მიუსაფარი!..
სადღაც, შორს დარჩა მშობლიური მინდვრის ზღაპარი
და ის სახლკარი, - გისროლია, სადაც ისარი!

დახეტიალობ, უკვე ბოლმას ველარ იშორებ,
და, რა საოცრად გენატრება ფაცხა მეგრული!
ვერ იქნა, ველარ გადალახე - ზვირთი ენგურის
და მშობლიური სანახების, მღვრიე სიშორე!

სულში ხანდახან რწმენის მცირე შუქი იალებს,
ასეა კაცი, – ბედისწერის წრეში ტრიალებს!.. -

**31.12.05**

**მოსკოვი**

* * *

**ჩემი ძვირფასი მეგობრების:**
**ბ. ზარქუასა და ა. რურუას ხსოვნას !**

ჩვენ მეგობრული სამკუთხედი, შევკარით მტკიცედ,
რომელსაც ჟამი, რომც ეცადოს, მაინც ვერ დაშლის!
და საკუთარი, მხოლოდ ჩვენი, გაგვაჩნდა სივრცე,
სად ოცნებების მივაფრენდით, იალქნებს გაშლილს!.

ის სილამაზე - სტუდენტური, იქცა სიმბოლოდ
ნაღდი ბიჭობის, სიყვარულის და ერთგულების!
თუმც, გაზაფხულმა, რა უეცრად გადაიქროლა
და შემატოვა საუკუნოდ... სევდა ულევი !.

ხმა არსაიდან მეგობრული არ მესმის ახლა,
მივათრევ სევდას სიშორეში, ჭაღარა კაცი...
მივდივარ მარტო და მტანჯველი სიჩუმე მახლავს,
მივდივარ უკვე, შეპყრობილი უზომო განცდით !..

როგორც, თქვენ ძმებო, ო, მეც სადმე დავისადგურებ,
როცა ჩამიქრობს ეს საწუთრო ჟამის ნათურებს!

**20.04.10**

**მოსკოვი**

* * *

მოსკოვის ცაზე მერცხლებს თითქმის ვერასდროს ნახავ
და მის ბაღებში, არც ბულბულის გალობა ისმის!
ყველგან ყვავების ჩხავილი დგას, საითაც წახვალ,
მიარხევს ქარი მღვრიე ტალღებს... კვამლის და ნისლის..

ატეხილ ჭალებს, კვლავ ვიხსენებ აბაშის პირის,
რომელიც ტრფობით და შრიალით მიხმობენ იქით...
ჩემი მთებიდან, ახლაც ვისმენ ირმების ყვირილს
და სიშორეებს უდაბურებს მივარღვევ ფიქრით!..

იქ, მზე ამოდის, გაზაფხულის თამაშით ფერთა
და მიწა, როგორც სერაფიტი, სამოსელს იცვლის!..
იქ, ყველაფერი სიყვარულის სინაზით ფეთქავს
და ეფერება უბოლოო - ვარსკვლავთა ციმციმს!..

გუდა-ნაბადი, მეგობარო, ავიკრა უნდა,
დამესევიან ყვავ-ყორნები სანამდის გუნდად!

**25.04.06**

**მოსკოვი**

* * *

**მილიცა კორიუსს**

ლექსი მთლიანად ვერ გადმოსცემს ჩემს ნაოცნებარს
ვეღარც მუსიკა, ვერც სკულპტურა და ვერც ფერწერა!
დარჩები მუდამ ცის და მიწის შენ გაოცებად,
როცა სიცოცხლეს მოაწყდება - ვალსის მეწყერი!..

ცოტაა შენთვის, რომ გიწოდონ ვენის ტყის ნიმფა,
ანდა მუსიკის ნიავქარში მცურავი გედი!..
შენი ხმის ტემბრი და სილაღე თაობებს ხიბლავს
და სულში იგი ღვთაებრივი სინაზით შედის...

ო, შენს ღიმილში, ვარდფურცლობის იღვრება თოვლი
და ის სიცოცხლის სილამაზეს, უსაღზვროდ ერწყმის!..
იქნებ მიწაზე ჩამოფრინდი, ღმერთების თხოვნით
და ისევ უკან დაუბრუნდი... სამოთხეს ზეცის?!

შენი ხმის ექოს, ო, არასდროს ეცვლება ფერი,
ეს არის სულის უკვდავება, – სხვა არაფერი!

**22.03.07**

**მოსკოვი**

* * *

ყოფნა–არყოფნის სევდა ასე რად დაგეუფლა?!
ო, ეს სამყარო ხან ჩაქრება, ხანაც ინთება!
განვლე მოკლე გზა, მაგრამ მაინც მადლობა უფალს,
რომ დავიწყებით ის არასდროს დაიბინდება!

უტევდი მედგრად, ამ ცხოვრების პირქუშ გრეხილებს,
ისევ აწყდება სივრცეს ყეფით, ლიუციფერი!..
შენ ძელქვა იყავ, გრიგალ–ქარით გადატეხილი,
რომ ველარ იტანს სიბეჩავეს, შურს და სიბერეს!

გზები განვლილი სიჭაბუკის ისევ მახარებს!
საით წახვედი ამდენ ღელვას ნაზიარევი?!
ო, ვარსკვლავებო! თქვენი შუქი გადმომაღვარეთ
და გამაგონეთ შორეული რეკვა ზარების!..

რატომ მარგუნა ყოვლის შემძლემ სულით ობლობა?
ვინ გაექცევა ქვეყნად ბედის დაუნდობლობას?!

**26.03.07**

**მოსკოვი**

* * *

ჩემი ფერმკრთალი ჩიტი მალე შეწყვეტს გალობას
და გაფრენილი გაზაფხულის ვიგრძნობ სიმძიმეს!
ბუნებავ ჩემო! ნუ მოგვაკლებ მაგ შენს წყალობას,
ო, უმუსიკოდ რაა ცაზე ვარსკვლავთ ციმციმი?!

დღეებს მაისის, ვეფერები ისევ ოცნებით,
ეს გაზაფხული, ალბათ დიდხანს მემახსოვრება!..
ისევ შემეხსნა ჭრილობები შენახორცები,
მონაცვლეობით დღის და ღამის მიდის ცხოვრება..

ხან მზის შადრევნებს ვეტრფით, ხანაც მთვარის ხეივანს,
ხანაც მდინარე ვეებერთელა მიიზვირთება...
მერე მთავრდება ამ მიწაზე სულის ზეიმი
და ჩვენი ყოფნის ისტორია რჩება მითებად!..

ერთი მითხარი, რაა ქვეყნად დაუბერები?
რაა დინება? - მხოლოდ შეცვლა დროის ფერების!

**08.06.09**

**მოსკოვი**

* * *

შენ გამაჩინე, შენ აღმზარდე და რღვევა-დაშლაც
ჩემი, უთუოდ, შენ მოგიწევს მოლეკულებად..
ღელვა–კვეთებით ეგ სხეული ამაოდ დაშვრა,
განშორების ჟამს, მე უცრემლოდ მიჭირს ყურება!

ბექობზე მდგარი, კვლავ ჭიხვინებს ზერდაგი კავშა
და ჩემს ყოფნის ველს, რად ედება, ნისლები შავი?!
მე გულქვაობა ამ ცხოვრების შევიგრძენ ბავშვმაც
და ახლა უკვე, მეფინება ზმანება ავი!...

სულო, მითხარი, დღენიადაგ საითკენ მიქრი,
ნუთუ ამაოდ, ვჭიმე დღემდე, ჟამის ზონარი?
ყოფნა-არყოფნის საკითხებზე დამღალა ფიქრმა
და მე მედება ტკივილები გაუგონარი!

შენ დასაბამით გახდი უკვე ჩემი მესია!
თუ გადამარჩენს - შენი ტრფობა და პოეზია!

**05.06.09**

**მოსკოვი**

* * *

გუშინ ყვაოდა თვალწარმტაცად და სურნელებას
აფრქვევდა ირგვლივ, დღეს კი უკვე უეცრად დაჭკნა!
ფერიცვალების ის დანებდა ულმობელ ნებას,
ვეცადეთ, მაგრამ დახმარებამ ვერაფრით გაჭრა!

გუშინ მის რტოზე ჩიტუნები გალობდნენ დინჯად,
დღეს კი ყვავილი დასცვივდა და ბერდედად იქცა!
ვერ იქნა, იგი ვერ გასცილდა, სიკვდილის მიჯნას
და ახლა უკვე, განშორების სამოსელს იცვამს!

მეტირება და დამდის კიდეც ცრემლების წვიმა!
ო, ეს ზღაპრული სილამაზე ასე რად გაქრა?
ხსოვნა ძვირფასო, ეჰ, ვინ მოთვლის რამდენი მიმაქვს,
ცხოვრებამ ჭანგი შხამიანი, რამდენჯერ გამკრა!

მივდივარ გზაზე, მწარე ხსოვნით დაღლილი კაცი
და ვხედავ უკვე, რომ გრძნეული მსხვერპლი ვარ განცდის!

**08.06.09**
**ბანძა**

* * *

არ დაგენანოს, რომ შენ მიხვალ და სხვა რომ მოდის,
ეს ხომ ბუნების კანონია - მარტივად თქმული!
გადაიხურე მდუმარების პირქუში ლოდი,
გზა გაიარე უმნიშვნელო, თუ ძალზე რთული?

ფერიცვალება განახლების, მდინარეს მოაქვს,
რომ აღარ იქცეს სამუდამოდ, ჭაობად მიწა..
უნდა წახვიდე, მეგობარო, თუ წასვლის დროა,
არ დაემდურო ამ ბუნებას, – შენს ლამაზ ძიძას!

ფერიცვალების განუწყვეტლივ ირხევა ველი,
ნუღარ იდავებ, მას ვერასდროს, ვერავინ შეცვლის.
ახალი მოდის! სამუდამოდ ირღვევა ძველი,
ვერც ბულბულის ხმას გაიგონებ, ვერც ჭიკჭიკს მერცხლის!

ფერიცვალების ასეთია, მუდამ ბუნება,
თვითონ სიკვდილიც, განახლებას ემსახურება!

**27.07.09**

**მოსკოვი**

* * *

**ქალინ კენედიმ სიკვდილის წინა დღეებში**
**თავისი მდიდარი არქივი ერთიანად ცეცხლს მისცა!**

შენ ბედისწერამ რა ულმობლად გაგაპარტახა,
იგი მოგსდევდა დაუნდობლად, როგორც მსტოვარი..
შემორჩი ხსოვნად, სამუდამოდ, იმ დიდ ნატახტარს,
როგორც პრინცესა, როგორც ლედი სწორუპოვარი

არ შეატოვე შენს დიდ არქივს, რამე მცირედიც,
შენი ცხოვრების საიდუმლო, აქციე ფერფლად...
ფერიცვალების ხელებს მერე უხმოდ მინებდი,
ამგვარ განაჩენს, მე არ ვიცი, რა უნდა ერქვას?!

იმ კოშმარულ დღის, ახლაც მესმის, ზარების რეკვა!..
ყუმბარებივით ფეთქდებოდნენ, თითქოს წამები!..
სისხლიან ხელით შემართული, შემორჩი ეკრანს,
ო, ბედისწერის სივერაგით განაწამები!..

რად მოსპე ასე, ისტორია - შენი ცხოვრების?
საუკუნეებს, ვით ჯვარცმული ემახსოვრები!

**24.07.09**

**მოსკოვი**

* * *

ცახცახებს მიწა, მოლოდინში კოშმარულ ჟამის,
ვდგავარ ტკივილით გათანგული, ვერაფერს ვამბობ!
თეთრაფრიანი ზღვაზე ისევ მიცურავს ნავი
და მე სიცოცხლეს და სიყვარულს... ვუგზავნი ამბორს!..

როცა დასწყდება ბილიკები და სული ქროლვით
დატოვებს საზღვრებს, დედამიწის განცდებით მძაფრით!
აქ, ვერასოდეს შეირხევა წვიმა და თოვლი
და გახუნდება სამუდამოდ - სიცოცხლის აფრა!

რატომ დამჩემდა, რომ მზის ჩასვლას ვუცქირო მშვიდად,
როცა აისი მიტაცებდა თამაშით ფერთა?!
თუ ადრე ჩემში გაზაფხული, მწვანე ფრთებს შლიდა,
დღეს გული ჩემი, ო, რა მწარე ტკივილით ფეთქავს!

მივდივარ! უკვე განშორების მუსიკა უკრავს
და მე ამაოდ ვიხედები, ძვირფასო, უკან!

**20.12.92**

**სოხუმი**

* * *

დრომ მოგვახვია ვარდისფერი რხევით ნისლები,
იყო საოცრად მომხიბლავი შემოგარენი!..
მზე ჩადიოდა ძოწისფერი სროლით ისრების
და თეთრ აფრებთან, თამაშობდნენ - ზღვაზე ქარები!..

მოირხეოდნენ ნაპირისკენ, ჩუმი შრიალით
მზის შუქნასვამი, მოხასხასე ლურჯი ჩქერები...
ქარი არხევდა მდინარესთან მაღალ ფშიარებს
და ჩვენ ვთვრებოდით, საყვარელო, მზის ჩანჩქერებით..

შუქს ირეკლავდნენ გუმბათები... მოოქროვილნი,
დაცხრა გალობა ჯადოსნური, ტყეში მგოსნების!
შემოღამებამ შეგვირხია სულის ქსოვილი
და დაცურავდნენ ცის სიღრმეში - ანგელოზები!..

ვიცი, ძვირფასო, რომ ვერასდროს მოვალთ მეორედ,
ვერც ამ საღამოს, ჟამი ველარ გაიმეორებს!

**სოხუმი**
**20. 06. 64.**

* * *

შევცურეთ ზღვაში, შეღამების მსუბუქი ნავით,
ცა შემოგარენს ქლიავისფერ ბინდებში ხვევდა...
ზღვა დუმდა ძლიერ, არ ისმოდა ზვირთების ჩქამი
და მთა არხევდა, მშობლიური იდუმალ სევდას!

ო. რა ლამაზად ვირწეოდით, ნაპირთან ახლოს,
გვათრობდა ძლიერ, ტირიფების შრიალი ლურჯი.
ნეტავ, შემეძლოს ის დღეები,რომ ერთხელ ვნახო
და ცა ნახატი - ფიროსმანის ღვთაებრივ ფუნჯით!..

მიდიან წლები... უშენობას ვერ ვეგუები
და ის დღეები სადღაც გაქრა ნაოცნებარი!
ო, რამ გათიშა უმოწყალოდ ჩვენი გულები,
რომელსაც უკვე, ჟამის ლეგა ნისლი ეფარვის!..

ნუთუ ყველაფერს, დავიწყების ბინდი დარაჯობს
და სიყვარულიც კვდება ჩუმად, როგორც ყაყაჩო?!

**სოხუმი**
**22.06.65.**

* * *

ცისფერ ბილიკით, მარტოდმარტო, მოდიხარ ზღვასთან
და წყალში ხსოვნის სულ ძოწისფერ მიხაკებს ისვრი...
ფერიცვალებით გადაღლილი ლერწამის მსგავსად,
შენი მწუხარე და ფარული, ჩურჩული ისმის...

ვერ დაივიწყე, მოწოლილი ტკივილი დიდი,
მას შემდეგ, თუმცა, ოცდახუთი გავიდა წელი...
ცხოვრებამ მძიმე და სასტიკი აგკიდა ტვირთი
და გაქვს თვალები - იდუმალი ცრემლებით სველი!..

შენ ბედისწერამ დაგიმსხვრია ამაყი ფრთები,
ამოიზიდა ბოროტება თითქოს წამიდან!
და მოგონებით შორეული დღეების თვრები,
ის ალტაცება, ვით სიზმარი გაქრა, წავიდა...

როგორ გაუძლოს სულმა ამდენ ღელვა-კირთებას?!
უცნაურობა ბედისწერის გაგიკვირდება!

**სოხუმი**
**14.07.66.**

* * *

ჟამი ფერს გვიცვლის და ყოფილად ვიქცევით მალე,
ჩაქრება ო, ეს სილამაზე, სიცოცხლის მიღმა...
სულო მითხარი, ფრთებდაღლილი საითკენ მიხვალ,
გულო, რას უცდი, შენც აფეთქდი ერთბაშად, ბარემ!

რაგინდ ეცადო, დრო გარდასულს ვეღარ აბრუნებს,
ვერც იმ თვალების სილაჟვარდე დაგიბრუნდება!
შეხედე, ირგვლივ ყველაფერი როგორ ხუნდება,
არ მინდა ვნახო ის ბილიკი, ნისლო, დაჰბურე!

შემოინახე, ლექსო, ხსოვნა გარდასულ დღეთა
და ვარდფურცლობის უჩვეულო ფერთა სიალე!
ო, ახლა უკვე შემოდგომის ქარი რიალებს,
მალე შემოსავს ამ მიდამოს ზამთარი თეთრად!

დრო ისევ გარბის, არ მორჩილებს ფოლადის ლაგამს,
ის ცოცხალს არა, - უსულოსაც აბერებს საგანს!

**სოხუმი**
**13. 11. 66.**

* * *

**ჰე ცაო, ცაო, ხატება შენი**
**ჯერ კიდევ გულზე მაქვს დაჩნეული!**
**ნ. ბარათაშვილი**

შორს, ცის ხავერდზე, დაცურავდნენ ღრუბლის გედები,
გავცქეროდი სივრცეს უბოლოოს, ვგრძნობდი სიამეს!
იმ შეღამების მოგონებაც მეიმედება,
თრთოდა ვარდებში გაზაფხულის - ლურჯი ნიავი!..

ჩამავალ მზეზე ზღვა არხევდა ტალღებს ნაპირთან,
იწყებდნენ კრთომას მნათობები ზეცის თავანზე...
ჩემო ვარსკვლავო! შენ ამოსვლას უხმოდ დამპირდი
და უჩვეულოდ გზა ოცნების გამილამაზე!

ცა ირხეოდა, იისფერი იდუმალ წყობით,
ბაღის სიღრმეში, მხოლოდ ორი ჩიტი გალობდა...
მე ის საღამოს სულს მივსებდა ფარული გრძნობით
და გაზაფხულის ნიავს სადღაც, მიუხაროდა!

რამ დამავიწყოს ცის და მიწის მე ეს ხატება,
მომაგონდება და ის ჩემში - იწყებს ნათებას!

**სოხუმი**
**25. 04. 67.**

* * *

მოვედი ისევ, ჩემი სოფლის ვნახე წყლის პირი,
იმ დღეთა ლამაზ ნაფეხურებს, უხმოდ დავეძებ!..
ღელეზე ჩუმად, კვლავ რაკუნობს, ძველი წისქვილი
და უნებურად რად მომაწვა, ცრემლი თვალებზე?!

ო, აქ ყველაფერს ვეფერები, ბავშვური რიდით,
გამოვექეცი ქალაქების ფერად ცდუნებას!
ვერ მოვიშორე, მოგონების ტკივილი დიდი
და ნოსტალგია, ვიცი, აღარ გამემტყუნება!

ბედნიერებას უფრორე ვგრძნობ შენს სიახლოვეს,
აქ ყოველივეს სიყვარულით ვეთაყვანები!
ზეცა დამცქერის შორეული ვარსკვლავთა ხომლით
და რა საოცრად შრიალებენ ლურჯი ყანები...

მე ბავშვობიდან დამყვა შუქი - შენი ხელების,
როცა შორსა ვარ, მაშინაც კი... მეიმედები!

**ბანძა**
**21.07.67.**

* * *

მე ცა მახურავს - სილაჟვარდით გაუხუნარი
და შრიალებენ უბოლოო ლურჯი ყანები...
გულს შერჩა კვლავაც, საოცარი ტრფობის უნარი
და შენს სიშორეს, უჩვეულოდ ვეთაყვანები!

წლები ბავშვობის ამ სანახებს ესისხლხორცება
და აქ ლექსისთვის არ მჭირდება - ძებნა თემების!
კვლავ მეძახიან, ჩემი მინდვრის ლურჯი ბორცვები
მზის ამოსვლის ჟამს, ნისლის თეთრი დიადემებით!

ო, უთქვენობა ჩემთვის გახდა გაუსაძლისი,
როცა შორსა ვარ, როგორ მიჭირს სევდის ტარება.
აქ ფეთქავს ფესვი პოეტური ჩემი საწყისის,
მხოლოდ სული გრძნობს... მიუწვდომელ ამ ნეტარებას!

გამოვიღვიძე გაზაფხულზე, ცისკრის ნათელით,
ყველგან მიმყვება, სადაც მივალ, ხმა სანატრელი!..

**ბანძა**
**28.04.69.**

* * *

დრო სიშორეში, როგორც თეთრი გლისერი მიქრის,
ტირიფონიდან ჩიტი ისევ იძახის - ტიას!..
ეს კიპარისი, ქარმა რატომ დაღალა ფიქრით?
ჩვენ ხიდზე ვდგავართ, ვაყურადებთ - ზღვის მელოდიას!..

ნუთუ ყოველი, აქ ფერთა სვლას ემორჩილება?
შემოღამების ზღვას კვლავ უკრთის, თვალები სუფთა!
ნიავის ფრთებზე, ირხევიან ლურჯი ჩრდილები,
ცა კი ვარსკვლავთა მოლოდინში, ხალვათად სუნთქავს...

რამ მოაზღვავა ქვეყანაზე ეს საოცრება,
შორს თოლიები, თითქოს ფრთებით, იალქნებს შლიან...
ყმაწვილობიდან ხომ ზღვა იყო ჩემი ოცნება,
ბევრჯერ ფიქრებით ავედევნე ტალღების შრიალს!

ახლა აქ ვდგავართ, ყველაფერი ტრფიალით გვიმზერს,
მოდი ნათია! ეს საღამოც ჩავწეროთ ფირზე!

**სოხუმი**
**17.06.69.**

* * *

შეხედე, ტალღებს, ქარი ისევ ეთამაშება,
მიირხევიან ვარდფურცლობის - დღენი ცინცხალი..
გადაიქროლეს ჩემს მინდორზე, თეთრმა რაშებმა
და მომაგონეს წლები სიყრმის, დაუვიწყარი!

მივყვები ნაპირს... ზღვაზე ჩადის მზე გადაღლილი,
ვინ დამახალა უმოწყალოდ, მკერდზე ისარი?
აჰა, საცაა, აფეთქდება გული ნაღმივით,
შორს დარჩა სივრცე - დღეთა ქროლვით ნათილისმარი!

შენი თვალების სილაჟვარდე, მექცა ოცნებად,
ვეღარ დამძლია ულმობელმა ჟამმა მუქარით!
ჩემი ჭრილობის შენ შესძელი შესისხლხორცება,
გზას გვინათებდა სიშორიდან, ტრფობით უფალი!

ვიხსენებ იმ დროს, ალტაცებით ისევ ვივსები,
რამ დამავიწყოს ის დღეები - სავსე ღირსებით!..

**სოხუმი**
**29.04.70.**

* * *

ვერ შემიცვნია მაგ თვალების ლურჯი ნათება
და რასაც ვხედავ, ნუთუ იგი ლანდია მხოლოდ?
რა გტკივა ასე, ო, ძვირფასო, რა გემართება -
მივაყურადოთ ცის თავანზე - ვარსკვლავთა ქოროს!.

აქ ყველაფერი, საოცარი ფერებით ფეთქავს,
ბრუნავს და ბრუნავს ეს სამყარო - უსაზღვრო სფერო...
მამლის ყივილით გათენდება ეს ღამეც თეთრად,
ჩვენ შევრჩით ხელში სიყვარულის უჩინარ დემონს!..

მხურვალე ბაგე გამძაფრებით დაეძებს ბაგეს
და მოქათქათე მთვარის ქორფა მკლავებზე ვწვებით...
ნუთუ, ჟამთა სვლის მდინარება ყველაფერს ანგრევს
და ჩვენს სიყვარულს დააბერებს, მოვარდნა წლების?

არ მეშინია, საყვარელო, რაც უნდა მოხდეს,
არ შეიძლება, სიყვარულის ყვავილი მოკვდეს!

**ბანძა**
**26.07.70.**

* * *

**„სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველნ“**

**ჩ**ვენ ქუდს გიხდიდით, ბრძოლის ველზე დაცემულ მხედრებს,
იყო ღიმილი სევდიანი და მძიმე ოხვრაც...
ამ ჩემს ხსოვნაში, ისევ ვხედავ გულშეძრულ დედებს
სულის ჭურჭელი ვერ იტევდა - დარდსა და ბოღმას!..

დარჩა ამ ქვეყნად, ვაჟკაცური სახელი თქვენი,
ცა ღრუბლებისგან გაიწმინდა და გახდა ლურჯი!..
ამოდიოდა მზე მაისის სხივებისმფენი,
ვერ დაულეწა მამულის თაღს, გრიგალმა ბურჯი!

დაუბრუნდებით ვერასოდეს - მშობლიურ მინდვრებს,
დედების გულებს ვინ განკურნავს, უზომოდ დაჭრილს?!
დრო წარმავლობის ვერ დაგფარავთ, უხეში ბინდით,
საომარ ველზე მარადიულ მხედრებად დარჩით!

იმ დღეთა ხსოვნა, მე გზადაგზა ლექსებს გავანდე,
თქვენ კი სიკვდილით, უკვდავება გაიმარადეთ!

**ბანძა**
**09.05. 72.**

* * *

იდგა ჟამი, მაშინ მთვარის მოვანების
და ჩვენ სულში, ტრფობის მტევნებს ვიწურავდით...
შენ იყავი ძალზე ნორჩი წლოვანებით
და ზღვის პირად, ყვავილებში მივცურავდით...

ჩავირბინეთ, ჩვენ ბილიკი ზღვისკენ ვიწრო,
მოგონებით, საყვარელო, გული მითრთის!..
ის დღეები, მე რამ უნდა დამავიწყოს,
რასაც ვგრძნობდით, განა ენით გამოითქმის?

ის მშვენება, მითხარ, როგორ დავიბრუნო,
როცა აფრა შორეულ გზით მიმაქანებს?!
მიდის ჟამი - შენც მიცურავ გაზაფხულო,
და იმსხვრევა ჩემი სულის მინანქარი!..

დავიწყებას შენს ღიმილს ვერ მივაკარებ,
რჩება ჩემში ო, იმ დღეთა სიანკარე..

**სოხუმი**
**07.06.72.**

* * *

ჩვენ მთელი ღამე, საყვარელო, მთვარის ქვეშ ვთრთოდით,
ზღვა იყო მშვიდი უცნაურად და იდუმალი!..
შენ კი დალალებს, ტირიფებთან გირხევდა ქარი
და ირწეოდა, იასამნის ფერადი ტოტი..

მას შემდეგ, ოცი ნაღვლიანი გავიდა წელი,
რომ არ გვინახავს ერთმანეთი, ძვირფასო მარი!
იმ შეხვედრების თითქოს დღესაც მედება ალი
და სუნთქავს ჩემში, როგორც ნაზი ყვავილი ველის...

ო, ეს სონეტი, დავიწყებას არ მიაკარებს
ჩვენი გულების ვარდფურცლობის საოცარ რომანს!..
ვინ მოთვლის მთვარე ტირიფებთან რამდენჯერ მოვა,
მაგრამ იმ თვალებს ვერ ჩახედავს თბილს და ანკარას...

წავიდა ის დრო... მხოლოდ ხსოვნით, სტრიქონებს ვათბობ
და ჩემი სევდა საუკუნოდ, შერჩება მნათობს!..

**სოხუმი**
**06.09.72.**

* * *

ო, რა ცოტა ხანს ენთო ქვეყნად შენი სინაზე,
საით წავიდნენ ის დღეები, ასე ზღაპრული?
ცრემლის წვეთები დამიტოვე სულის მინაზე
და მოაქვს ქარებს, სიშორიდან ხმადაზაფრული!

შენი თვალები დღეს მზის შუქით არ იკოცნება
და ვერც შეგირხევს, გაზაფხულის სიო დალალებს!
მე ის ხატება შემრჩა ჭაბუკს, როგორც ოცნება
და ტკივილების მოზღვავება... ველარ დავმალე..

იქნებ შეცდომა იყო, სულო, შენი მოფრენა
და ეს უთუოდ იგრძნეს ალბათ ზენა ძალებმა!
მაგ მშვენებისთვის ჯერ იმდენად ყრუა სოფელი,
რომ მაგონდება, გულზე ცრემლი მომეძალება..

მიწაზე გაქრა სათაყვანო შენი ხატება,
მაგრამ ხსოვნაში, ის ვერასდროს შეწყვეტს ნათებას!..

**სოხუმი**
**07.09.72.**

* * *

ისევ ვიხსენებ, გაზაფხულის ხასხასა ჭალას
და შენს საოცარ სურნელებით, ავსებულ სიცილს!..
ეს მოგონება, უჩვეულო ტკივილით მსჭვალავს
და მას ჟამთასვლა ვერასოდეს ვერ წაშლის, ვიცი!

ძვირფასო, ახლაც მაგ თვალების ზმანების ტყვე ვარ!
და მისდევს მზერა, მინდვრის ქორფა ყვავილთა ციმციმს...
მე თვალწინ მიდგას, აწვართული ალვების რხევა
და მწვანე მოლზე გაქცეული ჭიხვინი კვიცის!..

კვლავ ჩემსკენ მოდის, მოირხევა იმ დღეთა ექო,
როდესაც უკვე გადათქერვას მიპირებს ჟამი!
იმ წლების ხსოვნა იდუმალი, შემორჩა ბექობს
და გულს დაღალულს, მეგობარო, ტკივილის შხამი...

ჩვენს ნაფეხურებს, ღამე უხმოდ შეიწოვს ხარბად,
ის დრო წავიდა, რომ გვასმევდა საწუთრო შარბათს!

**სოხუმი**
**16. 09.72.**

* * *

გაზაფხულს ისევ ველოდები, ამ ბაღის კართან,
დილით ჩიტების ჟრიამულის მომინდა ნახვა!
ზამთარმა უხმოდ აიკეცა ქათქათა კალთა
და ფეხაკრეფით ცრემლიანი ფერდობებს აჰყვა...

მზე ფერთა რხევით, კვლავ მოაწვა ხასხასა სივრცეს
და ის დღეები სანატრელი - მომელანდება...
ნიავი მთიდან მონაბერი ოცნებას მირწევს,
მოვა აპრილი, სულს ამინთებს ფერად სანთლებად..

ზღვა შეწყვეტს გუგუნს და მე აფრებს ოცნების გავშლი,
გარდასულ დღეთა ისევ ვიგრძენ ცეცხლის მოდება!..
მე სიცოცხლესთან მერამდენედ ვანახლებ კავშირს,
მზე გაზაფხულის ალტაცებით მიახლოვდება...

რას უცდი, დროო, განახლების გზები მაჩვენე,
დედაო ღვთისავ, შენი ლოცვა შემომაშველე!

**სოხუმი**
**12.03.75.**

* * *

შენს სასთუმალთან მთელი ღამე ენთო სანთელი,
იქნებ დუმილში, მეგობარო, გრძნობდი რაიმეს?
ის ღამე იყო იდუმალი და სხივნათელი,
მხოლოდ აკრთობდა ამ დიდ სევდას დედის - „ვაიმე!“

ჩვენ დავდიოდით, შენს გარშემო, ფრთხილი ნაბიჯით,
არ ვაშორებდით შენს ძვირფას ნეშტს, ცრემლიან თვალებს!
მოულოდნელად ზღვარს სიცოცხლის გადააბიჯე
და ნაღვლიანი დაგცქეროდა... ფანჯრიდან მთვარე.

მოვიდა ჟამი განშორების, ხელდაკრეფილნი
ვიდექით უხმოდ და მიმწუხრის ზარმა დარეკა!
მთიდან ჩურჩულით შეღამების ქროდა ზეფირი,
მაგრამ გულიდან სიმძიმილი ვერ გადარეკა...

და დარჩა ხსოვნა ჩვენს გულებში საოცრად სუფთა,
დავდივართ, მაგრამ როგორ გვიჭირს, უშენოდ სუნთქვა?!

**სოხუმი**
**03.06.75.**

* * *

ის დრო წავიდა, აწი უკვე ვერაფერს შეცვლი,
შენ რომ გიყვარდა, საყვარელო, ის წყაროც დაშრა!..
მოვა აპრილი, აგაცრემლებს სიმღერა მერცხლის,
რასაც საოცარ აღტაცებით ხვდებოდი შარშან!

ცივი სადგური გახდა შენთვის პლანეტა მთელი,
უცხო ჩიტივით სული სადღაც გაფრენას ლამობს...
აჰა, საცაა დაიწყება, ძვირფასო, რთველი,
ბრძენი ბუნება ყვავილოვანს გაიხდის სამოსს!

ვერ იქნა, ვეღარ შეურიგდა ტკივილებს სული,
ის ბაგეებიც გაფერმკრთალდა ნაზი და ცხელი!
გადაწყდა უკვე, ვეღარ მალავ გაფრენის სურვილს
და მაგ ღაწვებზე, გაჩნდა ორი მდინარე ცრემლის..

შორს დარჩა, სადღაც გაზაფხულის ბაღი შრიალა,
ყველა ტკივილმა მაგ შენს გულზე გადაიარა...

**სოხუმი**
**19. 12.75.**

* * *

მე იმ საღამოს შენ მეგონე თოვლის გოგონა,
ოდნავ შემკრთალი, გადაფიფქულ მინდორზე გნახე!
სულში ამინთე სიყვარულის ჭიაკოკონა
და ჩემს არსებას ო, ის დღემდე საოცრად არხევს!..

მიირწეოდი სოფლის გზაზე, თეთრი ზღაპარი,
დღემდე ხსოვნაში წარუშლელი დარჩა სურათი...
ო, ეს რამხელა გაოცება შემომაპარე,
თოვლის მინდორზე მიდიოდი, თუ მიცურავდი?!

დრო უძლურია, რომ წაშალოს ის შეღამება,
საითაც მივალ, მხოლოდ ყველგან შენ მეჩვენები!..
მე ის საღამო სამუდამოდ მექცა წამებად,
დავრჩი ბედისგან უმოწყალოდ... შენაჩვენები!

მე შენ მოგსდევდი ფაშარ თოვლში, სავსეს სინათლით,
და მოსახვევში, უცნაურად გაუჩინარდი!..

**სოხუმი**
**22.02.74.**

* * *

ფანჯრიდან ვუცქერ უბოლოო ვარსკვლავთა რიალს,
წლებით დაღლილი, საყვარელო, შენს ჩურჩულს ვნატრობ..
შენთან შეხვედრა კვლავ მომინდა, ძვირფასო ლია,
მე ამ ოთახის სიჩუმეში დარჩენილს მარტო!

მაგ თმის კულულებს, კვლავ ათასჯერ ვეამბორები,
კოცნით აგივსებ მაგ ელიფსურ თვალთა სიალეს...
შენ ხარ, ძვირფასო, ჩემი ნაზი ტრფობის მორევი,
რომელიც სულში ვარდფურცლობის ფერით შრიალებს!..

როცა შენთან ვარ, შუქი ციკრის მომეფინება
და გაზაფხულის ცისფერ ტალღას ვეთამაშები...
მე რას დამაკლებს ულმობელი ჟამის დინება,
რომელიც მიქრის სიშორეში, თეთრი რაშებით!..

ჩემს მინდორ - ველზე გაზაფხულმა გადიხვივინა,
რაც ვნახე იმას, ხელმეორედ ველარ ვიხილავ!

**სოხუმი**
**27.06.74.**

* * *

მე არ მშორდება, საოცარი შენი ხატება,
ის ჩემთან მოდის, ჩემს ჭრილობას ეალერსება..
ეს რა ნაღველი მომეძალა, რა მემართება,
შავი ფიქრები ფუტკარივით რატომ მესევა?!

მე დავიღალე, სივრცეებში ქროლვით, კვეთებით,
მაგრამ სხეულში მუდამ ფარულს, ვგრძნობდი დინებას!..
ვიქროლე ჟამის ქარიშხალში თავგამეტებით,
დღემდე გადავრჩი, ალბათ, ღმერთმა ასე ინება!

მე შენი ძუძუს ვწოვე, დედავ, უხვი ნათელი
და ბავშვობიდან შენი ლოცვა მსდევდა საფარად...
ვხედავ შენს სხეულს, ტკივილებით მწარედ გათელილს
და ჩემი ჩანგი მწუხარებამ თალხით დაფარა...

მე მთვარიანში ახლაც მესმის შენი ვედრება,
ჟამი მღვრიეა, მაგრამ მაინც მეიმედება!..

**სოხუმი**
**0.09.74.**

* * *

შენ ჩაიმალე, იმ წიაღში, მშობლიურ მიწის,
რომელიც, სულო, ბავშვობიდან გიყვარდა ეგზომ!
დღეს შენს საფლავთან, ირხევიან ხეები წიწვის
და დედის მოთქმა ეფინება, ბავშვობის ეზოს!..

ცა ვარსკვლავებით დაცხრილული, ინთება ღამით
და წყლის ნაპირზე, ფეხშიშველი ნისლები სხედან...
იქნებ ყურს უგდებ, განთიადზე ირმების ბღავილს,
როცა შეგიპყრობს მარტოობის მტანჯველი სევდა?!

მიდის მდინარე და მიარხევს ტალღების წყებას,
შენი ბავშვობის კვლავ ჭიხვინებს მინდორზე კვიცი!..
აქ, შენს საფლავზე სევდიანი საღამო წვება
და ცის ხავერდზე ვარსკვლავების იზრდება რიცხვი.

იქნებ ამყარებ შორეულთან, იდუმალ კავშირს,
როცა საღამო, ვარსკვლავების იალქნებს გაშლის!..

**სოხუმი**
**24.04.76.**

* * *

ლექსების წიგნში ვნახე მკრთალი ფურცელი ვარდის
და მოგონება იმ დღეების მექცა იარად...
ზღვის პირას მოველ, მთვარე ნისლის იხსნიდა მანდილს,
ყველა ტკივილმა ამ ჩემს გულზე გადაიარა!

მახსოვს, შენ მაშინ თექვსმეტი წლის იყავი ცირა
და ერთობოდი სილამაზით ცისა და მიწის!..
ძვირფასო ჩემო! ო, ეს იყო დიდი ხანს წინათ,
თუმცა, ეს გული მოგონებით ნიადაგ იწვის!..

მხოლოდ ღიმილში გადმოფენდი, მშვენებას სულის,
იყავ წარმტაცი, ვით ნიავში თამაში ფერთა!..
უკვე, იმ დღიდან ჩვენ იდუმალს მივენდეთ სურვილს
და ჩემში იგი, ახლაც იმავ, სინაზით ფეთქავს...

რადგან შენ ძრთოლვით, ეს უძირო სული ამივსე,
ფერიცვალება ვერასოდეს გაგითავისებს!

**სოხუმი**
**17.06.76.**

* * *

ის ლამაზი დღეები, ვიცი, კვლავ რომ არ მოვა,
შენთვის მზე ვერ აანთებს, ცაზე ფერად ნათურებს!
შუქთა ლურჯი მეწყერით, მთვარე ბევრჯერ ამოვა,
მაგრამ იმ ჩვენს ბილიკზე სევდა დაისადგურებს!..

მოჩანს ზეცის თავანი - შუქთა დიადემებით,
ზღვას შეხედე, ქცეულა ვარსკვლავების საბადოდ...
მე შენს მსუბუქ ფეხის ხმას ბევრჯერ ავედევნები,
დიდხანს ვიხეტიალებ, ალბათ, უმისამართოდ!

იქნებ სადმე წავაწყდე, შენს საოცარ ხატებას,
სულის სიმებს შემირხევ, უჩვეულო ზმანებით!..
ეს ვინ არის ნეტავი? – ჩემსკენ მოემართება
და რეკავენ შორიდან, ღამეული ზარები!..

წუთისოფლის ბილიკზე მარტო დავბორიალობ,
ნუ მახსენებ იმ დღეებს, შემოდგომის ნიავო!

**სოხუმი**
**04.09.76.**

* * *

მიირხეოდნენ ცის თავანზე, ღრუბლები ლეგა,
დაფარეს სივრცე, იდუმალი ხასხასა ღამის..
შევხვდით ზღვის პირას პაემანზე მე და შენ მეგი
და ყურს ვუგდებდით პორტში გემის სევდიან ბღავილს!..

ზვირთები ჯებირს აწყდებოდნენ ღელვით, ხმაურით
და მთა სოხუმის დაეფარათ ნისლებს ნახევრად...
სადგურს მოადგა გემი რაღაც ხმით უცნაურით,
ნაძვებს შემართულს შემოდგომის ქარი არხევდა...

ჩვენ კი საყელოშეხსნილები მიმოვდიოდით,
ლამპიონების შუქზე ენთო ლურჯი ნაპირი!..
ცას ელიფსური თვალებიდან, ცრემლი სდიოდა,
შორს დარჩენოდა სამოსელი - თეთრი აპრილის!

გადაგვდიოდა გულზე რაღაც, სევდისმაგვარი,
რომ ფერს იცვლიდა ჩვენს გარშემო, ყველა საგანი.

**სოხუმი**
**18.09.76.**

* * *

დააზრო ქამმა ყვავილნარი, შენ რომ დატოვე
და ჩემს სტრიქონებს მოეძალა სევდის მოტივი...
ვერ ამიხსნია, რა ყოფილა ეს სიმარტოვე
და დავბარბაცებ ამღვრეული, გზებზე ლოთივით!

შემომაშველო, იქნებ შენი თეთრი ხელები,
იქნებ უშველოს ჩემს ჭრილობას, შენმა მალამომ!
მე საწუთროსგან გავხდი ასე განახელები
და შენი კალთა, მინდა ისევ ცრემლით დავნამო...

საწუთროს გზები გახდა ჩემთვის უკაცრიელი,
არ ვიცი, ასე სანამ უნდა ვიხეტიალო?
თუმცა, მაჩუქა მე განგებამ, სული ძლიერი
და რას დამაკლებს უდაბნოში - ქარის ტრიალი?!

დავხეტილობ ნატერფალის, შენის, მკოცნელი,
როცა ჩამიქრა ცის თავანზე... შუქი ოცნების!

**სოხუმი**
**18. 11. 76.**

* * *

ამოდიოდა სიშორიდან მზე მეწამული
და ვარდფურცლობის საოცარი იდგა სიალე...
გადასდიოდა ჩემს მშობლიურ მთა-ბარს ალმური,
მისდევდა მინდვრად აღტაცებით ნიავს ნიავი..

ათრობდა ბაღში არემარეს სტვენა ჩიტების,
ზღვა ირხეოდა სხივთა ჩქერით ნათილისმარი...
მე ახლაც ო, იმ მოგონებით ძლიერ ვინთები
და მიირხევა დღე აპრილის - როგორც სიზმარი!..

აჟღერებს სიმებს გაზაფხულის პლანეტა ვრცელი,
საიდან მოდის ყოველივე? - განსჯას ვუნდები...
შეხედე, ვარდებს სიხარულის ჩამოსდით ცრემლი,
ო, სიყვარულო, ნურასოდეს ნუ გახუნდები!

გულო, რას უცდი? - ფერთა ღელვა შეისისხორცე
რომ არ გახუნდეს, დროზე ადრე, შენი სიცოცხლე!

**სოხუმი**
**12. 04.78.**

* * *

ხსოვნის ლანდებთან ხეტიალობ, უდასასრულოდ
და სივრცე ისევ, მოყვითალო ფოთლებში ცურავს...
სულის სიმაღლეს არ შორდება - ერთი ასული,
რომლისაც გულით დაატარებ, პატარა სურათს!..

დღეებმა მინდვრებს, სამოსელი გახადა მწვანე
და შემოდგომის უჩვეულო ნაღველით ავსებს!..
შეგიხსნა ქამმა, სულის ყველა ჭრილობა მწვავე
და ბედისწერა შავი ფრთებით... დაგჩხავის თავზე...

შემორჩი სივრცეს, გარდასული დღეების სევდად,
ფერიცვალების კართან მაინც ამაყად დგახარ..
უხმოდ ქანაობს შეღამების ლანდები ხეთა
და მოგონებას საოცარი ტკივილი ახლავს!..

ქვეყნად ყველაფერს, რა ულმერთოდ ეცვლება ნირი?
კლდეს შერჩენილი, როგორც ცალი ირემი ყვირი!

**სოხუმი**
**01. 10. 78.**

* * *

ხალასი გრძნობით, ბავშვობიდან ერთმანეთს ვენდეთ,
დარჩენილ დღეებს, რომც იდინოს არაფრად ჩავთვლი.
ამ ბაღში, მეტი, ვერასოდეს მოგიტან ვარდებს
და ვერც სანატრელ ბილიკებზე... გავივლი ჩანთით!

შორიდან უკვე, სევდიანი ხმა მესმის ჩხართვის,
დავდივარ მარტო, სიყვარულით ვიხსენებ იმ დროს!..
მოდის საღამო... სიშორეში მზე ოხვრით ჩადის
და მოგონების ცრემლები სდის მაისის მინდორს...

აქ ყველაფერი არხევს სიმებს, იმ წარმტაც დღეთა
და შენს ხატებას ვეფერები ხსოვნაში მხოლოდ...
ო, ეს სონეტი დავიწყებას შეუტევს მედგრად,
თუმც დროთა ტალღა, ალბათ მასაც დაამსხვრევს ბოლოს!..

მიქრიან წლები, მაგრამ გული ველარ დავაცხრე
და ვხედავ უკვე, დრო -ჟამს ტრფობა როგორ ამარცხებს!

**ბანძა**
**12. 05. 79.**

* * *

მე დავბრუნდები, საყვარელო, ასი წლის შემდეგ
და იმ შეხვედრის ხეივანში უთუოდ მოვალ...
ო, მაგ ღიმილის სილამაზეს იმდენად ვენდე,
თუ არ დამხვდები, შენს აჩრდილთან გავაბამ რომანს!..

რა დამავიწყებს, შენი ტანის საოცარ რხევას
და ნაპირებთან ზღვის ტალღების, უცნაურ სიცილს?
მიცნობს ტირიფი, მოვა კრძალვით და მომეხვევა
და გავიხსენებთ მაგ თვალების... იდუმალ ციმციმს...

მოვეფერები, გარდასული დღეების ხსოვნას,
დავულბობ ცრემლით, მინდვრის ყვავილს, ქათქათა უბეს!..
მექნება თითზე ის ბეჭედი, რომ მისახსოვრე
და მოვიგონებ შენი ტანის - თოვლისფერ ღრუბელს!..

მე შენი ტრფობით ო, ეს გული იმდენად მიცემს,
რომ გადმოვლახავ უსათუოდ დროსა და სივრცეს...

**სოხუმი**
**14.05.80.**

* * *

„რიკ- ფაინის დრო გარდუა,
ველარ გაჰკრავს, ჩაჰბილდებიწ".
დავით გურამიშვილი

ჟამმა ქარივით ჩაიქროლა ჩემი ბავშვობის
და ჭაბუკობის წლებმა სივრცე გადითქარუნა...
ასე დამთავრდა ჩემი სულის დიდი ლაშქრობა
და ჩემი ჩანგის შესწყდა ოქროს სიმთა წკარუნი!

შემოვრჩი ბილიკს, ნაღვლიანი - ბრძოლით დაღლილი
და მარტოობამ რა უეცრად გამითავისა...
ქანაობს კლდეზე ჩემი მუხა, ტოტებდახრილი,
მზე მეფერება, მაგრამ ველარ მირჩენს... ნაისარს!

ამ პლანეტაზე კაცი ახლა, თითქმის მარტო ვარ,
ჩაქრა ის ცეცხლი და შეწყვიტეს რეკვა ზარებმაც!
ერთობ მოქანცულს, დრომ ჭაღარა შემომათოვა
და ის დღეები დაემსგავსა - უკვე ზმანებას!..

რაც მიწყალობა, კვლავ წამგლიჯა ერთობ ბუნებამ,
ამაოდ ვცდილობ, გარდასულის შემობრუნებას!

**ბანძა**
**05. 12.79.**

* * *

ძვირფასო ჩემო! სად გაფრინდი მოულოდნელად?!
მთელ სამყაროზე შენი სულის ვარდი მერჩია!..
გულზე დამაწვა სიმძიმილი მთებისოდენა,
ჩემი არსება უშენობას ვერ შეეჩვია.

ნეტავ, რა ვუყო, ულიმღამო დღეებს დარჩენილს,
რას ვიფიქრებდი, რომ იყავი ჟამის სტუმარი?
შეშფოთდებოდა, ალბათ, შენი ცოდვით გამჩენიც,
როცა გიბოძა ეს უხეში თავსასთუმალი!..

შენი წასვლა ხომ, გაზაფხულის ჰგავდა გაფრენას,
ვერ გამიგია, ამ საწუთროს, თუ რა ფერი აქვს!
ეს რა უეცრად განშორების ქარმა დაჰბერა,
დავრჩი ჰამლეტი - ამ მიწაზე, უოფელიოდ!

საიდან მოდის, ასე ულვთოდ სულის ობლობა,
ბუნებას, ნეტავ, რად სჩვევია დაუნდობლობა?!

**სოხუმი**
**21. 09.77.**

* * *

**„სიჭაბუკისა ყვავილი დამიჭკნო ჟამთა დენამა.“**

**დ. გურამიშვილი**

გადააყვითლა შემოდგომამ ირგვლივ ყოველი,
ფერი უცვალა, რაც კი სიკვდილს ემორჩილება!
მითხარ, ბუნებავ, რატომა ხარ დაუნდობელი
და სივრცეს რატომ ეფინები, მწუხრის ჩრდილებად?!

ხედავ, ნიავი, მინდვრის ყვავილს ცრემლით ასველებს,
შეხედე ბინულს, ფოთლების რომ გახდა სატივე..
შენ, ჟამთა დენავ, ჩემი გული დანით დასერე
და განშორების უნაზესი ცრემლით მატირე!..

ჩვენი სინორჩე გაიტაცე, როგორც ნადავლი
და მოგვახვიე ფოთოლცვენის - უამინდობა!..
შენ ხელთ გიპყრია ამ ცხოვრების ყველა სადავე
და ისიც ვიცი, თუ რას ნიშნავს, შენზე მინდობა!

ვინ თქვა, ჟამთა სვლა ყოველივეს აუჩინარებს,
თუ შენს ხატებას, აირეკლავს, ლექსის მდინარე?!

**სოხუმი**
**16. 10. 77.**

* * *

ამ ხეივანში, ახლა მხოლოდ, დუმილი სუფევს,
დაუტბორია ქარებს იგი, ფოთლების შვავით!..
ვნახე და სული გადამექცა, ტკივილის გუბედ,
მიცურავს ისევ, ცის თავანზე, ღრუბელი შავი...

აქ დავდიოდით ო, მე და შენ ღიმილით, მერი
და ფერთა ლივლივს, არ უჩანდა, ძვირფასო, ბოლო...
საით გაფრინდნენ ის დღეები ნაზი და წრფელი,
მინდა იმ ტუჩებს, სათაყვანოს, კვლავ ვეამბორო!

მზეს ბაგეებზე შეაცივდა ერთობ სიცილი
და სცვივა ხეებს, ქამგარდასულთ, ტოტები ხმელი!..
საით წავიდა ის თვალები, შუქთა ციმციმით,
ვიხსენებ იმ დროს, თითქოს წყლულებს, ვეხები ხელით..

დაქროლა ქარმა!.. ულიმღამოდ ჩიტები ფრენენ
და არხევს ქამი უცნაურად, გაცრეცილ ფერებს!..

**სოხუმი**
**30.11.77.**

* * *

ჩწექ ბალახში და გათოვდა ყვავილი ატმის...
და მე ვთვრებოდი სილამაზით, ძვირფასო ჩემო!
მაშინ, ვიგრძენი უცნაურად სიცოცხლის გემო
და ირხეოდა ამ ჩემს სულში, რტოები ნატვრის...

მახსოვს, ეს იყო აპრილის თვის დღე უნაზესი,
შორს მიცურავდნენ ცის თავანზე ღრუბლები თეთრი...
ჩვენ სიყვარულმა ერთ არსებად რომ შეგვაერთა
და გულში გრძნობამ, რა საოცრად გაიდგა ფესვი..

ახლა დავდივარ ამ მინდორზე, უკვე მხცოვანი,
მზე ჩადის რხევით და ხუნდება ფერები შინდის...
ო, გულის ღელვა ვერ იქნა და ვერ დავამშვიდე
და ცრემლი დამდის თვალებიდან, როგორც ნოვალისს!

დრო სიშორეში მიდის უხმოდ, დაუბრუნებლად,
რატომ გრძნობს ამას მტკივნეულად... კაცის ბუნება?!

**ბანძა**
**17.10.81.**

* * *

Თავთუხის ზღვაში მივდიოდით, თუ მივცურავდით
მე და შენ, მერი, შორს, ხოხობი ველზე ყიოდა..
ამ ცის და მიწის საოცარი ვნახეთ სურათი,
მზე კი ოქროსფრად მოღაღანე ამოდიოდა...

მიირწეოდნენ, ცის თავანზე, ღრუბლის გედები,
ციხის კოშკების ქონგურებზე ვჭვრეტდით არწივებს...
ისევ ფეთქავდა მზე ოქროსფრად შენადედები,
რამ დამავიწყოს, ჩემო მერი, ის სიყმაწვილე!

მას, რაც ვიხილეთ, ვერ გადმოსცემს კალმის თილისმა,
ვერც ატმის რტოზე მოგალობე, ჩიტების ქორო!
ის დრო წავიდა, სული სევდამ მოაირისა
და სივრცე ჟამით გაძარცული შემომრჩა მხოლოდ..

ჩემი ცა სიზმრად მზემ აპრილის მოაგვირილა,
გამომაღვიძა, ერთხელ კიდევ, ირმის ყვირილმა...

**სოხუმი**
**27.04.83.**

* * *

მოვიდა თოვლი, გაათეთრა წკვარამი ღამის,
მინდორზე უკვე უთვალავი ფანტელი გალობს!..
ვისმენ, ფერდობზე გადმომდგარი, ხარირმის ბღავილს,
ამ სილამაზეს აღარ მინდა დაჰქროლო, ქარო.

ფეხის წვერებზე, დგება ჩემი, ბავშვობის ლანდი
და განთიადზე, სიყვარულით მეგობრებს უხმობს!
ეს თოვლია თუ მოგალობე ბუნების მადლი,
რომ ეფინება ჩემი ყრმობის მინდორ-ველს უხმოდ...

მომიხავერდა სანუკვარი ეზო და ბაღი,
ვტოვებ ოთახს და ყმაწვილივით გავრბივარ გარეთ..
ბუნება თავზე ისევ თოვლის ყვავილებს მაღვრის,
ვეძახი დღეებს ჭაბუკობის და ვრეკავ ზარებს...

მაგრამ წარსული, უკვე აღარ მიბრუნებს ექოს
და სევდა მძიმე, ჩემი გულის აწყდება ბექობს!..

**ბანძა**
**14.01.84.**

* * *

სული გაურბის, შემოდგომის დღეებს, მთვლემარეს
და გაზაფხულის საოცარი ქრება ნათება!..
რა რჩება ქვეყნად დაუმხობი, გაუთელავი?
და თვალებიდან არ მშორდება - შენი ხატება...

ხორცი ადვილად ითელება, დროის ფლოქვებით
და გული ხსოვნით, კვლავ რამდენჯერ დაიცვარება!..
ვდგავარ ეულად, უჩვეულოდ შენაშფოთები
და სული მედგრად უმკლავდება... ფერიცვალებას.

ჩემმა ხომალდმა ზღვის სივრცეში აფრა გაშალა,
თუმც უტევს, ჟამის ქარიშხალი, დაუნდობელი!..
გულო, რას უცდი? - მოიშორე ეს კაეშანი,
რადგანაც ისეც მდიდარია დარდით სოფელი!..

მივალ ბილიკზე ღელვით სავსე, უკვე ღამდება,
ისე ვიჩქარი, თითქოს სადღაც... მაგვიანდება..

**სოხუმი**
**22.08.84.**

* * *

შენს ნაფეხურებს, ქამი უკვე, შლის გულმოდგინედ,
მაგრამ ის ჩემში, შენი ხსოვნის, ვერ წაშლის სურათს!
დარდი ვეება გულზე მაწევს - მძიმე ლოდივით,
დღე შემოდგომის მიირწევა ფერგადასული!..

შორს დარჩა სადღაც - ის მინდორი და ის მდინარე
და გაზაფხულის უჩვეულოდ ლამაზი თრთოლვა!
დაჭკნა, დასცვივდა ის ვარდები პირმოცინარე,
მოვა ზამთარი და შრიალით დაფარავს თოვლი!..

ვინ გაიხსნებს მაგ თვალების ცისფერ ნათებას,
ანდა იმ ღიმილს, რომ ფეთქავდა ლამაზ ბაგეზე?
არ ვიცი, ეს გზა ახლა საით მიემართება,
ან გული ჩემი, ასე ღელვით, რატომ დაგეძებს?!

თუ ყველაფერი ფერს იცვლის და მიედინება,
როგორ გაუძლოს, ჩემმა სულმა - ამგვარ დილემას?1

**სოხუმი**
**12.09, 84.**

* * *

ო, მაგ ბაგეებს ნუთუ კვლავ ვერ ვეამბორები?
დრო მიქრის ისევ და ჯიუტად რეკავს საათი..
გულზე გადამდის, წუთისოფლის მღვრიე მორევი
და მიქანაობს ბილიკებზე - დღე მუხანათი!..

ქარი ბექობზე ათამაშებს... გროვას ფოთლების
და მზე დაღმართზე მიირწევა, სევდანასვამი!..
მე ვდგავარ ჟამით ძვალ- რბილამდე შენაშფოთები
და მოდის ღამე, სიშორიდან სტვენით, სავსავით!..

ბევრი ეცადა, მაგრამ ველარ გამაუხეშა -
ურჩმა ცხოვრებამ, უბოლოო მძაფრი შეტევით.
შენი ხატება, საყვარელო, მექცა ნუგეშად
და წუთისოფლის ბილიკებზე დავეხეტები!

შორს მიქრის ჟამი და სულში კი სევდა ნატიფი
შრიალებს, როგორც, უბოლოო ლურჯი სათიბი...

**მოსკოვი**
**21. 10. 84.**

* * *

შენს ფანჯრის მიღმა, ნაღვლიანი ჩამოწვა ღამე,
რატომ შეჩერდა ხეივანში - ქროლვა ნიავის?
აფრები ზღვაზე, ფერნამკრთალებ მთვარის შუქს სვამენ
და იმ დღეების ხსოვნა მძაფრი, მიჩენს იარებს.

იმ ბებერ ჭადარს, თითქოს ახლაც ვეხები თბილად,
ჩვენ ხომ გვიყვარდა მის ტოტებქვეშ ჩურჩული, მერი.
დრომ, რად ჩაგვიქრო უმოწყალოდ მაისის დილა
და ჩვენ შემოგვრჩა, მწუხარების თვალები სველი!..

მოდის ზამთარი და იმ დღეთა წაშლას აპირებს,
მე კვლავ ვაღვიძებ, ხსოვნით სავსე, სიმებს უჩუმეს!..
რა შორს გაფრინდა, გედის ფრთება, ო, ის აპრილი
და ჭრელ ფოთლებში განახლების სული ჩურჩულებს...

იმ სილამაზეს, ო, რა ტანჯვით ვემშვიდობები,
დრო მიქრის ისევ და ხმაური მესმის ბორბლების!.

**სოხუმი**
**24.09.85.**

* * *

ჩემო ძვირფასო! შენს საფლავთან მოვედი ისევ
და გაზაფხულის ნორჩ ბალახებს, ცრემლით ვასველებ!..
ბორცვს მოხვევია შეღამების ფერმკრთალი ნისლი
და შენი სახის მოლანდება, მე არ მასვენებს!..

ეს მერამდენედ, მოვდივარ და სიკვდილთან ვდაობ,
მაგრამ ეს გლოვა და გოდება არავის ესმის!
ვერ გავარღვიე ბედისწერის გრიგალი, დაო,
გულს კი მიკაწრავს, შორეული ვარსკვლავთა კვნესა..

დღეები ისევ დღეებს მისდევს უდასასრულოდ,
არ ვიცი უკვე, სად შეწყდება ჩემი წამება...
მე ვგრძნობ, ძვირფასო, გაზაფხულის მზე რომ ჩასულა
და სული მძაფრად აჰყოლია... მხოლოდ ზმანებას!

ამ ფერმკრთალ სტრიქონს, როგორ ვანდო შენი ხატება,
ის მღვრიე ქარში, დიდხანს შესძლებს განა ნათებას?!

**სოხუმი**
**24.05.86.**

* * *

წაგყვა რამდენი საიდუმლო მიმავალს იქით,
დრო დაილუქა და მას აწი ვერავინ გახსნის!
შემოაცვითა შენს ძლიერ სულს, ბუნებამ გარსი,
მე კი დამტოვა შარა - გზაზე... დაღლილი ფიქრით...

იცოდი კარგად, წუთისოფლის ავანჩავანი,
გძულდა სიფლიდე, სივერაგეს არ იკარებდი!
შენი აჩრდილი ვნახე ჩემი ბაღის კარებთან,
როცა დაეშვა ჰორიზონტზე, მზე ჩამავალი...

მე აგედევნე... ვერ იქნა და ვერ დაგეწიე,
ბაღის სიღრმეში, რა უეცრად გაუჩინარდი?!
ვიდექი ღელვით მთვარიანში მარტო ჩინართან,
ასე უეცრად როგორ გასცდი სივრცეს მიწიერს?!

და, როცა კაცმა ვერ გავუძელ გრძნობას მოწოლილს,
შორს ლაჟვარდებში, გაკრთა მაშინ... ელვის კოცონი!

**სოხუმი**
**14. 06.86.**

* * *

ეს განშორება, იყო ერთობ, მოულოდნელი,
რასაც ვერ ავხსნით, მას მივაწერთ ხშირად განგებას.
ჟამი უხეში, როცა უნდა ნისლებს მოდენის
და ფრთებს ულმობელს, ლახვარივით შემოგაგებებს.

მივდივარ მარტო, ახლა უკვე არავინ მელის
და გორმახებში მხოლოდ ნისლი მიილანდება...
გაფრინდა სადღაც, შენი სულის ნაზი ფრინველი
და მეჩვენება შენი ტანის თეთრი ხატება...

რა რჩება ქვეყნად, - მხოლოდ ხსოვნა უფაქიზესი
და ლექსად ვამბობ, როცა გრძნობა მომეძალება!..
სიყვარული და ტკივილია ლექსის მიზეზი,
როცა ერთბაშად ჩამორეკავს სულის ზარები!..

სხვა გზა ვერ ვპოვე, ღმერთმა მხოლოდ ეს გზა მაჩვენა
და ლექსს მივენდე, ჩვენი ტრფობის გადასარჩენად..

**ბანძა**
**15. 08. 86.**

* * *

აქ ყველაფერი მხოლოდ შენზე მესაუბრება:
ეს ბუჩქნარები, ეს ხეები და ეს ბინული!..
განგებამ უკვე მომანიჭა ტანჯვის უფლება,
ჩემამდე მოდის უჩვეულო ხმა განწირულის!.

მე ადრე ვიგრძენ, ჟამის ასე დაუნდობლობა,
ბევრჯერ უფსკრულთან, უცნაურად ახლოს მიველი!
შემიმსუბუქე, შენ ძვირფასო, მწარე ობლობა
და დამიბრუნე შუქით სავსე ხვალის იმედი!.

შენ მომიშუშე, მე უმწეოს, ჭრილობა ყველა
და შენი გულის სათნოება, რამ დამავიწყოს?!
დაო ძვირფასო, უკვე მჯერა ამაოდ ვღელავ
და ეს ცხოვრება მეჩვენება საოცრად ვიწრო!

შენი სინაზე, შენი თრთოლვა, ასე საჩინო,
თუ არა ლექსმა, სხვამ რამ უნდა გადაარჩინოს?!

**ბანძა**
**09.09.86.**

* * *

ბარეთ წვიმს... ზღვიდან კვლავ უბერავს მრისხანე ქარი,
ჰა, იწურება შემოდგომა და გული გვტკივა!
ჩვენ გვაგონდება ხეივანი, მაისის მთვარის
და ფანჯარასთან მოყვითალო... ფოთლები ცვივა...

წეროებივით შორს გაფრინდნენ, დღეები ყრმობის
და ირეკლება ჩვენს მზერაში ლამაზი ხანა!..
მოგონებები ისევ გვავსებს, ფარული გრძნობით,
რომ გვიგალობდნენ გაზაფხულზე ფოთლები ნანას!..

აწი ვერასდროს ავინთებით, იმ სილამაზით,
ჩაბარდა ხსოვნას ყოველივე, რაც იყო წინათ!
ჩვენ სიყვარულის, ხომ ბოლომდე დავცალეთ თასი
და ახლა ვუსმენ, შემოდგომის სევდიან წვიმას!..

ქარი და თოვლი მხოლოდ ყრმობის ნაკვალევს წაშლის,
მაგრამ სულები საბოლოოდ - არ სწყვეტენ კავშირს!

**სოხუმი**
**17. 11. 86.**

* * *

ო. ვერასოდეს დავიბრუნებთ დღეებს მაისის
და გაზაფხულის გამჭირვალე ნისლების წყება,
ვერ მოგვეხვევა ნეტარებით და იმ ხალისით
და ვერ მოუტანს ამ ჩვენს სულებს, იდუმალ შვებას!

დავდივარ ჩუმად, გული დამაქვს ნაღველით სავსე
და ჩემს ტკივილებს, უჩვეულოს, ვერავის ვანდობ..
დაო, ძვირფასო, იქნებ სადმე შემომხვდე გზაზე,
იქნებ შემახო სიყვარულით ხელები სათნო!

რომელიც ჩემში აურაცხელ ჭრილობას წაშლის
და დამიბრუნებს პირველქმნილი სამყაროს კრთომას!..
მაშინ ტოტიდან მეწამული მოსწყდება ვაშლი
და დაეცემა მოყვითალო ფოთლებზე თრთოლვით...

ისევ შეგვასმევს გაზაფხული, შინდისფერ ნექტარს
და ჩვენს ნაკვალევს, გამოჰყვება... მზრუნველი დედა!

**სოხუმი**
**12.09.87.**

* * *

არ გამახსენო ის თვალები გრძნობით ნათრობი,
არც ის ბილიკი, არც ის ზეცა ნაოცნებარი!..
საით წავიდა ჩემი ტრფობის თეთრი მნათობი
და აღტაცებით ანთებული გული მგზნებარი?!

მე ახლაც ვეტრფი იმ ხეივანს, მწვანედ დაფოთლილს,
განვშორდით ერთურთს და სულს აღარ ეღირსა შვება...
ჟამის მდინარეს მიაქვს ღრუბლის თეთრი ნაფოტი
და ცაზე მთვარე მოგონებით კვლავ იშმუშნება!.

მინდა შევიქცე, დავუბრუნდე იმ ნეტარებას,
მაგრამ მე ვხედავ, ამაოა ფიქრი ამაზე!
ო, როგორ მიჭირს, ტკივილების უხმოდ ტარება,
ვინ გაიტაცა, ვინ წამართვა ის სილამაზე?!

გავცქერი სივრცეს, კვლავ ღრუბლები მიიგრაგნება,
ერთი ვიცოდე, რას მიმზადებს კიდევ განგება?!

**სოხუმი**
**20.09.87.**

* * *

დავდივარ ზღვის პირს, მოგონებით ისევ ვინთები
და სული მხოლოდ, ო, იმდღეთა თვრება ზმანებით!..
საით გაფრინდნენ სიჭაბუკის, თეთრი ჩიტები,
საით წავიდნენ, ჩემი დროის ლამაზმანები?!

შემოვრჩი ნაპირს, მე იმ დღეთა მესაიდუმლედ,
ვინ დამიმსხვრია, ოცნებათა, თეთრი კოშკები?
შემომაღამდა და ზღვა შემრჩა გადაბინდული
და ვიცი ერთობ, ტკვილებით გავითოშები!.

სევდამ ულმობლად დამარბია, გამინაპირა,
რა ვქნა, ძვირფასო, მარტოობას არ ვარ ჩვეული...
დავდივარ წლებით გადაღლილი, ამ ზღვის ნაპირას
და ველოდები, მაგრამ არ ჩანს... ჩემი რჩეული!

აჰა, საცაა მზე ჩაქრება ზეცის თავანზე,
შენ არ მოდიხარ! ღიმილს ვინღა, შემომთავაზებს?!

**სოხუმი**
**14.10.87.**

* * *

ცა განთიადის გაიკრიფა ღრუბლისგან ისე,
იოტისოდენ არ შემორჩა ვრცელ თაღეთს ფთილა!
აუკეციათ, თეთრი კალთა, ფერდობზე ნისლებს
და ოქროსფერი ახვიხვინდა - მინდორზე დილა..

შეაშრათ ცრემლი ღამეული, ბექობზე ნაძვებს
და ლურჯ რტოებზე თოვლისფერი მტრედები სხედან...
ადგილის დედა ცრემლშეუმშრალს გაიხდის ძაძებს
და გამარჯვების გზას ულოცავს გაფრენილ მხედარს!

ქამმა კვლავ რწმენის, მოქათქათე გაშალა აფრა
და მზის ჩქერებში, ჩემი სულის მდინარე ღელავს...
მიწაზე, თითქოს ერთობ ყველა ტკივილი გაქრა,
მზე გაზაფხულის ესალმება ღიმილით ყველას!..

ო, გაზაფხულის მოსვლის ფასი ჩიტებმაც იგრძნო,
და განახლებულ სილამაზეს უმღერენ, ვინძლო...

**სოხუმი**
**12.03.90.**

* * *

დავდივარ მარტო, სულში ჟამის ზვირთი თარეშობს
და ჩემს ჭრილობას, თუკი შველის, მხოლოდ კალამი!
დავხეტიალობ, მარტოობის ცისფერ მხარეში
და ვეგებები მაისის მზეს, თბილი სალამით!..

სამოთხის ბაღში, ცას უგალობს, ჩიტი ფერადი
და არხევს სივრცეს, მოწკრიალე სიმი რამდენი!.
სულ ცოტა დარჩა, ამ ჩიტუნას შორს გაფრენამდე
და მიდის ასე, უჩვეულოდ... დღე დღევანდელი!..

შენთან შეხვედრას ველოდები, ჩქარობს ისარი
და მზე მაისის მოლივლივე ზღვაში ეშვება...
შენი თვალების სილამაზის გავხდი ხიზანი,
იჩქარე სულო, თორემ ჟამი მეუხეშება!

მაშინებს, ცა არ დამილეწონ, დროის ქარებმა,
თორემ ამ ქვეყნად, რომ მოვედი... დამენანება!

**სოხუმი**
**12.05.90.**

* * *

Ისევ შეაღო გაზაფხულმა, კარები ბაღის
და სილამაზით ცა და მიწა მოახავერდა!..
ცრემლი მოგაწვა მაგ თვალებზე, უზომოდ დაღლილს,
მზემ კი გაჰფანტა უჩვეულო სევდა ღამეთა...

მომართეს ჩანგი ფრინველებმა გაუხუნარი
და ჩემს მინდორ-ველს საოცარი თრთოლვა ედება!..
იცვლის სამოსელს, ეს საწუთრო, მარად მბრუნავი,
ღრუბელი ზამთრის სადღაც შორს, შორს მიეხეტება..

მოდის ნიავი და თან ფერებს მოათამაშებს,
მზე გაზაფხულის, თოვლს და ქარებს ბევრი ედავა!..
დგას სივრცეებში ანგელოზთა ფრთების მარმაში,
მიდის ზამთარი ჭიუხებში გაუბედავად...

წერე ლექსები და თუ ხელი მოგეცარება,
მინებდი, სულო, წუთისოფლის ფერიცვალებას!..

**სოხუმი**
**29.02.91.**

* * *

სიკვდილ-სიცოცხლე გაჩენიდან ერთად მოდიან,
ო, ასეთია ბუნების, თუ ნება უფლისა!
ბევრი მინახავს უმოწყალოდ გულდაკოდილი,
რომ ფიქრით ჰქონდა გაწყვეტაზე ძარღვი შუბლისა!..

მოდის აპრილი და საოცრად ყვავის ბუნება,
მაგრამ ეუცრად გამოხტება, ჟამი ჭკნობისა...
ლურჯი მინდვრები, თეთრი ფრთებით დაიბურება
და უსაშველოდ აგატირებს... ხსოვნა ყრმობისა!

რა რჩება ქვეყნად; ფერუცვლელი, გაუხუნარი?
რა ვუყოთ, ჟამმა თუ ოცნების გზები მონისლა!..
იყავ ბოლომდის ანთებული, ბრძოლის უნარით
და არასოდეს დაიხურო - ქუდი მონისა!

მოხვედი ქვეყნად? - უნდა გქონდეს, თვალი ქორისა!
რომ თაობებმა ნახონ კარგად ვისი გორის ხარ...

**სოხუმი**
**25.07.91.**

* * *

**მაგრამ საწუთრო განა ვისმეს დიდხანს ახარებს?**

**ნ. ბარათაშვილი**

შენ ხომ სიცოცხლის სილამაზედ, ამ ქვეყნად იშვი,
რად დაეფინა რუხი ნისლი, ბავშვობის მინდორს?
რატომ ცახცახებს ცა და მიწა სიკვდილის შიშით,
რომელიც უკვე ქვეყანაზე არავის ინდობს!

სევდა ფარული კვლავ მახსენებს, ძვირფასო, იმ დროს
და თვალებიდან, უნუგეშოდ, ცრემლები მწყდება..
რად დაეფინა, რუხი ნისლი ბავშვობის მინდორს,
ვინ გაიტაცა ვარდფურცლობის... დღეების წყება?!

დაჭკნა ყვავილი, სიყვარულის შუქით ნაფერი,
სული კვლავ ოხრავს, მაგრამ უკვე არაფერს ითხოვს...
რას უცდი, ქარო, ამ მინდორ-ველს ისევ დაჰბერე,
თუმცა ვერავინ დამიბრუნებს იმ ჟამის სითბოს!

ო, იმ მაისის სილამაზე რა უცებ დაშრა,
ნუთუ ტრფობაც ვერ გადურჩება დღეების ლაშქარს?!

**ბანძა**
**19. 10.92.**

* * *

ო, რა ულმობლად აგანგაშდა, სივრცე მთვლემარი,
შეხედე, როგორ აცახცახდნენ შიშით რტოები?!
ქრის ქარიშხალი ამ მიწაზე დაუტევარი,
რატომ ატირდი, ბაღო, ზამთრის მოახლოებით?!

შენს სილამაზეს, უმოწყალოდ გაძარცულს ვხედავ,
იცრემლებიან ფერიების ლურჯი თვალები!..
მოაქვს ყინვა და მრისხანება ზამთრის თეთრ მხედარს
და მეც შენსავით გავხდი უკვე... ნაფერმკრთალები...

გადაათეთრა სივრცე ფიფქთა კორიანტელმა
და ღელავს სული, ტკივილების მწარე მოსევით...
ქამმა რა მძაფრად შემირხია სულის ანტენა,
მოვიდა თოვლი და ატირდნენ - ისევ ფრთოსნები!

იძინე, ბაღო, ნუ გაქვს შიშით ხმა დაზაფრული,
გამოიღვიძებ სილამაზით ისევ ზღაპრულით!..

**სოხუმი**
**12. 12.92.**

* * *

**დოდო ნარმანიას**

ჩვენ მოვიტოვეთ ორი ქამი საწუთროს გზაზე,
ახლა მესამე მონაკვეთზე მივდივართ ნელა...
ხან სიხარულით, ხან ტკივილით ყელამდე სავსე,
ხან მზე იცინის, ხან ქარი ქრის, ხან კიდევ ელავს!..

დავაფრთიანეთ ორი ბარტყი - მედგრად ფრთებს შლიან,
რომ შეუპოვრად შეუტიონ დინებას აღმა...
ჩვენ თვალს ვადევნებთ მათი ფრთების საოცარ შრიალს
და გვეშინია, სადმე აღარ მოღალოთ ტალღამ!

ბედნიერი ვართ! ნეტავ, დიდხანს გაგრძელდეს ასე
სამადლობელო უნდა ვუთხრათ ბუნებას დიადს!
ჩვენ ორი ქამი მოვიტოვეთ ცხოვრების გზაზე
და, ჰა, მესამე მონაკვეთზე მივდივართ დიად...

არ გაგვივლია ეს ცხოვრება მარტოდენ ფრენით,
მოვკვდებით, მაგრამ ჩვენი მაინც იცოცხლებს გენი!

**მოსკოვი**
**12. 10.97.**

* * *

**დოდო ნარმანიას**

მოვდივართ ერთად ოცდაშვიდი წელია უკვე,
სულის სიმები და გულისთქმა ერთმანეთს ვანდეთ...
სველი თვალებით მოვიხედავთ ხანდახან უკან
და სიო არხევს, ფოთოლცვენის, სევდიან ლანდებს!..

მოვდივართ ერთად და სიცოცხლით ჯერ არ ვგრძნობთ დაღლას,
თუმცა ჭაღარა მოგვეძალა ორივეს თმაში...
მოვდივართ ერთად, ჩვენი შემწე ღმერთია მაღლა,
მოვდივართ ერთად და ცხოვრებას არ ვრჩებით ვალში!

მოვდივართ, ისევ ვეფერებით - სალოცავ ხატებს,
მათი ბავშვობის შორეული ქღურტული გვესმის!
ო, ეს დღეები ბედნიერი სიცოცხლეს გვმატებს
და მაისის ცის სილაჟვარდე თვალებით შევსვით...

მზე ჩადის ნელა და გრძელდება ჩრდილები მწუხრის...
ნუ გეშინია, კიდევ დიდხანს გაგვიძლებს მუხლი!

**ბათუმი**
**14.10.93.**

* * *

**დავით აღმაშენებელს**

შენ, ჯერაც ჭაბუკს უმძიმესი გვირგვინი გედგა
და მამულის ხსნის გაიხადე თავი მოვალედ!..
უთვალავ ლაშქარს, შეუტიე, დიდგორთან მედგრად
და გახდი მეფე - სიდიადით სწორუპოვარი!

ალაგმე მტერი, როგორც შიდა, ისე გარეშეც
ბევრჯერ დალეწე ბრძოლის ველზე ხმალი ვადამდე...
ვერ აიტანე სამშობლოში მტრების თარეში,
განავრცე ბჭენი - ნიკოფსიით - დარუბანდამდე.

ვუცქერ შენს სახეს, ცის სიღრმეში, შუქად შეფენილს,
გაოცებული ვრჩებით შენი ნამოქმედარით!..
რა შორსმჭვრეტელი ბრძენი იყავ, მეფეთ მეფეო,
და ბრძოლის ველზე აქილევსის სწორი მხედარი!

რომ ასეთ დღეში დაგვენახეთ, სულო ძლიერო!
ქვეყნის მესვეურთ მიაგებდი სამაგიეროს!

**მოსკოვი**
**29. 10. 93.**

* * *

გიკრთის ტუჩები - სველი, როგორც კოკორი ვარდის,
ორი ცისფერი ტბიდან ეს რა სინაზე მოდის?!
მე შენს ხატებას, მერი, მაინც ვერაფერს ვადრი,
რაა ვარსკვლავი, ანდა ატმის ფითქინა ტოტი?!

ვერ შეგედრება ცისკარი, ვერც ყვავილი ნუშის
და ვერც ფოთლებში მთრთოლი სიო, - მაისის დილის!
ყველა ფარული ძაფით შენ ჩამექსოვე გულში,
ასე საოცრად სათნო, ასე საოცრად თბილი!

შეღამდება და ღელვით, მთვარის ხავერდზე დავალთ,
ციდან ვარსკვლავთა ფერი როგორ ილვრება წყალში,
ამ სამზეოდან, ვიცი, რომ ყველაფერი წავა,
მაგრამ სიყვარულს ჩვენსას, ჟამი ვერასდროს წაშლის!..

ორი მდინარე, სულის ღელვით ერთმანეთს ერთვის,
რომ შემახვედრა შენთან, მადლობელი ვარ ღმერთის.

**ბათუმი**
**28.06.95.**

* * *

Ისევ შინდისფრად შეიღება აღმოსავლეთი,
ვდგავარ ბექობზე და უეცრად ავტირდი, რაზე?
ნიავის ფრთებზე ირხეოდა მიწის ხავერდი,
დიდხანს ვუცქერდი, მეგობარო, ამ სილამაზეს!

ენთო სიცოცხლე მოზღვავებულ ყვავილთა ჩქერში,
მიირხეოდა ლაქვარდისკენ სილურჯე მთების...
ხსოვნა ბავშვობის ილვიძებდა საოცრად ჩემში
და მიარღვევდა სიშორეებს... ფიქრები ფრთებით!..

წამებად მექცა მოგონება, გარდასულ დღეთა,
ასე ძალუმად, ო, ეს გული, ნეტავ რად ხვნეშის?
ხსოვნის სიღრმეში შორეული დღეები ფეთქავს
და მიირხევა ცის თავანზე - ღრუბელი მრეში...

ჩემი ბავშვობის ოქროს ხანა, ნაპირებს გასცდა
და ხსოვნის ფონზე, ულმობელმა, შემიპყრო განცდამ!

**ბანძა**
**27.04.97.**

* * *

ო, ეს შენი გზა, სულო, ცისკენ მიემართება,
რადგანაც უკვე მიწიერი გზები დახურე!
შენ, სიშორიდან, მთიებივით იწყებ ნათებას,
აქ, მიწას ისევ, სევდიანი მთვარე დაჰყურებს!..

ჟამის ქარ-წვიმა, მაგ ნაკვალევს, ვერასდროს წაშლის,
რადგან ამ ქვეყნად, შენ ნათელი გზებით იარე!..
ამაოება ვერ შეგბედავს ჩაგიდგეს კვალში,
რამდენიც უნდა უგზო-უკვლოდ იხეტიალოს!..

ცხოვრებამ ბევრჯერ მოაზღვავა, ურჩი ჩრდილები,
რა ვუყოთ, გულმა, თუ წამისად შეწყვიტა ძგერა?!
დღეიდან უკვე სხვა სისტემას ემორჩილები
და არხევ, სულო, სიშორიდან ყვავილებს ფერადს!

ამიერიდან ცის და მიწის მშვენებად იქეც,
მე შენზე უკვე ლამის არის გადავყვე ფიქრებს!..

**მოსკოვი**
**10. 08.97.**

* * *

**ზურაბ ანჯაფარიძის ხსოვნას!**

იდგა სივრცეში ვარდფურცლობის უხვი შრიალი
და ილვრებოდა ცის სიღრმიდან შუქთა ფანტელი!
შენ კი იდექი, ბებერ ვერხვთან სახენათელი
და ზღვა ფოთლებში, ჩურჩულებდა - ღამის ნიავი..

ხმით საოცარით, აედევნე ცისფერ ხეივანს
და მიცურავდა მთვარე ცაზე სახემწყაზარი!..
თითქოს მიქროდი რაშით ველზე მულღანზანზარის,
თვრებოდა შენი ხმის ხავერდით ცა მოზეიმე...

მოედო ტემბრი, ჯადოსნური ცასა და ხმელეთს,
არხევდა სივრცე, ნარინჯისფერ მთვარის ოლარებს...
ფეთქავდა ყელი ანგელოზთა ნაამბორალი
და ვარსკვლავები აღტაცებით გაღვრიდნენ ფერებს!..

მოვედი ბაღში, ფოთოლცვენის იდგა რიალი
და შენს საფლავთან - ცა გალობდა, თვალცრემლიანი!..

**თბილისი**
**08.10.97.**

* * *

**თამარ დედოფალს**

შენ ბასიანიც გეყოფოდა, სხვა რომ არ იყოს,
სათაყვანებლად, საქართველოს დიდო დედაო!
უკვდავებისგან დრო ვერასდროს ვეღარ გარიყავს,
შენს სიდიადეს, ის რამდენიც უნდა ედაოს!..

ჩვენს ღრმა ქართულ ცას, ათრობს ხსოვნა - შენი თვალების,
ო, ეს რა მძლავრად შეარხიე, ტრფობის სიმები!.
სამშობლოს ბჭენი შენ გახადე მიუკარები
და დღესაც გვათოვს სიშორიდან შუქი იმედის!..

ჩვენ ამ მიწაზე შენს საფლავს რად ვეძებთ, რჩეულო,
როდესაც ერის გულში ჰპოვე განსასვენები!..
რამსიშორიდან მოდის ახლა, ხმა უჩვეულო
და თაობები ამაყობენ შენი ხსენებით!..

შენისთანები, მამულს თუკი მოევლინება,
ის სამზეოზე არასოდეს, შეწყვეტს დინებას!..

**თბილისი**
**29. 05.02.**

* * *

ო, ამ წყაროსთან, ხელმეორედ ვერასდროს მოხვალ,
ვერც გაზაფხულზე, ატმის რტოებს მოეფერები!
მე კი უშენოდ, აქ რამდენჯერ, აღმომხვდა ოხვრა,
რას ჩურჩულებენ სევდიანად, მინდვრის ფერები?!

წლებმა უეცრად ჩაიქროლეს... მე მარტოსული
შემოვრჩი მინდვრებს და ცრემლები აღარ მშორდება!..
შუქი ირხევა სიშორიდან ციდან გადმოსული,
გული ვერ უძლებს, უსაშველო ღელვის მოდებას.

ვინ მოიგონებს, გარდასულის იდუმალებას,
მშვიდობით აწი, ო, დღეებო დაუვიწყარო...
მზე ბევრჯერ მოვა ამ წყაროსთან ოქროს თვალება
და ჩვენს ნატერფალს შემოქარგავს ფერით ცინცხალით!..

სულო, რას უცდი შეარხიე ხსოვნის ზონარი!
შენ, ხომ ამ ქვეყნად ბევრი რამ გაქვს მოსაგონარი!..

**ბანძა**
**14. 10. 02.**

* * *

**„კლდევ ბუნდოვანო, შენს ბილიკად მიმოვდიოდი...“**
**ნ. ბარათაშვილი**

აქ, მტკვრის ნაპირზე, შლიდი ფიქრთა - ცისფერ იალქანს
და შენი სული, შეღამების არღვევდა დუმილს..
მაგ გულის სევდას, შორს ატანდი, მწუხრის ნიავქარს
და იდგა ირგვლივ საოცრება... ნაზი და ჩუმი!

მიირწეოდნენ ბილიკებზე, ნისლები მკრთალი,
შორს ინთქმებოდა, ტყის სიღრმეში, ხმები ფრთოსნების...
და ლოცულობდა ქნარით ხელში, მთაწმინდის მთვარე,
გალობდა ცაში, თეთრი ქორო - ანგელოზების!..

კლდეებს ბუნდოვანს იდუმალი ცრემლი სდიოდა,
ლურჯი სიჩუმე, როგორც ტივი, წვებოდა მტკვარზე..
შენ კი სევდიან ბილიკებზე მიმოდიოდი
საკაცობრიო ტკივილებით და ღელვით სავსე!..

შენს მერანს სულაც აღარ უჭირს მხედრის ტარება,
ქროლვაში ხედავს ცხოვრების აზრს და ნეტარებას!

**თბილისი**
**17.10.02.**

* * *

**შოთა რუსთაველს**

დგახარ მწვერვალზე უმაღლესზე, პოეტო, ქნარით
და შენი სული ვესპერივით ანათებს, იწვის!..
ო, პოეტური მეტყველების ხარ ჯადოქარი,
დაუშრეტელი ოკეანე - დიადი სიბრძნის!..

შენ გადმოენთე სიშორიდან, შუქით ულევით
და უსახსოვრე, სიყვარულის პოემა მერმისს!..
ათრობ თაობებს, პოეტური თაიგულებით,
შენს სიდიადეს, სამზეოზე უარყოფს ვერვინ!

ცხოვრების სიღრმეს, შენსავით ხომ ვერავინ სწვდება
და საიდუმლო, შენზე უფრო არავინ იცის!
მიდის საწუთრო და მიგორავს ზვირთების წყება
და კვლავ ახალი მწვერვალები დიდების გიცდის..

თუ სამყაროში ყველა ვარსკვლავს მიეძინება,
ეგ შენი ლექსი, მაშინაც არ შეწყვეტს დინებას..

**თბილისი**
**22.10.02.**

* * *

**„კეთილი გულით მიძღვნილი მცირედიც შეიწირების“**
**შოთა რუსთაველი**

მე შენს სიყვარულს ქვეყნად განა ვინმე მაძალებს?
და მაინც სულში, გამძაფრებით რეკავს სანთური!..
შენა ხარ ჩემი, ღვთაებრივი დიდი ტაძარი
და ჩემი ჩქარი მატარებლის - ბოლო სადგური.

მოვდივარ შენთან, საჩუქარი მომაქვს მცირედი,
რომელშიც ღელვით ჩავაქსოვე სულში ნადები!..
აღარ დამძრახავ, ამის ნაღდად მრჩება იმედი,
რომ ვერ აგივსე, სივრცე, ლექსთა გამთიადებით!

მე შენს მუხლებთან ჩავიმუხლებ, ძვირფასო, რიდით,
გულით ნათელით და ტკივილით დაუცხრომელით!..
შენა ხარ ჩემი, სიყვარული... საოცრად დიდი
და ჩამოღვრილი სიშორიდან შუქი ცხოველი!..

დღემდე ვინახავ შენს სიყვარულს, სულში განძივით
და მას ვერასდროს ვერ ჩააქრობს - დრო და მანძილი!..

**თბილისი**
**24.10.02.**

* * *

აქ ხელმეორედ რომ მოვიდე ათას წლის შემდეგ,
კვლავ შემოვაღებ სიყვარულით მე შენს კარიბჭეს...
ამ ჩემს გულისთქმას, საყვარელო, ბოლომდე ენდე,
რომ უშენობა მოურჩენელ ტკივილს მანიჭებს!

ავედევნები ბავშვურ თრთოლვით ცისფერ ხეივნებს
და მზე მომიქსოვს გაზაფხულის ფერად მანტიას!
ისევ ოცნებით გამიტაცებს ცა მოზეიმე
და შემომხვდება ქარი მინდვრის - ჩემი ნათლია.

ოქროსფერ კვიცით გავიქროლებ ისევ ჭალისკენ
და იმ შორეულ ნაფეხურებს ვეამბორები!..
კვლავაც დავიდგამ დაწნულ გვირგვინს თავზე ჩალისფერს
და ჩამიხუტებს აბაშის წყლის ლურჯი მორევი

ეს შენგან მოდის ჩემი გრძნობა, ჩემი გონება,
დარჩეს ეს ლექსი - ჩვენი ტრფობის მოსაგონებლად..

**ბანძა**
**09. 11. 02.**

* * *

**იოსებ სტალინს**
**„ის კაცი იყო, ვით შეჰფერის კაცსა კაცობა!“**
**შექსპირი**

მიწიდან კაცი ევერესტად წამოიმართე,
შენს სიდიადეს და გენიას, როგორც შეჰფერის...
დგახარ ამაყად კოსმოსური დიდი სინათლე,
ცოტაა შენთვის ეს პლანეტა - მიწა ბებერი!

შენი ბადალი ისტორიას არ ახსოვს ჯერაც,
არც მომავალში, ვიცი, რომ არ ემახსოვრება!
განა უბრალოდ გიწოდებდნენ შენ ხალხთა ბელადს?
ებრძოდი ბნელეთს, დასამხობად მთელი ცხოვრება..

ყველა ბოროტი, რომ შეიკრას ერთ დიდ სხეულად,
ო, მირიადი შხამიანი სულით მსტოვარით...
შენ იდგომები ამ ზეცის ქვეშ გამორჩეულად,
შენი ღირსებით და სიმაღლით სწორუპოვარი!

მთელი ბნელეთი, რომ აზვირთდეს ძალით მგრეველით,
დარჩები მარად ჟამთა დენით დაუძლეველი!

**მოსკოვი**
**08. 05.03.**

* * *

**ალექსანდრ პუშკინს**

შენდა შებმოდი მეფის კარზე, დაგეშილ ბოკვერს,
შავი მდინარის პირას იდექ - სიკვდილის კართან!..
არავინ იყო შენი მხსნელი, რომ ითქვას მოკლედ,
არავინ იყო, ერთადერთი დამბაჩის გარდა.

გეჩქარებოდა უსაშველოდ, ბრძოლაში ჩაბმა,
შენ არ იცოდი, თუ რა იყო ამ ქვეყნად შიში!
და ეს სოფელი, რომ ბოლომდე არ გასმევს შარბათს,
კარგად იცოდი! - პასუხობდი მიგების ნიშნით..

ორთაბრძოლაში, შეუპოვრად შეები ბოროტს
და ბრძოლის ველზე, შენ დაცემა არჩიე სირცხვილს!
შენ დამბაჩამაც გიღალატა უთუოდ ბოლოს,
რომელიც დარჩა საიდუმლოდ შორეულ რიცხვის

დაეცი, მაგრამ სული გაჰყვა დინებას აღმა
და ვარსკვლავების შეერია საოცარ ბაღნარს!..

**მოსკოვი**
**06. 06. 03.**

* * *

**„ყოფნა - არყოფნა?! - საკითხავი აი ეს არის!“**

**უილიამ შექსპირი**

იდგა მიწაზე, საუკუნის სუსხი მძვინვარე...
შენმა გენიამ მიიჩნია თავი მოვალედ,
სულის ხლართებში შეჭრილ იყო ის უწინარეს,
ვით პოეტი და ტრაგიკოსი სწორუპოვარი!

და შესძელ კალმით, კაცმა თითქმის შეუძლებელი,
თუკი ცხოვრება გარეგნულად ჰგავდა სახატეს!
ააცახცახე ცოდვით სავსე მიწა ბებერი
და ბოროტებას საუკუნოდ ფარდა ახადე..

შენ გაარღვიე, გაუვლელი გზა სახიფათო,
სად ღამე იდგა კუნაპეტი, არსად ნათელი!
მიაყურადე, სულს ვარდების სინაზით ნათრობს
და რიჩარდების სივერაგით - სივრცეს გათელილს...

ამაოდ უტევს შენს სიმაღლეს, ფრთები დემონის,
სერავ სივრცეებს, უსამანოს - გედი ევონის!..

**მოსკოვი**
**01. 08.03.**

* * *

**„ვით სპარტანელი ფარს დაყრდნობილი**
**ამაყად ვდგავარ!..“**
**ჯორჯ ბაირონი**

**„ის ღმერთების ტოლია და ქუხილის ნაქადი,**
**მას შერჩება გლორია, ჩვენ კი ცრემლის ნაკადი...“**
**გოეთე**

შენს დიდ გენიას ვერ იტევდა ბებერი მიწა,
სულით - ხორცამდე პოეზიის ცეცხლში იწვოდი..
პლანეტის მკერდზე ღამის შავი ვეშაპი იწვა,
უკან დახევა, თუ რა იყო, აღარ იცოდი!

კაცი სამშობლოს აუჯანყდი ყალბს, ხავსმოდებულს
და ყრუ კედლების შენ ერთბაშად სცადე განგრევა!..
ებრძოდი მედგრად ამ სამყაროს - გაბოროტებულს,
რომ ის გექცია კართაგენის პირქუშ ნანგრევად..

გადაიქროლე შენ სიმღერით „ჩაილდ ჰაროლდის“
ზღვა და ხმელეთი... შემართება გასცდა მოლოდინს.
თავისუფლებას მხოლოდ შენკენ მოუხაროდა
და მისთვის ბრძოლას, შეეწირე კიდეც ბოლომდის!..

იდექ და ალპებს ახეთქებდი, მსოფლიო სევდას
და რას დაგაკლებს ჟამი ურჩი - კოსმოსურ მხედარს?!

**მოსკოვი**
**12. 08. 03.**

* * *

**მთები თავჩაჩქნიანები ფიქრს მისცემიან მწარესა!.“**
**ვაჟა-ფშაველა**
**„არავინ არ იმსახურებს იწოდებოდეს შემოქმედად,**
**გარდა ღმერთისა და პოეტისა.“**
**/იტალიური სიბრძნე/**

შენ, დიდ პოეტს და ბუნების ღრმა მესაიდუმლეს,
მამულის წყლული ეკალივით გულზე გეყარა...
და მოგძახოდა შორეული ხმა იდუმალი,
სულით-ხორცამდე გაძარცვული იყო ქვეყანა!

ბორგავდა მიწა, ვით დაჭრილი არწივი ველად,
რომ ფრთებს მიითრევს ყვავ-ყორნებთან დაღლილი ბრძოლით
შურისძიების სისხლი ხეთქავს ულმობლად ვენას,
რომ ცა დაიმსხვრა - დავითის და თამარის დროის!

შენ გადაფურცლე ჟამი ოდით გადუფურცლავი
და გააცოცხლე რაინდული სული ყოფილი...
მამულს ზვერავდა ათასობით თვალი მუცალის
და შენ იდექი, ვით ალუდა ფარს დაყრდნობილი!

შენისთანების მოსვლა ღმერთმა თუკი ინება,
იგი არასდროს არ მორჩილებს - დროის დინებას!

**მოსკოვი**
**17.08.03.**

* * *

**შენ სივრცეებმა დაგაბინადრეს,**
**შენ უკვდავების ხარ ბინადარი...“**
**გალაკტიონი**

შენ პოეზიის დიდ მეუფეს ხელთ გეპყრა ქნარი,
შეუდარები და ტკივილით ცეცხლმოდებული...
შორს კი გედივით მიცურავდა მთაწმინდის მთვარე
და მოგძახოდა პოეტების მეფედ წოდებულს!

იყო მსოფლიო შეპყრობილი ციებ-ცხელებით,
არ ჰქონდა ზღვარი, შენს საოცარ ხილვა-ზმანებას!
იძვროდა სივრცე, შმაგი ქროლვით ლურჯა ცხენების
და შორს გრაალის, იმსხვრეოდნენ რეკვით ზარები!..

ჟამს გაეშალა უდაბური რუხი ფაფარი,
ამირანივით მიჯაჭვული მწარედ გმინავდი!..
ქარს ჰქონდა ბინა, შენ არ გქონდა თავშესაფარი;

იცრემლებოდნენ: ბეთანია, ვაზი წინანდლის...
შენ სივრცეებმა საუკუნოდ დაგაბინადრეს
და უკვდავების სამუდამოდ ხარ ბინადარი!..

**მოსკოვი**
**20.08.03.**

* * *

**„მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინია“.**
**გალაკტიონ ტაბიძე**

შენისთანები იშვიათად მოევლინება, -
ამ ჩვენს პლანეტას... განაწამებს ტერფით - თხემამდე!
ქართულ მიწაზე შენი მოსვლა ღმერთმა ინება
და სული ჟამით გაყინული გაათხევადე...

ო, სულის ქროლვით გაცოცხლება ერის იწამე,
უმღერდი მამულს - მრავალტანჯულს, გედი მთაწმინდის!
და თაობები თავს გიხრიან უკვე მიწამდე,
რადგან ამ ქვეყნად, ვარსკვლავეთის შუქად გაწვიმდი!..

მოხვედი კაცი - პოეზიის ფერიცვალებად
და შენი ღელვა ოკეანის ძალით აზვირთდა...
გადაიტანე ყველა სახის ტანჯვა, წვალება
და სული ერის სიყვარულით ცამდე აზიდე!..

ო, ეს მსოფლიო ხან ბრძენია, ხან შეშლილია!
შენ არც წარსულის, არც მომავლის არ გეშინია!

**მოსკოვი**
**21. 08.03.**

* * *

**ჩემს შვილიშვილს - პატარა არტიომს!**

ჩემო არტიომ! პატარა ხარ ჯერ კიდევ, ბიჭო
და როგორ მიკვირს, შენ ამდენი საიდან იცი?
უთუოდ მჯერა დაბადებით დაყოლილ ნიჭის,
ცაზედაც კი ვგრძნობ შენი ბედის ვარსკვლავთა ციმციმს!.

შედიხარ ბაღში...ფერთა თამაშს ბოლო არ უჩანს!..
გიყვარს მინდორი, დაფარული ქათიბით რბილით...
გიცქერ ჩამუხლულს, ანგელოზო, ყვავილთა ბუჩქთან
და სილამაზე გეზიდება თვალებით თბილით!..

მე მზის ემბაზში ამოვლებულ ანგელოზს გხედავ
და ჩემს ოცნებას მოქათქათე ესხმება ფრთები...
ციცინათელა მაგ თვალებში ურიცხვი ფეთქავს
და ჩვენ კი შენი სილამაზით, პატარავ, ვთვრებით.

იდინე დროო და სიცოცხლის არხიე ტოტი!..
უმღერე ჩანგო, სიყვარულის საოცარ მოტივს!..

**მოსკოვი**
**25. 08.03.**

* * *

შენ მეოცნებე რომანტიკოსს მეძახდი, გოგო,
რომ გულში მენთო რწმენის ცეცხლი დაუცხრომელი...
მზე აღვიძებდა ათასობით ოქროსფერ კოკორს
და ვივსებოდით ვარდფურცლობის შუქით ცხოველით!..

როგორ მჯეროდა იდუმალის, შეუცნობელის,
იქით მიქროდა ფრთებგაშლილი ჩემი თეთრონი.
დღეს ვდგავარ უხმოდ, სიშორიდან არას მოველი,
შემოზღუდული მხოლოდ ჟამის რუხი ბეტონით!..

ჩემი ცხოვრების გავიარე ვრცელი მინდორი,
დროს სურს ჩამიქროს რწმენის თითქმის ყველა ნათურა.
გავხდი მხილველი ო, რამდენი უამინდობის,
და შხამიც მასვეს უმოწყალოდ... მუხანათურად!

ახლა, რაღა ვარ? - კაცი მარტო მოხეტიალე
და ჩემს გარშემო კარუსელი ჟამის ტრიალებს!

**მოსკოვი**
**04.09.03.**

* * *

**თამარ გვერდწითელს**

შენ მღერი, ისევ ცისფერ სართულს მისდევს სართული
და მაგ თვალებში ჩვენი ზეცის შუქი ირწევა..
იმღერე, თამარ, გადმოღვარე გრძნობა ქართული,
თუ არ იმღერე, სული ნაღდად გადაიწვება!

ო, რა ძლიერად ფეთქავს ჩვენი მიწის ალმური,
რწმენას მომავლის სულის ქროლვა ესხივოსნება!
თამთამებს ღამე, როგორც ტანი სიასამურის
და სიშორეში სასოებით ფრთებს შლის ოცნება!..

სივრცე, შენი ხმის საოცრებას ნაზიარები,
რა ჯადოსნური სილამაზით ირხევა, ფეთქავს...
შორს, ცის სიღრმიდან წკრიალებენ ოქროს ზარები,
ანგელოზები ფრთებფარფატით მოდიან შენთან!

და ქრუანტელად სულს ედება შენი ხმის ექო,
თუ გაზაფხულის შუქით სავსე მზე ათოვს ბექობს...

**მოსკოვი**
**06. 11. 03.**

* * *

ო, ამ დილით, ვენერა, რა საოცრად ციმციმებს...
ცაზე ვერსად ვერ ვხედავ, უკვე ღრუბლის ნატამალს,
შენზე ფიქრით, ძვირფასო, სევდას ველარ ვიცილებ,
ნუთუ შევძლებ უშენოდ, ამდენ ღელვის ატანას?!

მომსდევს განახელები, რისხვით შავი სატანა,
მივდივარ და ჟამს ისევ, მკაცრად ვეკამათები..
თუკი დამრჩა სავალი, ალბათ ძალზე პატარა, -
მაგრამ მავსებ ბედგამწყრალს, უჩვეულო ნათებით!..

გზებით იდუმალების ჟამმა ბევრი მატარა,
თუმცა ცეცხლი მგზნებარე გულში ისევ მინთია!..
ისევ მომსდევს ჯიუტად ჟამის შავი სატანა
და დღეები თავნება, სადღაც ქროლვით მიდიან!..

რადგან ბევრჯერ შემასვი, შუქი ცისკრის ცინცხალი,
წავალ, მაგრამ დარჩება გზები დაუვიწყარი!..

**მოსკოვი**
**07.10.04**

* * *

ვდგავარ მუხასთან გაუძარცვავთ, რომელიც ქარებს
და მწუხარების მოზღვავებას არ უჩანს ბოლო!..
მაგ დაკორძილ ტანს მინდა ისევ რომ ვეამბორო
და სიშორიდან ნაღვლიანი დამცქერის მთვარე..

მოდის ზამთარი მოაგელვებს ღრუბლების რემას,
მაგრამ არ იცი, თუ რა არის შიში და კრთომა!
ტოტები ისე შეგიმართავს, ვით ანძა ხომალდს,
ვერ დაგაბერა ვერც მუქარამ, ვერც შემოტევამ...

შენ ხარ უბადლო მაგალითი შეუპოვრობის,
დღეში ათასი ქარიშხალი მოვარდეს თუნდაც...
დგახარ ბექობზე, შემართული, საომრად მუდამ
და ამ ბრძოლაში დაილია - შენი ცხოვრება!

დრო კივის, მაგრამ რას დაგაკლებს ავდრის მოსევით,
მოვა აპრილი, ხელმეორედ შეიმოსები...

**ბანძა**
**30. 10.04.**

* * *

ომ სევდიან დღეს, ჭაბუკობის ვიხსენებ ისევ,
როცა დავტოვე მშობლიური ეზო და შუკა!
მიირწეოდა სოფლის თავზე პატარა ნისლი
და მოვიხედე ცრემლიანმა რამდენჯერ უკან...

შორს დამრჩა უკვე, საოცნებო აბაშის ჭალა
და ჩემი ვერხვი, რომ შრიალით ავსებდა სივრცეს...
სოფლის ბილიკი ეჰ, რამდენჯერ ვარჩიე ქალაქს
და ახლაც მძაფრი მონატრება იქითკენ მიწვევს!

ამაოდ ვუხმობ, სიშორეში დღეებს გაფრენილს,
ბალახი მინდვრის, მამულისკენ მიხმობს ცვრიანი...
ეს არის ჩემი სატკივარი, - სხვა არაფერი, -
რომ ტრამალებში ვხეტიალობ თვალცრემლიანი!..

დრო მიბარბაცებს... ვიგრძენ გულზე ცეცხლის მოდება,
ნუთუ ის ჟამი არასოდეს განმეორდება?!

**მოსკოვი**
**10. 11. 04.**

* * *

**მწერალ ევგენ აქუბარდიას**

დღეების რიალს, ო, რა ცხარე ცრემლებით ნამავ!..
დაკარგე პირმშო, - ერთადერთი იმედი ომში!
და დახვალ სიმწრით გათანგული, ჯვარცმული მამა,
დაიმსხვრა შენი შუქნათოვი - იმედის კოშკი.

ბედის სიურჩეს ამხედრებულს ვერაფერს შველი,
აქ, ბოროტებას, ფრთების გაშლას არავინ უშლის!
შენ მომავლიდან, ახლა უკვე არავის ელი,
სიცარიელე უდაბური, შემოგრჩა სულში!..

ვინ გაგიფანტავს ფიქრით დაღლილს მძიმე კაეშანს?!
და უკვე ზღვარი აღარა აქვს ამაო ლოდინს!..
მოულოდნელად ო, რა მრუმე ფარდა დაეშვა
და ჟამმა გულზე ვეებერთელა დაგკიდა ლოდი!..

ვინ გაექცევა სამზეოზე ბედის განაჩენს?!
დრო მუდამ ბრმაა კეთილსა და ბოროტს ვერ არჩევს!

**23. 08.05.**

**თბილისი**

* * *

ქარი მიაფრენს ცის თავანზე ღრუბლის ქარავანს,
ვდგავარ წყლის პირას სევდიანი, სივრცეს გავცქერი!..
ზის რტოზე ჩიტი, იცრემლება დაუფარავად,
რომ სხივებს გზავნის ულიმღამოდ მზე ალმაცერი!

გადაუხუნდა ტყეს და მინდვრებს ლურჯი ხავერდი,
შეხედე, ყველგან შემოდგომის ქარი თარეშობს!..
ო, ტყეო, მითხარ, ასე ულვთოდ რამ დაგაბერა.
და საით მიაქვს ქარს ფოთლები უანგარიშოდ?!

ფერიცვალებას ეწირება მსხვერპლი რამდენი,
საით გაფრინდი, გაზაფხულის ცელქო ნიავო?
ო, ვხედავ რამდენ სილამაზეს ფეხქვეშ გათელილს,
დრო რეკავს ზარებს, რომ სიცოცხლე გაანიავოს!

ის უძლურია, ვინც მორჩილებს ბედის განაჩენს,
დროს შეუტიე, იქნებ ხსოვნა მაინც გადარჩეს!

**მოსკოვი**
**09. 11.05.**

* * *

სიზმარში ვნახე, ლოცვად იდგა თამარი გელათს
და ირხეოდა სანთლის შუქზე სული დიადი...
სივრცე კვლავ შლიდა გაზაფხულის იალქნებს ფერადს
და ილვრებოდა სიშორიდან ხმა განთიადის!..

მთებს გაეშალა ბუმბერაზი მხრები ამაყად,
ცა ვარსკვლავების სილამაზით იყო მდუმარი!..
იქნებ ამ სიზმრის გაგრძელება ვნახო ამაღამ,
შორს, მიარხევდა ცის სამანებს ხმა იდუმალი!..

იხედებოდა ლურჯ ფანჯრიდან, მთვარე მწყაზარი
და მზის შადრევნით, თრთოდა უხმოდ, ზეცის თავანი!..
თეთრ ფრთებს არხევდა საქართველო უზარმაზარი
და სანთლის შუქზე ლოცულობდა დედა თამარი!..

ო, ეს სიზმარი ვინმემ კიდეც ამიხსნას იქნებ,
გამეღვიძა და ლამის არის, გადავყვე ფიქრებს!..

**მოსკოვი**
**27. 11. 05.**

* * *

შიმართულებას კვლავ იცვლიან, ო, ეს ქარები,
უსმინე, შორით ისევ ისმის მსხვრევა ზარების.
ცას ტყვიასავით დაეკიდა ღრუბლის ძაძები
და ნაპირისკენ ზვირთი ზვირთზე მიექანება!

საით მიდიან ხომალდები, ამ უღრან ღამით,
თუ გაგიმეტა ბედისწერამ, ვერაფერს იზამ!
ვერავინ გშველის, თუკი ერთხელ აცდები მიზანს
და მოგაწყდება უთავბოლოდ, ზმანება, ავი!..

ბობოქრობს სივრცე, ვინ ამოდებს ქარიშხალს ალვირს?
ო, არსად მოჩანს, ამ ბნელ ღამით ორიენტირი!
და ეს რამდენი ელვა ფეთქავს ცაზე დენთივით,
თუ გადაგარჩენს ნებისყოფა და ალღო ნაღდი!

ფრთხილად, როდესაც, კაპიტანო, ღელვაა დიდი,
თორემ ყველა გზა, ოკეანის ფსკერისკენ მიდის!

**მოსკოვი**
**05. 12.05.**

* * *

არ ვიცი ბედი, რად არ გვწყალობს გაჩენის დღიდან,
ერთი მითხარი, აქ სად არის გონი მაღალი?!
ამგვარი ყოფით ქვეყანაზე მოსვლა არც ღირდა,
თუ გავხდებოდით, დემონებთან, ჩვენ წილნაყარი..

დავიწყეთ ბრძოლა ერთმანეთთან: ქვებით, ბოძალით,
სიკეთის გზები ბოროტებამ ერთობ დახურა.
ჩვენ ვართ ნაწილი მატერიის მარად მოძრავი
და ბედისწერამ შავი ფრთები გადაგვახურა!..

გავაპარტახეთ სამუდამოდ, მიწის სამოთხე,
სხვა პლანეტისკენ ახლა უკვე - გაჭრას ვაპირებთ.
ის რტო სიცოცხლის, სადაც ვზივართ, ლამის ჩამოტყდეს,
სიკეთის გზაზე ვერ იქნა, ვერ გავინაპირეთ!

აქ ყველაფერი რა ულმობლად იცვლის ბუნებას,
არა აქვს ფასი - არც სიყვარულს, არც ერთგულებას!

**მოსკოვი**
**24.04.06.**

* * *

არ დაელოდე - შენ სიკვდილის ზმორებით მოსვლას!
ილეწებოდნენ შემოდგომის ტოტები ქარში...
დილის მზემ, როცა ყვავილების შარბათი მოსვა,
შენ, სიშორეში გასაფრენად დარახტე რაში!..

არც კი ნაღვლობდი განშორებას! ხვდებოდი მშვიდად, -
ფერიცვალების უჩვეულო მოახლოებას.
ზღვას გასცქეროდი, სად ხომალდი იალქნებს შლიდა,
გულს უჩვეულო, იდუმალი სევდა მოება!..

შენ არ გვილია ქვეყანაზე, ბიჭო, ზოზინით,
არც იმის შიშით, რომ იქცევი მტვრად და ნაფოტად!
სიცოცხლის მშვილდი შემოგატყდა, ისე მოზიდე,
სული აზვირთდა და მიწაზე ტანი დაგორდა!

საზღვარს სიცოცხლის - რა უშიშრად გადააბიჯე -
დრო, ვერასოდეს დაივიწყებს მაგ შენს ნაბიჯებს!

**03. 05.06.**

**მოსკოვი**

* * *

როცა დაწყდება ძალწირები - პლანეტის ველის,
სივრცეს ღვარებად მოაწყდება სხივთა არავი...
ბიოსამყარო დაინგრევა ბოროტთა ხელით,
გახდება იგი უნაყოფო და შემზარავი!

ამ სამყაროში შეწყვეტს სუნთქვას ყველა უჯრედი,
ცის უფსკრულებში ჩაიშლება, მიწა გოდებით!..
ჩემო ოცნებავ, ფრთებს დაკეცავ და დამუნჯდები
და გაზაფხულის მოსვლას ვეღარ დაელოდები!

ვეღარ ვიშორებ, მეგობარო, პირქუშ ზმანებას,
თუმც ფიქრი ჩემი, ამ სატანჯველს ხშირად გაურბის.
და ბილიკები რუხი ფერფლით დაიფარება
კვლავ არასოდეს შეირხევა - ტოტი ალუბლის!

ო, ფრთხილად, თორემ, ვერ ავიცდენთ რისხვას ბუნების
და ყველაფერი დამთავრდება... უბედურებით!.

**მოსკოვი**
**15. 05.06.**

* * *

არავინ იცის, სამზეოზე ვის რა მოელის!
სად მიქანაობს ეს დემონი - ფრთების სავსავით?
ბედნიერება ვინ გახადა მიუწვდომელი,
მზე კვლავ ნისლებში ხეტიალობს - სევდა ნასვამი!.

გული ვით უძლებს, მეგობარო, ამდენ წამებას -
პლანეტას ცრემლით ვინ უსველებს ხშირად ჭაღარას?!
ამდენი ტანჯვით ლამის არის ენა დამებას.
ქვეყანა ცხოვრობს ნაშოვით და ნაყაჩაღარით!

წუთისოფელი ისევ ბრუნავს ხელით მსახვრალის -
არის წამება, ხოცვა-ჟლეტა დაუნდობელი!..
ამ ქვეყანაზე ვერ გავიგე რაა ახალი,
ბრძენის საფლავზე ცეკვავს ისევ მეფისტოფელი.

ხან ჩიტი გალობს, ხან მრისხანე ქარები ქრიან,
რასაც აქ ვხედავთ, ნუთუ ამას ცხოვრება ჰქვია?!

**მოსკოვი**
**25. 05.06.**

* * *

ჩემი ცხოვრების ჰორიზონტზე მზე მალე ჩავა
და ბილიკებზე ღამის ბინდებს ჩამოშლის იგი!..
მეხურა ქუდი, ჩემი ქვეყნის და არა ჩალმა,
მომირთმევია შენთვის ტრფობით... ლექსების წიგნი!

აქ ნახავ იმას - მე რაც ვპოვე და რაც ვიგრძენი,
გული კი ღელვით ანთებული ნიადაგ დამაქვს...
ვიდექ ამაყად, როგორც მუხა ფესვით ძირძველით,
ვერ განვერიდე თავგანწირვის სულიერ დრამას!

ჭეშმარიტების ულალატო ძმობილი ვიყავ,
ხან ზღვაზე ვქროდი, ხან მთებიდან ვრეკავდი ზარებს!.
არ ვიცი, ვინმეს იქნებ კიდეც მივაჩნდი ბრიყვად,
რომ თაყვანს ვცემდი სამშობლოს და ბუნების ძალებს!..

გული გრძნეული, მე ხომ შენი ტრფობით ავანთე
და მჯერა ჟამი ჩემზე ველარ გადინავარდებს!

**მოსკოვი**
**09. 06. 06.**

* * *

ოცნებასავით იყავ მუდამ მიუწვდომელი,
მახსოვს, აპრილი სიყვარულით ხელებს მიწვდიდა...
მზეო, აანთე ჩემს მამულში შუქი ცხოველი,
რომ ხელმეორედ წამოდგომა ვცადო მიწიდან!

შინდისფერ ღვინით ერთხელ კიდევ თასი ამივსეთ,
სიცოცხლე უკვე ირღვევა და მიდის ჩრდილებად...
ეს ცა და მიწა პოეზიით გავითავისე,
ყოველთა დამხობს სული აღარ ემორჩილება!

დიდხანს ვუსმენდი აღტაცებით, ბახს და ბეთხოვენს,
აჰა, საცაა მზე ჩავა და დაიბინდება...
მე გაზაფხულის დღეებს ცრემლით გამოვეთხოვე,
ამ საოცარი ქვეყნის შემქმნელს მარად დიდება!

მზე მიირხევა და ფერებში, სუნთქავს ტყე-ველი,
რჩება მუსიკა - ჟამთა ქროლვით დაუძლეველი!..

**მოსკოვი**
**12. 06.06.**

* * *

მე ბოტანიკურ ბაღში ვდგავარ აუზთან ახლოს,
შეხედე ერთი, ეს რამდენი ფერი რიალებს!
მზის სხივი - დილის, ეფინება, მოლურჯო მაღლობს
და დავცქერ თევზებს, წყლის სარკეში მოხეტიალეს...

რა სიყვარულით ეფერება სიცოცხლის ფეთქვას
მზე მოშრიალე, ოქროსფერი სხივთა ჩქერალით!..
აქ გაგაოცებს იდუმალი თამაში ფერთა
და გაზაფხულის სილამაზით ცა მომღერალი.

წყლულს უსაშველოს ეს სინაზე ნუთუ ვერ მომბანს,
საით მიცურავს ეს სამეფო თევზების წყება?
ო, რა საამოთ მეუფლება ფარული გრძნობა,
რაც სიყვარულით გამატანეს ბავშვობის წლებმა!..

იდინე დროო სიშორეში, შენ როგორც გაწყობს,
ოღონდ, უდროოდ ნუ გადისვრი, წარსულში აწმყოს!

**მოსკოვი**
**13. 06. 06.**

* * *

შეუძლებელი რად ამკიდე, ცხოვრებავ, ტვირთი?
ვერ იქნა, დღემდე ვერ გავსცილდი ჟამის კულისებს.
აქ ყველაფერი სიშორეში თავის გზით მიდის
და ჩვენც მივდივართ, მეგობარო, დასასრულისკენ!..

სიცოცხლე დროის ფუნქციაა, რეკავს საათი...
მოისურვებს და ჟამი უცებ გაქცევს ნანგრევად...
ისევ მივსტირი გაზაფხულის დღეებს სანატრელს,
რომელიც ტრფობით მისახსოვრა ჭაბუკს განგებამ!

დრო მიდის, ველარ დაიბრუნებ - დღეებს გაფრენილს,
სული კოსმოსში აცურდება ღრუბლის ტივივით..
რა დამრჩა, მხოლოდ დღეთა ხსოვნა, სხვა არაფერი
და ისიც ჩავა ჰორიზონტის მიღმა ტკივილით!..

მეც მოგალობე ფრინველივით, მოველ წამიერ,
სიცოცხლეს მაინც, მეგობარო, მრავალჟამიერ!..

**მოსკოვი**
**14. 06. 06.**

* * *

ამ ღრმა ჭრილობას დროის ქროლვა ვერასდროს მომბანს,
მე კვლავ ტკივილით დატვირთული სივრცეს ვედები...
რა არის ლექსი ? მოზღვავება აზრის და გრძნობის
და მიირხევა სიშორეში ფრთების ხეთქებით!

დავდივარ მარტო, ვერ ვიშორებ, ჭრილობის ხანძარს
და გული მკერდქვეშ შემართული, ბორგავს შეტევით!..
გრიგალმა ზღვაზე დამილეწა რამდენჯერ ანძა
და განწირული დასაღუპად დავეხეტები!..

ჩემმა ხომალდმა, ვერ იქნა ვერ გაინაპირა,
ვერ მოვიშორე კაცმა ბოლმა გულისმზარავი.
ეს ჩემი ღელვა მერამდენედ გასცდა ნაპირებს,
ხან ჩრდილოეთის ქარი სცემდა და ხან არავი!

მამულში მხოლოდ პოეზიით გავიდგი ფესვი!..
რაა პოეტის უკვდავება? - სიცოცხლე ლექსის!

**მოსკოვი**
**20. 06. 06.**

* * *

**ჯერ ხომ მცხეთის სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში**
**საქართველოს ცხელი გული ასვენია..**
**ლადო ასათიანი**

ოთხმოცდაათის შენ არასდროს იქნები ლადო,
წუხელ ჭადრებთან, რუსთაველზე, შევხვდი შენს აჩრდილს!
ლექსების ცეცხლის სიმხურვალით გრანიტსაც ადნობ,
ჭაბუკი წახველ და მარადის ჭაბუკად დარჩი..

გტკიოდა ყველა სატკივარი, მშობელი მიწის,
აანთე გული და ის ტრფობით ერთბაშად დაწვი...
სული გაფრინდა, შეუერთდა ვარსკვლავთა ციმციმს
და ცას, უმანკოს, დაუსველე ცრემლებით ღაწვი!

დგება ფერფლიდან ფენიქსივით შენი მამული,
სიცოცხლის გასწვრივ დარახტული თეთრონი მიქრის...
პლანეტას ბევრჯერ გადუქროლებს რისხვით სამუმი,
მაგრამ, ვერასდროს გაგიძარცვავს, ლექსების გვირგვინს!

შორს, ცის სიღრმიდან ისევ შენი თვალები ელავს
და ცისკრის შუქი ეფინება, მცხეთას და გელათს!..

**თბილისი**
**15. 01. 07.**

* * *

საიდან მოდის, ო, ამდენი ბოღმა და ზიზღი!
მოსვლისთანავე წაეტანე იარაღს ხარბად!
მთების კალთებზე ჩანჩქერებად ჩამოწვა სისხლი
და ტრიუკებით გადაღლილი ეშვები დაბლა..

სამემკვიდრეოდ გადმოგეცა, სამეფო ტახტი
და გაინაღდე სავარძელი - საოცრად რბილი!
შენ, ჩემი ერის სამუდამოდ მოძულე გახდი
და „დიდი მამის“, რა ერთგულად გაჰყევი ბილიკს!..

ვერც ხანები და ტამერლანი ვერაფერს გახდნენ,
მათი ყველა ცდა, პრეზიდენტო, ამაოდ დაშვრა.
შენ დღენიადაგ ჩამოგტირის ყვავივით სახე,
რომ ვერ შესძელი ჩემი ქვეყნის ნგრევა და დაშლა!

ძრავს დედამიწას: ბორგვა თერგის, მტკვრის და რიონის,
არვის უნახავს ქედმოხრილი კავკასიონი!

**მოსკოვი**
**14.05.07.**

* * *

შემომეცალნენ მეგობრები და რა ვარ ახლა?
არავინ იცის ეს ცხოვრება, როგორ ტრიალებს!
მიდის მდინარე, მიბობოქრობს, ტალღა ცვლის ტალღას
და გავხდი კაცი ქუჩა-ქუჩა მოხეტიალე..

მზეს გაზაფხულის ვეგებები ცრემლთა ფიორით,
გულს, მძიმედ დაჭრილს, არაფერი აღარ ახარებს!
მე არ მივლია სამზეოზე გზებით იოლით,
მხიბლავდა მუდამ ჩემი ქვეყნის ზეცა მაღალი!..

არ გადამიდგამს ვინმეს შიშით ერთი ნაბიჯიც,
ოღონდ მიწეწდა სულს ჭრილობა, დაუფარავი!
თუმც, რომ ეცადოს დრო ვერასდროს გადამაბიჯებს,
ვერც ჩრდილოეთის ქარი დამშლის და ვერც არავინ!

დასაბამიდან მზრდიდა მხოლოდ ნანა მეგრული,
მერე ვუტევდი დრო -ჟამს, როგორც ნაპირს ენგური!..

**მოსკოვი**
**29. 03. 09.**

* * *

ქარი არხევდა გაზაფხულზე, ლოლუებს ყინვის,
მზე მიცურავდა ნაზამთრალი, სვენებ-სვენებით...
ვაყურადებდით სიშორიდან ხოხბების ყივილს,
მოჰქონდა ნიავს, უჩვეულო სუნთქვა ველების!

თვალს ვადევნებდით უპერანგო ტალღების ლივლივს,
ველოდებოდით უკვე მოსვლას მინდვრის ფერების!
არ ჰქონდა ზომა ჩვენს სიხარულს, ძვირფასო ლილი,
რომ მოდიოდა გაზაფხული მოსაფერები!..

რა დრო გასულა, ო, მას შემდეგ და ხსოვნა თბილი
ლამაზად არხევს, იმ დღეების, იდუმალ ლანდებს...
ის ჩემთან არის და ვერასდროს დაფარავს ჩრდილი,
და ვერც ქარები ჩამიქრობენ - ამ ხსოვნის სანთელს!

წავიდა ის დრო და დაიმსხვრა, ოცნების კოშკი,
მაგრამ იმ ხსოვნას, ჟამი ურჩი, ვერასდროს მოშლის!

**მოსკოვი**
**30. 03. 09.**

* * *

შემოგვიტია მერამდენედ, სიკვდილმა ძლიერ
და შეათხელა უცნაურად რიგები ჩვენი!
მის შემოტევას - დაუნდობელს, ვერაფრით ვძლიე,
ო, რა მწარეა ბედისწერის ეს განაჩენი!

ხე ჩვენი ძმობის იძარცვება და ქარებს ველის
შორს, საღლაც იქით, დალეწილი ტოტები მიაქვთ!..
ადგილის დედას, ცრემლებით აქვს, თვალები სველი
და მისი ოხვრა, მინდორ-მინდორ, გადააქვს ნიავს!..

ვერც სანაპირო დაგვივიწყებს, ვერც ეს ქუჩები,
ვერც ეს აფრები, რომ ბობოქარ სივრცეში ქრიან...
მრისხანე ძალას, ვიცი, ველარ გადავურჩებით,
დარჩება ხსოვნა, რასაც ჩვენი ტკივილი ჰქვია..

ის დრო წავიდა, უკვე ყრმობის დღეები დაცხრა!
მაგრამ ჩვენს ძმობას, გაიხსენებს მეგრული ფაცხა..

**მოსკოვი**
**02. 04.09.**

* * *

ცეკვავდნენ წყალზე, უჩვეულოდ წვეთები წვიმის,
რასაც მე და შენ, აღტაცებით ვუცქერდით დიდხანს!
წრიულ ტალღების, იშლებოდა ზედიზედ მწკრივი,
ბუნების ო, ამ სილამაზემ რამდენი გვითხრა...

მე იმ დღეების მოგონება მათრობს სიამით,
წყლის პირას ხეთა, ირხეოდა ტოტები მწვანე...
და მინდორ-მინდორ ვარდფურცლობის ქროდა ნიავი,
მაგონდება და გული მტკივა, ძვირფასო, მწარედ!

დავუბრუნდებით ვერასოდეს იმ დღეთა ციმციმს
და ვერც წყაროს წყალს, იმ სინაზით, ვერასდროს მოვსვამთ!
იმ მდინარეში ხელმეორედ, ვერ შევალთ ვიცი,
თუნდაც, რომ შევძლოთ, ჩემო მერი, მეორედ მოსვლა!

ის სიხარული და ის ღელვა დინებას გაჰყვა,
მწარეა ხსოვნა, როგორც სულის და ხორცის გაჰყრა!

**მოსკოვი**
**03.04.09.**

* * *

**ხ**ან წვიმა მოდის და ხან თოვლის ფანტელი ხშირი,
კვლავ ერთმანეთთან შეუპოვრად ორი დრო დაობს...
დავდივართ ბაღში აქ - ბაბუა და შვილიშვილი
და გაზაფხულის მზე მოარღვევს ღრუბლების ქაოსს!..

მზე გამოჩნდება და ხეების ირწევა ჩრდილი,
მიდის ზამთარი და ის მაინც ნიადაგ ავობს!..
ხან წვიმა მოდის და ხან კიდევ ფანტელი ხშირი,
ზამთრის აფრები უნუგეშოდ შორს მიქანაობს!..

მოდის აპრილი და უზომო მოაქვს ნათელი,
ბაღი საცაა ყვავილების რხევით მოირთოს.
და არ მასვენებ შენ კითხვების კორიანტელით,
ყველა კითხვაზე ამომწურავ პასუხს მოითხოვ!..

ხან წვიმა მოდის და ხან თოვლის ფანტელი ხშირი,
დავდივართ ბაღში - აქ ბაბუა და შვილიშვილი...

**მოსკოვი**
**05. 04. 09.**

* * *

აქ უწინ ფეხბურთს ვთამაშობდით და გული ჩვენი
ზეცას სწვდებოდა სიხარულის ფერადი ფრთებით..
მოვდივართ ქვეყნად და მერე კი უეცრად ვქრებით,
ო, რა მკაცრია ბედისწერის ეს განაჩენი?!

ისევ აქ ვდგავარ, თუმცა ირგვლივ არავინ არ ჩანს,
მხოლოდ ის ჟამი გარდასული ჩამივლის ახლოს!..
ო, ის დღეები ჭაბუკური, სადღაც შორს დარჩა
და ამ მინდორზე უკვე ცივი დუმილი სახლობს!.

ბედის დაცინვა ულმობელი სანამდე მიდის,
ვდგავარ ეული და ტკივილებს არავინ მიქრობს!
ეს რა უეცრად ჩაიშალა ცხოვრების ხიდი
და ვფიქრობ ჩემთვის და არც ვიცი თუ რაზე ვფიქრობ!

გულს ვერ ვამშვიდებ, იგი უკვე სასტიკად ხვნეშის!..
და ამ ვრცელ მინდორს მოგონებით შემოვრჩი ხელში.

**მოსკოვი**
**06. 04.09.**

* * *

**განათლების ცნობილი მოღვაწის**
**მირიან ნარმანიას ხსოვნას**

შენი სახელი მივიწყების ღირსი როდია,
გამორჩეული ელვარებით - ჭკუის, გონების! –
შენისთანები რა მგზნებარე სულით მოდიან
და რჩება, შემდგომ, ბევრი რამე მოსაგონარი...

აქ, წუთისოფლის თავაშვებით ბრუნავს მორევი,
დავიწყებისთვის გახდი უკვე მიუკარები...
არავინ იცის, სამზეოზე, ვის რა მოელის,
მაგრამ სიმაღლეს ვერ ძარცვავენ, ურჩი ქარები!

შენ, ადრე წახველ, მაგრამ დარჩა ნაბილიკარი,
დავცქერ შენს საფლავს, შემოდგომურ სევდით მოფენილს...
რამდენიც უნდა ითარეშონ მღვრიე ქარებმა,
შენისთანებით უმკლავდება დრო - ჟამს სოფელი!..

მეტეორივით გადიქროლე სივრცე ოცნების,
შენი კაცობით, ახლაც ვრჩებით, განაოცები!

**თბილისი**
**20. 06.12.**

* * *

**სვ–ს ხსოვნას!**

ხსოვნა, ძვირფასო, სიცოცხლისკენ მოგიხმობს უკან,
გიცქერ მდუმარეს უჩვეულოდ, ვერაფერს ვამბობ!
მიდიხარ შორს, შორს!. განშორების მუსიკა უკრავს,
რატომ გაექეც სიყვარულის ღვთაებრივ ამბორს?!

კვლავ მეჩვენები ზამბახივით თეთრი ხატება,
ნიავის ფრთებზე უჩვეულო სიამით მთრთოლი...
შენ, ამ ხეივნებს არაერთხელ მოენატრები,
ანთებულს მარად მოციმციმე ჭაღებით ბროლის!..

საით წავიდა ის სინაზე და სილამაზე?
ანგელოზები გიკოცნიდნენ ასულს ნატერფალს!
გული ვეება სიყვარულის დადუმდა რაზე,
სად გაქრა ასე ვარდფურცლობის შემონათება?!

ეს მიწა ბევრჯერ აჟღერდება ქნარით ეოლეს,
მაგრამ იმ ზღაპარს კვლავ ვერასდროს გაიმეორებს!

**მოსკოვი**
**27.04.09.**

* * *

ისევ მოზღვავდა გაზაფხულის ფერები მინდვრად,
ვდგავარ და გრძნობით ყვავილების სინაზეს ვუმზერ...
მე თქვენთან დიდხანს, ფერიებო, დარჩენა მინდა,
იქნებ ტკივილი საუკუნის მომეშვას გულზე!

უკრავს მუსიკა ვარდფურცლობის აქ ყოველმხრიდან,
შეხედე, ყვავილს სიყვარულით გული რომ უცემს!..
ისევ გალობენ ჩიტუნები დაბურულ ხიდან,
რომ შემოიჭრა გაზაფხული ბაღებში უცებ!

დავდივარ ჩუმად, სული ისევ გრძნობს აღმაფრენას,
გადააქვს ნიავს ყვავილები თამაში - თამაშით...
სისხლი აწყდება უჩვეულო ტკივილით ვენას,
ჩემი ცხოვრების წიგნს, როდესაც გულით გადავშლი!

რასაც ვგრძნობთ იმას სრულყოფილად ვერასდროს ვიტყვით,
რადგან ბოლომდის არ გვმორჩილებს, სიტყვა და რითმი!

**მოსკოვი**
**29.04.09.**

* * *

შენგან შორს მყოფი, როგორ ვწუხვარ, ჩემო აბაშავ!
მაგრამ აქედან გეფერები ბავშვური რიდით...
გამოწყობილი გაზაფხულის ცისფერ კაბაში,
შენი ტალღები სიშორეში მიდის და მიდის!

მე ბავშვობიდან, შენი ჭალის, ზღაპარი მზრდიდა,
მეფერებოდი სიყვარულით ჩუმსა და მორჩილს!
მოვდივარ შენთან, ვერ გშორდები, ძვირფასო, გზიდან,
გული შემომრჩა მოტრფიალე და მარად ნორჩი.

ვერ დამივიწყებ, თუმცა შენთან არა ვარ ახლოს,
მე იმ დღეების ცეცხლი მინდა, რომ გულში მენთოს!
ნუ დამიბურავ სქელი ნისლით იმ ცისფერ მაღლობს,
რომელიც, პოეტს, ბავშვობიდან მიყვარდა ეგზომ!

გაივლის წლები, დრო დამამსხვრევს ტკივილით მკაცრით!
მაგრამ ლექსი არ დაივიწყებს ნანახს და განცდილს!

**მოსკოვი**
**30.04.09.**

* * *

**ესტრადის გამოჩენილ მომღერალს**
**ალა ბაიანოვას**

თქვენ, ქალბატონო, ცხრა ათეულ წელიწადს გასცდით,
უბადო ტემბრით და ღვთიური მუსიკის ძალით!..
მიცურავს სული: სიყვარულის, სიცოცხლის გასწვრივ
და შემართული დგახარ მუდამ, ვით ამორძალი!

მაგ შენს სხეულში ვინ გააბა ამდენი სიმი?
მიდის მდინარე სიშორეში ფერებით მკრთალით!
ატმის ყვავილის სილამაზით არიგებთ ღიმილს,
ო, სიყვარულის უჩვეულო მუსიკით მთვრალი..

შენი ხმის ექო არ მორჩილებს ფერიცვალებას
და გული ისევ წუთისოფლის ტრფიალით გიცემთ..
მაგ ტემბრს არასდროს უწერია გარდაცვალება
და ხავერდოვან სულის თრთოლვით ივსება სივრცე..

საიდან მოდით, მიხვალთ საით, არავინ იცის!
და არხევთ ხმაში ათასობით ვარსკვლავთა ციმციმს!.

**მოსკოვი**
**23. 05. 09.**

* * *

მაისი ისევ აღიმართა მწვანე დროშებით
და მინდორ-ველზე კვლავ თამაშობს ლურჯი ნიავი..
მე შენი მოსვლით კვლავაც მინდა ვიგრძნო სიამე,
სანამ სიცივის მდუმარებით გავითოშები!..

ამ ქვეყნად, თვეო, გავჩნდით ერთად მე და შენ თითქოს
და ჩვენ გულისთქმა ერთმანეთის გავიზიარეთ!..
საიდან მოგაქვს, საყვარელო, ამდენი სითბო
ო, ვარდფურცლობის უბოლოო ფერთა რიალით?!

ამ სანახებში ჩაირბინა, ჟამმა ბავშვობის
და მოგონება იმ დღეების - მეხალისება...
ნუთუ ყოველი შეიწოვა ჟამის საშრობმა
და სულს შემორჩა შენი ხსოვნა, როგორც ღირსება!

იმ ალტაცებას ვერ აანთებს, გული მეორედ
და უკვე ყოფილს, დრო ვერასდროს გაიმეორებს!

**ბანძა**
**30. 05. 09.**

* * *

მე შენი ჭალის მეძახიან ისევ მერცხლები,
მათი ჭიკჭიკი მიხალისებს გულს და გონებას...
უნდა წავიდე, სანამ მთები შეივერცხლება
და ეს მეყოფა მერე დიდხანს მოსაგონებლად!

ჩემი აბაშა კვლავ ძველი გზით მიედინება,
ო, ასე ხშირად გული რად გრძნობს სიცარიელეს?
დავდივარ ჩუმად და არ ვიცი, რად მეტირება,
როცა ამ სულში გარდასულის ხსოვნა იელვებს!

მახსოვს, ბავშვობა ჩვენი ჰგავდა, ცისკრის ნათებას
და ბაღებიდან გვიგალობდა - ქორო ჩიტების!..
უკვე ვიმღვრევი და არ ვიცი რა მემართება
და რატომ ვდგავარ, ასე ღელვით განაფითრები?!

იმსხვრევა უკვე, მწარე ხვედრით გული მიმდობი
და მეც მსხვერპლი ვარ, მეგობარო, უამინდობის!

**მოსკოვი**
**01.06. 09.**

* * *

თუ ერთხელ წახველ, აქ მეორედ ვერასდროს მოხვალ,
ყველა გზა შენი დაბრუნების ჩაიკეტება.
მას ვერ უშველის ვერც ცრემლის ღვრა და ვერცა ოხვრა,
ვერც უჩვეულოდ მეამბოხე სულისკვეთება!..

ფორმა ირღვევა და მოწოლას წელთამრავლობის
ვერ უმკლავდება, ვერასოდეს, იგი ბოლომდის.
მიდის ცხოვრება! თაობები სცვლიან თაობებს,
სანამ ყველაფერს არ დაამხობს - ძალა ბოროტი!

დროის მდინარე მხოლოდ ერთმხრივ მიედინება,
ვერ უძლებს უკვე სული სევდას, ერთობ მოწოლილს!.
ჟამთან ჭიდილი, რად იქცევა, ხშირად დილემად,
ჩვენი სიცოცხლე ისე ქრება, როგორც კოცონი!

ჩვენი აქ ყოფნა პირველქმნილთან მთავრდება შერწყმით,
მარადისობის ო, ამ კანონს - ვერავინ შეცვლის!

**მოსკოვი**
**16. 06.09.**

* * *

**წ**ვიმს... რა მუსიკას გამოსცემენ წვეთები წვიმის?
მე კი ბავშვობის ხეივანში დავდივარ მარტო...
ირხევა ქარში აწვართული ალვების მწკრივი
და მე ფოთლების მოლივლივე ლაჟვარდი მათრობს!..

არ ვიცი, გულო, დღენიადაგ თუ რაზე ნაღვლობ?
მეჩხერ მდინარის, სწრაფი დენა, სულაც ნუ გიკვირს!
ნისლები რუხი ეფინება ხასხასა მაღლობს
და მზე იხურავს, შელამების ტყვიისფერ გვირგვინს!..

ვინ მოთვლის, დღემდე თუ რამდენჯერ, გაუძელ ჯვარცმას,
თმაში კი ფერი, რა ულმობლად, შეიჭრა ვერცხლის...
ვით შემოდგომის ხეს ქარები, დრო ისე მძარცვავს,
უკვე ჩემს ცაზე მიილია... ჭიკჭიკი მერცხლის!

ვინ დაუმსხვრია ჩემს სამშობლოს, იმედის ბურჯი
და საუკუნის ო, რა მძიმეს - მივათრევ ხურჯინს!

**12.08.92.**
**ბანძა**

* * *

როგორ ხარობენ ჩიტუნები აპრილის მოსვლით,
დავდივარ ბაღში, მეუფლება ფარული გრძნობა.
არხევს ნიავი ხეთა რტოებს ფაქიზად მოსილს
და მზე აგზავნის ციდან ოქროს ჩქერების ნობათს!

ედება სივრცეს საოცარი ჟღურტული მათი,
ბუნება ისევ, ჩემი სულის, არხევს კამერტონს!..
და ანგელოზებს სილაჟვარდე, ჩამოაქვთ კალთით,
რომ მთა და ბარი... სიყვარულით მოახავერდონ!..

თამაშ-თამაშით ნაკადული ჩამორბის კლდიდან,
რომ ჩიტუნების გული ტრფობით მოინადიროს!
ბრუნავს საწუთრო, მაგრამ სული ვერ გადაბინდა,
გალობს ყოველი და მე სიმი, რატომ ვატირო?!

ამ ტურბულენტურ დინების ხომ მეც ვარ ნაწილი,
დავბერდი, მაგრამ გული მიცემს ისევ ყმაწვილის!

**ბანძა**
**10.04.09.**

* * *

ჩემი ბავშვობის ნაფეხურებს, გავძახი ღელვით
და ძმაბიჭების აჩრდილები მომელანდება!...
ამ ხსოვნისათვის, ვიცი, რომ ვერ დამძრახავს ვერვინ
და ყმაწვილობის წლები ისევ იწყებს ნათებას!...

ვიცი, იმ დღეთა მოგონება, ბევრ რამეს მომგვრის
და მიბრწყინდება მზით და მთვარით, ისევ გონება!
მდინარის წყალზე ყმაწვილობის, დავხედავ ბოგირს
და მე ვეძლევი მძაფრი გრძნობით, ზეშთაგონებას!

სიმები იწყებს ისევ რხევებს მოულოდნელად
და ტკივილები შეცვლის უმალ დროის ხატებას!
დავცქერ ჩურჩულით მათ საფლავებს-ქცეულს ლოდებად
და ის დღეები უჩვეულოდ მომენატრება!...

წარსულზე ფიქრით, სულო, მითხარ, რატომ ღონდები?
და ყვავილები მაგონდება ისევ ბოდლერის!...

**11. 06. 74**
**სოხუმი**

* * *

სიმებს ვაჟღერებ გაზაფხულის, მოურიდებლად
და სათამაშოდ გამოდიან, მინდვრად ბავშვები!
ამ სილამაზის საიდუმლოს მარად დიდება
და უგალობენ ცის ლაჟვარდებს, ისევ შაშვები!

ამწვანდა ისევ, სათაყვანო შენი ხელები,
ქათქათა რტოებს ეფინება თეთრი მორევი...
ზამთარო, მითხარ, ნეტავ, საით მიეხეტები
და მოდის ისევ გაზაფხული ნიამორებით.

გარბის ნიავი, მწვანე ველზე  რხევით, სიამით,
ნუშებს და ატმებს ეფერება, სივრცე შრიალით,
იზრდება სულის სიდიადე და ცის ხარისხი!...

ზამთარი მიდის, სიშორეში მიილანდება
და მოდის ჩემკენ სიყვარულით შენი ხატება!...

**19.03.1957**

**ბედია**

* * *

Იმ დღეთა ტკივილს დიდხანს ველარ გადავაბიჯე
და დავდიოდი ნორჩი ბიჭი და მეტად მწირი!...
და ვეძახოდი სიყვარულით, სოფლის ძმაბიჭებს, –
–იმ წყალს კბოდედან, რასაც თითქმის არ ჰქონდა ძირი...

აბაშის ჭალა იყო ჩემთვის ოცნება დიდი,
მე იქ ყოველდღე დავდიოდი მორევში ფერთა...
და სიცოცხლეში არ ვყოფილვარ არასდროს მშვიდი,
ვიყავ ობოლი და ობოლ ბიჭს, რა უნდა მეთქვა!

სკოლის მერხიდან, გადვინაცვლე სტუდენტურ მერხზე
და მეგობრები აღმომაჩნდა კეთილი მეტად!
ჭიშკართან ახლოს შრიალებდა ბებერი ვერხვი
და გვიან ღამით მეძახოდა, სიზმარში დედა!...

წავიდა ის დრო, უჩვეულო ორომტრიალით
და მაფხიზლებდა სოფლის გზაზე, ურმის ჭრიალი!...

**23.03.64**
**ბანძა**

* * *

ამ ჩემი სულის საიდუმლო, მხოლოდ შენ განდე,
მე მხიბლავს შენი უჩვეულო ფორმა მაღალი!
ვლოცულობ შენზე, ჭეშმარიტად, შენ გინთებ სანთელს
და შენ გეძახის სიშორიდან მზეაღმასვლისა...

მე ვეფერები სიყვარულით, ბავშვობის ლანდებს
და აღტაცება, შენს სტრიქონებს ახლავს მრავალი!
მე ვიცი, კიდევ, არაერთხელ შემხვდები სადმე,
შევუტევ, როცა დაუბერავს ქარი ტრამალის!...

ო, შენი შექმნის მამამთავარს მადლობას ვუხდი,
ამ  ქვეყანაზე მზის და მთვარის მოხველ ალერსით!
შენ გამიფანტე ბილიკებზე ნისლები რუხი,
მაჩუქე გრძნობა მაღალი და უმხურვალესი!...

ტანზე გაცვია შენ ერთადერთს - სიმტკიცე რვალის
და ეფინება შენს სტრიქონებს, მზე ამავალი!...

**17.05.63**

**სოხუმი**

* * *

ო, ეს პლანეტა შემკობილი სიმშვენიერით,
აღარ ვაქციოთ ასპარეზად თერმობირთვების...
თორემ გახდება ისტორიად იგი მითების
და დაემხობა სამუდამოდ სული ძლიერი!

ის სიყვარულის ბაღნარებად, გვიბოძა ღმერთმა
და ნუღარ გავხდით ასპარეზად, ტაიფუნების!
ამ ბოროტებას ო, მითხარით რა უნდა ერქვას,
ის ზღაპარია დასაბამით თავის ბუნებით!...

ცხრა პლანეტიდან სისტემაში ის არის ერთი,
რომ ველარ იტანს წამებას და დაუნდობლობას!
თავის ოცნების სიდიადით სივრცეებს ერთვის
მზის სისტემაში დღემდე ითმენს იგი ობლობას.

ნუღარ მოვაკლებთ მას სილაღეს ზეიმს ფერების,
მოჰქონდეთ ქარებს მისთვის მუდამ სუნთქვა ველების!...

**19.05.72**

**სოხუმი**

* * *

წინ გვიდგას წყება ტაძრების, ჯვრებით ზეცაში ნაშვერი,
თამარის ხელით შემკულნი, დავითის სიბრძნით ნაშენი!
რამ უნდა გადაგვავიწყოს, ეგზომ სიმტკიცე, კედლების
და დაგვრჩა მათი სილაღე, უბადლო შემოქმედებით!...

თურქ–სელჩუკები გვიტევდნენ, სისხლი გვადინეს რამდენი,
ვინ მოთვლის მათ სივერაგეს, შურით და გესლით გატენილს!
დავითმა შეძლო დიდგორთან მათი მოსრა და გათელვა,
ქართველ რაინდებს დაადგეთ, აწ და მარადის ნათელი!...

სისხლის მეწყერით მოირწყა, ყველა გრძედი და განედი,
დავითი გახდა ბელადი, ბრძოლით ბოლომდე გავედით!...
საუკუნეებს შემორჩა ქართველთა ხმლების კვეთება,
ეს იყო დიდი დავითის, უკვდავი შემოქმედება!...

თურქ–სელჩუკების სახელი, ერთბაშად იქცა იავარ,
ეს მომთაბარე ტომები დავითმა გაანიავა!...

**10. 04. 69**

**სოხუმი**

* * *

Თავარ მექცა ჩემი სოფლის პატარა ბაღი,
მის სილამაზეს ვიხსენებ და არაყავს ტოლი!
ვუცქერი ახლა გახუნებულს და ძლიერ დაღლილს,
ჩვენს სიყვარულში შეასრულა მან თავის როლი...

ყოველ საღამოს აქ ვხვდებოდით, მის ნანატრ ხედებს,
ფერთა მორევში დავცურავდით მე და შენ, მერი!...
ჩვენ, ჩემო კარგო, სილამაზეს ბოლომდე ვენდეთ,
წავიდა ის დრო და იცვალა სახე და ფერი!

მხოლოდ შემოგვრჩა სანატრელი დღეების ხსოვნა,
მის დავიწყებას, საყვარელო, ვერასდროს შევძლებთ!
აქ გაზაფხული ფერთა რხევით, თუმც ბევრჯერ მოვა
და გვეყოლება, მეგობარო, ყოველთვის შემწედ!

იმ დღეთა ხსოვნას, ჩვენს გულებში, არა აქვს ტევა,
რამდენად დღემდე მხოლოდ მისი სინაზის ტყვე ვართ!

**17. 04. 58**
**ბანძა**

* * *

ო, გაუფრთხილდეთ პლანეტას ღვთიური სპექტრით ნაშუქარს,
ის მხოლოდ ღმერთმა გვიბოძა, ის მხოლოდ ღმერთმა გვაჩუქა!
ის მუდამ უნდა ვიწამოთ, მას მუდამ უნდა ვეფეროთ
და სიყვარულში, არ შედრკე, ამას გთხოვ, გულო ბებერო!

მზის სისტემაში ეს ერთი ანათებს, გვავსებს ტრფიალით,
თუმც გვიტევს ქარტეხილები მუდამ შმაგი და ტიალი!
ის ერთადერთი გვახარებს, ვივსებით ღელვით ულევით,
მის სიდიადით ვყვავილობთ ამ წუთისოფლის მდგმურები!

ის ცხრიდან ერთადერთია, მისი ალერსით ვივსებით,
ვნეტარებთ, ვხარობთ უმზომოდ ვირხევით მისი ღირსებით!
ის მზით და მთვარით გვახარებს და მუდამ ახალს მიველტვით
და ვცოცხლობთ მისი ალერსით და ვხარობთ მისი იმედით!

თუ ის ჩაგვიქრა ერთბაშად, ბნელი მოიცავს მინდორ–ველს,
ეს ასე აღარ მოხდება, ჩვენ მაინც იმედს ვიტოვებთ!

**12.04.63**

**სოხუმი**

* * *

მე გზას არასდროს, არ ვირჩევ, მარტივს,
რტოები ისევ ირხევა ხშირი...
სადღაც ღრუბელი მიცურავს ზანტი
და ჩემი ქვეყნის მივდივარ შვილი!...

შენი ღიმილით დავდივარ, მთვრალი,
რტოები ისევ ირხევა ატმის...
ისევ მოცურავს ნიავი მთვარის,
შენი ხმა ისევ მეძახის ნატრი!...

შენი თვალების ლაჟვარდებს - ვეტრფი
და ეხეთქება ტალღები ზღუდეს!...
მე შენთან ტრფობის–რა მინდა მეტი
და ჩიტუნების ირხევა ბუდე...

ვეთამაშები დღეებს ხალისით
და ფეთქავს ჩემი ყოფნის ხარისხი!...

**19.04.71**

**სოხუმი**

* * *

შკვე დაღმართზე მარტოდმარტო მივექანები,
ცვივა ფოთლები და მე სევდა მაწვება გულზე...
რა უცნაურად შემოდგომის ქრიან ქარები
და მე ლაჟვარდებს ცრემლიანი თვალებით ვუმზერ!...

ვიხსენებ დღეებს გაზაფხულის ფერებით მთვრალებს,
მზე ჩადის ფერთა ნიაღრებით, ჩანგს უკრავს მთვარე!...
გავცქერი ხეებს გაძარცულებს, ნაქარევს ძლიერ
და კარგავს უკვე ეს სამყარო ხიბლსა და იერს!

ეხეთქებიან კვლავ ერთმანეთს ტკივილით მძლავრით,
ამაოდ ვცდილობ წავეშველო, მოვბანო წყლული!
შფოთავენ ძლიერ, უმოწყალოდ, კვლავ კივის სული,
ვცდილობ და მათი შეჩერება არაფრით ძალმიძს!

მოვა დრო, როცა მათ ჭრილობებს სიამეს მოფენს
და სილამაზეს დაუბრუნებს - დროებით სოფელს!...

**17.11.69**
**ბანძა**

* * *

ამ პლანეტაზე, მეგობარო, მოვედით მისთვის,
მის სიდიადეს მოვუაროთ და მოვეფეროთ!...
აქ დღენიადაგ, ასე რატომ იღვრება სისხლი?
და სიყვარულით ვკოცნით რტოებს და მწვანე ველობს!

აქ ყველაფერი, სილამაზეს ეთაყვანება,
გრძნობით ვეხვევით, ვარდფენილობის მგზნებარე მორევს!
მინდორზე მუდამ იშრიალონ, ლურჯმა ყანებმა,
მენახა მე ეს სილაჟვარდე, მოვედი მისთვის!

დავდივართ მერი! ჩვენს ოცნებას არა აქვს კიდე
და სიყვარულის ლაღი ცეცხლი გვინთია გულში!
უიმედობა და ტკივილი რამდენი ვზიდეთ,
ირხევა ტოტი უნაზესი ატმის და ნუშის...

დავდივართ ჩუმად ვაყურადებთ მერცხლების ჭიკჭიკს
და წუთისოფლის ღელვას ისევ ვუცქერით იჭვით!...

**12.07.1982**

**სოხუმი**

* * *

მიდიან დღენი, უჩვეულოდ მოსილნი შავით
მიიზლაზნება ფერდობებზე ნისლების წყება...
მოვარღვევთ ზვირთებს, მთვარიანში შორს, სადღაც ნავით,
რამდენი რამე გამოგვტაცეს - ხელიდან წლებმა!

მონური ყოფით, გული ტანჯვას, ვეღარ აიტანს
და დაიმსხვრევა კლდეთა ჯებირს შენახეთქები!
ტანჯვა–წამებას ვერ აიცდენს იგი თავიდან
და გახუნდება სამდამოდ თვითონ ედემიც!

სულო იკივლე! შემართება ისევ გაბედე,
არ გექცეს ზვავად ყვავილები შავი–ბოდლერის!
ჟამს შეუტიე, რომ შიშისგან აღარ დაბერდე,
რომ არ დაგაწვეს, სატკივარი მთებისოდენი!

მიდის დღეები, უდაბური ზვირთების შეხლით,
ცხოვრება დაგდლის უსაშველოდ, რომც იყო ვეფხვი!

**10.10.1977**

**სოხუმი**

* * *

ცხრა პლანეტიდან ეს ერთია სიცოცხლის ბაღი,
რომელიც სუნთქავს სიყვარულით - მორევში ფერთა...
ცისკრის ქამიდან განუწყვეტლივ სხივებს რომ აღვრის,
რომელიც, მუდამ ვარდფურცლობის ფერებში ფეთქავს!...

ჩვენ ამ პლანეტას სათაყვანო შევარქვით დედა,
რაც სპირალური გალაქტიკის არის ზღაპარი!
ო, ეს სიცოცხლის ოკეანე ქამს უტევს მედგრად
რომ კიდით–კიდე გადმოღვაროს, ოქროს ფაფარი!

და ის სიცოცხლის სილამაზით, ლაჟვარდებს ავსებს,
შორს მოირხევა და სიკვდილის არა აქვს შიში!
ის დასაბამით უჩვეულო სინაზით გვავსებს,
გამოირჩევა ყველასაგან ღვთაებრივ ნიჭით!

მიდის ცხოვრება და თან იცვლის - ფერს და კალაპოტს
და ცდილობს მუდამ, ვარსკვლავთ წყობას ელაპარაკოს!...

**10.08.2002**

**თბილისი**

* * *

ფოთოლცვენაა... ხეივანში მე ვდგავარ ერთი,
სევდას მოუცავს უჩვეულოს ხეების წყება!...
ამ მწუხარებას უიმედოს მეც სულით ვერთვი,
მიცურავს ქარში ფერშემკრთალი ფოთლების წყება!...

ამ მწუხარებას ვერ ვიშორებ, მედება თვლემა
და ხეთა წყებას, ტკივილიანს, ვეღარ ვშორდები!
ამ მძიმე ბედის მეგობარო, მე უკვე ტყვე ვარ,
ადგილის დედის უჩვეულო ისმის გოდება!...

და გაზაფახულის მოსვლას ისევ სანამ მოველით,
ვიქცევით მსხვერპლად თოვლისა და შემზირავ ყინვის!
დაიბურება მწუხარებით მთები მელოტი
და ისევ ვისმენ სიშორიდან ირმების ყვირილს...

მე ვაყურადებ ყოველივეს, ვერ ვმალავ ტკივილს
და ფოთოლცვენის ხეივანში სული კვლავ კივის!...

**17.10.1977**

**სოხუმი**

* * *

მესმის „ხარხარი ჰომერული“ და გული მეწვის,
საიდან მოდის, რომელი გზით, ან საით მიდის?
რამდენი ხიდი გავიარე, მე დღემდე ბეწვის
და ეს ხმა მესმის შემზარავი, ო, როგორც ტვირთი!...

ო, ეს ხარხარი კიდით–კიდე მოიცავს სივრცეს
და ის ოდიდან ეფინება მიდამოს მძიმედ!...
მე ამ ხმის ტალღებს ვეხეთქები, ნიადაგ ფიცხელ
და ის მიკარგავს უცნაური რხევებით იმედს!

საიდან მოდის, ვფიქრობ, მაგრამ ვერ ამიხსნია,
რომ სიშორიდან მოირხევა მღვრიე დინებით!...
ო, მის გარშემო უდაბური სქელი ნისლია
და გული მტკივა, მეხეთქება მძიმე დილემით!...

დავდივარ მარტო, ვისმენ ხარხარს და გული მტკივა
და შემზარავი ჟამის რისხვა მივალ და მიმაქვს!...

**17.03.1962**

**თბილისი**

* * *

ჩემმა ვენახმა მოისხა მწვანე მტევნები ხშირი,
დავდივარ და ვეფერები, მესმის ყვირილი ირმის!...
ნიავი დაქრის ფრთაჭრელი და ეფერება სახლ–კარს,
მე შენზე ვფიქრობ, ძვირფასო, და მოგონებამ გამკრა!

ვიხსენებ დღეებს გარდასულს, მესმის ქღურტული ჩიტის,
აღარ მშორდება სევდა, ვით სატკივარი დიდი!
ზვარი მზის შუქზე ნებივრობს, ატმის ირხევა ტოტი,
დრო სიმებს არხევს უთვალავს, ვით სიყვარულის მოტივს!...

გალობს ბულბული ზღაპრულად, მესმის ჭიკჭიკი მერცხლის
და ჩემი სულის რხევები, მათ სილამაზეს ერწყმის!...
ფრთებს შლის ნიავი სანატრელს და სივრცეს ეფერება,
მიედინება ცხოვრება, უიმედობა ქრება!

და ვაყურადებ სამყაროს, ვივსები აღმაფრენით,
ყველაფერს თავის სითბო აქვს და მომხიბლავი ფერი!

**17.05.62**
**ბანძა**

* * *

შენდამი ამ ჩემს აღტაცებას, არა აქვს ზღვარი,
მე შენკენ მუდამ სიყვარულით, ვისწრაფი, მერი!...
ამ პლანეტაზე მე ვარ მხოლოდ, მოსული მგზავრი,
შენთან შეხვედრას, მთვარიანში, მე ისევ ველი!...

ჩვენი ტრფიალი, სიყმაწვილის წლებიდან მოდის
და დავცურავდით ატმების და ალუბლის ტევრში...
ჩვენი ოცნების დღემდე გრძნობით ირხევა ტოტი,
მიირხეოდნენ შუკა–შუკა ნისლები მრეში...

იმ დღეთა ხსოვნას, მეგობარო, არა აქვს კიდე,
ვიაროთ ერთად თოვლისფერი მომეცი ხელი!...
და დღემდე ბევრი აღტაცებაც, ტკივილიც ვზიდეთ
და ბევრჯერ გვქონდა ლაჟვარდები თვალების სველი...

მოვდივართ ერთად, ვარდფურცლების ვიხსენებთ ფეთქვას
და გავცდით უკვე, ორმოცდაორს თამაშით ფერთა!...

**12.08.76**

**სოხუმი**

* * *

**შოთა რუსთაველს**

ო, როგორ მინდა, შენთან მუდამ, რომ ვიყო ახლოს,
მინდა გიცქირო, ვით აპრილის მზეს ამომავალს...
მოვდივარ შენთან, სიყვარულით მივყვები მაღლობს
და ამ ქვეყნიდან მხოლოდ შენი ალერსით წავალ!...

ლიდერთა შორის, სიდიადით, შენ ერთი დგახარ,
დახვალ მიწაზე – მზის და მთვარის ნაფეხურებით...
და დაუნდობლად უტევ მედგრად დემონებს მსახვრალს
და სიყვარული პლანეტაზე დაგაქვს ულევი!...

შენი ხილვებით მიირხევი სამყაროს გზებზე,
საიდან მოხველ და დღეგრძელო საითკენ მიხვალ
შენ ანგრევ ბოროტს და მიწაზე, სიკეთეს ეძებ
და ქვეყანაზე, მხოლოდ ლურჯი ბაღნარი გიყვარს!

შენ  ზეცამ გშობა, ფერებს ზღაპრულს მიაშრიალებ
და დედამიწას პოეზიით ურჩენ იარებს!...

**19.01.2021**

**თბილისი**

* * *

მე ვერის ბაღის ხეივანში დავდივარ მარტო,
იანვრის თვეა, რა ლამაზად იღვრება თოვლი...
შენთან შეხვედრა, ო, მე ისევ მომინდა, ნატო,
თუმცა მიდიან სიშორეში, დღეები ქროლვით...

ამ თეთრ ბილიკზე, რჩება ჩემი ნაფეხურები,
ის თოვლთან ერთად, სამუდამოდ წავა, გაქრება!
ცა მოქათქათე, დაყურსული დამეხურება,
ასე ინება დასაბამით, რადგან განგებამ!

მშვიდობით აწი, სათაყვანო დღეებო ხსოვნის,
მე თქვენთან ერთად ლხინიც, სევდაც გავინაწილე.
ამ ჩემს ჭრილობას დრო დააფენს ლაჟვარდის ქსოვილს,
ო, შორეულო ვარსკვლავებო, სხივი მაწვიმეთ!...

სულს ხომ მეგზურად, მოხასხასე ნათელი ახლავს
და კვლავ სისხლიან დედამიწის არ უნდა ნახვა!

**14.01.18**

**თბილისი**

* * *

ქალთა სამოთხეს, ულამაზესს, ოხვრით გავცილდი,
დაცარიელდა ჩემთვის უკვე გზები ფერადი...
და სივრცე თბილი, ჭაბუკური, შემომაცივდა,
სულ ცოტა დარჩა, სანამ ქარი დაუბერავდეს!

რაც იყო იმას, ვერასოდეს ვერ დავიბრუნებ,
ვერც იმავ გრძნობით გამიტაცებს, ფერთა წალკოტი!
არავინ იცის, ეს პლანეტა თუ როგორ ბრუნავს,
რა ვუყო ამ გულს - ყორნებისგან მძიმედ დაკორტნილს!

ამგვარი ყოფა, სულს მიხუთავს და უკვე მახრჩობს
და ქუჩა–ქუჩა, უიმედოდ დავეხეტები!...
რა შემრჩა? – სახლი გაძარცული და უკარ–ფანჯრო
და ტკივილისგან ნაწამები... არსად ვეტევი!

გაუსაძლისი გახდა ჩემთვის, ყოველი წამი,
როცა ეზოში უცბად შეწყდა, ღიღინი მამის!

**12.04.70**
**ბანძა**

* * *

**„მოკვდა დიდებული დედოფალი – წამებული ქეთევანი,**
**რომელიც მიწიერი დედოფლიდან, ციური დედოფალი**
**გახდა“**
**ამბროსიო დუში ანჟუში**

მსგავსი ქალობა, აღარ ახსოვს ამ ბებერ მიწას,
გადაიტანე ყველა სახის ტანჯვა–წამება!
ეს რა გაბედა შაჰ–აბასმა ველურმა, ბილწმა,
რათა ამ ცისქვეშ ქრისტეს სულის ქროლვა დაება!

იდექი ქალი, მაგ წამების კვარცხლბეკზე მედგრად,
არ შეუშინდი, მოვარვარე რკინის ნათებას!
და ღმერთის სულთან შენი სულის შეხვედრა შედგა,
როცა წამებით დაიშალა... შენი ხატება!...

მსგავს ბედისწერას ისტორია ველარ იხსენებს,
ზეცამ აანთო მის სიღრმეში ყველა სანთელი...
შენ ქრისტეს ხატი გულზე გრძნობით გადაისვენე
და საუკუნოდ დაუმკვიდრე მაგ სულს ნათელი!....

და ღმერთის გვერდით შენ ამაყად დაიდგი ტახტი
და მიწიერი დედოფალი ციური გახდი!...

**25.07.19**

**თბილისი**

* * *

ლ. ს.

ის ღვთაებრივი სილამაზე აქ განისვენებს,
სულმა მოასწრო სიშორეში უკვე გაფრენა!...
შენს ამ მიწიერ სარეცელთან ჩიტები სტვენენ,
მდუმარებს შენი თეთრი ლოდი, სხვა არაფერი...

ნუთუ სიკვდილის მაგ რხევების ჩაქრობა შესძლო,
ვდგავარ საფლავთან და მაგ სულის, ვამბობ შენდობას!
მე ვხედავ, მაგ შენს სილამაზეს სიკვდილთან მებრძოლს,
რომელიც დიდხანს არ დანებდა უიმედობას!

სიბერე, როგორ მორევია მაგ ფერთა რიალს,
ნუთუ სიკვდილი ასე წურავს სიცოცხლის მტევანს!
იმ დღეთა ხსოვნა სიშორეში კვლავ მიაქვს ნიავს
და ეფინება შენს თეთრ საფლავს ჩიტების სტვენა!...

ჩემს პოეზიას, თან გაჰყვება შენი ხატება
და ჩემს ხსოვნაში უჩვეულოდ იწყებს ნათებას!...

**08.07.2017**

**თბილისი**

* * *

**1937–ს დასახვრეტად განწირული ბიჭები**
**„ქრისტე აღდგა" სიმღერით ხვდებოდნენ სიკვდილს!**
**ჭაბუა ამირეჯიბის წერილიდან**

მშობლიურ ენას იცავდით, დიდი რუსთველის ბაღნარის
და ბობოქრობდა მამული, ტანზე სისხლგადანაღვარი!...
შეუძლებელი შეძელით, გადაუდექით დემონებს
და თარეშს რუსული ჩექმის, არაფრით არ დაემონეთ!

სიცოცხლე არად ჩათვალეთ და ტყვიებს კბილით იჭერდით,
დახევა აღარ გიცდიათ, რა ვაჟკაცობას იჩენდით!
დამთავრდა ჟამი წყეული, მას მოაბრუნებს ვერავინ,
არ დათმეთ ენა რუსთველის და ქროლვა ტატოს მერანის...

საუკუნეებს გაჰყვება, თქვენი ღელვა და კივილი,
მამულს შემორჩა ჭრილობად, ო, ის ოხვრა და ტკივილი!
დათმეთ სიცოცხლე, სულით კი არ ჩანდით უიმედონი
და „ქრისტე აღსდგას" სიმღერით ანგრევდით - კედლებს ბეტონის!

იმ საუკუნის ჩარჩოში ვერაფრით ველარ ეტევით
და შორს, თაობებს გაჰყვებით მძაფრი ქროლვით და შეტევით!...

**14.10.19**

**თბილისი**

* * *

მინდა დავწერო ისტორია ჩემი ცხოვრების,
თუმც მუშაობა, მასზე უკვე, ძალიან მიჭირს,,!
იქნებ არა ვარ, მეგობარო, მე მის მომრევი,
იქნებ არ მყოფნის, მე ამისთვის, ძალა და ნიჭი!

ლაღია ჩემი პოეზიის სამეფო ვრცელი,
ამ პლანეტაზე მას არა აქვს რაიმე ზღუდე!
აქ ათასობით გული გალობს საოცრად ცხელი,
სადაც ქლურტულით ჩიტუნები იგებენ ბუდეს.

მე ვეფერები სილაქვარდეს, სიწრფელით გრძნობის,
რომ მიირხევა სიშორეში ნათელით ფუნჯის!...
გაფრინდა სადღაც სანუკვარი, დღეები ყრმობის
და გაიტაცა ქართა ქროლვამ, ფერები ლურჯი...

აქ ცას შეხარის, ყველა ხე და ყოველი ბუჩქი,
მას რას დააკლებს, ყვავ–ყორნების ჩხავილი ურჩი!

**19.11.2000**
**ბანძა**

* * *

მე მახსოვს თქვენი დაუღლელი, მუხლები მარდი,
ებრძოდით მედგარად, მეგობრებო, უამინდობას!...
გრძნობით გირხევდნენ სიშორიდან დედები მანდილს
და ივსებოდა ხეივნები ღამის ბინდებით...

და მიდიოდა მდუმარებით დღეები მკაცრი,
მათ სრბოლას უქმურს, უთავბოლოს, ვეღარ ვშველოდით.
მიირწეოდნენ მინდორ–მინდორ ნისლები ბაცი
და გაზაფხულის მოსვლას უკვე აღარ ველოდით!

მთვარის სხივებით ნათდებოდა ტყეები, ეზო,
ფერთა ცვლილებით მიდიოდა დღეები მარტის!...
მოულოდნელად ვამთავრებდით სუსხიან სეზონს,
ვხეტიალობდით შუკა–შუკა - მე და შენ, ნატრი!

უშუქობა და უცეცხლობა ახრჩობდა სოფელს
და სახლებს ერტყა ლოლუების ნათელი ღობე!...

**12.12.2020**
**ბანძა**

* * *

რა დამავიწყებს, მე იმ დღეთა, ფერებს სანატრელს,
მოვდივარ სახლში, უჩვეულო მესხმება ფრთები!...
გარდასულ დღეთა სილამაზეს, მთვარე ასხივებს
და იმ ფარული სიყვარულით, მე დღემდე ვთბები!

აკაციების ყვავილები, გვეღვრება თავზე
და ლაჟვარდების სიხასხასეს, ოცნებით ვწვდები!
ჩემს სიხალისეს, გაზაფხულის ფერები ავსებს
და ბალახების ხავერდოვან, მინდორზე ვწვები!

ბავშვობის წლების, ელვარებით ვმაღლდები ცამდე,
ვკოცნი ყვავილებს და მე მათი ღიმილით ვთვრები!
მე მინდა, ო, ის სათნოება, ბოლომდე მწამდეს
და აღტაცებით დამყურებდეს, მაღალი მთები!...

ამგვარ რხევას და სილაჟვარდეს ვეთაყვანები,
ნიავის ფრთებზე ვეტრფი შრიალს ლურჯი ყანების!...

**20.11.2020**
**ბანძა**

* * *

აქ ნავერხვალზე, გთხოვთ, დამიდგათ ძეგლი მაღალი,
და ძველ ტაძრიდან შეღამების რეკონ ზარებმა!...
სხივებს დამაღვრის გაზაფხულზე მზე აღმავალი,
ხან კი ზამთარში ფანტელებით დავიფარები...

მომაყურადებს დედა, ისევ ტალღების ჩქამით,
რომელიც ჩემი ყმაწვილობის იყო მშვენება.
დიდ ხანს შერჩება ამ ხეივანს ღიღინი მამის,
რომელსაც აღარ უწერია გადაშენება!

დღეები ჩემი, ალტაცებით გაჰყვება მერმისს
და სიყვარული ჩვენი ტრფობის შერჩება თვალებს!
ჩვენ აქ ვხვდებოდით, ამ ვერხვის ქვეშ, მე და შენ, მერი;
მესაიდუმლე ჩვენი გრძნობის გვხდებოდა მთვარე...

მახარებს, როცა მზე და მთვარი ღელვით დამყურებს,
ამას გთხოვთ მხოლოდ - ცა ბავშვობის, გადამახურეთ!...

**17.12.2002**
**ბანძა**

* * *

სული ვერ უძლებს მოსკოვური ყვავების ჩხავილს,
დრო გულს მისერავს, ულმობელი სევდა მერევა...
აჰა, საცაა, დაიწყება ქარ–ყინვის ჩქამი,
და ამაზე მეტს, რას ინატრებ ბედნიერებას?!

ჩემს მინდორ–ველზე, ვარდ–ყვავილებს, მზე ჰყავს გუშაგად,
აქ ყველაფერი კვლავ ცახცახებს, შიშით ყინულის!...
ხედავ, სიცოცხლეს ჟამმა ფრთები გადაუშავა,
იქ, ჩემს მამულში ფეხშიშველი გარბის ბინული!...

მე ღელვა მიპყრობს, რომ სული არ გაუდაბურდეს,
ვით ავიტანო ო, ეს ტანჯვა აუტანელი?!
შენ ჩემი ქვეყნის გზა ნათელი ბევრჯერ დაბურდე,
ჭუჭყში ცურავდი, რჩები კვლავაც დაუბანელი!

შენ უსმენ არყის ტოტებიდან, ჩხავილს ყვავების,
მშვიდობით! – უკვე დგება ჟამი გამოთხოვების!....

**19.04.2010**

**მოსკოვი**

* * *

**ჰამლეტ გონაშვილს**

მე შენი ტემბრის ჯადოსნური რხევების ტყვე ვარ,
საიდან მოდის, რომელ სივრცით, ან საით მიდის?!
ის შენი სულის სამყაროდან კვლავ მოირხევა
და ვაყურადებ მაგ ხმათა სპექტრს, ო, დღემდე რიდით!...

მიწიერ სევდას შენ მუსიკის ფერებში ახვევ,
ფეთქავს სურნელი გაზაფხულის საოცრად მკვეთრი.
შენ მღერი ერთი და ფერების სახე სცვლის სახეს
და უჩვეულო სილამაზით დინებას ერთვის!...

არა აქვს ზღვარი სიყვარულის მომხიბლავ ფეთქვას,
ლაჟვარდებიდან ანგელოზთა ხმა ისმის წრფელი!...
ამ სიდიადეს სანეტაროს რა უნდა ერქვას,
ირგვლივ ყველაფერს, აღმაფრენით ეცვლება ფერი!

ჭრილობებს მიწის ცდილობ ჰანგით მოჰბანო წყლული
და ორფეოსი გადგამს გვირგვინს შენ ოქროცურვილს!

**17.05.72**

**სოხუმი**

* * *

მე მოწყენილი დავდივარ, როცა შენ აღარ გხედავ,
ცხოვრება დაუნდობელი, რა შემზარავად მზვერავს!...
მე სატანჯველი ამგვარი, საიდან დამებედა,
ან რატომ აღარ მშველიან დიდი ძალები ზენა!...

ტკივილებს მივეზიდები, გზა ჯოჯოხეთად მექცა,
ხან ვაყურადებ იადონს, ხან მოჭიკჭიკე მერცხალს!...
ყოფნა ამ ბებერ მიწაზე, უკვე არაფრად მიღირს,
ვერც დედიკოს ხმას ვისმენ, ვერც მამის ლამაზ ღიღინს!

ხმაურს იწყებენ ქარები, ხეებს ფოთლები ცვივა,
მიჭირს სხეულის ტარება, როცა ჩამოდის წვიმა!...
ზამთარი მიახლოვდება, გაშლის იალქნებს, მედგრად,
რატომ ქვითინებს გულმწარედ, ისევ ადგილის დედა?!

დავხეტიალობ ეული, ხშირად ცრემლები დამდის,
როცა ბავშვობის მინდორზე, ათამაშდება ლანდი!...

**19.11.2009**

**თბილისი**

* * *

ჩემი აივნის სტუმრებო, რატომ არ დამემშვიდობეთ,
რა ჩუმად გადაიფრინეთ, ჩემი ეზო და მინდვრები...
ბარტყებიანად გაფრინდით, გაშორდით ჭალებს, ხეივნებს,
დატოვეთ ჩემი სახლ–კარი, ჭიკჭიკით ცა მოზეიმე!

კვლავ შემოდგომის ზარები, რა გამძაფრებით რეკავენ,
აქ ფოთოლცვენა იწყება, ფერი ეცვალა ბუნებას!
და ბეღურები შემორჩა, მუდამ მინდორს რომ კენკავენ
და გაზაფხულის მოსვლამდე, ცა სევდის დამეხურება!...

წავიდა ის დრო შრიალით, ტკივილი აღარ მეშვება,
უთქვენოდ ვერ ვძლებ, მერცხლებო, თვალებს ედება სისველე!
დავალ ფიქრებში დაღლილი, არავინ მენუგეშება,
ძლივს ფეთქავს გული დაღლილი და სული ველარ ისვენებს!

ცა გაფერმკრთალდა სექტემბრის და მზე ნისლებში მიცურავს,
კვლავ მორაკრაკებს ბინული და სულში სევდას მიწურავს!...

**14.07.2020**
**ბანძა**

* * *

ვუახლოვდებით სასაფლაოს - დუმილს მრისხანეს,
სად კავშირები ბუნებასთან ერთბაშად წყდება!..
ვიცი, გვეწვევა მზე აპრილის, თოვლიც, სისხამიც
და დავიწყებას მიეცემა, დღეების წყება!...

ნაწილაკებად დაიშლება -  ჩვენი სხეული,
მერე ვერასდროს ვერ შეხვდებით, ზღვასთან დაისებს!
და ჩვენი ტანი ნაფოტებად გადაქცეული
მიწის სიმშვიდეს საბოლოოდ გაითავისებს!...

სული სად წავა, რომელ ნაპირს ეწვევა იგი,
ასფოდელოსის სილაჟვარდეს, როცა გაცურავს...
და სიშორეში, იქნებ მთვარის დაიდგამს გვირგვინს
და ცის სიმშვიდეს დაიმკვიდრებს, მზეგადასული!

იგი ვერასდროს მოიშორებს ტკივილს, იარებს
და ბევრჯერ ცრემლით მიწის ხავერდს მოაიავებს!...

**28.06.2020**

**თბილისი**

* * *

მზე ზენიტზე ავიდა და ძირს იწყებს დაშვებას...
და ის სხივთა ჩქერები, სივრცეს ეთამაშება!
მზე ზენიტზე ავიდა, ცა დაგვცქერის ელვარე,
სული ლურჯი რხევებით გადაუვლის მწვერვალებს...

გაზაფხული გავიდა, სევდა მივსებს ბილიკებს
და მინდორზე გაფრენილ ნიავს, წავექილიკე!
გაზაფხული გავიდა... ზამთარს უნდა ველოდო,
და მაშინებს, არ შემრჩეს დიდხანს მთები მელოტი!

შემოდგომა მოიწევს და ფერს იცვლის მთა–ბარი,
ტოტებიდან ფოთლები, კანტიკუნტად ჩამოდის...
გაზაფხული გაფრინდა, გაქრა ამ წლის ზღაპარი
და ვშორდებით წუხილით -  ყვავილების სამოთხეს.

სევდა მავსებს უზომოდ, სევდა დაუსაბამო,
დღე თანდათან მოკლდება, ფრთებს შლის ისევ საღამო.

**22.06.2020**

**თბილისი**

* * *

ძვირფასო მერი! მე შენს მოსვლას დაველოდები,
და ტირიფონში მერე დიდხანს ვიხეტიალებთ...
არ მიცხოვრია, მეგობარო წერით ოდების,
არავინ იცის ეს სოფელი როგორ ტრიალებს!...

ნიავი არხევს ლაჟვარდოვან ნაწნავებს ხეთა,
ჩვენ მიმოვდივართ და შრიალით სული გვევსება!
სანაპიროზე ზამბახები საოცრად ფეთქავს,
მიწის სიღრმეში ხმაურობენ ისევ ფესვები!...

დავალთ მე და შენ და ივსება სივრცე ოცნებით,
არსთა გამრიგებ, საყვარელო, ასე ინება!
და დედამიწის სილამაზით განაოცები,
ჩვენი ცხოვრება უჩვეულოდ მიედინება!...

დრო მიირხევა და ჩვენ არსად გვაგვიანდება
და სულს სინაზით გვივსებს ღამით მთვარის ნათება!...

**10.05.59**

**სოხუმი**

* * *

მე მაგონდება სანატრელი ჩემი სახლ–კარი,
ჩემი მინდვრები უჩვეულოდ მოსხივმფინარე...
ეზოში გვედგა ტოტებმსხვილი მუხა მაგარი
და მიდიოდა სოფლის ცენტრში მშვიდად მდინარე...

გვიყვარდა თოვლი და ვხვდებოდით ჩვენ მას ყიჟინით,
და ამ სიხარულს უბოლოოს არ ჰქონდა კიდე!
და ირგვლივ მხოლოდ ჩიტუნების იდგა ქივქივი,
მე მისი ნახვა სასურველი მომინდა კიდევ!

საოცარ თრთოლვით და ხალისით ვხვდებოდით ზამთარს,
რაც იყო იგი, ყველაფერი გახდა ყოფილი!
ის ყმაწვილური აღტაცება  რა იყო მართლაც,
და ის მარანი ლოლუებით შემოღობილი!...

ის სილამაზე უჩვეულო წაიღეს წლებმა
და ახლა მხოლოდ სევდიანი ბინდები წვება!...

**12.12.99**

**თბილისი**

* * *

თოვლი ჩამოდის, გაგვითენდა დილა ნეტარი,
ჩემს აღტაცებას ყმაწვილობის, არ უჩანს ბოლო!
მე არასოდეს არ ვყოფილვარ გაუბედავი,
მინდა შენს ლაწვებს ულამაზეს, კვლავ მოვეფერო!

თოვლი მოვიდა და რამხელა სითეთრე მასვა
და სარკმლის მინას ეფინება ღიმილი შენი...
თოვლი მოვიდა, ფანტელების ირხევა მასა
და სილამაზე წუთისოფლის არ ითქმის ენით!

თოვლი მოვიდა და ბიჭები ლაშქრობას ვიწყებთ,
ჩემ წინ ირხევა სამასი წლის ვერხვი ბებერი!
ბავშვობის ხანას, უჩვეულოს, რა დამავიწყებს
და ვუცქერ ტრფობით, მის რტოებზე ფიფქებს შეფენილს...

თოვლი მოვიდა, სითეთრეში ცურავს მთა–ბარი,
ჩემს წინ იშლება, წუთისოფლის თეთრი ზღაპარი!..

**01.01.55**
**ბანძა**

* * *

შენი კაცობა როგორ არ ვაქო,
აღარ უწყოდი, რა იყო შიში!
ასე იცავდნენ დიდგორს და შამქორს
და არ გივლია – ვაით და ვიშით!...

ვხედავდით მღვრიე, ზვირთებთან შეხლას,
თავისუფლება გჯეროდა მოვა!...
და უბასრესი კლანჭებით ვეფხვის
უტევდი მედგრად, ბანდიტთა ხროვას!...

ამოდიოდა დილის მნათობი,
გრიგალი, ხეთა ამსხვრევდა მერქანს!
არ გახდი მსხვერპლი უკუღმართობის
და შენს შეტევას გმირობა ერქვა!

ჟამი კივილით მიდის, მიგორავს,
ეს საუკუნეც გვექცა დიდგორად!

**15.04.07**

**თბილისი**

* * *

ჩემი თვალებით ნახულ სამყაროს,
გამოთხოვების ჯერი მიდგება!...
მე ეს ქვეყანა რომ შემაყვარა,
არსთა გამრიგეს, მარად დიდება!

ამ პლანეტაზე ჩვენი ცხოვრება,
ამოინთება, მზის ელვარებით.
შენი ლაწვები მემახსოვრება
და სილამაზე... შენი თვალების!

შორს, დღეთა ქროლვით გავიფანტებით,
მძიმედ დაღლილებს, გვშთანთქავს ქაოსი....
გაგვყვება ხსოვნა თოვლის ფანტელთა
და მდუმარება სასაფლაოსი!...

და მშობელ მიწას მივებარებით,
გადაღლილები - მზით და ქარებით!...

**17.08.09**

**თბილისი**

* * *

ამ გვიან ღამით, ასე რატომ რეკავენ ზარებს?
მოედო ქალაქს უჩვეულო ღელვა და შიში!
ზღვა ღმუის ძლიერ, ნაპირები დაფარა ქვიშით,
ნუთუ, ამ ქვეყნად წამების და ტანჯვისთვის ვიშვით?!

სახლებს ტოვებენ და ქუჩაში გამოდის ხალხი,
მოვარდნილ ზვირთებს, ვეებერთელას, ვერავინ მოღლის!
უსმინე გუგუნს, ეს რამდენი დაინგრა სახლი
და სულის ღელვა უნაპირო ივსება ბოღმით!...

ზარები რეკვას განაგრძნობენ; მოედნებს, ქუჩებს,
გრიგალ–ქარები ემუქრება რისხვით, შეტევით!
ბუნება რატომ აგვიმხედრდა სასტიკად ურჩად,
მთელი თავისი შემზარავი შემოქმედებით!...

ნეტავი, როდის დამშვიდდება დედა–ბუნება,
როდის შემოსავს ლაჟვარდები უდაბურებას?!

**10.09.79**

**ოჩამჩირე**

* * *

აქ ვერასოდეს მოვალ მეორედ,
ვეღარ ვიხილავ ზღაპრულ სანახებს!
ვეღარ შევარხევ, მე სიმებს ეულს,
ვეღარ გავწვები, ისევ ბალახზე.

ვერც მინდვრის ფერებს, მოვეფერები,
ვერც აკაციის, ქათქათა ყვავილს!
და გული განცდებს ვეღარ ერევა,
რატომ დამხჩავის, ამ დილით ყვავი?!

ო, იმ დღეების გაფრინდა წყება,
ვეღარ დამათრობს ვაზის სურნელი!
მე ყველაფერი წამართვეს წლებმა
და მახრჩობს დარდი განუკურნელი!

წუთისოფელი მიდის რიალით,
მესმის შორიდან ურმის ჭრიალი!...

**12.05.12**
**ბანძა**

* * *

მინდა ჩემს საფლავს, რომ მთაწმინდის ცა დასცქეროდეს,
განათებული, ხავერდოვან მთვარის ფაფახით...
და გაზაფხულის ფეხშიშველა ნიავი ქროდეს,
რასაც მე ვამბობ, ნუ ჰგონია, ვინმეს ზღაპარი!

მხოლოდ მთაწმინდა მიმაჩნია, წმინდა სავანედ,
რომ ჩემი ქვეყნის ვეებერთელა ტკივილი ვზიდე!...
აქ გაიხსნება სამუდამოდ, ჩემი სამარე,
რადგან ამაში, როგორც პოეტს, მეც წილი მიდევს!...

რაც არ მეკუთვნის, მე ხომ იმას არასდროს ვითხოვ,
დაფარეთ ჩემი საფლავის ქვა ფოთლებით ვაზის...
მე აქ ვგრძნობ მხოლოდ ჩემი ქვეყნის დარდსა და სითბოს,
აქ ჩამოვყევი კოლხეთიდან...ენგურს და ფაზისს...

და თუ სატკივარს, ჩემი მიწა ველარ გამიგებს,
მაშინ, სამარე ჩემი სოფლის გულში ამიგეთ!

**17.05.20**

**თბილისი**

* * *

აბაშავ ჩემო! მხიბლავს შენი ტალღების რხევა,
აქ, შენს ნაპირზე გავატარე ლამაზი წლები...
მე მხოლოდ შენი სიყვარულის უზომო ტყვე ვარ
და შენ შემასხი ასაფრენად, ძვირფასო, ფრთები!

შენი ჭალები ოცნებებით შემოვიარე
და ტოლ ბიჭებთან, დავდიოდი გრძნობებით სავსე!
ჩამოდიოდა სიშორიდან მთების ნიავი
და დღესაც იგი მოგონების სიამით მავსებს!...

მოვედი შენთან ჟამთა დენით დაღლილი კაცი,
რომ ვეამბორო შენს ნაპირზე ტალღების წყებას!
მე გავიარე უსაშველო დღეები მკაცრი,
რამდენი რამე სამუდამოდ წამართვეს წლებმა!

მშვიდობით აწი, საყვარელო ვერასდროს გნახავ,
ჩემი აჩრდილი მოვა, როცა ისურვებ ნახვას!

**18.04.2019**

**თბილისი**

* * *

სულს ისევ რხევით ეფერება ნიავი რიდით,
დავდივარ ბაღში... ყვავილების სინაზე მათოვს...
ო, ეს დღეები სიშორეში მიდის და მიდის
და ვარდფურცლობის უჩვეულო სურნელი მათრობს!

ცისკრის ღიმილი სიყვარულით მეძახის გარეთ,
მივდივარ სადღაც, და არ ვიცი, საითკენ მივალ?
და სიშორეში ყვავილები კვლავ მიაქვთ ქარებს
და აღტაცება წუთისოფლის უზომო მიმაქვს...

მინდორ–ველები რა სიმწვანით ხასხასებს, ფეთქავს,
გულს წალკოტების ეს რამდენი რხევა მოება...
მიდის საწუთრო უნაზესი თამაშით ფერთა
და უერთდება სივრცეების უსაზღვროებას...

ოღონდაც დროო დაათოვე ფერების წყება,
რომ ყველაფერი აღარ გაჰყვეს შორს, დავიწყებას...

**14.04.18**

**თბილისი**

* * *

Საიდან მოდის ეს ვირუსი, ო, ასე რისხვით
და ყველა უჯრედს სიცოცხლისას უცქერის ზიზღით!
მიაყურადეთ, მან ყველაფერს უცვალა ფერი,
მიარღვევს სივრცეს სიშორეში კვლავ აღმაფრენით!...

ის ხოცვა–ჟლეტის უებარი მესაჭე არის
და შეგვატოვა ათასობით ულმერთოდ მკვდარი!...
საიდან მოდის, ან საითკენ მიდის წყეული
რად დაგვიხოცა ათასობით შვილი რჩეული!...

კორონავირუსს ეძახიან, არავის ინდობს,
გადაუარა ბარიკადებს, მთებსა და მინდორს!
ეს უძლეველი ტირანია და რამდენს ბედავს
და შარაგზაზე უჩვეულო ტკივილით ფეთქავს!

ის ვერაგია, და არ იცის კრთომა და შიში,
მან არაერთხელ გადასერა უდაბნო ქვიშის!...

**18.02.18**

**თბილისი**

* * *

ჩვენ ამ ბუნების საიდუმლო ცოტა რამ ვიცით,
ამაოდ ვუცქერთ სიშორეში ვარსკვლავთა ციმციმს...
მირიადობით სივრცეებში დაქრიან მაღლა,
გვივსებენ შუქის სილამაზით მიწიერ ბაღნარს...

ო, ამ უზომო სიელვარეს ცა როგორ უძლებს,
სად არის მისი წარმოშობის სათავე ვრცელი!...
მივაყურადოდ ზღაპრულ ხედებს, ვეება ფუძეს,
ეს არის ჩვენთვის გაღებული ბუნების ძღვენი!...

დროის დინებას ყველაფერი მორჩილებს მკაცრად,
დაცხრომის შემდეგ არ იკარებს ფერებს და ეროსს!
ის არასოდეს იფანტება ფერფლად და ნაცრად
და მძლავრი ველით რჩება შავი პატარა სფერო!

არავინ იცის პირველქმნილი სათავე მისი,
რომელიც ცაში ვარსკვლავების ნიაღვრებს ისვრის...

**12.09.13**

**თბილისი**

* * *

დატვირთულია დედამიწა იარაღებით:
ნეიტრონებით, ბირთვული და თერმობირთვულით!...
სულში ნიადაგ, ბრუნავს, მხოლოდ სევდა–ნაღველი,
გულის სიღმიდან ტკივილებით ამოზიდული!...

ვერ იტევს მიწა, ჯოჯოხეთურ ბუნკერთა წყებას,
ბიოლოგიურ და ქიმიურ უხვი მორევით!...
მათ ნაკვალევზე, შემზარავი სიკვდილი წვება,
ეს არის გარჯა - მეცნიერთა დაუდგრომელი!...

ჩვენ კარგად გვესმის, ამ სიმრავლის რაა მიზანი,
მათი შეტევით პლანეტაზე სიცოცხლე ქრება!
მე რასაც ვამბობ, ნუ გგონიათ მხოლოდ სიზმარი,
სიცოცხლემ უნდა აქ სიკვდილი - მოისხას ფრთებად!...

სხვა გზა არ არის, ეს ზღაპარი უნდა დავხუროთ
და მათ ბირთვული, შავი მტვერი, გადავახუროთ!...

**15.05.16**

**თბილისი**

* * *

მახსოვს, ვცურავდით, სიყვარულით ფერებში ატმის
და ალტაცების მოზღვავებას არ ჰქონდა ზღვარი!
შენ მიზიდავდი უჩვეულო სინაზით, ნატრი,
და გაზაფხულის კიდით–კიდე, დაქროდა ქარი...

ეფინა მინდვრებს, შეღამების ნათელი მთვარის
და ფერიების სიყვარულის, მორევში ვთრთოდით!...
ჩვენ ერთმანეთის სილამაზით ვიყავით მთვრალი
და ოცნებების ირხეოდა, ფერადი ტოტი!

და მიზიდავდა, სანატრელი თვალების ეშხი,
რომელსაც, დღესაც, ვიხსენებ და ვეთაყვანები!
მე მოგონება შენი ტრფობის, უთუოდ შემშლის
და ტყვე ვარ, სულო, დღემდე მხოლოდ შენი ზმანების!

რამ დამავიწყოს, ყვავილნარი და ის სატივე
მე ის დღეები სიყმაწვილის ახლაც მატირებს!...

**17.09.2001**

**მოსკოვი**

* * *

შკვე ფანტელებს ველოდები, სულ მალე, თოვლის,
ძველი ტაძრიდან, რეკავს ზარი, შემოღამების!...
ამ ჩემს ეზო–კარს, დედაჩემის ხელებით მოვლილს,
ზამთრის ქარები ემუქრება განიავებით!

რა დამავიწყებს, ულამაზეს დღეების წყებას,
იყო ფერადი, თითქმის ყველა, კუთხე–კუნჭული!
მე ბევრი რამე გამომტაცეს, უხეშად წლებმა
და დემონები გადარბოდნენ... თვალმოხუჭული...

ვარხევდი სიმებს, ფოთოლცვენის, იდგა ზმანება
და მთიდან ხშირად მაწყდებოდა, ირმის ყვირილი!...
სულს, ვიცი ბევრჯერ მწუხარება, მოეძალება,
მას ვერ გაფანტავს, თეთრი მამლის, კართან ყივილი!

დრო მოვა თოვლით, ყველაფერი დაიბურება
და ჟამს ვერავინ გადაურჩება, ალბათ, უვნებლად!

**19.10.12.**
**ბანძა**

* * *

ამ ქვეყანაზე სიკვდილი, ვინ მოთვლის, ვნახე რამდენი,
მოვედი სასაფლაოზე და ვუნთებ სანთლებს განწირულთ!...
სადღაც გაფრინდა ის ჟამი, ნისლებით გარემოცული
და მოგონება ზღაპრული არ ვიცი, საით მიცურავს?!

ზღვა ღელავს ძლევამოსილი, ნაპირს უტევენ ტალღები
და ხიდზე ვდგავარ მდუმარე და სივრცეს გავცქერ დაღვრემილს...
გაფრინდა დღეთა მშვენება, უკიდეგანოდ რჩეული
და ქარიშხალთან შეტევით, ლამის, დამემსხვრეს სხეული!...

ამ მთა–ბარს ვემარტოვები, ცრემლით მევსება თვალები
და ვარსკვლავები შორიდან, კვლავ გრძნობით მითვალთვალებენ!...
ჟამს ტკივილს ველარ ვუმალავ, სავსეს ხიბლით და ნათელით,
გავცქერი ამ ჩემს ხეივნებს ო, უმოწყალოდ გათელილს!...

გაფრინდა ჟამი ველური, მეტად ურჩი და თავნება
და მოჩანს ჩვენი ბავშვობა, ვით გარდასულის ზმანება!...

**12.09.1982 წ.**
**სოხუმი**

* * *

**ჩემს შვილიშვილ – ანას**

ჩვენთან ბავშვობის გაიარე ის სამი წელი,
ყველგან, მოსკოვში, დაეძებდი საყვარელ დედას!...
შენ ბევრჯერ გქონდა წამწამები ცრემლებით სველი,
მერე ერთბაშად მოიშორე, უსაზღვრო სევდა!...

რა დაგვავიწყებს, უნეტარეს ბავშვობის ხანას,
გიყვარდა თოვლში ხეტიალი, უმისამართოდ...
გეფერებოდით აღტაცებით პატარა ანას
და ფანტელებმა საიდუმლო, ზამთრის გაგანდო!...

ვიხსენებთ იმ წლებს, საყვარელო, მე და ბებია
და ჩვენს სიხარულს უნაპიროს არა აქვს კიდე!...
ეს შენი ფრთები ვარდფურცლობის კვლავ იშლებიან
და წუთისოფლის გაფანტავენ სევდიან ბინდებს.

დღეს, შორს ხარ ჩვენგან, ისევ უტევ ცხოვრებას მედგრად
და შენი სული ვარდფურცლობის... ფერებში ფეთქავს!...

**10.12.2020**

**თბილისი**

* * *

რად  მეჩვენებით სიზმარში, ასე ზღაპრულად, ნეტავ?
მოდიხართ, და წინ მოგიძღვით ლოცვით ადგილის დედა!
თქვენი ღიმილი ცას არხევს და სულს სიამით მივსებს
და ზედ ლაჟვარდი გახურავთ და თქვენს ლამაზ ხმას ვისმენ!...

დედა ლოცულობს მუხასთან, სიმშვიდე სუფევს სრული,
როგორც ფანტელი თოვლის, ისე ირხევა სული!...
ბინული მოივერცხლება და მზე მაისის ფეთქავს,
დგას ვარდფურცლობის სინაზე ლაღი თამაშით ფერთა...

რა დამავიწყებს იმ ღამეს - მთვარის სხივებით მოსილს,
ჭიქებში ღვინო ჩავასხით და ალტაცებით მოვსვით...
ნეტავ, სიზმრებში კვლავ ვნახოთ იმ ღამის სილამაზე
და სიყვარულით შევარხევთ სივრცეში ცისფერ ხაზებს...

რა ხდება იმ ქვეყანაში, უკვე არავინ იცის,
ბექობზე ისევ ჭიხვინებს, ჩემი ბავშვობის კვიცი!...

**17.03.2002**

**თბილისი**

* * *

ჩემი ბავშვობის წლებს გავძახი, რომ დამიბრუნდეს,
სადღაც შორს რჩება, სანატრელი, ხმით სანუკვარით!
ტირიფის რტოზე ჩიტუნების ირხევა ბუდე
და ცის ლაჟვარდში სევდიანი მიცურავს მთვარე...

მე ვეფერები ვარდფურცლობის რხევას მიწაზე
და ქრის ნიავი, მუდამ ხიბლით ძლევამოსილი!...
მე ქვეყანაზე გაზაფხულის მოსვლა ვიწამე,
სადაც იზიდას ლანდი ეძებს ისევ ოზირის ...

წავიდა ის დრო, სამუდამოდ თვალს მიეფარა
და, ისევ მისი მობრუნების, არ ჩანს ნიშანი!
დრო მიდის სადღაც, ხეივნებში ნაკვალევს მალავს
და სიშორეებს ეფინება, ხმა უშიშარი...

არავინ იცის, თუ სად გაქრა ოქროს საწმისი,
დავეძებ, მაგრამ ვერსად ვპოვე ჩემი საწყისი!...

**17.04.1989**
**ბანძა**

* * *

**თამაზ წივწივაძის ხსოვნას!**

შენ მთელი ძალით შეუტიე უსამართლობას,
ბატონო თამაზ, ბოროტების ძალით ანაგებს.
სიტყვით თამაში აღარ იყო შენთვის გართობა,
როცა მამული ერთიანად გაგიჩანაგეს!

შენ არაერთხელ შეუძახე უგუნურებას,
ასეთი იყო, მეგობარო, შენი ბუნება.
დემონურ ძალებს, არაერთხელ უტირე დედა.
და ბრძოლის ველზე ავკაცობას, უტევდი მედგრად!

ო, ეს ქვეყანა, ვეებერთელა სატკივარს გვიჩენს,
ვხედავ, შენს ხსოვნას, ეს რამხელა ადგას ნათელი...
ბატონო თამაზ! შემართებას შენეულს ვირჩევთ,
როცა გავცქერით უმოწყალოდ, მამულს გათელილს!..

შენს რაინდულ სულს, ვეფერებით და ვუნთებთ სანთელს
და... სვეტიცხოველს ხსოვნის ზარებს დარეკავს მნათე!

**05.06.2019**

**თბილისი**

* * *

მე ვარსკვლავების, უჩვეულო მუსიკას ვუსმენ,
როცა ღრმა ძილში, გვიან ღამით, შედის სოფელი...
სივრცეთა წყებას ოცნებებით ლაჟვარდებს ვუვსებ
და ვაყურადებ სიშორიდან ქარებს მობერილს!...

მე ჩანგით ხელში შემართული, ბექობზე ვდგავარ,
დავცქერი მიწას, ტკივილით და სევდით მოფენილს!...
საუკუნესთან მაქვს მრისხანე და ურჩი დავა,
რა უკუღმართად და უხეშად ბრუნავს სოფელი!...

მოდის ცისკარი... უნაპიროდ ღელავს მთა–ბარი
და მარღვევს დარდი დასაბამით მოუშორები!
მე კარგად ვიცი, თუ რა არის ახლა მთავარი
და საუკუნე ისევ მიდის -  ღელვით, ზმორებით...

მე სივრცეები, ცივი მზერით მოვინახულე
და მწუხარებით შემზარავით მიწას დავყურებ!...

**12.04.2001**

**თბილისი**

* * *

საგნების კავშირს ერთმანეთთან, ცის რხევა შვენის,
ჩამოვიშოროთ მარად ოხვრა, დაუდევრობა!
აწვიმე ცვარი სიშორიდან მადლისა შენის
აზიას ეტრფი დასაბამით, თუ დიდ ევროპას!

ცხოვრება მიდის, მაგრამ საით, არავინ იცის,
უკიდეგანო სივრცეების ცოტა რამ გვესმის!
მივაყურადებთ სიშორიდან ვარსკვლავთა ციმციმს,
რატომ ვივსებით უმოწყალოდ შხამით და გესლით?!

არაფერს გვაძლევს უთავბოლო სიმების კვნესა,
არც ტკივილების მოძალება - ზომაზე მეტის...
მოდი, მამულის სადღეგრძელო ბოლომდე შევსვათ
რომელსაც მუდამ სიყვარულით ბოლომდე ველტვით!...

ეძებ რაღაცას და გიხდება ხშირად ლოდინი
და ეს ცხოვრება მხრებზე გაწევს, მძიმე ლოდივით!

**16.02.2021**

**თბილისი**

* * *

აკაციების მიყვარს მხოლოდ ტყეები თეთრი,
როცა ყვავილთა სურნელება მიდამოს ავსებს...
მე სანადირო თოფით ხელში დავდივარ ერთი
და დამწივიან გაზაფხულის ჩიტები თავზე!...

ვხედავ, შორს ქარი ათამაშებს ყვავილთა მტევნებს,
დავხეტიალობ ტყის სიღრმეში ოცნებით სავსე!...
ხან ალვის ხეთა ხეივანსაც ავეღევნები,
რომელიც დღეთა სურნელებას ხალისით მასმევს!...

დამთავრდა ჩემი ამ მიწაზე ოცნების ჟამი,
ხორცი აქ რჩება, სული ისევ განაგრძობს ფრენას...
მე გავიარე დღეთა წყება: თეთრი და შავი
და ცის სიღრმეში -  ვაყურადებ სივრცეებს ფერადს!

მშვიდობით აწი, სანატრელო ცაო და მიწავ,
მაისის ბაღში, ჩიტუნების გალობა მიწყდა!

**12.05.2012**

**თბილისი**

* * *

ისევ მოფრინდნენ სიშორიდან ჩემი მერცხლები
და ეს ცა ლურჯი, უნაპირო თრთოლვით ამივსეს!...
მათი ჭიკჭიკი ლაჟვარდებში უკვე ვერ ცხრება
და გაზაფხული, სიყვარულით გაითავისეს!...

ამ ბალახებში, მინდა გავწვე ისევ გულაღმა,
მათ სილამაზეს, მთელი გრძნობით მივაყურადო!...
ოცნებით სივრცეს, გადავლახავ გადაულახავს,
შეხედე, ამ ერთს, სხვათა შორის, როგორ გულადობს!..

ფრთებს შლით ფაქიზად და სივრცეებს ელაციცებით,
წვიმა და ქარი გაზაფხულის ველარ გაშინებთ.
გიცქერით გრძნობით, ტკივილისგან უკვე ვიცლები,
ჩემი ბავშვობა მხოლოდ თქვენთან დავაკავშირე!...

როცა გავცდები წუთისოფლის ლამაზ სავანეს,
რხევით ჭიკჭიკით მოაწყდებით ჩემს ბნელ სამარეს!

**21.04.2003**

**თბილისი**

* * *

სულს ისევ ღელვით ეფინება ფერები მწვანე,
დავდივარ ბაღში, ყვავილების სინაზით ვთვრები!...
მითხარი სულო, რა გატირებს ო, ასე მწარედ?
წელს გაზაფხულმა, რა უეცრად გაშალა ფრთები!...

აპრილი მოდის, ვეფერები ნუშსა და ატამს
მე ბავშვობიდან, ვარდფურცლობას ვეტრფოდი ძლიერ!
და ღრმა ტკივილებს სიშორეში ნიავქარს ვატან
ვეცადე, მაგრამ ბოროტებას ვერაფრით ვძლიე!

ვინ მოთვლის, ქვეყნად, თუ რამდენი ტკივილი ვზიდე,
დაუნდობელი გახდა ჩემთვის, სიურჩე ჟამის!
შენი სურათი, მეგობარო, მე აგერ მიდევს,
ვეცადე, მაგრამ, ვერ გავფანტე დღეები შავი!

ვახსენებ წარსულს, ვეფერები გარდასულს ხარბად,
მე ეს ტკივილი, სიკვდილამდე გამყვება, ალბათ!...

**11.04.19**

**თბილისი**

* * *

ვისთან მივიდე, როცა არავინ არ დარჩა სოფლად
და გული სევდამ უმოწყალოდ დაფარა ერთობ.
ეს ვინ აბრუნებს უიმედოდ - საწუთროს ბორბალს,
მე შენზე მლოცველს, სიყვარულით მომხედე, ღმერთო!

დავდივარ ჩუმად, ჟამს გარდასულს ვეთამაშები
და თვალებიდან ცრემლი დამდის და გული მტკივა.
კვლავ წინ მივიწევ სულის მძაფრი აგანგაშებით
და მწუხარებას ვეზიდები, წამებით მიმაქვს!...

მინდვრის ყვავილებს, ვეფერები, ვლოცულობ რიდით,
ჩემი ბავშვობის სიხარული აქ, მათთან რჩება.
მივდივარ კაცი გაძარცული, წუხილით დიდით
და ვხედავ გული დაუმსხვრევლად ვერ გადურჩება!

ამოდის მთვარე, მეფინება შუქი ულევი,
სევდიან ჭრიალს, მივსდევ გზაზე ისევ ურემის!...

**15.10.20**
**ბანძა**

* * *

შენოდ ყოფნა, მეგობარო, არაფრად მიღირს
და დღეთა სრბოლამ, ჩემთვის უკვე დაკარგა აზრი.
დრო მიდის და მას მე ვაყოლებ სევდიან ღიმილს,
დავცქერი უხმოდ, უიმედოდ, მღელვარე ფაზისს...

გამოვექეცი სოხუმიდან სიკვდილის რისხვას,
საით წავიდე? – ვდგავარ ხიდზე, ამაოდ ვშფოთავ!
სანამ იდინოს, ასე უღვთოდ დაღვრილმა სისხლმა
და სიბნელეში უიმედოდ მორევში ვფორთხავ!...

ვეცადე, მაგრამ ვერ ვუტირე - ტკივილებს დედა
და ვრჩები კაცი, უჩვეულოდ ნაფერმკრთალები!
კვლავ წარსულისკენ ვიხედები, ჟამს შევაბერდი
და ცრემლიანი სამუდამოდ შემრჩა თვალები!

მე დავიღალე ცხოვრებასთან შეტევით, ღელვით
და მე არ შემრჩა, მოშავო თმის არცერთი ღერი!

**29.10.92**

**ქუთაისი**

* * *

**ხ**შირად სიზმარში, შენს ნაპირზე მოვდივარ მარტო
და ჩემს სიხარულს, უჩვეულოს არა აქვს ზღვარი.
გარდასულ დღეთა სილამაზეს ო, როგორ ვნატრობ
და სამოსელი ჩვეულებრივ მაცვია მგზავრის!

ვდგები თეთრ ხიდზე, სიყვარულით გავცქერი სივრცეს,
შენ, რომ გიყვარდა ო, ის პალმა შრიალებს ისევ...
და გული დღესაც, სტუდენტური ცხოვრებით გიცემს
და სანაპიროს ეფინება - ქათქათა ნისლი.

წავიდა ის დრო, მაგრამ ხსოვნას ვერავინ მოშლის
და ჩემში რჩება, ის მარადის... გაუხუნარი!
ჩემი ოცნების ცის თავანზე დაიმსხვრა კოშკი
და მე იმ დღეთა მოგონების - შემრჩა უნარი!

მე სიყვარულით ვაცქერდები მშობლიურ ხედებს,
რომელიც ყრმობის წლებიდან მწამს და გრძნობით ვენდე!...

**19.07.16**

**თბილისი**

* * *

**„აწვიმე ცვარი... მადლისაგან შენისა“**
**მარო მაყაშვილს**

შენ ცხრამეტი წლის იყავი, რომ ბრძოლის ველზე გახვედი,
სიცოცხლე არ დაიშურე, იდექი შემართებით!...
როცა მამულის კარიბჭეს მტერი მოადგა თავხედი,
ცეცხლის მორევში გოგონამ მედგრად გაშალე ფრთები!...

შენ წითელ ვეშაპს ეკვეთე, დაჭრილ იუნკრებს შველოდი,
იდექ ამაყად, უშიშრად, ტანზე იარაღასხმული!
თუმც მტრის ლაშქართან, ბრძოლაში ყოველ წუთს სიკვდილს ელოდი,
შენ ქედუხრელი ბუნებით, მაყაშვილების ასულო!

შენ სასიკვდილოდ დაიჭერ, ტყვიით დაგცხრილეს როცა,
მამის ოხვრა და გოდება ყოველგვარ საზღვარ გაცდა!
შეხედე ზეცას თამარის და აღავლინე ლოცვა...
და გულის ფეთქვა, ძვირფასო, უკვე უეცრად დაცხრა!

საუკუნეებს გაჰყვება, მაგ შენი სიმამაცე
და გაზაფხულის ფერებით და სილაჟვარდით სავსე!...

**21.02.20**

**თბილისი**

* * *

შენს ლამაზ სიცილს ვუსმენდი და მახარებდა მეტად
და აივნიდან სახლის, ისევ გეძახდა დედა!...
ლოცვა კურთხევა მისი გვავსებს სიცოცხლის რწმენით,
ამ ქვეყანაზე მოვლენილ უკულმართობას ვწყევლი!

ბუნება გვაძლევს ყველაფერს, უმადურნი რად ვრჩებით,
ერთი მითხარი, ვის უნდა ამგვარი განაჩენი!
ვხოცავთ ერთმანეთს უნდობლად, უკვე არავის ვინდობთ,
ეს ბოროტება უზომო, სანამდის უნდა ვზიდოთ?!

დედები ძაძით მოსილნი, იცრემლებიან მწარედ,
ვერ გაჯანსაღდა ერი და შიშს ვერაფერით ვძლიეთ!
მოიწევს ფოთოლცვენა, ცრემლებს ვღვრით ისევ ცხარედ
და სევდას ვატანთ, საღლაც შორს, შემოღამებას მღვრიეს!...

დროის სიმედგრე ვიწამეთ, გავფანტეთ ნისლი ღამის,
რომ არ იმღეროს მტკვრის პირას, გედმა სიმღერა შავი!

**14.08.02**
**ბანძა**

* * *

ივლისი მიდის მზის ხანძრებით და ფათერაკით
და ყველაფერი გახდა უკვე აუტანელი!
ამ ქვეყანაზე, მეგობარო მოვედით რაკი,
ყოველმხრივ ვცდილობთ, მაგრამ ტკივილს ვეღარ ვანელებთ!

მზეო, ჩანჩქერებს ნუ მოისვრი, მოურიდებლად,
ჩვენი სხეული ვეღარ უძლებს სტიქიონს მღვრიეს...
ცის სიელვარე შენით ღელავს, შენით ინთება,
მრისხანე ძალას ვცდილობთ, მაგრამ, ვერაფრით ვძლიეთ!

აგვისტო მოდის, ვეგებებით – იმედით, რწმენით,
იქნებ შენელდეს შემზარავი, მზის მხურვალება!
იქნებ მოშალოს დაგუბული სხივები მწველი,
იქნებ დაქროლონ შემოდგომის გრილმა ქარებმა!

გავცქერით სივრცეს და არ ვკარგავთ იმედებს ხვალის,
იქნებ დამშვიდდეს, სული მღვრიე და დაუმცხრალი!

**19.07.19**

**თბილისი**

* * *

მივდივარ მარტო, უსულგულოდ მივემართები,
გავცქერი სივრცეს და იმედი არაფრის არ ჩანს!
რა სიშორიდან მოირხევა ცათა ნათელი
და მიწიერი საიდუმლო შორს, სადღაც დარჩა!

ვარსკვლავთა წყება გზას უნათებს პლანეტებს მცირეს
არ აცდენ მიზანს, რომ ნაპრალში არ გადიჩეხონ...
მივაყურადე სილაქვარდეს, რომ ნისლებს ირევს
რომ სულს უბრალო ანარეკლად, არ დარჩეს ექო!

მოქანცულ სხეულს ვერ უშველის მარტო მუდარა,
ადგილის დედას აღმოხდება ოხვრა ულევი...
ის შემოიხვევს მთვარის ნათელს, როგორც სუდარას
და შემორჩება სიყვარული - გაზაფხულების!

სულს უჩვეულოდ მოედება სუსხი წამების
და შემორჩება მხოლოდ ფერი - შემოღამების!...

**12.11.49**
**ბანძა**

* * *

შენ იცი ყველა საიდუმლო ჩემი ცხოვრების,
მათრობდი შენი ფორთოხლისფერ სხივთა თამაშით!
მოხეტიალე ცას და მიწას ვემახსოვრები
და რატომ გიკვირს, როცა მხედავ დაღლილს დამაშვრალს!

სადღაც გაფრინდა ის დღეები - ჭაბუკურ ჟამის
და შენს ნაპირებს, მწუხარებით ვუახლოვდები..
ისევ აცურდა ცის თავანზე, ღრუბლები შავი
და მდუმარებენ საფლავების ცივი ლოდები!

ნუთუ აქციე ზურგი უკვე, ფერების შრიალს,
გულო მითხარი, ასე მწარედ რატომ ღონდები?
სევდის მორევი გავატანე ღამეულ ნიავს,
ცრემლი მერევა, როცა ჩუმად მიახლოვდები!

**25.07.2020**

**თბილისი**

* * *

მიყვარს თამაში ბელურების მწვანე მინდორზე,
მოდის აპრილი, გაზაფხულის ფერები მოაქვს.
ვცდილობ და ველარ მოვიშორე სევდის სინდრომი,
რომ მოვიცილო, მეგობარო, ნამდვილად დროა!

შეხედე, სკვინჩა რა ამაყად რტოებ ქვეშ დადის,
მას კი არა აქვს, დღემდე თითქმის, არაფრის შიში!
მიირხევიან წყლისპირს ისევ ნისლები ზანტი,
აგერ გამორბის ჩემი ძაღლი ნახევრად გიჟი!

ჩემს აღტაცებას უბოლოოს არა აქვს ზღვარი,
დავდივარ მარტო და ნიადაგ შენი ხმა ისმის!
აჰა, საცაა შედარების დარეკავს ზარი
და მდინარესთან, რუხი ფერის ირხევა ნისლი..

აპრილი მიდის და სიმწვანე მაისის მოდის
და უთვალავი მოყვავილე ირხევა ტოტი...

**19.04.67**

**სოხუმი**

* * *

სონეტი იქცა ჩემთვის ლექსის,   უმაღლეს ფორმად,
ვეძლევი ღელვას, როცა მე მის სტროფებს მივმართავ!
ჩემში, მის მიმართ სიყვარულმა უფრო იმატა
და სულს პოეტურს მოეძალა ნიაღაგ ქროლვა!

მე შექსპირული ვარიანტის მომხრე ვარ ერთობ,
ის გახდა ჩემთვის სიდიადე, უკიდეგანო!...
მადლობელი ვარ, რომ მომადლე სილაღე, ღმერთო,
და მეფინება სიშორიდან მთვარის ზეგანი.

ო, მის პოეტურ მეტყველებას თან ერთვის სიბრძნე,
მის სილამაზეს უჩვეულოს ვეალერსები...
ახალ–ახალი ჩემში უფრო ირხევა სივრცე,
მედგრად გაიდგა სონეტებმა, ჩემში ფესვები!

მე მხიბლავს მისი ელვარება, მისი ხატება
და მავსებს გრძნობით -  მზის და მთვარის შემონათება!

**12.06.57**

**თბილისი**

* * *

ყველა პირობა იქმნება მისთვის,
ნანგრევად იქცეს ჩვენი პლანეტა!...
კვლავ დემონების ხარხარი ისმის
და აქ სიცოცხლე - არ ღირს მანეთად!

თერმობირთვული ბომბების წყება
აქცევს შეტევად გრიგალ ქარების
და ყველგან მხოლოდ სიკვდილი წვება
ო, შემზარავი რღვევით, ზმანებით!...

ნეიტრონული ბომბების შემქმნელს,
უნდა სიცოცხლის განადგურება!...
ამგვარ საქციელს რა უნდა ერქვას
და მეცნიერის ამგვარ ბუნებას?!

ვფიქრობ ამაზე, ვინ გაუძლებს ამგვარ შეტევას,
ნუთუ, ეს არის მეცნიერთა შემოქმედება?!

**19.09.02**

**თბილისი**

* * *

სიმწვანემ მოიცვა მინდვრები, ქალაქის ლამაზი ბაღები
დავდივარ... მახარებს ეს ფერი და ჩანგზე ოცნებას ვამღერებ...
მოვიდა აპრილი მზე არხევს: მოედნებს, ქუჩებს და ხეობებს,
გავცქერი ლაჟვარდებს ხასხასას და ვარჩევ ფერებში ფენომენს!

მიველტვი ღიმილით მწვერვალებს და მიყვარს ვარსკვლავთა სიმშვიდე
და წავალ, შორს კიდევ ხალისით, ქარები ხელს რომ არ მიშლიდნენ!
გავცქერი ვარსკვლავთა აუზებს, რომ მავსებს იდუმალ რხევებით,
დავდივარ ოცნებით მდუმარი, ხან ფიცხი, ხან განახელები!

მოვუხმობ სიმების სინაზეს, გაფრენის დღეების ხატებას,
მე მიყვარს ფერების სიმრავლე და მათი თრთოლვა და ნათება.
ვეძახი ოცნების მწვერვალებს და მათრობს ვარსკვლავთა სიუხვე,
მე მიყვარს ფრთა თეთრი არწივი, რომ ლაშქრავს შორეულ ჭიუხებს!...

მოვუხმობ ცისკრის ჟამს ვარსკვლავებს, რომ გვავსებს სინათლის
სპექტრებით
დავდივარ სიცოცხლის ტრფიალით, უსაზღვროდ შორს მივეხეტები...

**12.04.18**

**თბილისი**

* * *

მე ისევ ჩემი ყრმობის დღეებს ვეჩურჩულები,
რომლის სილაღე ჩემში უკვე დღემდე არ ქრება...
ჩვენ დავუბრუნდით სოფლის გზებზე ჭრიალს ურმების
და არ სჭირდება საუკუნის ღირსებას ქება!

თავზე დაგვცქერის საიმედოდ ვარსკვლავთა წყება,
მათ სიხასხასეს დასაბამით ვემარტოვები...
მე ბევრი რამე გამომგლიჯეს ხელიდან წლებმა,
საითკენ მიხვალ, ვერ გავიგე, ძალავ გონების!

ვარსკვლავთა ქოროს, სიშორეში, ვტოვებ დროებით
და მეხეთქება უჩვეულო, წყება ქარების!...
მავსებს ოცნებით გაზაფხულზე, რხევა რტოების
და სიყვარულის საიმედოდ - ჟღერენ ქნარები!...

სოფელი, სადღაც უიმედოდ მიიზმორება,
გაქრა დღეები, სანატრელი, ვეფხვისზოლება!

**10.07.03**
**ბანძა**

* * *

ცხოვრების მორევში ნიადაგ ბრუნავდი,
და მახსოვს მე შენი აღდგენაც, დაცემაც...
რამდენჯერ, მამულო, გაქციეს ბუნაგად,
ვიცოდე, ნეტავი, ასე ვინ დაგწყევლა?!

სისხლს ღვრიდი ღირსება, რომ გადაგერჩინა,
ვინ მოთვლის შენს ტანჯვას და სულის წამებას!
მონობას ათასჯერ სიკვდილი გერჩივნა
და ზარებს რეკავდა კვლავ შემოღამება!

და სისხლის მეწყერის, ბრუნავდი მორევში,
გაყარე ქვეყნიდან ველური ტომები!
ჩეხვას და კვეთებას მანამ არ მოეშვი,
სანამ არ დაამხე, ისინი ომებით!

და იქეც დავითის, თამარის სამშობლოდ
მამულო, ომების გრიგალში ნაშობო!

**12.11.19**

**თბილისი**

* * *

ამდენ სისხლისღვრას, როგორ უძლებ, დასაბამიდან,
მიკვირს ძალიან, რომ არ გახდი წითელი ფერის!
მიდის ცხოვრება და ნიადაგ იცვლის ამინდებს,
მაგრამ სატკივარს, დაუნდობელს, ვერაფერს შველის!

ნუთუ, სხვა გზები ვერ მონახე, ღმერთო მაღალო,
რომ არ გექცია ეს პლანეტა ღვარებად სისხლის!
რატომ გახადე ეს სამყარო მკვდრების მაღაროდ,
რათა ჩვენ ერთურთს, სულ ვუცქიროთ შურით და ზიზღით?

ამ შენს მიწაზე, რატომ გახდა შეუძლებელი,
რომ ერთმანეთი არ დავინდოთ - დაუსაბამოდ!
ვხედავ, შარაგზებს შემზარავად სისხლით შეღებილს
და ცრემლით ვხვდებით - ყოველ დილას, ყოველ საღამოს!

ვუყუროთ ოხვრით, ოცნებისთვის მიწას გაჩენილს,
რატომ არ ფიქრობს ამ ტკივილზე, ნეტავ, გამჩენი?!

**12.01.20**

**თბილისი**

* * *

ვხეტიალობდით მთვარიანში მე და შენ, მერი,
წავიდა ის დრო, მოგონება შემოგვრჩა მხოლოდ!
გაფრინდა ჩვენი იადონი, იქ არვინ გველის
და ციდან მშვიდად ვარსკვლავების დაგვცქერის ქორო!

რამ შეგვაყვარა ხეივნები მთვარით ნათრობი
და შეღამების უჩვეულო მელოდიები?!
შუქთა ღვარებით მოელვარე დილის მნათობი
და ცისკრის ცაზე მოციმციმე წყება ნათების!

ისევ გვეძახის ვარდფურცლობის დღესასწაული,
ნიავის ფრთებზე მოშრიალე სინაზე ფერთა!
იმ მოგონებებს, საყვარელო გვერდს ვერ აუვლი,
იქ დღესაც, ჩემი სანატრელი ფერები ფეთქავს!...

იმ ჟამის ხსოვნა მე ბოლომდის გამყვება, ალბათ,
რომ გაზაფხული ალტაცებით გვასმევდა შარბათს!

**09.07.2020**

**თბილისი**

* * *

შეღამებისას, მახსოვს, თქვენთან თოვლში თამაში,
მაშინ ვიყავით ყმაწვილები და გრძნობით სავსე...
ჩემი ცხოვრების, როცა ლამაზ ფურცლებს გადავშლი,
ცა ფანტელებით მოფარფატე მეღვრება თავზე!...

ვესროდით ერთურთს, თოვლის გუნდებს სიცილით ლაღით,
ჩვენს აღტაცებას უჩვეულოს არ ქონდა ზღუდე...
ქათქათა რტოებს ულამაზესს არხევდა ბაღი,
მინდა იმ დღეთა მოგონება არ გამიხუნდეს!

თითქოს ვიბრუნებ აღტაცებას და სიელვარეს,
თქვენ გარბოდით და ჩვენ ბიჭები მოგსდევდით გზნებით!
და ფანტელები გადაქონდათ ფარფატით ქარებს
და მოგონებით ო, იმ დღეთა, ჩვენ ახლაც ვთვრებით!

მოგსდევდით, ციურ ანგელოზებს, გოგონებს თოვლის,
იმ დღეებს მეტად ულამაზესს, ვიგონებთ თრთოლვით!...

**12.12..2002**

**თბილისი**

* * *

მე უშენობა ძლიერ მტანჯავს, არ ვიცი რა ვქნა,
დავდივარ მარტო, შუკა–შუკა დავეხეტები...
დაგეძებ, მაგრამ, უკვე ვხედავ, ის დრო, რომ გაქრა,
და სული ოხრავს, არ იღლება იგი შეტევით!

მწუხრის ზარები რად რეკავენ ამგვარად, ნეტავ?
იღვრება ციდან ვარსკვლავების შუქი ულევი.
რატომ შემიპყრობს გვიან ღამით მტანჯველი სევდა
და დარდს ვაყოლებ სოფლის გზაზე ჭრიალს ურმების!...

იმედს მგვრის ისევ განთიადის მოახლოვება,
ჩიტების ჟღურტულს ნეტარებით მივაყურადებ...
და სიოს ქროლვა სიხარულით იგრძნეს რტოებმა
და, მხოლოდ შენი სიყვარული მწვდება გულამდე!...

წავიდა ის დრო და მინდვრები გადაირბინა
და გულზე სევდა კვლავ მედება უკვე ბიბინა!

**24.10.18**
**ბანძა**

* * *

მაშინებს სევდა დაგუბული, გაუდინარი,
მას არც ფერი აქვს და არც ფორმა, სულს კი ამძიმებს!
წუთისოფელი მიდის, როგორც მღვრიე მდინარე,
არაფერს ნიშნავს მისთვის უკვე დრო და მანძილი!

დასაბამიდან დღენიადაგ მოვდივარ ოხვრით,
რად არის, ნეტავ, ყოფნა ჩვენი გაუსაძლისი!
გავცქერით მერმის და ყოველდღე ვივსებით ბოღმით,
რომ იაზონმა გამოგვტაცა ოქროს საწმისი!

საით მიიწევს სულის ქროლვა დაუსაბამო,
ქუჩაბანდებში მოქანცული დავბორიალებ...
მთვარის სხივებში ვიბანავებთ ყოველ საღამოს,
სანამდის სოფლის არ მიწყდება რხევა–რიალი!

შენს გამოჩენას ალტაცებით დაველოდები,
ვით გაზაფხულის მოზღვავებას მოსვლას როდენი!...

**07.01.19**

**თბილისი**

* * *

**ბებიას ხსოვნას**

ყოველ საღამოს მიდიოდი საფლავზე შვილთა,
შენს განცდასა და მწუხარებას, არ ჰქონდა კიდე!
სად მიდის მეთქი, დედაჩემთან წუხილით მითქვამს,
მაგრამ მის ტკივილს, უჩვეულოს, ვერ განვერიდე!

მაგ შენი სამი ანგელოზი მინებდა სიკვდილს,
მე ამ წამებას უსაშველოს ვერ განვერიდე!
ო, ეს ცხოვრება სიშორეში მიდის და მიდის
და დარდი მძიმე წუთისოფლის უზომოდ ვზიდე!...

წავიდა ის დრო, ცა ირხევა ბინდებით სქელით
და მე შემომრჩა უიმედოდ თვალები სველი!...

**12.09.53**
**ბანძა**

* * *

**შალვა, ელიზბარ და ბიძინა ჩოლოყაშვილებს**

რა სიშორიდან მოდიხართ, ხმლების უზადო კვეთებით,
სამივე მუხის ტოტი ხართ, მამულს რომ ეიმედებით!
სივრცეს თქვენი ხმა მოარღვევს, ირხევა, შუქი დილემის
და რეკავს ციდან ზარები, ტკივილებს მოეზიდებით...

მოიწევთ შეუპოვარნი, შიშველი ხმლების ნათებით,
მამულზე ფიქრით დაღლილნი, მოსილნი ციურ ნათელით...
დროის დინება ვერ აქრობს, თქვენს უმამაცეს ხატებას,
თქვენი გრძნობების სიმაღლე -  იალბუზს აღემატება!

მოდიხართ, მოეფინებით მხედრები შუქთა რიალით,
მოდიხართ და ვერ გაშინებთ, სოფლის უკუღმა ტრიალი!
მოდიხართ მარაბდელები, მთა შლის იალქნებს მაღალი
და განთიადი ზეიმობს ტანზე შუქგადანაღვარი...

თქვენ, ასე ივლით მუდამჟამს დასასრულამდე პლანეტის,
რომ თქმულებებმა მოიცვას, ყველა გრძედი და განედი!

**27.07.19**

**თბილისი**

* * *

შენ ამ ბექობზე მარტოდმარტო ამაყად დგახარ,
თუმც ქარიშხალი მძიმე ფრთებით შეგიტევს ხშირად!...
უდაბურ დღეთა, არ გაშინებს არასდროს ნახვა
და გადაღლილი ბრძოლის ველზე, მწუხარე გმინავ!

შენ ჩვენი სოფლის, საიმედო მესაჭე გახდი
და გასცქეროდი შემართული შორეულ ნაპირს...
შენ ძირმაგარი მუხა იყავ, ბრძოლებში ნაღდი
და ედებოდი სიშორეში გრეხილებს ხაფით!...

დგახარ უშიშრად, შემართული ქომაგად სოფლის,
ვერ გაგიცვითეს გრიგალებმა, მერქანი რვალის.
ბრძოლით გადაღლილს, წუთისოფლად ცოტა რამ გყოფნის,
დგახარ ბექობზე, მეგობარო, იმედად ხვალის!...

სოფელი ჩვენი, მხოლოდ შენი იმედით ხარობს,
რამდენიც გინდა შეუპოვრად, იქროლე ქარო!

**10.09.02**

**თბილისი**

* * *

**ცოტნე გამსახურდიას**

დიდ კონსტანტინეს შვილიშვილი მხეცებმა დაჭრეს,
მთავრობა კვლავ დუმს, ჩუმად არის, ვერაფერს იმჩნევს!
მითხარით ერთი, რას პასუხობთ, ნეტავი, გამჩენს
და ბოროტების ასალაგმად, რომელ გზას ირჩევთ?!...

კოლხური კოშკი, უკვე ცრემლის, მორევში ცურავს,
როგორ გსურთ, ბოროტს აგრძნობინოთ, მრისხანე ძალა!
ერი ბობოქრობს, მოსდებია ქვეყანას ურვა
და სოფლის ოხვრა უიმედოდ ნებდება წყვარამს!...

ო, საცოდავო საქართველოვ! სანამდის მოხველ,
ვინ გადაგიჭრა ასე უღვთოდ რწმენის ვენები!
ქვეყანა დარჩა ბანდიტებს და სიყრუეს ოხერს,
ო, ნუთუ აღარ გეშინიათ გადაშენების?!

მამულო, მითხარ, სად მიდიხარ ცრემლით, გოდებით,
კვლავ ძველებურად აღიმართე, ნუ დაღონდები!

**30.11.19**

**თბილისი**

* * *

რად მეტირება ასე მწარედ იმ დღეთა გამო,
რომელიც განვვლე ტკივილებით უმისამართოდ...
ქარები ზამთრის მე გზადაგზა მიფხრეწდნენ სამოსს
და მწუხარებით შემზარავით ბევრჯერ ამანთო!...

მე თხუთმეტი წლის, გავხდი უკვე ობოლი დედით,
მიირხეოდა მდინარის პირს ნისლის ფაფარი...
ვხეტიალობდი შუკა–შუკა მიუსაფარი,
ასეთი გახდა უკვე ჩემთვის უქუმური ხვედრი!

რა დამავიწყებს, მწუხარების უნაპირობას
და დავდიოდი ტკივლებით დაღლილი მძიმედ!..
შიმშილს გადვურჩი და ეს იყო ჩემთვის გმირობა
და სიშორიდან დამცქეროდა ცა მოციმციმე...

რამდენ წამებას გადავურჩი და რამდენ ტკივილს,
იმ დღეთა გამო მეტირება და, კიდეც ვტირი!

**16.10.64**
**ბანძა**

* * *

**თამაზ წივწივაძის ხსოვნას**

შენი არყოფნის წელიწადი გავიდა უკვე,
ო, რა წამებით გავიარეთ დღეები მკაცრი!
მაგ შენს მაღალ სულს სიყვარულით საკმეველს ვუკმევთ,
ვხედავ ქვეყანას - უიმედოდ ძალღონე დაცლილს!

შენი საფლავის მიწა რატომ მდუმარებს აგრე,
დავცქერით ოხვრით, უჩვეულო ბზარები უჩანს!
შენი არყოფნით ჩვენი სულის ჯებირებს ანგრევ,
მამულს ედექი ერთადერთი იმედად, ბურჯად!...

გავიდა წელი, ეს ჭრილობა ო, როგორ გვიმძიმს,
მღვრიე დინება გაიხადეს მტრებმა სატივედ...
ეგ შენი სული შეუერთდა ვარსკვლავს ციმციმას,
გზები მომავლის, ვერ იქნა, ვერ გავიადვილეთ!

მაგ შემართებას ქვეყანაზე უარყოფს ვერვინ
და, თან კაპიტნის სიმამაცით გასცქერდი მერმისს!

**01.06.19**

**თბილისი**

* * *

**ნიზამ განჯელს**

შენ ხაიამის საფლავი, მოხველ, ცრემლებით ნამე,
რა მოგაგონდა ისეთი, ღელვა ვერ შეიკავე...
რად დაგისერა სული აუტანელმა სევდამ
და აატირა ქვითინით, სივრცე ადგილის დედამ!

უცქერდი გაფერმკრთალებულს ბალახებს, ფოთოლთ წყებას
და ხაიამის ნათქვამი ვერ გადაშალეს წლებმა...
დრო მიდის მიექანება, რა ხდება არვინ უწყის,
რბიან დღეები კენტი, რბიან დღეები ლუწი!

დიდხანს იდექი მარტო, ცა დაგცქეროდა სუფთა,
მოგაწვა გულზე ტკივილი, როგორ გიჭირდა სუნთქვა?!
რამდენი ხანი გავიდა და მას ივიწყებს ვერვინ,
რაც უანდერძა თაობებს, რაც შთააგონა მერმისს!...

რატომ გადინა ცრემლები დრომ ასე ურჩმა ნეტავ,
შენ გენიალურ პოეტს და სწორუპოვარ მხედარს!

**29.09.2001**

**თბილისი**

* * *

**გიორგი ჭყონდიდელს**

შენ იყავ დიდი და უბადლო აღმზრდელი მეფის,
მოსული რწმენით და ავს შენზე ვერავინ იტყვის.
იყავ აღზრდილი ღვთაებრივი ციური შხეფით,
რომელიც მუდამ სიკეთისკენ ისწრაფვის ილტვის!

სივრცე, მაგ შენი აზროვნების უსაზღვრო იყო
და მოდიოდი შემართული ეროვნულ გზაზე!...
ისტორიიდან შენს სიმაღლეს ვინ გამორიყავს,
რჩები უბადლო სიდიადით, სინათლით სავსე!

საუკუნენი გაქრა უკვე ასპარეზიდან,
ათბობდი სივრცეს ღვთაებრივი ფერთა სიალით!...
არ შეიძლება, რომ მაგ დიდ სულს აღარ ეზიდა
მისი სამშობლოს შემზარავი ყველა იარა!

ვინ იყავ, ნეტავ, ან ამგვარი საიდან მოდი?
მაგ შენი სულის სილამაზის ირხევა ტოტი!

**12.11.17**

**თბილისი**

* * *

აღმოსავლეთში შენ იყავი ფორპოსტი რწმენის,
უტევდი მედგრად ბარბაროსთა უთვალავ ლაშქარს!..
მუსულმანებმა ველარ შეძლეს სივრცეში გაშლა,
დალეწილებმა, ბრძოლის ბევრჯერ დატოვეს ველი!

მათ დიდგორი და ბასიანი ყოფნიდათ მარტო,
სხვა რომ არ იყოს, ვერ გაექცნენ საომარ ღელგმას!
დაიმსხვრა მათი სივერაგე შამქორს და მარტყოფს
და ჩაეშალათ საქართველოს დაპყრობის გეგმა!

ვეღარ გაუძლეს დავითის და თამარის რისხვას
და ჩვენი ლაშქრის უჩვეულო შეტევის გრიგალს!
საომარ ველზე ბარბაროსთა იდინა სისხლმა
და საქართველო დაემსგავსა შემართულ გიგანტს!

და ქრისტეს რწმენამ, ღვთაებრივი გახადა ერი,
წარმართულ კერპებს სამუდამოდ უცვალა ფერი!

**29.12.19**

**თბილისი**

* * *

დღეს ჩემს სოფელში ჩამოვედი დაღლილი მძიმედ,
თქვენს საფლავებთან უკვე, მოსვლა ძალიან მიჭირს...
მოვდივარ ოხვრით, მაგრამ მაინც არ ვკარგავ იმედს,
მსურს ჩავაქსოვო ლექსში ჩემი გრძნობა და ნიჭი!

შუკებში დავალ ტკივილებით მეტად საზარით,
მოვდივარ მარტო, უგზო–უკვლოდ დავეხეტები.
ამაოების მოვიარე ყველა ბაზარი,
რად მამსხვრევ ასე მწუხარებით, დროო ტიალო!

მახსოვს დღეები, რომ მავსებდა ციურ ნათებით,
მერე გამძარცვა, მასვა შხამი უკიდეგანო!...
და ვეღარ მშველის, დინოზავრთა ტერფით გათელილს,
რომ დამცქერს ცივად - სიშორიდან მთვარის ზეგანი!

არსთა გამრიგემ ჩემი ტანჯვა რატომ ინება,
რომ მძიმე სევდით გათანგული დავცქერ დინებას?!

**03.07.20**
**ბანძა**

* * *

**დავით აღმაშენებელს**

შენი დროშის ქვეშ საქართველო იდგა ამაყად,
ამის გარეშე ქვეყნის ყოფნას არ ჰქონდა აზრი.
და სვეტიცხოვლის ზარების ხმა ერთობ ამაღლდა,
ეს კი უქმნიდა ქართულ მიწას დიდებულ ბაზისს!

უსაზღვრო ელვა ედებოდა მტკვარსა და ფაზისს
და სილამაზით ინთებოდა მორევში ფერთა!...
მამულში მხოლოდ შენი სიტყვის ხარობდა ვაზი
და ის სივრცეში, საოცარი ფერებით ფეთქდა!

მოშალე თურქი ქვეყანაზე მოურიდებლად
და ააყვავე ერის სუნთქვა მამულში ერთობ!...
ღვთაებრივ ძალას ცით მოვლენილს, მარად დიდება,
რომ გაფარებდა, ფრთებს უძლეველს ზეციდან ღმერთი!...

და მოეფინა საქართველოს შუქი დიადი,
გადადიოდა კიდით–კიდე ხმა განთიადის!...

**17.05.17**

**თბილისი**

* * *

დაწვებზე ბნელში სიყვარულით შეგახე ხელი
და ათამაშდა აღტაცებით შენი სხეული...
არხევდა რტოებს ალუბლების ნიავი ნელი
და ირეოდა მთვარის შუქზე ხმა უჩვეულო!

ის ნეტარება გახდა ჩემთვის დაუვიწყარი,
შენი სხეული, შორს მიჰყვება, ჟამის დინებას!...
მიირხეოდა სივრცეებში ღამე ცინცხალი
არსთა გამრიგემ სიხალისე ჩვენი ინება!

იმ სილამაზეს დრო ვერასდროს გაიმეორებს,
არც ფანჯრებს ღამის შუქი ველარ მოეფინება!
ისევ დაუკრავს არაერთხელ ქნარი ეოლეს
და შორს გაჰყვება სიშორეში დროის დინებას!

რა შეგვრჩა, მერი, მხოლოდ ხსოვნა ფერთა თამაშით,
დრო მიქრის, მაგრამ, ხსოვნას ჟამი ველარ გადაშლის!

**12.08.07**

**თბილისი**

* * *

სხეული მიწამ შეიერთა, სად გაქრა სული?
დღითა და ღამით ვეძებ, მაგრამ, ჯერ ვერსად ვნახე!
დავდივარ, ქამმა ამაცალა სიმშვიდე სრული
და უმოწყალოდ იგი მხოლოდ სევდაში მახვევს!...

დავდივარ ჩუმად, ვეფერები სალოცავ ხატებს,
შემოძახილი, უჩვეულო, სიმშვიდეს მაცლის!
სვეტიცხოვლიდან ზარებს ისევ დარეკავს მნათე,
ვზივარ სარკმელთან, მიირხევა ნისლები ბაცი!

წავიდა ის დრო, მომავალი არაფერს ნიშნავს,
შორიდან ისევ, ჰომერული ხარხარი ისმის!
ეს სივერაგე, მე არ ვიცი საიდან იშვა,
დღეთა სიშორეს ეფინება უზომო ნისლი...

დავდივარ კაცი, ცას და მიწას ვემარტოვები
ირხევა სივრცე მოზღვავებულ თეთრი რტოებით...

**12.04.20**

**თბილისი**

* * *

შენ ხარ ჩემი სიყვარული დიდი,
უშენობით მივირხევი მდოვრედ!...
შეღამების მეფინება ბინდი
და, ამაოდ, ვუტევ ჟამის მორევს!...

დავალ მძიმედ, ამღვრეული დარდით
და ამაოდ, ვეძებ კაცი ნაპირს!..
მთვარე, ისევ მეფინება ბადრი,
აჰა, უკვე ველოდები აპრილს!...

კვლავ დღეები მახსენდება, ყრმობის,
ალბათ, სადმე მაქცევს ფერფლად ჟამი!...
მიქანაობს ვარსკვლავების მწყობრი,
მეფინება მოყვითალო შავი...

სოფლის ღელე უშფოთველად მიდის
და მე მიმაქვს სატკივარი დიდი!...

**12.02.2019**

**თბილისი**

* * *

ნაღვლიანია დედამიწა შეღამებისას,
სხივთა მორევში ცურავს ისევ მზე ჩამავალი...
მე, მაგ თვალების სილამაზე თუკი მეღირსა,
სიყვარულია, მეგობარო, მხოლოდ მთავარი!

შენ იყავ ჩემი, იდუმალი, ზეშთაგონება
და აღტაცება, დასაბამით გაუხუნარი!
სულის ქროლვაა ერთადერთი ჩემი ქონება
და ღვთაებრივი სილამაზის ჩემი უნარი!

მერი მაკოცე, რომ სინაზე სულს დაეფინოს,
რომ შენი რხევა გახდეს ჩემთვის დაულეველი!
ეს ღვთაებრივი აღტაცება ჩავწეროთ ფირზე
შენზე ოცნებამ შემაყვარა მე ეს ტყე–ველი!

დრო არ ჩერდება, უჩვეულოდ მიედინება,
ოღონდ მაშინებს, რომ არ მექცეს იგი დილემად!

**25.05.62**

**სოხუმი**

* * *

**ტელეჟურნალისტ ლევან ჩხეიძეს**

შენ წახველ უკვე გაიყოლე ზღვა სიყვარული,
ერისშვილობა და ღირსება როგორ არ ვაქო!
ზვირთების ლაშქარს მიარღვევდი კაცი მხარულით,
რომელიც ერთობ მის გარშემო ყველაფერს აქრობს!

შენგან დანთებულ ცეცხლის მორევს, დრო ველარ აკრთობს,
მოძმეთა გულმა გაგაცილა მწარე ტკივილით!...
შენისთანები მტრებს ჩეხავდნენ... დიდგორს და შამქორს,
უტევდნენ მედგრად უქარქაშო ხმლების კივილით!...

შენი ელვარე აზროვნება, გვიტოვებს იმედს
და არ იცოდი, მეგობარო, რა იყო შიში!
ცხოვრების გზაზე მიაბიჯებს, მამული მძიმედ
და ზედ აღვრიან, მის ნათელ გზას უდაბნოს ქვიშის!...

შენისთანები იბადება ათასში ერთი,
მამულის ოხვრას შენი სულის დინება ერთვის!...

**30.01.19**

**თბილისი**

* * *

ამ ჩემს სატკივარს ბოლო არ უჩანს
და სულის კივილს გადავყვე ლამის!..
მდინარის პირას ყვავის ალუჩა
და უსმენს ტყიდან ირმების ბღავილს!...

ისევ მოცურავს ღრუბლებში მთვარე
და ისევ მესმის ზარების რეკვა!...
ვუმზერ და აღარ ვუჯერებ თვალებს,
რომ ქარიშხალი აწყდება კლდე-კარს!...

მომავალ დღეთა, არა მაქვს შიში
და ზღვის მორევში იალქნებს გავშლი!..
მიზანს ვერ ვაღწევ, ხელს ვიღაც მიშლის
და მაინც შენთან დავებებ კავშირს!...

ამ ჩემს სატკივარს, ნეტავ, რა ჰქვია!
რა შემზარავი ქარები ქრიან!

**27.10.72**

**სოხუმი**

* * *

დგახარ ცოტნეს გვერდით მამაცი კოლხი ბიჭი,
გამორჩეული სიწრფელით, აზროვნებით და ნიჭით!
გადიხარ ბრძოლით, კვეთებით უშიშრად ხიდზე ბეწვის,
რომ იხსნა შენი მამული, შემოტევისგან მეწყრის...

შენს გამოჩენას, ძმობილო, მიესალმება ერი
და მოქრის ტრამალებიდან მღვრიე გრიგალი ველის...
ცის კამარაზე ცისკრის ვარსკვლავებს რწმენით ვუმზერ,
თუმც ქერუბიმისფრთიანებს, ისევ გესვრიან გულზე!...

რა რაინდული ბუნებით, ებრძვი დინებას ჟამის,
რომ გაარღვიო ღრუბლები ჩვენსკენ დაძრული შავი!...
სივრცეს მიარღვევ შეტევით და ეხეთქები ქარებს
ეს ულმობელი დღეები, შორს, სადღაც მიგაქანებს!...

საუკუნეებს გაჰყვება შენი სახელი მტკიცე,
მიდიხარ, მიექანები და რწმენით წეწავ სივრცეს!...

**20.02.21**

**თბილისი**

* * *

ო, ეს ბაღნარი, სილამაზით გვავსებს ნიადაგ,
მზის სისტემაში ის ერთია ხალისით სავსე...
შენ ერთადერთი მიაბიჯებ ველზე ზვიადად
და ვარსკვლავების ჩანჩქერები გეღვრება თავზე!...

და სიყვარულით ცას და მიწას ვეთამაშებით,
კვლავ ჩიტუნების დაუმცხრალი ჟღურტული გვესმის.
სადღაც მიქრიან სიშორეში ფიცხლად რაშები
და საჭიროა მოვიშოროთ შური და გესლი!

მუდამ სავსე ვარ, მღელვარებით და გული ღელავს
და აღტაცებით მივირწევი მორევში ფერთა..
მე ვგრძნობ უშენოდ ქვეყანაზე არ არის შველა
და მიხარია, რომ გულები ტრფიალით ფეთქავს!..

მიდის ცხოვრება... ცას და მიწას ვეთამაშებით,
თებერვალია, და გალობენ რტოზე შაშვები!...

**10.02.80**

**სოხუმი**

* * *

ამ დედამიწის გაჩენისთვის, მადლობა უფალს,
უნდა ველტვოდეთ გაუმაგროთ სიცოცხლეს ყუნწი.
ო, აქ ბირთული ომის შემდეგ რა უნდა დარჩეს?
ერთმანეთს ცვლიან ეს დღეები კენტი და ლუწი!

იმდენი სისხლი დაიღვარა აქ, ამ მიწაზე,
ო, მასზე ფიქრი, საუბარი ო, არც ღირს უკვე!
ჩვენ ეს პლანეტა, ვერ გავიგეთ, რისთვის ვიწამეთ,
ან შესანდობარს მიცვალებულს აქ რისთვის ვუკმევთ!

დაღლილი სული ეფერება აქ ფერთა მორევს,
დასაბამიდან აქ ბობოქრობს ირგვლივ ყოველი!
ცხოვრება დიდი თეატრია, ვთამაშობთ როლებს,
უბედურებას, რღვევას დაშლას, ისევ მოველით!...

იდინე დროო, მიგაქვს სული ტანჯვით, კვეთებით,
დაქროლე ქარო, დრო სავსეა შემოქმედებით...

**08.02.2021**

* * *

ვიხსენებ წარსულს და თვალები გვევსება ცრემლით,
თეთრ ხიდზე ვდგავართ და ტკივილის უსაზღვრო ტყვე ვართ!
აჰა, საცაა გაცივდება ეს გული ცხელი,
და მწუხარების, მეგობარო, არ არის ტევა...

გავცქერით მშვიდად ტირიფონში რხევას რტოების
და მთვარეც მშვიდად მოირხევა ღრუბლების იქით...
ვდგავართ კუთხეში თეთრი ხიდის - განმარტოებით
გარდასულ დღეთა ოცნებებზე, ვიღლებით ფიქრით!....

და სიშორეში, ისევ მოჩანს ზოლები თეთრი,
ო, ჩემო მერი! ისევ ვფიქრობთ ხვალინდელ დღეზე!...
ზღვის პირას ვდგავართ და ვლოცულობთ სახელით ღმერთის,
ამჟამად დგანან მდინარის პირს ალვები ზეზე!

დრო მიქრის, სადღაც ჩამავალი სხივების გასწვრივ,
ო, ასე რატომ გისველდება, ცრემლებით ღაწვი!...

**14.04.17**

**თბილისი**

* * *

რა დამავიწყებს შენს  კაცობას ბრძოლებში გავლილს,
ახლა მინდორზე გაზაფხულის ქარები ქრიან...
შენს სიდიადეს არასოდეს გასვლია ყავლი,
არც შენს ქალობას და სიყვარულს, ძვირფასო ლია!

უკვე ჭაღარა შემოსილი დადიხარ მარტო,
ეთამაშები ო, მაგ მზერით ლაჟვარდებს ღიას...
წუთისოფელი არასოდეს არ არის სანდო
და სევდას მძიმეს შეღამების გაატან ნიავს!...

დამშვიდობება სამყაროსთან ძალიან გიჭირს,
თუმცა ტკივილით, შემზარავით, მოიწევს ჟამი-
დღეთა კივილში, შენ უშიშრად იდექი ბიჭი
და გახსენდება გაფრენილი დღეები შავი!...

შენ სიყვარულით საიმედოდ უცქერი ცისკარს,
არ დაცემულხარ, თუმცა ბევრჯერ დაგატყდა რისხვა!...

**12.03.21**

**თბილისი**

* * *

**ფრიდრიხ შილერს**

შენს თავის ქალას შევცქერი, ევროპულ მწერალთ რაინდო,
,,შეტევისა და ქარიშხლის“ სიმტკიცევ შეუდარებო!
მაგ შენი სული დიადი, რა მგზნებარებით აინთო,
რომ სიშორიდან ცის სიღრმის, ისევ რეკავენ ზარები!...

,,ვერაგობას და სიყვარულს“ შენ მოუნახე სახელი
და ყაჩაღების სავანეს მთელი სიმძაფრით ეწვიე.
შენ არაფერი არ დაგრჩა შეუცნობ–დაუნახველი
და გამარჯვება სიკეთის - შენ თხოვე მამაზეციერს!

სად გაქრა შენი სიმაღლე და უჩვეულო კვეთება,
საუკუნეებს გაჰყვები ო, მაგ ცეცხლით და ქარებით!...
უნაკლო, მრავალისმხილველი დატოვე შემოქმედება,
სავსე ღელვით და ფიქრებით და უჩვეულო ქნარებით!...

შენს სიდიადეს შევცქერით, სიბრძნით, რომ გვივსებს გონებას
და ქვეყნის დასასრულამდე, გვეყოფა მოსაგონებლად!

**19.02.20**

**თბილისი**

* * *

მე მთელი ღამე ღელვით სავსე დავდივარ მარტო,
ჩემს მთა–გორებზე ბილიკებით შეუსვენებლივ...
ვიხსენებ დიდგორს, ბასიანს და მარაბდას, მარტყოფს
და ქარიშხალი შემზარავი კივის ველების...

გზები მრისხანე, შეუპოვარ ბრძოლებით განვლეთ,
ღელავდა სისხლი, უჩვეულოდ ღელვით დაღვრილი!
მახსოვს დღეები უკუღმართი, ურჩი და მავნე
და სივრცეები უქარქაშო ხმლებით დაღლილი!...

გადავიტანეთ ულმობელი ბევრი წამება,
ბრუნავდა ყველგან შემზარავი ცეცხლი და კვამლი!
მავსებდა დარდით და ტკივილით შემოღამება
და სოფლის თავზე რწმენით სავსე ყივილი მამლის!

საუკუნენი კაცმა რწმენით მოვინადირე,
„ქართლის ცხოვრება“, ასე მწარედ რატომ მატირებს!...

**10.03.98**

**ბათუმი**

* * *

მე მთელი ღამე ამ კოშმარულ ღამეებს ვებრძვი,
ო, თუმცა მათთან, მეგობარო, ჭიდილი მიჭირს!
გარშემო სივრცე მახვევია, ვითარცა ძეძვი,
ერთმანეთს მძლავრად აწყდებიან ხეები ფიჭვის!...

დილით ცისკარზე გამოვდივარ დაღლილი მეტად
და ამ ჩემს ჭიდილს - უჩვეულოს, არა აქვს ბოლო!
კვლავ სიშორიდან გულსაკლავად მეძახის დედა,
ვერ ვუმკლავდები ამ უდაბურ ღამეებს ბოროტს!

და გადარბიან ქარიშხლები სივრცეში მედგრად,
ხანდახან მწარედ მეტირება, ტკივილს ვერ ვმალავ.
მიახლოვდება ო, რა მწარე კივილით დედა
და, ლამის არის, რომ გადავყვე ღამეებს წკვარამს!...

გუგუნებს ღამე და მე ვებრძვი ნიადაგ მწვავედ
და როგორ მძაფრად მეტირება, და ვტირი მწარედ.

**15. 03. 21**
**ბანძა**

* * *

შენს სილამაზეს თეთრი ლოდით დაფარულს ვხედავ,
ვიხსენებ წარსულს, გული მტკივა უზომოდ მწვავედ!
აქ შენს საფლავთან გაზაფხულის ყვავილი ფეთქავს
და რა ლამაზად იშლებიან, ხეები მწვანედ!...

ვიხსენებ შენთან შეხვედრების სანუკვარ დღეებს
და თვალებიდან უჩვეულო ცრემლები დამდის.
მიედინება სოფლის ცენტრში პატარა ღელე,
ვდგავარ საფლავთან და ვიღლები, ძვირფასო, დარდით!

ის დრო წავიდა, მიწამ ტანი გიქცია შავად
და ვაყურადებ მაგ სხეულის ტკივილით დაშლას!
აქ შენს საფლავთან სიყვარულით მოიწევს მამა
რაც მოხდა იგი, იყო მხოლოდ, ძვირფასო შარშან!

მე მახსენდება მთვარიანი ღამეთა წყება
და დავრჩი მარტო, ყველაფერი წამართვეს წლებმა!

**17. 04. 17**
**ბანძა**

* * *

რევოლუციამ რუსეთის, პარიზის სითავხედემ,
ფერი უცვალა ყველაფერს და მათ საოცარ ხედებს!
და ერთგულ შვილებს მამულის თითქმის ყოველ დღე ხვრეტდნენ,
პარიზის გილიოტინა, ანადგურებდა ედემს!

არავის ახსოვს მსგავსი რამ, რაც აქ ხდებოდა მაშინ,
ამ ორი ქვეყნის ხეივნებს სიკვდილი ედგა კვალში!...
ღირსეულ შვილებს მამულის თავს ჭრიდნენ დაუნდობლად
და აბრუნებდნენ ულმობლად ჟამის მრისხანე ბორბალს!

იმდენი სისხლი დაღვარეს, უკვე არ ითქმის ენით,
თითქმის დაკარგეს ქვეყნებმა: ეშხი, გემო და ფერი!
ამ ბოროტებას უმძიმესს, ატანდნენ ველურ ხარხარს ...
მათი ნგრევის და დაცემის არვის უნდოდა ნახვა!

წავიდა ის დრო მრისხანე, მათი ხსენებაც არ ღირს,
ამაოდ ვეხმაურებით, მათ ხსოვნას- მძიმედ დაღლილს!

**17.12.72**

**სოხუმი**

* * *

სული სიბერეს ველარ გაურბის,
ფერიცვალების გავხდი მხევალი.
როგორ მეცვალა ტონი საუბრის,
ვერ დავიპყარი ყველა მწვერვალი!

ქამთან კვეთებას ისევ ვაპირებ,
ისევ მივარღვევ, სივრცეს შეტევით!...
მე მიყვარს შენი ლურჯი ნაპირი
მზისა და მთვარის შემოქმედებით...

ვარ ტირიფონის ხშირი სტუმარი,
ამ ცას და მიწას ვეთაყვანები!
მოდის შორიდან, ხმა იდუმალი,
როგორც შრიალი - ლურჯი ყანების!

ცხოვრება მიდის სიყვარულის გრძნობით ულევით
და მიირხევა ვარდფურცლობის თაიგულებით...

**10.05.67**

**სოხუმი**

* * *

მე შევიყვარე აფხაზეთის ცა უმწვანესი,
მასზე ვლოცულობ, მის კამკამა ცას ვეფერები!
დავდივარ მარტო, იდუმალი შენი ხმა მესმის,
ის სილამაზე არ მეთმობა და ის ფერები!

მე ზღვის ტალღების სილაჟვარდე როგორ მაოცებს,
ამოიზიდა კვლავ ბექობზე წყება ფესვების.
ეს ცა და მიწა სიყვარულით ბევრჯერ დავლოცე,
და ეს სხეული ვარსკვლავების შუქით მევსება!

აქ არის ჩემი ოცნებების ვრცელი სავანე
და მზის და მთვარის მხურვალებით მე აქ ვინთები!
მე შენი დიდი სიყვარული რამდენს მავალებს,
აქ მეხებოდა უნაზესი შენი თითები!

ქუჩებს, მოედნებს, დავდივარ და ვეთაყვანები,
მე ტყვე ვარ მუდამ, უჩვეულო შენი ზმანების!

**14.04.73**

**სოხუმი**

* * *

თებერვლის ქარი მრისხანე, უკვე ყველაფერს წეწავს,
ამ ბოროტებას შემზარავს, ცივად დასცქერის ზეცა!...
ცვივა ნამსხვრევი ტოტების და იცრემლება ბაღი,
ვიღაც მეძახის შორიდან, უკვე უზომოდ დაღლილს!

მესმის ხარხარი შორიდან და გული მტკივა ძლიერ,
ვეცადე, მაგრამ ამ რისხვას ვერაფრით გავაღწიე
გაუდაბურდა ქვეყანა და ბაღს ვერაფერს ვშველი,
აქ უკვე ველარ ჩერდება და ტყისკენ გარბის შველი!

ეს რისხვა რატომ დაგვატყდა და სული მძიმედ კვნესის
და ხეებს ზეზე მდგომარეთ, ერთობ დააწყდათ ფესვი!
სიღრმეებიდან ტყეთა ირმის ყვირილი მესმის,
სივრცე სავსეა შხამით, სივრცე სავსეა გესლით!...

მზერით გადაღლილ თვალებს უკვე ედება თვლემა
და ეს ტანჯვა და წამება, მექცა ლექსების თემად!...

**17.02.59**

**სოხუმი**

* * *

ვეჭიდებოდი დასაბამით ხელებს სიკვდილის,
ვიყავი მუდამ, შემართული და მეტად ურჩი!
და მძიმე დღეებს, ჩემი ქვეყნის, ისევ მივტირი
და სალოცავად მქონდა ყმაწვილს - ჩემი ცა ლურჯი!

ორმოც წელს გავცდი, არა შიშით და არა ოხვრით,
იცოდეს ერმა, რომ ვიყავი მუდამ მართალი
საწუთროს გზებზე არ მივლია ბეჩავს და მოხრილს
და მუდამ მედგრად ვპასუხობდი რისხვას სატანის!

დღემდე მოვედი, გულში მენთო ცეცხლის მორევი,
ყველამ იცოდეს არ ვყოფილვარ კაცი ჯაბანი!
და მომავალში, მეგობარო, მეტსაც მოველი,
მეც მითრევია ჩემი ქვეყნის მძიმე ჭაპანი.

მეც მქონდა მეტად სანუკვარი ჩემი მოტივი,
მოვა დრო ურჩი, მეც მოვწყდები მუხას ტოტივით!

**18.02.16**

**თბილისი**

* * *

სიკვდილი მუდამ გზარავდა და, ახლაც გაკრთობს საშინლად,
მე მასზე ფიქრიც არ მინდა, დაუნდობელი რამ არის!
მასთან არ ვეძებ საერთოს, მე მასთან არ მსურს კავშირი,
ის მუდამ რისხვით მაწყდება და გამთხრელია სამარის!

რამდენჯერ მედგრად მეკვეთა, მუდამ მუქარით მოიწევს
სურვილს არასდროს არ მალავს და ბევრჯერ მექცა დილემად
ტკივილებს მოეზიდება, მერე მუჭაში მოგიქცევს,
ის მუდამ ახლოს ტრიალებს, არასდროს გაედინება!

მე მის შეხედვას ვერ ვიტან, ის მუდამ რჩება დილემად,
ფერს უცვლის თითქმის ყველაფერს, მას არ სურს შენი გაშვება.
ხან ძალზე ფრთხილად მოიწევს, ხან შემზარავად იწევა
და წუთისოფლის მინდორზე უყვარს ფარდების დაშვება!...

ხან ჩუმად მოგეპარება, მას ვერაფერი აშინებს
და სულს და სხეულს აშორებს, დუმილთან დაგაკავშირებს!...

**14.02.15**

**თბილისი**

* * *

თერმობირთვულ და ნეიტრონულ ბომბების არეს,
ნუ დავამსგავსებთ დედამიწის ამ ზღაპრულ ბაღნარს!
ამ სილამაზეს ნუ დავუთმობთ მოვარდნილ ქარებს,
უნდა გავიდეთ ამ შემზარავ ნაპირებს – გაღმა!

ამ იარაღებს სივრცე უნდა გამოვარიდოთ,
ჰემინგუეის აზრი ყველამ გავიზიაროთ!...
ველარ მოვირჩენთ, მეგობარო, მძიმე იარას,
ვინ შეებმება, ერთი მითხარ,სასტიკ იარაღს?!

გადავდგათ მძიმე ნაბიჯები და შევკრათ ზავი
და კავშირები გულისთქმასთან ნუ შეგვაშინებს!
სანამ პლანეტა დაინგრევა, იქცევა ზვავად
და წავაწყდებით სანამ დღეებს მღვრიეს, საშინელს!

ო, ამ პლანეტის რღევას ნუღარ შევეგუებით,
მისი მფარველი იყოს მუდამ ჩვენი გულები!

**12.08.97**

**ბათუმი**

* * *

შენ იყავ ჩემთვის, საყვარელო, დაცა და დედაც,
მე შენს უმისოდ, თითქმის, ვერსად ნაბიჯს ვერ ვდგამდი!
ზღვირთებს მოვარდნილს შეუპოვრად ვუტევდი მედგრად
და დავდიოდი გათელილი - ბიჭუნა დარდით!

შემიმსუბუქა მაგ ხელებმა დღეები შავი,
დამსდევდა ყველგან შენი მზერა საწუთროს გზაზე...
მიჭირდა ძალზე მოგონება დღეების ავის
და დავდიოდი მწუხარებით ყელამდე სავსე!

ვაგებდი ცაში საიმედოდ კოშკებს ოცნების
და მეგობრები სიყვარულით მიწვდიდნენ ხელებს...
და გაზაფხულის ცვარ-ნამებით განაოცები,
ანგელოზები ბოროტების ხურავდნენ ხვრელებს!

მოვედი დღემდე დევნილი და შენაშფოთები,
მეღვრება თავზე შემოდგომის მკრთალი ფოთლები...

**12.10.10**

**თბილისი**

* * *

ზამთარი მოდის... შლის იალქნებს მოურიდებლად,
გადაითეთრა ფანტელებით ირგვლივ ყოველი!...
წლის ოთხივე დროს, მეგობარო, მარად დიდება
და ვკოცნი მიწას - ფანტელების თრთოლვით მოფენილს!...

მე ფეხშიშველას მირბენია მორევში თოვლის
და ბავშვობიდან გული მიცემს დუცხრომელი!
მე ვეფერები ჩემს მინდორ–ველს პირველადყოვლის
და ჩემს მთა–გორებს მუდამ სავსეს შუქით - ცხოველით!

ალვები დგანან, ანთებული სართლების დარად,
თოვლიან ხეთა ხეივანში დავეხეტები...
ძვირფასო მერი! სიყვარულით გიკოცნი დალალს,
მერე გავრბივარ ტოლ ბიჭებთან თავგამეტებით!

ფანტელი ცვივა.... მოაქვს ღელვა აურაცხელი,
ჩვენ აღტაცებით თოვლით მორთულ მიწას დავცქერით!...

**10.12.61**

**სოხუმი**

* * *

მე სტუდენტური ბედნიერი დღეების ტყვე ვარ
და მახსენდება ხეტიალი ჩემს ძმაბიჭებთან!
დავდივარ მარტო, გულში სევდის არ არის ტევა
და მოგონება, უიმედო ტკივილს მიჩენდა!

ამდენი ფიქრით უიმედოდ გავჭაღარავდი,
გაქრა ის წლები და სიბერე მიახლოვდება.
ლექსების წერას მოვახმარე ჩემი ტალანტი,
ადგილის დედის სიშორიდან მესმის გოდება!...

წუთისოფელი, ნეტავ, საით მიედინება?!
და ჩემს გარშემო ყველაფერი როგორ ბერდება?!
დავდივარ მარტო, სიშორეში მივსდევ დინებას
და ფიქრით დაღლილს ულმობელი სევდა მედება!

და ჩემს გარშემო ყველაფერი იცვლება, ჭკნება
და სიხალისე უმოწყალოდ - წამართვეს წლებმა!...

**12.04.76**

**სოხუმი**

* * *

შენი ღიღინი შერჩა სახლის ეზო–კიდეებს,
სად მთვარიანში, მამავ, შენი აჩრდილი დადის...
და წყაროს გასწვრივ, მიცურავენ ლურჯი ბინდები
და ზეცა სხივთა ჩანჩქერებით მიდამოს ბარდნის...

ხან კი ოცნებით შეპყრობილი, ჭალისკენ მიხვალ,
სად წუთისოფლის ეფინება მინდორ–ველს დარდი...
ხან მარტოდმარტო აბაშის პირს თეთრ ლოდზე ზიხარ,
ხელში გიჭირავს ნაჩუქარი პატარა ხატი!

ხან მთვარის შუქზე, ლამინარულს გასცქერ დინებას,
ილვრება ისევ, სიშორიდან უზომო ფერფლი...
ო, ეს ცხოვრება, ბევრჯერ გექცა, მამავ, დილემად,
მაგრამ არასდროს არ ყოფილხარ -ცხოვრების მსხვერპლი!

ბევრჯერ ეკვეთე ქარებს ჟამის უზომო რისხვით
და არაერთხელ შენ უშიშრად დაღვარე სისხლი!...

**17.02.21**

**ბანძა**

* * *

სოფლის ბილიკზე ისევ მივალ სვენებ–სვენებით,
ფრთებს შლის საღამო, უცნაურად მეუხეშება.
მოვა დრო, სადმე საუკუნოდ ჩავესვენები
და მიწა დამგლეჯს, შემზარავი შავი ეშვებით!

სხეული ქრება, შეერევა მიწას ტკივილით
და მაქცევს იგი რღვევა–დაშლით მოლეკულებად!
საფლავის ლოდზე ქარიშხალი გადიკივილებს
და მოშორდება სულს გადაღლილს სევდაულევი!

ურჩი ტკივილით გადაიტანს იგი წამებას
ღამის სიჩუმეს- მოულოდნელს, დუმილით შევსვამ!
და დამადგება მძიმე ღელვით შემოღამება
ვეღარ მოვისმენ სიშორიდან უმწეო კვნესას!

საუკუნენი იქროლებენ ოხვრით, კივილით
და მიატოვებს სულს მღელვარეს - მწარე ტკივილი!

**12.09.17**
**ბანძა**

* * *

სიშორიდან ქარიშხლების ქროლვა,
ჩემს ქვეყანას შემზარავად აკრთობს!
გული მტკივა, მძიმე სევდა მომაქვს
და ქუჩაში ვხეტიალობ მარტო...

ბარბაროსებს ველარ განვერიდე,
სივრცე კივის ღელვით დაუმცხრალი.
ქარიშხალი ო, რა მედგრად მიტევს,
დამილეწა თითქმის ყველა კარი!

მწარედ კივის, ცას გაუჩნდა ბზარი,
ეს რამდენჯერ დამეღალა ფრთები!
ისევ რეკავს შემოდგომის ზარი
და ჩემს მამულს უტევს გამუდმებით!

ჟამი კივის, ვერაფერი გვიხსნის,
ბარბაროსნი გვიცქერიან ...ზიზღით!

**16.09.2017**

**თბილისი**

* * *

**ალბერტ აინშტაინს**

ძალზე მარტივი ფორმულებით გზა გაიკვლიე
და მიაგენი ბირთულ ძალთა იდუმალებას...
ყველა მეცნიერს აღმოჩენით შენ ერთმა სძლიე,
და საიდუმლოდ ჩამორეკეს ციდან ზარებმა!

რა იყო შენი აღმოჩენის ვეება ნაკლი,
ყველაზე უწინ ამას მიხვდა გენია ....შენი
ამას კი მოჰყვა ხიროსიმა და ნაგასაკი
და შემზარავი იარაღი უბოძე მერმისს!...

ტრუმენი თითქმის ცას ეწია ამ აღმოჩენით
და მთელი ღამე გამუდმებით ცეკვავდა იგი!...
რაც მოჰყვა ამას, ის არ ითქმის უთუოდ ენით,
მას ვერ განკურნავს: ბეთჰოვენი, ბახი და ბრიგი!

და დედამიწა დაღუპვის წინ მონურად იდგა,
აინშტაინი ამ ტკივილებს ვერ გაცდა დიდხანს!

**22.08.46**

**სოხუმი**

* * *

**ჩიტო კაკაბაძის ხსოვნას**

მე არ მახსოვხარ, შენ დაღლილი და ასე ჩუმი,
წავიდა ის დრო, რომ ცხოვრებას უტევდი მედგრად!
ვინ შეგაჩვია ამ მიწაზე შემზარავ დუმილს,
ნუთუ სიკვდილთან უკვე შენი შეხვედრა შედგა!

მაგ შენს ძარღვებში ნუთუ სისხლის მდინარე დაშრა,
წევხარ კუბოში - კაცი უკვე უზომოდ მკრთალი!
ვერ გაექცევი მაგ მუხლებით რღვევას და დაშლას,
აჰა, საცაა გაუყვები ბილიკებს მთვარის...

შენ, რომ გიყვარდა, იმ ხეივნებს, კვლავ ვერ ეწვევი
და ვერც სროლებით გაუყვები - ტამიშის უღრანს!...
ბევრჯერ სიკვდილი დაამარცხე ღმერთის შეწევნით,
ვიხსენებ დღეებს - გარდასულებს და როგორ ვწუხვარ!

ეს ვინ გაქცია, მეგობარო, მდუმარე მასად,
ნუთუ სიკვდილმა შხამით სავსე ბადაგი გასვა?!

**21.01.19**

**თბილისი**

* * *

**ჩემს შვილიშვილს – გიორგის**

შენს სიყმაწვილეს, გაზაფხულის ფერებით ნაქსოვს,
დასაბამიდან, სიყვარულის არხევდა ქარი...
მე სიყმაწვილის სათაყვანო დღეები მახსოვს
და მოზღვავება შენს ბილიკზე - მზისა და მთვარის!

ვეფერებოდი, უსამანოს შენს ღიმილს რიდით
და ირხეოდა გაზაფხულის... სიმების წყება!
წუთისოფელი სიშორეში ტკივილით მიდის,
მაგრამ არასდროს არ ეძლევა, ის დავიწყებას!

შენს ჭაბუკობას დროის დენა ვერაფერს უზამს,
მე ხომ უსაზღვრო ნეტარებით ვიწამე იგი!
მაგრამ ხელიდან არ გაუშვა არასდროს ლუზა
და მომავალი გამარჯვების დაგადგამს გვირგვინს!

ჩემო გიორგი, სიყვარულის ნექტარი შესვი,
იარე მედგრად და იწამე ქართული ფესვის!

**11.12.20**

**თბილისი**

* * *

გავლილ წლებს დიდი სიხარულით ვიხსენებ ისევ,
შენსკენ ჩემს წრაფვას, ჩემო მერი, არა აქვს ზღვარი...
ხანდახან იგი მეტად მწარე ტკივილებს მისევს,
რას უცდი, ისევ გაზაფხულის, იქროლე ქარო!

ცის სილაჟვარდეს, ოცნებებით გავცქერი მუდამ,
სულს მივსებს ღელვით, ვარსკვლავების ფერადი წყება!...
ვეცადე, მაგრამ, ვერ გავექეც სივრცეებს მგუდავს
და რამდენრამე უმოწყალოდ წამართვეს წლებმა!

ვინ მოთვლის, მამულს თუ რამდენჯერ მოაწვა სუსხი
დავბარბაცებდი ქუჩა–ქუჩა ტკივილით სავსე!...
ჩემი მთა–ბარი გადიჯეგა ჩექმებით რუსის
და ჩემი ზეცა, თუ რამდენჯერ დამამხეს თავზე!...

მოსეულ ძალებს შემართებით ვეკვეთეთ მედგრად
და ოკუპანტებს არაერთხელ ვუტირეთ დედა!...

**12.09.20**

**თბილისი**

* * *

რა უსიცოცხლოდ მიირხევა ხეების წყება,
ცივია ბაღი და თებერვლის ჩამოდის წვიმა!...
გარშემო მხოლოდ ნისლები და ლანდები წვება,
მოვდივარ მარტო, უჩვეულო ტკივილი მიმაქვს!...

სველია სივრცე და მდუმარებს ირგვლივ ყოველი,
მიდის დღეები და სიცოცხლე გამოსცემს სევდას!...
ბრუნავს გარშემო, უდაბური ცივი მორევი
და მწარედ მოთქვამს, გადაღლილი, ადგილის დედა!...

და გაზაფხულის ნაპირები, ჯერ კიდევ არ ჩანს,
ირხევა მხოლოდ, უჩვეულოდ, ნისლის ფაფარი...
და სილამაზე სიშორეში, სადღაც შორს დარჩა,
მივდივარ მარტო - დაღლილი და მიუსაფარი...

გაზაფხულს ვუხმობ, მაგრამ პასუხს არავინ მაძლევს,
მივდივარ უხმოდ.... შემზარავი ტკივილი მაწევს...

**04.02.89**

**სოხუმი**

* * *

გასძახი წარსულს, მაგრამ პასუხს არავინ გაძლევს,
თუმცა სიმშვიდეს, შემართული არასდროს კარგავ!
შენ საუკუნის ტკივილები მაგ მხრებზე გაწევს,
უმძიმესია, ბიჭო შენი, ამქვეყნად საგა!

ისევ მიიწევ ბრძოლის ველზე, ძმობილო, მედგრად,
წონასწორობას ღვთის ნაჩუქარს ატარებ რწმენით!
დემონურ ძალებს არაერთხელ უტირე დედა
და ბოროტებას თელავ ერთობ, უზომოდ წყევლი!

დიდება იმას, ვინც სიცოცხლე მოზიდა სოფლად,
არაფრად გიღირს, მეგობარო კრთომა და შიში.
შემზარავ ძალებს მამაცურად უტირე ყოფა
და სიშორიდან უჩვეულო მოგძახის ჯიში!

ახარებს მამულს ერთგულება, ძმობილო შენი,
შემოიფანტე არაერთხელ მიწაზე ბნელი!...

**10.03.21**

**თბილისი**

* * *

მიწის სიღრმიდან ამოვიდა ფესვებით მძლავრით,
მერე ტოტები მომხიბვლელი გაშალა ქარში...
შრიალებს ისევ ფანჯრასთან ყვავილი ქარვის
და მიქრის სადღაც, სიშორეში, ზღაპრული რაში.

ამ გვიან ღამით რას იცინის სარკმელთან ბავშვი
და ყვავილების უჩვეულო ჩანჩქერებს ერწყმის!
მე ვაყურადებ ჭადრის ხეზე, რომ გალობს შაშვი
და მთვარის შუქზე კვლავ ილვრება ფერები ვერცხლის!

პატარა გოგო აფერადებს ღიმილით სივრცეს
და გაზაფხულის საოცნებო ფერებში ვიწვი!
მე გაზაფხულის სიყვარულით გული კვლავ მიცემს
და ვარდფურცლობის ღიმილს ფანტავს სურნელი მიწის!

იდინე დროო და ამავსე აპრილის რწმენით
და დამიბრუნე ჩემი ყრმობის სიმღერა ძველი!

**17.04.20**

**თბილისი**

* * *

შენი ტრფიალის გზა, ძვირფასო, ჩემს გულზე გადის
და ვიცი, იგი შენს სიყვარულს გაითავისებს!...
მიფრინავს, სადღაც სიშორეში დღეები მარდი
მოვდივარ შენთან და ოცნებით მირხევ დაისებს...

მზე ჩადის, მაგრამ ჩვენ ვანთივართ გრძნობით ულევით,
ჩვენ ერთმანეთის ვიცით ფასი, გვათრობს ბინდები...
მივდივარ შენთან ვარდ–ყვავილთა თაიგულებით,
უერთმანეთოდ, ვერასოდეს ვერ დავმშვიდდებით!

დრო მოვა, ქროლვით, სიშორეში გავიტყორცნებით,
შეგვრჩება გული, აღტაცებით დაუბერები!...
ნიავის ფრთებზე იხასხასებს ლურჯი ბორცვები
და გაზაფხულის ავივსებით მწვანე ფერებით...

გაჰყვება მერმისს სიყმაწვილე თამაშ–თამაშით
და ავტირდებით, როცა ხსოვნის დღეებს გადავშლით!...

10.04.19
ბანძა

* * *

„იღბალი მამაცთა თანამგზავრია“
ალექსანდრე მაკედონელი

Სისხლის წვიმებით დედამიწა დღემდე ვერ გაძღა,
რომ არ გაწითლდა ერთიანად ძალიან მიკვირს.
ქარების ქროლვა, ამ მიწაზე, ვერაფრით დაცხრა,
ეცადნენ, მაგრამ ხომ ვერავინ გაექცა სიკვდილს!

შენ ერთმა შეძელ ქვეყანაზე შეუძლებელი,
მოსპე ირანი, ინდოეთი, ძველი მიდია...
გაძარცვე, ერთობ სპარსელების მიწა ბებერი,
რაც აქ მეფეებს, დასაბამით მოუზიდიათ!

და ზღვა ლაშქარით სივრცეები გადინადირე,
არავინ უწყის წუთისოფელს თუ რა ფერი აქვს!
და მტრებს, ვინ მოთვლის თუ რამდენი სისხლი ადინე,
ყველა ბრალდება აზღვევინა შენმა გენიამ!

მიგყვება ტანი უსაშველოდ ნაიარევი
და მზერა მშვიდი რწმენისა და სევდის ნარევით!...

**12.12.19**

**თბილისი**

* * *

ჩემი ბავშვობის ლამაზ დღეთა ხმაური ისმის,
დიდიხანია, რაც წავიდა, გამშორდა იგი...
ჩემს ბილიკებზე იისფერი ირხევა ნისლი,
აქ, ამ მინდორზე ყვავილების ვიდგამდით გვირგვინს!

და ჩემი ყრმობის ღელე ისევ მიედინება,
ცის ლამაზ ნაჭერს ის სილაღით ირეკლავს დღემდე!
შორს მიდის ღელვით და რტოებქვეშ მიიჩრდილება
და ჩემი ფიქრით მის ნაპირებს რამდენჯერ ვენდე!...

ჩემს გაქრობასთან ქრება ისიც - გრძნეული რხევით
და მოლაღურის სტვენა მოფენს სიამეს დღეთა...
გაფრენილ დღეებს დააბრუნებს ქვეყნად ვერავინ,
იმ სილამაზის სამუდამოდ შეწყდება ფეთქვა!

ვიხსენებ ღელვით რამდენრამეს, გული ღონდება,
ადგილის დედის სიშორიდან მესმის გოდება!...

**20.12.2020**

**თბილისი**

* * *

ვერ მოვიშორე დაბურული კოშმარი ღამის,
დავდივარ გარეთ, გულო ჩემო და მებრალები!
მივაყურადებ სიშორიდან ირმების ბღავილს,
ამ სულის ღელვას და ტკივილებს ნაზიარები...

წავიდა დღეთა სილამაზე, შორს სადღაც გაქრა
და ბილიკებზე მოთენთილი დავეხეტები...
ვეფხვის ბრჭყალებით გულის გასწვრივ ტკივილმა გამკრა
და ფოთოლცვენის ღამეებში ვეღარ ვეტევი!

ვიხსენებ წარსულს, რომლის განცდა მედება ღელვით
და მე მთიების გამოჩენას დაველოდები!
დავდივარ გარეთ და სევდიან სიმღერას ვმღერი
და მეწვის გული, მეგობარო, ცეცხლის მოდებით!

მოდის ცისკარი... ღამის წკვარამს ჩამოვიშორებ
და შეცვლის დილა სევდიანი ზეცის სიშორეს!

**14.11.19**

**თბილისი**

* * *

ჩვენი ცხოვრების ლამაზი ხანა,
დრო მოვა ბინდით დაიფარება!...
ვიცი ტკივილით გავქრებით, ანა,
და შემოვრჩებით ხსოვნას ზმანებად...

და ოცნებებით დაღლილი სივრცე,
ო, ახალს უკვე ვერაფერს გვეტყვის!
სანამ, ძვირფასო, გულები გვიცემს,
არ გავხდეთ მსხვერპლი ქარის და სეტყვის!

სად დავეცემით არავინ იცის
ო, სანამ კვნესა დაცდება ბაგეთ!
გაგვყვება სევდა შორეულ რიცხვის
და დაშლის მიწა სხეულთა ნანგრევს!

და მჯერა, მერე ვერვინ გვიშველის
შერჩება მიწას ძვლები შიშველი!

**15.09.06**

**თბილისი**

* * *

ეს ღამე ურჩი, რა ულმობელ წამებად მექცა,
ღელვით დაღლილი ამ კედლებში ველარ ვეტევი!
ო, როგორ მინდა, ამ შემზარავ გარემოს შეცვლა,
ვბარბაცებ კაცი, გადაღლილი, მძიმე შეტევით!

დავბორიალებ... ულმობელი ცეცხლი მედება
და გული ოხრავს, მაგრამ ბნელთან, ვერაფერს გავხდი!
სულის ვექტორი იგერიებს ყველა შეტევას,
და წინ მიიწევს, ბოროტების დაამხოს ტახტი!

ქარი ხმაურობს უსაშველოდ და ელვა ფეთქავს,
ღამის ჯოჯოხეთს, კვლავ ვაწყდები, მძიმე დარდებით...
ისევ ქვითინებს უსაშველოდ ადგილის დედა
და მახვევია შემზარავი შავი ლანდები!...

გავაღე კარი და ვეხლები ზვირთების წყებას,
ქრიან დღეები და მიწაზე სიკვდილი წვება!...

**03.06.20**

**თბილისი**

* * *

ჩინეთს ვაბრალებთ ამ ვირუსის მოსვლა - გაჩენას,
ო, ასე რატომ გაგვიმეტა, ნეტავ, გამჩენმა?!
დღემდე შეტევა კორონასთან არის ამაო,
ვერც ექიმები შველის მაგას და ვერც, მამაო!

რატომ ვართ, ნეტავ, უიმედო, ასე უძლური,
მის სივერაგეს გავურბივათ გზებზე ძუნძულით!...
მას ვეღარ აფრთხობს რისხვა, წყევლა დაუნდობელი,
არ უშინდება წვიმას, თოვლს და ქარებს მობერილს!

მას არც ფერი აქვს, არც ზომებს და სივრცეებს იცვლის,
და ყველა ვირუსს ჭარბობს ერთად შორეულ რიცხვის!
ის მთელი ძალით სხეულების სიღრმეში ილტვის,
შემოგიტევს და ერთად გეწვის გული და ფილტვი...

იქნებ ოდესმე დავამარცხოთ, მაგრამ მანამდის,
ისევ გვჭირდება - დიდგორის და ომი მარაბდის!

17.04.20
თბილისი

* * *

დავცქერი  საფლავს და ეს არის აუტანელი,
რეკავენ მძიმედ სევდიანი ზარები მწუხრის...
დრო მიდის, მაგრამ ჩემს ტკივილებს ველარ ანელებს
და გადადიან ცის თავანზე ღრუბლები რუხი.

ვერ გავექეცი ჟამის ტკივილს, სულის წამებას...
და ეს ცხოვრება, დაუნდობლად, ზვირთს ზვირთზე მახლის!...
სული ვერ უძლებს მწარე განცდას შემოღამების
და იცრემლება უიმედოდ ეს ჩემი სახლი!...

სად გაქრა ო, ის სილამაზე და სიელვარე,
ფერთა მორევში, რომ ვცურავდით მე და შენ ერთად...
ის ნეტარება, რატომ გაჰყვა შორეულ ქარებს
და გაქრა სადღაც, უიმედოდ თამაში ფერთა!

და ეს დღეები ჩემთვის გახდა აუღებელი,
დავდივარ მარტო მწარედ ოხრავს გული ბებერი!...

**30.11.16**
**ბანძა**

* * *

მზე დილით ადრე შემოიჭრა ჩემს სავანეში
და ალტაცებას უჩვეულოს არა აქვს ზღუდე.
ეს სილამაზე, მეგობარო, ნამდვილად შემშლის
და ვაყურადებ ჩიტები, რომ აგებენ ბუდეს!

მათი ქლურტული, საოცნებო სინაზეს ერწყმის,
არავინ იცის, თუ საიდან მოიწევს იგი!...
დასაბამიდან სიყვარულით გულები ეწვით,
იდგამენ თავზე ვარდფურცლობის სანუკვარ გვირგვინს!

და განთიადზე მაფშალია იწყებს გალობას,
მერცხლები ცაზე, უფრო გვიან იწყებენ ჭიკჭიკს!...
ეს არის მათი ალტაცების გარდუვალობა,
ვაყურადებდი ბავშვობიდან - ამ ზღაპარს ბიჭი...

წავიდა ის დრო, ბამბუკების ჭალაში დავალ
და ცის ქვეშეთში სიშორიდან ღიღინებს მამა!

**22.05.60**

**თბილისი**

* * *

სონეტი იქცა ჩემთვის ლექსის უმაღლეს ფორმად,
ვეძლევი ღელვას, როცა მე მის სტროფებს მივმართავ.
ჩემში მის მიმართ სიყვარულმა უფრო იმატა
და სულს პოეტურს მოეძალა ნიადაგ ქროლვა!...

მე შექსპირული ვარიანტის მომხრე ვარ ერთობ,
ის გახდა ჩემთვის სიდიადე უკიდეგანო...
მადლობელი ვარ, რომ მომმადლე სილაღე, ღმერთო
და მეფინება სიშორიდან მთვარის ზეგანი!

ო, მის პოეტურ მეტყველებას, თან ერთვის სიბრძნე,
მის სილამაზეს, უჩვეულოს, ვეალერსები!...
უბერებელი ჩემში უფრო ირხევა სივრცე,
მედგრად გაიდგა სონეტებმა ჩემში ფესვები!

მე მხიბლავს მისი სილამაზე, მისი ხატება
და მავსებს გრძნობით, მზის და მთვარის შემონათება!

**12.06.57**

**თბილისი**

* * *

სულს, ასე რატომ მიეფინა ტკივილი მწარედ,
ბედის საწუთრო რა გზადაგზა იცვლის კალაპოტს.
მოდის აპრილი, იმოსება ბუნება მწვანედ
და მზეს მოუნდა, რომ ნისლების სისქე გააპოს!

ზამთრის დღეების გაირიდა მთვლემარე რიდე
და ვარდფურცლობის სილამაზე ედება მინდვრებს!
ფეთქავს ტყე-ველი და ქღურტული ისმის ჩიტების
და მეც ბილიკებს სიშორეში გავეკიდები...

გელით მერცხლებო, გამიხარეთ გული ხალისით,
თქვენი ჭიკჭიკით, ამიყვავეთ, სულის ხარისხი!
ვცურავ ფერებში და მეხვევა თეთრი და მწვანე,
რად მომაგონდი, ასე რატომ ავტირდი მწარედ?!

შენი ხატება მომელანდა მთვარის სამოსით,
რად გამაღვიძა ტკივილებმა სასაფლაოსი!...

**24.04.19**

**თბილისი**

* * *

ხეები ისევ შესამკობად ემზადებიან
და გაზაფხული ნაზი ფრთებით აწვება სივრცეს...
სარკმელთან მდგარი კვლავ ლოცულობს გრძნობებით ბებო
და უჩვეულო სიყვარულით მე გული მიცემს!

ქრის ნიავქარი და სარკმლიდან ცას გავცქერ ლოცვით
და ვარსკვლავები დაცურავენ სივრცეში ლაღად...
მოდის აპრილი და მინდორ-ველს ეცვლება ფერი
და ვიღაც, ისევ სიშორიდან მეძახის გაღმა!

და მონადირე ძაღლის ისევ მოისმის ყეფა,
რა საოცარი სილამაზით შრიალებს ბაღი...
და ნუშის ტოტი, ყვავილების ჩანჩქერებს მაღვრის,
ყვავილთა ზღვაში, სიყვარულით დაცურავს დედა!

შენს სილამაზეს აღტაცებით დაველოდები,
დამშვიდდი გულო, მეგობარო, ნუღარ ღონდები!...

**12.04.21**

**თბილისი**

* * *

დავემშვიდობე, ჩემი ყრმობის, სანატრელ დღეებს
და მოვიარე ჩემი სოფლის კუთხე–კუნჭული...
მივაყურადებ ყოველივეს, თვალს მივადევნებ,
და ვეთხოვები ამ ჩემს ღელეს - ღელვით, ჩურჩულით!...

და ავედევნე ალვის ხეთა აწვართულ წყებას,
მიდის საწუთრო, უჩვეულო, ფერთა შრიალით,
მზე ჩადის, უკვე შეღამების ლანდები წვება
და თავთუხების ზღვაში გარბის, ცელქი ნიავი...

გულს უნდა ისევ გაჰყვეს შუკებს, ღელვით, თამაშით,
არაფერია ბუნებაში მოულოდნელი...
ჩემი ცხოვრების ფურცლებს, როცა გრძნობით გადავშლი,
სულო, მითხარი, რაზე წუხარ, რატომ ღონდები?!

ამ ბილიკებზე ვქროდი მუდამ დაუოკები,
გაქრა, ის ჟამი, ნაკვალევი არ ჩანს, ბოკვერის!

**17.06.2002**
**ბანძა**

* * *

რატომ გაურბის სული ფერებს შემოღამების
კვლავ ინთებიან ვარსკვლავები და გული მითრთის!
ვერ უძლებს იგი განშორების კვნესას, წამებას,
გავცქერი რიდით, ბებერ ხეებს ედება ბინდი.

დანაგუბარი ცრემლი ლოყებს რატომ მისველებს,
დრო მიდის სადღაც და მოუცავს სივრცე ზმანებას!
მე შენზე ვფიქრობ, თუმც, ბევრ რამეს ვეღარ ვიხსენებ
და ჩუმი ოხვრა, გულს საოცრად მოეძალება!

ისევ მატყვევებს, მაგ თვალების ფერთა თამაში
და ილვიძებენ ვარსკვლავები ჩუმი გალობით...
ჩემს ოცნების წიგნს ოცნებითვე, როცა გადავშლი,
მომაგონდება სილამაზე - შენი ქალობის!

არავინ იცის,  თუ საითკენ მივექანებით,
კვლავ იხმაურონ მინდა სულში, გრძნობის ქარებმა!...

**01.01.19**

**თბილისი**

* * *

შენი სიცოცხლის ბოლო დღეებს ტანჯვით ვიხსენებ
და ჩემს სატკივარს, უსაშველოს, არა აქვს ზღვარი.
ამ წამებისგან გევედრები, ღმერთო მიხსენი
და, ისევ რეკავს შეღამების მწუხარე ზარი!

ძვირფასო, როგორ მებრალები, არ ვიცი რა ვქნა,
ვერ უმკლავდება შემოტევას - დინება სისხლის!
და ქარიშხალი ჩემი გულის აწყდება ბაქანს
და ეფინება ჩემს არსებას... მთვლემარე ნისლი!

როცა მაკოცე, თვალებიდან ცრემლები წამსკდა,
ვერ შევაჩერე შემზარავი კივილი სულის!
ვინ მოთვლის გული ნაწამები რამდენჯერ გასკდა,
მერე გამეფდა უიმედო, სიმშვიდე სრული!

მე ამ სატანჯველს უკვე დღემდე ველარ ვიშორებ,
ვერ გავატანე, მწარე სევდა, დროის სიშორეს!...

**14.07.20**

**თბილისი**

* * *

**ზ**ამთარი მოდის... ჩიტუნების ისმის წივილი,
ადგილის დედის სიშორიდან მესმის გოდება!
ჩემს ბაგეებზე სამუდამოდ გაქრა ღიმილი,
ამდენი ღელვით და წამებით გული ღონდება!

სევდა ზეიმობს, მოაქვს დარდი გაუგონარი
და ჩემს გარშემო, ხეივნები უკვე ბერდება!
იმ ლამაზ დღეთა სამუდამოდ დაწყდა ზონარი,
დრო მიდის სადღაც, არაფერი მეიმედება!

მოდით ბიჭებო! დამიბრუნეთ ის სიხალისე,
მიდის ცხოვრება და მდინარე მოიზვირთება!...
დავდივარ მარტო და ფიქრებით მივსდევ დაისებს
და სული უკვე, ჩამავალ მზის შუქით ინთება!...

გავცქერი ღელვით, სიშორეში მიდის თაობა
და ერწყმის უკვე არსებული - არარაობას....

**14.08.67**

**სოხუმი**

* * *

ვიცი, სიკვდილი ულმობელი ჭაობად მაქცევს
და მერე ძვლები ჩაიშლება სიღრმეში მიწის...
როგორ არ მინდა, გულისცემა ერთბაშად დაცხრეს,
მე შენი დიდი სიყვარულით ნიადაგ ვიწვი!...

ამოვიზიდე სიშორიდან ღიმილით წრფელით
და გაზაფხულის ელვარებით ვინთები ერთობ!...
სხეულს რა უცბად ეკარგება, ძალა და ფერი
და სულს ზეციურს, შენ არავის დაუთმობ ღმერთო!

და ცათა შინა აინთები უსაზღვრო თრთოლვით,
ანგელოზები აღტაცებით გირხევენ სიმებს!...
და არაერთხელ გადაუვლი სივრცეებს ქროლვით
და არასოდეს აღარ კარგავ, რწმენას და იმედს!

ო, ასე ხდება, განშორება სულის და ხორცის,
სული ინთება და აქ რჩება დაშლილი ხორცი!...

**04.02.20**

**თბილისი**

* * *

მერი, მე შენი სილამაზე ოცნებად მექცა,
აჰა, საცაა გაზაფხულის მოდგება ჟამი
და ვაყურადებ მაფშალიას, ხან ჭიკჭიკს მერცხლის,
მიიზლაზნება სიშორეში ღრუბელი შავი...

დაუვიწყარი გახდა ჩემთვის იმ დღეთა წყება,
მზეს გაურბოდა მოციმციმე ბინული ცივი...
მე ბევრი რამე დარდით დაღლილს წამართვეს წლებმა
და გაზაფხულის რტოზე ისევ ჩიტუნა წივის!

მოულოდნელი გახდა ჩემთვის, თამაში ფერთა,
მინდვრის ხავერდზე ისევ მწვანე ნიავი დაქრის...
ძარღვებში სისხლი მოულოდნელ სილაღით ფეთქავს
და ერთმანეთთან ახლოს ვდგავართ - სიტყვით და საქმით.

მე შენს ნაპირებს სიყვარულით ვემარტოები,
ისევ გვეძახის ხეივანში  რხევა რტოების...

**19.04.61**

**სოხუმი**

* * *

რად მენატრება ზამთარი სოფლის
და ნადირობა კურდღლებზე ტყეში...
ბედნიერ დღეებს ვიხსენებ ყოფილს
და გული ხსოვნით საოცრად ხვნეშის!

ხვალ დილით ქალაქს დავტოვებ ადრე,
რომ ვნახო ჩემი სახლი და ეზო!
და ჩემში რამდენ სიხარულს ჰბადებს,
რომ იქ დამხვდება ბოჩო და რეზო...

ხვალ, ისევ სოფლის სანახებს ვნახავ,
ვერხვის ხე მელის დაღლილი ფიქრით
და ალტაცება რამდენი მახლავს,
შევიმოსები კვლავ თოვლის ფიფქით!

დრო, ისევ წრაფად მიედინება,
სოფელზე ფიქრი მექცა დილემად!

**14.12.11**

**თბილისი**

* * *

**მეფე ფარნავაზს**

შენ გახდი მეფე ძლიერი და რაინდებში რჩეული,
იყავ პირველი შემქმნელი ჩვენი ქართული ანბანის!
იცავდი შენს დიდ ქვეყანას გონით, მამაცურ სხეულით,
ბრძოლიდან გამოდიოდი მუდამ მტრის სისხლით ნაბანი!

ქართულ წიგნებით აავსე შენი მამული დიადი
და იდგა ფეხზე სამშობლო, ვერხვივით ლაღი შრიალით.
ყველანი ერთსულ შეჰკარი და ღელვა კერპებს მიანდე
და მოუშუშე ქვეყანას ყველა ტკივილი, იარა!

შენ საფუძველი შეჰქენი - დიდი რწმენის და იმედის
და ქართლი გახდა ცნობილი, აურაცხელი სიმდიდრით!
გახდა ბნელეთის დამხობი და ბოროტს განაკიდები
და ულამაზესს ქვეყანას, ეტრფოდი მთელი სიდიდით!

და თაობები მოდიან... შენს ღვაწლს უმაღლესს ვაფასებთ,
მეფეთა შორის შენ დგახარ, ამ საპატიო დაფაზე!

**26.02.20**

**თბილისი**

* * *

მე ვეფერები ულამაზესს-დღეებს ბავშვობის,
მის ალტაცებას, დავიწყებას ვერ მივაკარებ...
ვდგავარ სარკმელთან, მოგონებას ველარ ვიშორებ,
ჩამოდის თოვლი და კარს მიღებს იანვარის ქარი...

ის ჟამი გაქრა, სევდიანი გავცქერი სივრცეს
და ნეტარება მე იმ დღეთა მიკლებს ხმაურით!...
დავდივარ მარტო, მწუხარებით გული კვლავ მიცემს
და იკლებს სოფელს პატარების აურზაური!...

თოვლს დაუფარავს, მოქათქათეს, ჭიშკრის ურდული,
სერავდნენ სივრცეს, ფერიები, წრფელი ღიმილით!...
გადადიოდა ხედებს თეთრი მამლის ყივილი,
იდგა სახლები ლოლუებით შემოღობილი!..

რამ შემაყვარა ფანტელების შრიალი, რხევა?
და მოგონების, ო, იმ დღეთა ტრფიალის, ტყვე ვარ!

**21.01.18**
**ბანძა**

* * *

გაფრენილ დღეებს რა დამავიწყებს,
როცა ზღაპრული გრძნობებით ვენთეთ...
ვიხსენებ იმ ჟამს და თრთოლვას ვიწყებ,
რომ ჩვენ ერთმანეთს საოცრად ვენდეთ!

მეძახდა შენი ხატება... წრფელი,
ვეძებდით მყუდრო სავანეს მუდამ!
მათრობდა ჭრელი თვალების ფერი,
უშენოდ, როგორ მიჭირდა სუნთქვა!

მერი ძვირფასო! ცოტა რამ დაგვრჩა,
არ გავიკაროთ კრთომა და შიში!
სიკვდილი მუდამ აშინებს ლაჩარს,
ჩვენ ხომ ამ ქვეყნად ტრფობისთვის ვიშვით!

ჩვენი სიცოცხლის რეკონ ზარებმა,
რომ დარჩეს ქვეყნად ჩვენი ზმანება!

**12.05.18**

**თბილისი**

* * *

შემოდგომა მიილია და ზამთარი მოდის,
მთაში ირმის ყვირილია და მე ვარჩევ ლოდინს!
ზამთარი თეთრ იალქნებს შლის, დგას ფოთლების შავი,
გული მღვრიე ქარებს უძლებს, მარად დაუმცხრალი!

გული, აღარ შეუშინდა ზამთრის სივერაგეს
და გზადაგზა ვეხეთქები მობობოქრე ლანქერს!...
ხეივნებში ვხეტიალობ, სევდა მეუფლება,
შემოდგომა მიილია, სილამაზე ქრება!

სიმებს ვარხევ, მაგრამ გული ტკივილს ველარ ირჩენს
და ეს ჟამთა მჭუნვარება, რამდენ სევდას მიჩენს...
ისევ კივის ქარიშხალი, ძარცვავს სივრცეს ტყეთა,
სიშორიდან ცრემლნარევ ხმით, კვლავ მეძახის დედა!...

დავდივარ და ო, ეს გული, ისე მწარედ ოხრავს,
მაგრამ ველარ ვუმკლავდები ამ შემზარავ ბოლმას!

**22.11.02**

**თბილისი**

* * *

არავინ იცის ისტორია, სამყაროს შექმნის,
ის როგორ გაჩნდა, ან რა ძალა განაგებს ნეტავ?!
ამ საოცრებას ღვთით გაჩენილს, რა უნდა ერქვას,
ან რატომ ახლავს მის დინებას ამდენი სევდა?!

გალაქტიკები ქმნიან მუდამ სამყაროს სახეს,
წუთისოფელი უჩვეულო დინებით მიდის...
თუმც ქარიშხალი ულმობელი ბნელს თავზე გვახვევს
და სერავს სივრცეს, უთვალავი ავიამზიდი!...

გონების ძალა, ემუქრება პლანეტას ნგრევით,
ადამიანო, საცოდავო, იყავი მშვიდად!
მთვარისკენ იშვერ, ხშირად ცხვირ-პირს ო, როგორც მგლები,
როდესაც ცვივა ათასგვარი ნაყოფი ხიდან...

იყავი ფრთხილად, მოეფერე პლანეტას რიდით,
რომ არ დაგემსხვრეს, ცისქვეშეთში სავალი ხიდი!

**19.09.09**

**თბილისი**

* * *

მთავარდება იმით ისტორია ჩემი ცხოვრების,
ჩემი ბრძოლების, ჩემი ტანჯვის, წამების ხანა!
მე რასაც ვტოვებ, მამულს ამით ვემახსოვრები,
დედა პატარას მიმღეროდა აკვანში ,,ნანას“!

მე არასოდეს არ ვყოფილვარ დაუდევარი
და საიმედოდ, საუკუნის ვრეკავდი ზარებს...
ჩემი ლექსების ირხეოდა ოქროს მტევანი
და სიყვარულით მომძახოდა მშობელი მხარე.

დავლაშქრე ლექსით პოეზიის ვრცელი ნაპირი,
ვეფერებოდი სიყვარულით უნაპირობას!
ვიცხოვრე ქვეყნად, მხოლოდ რწმენით ვხდებოდი აპრილს,
ლექსით ვირჩენდი საუკუნის ყველა ჭრილობას!

მე ამ ცხოვრების დაუნდობლად ვკაფე საზღვრები,
ვცხოვრობდი ლექსის სიყვარულით განუსაზღვრელით!...

**12.02.17**

**თბილისი**

* * *

შენ პიტიახშის ასულო, ციურო ანგელოზო,
სიკვდილმა რატომ შეგბედა, როგორ დაგრია ხელი!
რა დრო გავიდა მას შემდეგ, რაც გიმღერიან მგოსნები,
დაველ მინდვრებში არმაზის, შენს გამოჩენას ველი...

შენ სერაფიტი დაგარქვეს და ლოცულობდნენ შენზე,
როცა განშორდი მამულს, ცრემლში ცურავდა მთა–ბარი!
წყება აწვართულ ალვების ვეღარ დგებოდა ზეზე,
გაცურდი სივრცის სიღრმეში, ვით ღვთაებრივი ზღაპარი!

განშორდი წუთისოფლის, ო, ფერთა სიდიადეს
და ღვთაებრივმა ასულმა, აიღე გეზი ცისკენ...
ჩვენ შენი სიყვარულით ვანთებთ უთვალავ სანთელს,
გეძახით გრძნობის მორევში და შინ მოგიხმობთ ისევ!...

ანთია შენი სინაზე, იქ შორს, სივრცეში ზეცის,
შენს ნაკვალევზე მცხეთაში, ადგილის დედა კვნესის!

**23.02.16**

**მცხეთა**

* * *

განშორების წინ ვუსმენ რტოზე მზეწვიას – წივილს,
არ ვიცი რა ვქნა, უჩვეულო, ტკივილი მიკლებს.
და თვალებიდან დამდის უკვე ცრემლების წვიმა,
საით გაფრინდა, ასე უცბად, ეს ჩემი სიყრმე!

დავდივარ მარტო და არავინ მენუგეშება,
წუხილს ვერ ვმალავ, მაწევს სევდა ჭაბუკს მომავლის!...
მიცურავს ჟამი და თან ურცხვად მეუხეშება,
არ მინდა კვნესამ გამიწყვიტოს სულის ზონარი!

დაქროლე ქარო! გამიფანტე სევდის მორევი,
ჩემი არსება არ მოიცვას დარდმა და ოხვრამ!
დრო მიდის, მაგრამ მომავლისგან არას მოველი,
არ მინდა, ჟამი დამიმძიმოს - წყევლამ და ბოღმამ!

ისევ მოიწევს მწუხარება გაუგონარი
არ მინდა ოხვრამ ამიმღვრიოს პოეტს მორალი!

**10.10.02**

**თბილისი**

* * *

**ბუხარაში ყოფნისას ომარ ხაიამს უთქვამს:**
**ჩემი სამარე იქ უნდა იყოს, სადაც ხეები ყვავილებსა**
**ფოთლებს ყოველწლიურად გულზე მომაყრიანო...**
**მე ვინახულე ხაიამის სამარე ნიშაბურში. ის**
**ბალახებით და ფოთლებით იყო დაფარული...**
**მომაგონდა ხაიამის ნათქვამი და ტირილი დავიწყე!**
**ნიზამ განჯელი**

შენ დიდ პოეტს და ფილოსოფოსს, ღრმა მოაზროვნეს,
აღმოსავლეთში არ გყოლია, თითქმის ბადალი!
შენმა გენიამ არ იცოდა, რა იყო ზომა,
ირანს არასდროს არ ენახა შენი სადარი!

და გახდი ქვეყნად ერთადერთი, მიუწვდომელი,
სუნთქავდა შენი სიდიადით მთელი ქვეყანა!...
სიკვდილის შემდეგ თაობებში ცოცხლობ რომელსაც
გსურდა სამშობლოს სამყაროში შენით ეხარა...

ცისა და მიწის საიდუმლოს იყავ მცნობელი,
შენი სამარე ინახულა ნიზამ განჯელმა!
უმკლავდებოდა ო, ის მედგრად ქარებს მობერილს,
ვერას გაკლებდა, თვით სიკვდილიც, ღმერთის გაჩენილს!...

ის დასცქეროდა შენს სამარეს ფოთლებმოფენილს,
რომ დაამარცხე თვით სიკვდილიც დაუნდობელი!

**10.10.2001 წ.**

**თბილისი**

* * *

მივარღვევ დღეებს უდაბურს და ისევ ვუტევ ძლიერ
და ბოროტებას მოვარდნილს უკვე ვერაფრით ვძლიე!
დილემად მექცა ცხოვრება, ვერ გადავევლე ჯებირს
და საფლავები მამულის მოფენილია ჯვრებით!

რა შეუპოვრად ვიბრძოლე, მაგრამ ვერაფერს გავხდი,
როგორ მოუნდათ ვერაგებს, რომ აგვაცალონ ტახტი!
მოდიან, მოჯირითობენ, ჩვენსკენ უთვალავ ლაშქრით
მამულს დავითის, თამარის, ვხედავ მორღვეულს დაშლილს...

ამოგვიხოცეს ბიჭები, ბრძოლებით დაუღლელნი
და, ისევ მიედინება შორს, ნიაღვრები სისხლის!
შეხედეთ, დიდებს, პატარებს, როგორ გამოჭრეს ყელი,
მათ მოქმედებას შემზარავს, ამაოდ, ვუცქერ ზიზღით!

ცახცახებს ჩემი ქვეყანა ამ ველურების შიშით,
მაღელვებს, რომ არ გადიქცეს იგი უდაბნოდ ქვიშის!

**18.04.02**

**თბილისი**

* * *

Ისევ მომავალს ვენდობი და, თან ვერხვივით ვშრიალებ,
დრო დღეებს მიერეკება და სუნთქვა აღარ მიჭირს!
აწი, მე შენით ვცოცხლობ, მხოლოდ შენ მიჩენ იარებს
ფრთებს გავშლი ძლიერს მამულში, ერთდროს ობოლი ბიჭი!

დავდივარ კაცი ამაყად, დემონებს აღარ ვინდობ,
შეუპოვრობით ბრძოლაში, უკვე არავის ვინდობ!
მივაყურადებ ვარსკვლავებს, გავცქერ ბავშვობის მინდორს,
თუმცა ცხოვრება მზვერავს ურჩი თვალებით ორბის!

ვდგავარ ამაყად ბექობზე, არა მაქვს შიში არვის,
ცურავს ღრუბლების მორევში ჩემი ოცნების კარავი!
ტკივილს მიქარვებს უზომოს, ბავშვებო, თქვენი მზერა,
ცხოვრება მიცქერს პირდაპირ და არა ალმაცერად!

ვზვერავ შორეულ ბილიკებს და გზას თამამად მივიკვლევ
და არასოდეს ვივიწყებ, ბრძოლებით გავლილ ბილიკებს!

**12.07.15**

**თბილისი**

* * *

აქ წყაროს პირას იცრემლება ყვავილი ერთი
და ცრემლებით აქვს ამ პატარას თვალები სველი!
და მისი სევდა–მწუხარება სივრცეებს ერთვის,
მოდის შრიალით ეფერება ნიავი დილის!...

ვერ გამიგია, რატომ ტირის, რად იხვევს ნისლებს
სული წამებას როგორ იტანს ამდენი ხანი?
ო, ასე მძიმედ მოქანცული ტკივილს რად ისევს
და ბედით ტიალს, ო, რა რიგად ეშლება ტანი!

რამ ააკვნესა ასე მწირედ ყვავილი ნორჩი,
დრო მის ნაზ სხეულს კაწრავს, როგორც ეკალი ხშირი...
ო, ასე ერთობ მოქანცულს და შიშით მორჩილს,
რამ სიშორიდან ესმის ღამით ყვირილი ირმის!...

ვდგავარ და ვუცქერ, მაგრამ სევდა ვერ ამიხსნია,
ან ეს წუხილი, საით მიაქვს, ნეტავი, ნიავს?!

**14.09.52**
**ბანძი**

* * *

ცის სიღრმეებში ვახერხებთ ტელესკოპებით შეჭრას,
ვცდილობთ, რომ აღმოვაჩინოთ ობიექტების წყება...
სამყაროს მზერით დაპყრობის, ლამის მოგვიცვას ეჭვმა,
როდესაც ფერად სივრცეში ხშირი ნისლები წვება!

ბევრი რამ გალაქტიკებში, ჩვენთვის უცნობი რჩება,
ციურ სხეულთა სიმრავლით, გაოცებული ვხვდებით!...
სამყაროს ზღაპრულ ხედებით ჩვენი გრძნობები თვრება,
ქარი ქრის ფერიცვალების და მარად განახლების!

ცაში მნათობთა სიხშირის, გვიჭირს აღრიცხვა მზერით,
ანგელოზები დაქრიან ბროლის და ოქროს ფრთებით.
უმზეობით და უმთვაროდ სივრცეა ამაზრზენი,
მხოლოდ ვარსკვლავთა სიმრავლით, მთელი სამყარო თბება!

დედამიწა კი მოძრაობს, მხოლოდ მორევში ფერთა,
ამ საოცრებას ზეციურს, ნეტავ, რა უნდა ერქვას?!

**20.10.16**

**თბილისი**

* * *

ისევ აწვება გაზაფხული ზამთრის ნაპირებს,
ხეები ტოტებს სიხარულით ამაყად შლიან...
ნიავი ბაღში შემოფრენას ისევ აპირებს
და ნისლი რხევით სიშორეში გადააქვს ნიავს!

წყაროს შეხედე, მზემ ერთბაშად მოხსნა ყინული,
დღეებს სიმწვანე დაუბრუნდათ აშკარად, ღიად!
გასცქერი სივრცეს, კმაყოფილი ხდები ხილულით
და ეფერები სიყვარულით ბალახებს ცვრიანს...

ყინვა და თოვლი მიუყვება აღმართებს ღელვით,
ცოტა ხანს კიდევ შეჩერდება კალთებზე იგი.
შეხედე, ირგვლივ, აქ ყველაფერს ეცვლება ფერი
და მთა მაღალი, კვლავ დაიდგამს ელვარე გვირგვინს

იგრძენი კარგად, გვიბრუნდება ისევ ზღაპარი
და მზემ გაშალა, ოქროსფერი უკვე ფაფარი!...

**19.04.99**

**სოხუმი**

* * *

გაუსაძლისი გახდა ჩემთვის, წუთისოფელი,
მე ამ სივრცეში, ტკივილებით ველარ ვეტევი!...
კვლავ მედგრად ვუტევ, სიშორიდან ქარებს მობერილს
და გრძელ ღამეში, მანფრედივით დავეხეტები!...

დავდივარ მარტო ისმის ქართა ორომტრიალი,
არც დაღლილობა და, არც ძილი არ მეკარება...
არ ვიცი ჟამი, საით გარბის მუდამ ტიალი,
ან გული ოხვრით, ნეტავ, საით მიექანება?!

რა ცოტა დამრჩა, გასავლელი, ღამე იმღვრევა,
სად ჩავიმუხლებ უცაბედად, არავინ იცის!
და ზამთრის პირის გაზაფხულის მესმის სიმღერა
და ვაყურადებ სიყვარულით, ვარსკვლავთა ციმციმს!

დავტოვებ სოფელს, გავშორდები ღელვით, წამებით,
გამყვება სული - უჩვეულოდ ნაიარევი!...

**10.01.20**

**თბილისი**

* * *

შკვე მეოცე საუკუნის ახალ წელს ვხვდები,
თუმც ახლავს ოხვრა უჩვეულო და მძიმე დარდი!
მოვეფიდები შეუპოვრად ტკივილებს მხრებით
და თან ცრემლები უიმედოდ რამდენი დამდის!

დავითის მამულს კვლავ ამჟამად ძალიან უჭირს,
ო, ის დაჩეხა ბარბაროსმა რუსეთმა მძიმედ!
სად გაქრა, ნეტავ, სანუკვარი ის ზეცა ლურჯი,
დავდივარ მარტო და, ამაოდ, მოვუხმობ იმედს!

და გული, ერთობ უსაშველო წამებით ოხრავს,
მექცა დილემად უკვე დაცვა მამულის ბჭენის!
დავდივარ კაცი დღენიადაგ კვლავ ვანთხევ ბოღმას,
რომ ჩამოირღვა საიმედო მამულის ბჭენი!

გავცქერი მერმისს... უჩვეულო რწმენით ვივსები,
და საუკუნის მწარე ტკივილს მივეფიდები!...

**02.01.20**

**თბილისი**

* * *

რა ძალა მართავს ამ სამყაროს არავინ უწყის,
ჩვენ ღმერთს ვუწოდებთ, მაგრამ მასზე, ნეტავ, რა ვიცით?
ისევ მიდიან ეს დღეები კენტი და ლუწი,
ბრუნავს პლანეტა, ვაცქერდებით ვარსკვლავთა ციმციმს!

არ მეგულება სამყაროში უძრავი რამე,
მოისურვებს და შეეცვლება ფერი და სახე!
მზე ჩაეშვება და მოიწევს ჯიუტად ღამე
და სივრცეები ნეტარებით აოცებს მნახველს...

ფიქრით ვერ ვწვდებით მის სილაღეს და ვაყურადებთ,
ირხევა ვრცელი ოკეანე და იცვლის ფორმას!
ტოვებს გზადაგზა ნაფეხურებს, ბნელი ცვლის ნათელს
და ვარსკვლავების სიელვარეს, ეცვლება ზომა!

ვდგავართ და ვუცქერთ უჩვეულო მაგ შენს ნათებას
და მავსებს გრძნობით, საოცარი შენი ხატება!

**10.09.16**

**თბილისი**

* * *

გამოვლე გზები უვრცესი, შიში არ გქონდა არავის,
მოგქონდა გული მედგარი და თანაც გაუბზარავი!
რამდენი სისხლი გადინეს, დრო რბოდა დაუნდობელი,
და უჩვეულო ქარ–ცეცხლში ბრუნავდა წუთისოფელი!...

და ბევრჯერ აგიწიოკეს, მთა–ბარი სისხლით ნაპოხი,
ვერ ამშვიდებდი ბრძოლებში, გულს ტკივილებით დაბოღმილს.
ვერ მოიშორე თავიდან, ბარბაროსების ლაშქარი,
ბევრჯერ ამაღლდი გმირულად, დროშა დავითის გაშალე!...

მიიწევ დღემდე ბრძოლებით და უჩვეულო შეტევით,
შენი აზრით და გონებით, მომავალს ეიმედები!...
არასდროს უკან არ იხევ, ახლაც მგლებს უტევ ტრამალის,
წინ გიძღვის გამარჯვებისკენ, დროშა - დავითის, თამარის!...

უდაბურ გზებით ვიარეთ, მტერი არასდროს დავინდეთ,
გლოვობენ მოთქმით დედები ველზე დაცემულ რაინდებს!...

**10.02.2001**

**თბილისი**

* * *

**ჟიული შარტავას ხსოვნას**

შენ სასიკვდილოდ მიდიოდი შეუშინარი,
უწყოდი კარგად შენ მამულის ღირსების ფასი...
სოხუმის ცენტრში სისხლიანი რბოდა მდინარე,
ყოველი წუთი იყო მეტად მძიმე და ბასრი!

შენ შემართული იდექ მარტო და უშფოთველი,
აღარ გიცდია, სიკვდილის წინ, უკან დახევა!
არ გაშინებდა უკუღმართი ბრუნვა ამ სოფლის
და ბანდიტების შემზარავი შემოძახება!...

მიწექი ბორცვზე დაცხრილული ტყვიების ჯერით,
გადაიტანე უჩვეულო ყველა წამება!
არ გაგყოლია, მეგობარო, თვალები სველი,
ისე ჩაბარდი დაგლეჯილი შემოღამებას.

შენ რაც თქვი მასზე, უფრო მეტი, რა უნდა ითქვას?
და დარჩა შენი სამუდამოდ - საქმე და სიტყვა!...

**20.05.19**

**თბილისი**

* * *

საავდრო ღრუბელმა, ცის თაღი დაფარა
და უკვე ჩამოდის წვიმა და ფიფქები...
ნისლებმა გაშალეს სივრცეში ფაფარი,
ვდგავარ და ვიღლები, ღელვით და ფიქრებით!...

ტკივილით ვეხლები - ჟამს ფერიცვალების,
ვხედავ, რომ სიმშვიდეს კვლავ ვემშვიდობები!
ქარი ქრის ნოემბრის ურჩი და თავნება
და ვხდები შეტევით შორიდან მობერილს...

კივილი ქარიშხლის, შიშით ვერ ამიტანს,
რა მძიმედ ცახცახებს, მამულის მთა–ბარი!
სივრცეში აფრები გაშალა ამინდმა,
მაშინებს, რომ აღარ ჩამიქრეს ზღაპარი.

და, ისევ მივცურავ ნისლებში ფოთლების
და ვდგავარ მწუხარე და შენაშფოთები!

**29.11.19**

**თბილისი**

* * *

**გიორგი და ავთანდილ სააკაძეებს**

თქვენი ადგილი სამშობლოში ვერ მოინახა,
ებრძოდით მედგრად ბოროტებას მამა და შვილი...
თქვენს სიდიადეს ეს რამდენი ტკივილი ახლავს,
შადიმანები ვერ მალავდნენ შემზარავ ღიმილს!

გაუსაძლისი გახდა თქვენთვის ყოველი წამი,
გენატრებოდათ, მშობლიური ხედების ნახვა.
კვლავ გეძახოდათ სიშორიდან ზარები ღამის
და ვერაგობას უმიზნებდით ხმალსა და ლახვარს!

თეიმურაზი იყო კაცი - მეტად ლაჩარი,
დაბადებული დასაბამით სპარსეთის მონად!
მარტყოფში ერთობ, რომ აკუწეთ მტრების ლაშქარი,
თქვენმა შეტევამ არ იცოდა, სივრცე და ზომა!

დღეს თქვენი ძვლები განისვენებს თურქეთში, სადღაც
და უკვდავების სიდიადე ორივეს გადგათ!...

**27.12.19**

**თბილისი**

* * *

შენ მუნჯი ბიჭი გახდი სოფლის სათაყვანები,
არ მახსოვს, ვინმეს საყვედური, რომ შენზე ეთქვას!
გაჰყვება შენი სივაჟკაცე სოფელს ზმანებად,
სანამ სიცოცხლე აღარ შეწყვეტს მიწაზე ფეთქვას!

რამ დამავიწყოს ელვარება შენი თვალების
და სიყვარულით სავსე გული შეუდარები!
როგორ გიყვარდა ვარსკვლავებზე მითვალთვალება
და ხეხილები დარხეული ნელი ქარებით...

დასრულდა ჩვენი მეგობრობის ლამაზი ხანა,
მე შენს საფლავთან ცრემლიანი მოვდივარ, ხშირად!
და ვივლი, სანამ სიკვდილი არ წამართმევს ძალას,
მოვა დრო, ჩემიც ამ მიწაზე გაქრება ჩრდილი...

ვინ იცის, სული, იქნებ ცაში ეძლევა ქროლვას
და სამყაროში ინარჩუნებს პირველქმნილ ფორმას!

**14.01.20**

**თბილისი**

* * *

რატომ იღვრება ოკეანე სისხლის მიწაზე,
ერთურთის მტრები რატომ გავხდით, დაუნდობელი.
დასაბამიდან ერთმანეთი აღარ ვიწამეთ
და დავცქერთ ცივად მიწისპირზე გვამებს მოფენილს!

ერთმანეთისკენ კვლავ მივიწევთ ღელვით, კვეთებით,
ვიხსენებთ წარსულს, გულო, მითხარ, რატომ ღონდები?
და ხოცვა–ჟლეტა მიგვაჩნია შემოქმედებად,
გადაშენებავ, მითხარ, რატომ გვიახლოვდები?!

შეხედე, ერთი, ბოროტებამ როგორ იძალა
და სურს სიკეთის საბოლოოდ ჩაქრეს ნათელი!
გვახსოვს ფურცლები ისტორიის, დაუვიწყარი
და დავცქერთ მიწას უმოწყალოდ, ერთობ, გათელილს!...

ნუთუ, მდინარე აქ სიცოცხლის შეწყვეტს დინებას,
რომ ყველაფერი წუთისოფლად გვექცეს დილემად!

**19.12.2020**

**თბილისი**

* * *

ჩემს ღრმა ჭრილობას ველარ არჩენს ჭიკჭიკი მერცხლის,
ვერც იადონთა, უჩვეულო, გალობა თბილი!...
ხმა ცდილობს, მაგრამ მწუხარებას, ვერაფრით ვერ ცვლის,
დავდივარ მარტო, წყაროს დავცქერ, სევდიან ლივლივს...

ვეცადე, მაგრამ, ტკივილები ვერ მოვიშორე,
ვერც უჩვეულო დარდით სავსე მოყვასს ვერ ვძლიე!
აგერ ფერდობთან დავცქერ უხმოდ დინებას მღვრიეს,
დაღლილს, მოქანცულს, გული ისევ მიღელავს ძლიერ!

დასაბამიდან ჩიტუნების ხმები ვიწამე,
მიყვარდა მუდამ ნაზამთრალი მათი ქივქივი!
შეხედე, ბაღებს მოერია უკვე სიმწვანე
და მდინარის პირს, ისევ ისმის ნისლის შიშინი...

მიდის ყოველი და თავის გზით მიედინება,
დასაბამიდან ეს ბუნებამ ასე ინება!

**23.03.19**

**თბილისი**

* * *

შენი სიკვდილი იყო ჩემთვის სასჯელი დიდი,
ვხეტიალობდი შუკა–შუკა პატარა ბიჭი...
დედა, ჩვენს შორის ჩაიშალა ოცნების ხიდი
და უშენობით, საყვარელო, ძალიან მიჭირს!

შენს აჩრდილს ვეძებ სულიერად დაჭრილი მძიმედ,
ვეღარ ვპოულობ შენს ხატებას და გული კვნესის!
მე ვიცრემლები, არვინ მაძლევს მომავლის იმედს
და სიშორიდან გვიან ღამით - შენი ხმა მესმის...

შეღამებისას შენს საფლავთან მოვდივარ მარტო
და მე ვცახცახებ, შემზარავად მთელი სხეულით!...
ჩემი ბავშვობის დღეებს ვუხმობ, ვეძახი, ვნატრობ,
დავბორიალებ მთვარიანში გზა აბნეული...

რა დავუშავე წუთისოფელს, ასეთი ნეტავ,
რომ თხუთმეტი წლის ბიჭს უეცრად წამართვა დედა?!

**14.06.47**
**ბანძა**

* * *

ოცი ივნისი იქცა ტანჯვად და დიდ ტკივილად,
ისევ აზვირთდა რუსთაველზე სისხლის მორევი!
თბილისის თავზე ქარიშხალმა გადიკივილა,
არის კვეთება და თარეში დაუნდობელი!

შუშის სასახლე ელვარებით მნახველს იზიდავს,
ამ ცხოვრებაში ვერაფერი ვნახე იოლი...
იქ ოზირისი ეფერება თავის იზიდას,
როცა რუსთველზე იგრაგნება სისხლის რიონი!...

არა აქვს ზღვარი სივერაგეს, უკულმართობას,
ისმის ქუჩებში სროლა, კვნესა, შმაგი ყიჟინი!
პოლიციისთვის ეს უბრალოდ არის გართობა,
გულს ეხეთქება ათასობით ტალღა გიჟივით!

მიდის ცხოვრება, უჩვეულოდ მიიგრაგნება,
არ ვიცი, ასე რად გვიმეტებს, ნეტავ, განგება?!

**21.07.19**

**თბილისი**

* * *

**ჩ**ემი მამული დაიძენძა უკულმართობით,
ვერ იქნა ქვეყნად უგნურება ვერ გადაშენდა.
და ცის თავანზე, ლამის არის, ჩაქრეს მნათობი,
მე, ისევ ოხვრით და ტკივილით მოვდივარ შენთან!

გავს მონღოლების ნათარეშალს ვრცელი სოფლები
და ქალაქებში არის ძარცვა დაუნდობელი.
უკვე არ ვიცი, მეგობარო, სად ვიმყოფებით,
ქვეყანას თავზე შხამიანი აზის ობობა!...

ახალგაზრდობა იხოცება ეშმაკის ტყვიით,
მიედინება ქუჩის გასწვრივ სისხლი ნაკადად!...
ვისმენ დედების დღენიადაგ მოთქმას და ტირილს,
შეხედეთ ერთი, – ეს ცხოვრება როგორ დაქანდა.

გახდა სიცოცხლე წუთისოფლად გაუსაძლისი,
ახალი ყოფის, ასეთია, უკვე საწყისი!

**13.08.19**

**თბილისი**

* * *

მივცურავ დილით მთაწმინდისკენ მორევში თოვლის,
რომ მოვიხილო სამყოფელი თქვენი დიადი!...
თქვენსკენ მოვიწევ, სისხლის ღელვით და გულის თრთოლვით
და ჩემს სამშობლოს ეფინება ხმა განთიადის...

თქვენ გადმოჭყურებთ მამულს დაჭრილს და ნაიარევს
და თქვენი მზერა ეფინება თოვლიან სივრცეს...
მცხეთას და გელათს კვლავ რეკავენ მწუხრის ზარები
და თქვენი დიდი სიყვარულით მე გული მიცემს!

თქვენი დუმილი გადაურბენს, ცასა და მიწას
და მაგ სევდიან გამოხედვას დავემგზავრები.
აქ შემზარავი ბოროტება მიწაზე იწვა
და მოჩანს ახლაც, ნაკვალევი დინოზავრების!...

მე ჩემი ქვეყნის სიყვარულით ეს გული მეწვის,
მიიზლაზნება საუკუნე - ცივი და ბერწი!...

**07.01.19**

**თბილისი**

* * *

რამ გაგაჩინა, მზეო, ცაზე ამგვარ ღვარებით,
სივრცეებს ათბობ ჯადოსნური შენი ნათებით...
ამ ჩვენს სპირალურ სამყაროში ფეთქავს ზმანებით,
არხევს სიცოცხლეს საოცარი შენი ხატება!

მოდის ცისკარი გვეფერება სხივთა ჩქერები,
ატომურ ბუხრით ირხევი და გვეიმედები!
სივრცეებს ავსებ, უჩვეულო, შენი ფერებით
და ღრუბლის მორევს არღვევ, ერთობ, შენი შეტევით!

შენი სხივების სილამაზით მოსავ პლანეტებს,
შენი ჩაქრობით ჩვენ ერთბაშად გავიწირებით!
ამ სამყაროში შენით ფეთქავს ყველა განედი,
ჩვენ ვცოცხლობთ, მზეო, ოქროსფერი შენი წვიმებით!...

უშენოდ, ერთობ, მოიშლება გზები დიადი
და ჩაგვიქრება საუკუნოდ ხმა განთიადის!

**07.01.20**

**თბილისი**

* * *

დუპავდა მამულს აშლილობა მეტად წყეული,
რომელიც მხოლოდ უჩვეულო სახით ბრუნავდა!
უსააკაძოდ ცახცახებდა ქვეყნის სხეული
და იქცა იგი - უსაშველო ტანჯვის ბუნაგად!...

თეიმურაზის, ლუარსაბის ხსენებაც არ ღირს,
ქვეყანა გახდა ავადმყოფი, მსტოვრებით სავსე!
ასპარეზიდან გაქრა, ერთობ, ცხოვრება ლაღი
და ცა ვეება უსინდისოდ დაიმხეს თავზე!

დავითისა და თამარის დრო წავიდა მორჩა
და ამას იქით უღაბური ნისლები მოჩანს...
საბრძოლო ველის ხელოვანი ჩამოიშორეს,
რაც მოხდა იგი სააკაძის მოჰყვა სიშორეს!

იმ საუკუნის ვერ ვიშორებ ვერაფრით რისხვას,
რა ტკივილებით შემზარავით იდინა სისხლმა!...

**06.01.20**

**თბილისი**

* * *

დიდი გიორგის ეშინოდა შაჰაბას მუდამ,
რადგან ის იყო ხმლით და ნიჭით გამორჩეული!
მოწინააღმდეგეს მის პირისპირ უჭირდა სუნთქვა,
რადგან მტერს იგი აწყდებოდა მთელი სხეულით!

მსგავსი რაინდი აღმოსავლეთს აღარ ენახა,
მოპირდაპირეს ნაფოტებად აქცევდა უმალ.
მას არ უყვარდა ბრძოლის ველზე ძალის შენახვა
და შეჩერება არ იცოდა ბრძოლაში გულმა!

შეუპოვრობით იყო იგი მუდამ ცნობილი,
მისი დამძლევი აღარ ახსოვს, თითქმის, არავის!
ის მხოლოდ დიდი ბრძოლებისთვის იყო შობილი
და ბობოქრობდა უდაბნოში, როგორც არავი!

მის ზებუნებრივ ძალას ეცხო მადლი ღვთიური,
მას არ ჰქონია შიში ვინმეს ამქვეყნიური!

**26.12.19**

**თბილისი**

* * *

**საფრანგეთის ეროვნულ გმირს,**
**დიმიტრი ამილახვარს**

შენ განისვენებ უდაბნოში, სადღაც ლიბიის,
კაცი ბრძოლებით დაუღლელი, მოუსვენარი!
და ბრძოლის ცეცხლში ეჰ, რამდენჯერ გადაირბინე
და მოქმედებდი შეუპოვრად - ძალით ზენარის!

სიცოცხლეს უკვე შენ ბრძოლებში არაფრად თვლიდი
და რა უშიშრად იჭრებოდი ქარცეცხლში ველის!
შენ ერთმა მედგრად უსაშველო ტკივილი ზიდე,
მაგ სიდიადეს, რომ აღწეროს სჭირდება ბრძენი.

ამილახვარო! მიგიჩნევენ რაინდად ქვეყნის,
ნაპოლეონის და დე გოლის გმირობის შემდეგ!
და შენ ვერავინ დაგივიწყებს ზვირთებთან შეხლილს
და საფრანგეთი დაგიფასებს ბრძოლების შედეგს.

ქართველი კაცი ევროპაში ცნობილი გახდი,
დაეცი, მაგრამ რაინდობა შემოგრჩა ნაღდი!

**26.12.19**

**თბილისი**

* * *

**გიორგი სააკაძეს**
**„ის იყო საომარი თალპიონის**
**სწორუპოვარი ხელოვანი"**
**ლევან სანიკიძე („უქარქაშო ხმლები")**

შენს სიდიადეს სიშორიდან მე ისევ ვლანდავ,
გადაარჩინე საქართველო შენ არაერთხელ!
დავეძებ, მაგრამ ვერ ვპოულობ მე შენს ტოლ სარდალს
და წუთისოფლის, მღვრიე ქროლვას, ცრემლებიც შევრთე!

მტრებს შემოსეულს, არაერთხელ მედგრად ეკვეთე,
მარტყოფს, ტაშისკარს და მარაბდას კაფე ურჯულო!..
შენს ხელში იყო ბრძოლის ველის ყველა ბერკეტი,
დარჩა მინდვრები გადამწვარი, გადარუჯული!

და სიშორიდან შენი მძაფრი ყიჟინი მესმის
და სივერაგით, წუთისოფლის ბრუნავს ქარები!...
შენმა დიდებამ - სამუდამოდ გაიდგა ფესვი
დაგრჩა სახელი ქვეყანაში შეუდარები!

ვლოცავ იმ დედას, შენ რომელმაც გატარა კალთით
და შენს სამშობლოს ღვთაებრივი მოჰფინა მადლი!...

**09.01.20**

**თბილისი**

* * *

ჩემი სამშობლო, ასე რატომ გამიტიალეთ,
დავითისა და თამარ მეფის ხატი რჩეული...
წუთისოფელი, როგორც უნდა ისე ტრიალებს,
ოხრავს მამული, - დაგლეჯილი ქრისტეს სხეული!

მე მისი ცქერით ვიტანჯები, არ ვიცი, რა ვქნა
და მაინც ვდგავარ - მოიმედე, ღმერთის შეწევნის!
შენი მშვენება, უმოწყალოდ, ასე რად გაქრა
და ყოველმხრიდან, შემზარავი, უტევს მეწყერი!

მშვიდობით მთებო! ო, ამდენ ხანს ბურჯებად მდგარნო,
თქვენით ვამაყობ - ჩემი ზეცის ლურჯო ნაჭერო!
ღრუბლების მორევს შეუტიეთ უშიშრად ქარნო,
იქნებ გადარჩეს ცა და მიწა ნებით გამჩენის!

დავდივარ კაცი და დიდ წარსულს ვემარტოვები
და, ისევ რწმენით ირხევიან მუხის რტოები!

**12.08719**

**თბილისი**

* * *

მიდის და მიდის სოფლის ცენტრში პატარა ღელე
და სიყვარულით დღენიადაგ გვიზიდავს იგი...
რომ არ ვიქნები, მაშინაც ის მომიხმობს მერეც
და მუდამ თავზე მზის და მთვარის დაიდგამს გვირგვინს!...

ბავშვებს ო, როგორ გვიტაცებდა მისი დინება
და ამშვენებდა მის ნაპირებს ალვების წყება...
შემოდგომაზე გვექცეოდა იგი დილემად
და ყველაფერი გაატანა მან დავიწყებას!

დღეების ღელვა ავსებს მის ტანს მართავს ზმორებით,
მოვა წვიმა და აიმღვრევა ლურჯი მორევი!
მინდვრად გაირბიან თვალწარმტაცი ნიამორები,
დაისერება ლაჟვარდები თეთრი ზოლებით.

საუკუნეებს ითვლის მისი დღეთა მშვენება,
არ უწერია მის დინებას გადაშენება!

**15.03.21**
**ბანძა**

* * *

ეს ჰომერული სიცილი, ვერაფრით გადავაშენე,
თავზე მანგრევენ ქვეყანას, უკვე ღმერთისგან ნაშენებს!
რა ვქნა, არ ვიცი, ამჟამად, გულს მღვრიე ცეცხლი მედება
სანამდე უნდა ვუცქირო, გიჟების შემოქმედებას?!...

გამიპარტახეს მთა–ბარი, უკვე ნანგრევად მიქციეს,
გავცქერი სივრცეს მაღლიანს, შორს ვარსკვლავები ციმციმებს!...
უსმენ ღმერთების საუბარს, გული მევსება სიამით
და გაზაფხულის მინდორზე, დაქრის აპრილის ნიავი...

სულში კვლავ რწმენა იზრდება, მომავლის მეიმედება,
ისევ მივიწევ წინ მედგრად, ვიწყებ უმძაფრეს შეტევას!...
არ გამიხუნდეს სტრიქონი და შიშმა აღარ მომიცვას,
საით გარბიხარ, დემონო, ო, კიდევ ცოტა მოიცა!

კვლავ ვიბრძვი რწმენით მომავლის, სული მევსება ტკივილით,
მივაყურადებ, კვლავ მესმის, შორიდან წყევლა–კივილი!

**18.04.62**

**სოხუმი**

* * *

მე სანთელს ვანთებ ამაღამ ისევ,
რომ მოვიგონო სახელი შენი!...
მიარხევს ქარი ქუჩებში ნისლებს,
ო, ის რაც მოხდა, არ ითქმის ენით!

მე ხატებს გავცქერ ოცნებით სავსე,
სული ირხევა კვლავ აღმაფრენით...
და საოცარი სინაზით მავსებს
როცა მინდორზე გადარბის შველი...

გავცქერი ქრისტეს ღვთაებრივ სხეულს
და სიშორეში მიილტვის სული...
საუკუნეებს გავცქერი წყეულს,
არც წარსული ჩანს, არც დასასრული...

მიდის ცხოვრება სიშორეში მიილანდება,
შენზე ფიქრები, ჩემს ოცნებას აღემატება!

**10.02.21**

**თბილისი**

* * *

ამდენ ყუმბარებს რა განმუხტავს ამ ცისქვეშეთში?
ტაიფუნების ქარიშხალი აიკლებს სივრცეს!...
დადის ღამეში, იცრემლება ადგილის დედა
და გული უკვე შემზარავი ტკივილით მიცემს.

რატომ, და რისთვის ვწყევლით ღიად ბირთვების წყებას,
რა მოაქვთ მათ აქ პლანეტაზე, ეს უკვე ვიცით!
ამაზე ფიქრით უმოწყალოდ დამღალეს წლებმა,
მიექანება სიკვდილისკენ ცხოვრება ფიცხი!...

ამ წუთისოფლის ნეტარება გაქრება სადღაც,
დაიდგამს მიწა, სამუდამოდ, უმძიმეს, გვირგვინს!
დავდივარ მარტო, სიშორეებს ტკივილით ვლანდავ
და მოჩანს ცისქვეშ, შემზარავი ნანგრევი ირგვლივ!...

ასე მთავრდება სილამაზე, მშობლიურ მიწის
და გული კვნესის, ტკივილისგან და სული იწვის...

**04.02.21**

**თბილისი**

* * *

**დიდ მოურავ – გიორგი სააკაძეს**

ო, რა დიდი დრო გვაშორებს შენგან,
დიდო სარდალო – საომარ ველის...
შენ არ ჩაგშლია არც ერთი გეგმა,
დალუქე ყველა ბოროტი ხვრელი!

თიბავდი მომხდურს, სისწრაფით ელვის,
შენ არ იცოდი, რა იყო მოღლა!
გიმკლავდებოდა ბრძოლაში ვერვინ,
გახრჩობდა ბრძენ კაცს მამულის ოხვრა.

პირადი მტრობით ურჯულო ფაშამ,
თქვენ მამა და შვილს მოგჭრეს თავები!
დამთავრდა ომი დაუმთავრები,
ვეღარ დაგცალდა იალქნის გაშლა.

ისტორიაში ვერ ვიპოვე შენი ბადალი,
განმარტოებით დგახარ, როგორც მთავარსარდალი!

**09.01.67**

**სოხუმი**

* * *

**ჩემს შვილიშვილ – ალინას**

ღმერთმა გვაჩუქა ღვთაებრივი შენი ნათება
და უჩვეულო, სალოცავი ჭკუა და ნიჭი...
კალამს არ ძალუძს, რომ აღწეროს შენი ხატება,
მაგ სილამაზის გადმოცემა ძალიან მიჭირს!

შენს სიხასხასეს ვარდფურცლობა თუ შეედრება
და სიოს ფრთებზე იდუმალი თამაში ფერთა!...
შენ მოგძახიან ცის სიღრმიდან თეთრი გედები
და ცისკრის სხივი, შენი სულის ხავერდზე ფეთქავს!...

რხევა სავსე გაქვს, შენ სიცოცხლის იდუმალებით,
შენზე ვლოცულობთ და გვახარებს შენი ზმანება!...
რა სილამაზით გვიცქერიან შენი თვალები,
თოვლის ქათქათა ფანტელებში რეკონ ზარებმა!...

შენს მოსვლას ქვეყნად ჩვენ ოცნებით ვეთაყვანებით
და გვათრობს სითბო, შენი სულის, შენი თვალების!

**10.12.20**

**თბილისი**

* * *

**ხ**მელი ფოთლებით დაიტვირთა ხეები ჭადრის,
ჩამოიქროლებს აქ დეკემბრის ქარი საცაა!
რა უიმედოდ წუთისოფლის ირხევა ლანდი,
ელვამ ღრუბლების, ყველა მუხტი ერთობ დაცალა!

სივრცემ დაკარგა შემართება, მოულოდნელი,
ბუნება უკვე მოითენთა, იცვალა ძალა!
და უიმედოდ აურაცხელ ტკივილს მოდენის
და მე დარდები უჩვეულოდ რად მომეძალა?!

შორს დარჩა სადღაც, გაზაფხულის ფერები მწვანე
და უმოწყალოდ გამეძარცვა დღეების წყება...
რამ აგაცრემლა, ჩემო მერი, შენ ასე ცხარედ,
რომ ჩაიქროლეს გაზაფხულის ლამაზმა წლებმა!

ჩვენ პოეზიის სამყაროში დავრჩებით ერთად,
დასაბამიდან ო, ეს ასე ინება ღმერთმა!

**12.12.19**

**თბილისი**

* * *

რატომ გამწირა უღმერთოდ ბედმა,
იმ დღეთა ხსოვნით გული კვლავ ხვნეშის...
მე პატარა ბიჭს წამართვა დედა
და წუთისოფლის ჩამაგდო ხელში!..

კეთილი ხალხი მაძლევდა რჩევას
და მოგონება ტკივილებს არხევს!
და უმოწყალოდ ბავშვობამ ჩემმა
დაკარგა თავის ფორმა და სახე.

რაც გავხდი დედის სიკვდილის შემდეგ,
გრძნობით თუ არა, ენით არ ითქმის...
ვინ აღწერს ჩემი ცხოვრების შედეგს
და მას არ შველის რიტმი და რითმი!

ტკივილი ჩემი ყველა ზღვარს გაცდა
და აღმაფრენა ბავშვობის დაცხრა!

**17.10.56**
**ბანძა**

* * *

აპრილის თვეა, ლაჟვარდები ზეცის მახურავს
და მახსენდება ის დღეები ჯერ არნახული!
მე მხოლოდ შენი სიყვარულის ვრჩები მსახურად
და ჩემს ზმანებას ეფერება მზე გაზაფხულის!...

არ მინდა ხსოვნას  წამიერად გამოვეთხოვო
და ყვავილებში ვცურავ უკვე, ფერთა შრიალით!
არსთა გამრიგეს სიყვარულით მინდა შევთხოვო
და მწვანე ველზე მიირხევა ისევ ნიავი...

მე გაზაფხულის, ეს თვე მიყვარს, ისევ ძალიან,
აპრილი მიდის და მოიწევს მაისი ლურჯი...
და სხვა თვეების საყურებლად მე არ მცალია
და სივრცეებში კვლავ ირხევა ფერადი ფუნჯი!

უგაზაფხულოდ მე არ ვიცი, რა მეშველება?
ისევ მომინდა, ცის ხავერდზე თვალის შევლება!...

**18.04.56**

**სოხუმი**

* * *

თოვლი მოვიდა და გაფანტა ღამის კოშმარი,
დავდივარ გარეთ, მეფინება თეთრი მორევი...
და უთვალავი მოფარფატებს ციდან შროშანი,
ისევ შრიალით ამოავსო ირგვლივ ყოველი!

თოვლი მოვიდა და დაფარა ირგვლივ მთა–ბარი,
ჩემს გაოცებას, უსამანოს არა აქვს კიდე!...
ისევ გაშალა სიშორიდან ნისლმა ფაფარი
და დიდ სატკივარს ჩემი ქვეყნის ვერ განვერიდე!

თოვლი მოვიდა, მომაგონდა ბავშვობის წლები,
ფიფქების ფარფატს, ისევ ვხვდები მე აღმაფრენით!
გავდივარ მინდვრად და გულაღმა ზედ თოვლზე ვწვები,
თოვლი მოვიდა და ყველაფერს უცვალა ფერი.

და ქრისტეშობის დილას ვხვდებით აღფრთოვანებით,
ისევ რეკავენ სიშორიდან რწმენის ზარები!...

**25.12.2019**

**თბილისი**

* * *

თქვენი გალობა მე სულს მივსებს ფერთა სიალით,
მოდის აპრილი და მინდორზე ნიავი დაქრის!...
სივრცე ივსება უჩვეულო გრძნობით, სიამით,
და გაზაფხული მეფერება ოცნებით დაღლილს.

მე ბავშვობიდან, მხოლოდ შენი ტრფიალის ტყვე ვარ,
დაათამაშებს მზე მაისის ფანტელებს ფერთა..
მივაყურადებ ჩიტუნების სიმების რხევას
და გული ჩემი, საოცარი სინაზით ფეთქავს!...

აპრილი დგება და შემოვა დღეები ლურჯი
და ხეივნები სილაქვარდით მომინადირებს!
ამ გულს, ძვირფასო, უშენობით ო, როგორ უჭირს,
ვინ იცის, დღემდე თუ რამდენჯერ ცრემლი მადინეს!

კვლავ რტოებიდან იადონის გალობა მესმის,
არ ვიცი გული, ასე მწარედ თუ რატომ კვნესის?!

**24.03.20**

**თბილისი**

* * *

ერთმანეთს მედგრად ვედავებით მე და სიკვდილი,
ვინ გაიმარჯვებს ამ ბრძოლაში არავინ იცის!
ქუჩაბანდებში დავდივარ და ღამეს მივტირი
და ვაყურადებ სიშორეში - ვარსკვლავთა ციმციმს...

არაფერია წუთისოფლად მოულოდნელი
და ვეფერები ნეტარებას შორეულ მიწის...
ვეღარ მამშვიდებს, უჩვეულო, ღელვა ბოდლერის,
და ტკივილისგან, მეგობარო, საოცრად ვიწვი!

დავლაშქრე ფიქრით იდუმალი სივრცეთა წყება
და კვლავ კოსმიურ სიმაღლეებს ვეკამათები...
ამ ქვეყანაზე, ყველაფერი ირღვევა, ქრება,
მაგრამ მამხნევებს - უნაზესი შენი ხატება!

და ვარსკვლავების სიდიადეს ვეტრფი ოცნებით,
მივქრივარ, სადღაც სიშორეში განაოცები!

**14.04.21**

**თბილისი**

* * *

ჩემო სოხუმო, კვლავ მიტაცებ შენი ხედებით,
ფიქრებით მუდამ მიზიდავდა მთები მაღალი...
მე შენ გეტრფოდი მთელი ჩემი შემოქმედებით
და ვინთებოდი შენი შუქით გადანაღვარი!

წავიდა ის დრო, გაქრა თეთრი მამლის ყივილი,
მივდივარ შენთან გვიან ღამით, სავსე ნაღველით...
და არაერთხელ სული სივრცეს გადიკივილებს,
გავცქერი მხარეს-აბურდულს და, ერთობ, დაღვრემილს!

ვინ მოგვისაჯა შემზარავი ეს განაჩენი?!
რად შეგვატოვა ამ კოშმარულ უდაბურებას...
ვინ იცის, იქნებ ბევრი რამე აღდგეს, გადარჩეს,
თუკი ბუნებამ მოინდომა, ღმერთმა ინება!

შეხედე, ირგვლივ ყველაფერი ღელავს ირევა,
სოხუმის მთიდან კვლავ იყვიროს იქნებ ირემმა!

**12.03.20**

**ბათუმი**

* * *

თებერვლის ბოლოს თოვლი მოვიდა,
თბილისი თეთრად აყვავდა, ერთობ!
ქუჩაში ისევ გასვლა მომინდა,
ქალაქი თოვლით ამინთე ღმერთო!

ჩემს აღტაცებას არა აქვს ზღვარი,
და თეთრი ნაბდით გავდივარ გარეთ!
და სიშორიდან კვლავ რეკავს ზარი,
ვეთამაშები თებერვლის ქარებს...

ზამთარი მიდის და დღეებს ითვლის
და ფანტელები ფეთქავენ უხვად!
მე კი ვპასუხობ რიტმით და რითმით,
ბექობზე ისევ გუგუნებს მუხა.

ზამთარში ისევ, თოვლი ციმციმებს
და ამ სიხარულს - ვეღარ ვიცილებ!

**20.02.21**

**თბილისი**

* * *

**ქართული მწერლობის ჭეშმარიტ მემატიანეს –**
**რევაზ კვერენჩხილაძეს**

ჩვენი მწერლობის შენ ხარ ნაღდი მემატიანე,
მათი ღირსება შენ იხსენი - მხოლოდ შენ ერთმა!
და ბოლშევიკთა სივერაგე გაატიალე,
ო, მაგ შენს ამგვარ შემართებას რა უნდა ერქვას?!

ო, ამ წითელმა ჯალათებმა აღარ დაინდეს,
ჯერ აწამეს და მერე მოსპეს მწერალთა წყება...
შენ შემართება აღმოგაჩნდა, შენ ერთს რაინდის,
მათი სახელი არ დაუთმე ბნელს, დავიწყებას!

სადარაჯოზე იდექ მედგრად მათი კაცობის,
მეწყერს სიკვდილის გამოგლიჯე იგი ხელიდან.
არ განგიცდია ვაჟკაცს შიში, კრთობა, დაცხრომა
და სახელოვან მწერლად დარჩი - ამიერიდან!

წერე ტომები, ღამეები ათენე თეთრად,
და მაგ ჯალათებს საუკუნოდ უტირე დედა!

**15.10.19**

**თბილისი**

* * *

ჩემი ხომალდი მოქანცული იალქნებს კეცავს
და ვეღარ უტევს ძველებურად ზვირთების ლაშქარს...
გარდასულ დღეთა სილამაზე ზმანებად მექცა,
ვერ ურიგდება სული ჩემი რღვევას და დაშლას!

ნუთუ, სიბერე მოეძალა ჩემს შემართებას
და, ლამის არის, დამშალოს და მაქციოს მსხვერპლად.
ვდგავარ მდუმარე და არ ვიცი რა მემართება,
ამაოდ ვცდილობ, ბოროტება ვაქციო ფერფლად!

წავიდა ის დრო მოითენთა ჩემი არსება
და ჩემმა სულმა რა უეცრად დაკარგა გზნება!
რატომ დუმს იგი ნისლის რხევით შემოგარსული,
ო, ნუთუ იგი საუკუნოდ მოღალეს გზებმა?!

წავიდა ის დრო, აწი, ალბათ, ვერაფერს შევცვლი,
მოიწევს მთვარე, მომაღვაროს ფერები ვერცხლის!

**12.03.01**

**თბილისი**

* * *

**რობერტ ფიშერს**

შენ ამერიკელ დიდოსტატს ტოლი არ გყავდა დაფაზე
და შენს გენიას ღვთაებრივს, მთელი მსოფლიო აფასებს!
დრო მიდის, მიეფინება, შენ ერთი შერჩი ნუგეშად
და მშობლიური ქვეყანა, რად გექცეოდა უხეშად?!

შენ ბავშვობიდან ეძებდი, გზებს ამ მიწაზე დიდების
და მაგ ნათელი გონებით, შემოიფანტე ბინდები...
ჭაბუკი იქეც ლეგენდად და გახდი რობერტ ფიშერი,
მოწინააღმდეგის დაფაზე, გარბოდა მეფე შიშველი!...

იხეტიალე რამდენი, ბოლოს ქვეყანა მონახე
და გიფასებდა მსოფლიო გონებას ზეცით მონარხევს...
ისლანდიაში მოგინდა გადაღლილს თავის მიდება,
შენი გზა ძლევამოსილი, არასდროს დაიბინდება!

შენ ბრძოლის ველზე, ჭადრაკის, არავინ აღარ დაინდე,
ფიშერი რჩები ფიშერად, რაც უნდა ხანი გავიდეს!...

**25.02.19**

**თბილისი**

* * *

მე ბანძის სასაფლაოზე, შეღამებისას დავდივარ,
იქნებ მთვარიან ბინდბუნდში, თქვენს ლანდებს გადავეყარო...
მე ერთიანად ღელვა ვარ და ერთიანად დარდი ვარ,
როგორ მინდოდა, რომ დიდხანს, თქვენთან შეხვედრით მეხარა!

გაფრინდა წლები ბავშვობის, დროის დინება მაშინებს,
რამდენჯერ გადავეყარე დღეებს ურჩსა და საშინელს!
ჩემს მზერას დღემდე შემორჩა, თქვენი ლამაზი ხატება,
ვერ გავექეცი ვერაფრით იმ დღეთა შემონათებას...

საფლავებს შორის დაგეძებ, იქნებ შემომხვდე ბილიკზე,
ვიღაც ჩამივლის ღიმილით და ლამაზ მზერას მიმიზნებს
გული ღონდება ერთბაშად, ისმის შრიალი ყანების,
და დღეებს სათაყვანებელს, კვლავ ვერსად დავემალები!...

ო, როგორ მიჭირს უთქვენოდ, დავდივარ მოურიდებლად,
თქვენთან ალერსი მომინდა, თქვენთან შეხვედრა მინდება!...

**12.04.20**
**ბანძა**

* * *

**ზ**ამთარი უკვე წავიდა, მიდის დღეები ქროლივით,
ბუნებას გადაავიწყდა, რომ გაზაფხული მოდის...
ატამი აფერადდა, ნუშის შეირხა ტოტი,
თებერვლის ქარმა დაქროლა, საღღაც ხმა მესმის ჭოტის!

დღის ხანგრძლივობა მატულობს, ზამთარი უკვე მორჩა,
ნისლით და თოვლით ნაფერი, შორს, მთა მაღალი მოჩანს!
ტყემალი უკვე აყვავდა, ნისლში მდინარე ღელავს
და სიყვარულით მეძახის წყლის პირს ალვების რხევა...

მე აღტაცებთი მოგიხმობ, თეთრ ხიდთან მოდი, მერი,
ჩვენი სულების სილაღე, ცას გადაივლის ფრენით!...
ზღვა ისევ ლურჯად ირხევა, ღელავს ტალღების წყება
და მიეცემა ზამთარი, საცაა დავიწყებას!...

მარტი შლის ფერად იალქნებს, მზემ მოიკრიბა ძალა,
ზამთრის დღეების უთოვლოდ დამთავრდა ამოცანა!...

**24.02.69**

**სოხუმი**

* * *

ჩამოდის თოვლი და ქუჩაში გავედი მარტო
და მოგონებას ყრმობის წლების არ ჰქონდა ზღვარი!
როგორ მახარებს, რომ საოცრად მათოვს და მათოვს
და ალვიჭურვე უჩვეულო ნათელით მთვარის!...

თოვლი მიბრუნებს ნეტარებას გარდასულ წლების,
მოვიდა ზამთრის ფრთაგაშლილი დღეები თეთრი...
და მივსდევ უხმოდ მოგონების იმ დღეთა წყებას,
რომელიც სულის სილამაზეს ოცნებით ერთვის!...

შორს ვიხედები, მაგრამ გზაზე არავინ არ ჩანს,
სად გაქრა ჩემი ყმაწვილობის დიადი ხანა?
და გრძნობებს, თუმცა გარდასულზე ამაოდ ვხარჯავ
და ჩემს ხსოვნაში ილანდება მერი და ანა!

ო, სულში, ისევ უჩვეულო სევდა იჭრება
და მიჭირს ძალზე უთქვენობით გადაბიჯება!

**14.12.89**

**სოხუმი**

* * *

არ მახსოვს, მერი, ჩვენს შეხვედრებს ჰქონოდა ბზარი,
მივისწრაფოდით ერთურთისკენ მორევში ფერთა...
ო, იქვე ახლოს შეღამების რეკავდა ზარი,
ვხეტიალობდით მთვარიანში, ძვირფასო, ერთად!...

გარდასულ დღეთა მოგონება, ტკივილებს მიჩენს,
როცა მარტო ვარ, მეგობარო, არ ვიცი, რა ვქნა?
მირეკავ ხშირად, დღენიადაგ, რაღაცას მირჩევ,
ნუთუ, იმ დღეთა სიხალისე ამაოდ გაქრა?!

ჩვენი სულების ღელვა დარჩა გაუხუნარი,
დროის დინება მას ვერაფრით, ვერასდროს წაშლის!
მიქრიან სადღაც სიშორეში დღენი მდუმარნი,
დავდივარ მარტო და ცხოვრებას არ ვრჩები ვალში!

მოდი ძვირფასო, სიყვარულით მოგეფერები
და ავედევნოთ ძველებურად ნიავს ფერების!...

**14.05.87**
**სოხუმი**

* * *

მე არ ვიქნები. ათას წლის მერეც
აქ ჩემი ყრმობის აჩრდილი ივლის...
მიაყურადებს რხევებს ფერების,
ხან კიდევ ურჩი ქარიშხლის კივილს!...

და მოიგონებს სიმრავლეს დღეთა,
მოეფერება ბავშვობის ხანას...
ვერ მოიშორებს ტკივილს და სევდას
და სანატრელი დედიკოს „ნანას“!

და შუკა–შუკა იხეტიალებს,
აბაშის ტალღებს, შეუტევს მედგრად!
გაოცებული სოფლის ტრიალით,
ცრემლმორეული, აკოცებს... დედას!

ბევრჯერ გაცურავს, ის აბაშის ტალღებს მხარულით,
გულმა, რომ იგრძნოს ნეტარება და სიხარული!

**27.03.63**

**სოხუმი**

* * *

ძლიერ მიყვარდი, გრძნობით ვამბობ მე ყოველ სიტყვას,
შენდამი სწრაფვა ჩემი იყო დაუცხრომელი!...
შენი ტრფიალით ირხეოდა რიტმი და რითმა,
უთქვენოდ უკვე მე არ ვიცი, თუ რა მომელის!

გაუდაბურდა ჩემთვის უკვე საწუთროს გზები,
სულის ვექტორი მიქრის, სადღაც უმისამართოდ...
დამემსხვრა კოშკი ცის თავანზე გრძნობით ნაგები
და ქროლვამ ჟამის სიყვარულით, ვეღარ ამანთო!

მშვიდობით აწი, ჭაბუკურო დღეებო, ყოფნის,
დავდივარ, მაგრამ ტანჯვად მექცა ყოველი წამი.
ეს ჩემი სევდა ფრთებს შლის, როგორც ზეცაში ორბი
და ჩემს ბილიკზე, ქარიშხალი ბოროტად ბღავის!...

ვიცი, ხვალ და ზეგ, რომ დავტოვებ ამ ზღვის ნაპირებს
და ჟამი ურჩი სამუდამოდ გამინაპირებს!...

**14.09.63**

**სოხუმი**

* * *

შენ სწორუპოვარ სარდალს, მეფეო,
კრწანისის ომი გექცა დილემად!...
დასცქერდი მიწას სისხლით შეფერილს,
მთიდან იყვირა, როცა ირემმა!

ვეღარ შეჰკარი ერთ დიდ სხეულად,
ერი მუდამჟამს შენი მორჩილი!
და მწუხარებამ დაგასნეულა,
წაიქეც, როგორც მუხა მოჭრილი!...

შენი დიდება, ასე რად დაცხრა
და ქარიშხალი იქეც ნიავად!...
ამგვარად, ნეტავ, რა ღმერთი გაწყრა,
რომ საქართველო დარჩა იავარ!

როგორ შევხედოთ მამულს თამარის,
ერთობ, დაგლეჯილს ქარით ტრამალის!

**12.09.92**

**თბილისი**

***

**ჩ**ვენ დედამიწა გიწოდეთ, სათაყვანო ხარ მართლაც,
შენით ვსულდგმულობთ მუდამ და შენს ბაღნარებს ვეტრფით...
ხარ მზის სისტემის ასული, რასაც შევხარით ნათლად,
შენზე ლამაზი, დიადი, რა უნდა ვნახოთ მეტი?!

ვეთამაშებით შენს ცისკარს, მაგ შენს მზესა და მთვარეს
და ვხარობთ შენი წყალობით, ვეღარ ვუჯერებთ თვალებს!
შენ მზის გარშემო დაცურავ და ხელს არავინ გიშლის,
სისტემის ნაღდი შვილი ხარ, არ გაქვს დაღუპვის შიში!

მაგრამ ტკივილს ვერ გიშუშებთ და სევდას ვეღარ ვმალავთ,
შენ მზის და მთვარის სილაღით, ფანტავ ღამეებს წკვარამს!
სისხლის ღვარები მოშალე, მხოლოდ სიკეთე ენთოს...
ამ თხოვნისათვის, ნამდვილად, ვერ გამამტყუნებ, ღმერთო!

შენა ხარ ჩვენი ღვთაება და ნიაღვარი ფერთა
და ჩვენს სულსა და სხეულში ზღვა სიყვარული ფეთქავს...

**14.05.81**

**სოხუმი**

* * *

დავითის სახელს ვეფერებით და გული გვტკივა,
თამარის მზერა სიშორეებს მიელტვის ისევ...
დავდივარ კაცი... მწუხარება რამდენი მიმაქვს
და ეს დღეები ულმობელი კვლავ სევდას მისევს!...

არ დაცხრე, გულო და უშიშრად ეკვეთე მტარვალს,
შენ კარგად იცი, დასაბამით მამულის ფასი...
მიაყურადე, სადღეგრძელო დალიე თასით,
ეკვეთე მედგრად, თუ გამოცდა მომხდური ტრამალს!...

იცოდეს ყველამ, არ ვიქნებით მტარვალთა მონა,
ჩვენ კარგად გვესმის, მეგობარო, რუსთველის სიბრძნე!
ამას გთხოვთ მხოლოდ, ნუ გვიკითხავთ, ძვირფასო მორალს,
ამ ქვეყნად ველურს განერიდე, კეთილი იძმე!

არ შეგეშინდეს, არწივივით გაშალე ფრთები,
თუ საჭიროა, შეეშველე ქვეყანას მხრებით!...

**19.07.02**

**თბილისი**

* * *

შერჩება მიწას ეს სხეული დაღლილი მძიმედ,
სად წავა სული მწარე კვნესით, არავინ იცის!
ეს ჩემი ყოფა განშორების არ მაძლევს იმედს
და ვაყურადებ სიშორეში ვარსკვლავთა ციმციმს...

ფერთა მორევში ვიცურავეთ რამდენი ხანი,
განშორებისას მწუხარებით შევიმოსებით!
არაფერს ამბობს საიმედოს დღეები ხვალის,
მიილტვის, სადღაც სევდიანი მზერა მგოსნების...

მივსდევთ ხეივანს აწვართული ალვების მწკრივის,
საით მიცურავს, გაზაფხულის ღრუბლები ლეგა?
ხის კენწეროზე, ისევ ლურჯი ჩიტუნა წივის,
ვიცოდეთ, იგი რას მოითხოვს, ნეტავი, ჩვენგან?!

რბიან დღეები და იცვლიან ფერსა და ფორმას,
ეს სანაპირო ხეტიალით დავღალეთ ორმა!

**10.04.72**

**თბილისი**

* * *

ისევ დავეძებ უიმედოდ მშობლიურ მხარეს,
რუსული ჩექმით კიდით–კიდე მძიმედ გათელილს!
მე გაზაფხულის სიყვარულით ვეძახი ქარებს,
სულს ეფინება ტკივილიანს, მთვარის ნათელი...

ანგრევენ ირგვლივ უმოწყალოდ, ქალაქებს, სოფლებს,
მათ მოქმედებას უბოროტეს არა აქვს ზღვარი...
ხოცავენ ბებრებს, ახალგაზრდებს და მშიერ ობლებს
და ჩემს მამულში, ათასობით კვლავ რეკავს ზარი!

რას უცდი, ღმერთო, შეაჩერე ბანდების წყება
და ველურ ტომებს აგრძნობინე მსოფლიო ძალა!
მათ სურთ, რომ მისცენ საქართველო: ჭირს, დავიწყებას,
სისხლი ადინონ ცხვირ-პირიდან სოფელს და ქალაქს.

რა შემზარავად ბორგავს ისევ მტკვარი, რიონი,
ცდილობენ, მაგრამ ვერ მოდრიკეს... კავკასიონი!

**12.09.93**

**ქუთაისი**

* * *

მე მახსოვს თოვლით დაბურული ჩემი სოფელი
და სანადიროდ მივიწევდი მე ტყისკენ თოფით...
როს გავცქეროდი სიშორიდან ქარებს მობერილს
სულ მახარებდა საოცარი სიმშვიდე სოფლის!

მომსდევდა ყეფით ჩემი „ტრუბა“ მორევში თოვლის
და სიქათქათე, უჩვეულო, მხრებზე მეფინა...
ვცურავდით თოვლში სიხარულით მე და ის - ორი,
რა იყო მაინც ის ზამთარი - გამაგებინა!

მას შემდეგ, უკვე ეჰ, რამდენი გავიდა წელი,
ამდენი თოვლი მე მანამდის აღარ მენახა!
იყო ზამთარი ულმობელი და მეტად ძნელი
და იყო სავსე სილამაზით ტყე და ვენახი...

მთელი თვე იწვა მიწის მკერდზე, თეთრი ზღაპარი
და ირხეოდა სიმშვიდეში თოვლის ფაფარი...

**10.02.39**
**ბანძა**

* * *

თოვლმა დაფარა სევდიანი ჩემი სოფელი,
დავდივარ მარტო და არავინ მენუგეშება!
გავცქერი მინდვრებს, მე ამ დილით თეთრად მოფენილს,
ჩამოდის თოვლი, მაგრამ აღარ მეუხეშება!

შუკებს, ხეივნებს თოვლის თეთრი ღიმილი ავსებს,
სავსეა სივრცე - ფანტელების კორიანტელით!...
ვერხვის რტოები ნეტარებით მეყრება თავზე,
საიდან მოდის, ვერ გავიგე, თოვლი ამდენი?!

ბავშვების ხმები ალტაცებით ედება მთა–ბარს,
ბერიკაცები ცას გასცქერენ ლოცვა–კურთხევით...
და ჩიტუნები ეშვებიან წივილით დაბლა,
ტყის სიახლოვეს დგას მდუმარე ერთი ურთხელი!

სოფელი მოგავს ქვეყანაზე ახლად გაჩენილს,
ციდან დაგვცქერის სიყვარულით, ისევ გამჩენი!...

**12.62.1996**
**ბანძა**

* * *

**დედას**

აწვართულ ალვის ხეებთან გიყვარდა ღამით ლოცვა,
შენი ხმის სინარნარე ესმოდათ ბალს და მოცხარს...
რამ დამავიწყოს ის ჟამი, ცა დაგნათოდა თავზე
და თეთრ ღრუბლებში მცურავი მთვარე სხივებით სავსე...

დიდხანს ვისმენდი შენს ლოცვას, ცას გავცქეროდი რიდით
და სულში შემოდიოდა ლამაზი ღელვა დიდი!
ახლა იქ არვინ მოდის, შენი აჩრდილის გარდა
და ცრემლებს ველარ ვიშორებ მარტოდ შთენილი კართან!

ვეთამაშები აჩრდილებს და სატკივარი მიმძიმს,
შენს ყვავილნართან მოვდივარ და გული მტკივა მწარედ...
და ვაყურადებ ცის თაღზე ვარსკვლავთა რხევა–ციმციმს
და თვალებიდან ჩამომდის, მხოლოდ ცრემლები ცხარე!...

წავიდა ჩემი ნეტარი ბედნიერების ხანა
და სევდით სავსე ვუცქერი ამ ალვის ხეებს ტანადს!...

**12.09.59**
**ბანძა**

* * *

მე მიზიდავდა მუდამ, შენი ლამაზი მზერა
და გავიარეთ ყმაწვილობის ლამაზი წლები!...
გავცქერდით ტრფობით, საყვარელო, სივრცეებს ფერადს
და მიდიოდა სიშორეში დღეების წყება!...

და მოვყვებოდით სიყვარულით ბილიკებს ვიწროს,
ჩვენს ნეტარებას, უჩვეულოს, არ ჰქონდა ზღვარი...
შენს ღიმილს სული ულამაზესს, ო, ახლაც იწოვს
და მივყვებოდით ოცნებებით სინაზეს მთვარის...

წავიდა ის დრო, დღესაც შენი ღიმილის ტყვე ვარ,
მიყვარდა თოვლში ხეტიალი მე შენთან, ნატრი...
საითაც მივალ, მხოლოდ შენი მიმყვება მზერა,
შენ გახდი ჩემთვის, ბუნებისგან შექმნილი ხატი!

დავდივარ მარტო და შენს ღიმილს დავეძებ ყველგან
და დამცქერიან სიშორიდან ღრუბლები ლეგა!

**17.06.70**

**სოხუმი**

* * *

Ისევ თეთრ ხიდთან გელოდები, იჩქარე, მოდი,
სად ტირიფების უთვალავი ირხევა ტოტი...
სად მაფშალია ულამაზესს იწყებს გალობას,
სადაც ბუნება გვევლინება ღმერთის წყალობად!

ნიავი ისევ ათამაშებს, ყვავილებს გრძნობით,
მაისის ზეცის სილაჟვარდეს ვუცქერით ნდობით.
ნაპირთან ტალღებს სიყვარულით გავეთამაშოთ
და სივრცეები უნაპირო ფიქრით დავლაშქროთ!

მივაყურადოთ ვარსკვლავების გამონათებას,
ვიცი, გრძნობებით კვლავ დამათრობს შენი ხატება!
მესაიდუმლეედ ერთმანეთის დავრჩეთ ბოლომდის,
გადავაჭარბოთ, ჩემო მერი, ყველა მოლოდინს.

სულის ხავერდი შევუყენოთ ცას უნაპიროს,
გავეთამაშოთ ოცნებებით ზეცის საფირონს...

**19.05.89**

**სოხუმი**

* * *

Ისევ ყმუიან სიშორიდან მგლები ტრამალის,
ხმა შემზარავი ჩვენი ქვეყნის აწყდება ჯებირს...
ეს არის მხარე – დავით მეფის, დიდი თამარის,
მოფენილია იგი მხოლოდ სიმრავლით ჯვრების!

რამდენს ცდილობენ, რომ მოშალონ გელათი, მცხეთა,
მაგრამ ვერ იქნა, ნანგრევებად ველარ გვაქციეს!
ყოველდღიურად მივასვენებთ უთვალავ ცხედარს
და სიდიადე ჩვენი მაინც ვერ დააქციეს!

ვინ იცის, სანამ გაგრძელდება ო, ეს კვეთება,
დასამხობელი დაემხობა, მაგრამ ეს როდის?
მომხდურებს ვუტევთ, მთელი ჩვენი შემოქმედებით,
იბრძოლე მედგრად, გულო ჩემო, ნუ დამილონდი!

შეხედეთ, არწივთა საბუდრებში ყორნები სხედან,
ო, როგორ მწარედ იცრემლება... ადგილის დედა!

**27.12.77**

**სოხუმი**

* * *

გაფრენილ დღეებს რა დამავიწყებს,
როცა ზღაპრული გრძნობებით ვენთეთ...
ვიხსენებ იმ ჟამს და ლოცვას ვიწყებ,
რომ ჩვენ ერთმანეთს საოცრად ვენდეთ!

მეძახდა შენი სინაზის ხიბლი,
მყუდრო სავანეს ვეძებდით მუდამ!
ვიდგამდით თავზე ყვავილთა გვირგვინს
და ფარფატებდნენ მტრედები გუნდად...

ის დრო წავიდა... ჩაქრა ღიმილი,
გული უზომო წამებით მეწვის!
და ჩიტუნების მესმის წივილი,
და მაკრთობს მიწა არ გახდეს ბერწი!

მე შენზე ვფიქრობ, სული იწვის და გული ღელავს,
მაშინებს ნისლმა არ დაფაროს სიმაღლე ყველა!

**19.06.59**

**სოხუმი**

* * *

დამის კოშმარებს ვერაფრით ვძლიე,
დავდივარ, სადღაც დავეხეტები...
ცხოვრებამ გული მატკინა ძლიერ
და დავიღალე ქამთან შეტევით!

ოცნების კოშკი ამაოდ ვაგე,
ფიქრებმა მწარედ ბევრჯერ დამცხრილეს!
ღრუბლები ცაზე ვამსგავსე ნანგრევს
და ფეხშიშველი გარბის მაცილი!

საითკენ მიდის ღამეთა წყება,
ქარი მინდორზე მიქრის გიჟივით!...
რამდენი რამე წამართვეს წლებმა
მღვრიე ტალღების - ღელვით, შიშინით!

მიდის ზამთარი და ღრუბლები ფრთებს შლის ორბივით
და მიირხევა სიშორეში - მთვარის პროფილი...

**17.11.74**

**სოხუმი**

* * *

**ზ**ეცა გამიცისკროვნა ამ ჩიტების მოფრენამ,
მზე ამოდის მთებიდან, შუქთა მძლავრი ღვარებით!
ისევ ღელავს მთა–ბარი, ფეხზე დგება სოფელი
და ბღავიან ეზოში მამაჩემის ხარები.

დავდივარ და ყვავილებს გრძნობით ვეთამაშები,
დილის სიო კვლავ ფრთებს შლის ფერთა დიადემებით...
მერი, თვალებს გიკოცნი, შორს მიქრიან რაშები,
კვლავ ბღავიან ნაპირთან წყება თეთრი გემების!

გაზაფხული მთავრდება და ზაფხული მოიწევს
და ფერს იცვლის იდუმალ სივრცე გაუხუნარი!
გულო, ისევ იბრძოლე, გაქვს შეტევის უნარი,
მზეო, მიწა მშობელი მხოლოდ შუქით მომირწყე!

დემონებო, არ შეწყდეს თქვენი ურჩი ხელებით,
ჩიტუნების სიმების უნაზესი რხევები!

**12.06.57**
**ბანძა**

* * *

ბევრჯერ ვეკვეთე, მაგრამ ველარ გავინაპირე,
ველარ მოვღალე გული ღელვით დაუოკები!
მე სტუდენტური სიხარულის გავცდი ნაპირებს,
ბევრჯერ დავცალე რქაწითელით სავსე დოქები!

სხეულს მხურვალეს ულმობელი ცეცხლი ედება,
ერთად მოზვავდა დღეთა ქროლვა ლურჯი ზმანებით!
ველარ ეცვალა ფერი ამ ჩემს შემოქმედებას,
ვდგავარ ბექობზე და შხუილი მესმის ქარების!...

დედა წავიდა! მამის უკვე შეწყდა ღიღინი,
აღარ მშორდება ბილიკებზე სევდის მორევი...
თეთრმა მამალმა მერამდენედ, ისევ იყივლა,
წავიდა ის დრო, სიშორიდან არას მოველი!

მზე ჩადის უკვე და საღამო სამოსელს იცვლის
და ჩემი ყრმობის კვლავ ჭიხვინებს ბექობზე კვიცი!

**24.08.62**

**თბილისი**

* * *

შენს სინატიფეს, საყვარელო, წამართმევს ვერვინ,
დასაბამიდან მხოლოდ შენი გრძნობების ტყვე ვარ!
ვიცი, ვერაფრით ავიცილებთ დაშლას და რღვევას,
და პოეზიით თუ შევრჩებით, ძვირფასო, მერმისს...

თუ ლექსთა წყება სიყვარულით შემოგვინახავს,
როცა მიწაზე სახვალიო ჩაქრება შუქი!
ჩვენ ერთმანეთის ტრფობას, მერი, გულში ვინახავთ,
კვლავ ვარდფურცლობის, აინთება ეზო და შუკა!

და შორს რიტმებით და რითმებით გავყვებით მერმისს,
და ხეივანში ავინთებით სინაზით მთვარის!...
შენს სილამაზეს, მეგობარო, წამართმევს ვერვინ
და ნაკვალევზე ჩვენი ტრფობის იქროლებს ქარი...

ამ წუთისოფელს, მითხარ ერთი, ნეტავ რას ვერჩით,
თუ ერთმანეთის სიყვარულით, მომავალს შევრჩით!...

**19.06.80**

**სოხუმი**

* * *

ბროწეულებით გაბადრულ სივრცეს
ჩემი უსაზღვრო ტრფიალით ვანთებ!...
მე გული მათი ალერსით მიცემს
და ზარებს რეკავს შორიდან მნათე.

ციდან იღვრება შხეფი მირონის
და ეპკურება მშობლიურ ხედებს...
სულს მივსებს ღელვით ცა საფირონის,
რასაც იდუმალ გრძნობებით ვენდე!

წავიდა ის დრო და მე ცრემლი მდის,
ვდგავარ მწუხარე- არ ვიცი რა ვქნა?!
ამას გთხოვ მხოლოდ, ღმერთო შემინდე,
ის აღტაცება, ნეტავ, სად გაქრა?!

ეს ყველაფერი საიდან მოდის?
გულო, ტკივილით ნუ დამიღონდი!

**17.09.73**

**სოხუმი**

* * *

„ღმერთთან მიახლოვება მხოლოდ მარტო
სულს ძალუძს“
ლევ ტოლსტოი

ქრავდი ბარგსა და ბარხანებს, ჩამოიშორე ყველა,
ისწრაფი გამალებით და, თან საოცრად ღელავ!...
არაფრად არ მიგაჩნია გაფრენილ დღეთა წყება,
ოთხმოცი წელი გავიდა, უკვე დუმილი წვება!...

სიკვდილი მოდის, მოიწევს, ღმერთთან შეხვედრა მოგინდა,
უღმერთოდ რაა სიკვდილი, იგი არაფერს მოგიტანს!
ცაში სანთლები ინთება და სიყვარულზე ლოცულობ,
კაცი მსოფლიო გენია... ტკივილით გარემოცული.

შორს, სადღაც გარბი ქარივით, სული სივრცეში ფათურობს
და ცის სიღრმეში ინთება ასი ათასი ნათურა...
დაგმე მდიდრული ცხოვრება და მიელტვოდი სახიერს
და სანატრელი დღეები შენ ერთიანად დახიე!

და იმ პატარა სადგურში შენი სიცოცხლე დასრულდა
ღმერთის ქათქათა მკლავებზე, შენი გენია დაცურდა!...

**14.06.93**

**ქუთაისი**

* * *

**დიდ მოურავს – გიორგი სააკაძეს**

ნოსტეს მინდორ–ველს ახსოვს მხოლოდ შენი ბავშვობა,
შენს ჭაბუკობას იგი დღემდე ეთაყვანება!
რა დაავიწყებს შენს სიმაღლეს და შენს ლაშქრობას,
დროს მიაქვს იგი სიშორეში, როგორც ზმანება...

მზე შენს ნაკვალევს კოცნის ტრფობით და ეფერება,
იყავი სოფლის ფერთა ღელვით გაუმაძღარი.
დროს სილამაზე შენი ყრმობის მიაქვს ფენებად
და იცის შენი საიდუმლოს ყველა საზღვარი!

ზარები რეკენ სვეტიცხოველს, დიდგორს და გელათს,
ძვლები დავითის და თამარის ეხმაურება...
იყავ გრიგალი, უქარქაშო ხმლებით ეული,
შენი ხატება შერჩა მამულს, შენი ბუნება!

იქროლე დროო, ვინღა მოშლის მაგ შენს დინებას
ის არ მორჩილებს  არასოდეს გაბედითებას!

**10.01.59**

**სოხუმი**

* * *

შენს მოლოდინში სანაპირო საოცრად ფეთქავს,
რომ მოხვალ ვიცი დამიბრუნებ რწმენას და იმედს!
ისევ დაგვათრობს გაზაფხული სინაზით ფერთა
და გადმოგვხედავს სიყვარულით ცა მოზეიმე...

მოვინახულოთ მდინარის პირს ჩვენი სატივე
და მერე ერთად ყვავილოვან ფერდობებს ავყვეთ...
თუ არ მოხვედი შენს სანუკვარ ვარდებს ატირებ,
მე შენზე ვფიქრობ და, თან სიმებს ჩონგურის ვარხევ...

აქ, ამ ბაღებში დაველოდოთ მთვარის ხატებას
და შენს საყვარელ ადგილებში ვიხეტიალოთ...
სული მოითხოვს მაგ თვალების შემონათებას,
მოდი, ძვირფასო, გელოდები, სულისზიარო!

თუ აღარ მოხვალ, ასე მარტო, სანამ ვიარო,
რას უცდი, ისევ დაიქროლე მთიდან ნიავო!

**10.05.82**

**სოხუმი**

* * *

ჩემი თბილისი თოვლმა უკვე გადაივიწყა,
დავხეტიალობ, მაგრამ ფიფქებს ვაწყდები ვერსად!
ვდგავარ ჯებირთან, ძველებურად კვლავ ფრანგულს ვლესავ
და გული, ისევ დარდით სავსე შენკენ მიმიწევს!...

მტერი არასდროს აღარ გაკლდა, იბრძოდი მედგრად,
რამდენ სატკივარს გადაურჩი მძიმე შეტევით!...
და ბრძოლის ველზე, ისევ დადის, ადგილის დედა,
დავდივარ, სადღაც უიმედოდ დავეხეტები!...

შემორჩა ხსოვნას, უჩვეულო მძაფრი კივილით,
სამასი გმირის შემართება, გაყვება მერმისს...
და გადაევლე ქარტეხილებს სისწრაფით ელვის,
ისევ დამყვება სევდიანი შენი ღიმილი!

ოკუპანტების შემოტევა აღარ გივიწყებს
და, ისევ მთელი შემართებით იქით მიიწევ!...

**10.06.72**

**სოხუმი**

* * *

**„დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ!**
**როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,**
**ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია**
**და შორეული ცის სილაჟვარდე...“**
**გალაკტიონ ტაბიძე**

მე დილით ადრე მზეს ვხვდები, როგორც მშობლიურ დედას,
შენდამი ამ ჩემს სიყვარულს, უკვე არა აქვს ზომა!
მე შენს წინაშე ვლოცულობ და სიყვარულით ვფეთქავ,
შენი სხივებით ივსება ჩემი აქ ყოფნის ზონა!

მე შენს გაჩენას ულამაზესს ვეთაყვანები,
ის უნატიფეს ცეცხლით მივსებს სივრცის კაბადონს...
და შენს სხივებში ირხევიან აქ თავთავები,
შენ ხარ სიცოცხლის ნეტარების ვრცელი საბადო!...

და ფრთებს აფარებ ჩემს პლანეტას ესოდენ დიადს
და აქ სიცოცხლე დასაბამით შენით ზეიმობს!...
მოდიხარ ღელვით და ჩვენ ვეტრფით სიცოცხლეს მზიანს
და ბავშვობიდან შენს სანატრელ ველზე ვსეირნობთ...

და ვეფერებით შენს ხატებას გაჩენილს ღმერთის,
მაგ სხივთა რხევით ულამაზესს სამყაროს ერთვი...

**17.05.05**

**თბილისი**

* * *

**ჩემს სახელოვან მასწავლებელ**
**ანტონ (მუცუ) კეკელიას ხსოვნას**

მე ვერ გიწოდებ ყოფილს, თუმც გული მტკივა ძლიერ,
გაფრინდა ჟამი ყრმობის და სევდას ვეღარ ვძლიე!
შენ ახალგაზრდა კაცი გვაძლევდი ცოდნას, იმედს,
დრო იყო მეტად მკაცრი და შემზარავად მძიმე!

დავალ ეზოში სკოლის, დავხეტიალობ მარტო,
მივაყურადებ... გული აქ, თითქოს, ქვასაც უცემს!
მე შენს ხატებას ვეძებ ამ ხეივანში, ანტონ,
შენი აჩრდილი ირხევა ჩამავალ მზეზე, მუცუ!

მოდიხარ გვიან ღამით სასაფლაოზე ბანძის,
სულისთვის აზრი არა აქვს დროის ქროლვას და მანძილს,
აქ ბებერ ძელქვას არხევს შემოდგომური ქარი,
ხვდები სანატრელ ლანდებს იდუმალ შუქზე მთვარის!

აქ, შენი სახლის კართან, გული ვერ მალავს ტკივილს,
ხოლო ბავშვობის ეზოში თეთრი მამალი ყივის.

**10.06.17**

**თბილისი**

* * *

**ლ-ს**
**„ჰო, მოითმინე, მოითმინე, ძალიან შორს**
**ყველაფერი უკვე ჩავიდა!“**
**საფო**

მიირხეოდი ჩამავალ მზის სხივების ჩქერში,
მიგაცილებდა მოგალობე ხმა იადონის!..
მაგონდება და, ის ოცნებად ანთია ჩემში,
საით წახვედი, რომელ მხარეს - „ვაჰ, დრონი, დრონი!“

ჩემს სულს პოეტურს მოსაგონრად ეყოფა დიდხანს,
ო, ის საღამო რუსთაველზე, რომ მაქვს ნანახი!
უშენოდ, უკვე მომავალმა რა უნდა მითხრას?
ეფინებოდა მოცისფერო ბინდი სანახებს...

მიგაცილებდა უთვალავი თვალი ტრფიალით,
ცა შეღამების მიმოზისფერ შუქში წვებოდა...
და გიკოცნიდა ნაფეხურებს ლურჯი ნიავი,
ზღვაც შენი მზერის სილამაზით იფოფრებოდა!..

მზე ჩადიოდა ძოწისფერი სხივთა ფაფარით
და დარჩა ჩემში ის საღამო, როგორც ზღაპარი!..

**04.07.67.**

**სოხუმი**



# ᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲔᲑᲘ

**დავით გიორგის ძე გაბუნია** დაიბადა 1931 წლის 17 მაისს მარტვილის რაიონის, სოფელ ბანძაში, სადაც წარმატებით დაამთავრა საშუალო სკოლა.

უმაღლესი განათლება მიიღო სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკის სპეციალობით და ათეული წლების განმავლობაში მუშაობდა სახალხო განათლების სისტემაში.

იმსახურა ქ. სოხუმის შოთა რუსთაველის სახელობის პირველ სკოლა-გიმნაზიაში დირექტორის მოადგილედ სასწავლო-აღმზრდელობით დარგში.

როგორც თვითონ ამბობდა: მწერლური ნიჭი ადრეული ასაკიდან გამოავლინა. თავიდან წერდა სახუმარო ლექსებს („ამხანაგთა სათრეველად“).

სოხუმში მოღვაწეობის პერიოდში მან მალე შემოიკრიბა შემოქმედებითი უნარით, პოეტური მადლით ცხებული ახალგაზრდები და 1957 წლის შემოდგომაზე შეიქმნა ახალგაზრდა მწერალთა წრე, რომლის ხელმძღვანელადაც თავად აირჩიეს.

აღსანიშნავია, რომ ამ წრის წევრებიდან არაერთი ნიჭიერი მწერალი გამოიზარდა, რომლებმაც საინტერესო ლიტერატურული გზა გამოიარეს და შთამბეჭდავი წვლილი შეიტანეს როგორც ქართულ პოეზიაში, ასევე მთარგმნელო-

ბით საქმიანობაში. წრის წევრები იყვნენ: **გენო კალანდია, მურმან ხურცილავა, ჯანო ჯანელიძე, ბორის მეტრეველი, ოთარ მიქაძე, ამირან მიქაუტაძე, ავთანდილ ხარეიშვილი...**

წრის სხდომები ტარდებოდა რეგულარულად, სადაც წინასწარ შემუშავებული წესდების მიხედვით იღებდნენ ახალ წევრებს, დიდ ყურადღებას აქცევდნენ ნიჭიერი ახალგაზრდების მოძიებას, მათს მოწვევა-მოზიდვას. ამასთან, ატარებდნენ ქართველ მწერლებთან შეხვედრებს, ახალგაზრდა მწერალთა შეკრებებს და სხვ. სხდომებზე ეწყობოდა ლექსების განხილვა. ღონისძიებებზე დასწრება ყოველთვის მრავალრიცხოვანი იყო.

ამ პერიოდში საქართველოში ძლიერდებოდა ეროვნული მოძრაობა, რომელსაც სათავეში ედგნენ **ზვიად გამსახურდია** და **მერაბ კოსტავა**. მალე ახალგაზრდა მწერალთა წრის წევრებმა აიტაცეს ქვეყნის გათავისუფლებისთვის ბრძოლის იდეა, რაც აფხაზეთის პარტიული ხელმძღვანელი მუშაკებისა და აფხაზეთის მწერალთა კავშირის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა. როგორც მოსალოდნელი იყო, დაიწყო ახალგაზრდა მწერალთა წრის შევიწროვება. ზემდგომი ორგანოების პასუხისმგებელ პირებს არ აწყობდათ თავისუფალი ლიტერატურული წრის არსებობა. არ ერიდებოდნენ დასმენებს, უხეშ ჩარევებს მათ საქმიანობაში.

1965 წელს მწერალთა წრე დაშლილად გამოცხადდა. ცხადია, აღნიშნულმა წრემ გარკვეული როლი ითამაშა წრის წევრთა ინტელექტის ამაღლებასა და მათში ლიტერატურული გემოვნების გამომუშავებაში. ამავე დროს, დაუფასებელი სამსახური გაუწია ახალგაზრდობას ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებაში.

მომდევნო წელს წრის წევრთა ნაწილი მიიღეს საქართველოს მწერალთა კავშირის რიგებში. **დავით გაბუნიას** აქტიურობა არ აპატიეს. აფხაზეთის მწერალთა კავშირის ქართული ორგანიზაციის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ თავი შეიკავა მის კავშირის წევრად მიღებაზე, ხელს უშლიდნენ წიგნების გამოცემაშიც. მის წიგნებს სარეცენზიოდ ყოველ წელს. აძლევდნენ ერთ უჩინმაჩინის ქუდიან რეცენზენტს, ისიც დაუზარებლად ყოველ ჯერზე წერდა: „ავტორს ავიწყდება, რომ სოციალისტურ ქვეყანაში ცხოვრობს, მან არ იცის დაზგებთან და საკოლმეურნეო ყანებში მომუშავე ხელების ფასიო“ და ა.შ. რაც საკმარისი იყო წიგნის გამოცემაზე უარი ეთქვათ!

**დავით გაბუნია** არ თმობდა პოზიციებს. იყო შემთხვევა, მისი პრინციპული მოთხოვნით, გამოსაცემი წიგნი სარეცენზიოდ გაიგზავნა საქართველოს მწერალთა კავშირში და თბილისიდან დადებითი შეფასება მოვიდა. მხოლოდ ამის შემდეგ გამოსცა ლექსების კრებული აფხაზეთის გამომცემლობამ.

1967-1992 წლებში გამოვიდა პოეტის ლექსების რვა კრებული. მათზე დაიწერა არაერთი დადებითი რეცენზია.

**დავით გაბუნია**, როგორც პოეტი და მოქალაქე, იყო მეტისმეტად პრინციპული, სამართლიანი, მომთხოვნი საკუთარი თავისა და სხვებისადმი. ის იყო ბუნებით ობიექტური, კარგად არჩევდა მტყუან-მართალს, - ამიტომაც უკანონოდ წამოჭრილი საკითხები ყოველთვის მისი უპირატესობით წყდებოდა.

1992 წელს, დავით გაბუნია საქართველოს მწერალთა კავშირის წევრად მიიღეს.

იმავე წლის აგვისტოში აფხაზეთში დაიწყო შეიარაღებული კონფლიქტი რუსეთის ინიცირებით და აქტიური საბრძოლო მოქმედებებით.

1993 წლის სექტემბრის ბოლოს სოხუმი დაეცა. ქალაქები და სოფლები კართაგენის ნანგრევებს დაამსგავსა.. სულით ხორცამდე შეძრულმა პოეტმა ამ უდიდესი უბედურების დატრიალებას მიუძღვნა ლირიკულ-დრამატული პოემა: „**ო, თუ გინახავთ ამგვარი რამე**“.

პოეტი, სხვა ათასობით ქართველთან ერთად, იძულებული ხდება ჯერ იმერეთს, შემდეგ აჭარას შეაფაროს თავი.

ის საქართველოს ამ კუთხეებში გამომავალ პერიოდულ პრესაში აქტიურად იწყებს თანამშრომლობას. ესწრება და აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ღონისძიებებში.

1996 წელს ის უკვე თბილისშია. ამავე წელს დ. გაბუნია შვილების თხოვნით საცხოვრებლად გადადის მოსკოვში. აქ, ის მეუღლესთან ერთად უკავშირდება ქართულ სათვისტომოს და სისტემატურად ღებულობს მონაწილეობას ლიტერატურულ შემოქმედებით ღონისძიებებში.

ასევე, ინტერესდება საგამომცემლო საქმიანობით და მალე გამომცემლობა ООО „ларти люкси“-ში დაისტამბება მისი ლექსების ორტომეული: „**ზარები ნიქარებში**“ და „**ფოთოლცვენის ლანდები**“ (მთ. რედაქტორი **რ. კონჯარია**, რედ. **დ. ნარმანია**).

2002 წელს თბილისში აფხაზეთის მწერალთა ქართულმა ორგანიზაციამ მოაწყო ამ წიგნების პრეზენტაცია. მათზე დაიწერა და დაიბეჭდა არაერთი დადებითი რეცენზია.

2007 წლის მარტში მოსკოვში ქართულმა ახალგაზრდულმა მოძრაობა - „**ლაზარემ**“ (თავმჯდომარე **ჯ. კვარაცხე-**

**ლია**) პოეტს გადაუხადა 75 წლის იუბილე და აირჩეს აღნიშნული ორგანიზაციის საპატიო წევრად.

ღონისძიებას აქაურ ქართველ ახალგაზრდობასთან ერთად ესწრებოდა ქართული სათვისტომოს მრავალრიცხოვანი საზოგადოება.

2010 წელს პოეტი და მთარგმნელი დავით გაბუნია სამუდამოდ უბრუნდება თავის ქვეყანას და ინტენსიურად განაგრძობს მწერლურ მოღვაწეობას. მან შეძლო მოემზადებინა ოთხტომეული: „**ვარდფურცლობის დღესასწაული**“, „**კივიან სამრეკლოს ზარები**“, „**ფერიცვალების ველი**“ და „**სიშორის ფერები**“ საერთო სახელწოდებით - „**ცისა და მიწის ოთხი ხეივანი**“ (გამომც. „**უნივერსალი**“) ამ გამოცემისთვის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა მას **ნიკოლოზ ბარათაშვილის** სახელობის პრემია მიანიჭა.

გარკვეულ პერიოდში დავით გაბუნიამ ჟურნალისტ და მწერალ **დონა კოლხთან (დოდო ნარმანია)** ერთად თარგმნა და გამოსცა კლასიკური პოეზია (**გოეთე, ბაირონი, შელი, ქითსი, უიტმენი, ლორკა, პუშკინი, ესენინი**).

2021 წელს დავით გაბუნიამ თავის შთამბეჭდავ შემოქმედებას შეჰმატა საინტერესო სქელტანიანი ორტომეული: „**მზერამავედრებელი**“ და „**საით მიცურავ მზეო**“. გამოცემებს აერთიანებს საერთო სახელწოდება: „**ჩამავალი მზის მელოდიები**“. ტომეულები გამოირჩევა თემატური მრავალფეროვნებით. პოეტური თვალთახედვით, დახვეწილობით.

* * *

2021 წლის ზაფხული. **დავით გაბუნია** ჩვეული რუდუნებით განაგრძობდა მუშაობას სონეტების გამოსაცემად; უცებ თავი მეტად ცუდად იგრძნო და გადაყვანილ იქნა თბილისის „**ნიუ ჰოსპიტალში**“. თავიდან მდგომარეობა უკეთესობისკენ წარიმართა, მაგრამ, საუბედუროდ, სამკურნალო დაწესებულებაში დაინფიცირდა კოვიდ-19 და რამდენიმე დღეში გარდაიცვალა.

ის გახდა იმ ვირუსის მსხვერპლი, რომელიც საქართველოში ცუდად იმართებოდა. ქვეყანა აშლილობისა და ურთიერთწინააღმდეგობრივი ვითარების გამო ამ მიმართულებით არასაკმარის ღონისძიებებს ატარებდა და ამიტომაც, საშინელი სისწრაფით იხოცებოდა საქართველოს საჭირო მკურნალობას მოკლებული მოსახლეობა.

**დავით გაბუნია** - პოეტი და მთარგმნელი! ის იყო მწიგნობარი, მაღალი ინტელექტის, ფართო დიაპაზონის, შესაშური მეხსიერების შემოქმედი, რომელმაც თავისი ადგილი უკვე დაიმკვიდრა ლიტერატურულ სივრცეში. ვფიქრობ, მისი შემოქმედება გაუძლებს დროს. ის დარწმუნებით ამბობს: „**მამულში მხოლოდ პოეზიით გავიდგი ფესვი, რაა პოეტის უკვდავება? - სიცოცხლე ლექსის!**“

## სარჩევი

სონეტი------------------------------------------------------------------------- 4
* * * დავით გაბუნია----------------------------------------------------------- 5
დავით გაბუნიას სონეტების სამყაროში...---------------------------- 6
ქვემეხის ლულა დაუფარავთ მტრედებს ღუღუნით ------------ 19
იმ დღეთა ხსოვნა კვლავ ულმობელ ტკივილად მაწევს, ---20
მაკოცე მერი! სანამ ჟამი არარად გვაქცევს, ------------------21
ღამეა... უკვე მეთორმეტედ დარეკა ზარმა, --------------------22
შენ, პირზამბახა გოგონავ, ვერ იქნა ველარ გივიწყებ, ------23
დაჩოქილი ვარ შენს წინაშე, ჩემო ღვთაებავ! ----------------24
ჩამოდიოდა სიშორიდან, თოვლი შრიალით ------------------25
მე მუდამ მჯერა, შენი გულის ულალატობის, -----------------26
ვდგავართ ნაპირზე და ზღვა არხევს ტალღებს უჩუმრად, --27
ეს ვინ გამოსცდა წუთისოფლის მღვრიე მდინარეს? ---------28
აჰა, საცაა მოვარდება გრიგალი ურჩი, --------------------------29
თრთოდი “ბელურა” იადონის უკვდავი ყელით, ---------------30
აპრილის ჩიტი ყვავილნარში ო, ისევ გალობს, --------------- 31
ირეკლავს სივრცე გარდასულის იდუმალ ხსოვნას, ----------32
რამ შეგაყვარა, საყვარელო, ფერი მოცხარის, ---------------33
ვინ იცის, სულო, ვისთვის რას ქსოვს ბედი მაცდური? -------34
ო, მზის გარშემო სანამ ბრუნავს ეს დედამიწა ---------------35
გული განსაცდელს, კიდევ დიდხანს გაუძლებს, ალბათ, -----36
შევდივარ ბაღში, დათოვილი ხეები დგანან, -------------------37
შენი დრო სადღაც, მოსახვევში შეჩერდა უკვე, ----------------38
ეს ნავი ო, რა გაბედულად მიარღვევს ტალღებს, --------------39
ღირსების დარად ვერ შევამკე შენი სახელი, -------------------40
არ მინდა სევდა შემოდგომის შემოეპაროს – -----------------41
არავინ იცის, საიდან და როგორ მოვედით, --------------------42
სიცოცხლის თავთავს, ანგელოზი საკმეველს უკმევს, ---------43
უღელი მძიმე თუ დაიდგი, – უნდა ატარო, ------------------------44
ჩემი ცხოვრება უჩვეულო დინებით მიდის, -----------------------45
მე შენს გარეშე როგორ გავძლებ, ჩემო სოფელო! -----------46

მე შენს სიყვარულს, დავიწყებას ვერასდროს მივცემ, --------47
მინდა სიცოცხლის ნიაღვრების, ბოლომდე გვწამდეს, --------48
ლამის აფეთქდეს, ო, ეს გული სადმე დენთივით, --------------49
შორეულ გზაზე, უგზო-უკვლოდ მივექანები ---------------------50
დრო სწორხაზოვნად, უკვე აღარ მიედინება, -------------------51
ჩვენ ვტოვებთ სცენას და უეცრად სხვები მოდიან, -------------52
აქ ცა და მიწამ ერთობ, იგრძნო მოთენთილობა, --------------53
ვიცი, ეს ღელვა, ახლა უკვე ვერაფერს შეცვლის, --------------54
უგუნურებას ქვეყანაზე არ უჩანს ზღვარი, -------------------------55
ნაღვლიან თვალებს, უჩვეულო წამება ახლავს -----------------56
საით გამექცა მეწამული ფერის მანტიით – ---------------------57
ციდან უხვად, კვლავ იღვრება ოქრო, ------------------------------58
დედამიწაზე მე დავარქვი, საგნებს, სახელი, -------------------59
ვერ უძლებს სული, უთავბოლო დღეთა მარულას, -------------60
ამ დღეთა სრბოლას, ვხედავ უკვე, ვერაფერს ვშველი, ------61
შენს უჩვეულო სიდიადეს ვეტრფი, ბუნებავ, ---------------------62
მე ჩემი სოფლის, მიცნობს თითქმის ყოველი კენჭი, -----------63
ჟამმა ცხოვრება რა უეცრად გამინახევრა?! ----------------------64
მე არასოდეს არ ვყოფილვარ, ჟამის მძევალი -------------------65
ზღვას დაეფინა ძოწისფერი სინაზე ისევ, --------------------------66
მზე ამოდის მაისის, მეწამული ქსოვილით, ----------------------67
მე შენსკენ მზირალს მეფინება – ფერები მთვარის, ----------68
გაქღენთილია მძიმე სევდით ჩემი პლანეტა, ---------------------69
ო, ეს სიკვდილი რატომ არის ასე ძლიერი – -------------------70
ჟამთან ჭიდილში გაცვდა ჩემი ყმაწვილკაცობა, ----------------71
ზღვა რა ლონივრად ეხეთქება ამ ღამით ჯებირს ---------------72
შენ მოგვევლინე დირექტორად რვაწლიან სკოლის------------73
რად მომეძალა უსაშველოდ მელანქოლია?! ---------------------74
გაივლის წლები და ძვლებს აღარ შერჩება ხორცი, -----------75
მოეცვა ცახცახს ჩემი მთები ტერფით – თხემამდე, -------------76
ეს ქარიშხალი ო, ამ ღამით როგორ ხმაურობს, ----------------77
მე ამ კბოდეზე, ბავშვობიდან მიყვარდა დგომა, ----------------78
საუკუნეთა სიღრმიდან, უცქერ თაობებს კაცურად, ------------79
მინდა გულწრფელად გესაუბროთ, მნათობნო ცათა! ----------80

შენ დასაბამით საიდუმლოს ინახავ რამდენს, -------------------81
ეს გრძელი ღამე ისევ მექცა შფოთვად, წამებად, ---------------82
ისევ დაკეცა გაზაფხულმა აფრა ზღაპრული ----------------------83
დედაო მიწავ, შენი ბედი მაშფოთებს ახლა, -----------------------84
ო, ამ გულიდან სისხლისფერი ცრემლები წვეთავს, ------------85
რაც შენს შესახებ ვიცით, ეს ხომ არცოდნას ნიშნავს, --------86
სულისკვეთება განწირულის! – სხვა რაღა დარჩა? ------------87
შენს მოლოდინში, გული უკვე ველარ ისვენებს, -----------------88
როცა ვერ უძლებს ასე ულვთოდ ხორცის წამებას, ------------89
ეს საუკუნე გულზე მიშენს მოწამლულ ისრებს, ----------------90
რამ დამავიწყოს ის დღეები – სავსე ღირსებით, ----------------91
მე ისევ ვიწოვ ჩემი ქვეყნის ტკივილებს ხარბად – ------------92
ორ ვეშაპს გავსცდით და მესამე გადაგველობა, ----------------93
მთელი სისწრაფით ისევ შენსკენ მოვექანები, ------------------94
უეცრად შენში თუკი ყველა სანთელი ჩაქრა, -------------------95
მკრთალი ბალახი ატირდება ორი საფლავის -------------------96
ვერ გავარღვიე ეს საზღვრები, არარაობის, --------------------97
მე ვხედავ ჩემს თავს, მეგობარო, ოცი წლის მერე, ------------98
დღევანდელი დღის, ულიმღამო ცხოვრებით ვცხოვრობთ, --99
რა რჩება ჩემგან? – კითხვა დღესვე მოითხოვს პასუხს! --- 100
რად დაივიწყე, ბედნიერი დღეების წყება, ----------------------101
ო, შენ ხარ ჩემი სიყვარულის წმინდა სათავე, --------------- 102
შენ ხელმეორედ ამ მიწაზე ვერასდროს მოხვალ, ----------- 103
დროის ტალღებზე კვლავ დრეიფობ, ჩემო პლანეტავ, ------ 104
მაგ ღვთაებრივი სილამაზე აღარ ვიწამეთ, -------------------- 105
სიკვდილი მუდამ სიცოცხლეზე იწყებს შეტევას, -------------- 106
უმადურება ისევ მძლავრობს, ახლა შენს ირგვლივ, -------- 107
გადამაფარეთ ჩემი ზეცის, ხავერდი ლურჯი, ----------------- 108
გრავიტაციულ ველში ვდგავარ, ყველა სხეული -------------- 109
უიტმენივით მარტოობას ვეჩვევი უკვე, ---------------------------110
გახდები მშრალი, უნაყოფო, მიწავ მშობელო, ------------------ 111
რამ დაგაფიქრა, შენ ბუნებავ, ასე სასტიკად? ------------------112
შეხედე, როგორ დაემსგავსა მკვდარ ზღვას, ცხოვრება, ----113
ამ ქვეყანაზე რომ ცხოვრობდი, არც უნდა ითქვას, -----------114

აწი ვერავინ დაგიბრუნებს იმ დიდ სიყვარულს, ---------------115
არავინ იცის, ეს ცხოვრება თუ როგორ ბრუნავს --------------116
შორს, ცის სიღრმეში მიირხევა შუქი ულევი, -------------------117
მას შეჩერებულს და მდუმარეს ვერასდროს ნახავ, -----------118
ცამ შეარხია მირიადი ზონარი წვიმის, ---------------------------119
შენი ხმა სიმებს ისევ არხევს - ცისა და მიწის, ---------------- 120
შენ ხომ სიცოცხლის სილამაზეს, ეტრფოდი მუდამ, -----------121
ო, ეს მდინარე რა ულმობლად მიიგრაგნება ------------------ 122
დავემშვიდობე, გაზაფხულის დღეებს - სანუკვარს ----------- 123
ჩვენი ბავშობის სილამაზე საითკენ მიდის? -------------------- 124
მომწვანო ბილიკს, ზღვისკენ მარტო გავყევი ღამით, ------- 125
სად შეწყვეტს ღელვას, ო, ეს გული, არავინ იცის,------------ 126
ვზივარ ნანგრევზე, ზღვა ბობოქრობს -
ლურჯი და ვრცელი ------------------------------------------------- 127
ამდენი თოვლი, მეგობარო, ჯერ არ მინახავს, --------------- 128
ასე ულმობლად ვინ დანალმა ცხოვრების ველი? ------------ 129
ჩემს წინ ქარი ისევ არხევს - ალვებს ტანადს, ---------------- 130
ვერ ამოწურავს სათქმელს ჩემსას ჯერი ლექსების, ---------131
ტყე იხდის ტანზე, შემოდგომის მთვარისფერ ფარჩას, ------ 132
ჩვენს შორის უკვე ჩაქრა თითქმის ყველა სანთელი ---------133
შენს ფანჯარასთან ვიდექ ჩანგით, კაცი ეული ---------------- 134
შერჩება მერმისს, სტრიქონები სავსე განგაშით, ---------------135
ვეფერებოდი მე შენი თმის ლამაზ კულულებს, --------------- 136
ვინ შეაჩერებს უთავბოლო ზვირთების რიალს, --------------- 137
დგება ჟამი და შემართებას რაინდულს ითხოვს, ---------------138
ფერიცვალების აიწყვიტეს უკვე ქარებმა, ----------------------- 139
ჩემი ცხოვრების შემოდგომა დამთავრდა უკვე --------------- 140
კვლავ შეღამების ბილიკს გავცქერ ფოთლებდაფენილს, ---141
შევედი ბაღში, შუქი თოვდა მოლურჯო მთვარის ------------ 142
არ ვიცი ახლა, ვის მოვუხმო, ვის ვესაუბრო? ----------------- 143
მახსოვს, დავქროდით ჩვენ ორივე, ზღვაზე, გლისერით, --- 144
შენს ყვავილნარში ახლა უკვე არავინ მოდის, ------------------ 145
ისევ აცეკვდნენ ჩიტუნები მოლზე აპრილის --------------------- 146
რატომ დაგჩემდა ხეტიალი მთვარიან ღამით, ------------------ 147

რა სუსხიანი და სასტიკი დღეები ბრუნავს, --------------------- 148
ჩემი ცხოვრების, როცა უკვე სამოც წელს გავცდი, --------- 149
ჩემს თვალთამზერას მიეფარა წლები ნათელი -------------- 150
ველარ ნელდება ჩემში ზვირთთა აბობოქრება, --------------151
ვერ იქნა, ველარ მოვიშორე, ეს ფუჭი სევდა, ---------------- 152
საიდან მოველ, ან საითკენ მივდივარ ნეტავ? -----------------153
ზღვა გატრუნულა და სიზმარში იდუმალ ხვნეშის, ----------- 154
შენ ბედისწერის ლაბირინთში იხეტიალე, ----------------------155
როცა ისარი შეწყვეტს ცახცახს, ჩვენი საათის, -------------- 156
უჩემოდ, ვიცი, მკვლავებს უხეშს რომ მოგხვევს ჟამი, ------ 157
ვდგავარ ზღვის პირას, ღამე ოხვრით ეშვება ზღვაზე, ------ 158
წუხელ სიზმარში ნაღვლიანი გამომეცხადე, ----------------- 159
დღეს ჩემს ეზოში, ტყვიისფერი დუმილი სუფევს, ------------ 160
ამიერიდან, არ სჭირდება, ჩემს კუბოს გახსნა, ----------------161
ვდგავარ ეულად საუკუნის გადასახედზე, --------------------- 162
მეგობრებიდან უკვე თითქმის არავინ დამრჩა, -------------- 163
გადავუქროლე საუკუნის უღელტეხილებს, -------------------- 164
ვიღაც მომყვება და რა მკაცრად მითვლის ნაბიჯებს, ------ 165
მდინარის პირას უჩვეულო რწმენით ვანთივარ, ------------ 166
საქართველოში, ქართველს უკვე არ ედგომება, ------------ 167
დავალ თბილისში, მაგრამ ველარ ვპოულობ... თბილისს,--- 168
მზემ ცის სიღრმიდან, რა უმწეოდ გამოიხედა, -------------- 169
მოვედი შენთან, ერთხელ კიდევ, მდინარევ ჩემო, ----------- 170
ცოცხალთა შორის, მეგობარო, შენ უკვე არ ხარ, ------------171
ეს მზის სისტემა, უშენოდ ხომ არაფერს ნიშნავს, ------------ 172
მინდა იმ დღეებს, საოცნებოს, კვლავ მოვეფერო ------------ 173
ო, აქ ბავშვობის ნაფეხურებს დავეძებ ისევ, ----------------- 174
ბავშვობის დღეთა უჩვეულო მახსოვს სიამე, ----------------- 175
საწუთროს გზებზე, ხეტიალმა, დამღალა ძლიერ, ------------ 176
ო, თქვენი მოსვლით გაიფანტა ცაზე ღრუბლები, ------------ 177
მოვიდა თოვლი და გათეთრდა ერთობ ქალაქი, ------------- 178
ტრამალებიდან ნაზამთრალი მგლები ყმუიან, --------------- 179
ჟამის მდინარე, ისე სწრაფად მიედინება, ----------------------- 180
შენ უმღეროდი, გაზაფხულის მოსვლას მიწაზე, ----------------181

უშენოდ რაა ეს ქვეყანა, ხომ კარგად ვიცით, ---------------- 182
დრო ისე მიქრის, რომ მე თითქმის ვერაფერს ვასწრებ ----183
იმ დღეთა ხსოვნას, დავიწყება ვერაფერს უგამს, ------------ 184
ჩვენ გამოვდივართ, მოქანცული ბრძოლის ველიდან, ------ 185
ფრთხილად დაადგი ამ მიწაზე ფეხი, იცოდე, ----------------- 186
შორს, ცის სიღრმეში ანგელოზთა გალობას ვისმენ.. -------- 187
დადგება ჟამი - ატომური მკაცრი დუელის, ------------------- 188
შენ გული გქონდა, საყვარელო, თბილი და სუფთა --------- 189
შენზე სხივმნათი მე არავინ არ მეგულება, ------------------- 190
ტევტონთა მიწას, მოსწყდა ერთობ, სიკვდილი ქროლვით -191
მას სათავისკენ კვლავ მოუნდა შემობრუნება ---------------- 192
გიხურს გონება აზროვნებით, მიარღვევ შორეთს, ---------- 193
რად შევეხიზნე ამ ვრცელსა და უდაბურ ტრამალს? -------- 194
უშენოდ რა ვქნა, ახლა ძალზე შორსა ვარ შენგან! --------- 195
დემოკრატიამ რა უეცრად დაკარგა ფასი, -------------------- 196
ძვირფასო, შენი სიყვარული რამდენს მავალებს, ------------ 197
თუნდაც იარე ქვეყანაზე, გზებით უვალით, ------------------ 198
რა გეშველება, უმოწყალოდ გულო დაჭრილო, ------------- 199
ო, ისევ მიტევს ეს ცხოვრება, ფრთებით მსახვრალით, -----200
ადამიანო, ავი ზრახვით ნუ აინთები -------------------------- 201
ო, ქარი ისევ, აშრიალებს მაღლობზე ვერხვებს -------------202
იმ დღეთა ხსოვნა, ჩემს გულს, როცა მოეძალება, -----------203
ისევ აცურდა შემოდგომის ღრუბელი ცაზე, -----------------204
ასე საოცრად წარსულს რატომ ველაციცები, ----------------205
მე ჩემ წილ სივრცეს გავაჯერებ, ძვირფასო, დარდით, -----206
თოვლმა დაფარა ჩემი მინდვრის, მწვანე ხავერდი, --------207
ამ ცას და მიწას, ალბათ, დიდხანს ვემახსოვრები, ----------208
აქ ყველაფერი დროის ფრთებზე მიედინება -----------------209
მე დავდიოდი ჩემს ქალაქში წუხელის სიზმრად, ----------- 210
ვინ დამირბია უმოწყალოდ სულის სიმშვიდე? ---------------211
თოვს... გვიან ღამით აქ ყვავების არის ჩხავილი, ------------ 212
ჩვენ, ჩვენი წილი ოკეანე უკვე გავცურეთ, ------------------- 213
ადამიანო, რად არ იშლი მხეცის ბუნებას, --------------------- 214
ცეცხლი ეღება, მეგობარო, ჩემს სხეულს მკაცრად ---------- 215

მზის სისტემაში ჩვენ სიცოცხლეს ამაოდ ვეძებთ, ------------- 216
ბევრჯერ დაცურდი, მეგობარო, მოლიპულ გზაზე, ----------- 217
შენ ხალხთა სისხლით გახდი ერთობ გაუმაძღარი, ---------- 218
სულის სიღრმეში, უჩვეულო ვიგრძენ ნათება, ----------------- 219
სიტყვა და საქმე, სააკაძის ხმალივით გიჭრის, ---------------220
ვარდის ბაგეო! აწი ველარ მოიცლი ჩემთვის, ----------------- 221
ეწირებიან თაობები, თქვენს გულზვაობას, ---------------------222
ამ პლანეტაზე მე ვიცხოვრე - უმკაცრეს დროში, -------------- 223
დადევი ფიცი, შენ საფლავთან, დიდი დავითის, ---------------224
ფრთებს შლის სუსხიანს, ხეივანში ქარი ავყია, ---------------225
დროისკვეთებას ველარ უძლებს, ფუჭი დიდება, --------------226
ანგელოზებო, დაგიმსხვრიეს სივრცე ფერადი, ----------------227
საუკუნენი გადმოვლახეთ: ბრძოლით, ყიჟინით, --------------228
ო, ასე ულვთოდ, ვინ წამგლიჯა ღმერთის წყალობა? -------229
შენს სიახლოვეს მე თავს ვგრძნობდი,
ვით თევზი წყალში, ---------------------------------------------------- 230
შენ უიმედოდ ყრუ კედელთან მიმდგარხარ ქამის ----------- 231
მიქრიან დღენი, სიშორეში - კივილით, ქშენით, --------------- 232
ამ ქვეყნად მხოლოდ, ერთხელ მოდის ადამიანი -------------- 233
ისევ ამხედრდნენ, შემოდგომის ქარები ურჩი, ----------------- 234
ცის სიშორეში, ღრუბლის თეთრი მიცურავს ტივი, ----------- 235
ნაღვლიანია დედამიწა შეღამებისას, ----------------------------- 236
ო, დედამიწის დაღუპვის წინ ჩემი აჩრდილი ------------------ 237
ამ ღრმა ჭრილობებს, გამიმრთელებს აწი ვერვინ, ---------- 238
ამოდის მთვარე, ცის თავანზე, ლაწვებმწყაზარი -------------- 239
ამ ჩემს ფანჯრებში გარიქრაჟი ისევ იღვრება, ----------------240
რად განიძარცვე ასე ულვთოდ, ხეო მაღალო? ---------------- 241
აღარ შემოგრჩა რტოები თითქმის, -------------------------------242
რომანტიკული გზები განვლე, ჩემი ცხოვრების, ------------- 243
მოგსდევს დემონი, ულმობელი, გაჩენის დღიდან, ------------244
მიაყურადე, ცა ფარული ცრემლებით ირწყვის, ---------------245
მიდის ცხოვრება და თან იცვლის ფერს და კალაპოტს, ----246
ო, სულში თითქოს, დოქით სევდას, ისევ მისხამენ, ----------247
მიმართულებას ეს ცხოვრება, ნიადაგ იცვლის, ---------------248

ერთი მითხარით, აქ სად არის დემოკრატია? ------------------ 249
ჩემს ბაღში ისევ, სუსხიანი ზამთარი მოდგა, ------------------ 250
ო, გულო, იქნებ მოიქანცე ბრძოლით, შეტევით -------------- 251
კაცობრიობის ისტორია, შობეს ომებმა, ------------------------- 252
ყინვის ბეტონში ჩაჭედილა მთელი ქალაქი ------------------- 253
პირქუშ კედლებთან, დაბოღმილი ვდგავარ ეული, ----------- 254
კეთილი ერთობ დავიწყებას ეძლევა უკვე, -------------------- 255
მზე ამოვიდა, ხეებიდან ილვრება თოვლი, ---------------------- 256
როგორც რაინდი, ტრიბუნალის წინაშე იდექ, ------------------ 257
რა დაგიშავათ ამ პატარა გოგონამ, ნეტავ? -------------------- 258
შენ გული გტკივა შემუსრული, ამდენი განცდით, ------------- 259
მიყვარდა შენში ხმა მუდამჟამს თავისუფლების - ------------ 260
ნუ დავაჩქარებთ, მშობლიური პლანეტის სიკვდილს, ------ 261
ეს მერამდენედ, უმოწყალოდ დაღვარეთ სისხლი, ----------- 262
ო, რა ულმობლად დაგეღალა გული ამაყი – ------------------ 263
ნუთუ სიჩუმემ არ დაგღალა ამდენი ხანი? -------------------- 264
ჩამოდის თოვლი, აქ მოსკოვში, აპრილის ბოლოს, ----------- 265
შენ ჯოჯოხეთის ჩაირაზე შვიდივე კარი, ---------------------- 266
ყოფნა–არყოფნის მძიმე სევდა რად დაგეუფლა? -------------- 267
კვლავ ითვლი დღეებს უკანასკნელს და ტკივილს შენსას, 268
რად მოუსიე ჩემს ცას, ქარო, ღრუბელი ურჩი, ---------------- 269
დღეებს მიმავალს, მოგონების ცრემლებით ვნამავ, ---------- 270
ცახცახებს მიწა, ო, ამდენი სისხლის ღვრით, ომით, --------- 271
მსოფლიომ, ო, რა ავბედითად იცვალა ფერი?! ---------------- 272
მზის სისტემაში ერთადერთი შენა ხარ მხოლოდ, ------------ 273
შენ მაგრძნობინე ამ ცხოვრების ფერი და გემო, -------------- 274
შენს ყოველ ნაბიჯს, შხამიანი დრაკონი გესლავს, ----------- 275
პირველი ღამე მე უსივრცოდ გამიჭირდება, ------------------- 276
შენი თვალები მე არასდროს დამავიწყდება, ------------------- 277
რატომ შეჩერდა შენი ქროლვა ჟამის წინარე, ----------------- 278
მახსოვს, წვიმისგან, გვიფარავდა ფოთლები ხშირი, ---------- 279
რასაც მკარნახობს შთაგონება, მასზე ვწერ მხოლოდ, ----- 280
მე ამ ცხოვრებამ დაუნდობლად მომქანცა უკვე ---------------- 281
ისევ რეკავენ გამუდმებით და სევდას ღვრიან ----------------- 282

ჩემი ცხოვრების მიწიერის მთავრდება ჟამი, ------------------ 283
ძველი ქალაქის ვაკვირდებით, ხედებს ოვალურს, ---------- 284
ჩემი ცხოვრება ნუთუ უკვე ყოფილად იქცა,-------------------- 285
რას ჩამოვყევით ამ მიწაზე, რომელ დინებას? ---------------- 286
ქანაობ სადღაც - ტყის სიღრმეში, თუ მის ნაპირას, --------- 287
მე ვგრძნობ უზომოდ დაიღალე, ო, გულო ჩემო! ------------- 288
მხრებზე ჰკიდია ჩემს ცას რუხი ნაფლეთი, ღრუბლის, ------ 289
ვიხსენებ იმ დროს და მე გრძნობას ველარ ვერევი, --------- 290
მე ის დღეები სიკვდილამდე მემახსოვრება, ------------------ 291
შავი ზღვა იყო იმ საღამოს - საოცრად ლურჯი, ------------- 292
გაფრინდა, ო, ის ყრმობის წლები - სისწრაფით ელვის, --- 293
ო, როგორ სწრაფად ჩაიქროლეს, წლებმა ბავშვობის, ---- 294
მოდის კივილით, ქარიშხალი, ისევ ტრამალის, --------------- 295
შენზე ძვირფასი, მეგობარო, მყავდა არავინ ------------------ 296
როგორ მათრობდა თეთრი შუქი შენი ლაწვების, ----------- 297
შენ არ გივლია გათელილი გზებით მიწაზე, ------------------ 298
ვერ უძლებს სული, ფარულ ოხვრას, შემოღამების --------- 299
რა ვქნა უშენოდ, სამზეოზე ახლა მარტო ვარ --------------- 300
ქუჩაბანდებში ვხეტიალობ თვალცრემლიანი, --------------- 301
სიკვდილს ათასჯერ გავაშიშვლებ, სანამდის იგი ------------ 302
ისევ ირხევა მდინარესთან ალვა ტანადი, ---------------------- 303
შორს, გაზაფხულის საოცარი დღეები თვლემენ... ------------ 304
ნაზამთრალ მინდვრებს გაზაფხული ეწვია ისევ -------------- 305
ის დღე ძვირფასო, შენთვის გახდა უკანასკნელი ------------ 306
ტყემ მიიძინა... დგას ტალღების ლურჯი შრიალი, ----------- 307
იმ შადრევნებთან, აწი უკვე ვერასდროს მივალთ ---------- 308
ო, ეს სამყარო ჟამთა დენის გარეშე ვერ ძლებს, ------------ 309
ვნახე, ქარიშხალს რომ შეება მუხა ბებერი--------------------- 310
ვერ აღვადგინე ჩემს ხსოვნაში შენი ხატება, -------------------311
მახსოვს, მსოფლიო - უჩვეულოდ განახელები, ---------------- 312
ვერ შეეჩვია უშენობას ჩემი არსება, -------------------------------313
რა სწრაფად იცვლის, ზომებს, შენი ტყავი შაგრენის? ------ 314
ჩვენი შეხვედრა, ეს რა ძალამ განაპირობა? --------------------315
ვდგავარ ზღვის პირას, გავცქერ ღელვას -

ლურჯი მორევის, ---------------------------------------------------- 316
ჩვენ მივდიოდით, მივყვებოდით ო, ამ ხეივანს --------------- 317
ამ განშორებამ, ჩემი გული, დაფლითა მწარედ, ---------------318
რა ნებივრად ბანაობდნენ ბელურები, წყალში --------------- 319
მიაყურადე ამ იდუმალ გამოღვიძებას, --------------------------320
იმ შეხვედრების მე ვიხსენებ, ყოველგვარ წვრილმანს, ---- 321
შენ ქედს იხრიდი მხოლოდ ღვთის და ერის წინაშე, --------322
ორმა ვეშაპმა საქართველო ველარ გაიყო, ------------------- 323
შემოიჭრა ღრუბელი და მზე ააცახცახა, -------------------------324
შენ არ იცოდი, მეგობარო, რა იყო მოღლა, ------------------ 325
ო, ის ნაბიჯი გახდა შენთვის... საბედისწერო, ---------------- 326
დროის დინება ნუთუ ქვეყნად ყველაფერს აქრობს --------- 327
ეს მერამდენედ პაემანზე მოვდივარ შენთან, ----------------- 328
ო, როგორ კარგავს სილამაზეს, ეგ შენი სახე, ---------------- 329
გამოვეთხოვე გაზაფხულის დღეებს საოცარს, ---------------- 330
როგორ იქნება მოგონებამ არ აგაცრემლოს! -----------------331
თვალს მიეფარა წლები მძაფრი ახალგაზრდობის ---------- 332
იქ ყვავ-ყორნები ვერასოდეს ვერ შემოაღწევს, ------------- 333
შენ ატირებდი დაწყვეტამდე სიმებს, გიტარის,----------------- 334
ეს მერამდენედ ამექოჩრა თვალებზე ცრემლი, -------------- 335
ჩემს სარკმელს, ფრთებით ეხლებიან, თეთრი მტრედები, - 336
ჟამმა მუხთალმა დაგვაშორა, ერთმანეთს, ბიჭო, ------------ 337
ცხოვრების გზაზე ღელვით დაღლილს, შემოგაღამდა, ------ 338
ხედავდი მამულს ფრთებდალეწილს და გულში დაჭრილს, 339
შინდისფერ თასებს სცლიდა ღამე, განაფითრები, ------------340
თუ განშორების ულმობელი დარეკავს ჟამი, ------------------ 341
ქარი ქრის და ზღვის ოქროსფერი შრიალებს ქვიშა.. -------342
მე გული ისევ, საყვარელო, შენკენ მიმიწევს, ----------------- 343
აწი გაზაფხულს ერთად ველარ შევეგებებით, ------------------344
როგორ ვთვრებოდი, მაგ ბაგეთა ნაზი სურნელით?! --------- 345
მოვა ჟამი და დავშორდებით ერთმანეთს, ხორცით, --------346
გაზკამერისკენ მიმავალთა იდექი რიგში,-------------------------347
აწი, სად ვპოვო ის ღიმილი, საოცრად თბილი? ---------------348
ხმით სევდიანით, ისევ არხევ, სივრცეს შორეულს, -----------349

ყინვაში, თოვლში, ქარიშხალში ცეცხლით, მახვილით - ---- 350
რად გახდა ასე პროზაული, ჩემი ცხოვრება? ------------------351
იმ პირქუშ დღეებს, თქვენი მკაცრი დუმილი აზის, ----------- 352
ვდგავარ კბოდეზე და გარშემო არავის ვხედავ, ------------- 353
აჰა, ვშორდები ჩემს ეზოს და სანუკვარ მინდვრებს, -------- 354
ისევ მოვედი, მომენატრა ჩემი სახლ-კარი, ------------------- 355
თითქმის ყოველდღე, რადიოდან გვესმოდა მარში, ---------- 356
ჩეში ბუხრიდან ძლივს ამოდის ფთილები კვამლის, --------- 357
გარბიან წლები დარბეულნი ჟამის ზღვაურით -------------- 358
მოვიდა სხვა დრო, სხვა ფიქრებით, სხვა გატაცებით, ------- 359
ლამანჩელივით, მეც დავრახტე ჩემი თეთრონი, -------------- 360
რატომ გჩვევია გულგრილობა ხშირად, ბუნებავ? ----------- 361
ო, რა ლამაზი იყო ჩვენი ძმური კავშირი - ------------------ 362
ფიქრით პლანეტას შეაბერდი, იცხოვრე რწმენით, ----------- 363
შენი ტკივილის არ გიყვარდა სხვისთვის მოხვევა ---------- 364
უიმედობას, მეგობარო, აღარ დანებდე, ---------------------- 365
წელს სამოცდაათს, გავცდი კაცი უკვე თამამად -------------- 366
ვერ შემიცვნია წუთისოფლის გზები ტიალი, ------------------ 367
როცა შენ წახველ, თხუთმეტი წლის ვიყავი მაშინ, ---------- 368
როცა ჩემს კუბოს, სახურავი დაეხურება, --------------------- 369
შევედი ბაღში, შემოდგომის ქროდა ნიავი, ------------------- 370
სიცარიელეს ვგრძნობ ძალიან უშენოდ ახლა, --------------- 371
კვლავ ეფინება, საოცარი შუქი მინდორ-ველს,---------------- 372
შენ არ ხარ, მაგრამ მე ისევ გთვლი ცოცხალთა შორის, -- 373
თქვენ გინდათ, რომ აქ ნაკვავლევიც არ დარჩეს ჩვენი, -- 374
ეს მერამდენედ ჩამოვკარი სიმები ჩანგის, ------------------ 375
შავი ბერეტი, ბოროტების, თავზე გახურავს, ---------------- 376
იდექი ერთხანს, კეისარო, წინაშე სფინქსის, ---------------- 377
არ ჩაგითრიოს, სიყვარულმა, ცალმხრივმა თორემ, --------- 378
თუ გაუცინებ, სიყვარულით ცხოვრებას მაშინ, --------------- 379
ყველა შემოქმედს, სდევდა გრძნობა, უკმარისობის --------- 380
სადღაც გაფრინდა მომღერალი ჩიტების გუნდი ---------------381
შენზე, ძვირფასო, ლამის არის გადავყვე ფიქრებს, ----------- 382
მე მთაწმინდიდან გავცქერ ახლა, მთვარის ნახევარს ------ 383

ისევ მიდიან, ო, რა ზანტად ღრუბლები გვალვის, ------------ 384
დადიხარ მარტო და ღრმა ტკივილს არავის უმხელ, -------- 385
სული ვერ უძლებს მოსკოვური ყვავების ჩხავილს, ---------- 386
მოვედი მაშინ, მეგობარო, როდესაც მიხმე, ------------------ 387
შენ წახველ, უკვე ხელმეორედ ვერასდროს მოხვალ ------- 388
მძიმე სევდა, ჩემს გულისთქმას იკლებს ----------------------- 389
მე კოლიბრივით, სხივებს ცისკრის, მოვყევი ციდან, --------- 390
ვიყავით მიწა, გადვიქცევით ისევე მიწად, --------------------- 391
სოფელს ერთგულად, შენ ბოლომდე, ედექი მხარში -------- 392
გუშინ აქ იყო და დღეს უკვე შორს, სადღაც მიქრის, -------- 393
შენ განშორების სევდა უკვე, ველარ დამალე ----------------- 394
ჩვენ მეგობრული სამკუთხედი, შევკარით მტკიცედ, --------- 395
მოსკოვის ცაზე მერცხლებს თითქმის ვერასდროს ნახავ -- 396
ლექსი მთლიანად ვერ გადმოსცემს ჩემს ნაოცნებარს ----- 397
ყოფნა–არყოფნის სევდა ასე რად დაგეუფლა?! --------------- 398
ჩემი ფერმკრთალი ჩიტი მალე შეწყვეტს გალობას ---------- 399
შენ გამაჩინე, შენ აღმზარდე და რღვევა-დაშლაც ------------400
გუშინ ყვაოდა თვალწარმტაცად და სურნელებას ------------ 401
არ დაგენანოს, რომ შენ მიხვალ და სხვა რომ მოდის, ----402
შენ ბედისწერამ რა ულმობლად გაგაპარტახა, ---------------403
ცახცახებს მიწა, მოლოდინში კოშმარულ ჟამის, -------------404
დრომ მოგვახვია ვარდისფერი რხევით ნისლები, ------------405
შევცურეთ ზღვაში, შეღამების მსუბუქი ნავით, -------------406
ცისფერ ბილიკით, მარტოდმარტო, მოდიხარ ზღვასთან ---407
ჟამი ფერს გვიცვლის და ყოფილად ვიქცევით მალე, --------408
შორს, ცის ხავერდზე, დაცურავდნენ ღრუბლის გედები, ----409
მოვედი ისევ, ჩემი სოფლის ვნახე წყლის პირი, -------------- 410
მე ცა მახურავს - სილაჟვარდით გაუხუნარი ------------------411
დრო სიშორეში, როგორც თეთრი გლისერი მიქრის, ------- 412
შეხედე, ტალღებს, ქარი ისევ ეთამაშება, ------------------------ 413
ვერ შემიცვნია მაგ თვალების ლურჯი ნათება ---------------- 414
ჩვენ ქუდს გიხდიდით, ბრძოლის
ველზე დაცემულ მხედრებს, ------------------------------------------ 415
იდგა ჟამი, მაშინ მთვარის მოვანების --------------------------- 416

ჩვენ მთელი ღამე, საყვარელო, მთვარის
ქვეშ ვთრთოდით, ---------------------------------------------------------- 417
ო, რა ცოტა ხანს ენთო ქვეყნად შენი სინაზე, ------------------ 418
ისევ ვიხსენებ, გაზაფხულის ხასხასა ჭალას -------------------- 419
გაზაფხულს ისევ ველოდები, ამ ბაღის კართან, ---------------420
შენს სასთუმალთან მთელი ღამე ენთო სანთელი, ----------- 421
ის დრო წავიდა, აწი უკვე ვერაფერს შეცვლი, -----------------422
მე იმ საღამოს შენ მეგონე თოვლის გოგონა, ------------------ 423
ფანჯრიდან ვუცქერ უბოლოო ვარსკვლავთა რიალს, ------424
მე არ მშორდება, საოცარი შენი ხატება, -------------------------425
შენ ჩაიშალე, იმ წიაღში, მშობლიურ მიწის, --------------------426
ლექსების წიგნში ვნახე მკრთალი ფურცელი ვარდის ------427
ის ლამაზი დღეები, ვიცი, კვლავ რომ არ მოვა, ---------------428
მიირხეოდნენ ცის თავანზე, ღრუბლები ლეგა, ----------------429
დააზრო ჟამმა ყვავილნარი, შენ რომ დატოვე ---------------- 430
ამოდიოდა სიშორიდან მზე მეწამული ------------------------- 431
ხსოვნის ლანდებთან ხეტიალობ, უდასასრულოდ ------------- 432
ხალასი გრძნობით, ბავშვობიდან ერთმანეთს ვენდეთ, ---- 433
მე დავბრუნდები, საყვარელო, ასი წლის შემდეგ -------------434
ჟამმა ქარივით ჩაიქროლა ჩემი ბავშვობის ------------------- 435
ძვირფასო ჩემო! სად გაფრინდი მოულოდნელად?! ----------436
გადააყვითლა შემოდგომამ ირგვლივ ყოველი, --------------- 437
ამ ხეივანში, ახლა მხოლოდ, დუმილი სუფევს, ---------------- 438
იწექ ბალახში და გათოვდა ყვავილი ატმის... ------------------ 439
თავთუხის ზღვაში მივდიოდით, თუ მივცურავდით -----------440
მოვიდა თოვლი, გაათეთრა წკვარამი ღამის, ----------------- 441
სული გაურბის, შემოდგომის დღეებს, მთვლემარეს ---------442
შენს ნაფეხურებს, ჟამი უკვე, შლის გულმოდგინედ, -------- 443
ო, მაგ ბაგეებს ნუთუ კვლავ ვერ ვეამბორები? ----------------444
შენს ფანჯრის მიღმა, ნაღვლიანი ჩამოწვა ღამე, ------------445
ჩემო ძვირფასო! შენს საფლავთან მოვედი ისევ --------------446
გაგყვა რამდენი საიდუმლო მიმავალს იქით, -------------------447
ეს განშორება, იყო ერთობ, მოულოდნელი, ---------------------448
აქ ყველაფერი მხოლოდ შენზე მესაუბრება: --------------------449

გარეთ წვიმს... ზღვიდან კვლავ უბერავს
მრისხანე ქარი, ---------------------------------------- 450
ო. ვერასოდეს დავიბრუნებთ დღეებს მაისის ---------------- 451
არ გამახსენო ის თვალები გრძნობით ნათრობი, ------------ 452
დავდივარ ზღვის პირს, მოგონებით ისევ ვინთები ---------- 453
ცა განთიადის გაიკრიფა ღრუბლისგან ისე, ---------------- 454
დავდივარ მარტო, სულში ჟამის ზვირთი თარეშობს -------- 455
ისევ შეაღო გაზაფხულმა, კარები ბაღის ------------------ 456
სიკვდილ-სიცოცხლე გაჩენიდან ერთად მოდიან, ------------ 457
შენ ხომ სიცოცხლის სილამაზედ, ამ ქვეყნად იშვი, -------- 458
ო, რა ულმობლად აგანგაშდა, სივრცე მთვლემარი, -------- 459
ჩვენ მოვიტოვეთ ორი ჟამი საწუთროს გზაზე, ------------- 460
მოვდივართ ერთად ოცდაშვიდი წელია უკვე, -------------- 461
შენ, ჯერაც ჭაბუკს უმძიმესი გვირგვინი გედგა ------------ 462
გიკრთის ტუჩები - სველი, როგორც კოკორი ვარდის, ----- 463
ისევ შინდისფრად შეიღება აღმოსავლეთი, ---------------- 464
ო, ეს შენი გზა, სულო, ცისკენ მიემართება, -------------- 465
იდგა სივრცეში ვარდფურცლობის უხვი შრიალი ----------- 466
შენ ბასიანიც გეყოფოდა, სხვა რომ არ იყოს, ------------ 467
ო, ამ წყაროსთან, ხელმეორედ ვერასდროს მოხვალ, ----- 468
აქ, მტკვრის ნაპირზე, შლიდი ფიქრთა - ცისფერ იალქანს --- 469
დგახარ მწვერვალზე უმაღლესზე, პოეტო, ქნარით --------- 470
მე შენს სიყვარულს ქვეყნად განა ვინმე მაძალებს? -------- 471
აქ ხელმეორედ რომ მოვიდე ათას წლის შემდეგ, ---------- 472
მიწიდან კაცი ევერესტად წამოიმართე, ------------------- 473
უნდა შებმოდი მეფის კარზე, დაგეშილ ბოკვერს, --------- 474
იდგა მიწაზე, საუკუნის სუსხი მძვინვარე... ----------------- 475
შენს დიდ გენიას ვერ იტევდა ბებერი მიწა, --------------- 476
შენ, დიდ პოეტს და ბუნების ღრმა მესაიდუმლეს, ---------- 477
შენ პოეზიის დიდ მეუფეს ხელთ გეპყრა ქნარი, ---------- 478
შენისთანები იშვიათად მოევლინება, - ------------------- 479
ჩემო არტიომ! პატარა ხარ ჯერ კიდევ, ბიჭო -------------- 480
შენ მეოცნებე რომანტიკოსს მეძახდი, გოგო, ------------- 481
შენ მღერი, ისევ ცისფერ სართულს მისდევს სართული --- 482

ო, ამ დილით, ვენერა, რა საოცრად ციმციმებს... -------------- 483
ვდგავარ მუხასთან გაუძარცვავთ, რომელიც ქარებს ------- 484
იმ სევდიან დღეს, ჭაბუკობის ვიხსენებ ისევ, ------------------- 485
დღეების რიალს, ო, რა ცხარე ცრემლებით ნამავ!.. ---------- 486
ქარი მიაფრენს ცის თავანზე ღრუბლის ქარავანს, ---------- 487
სიზმარში ვნახე, ლოცვად იდგა თამარი გელათს ------------ 488
მიმართულებას კვლავ იცვლიან, ო, ეს ქარები, --------------- 489
არ ვიცი ბედი, რად არ გვწყალობს გაჩენის დღიდან, ------- 490
არ დაელოდე - შენ სიკვდილის ზმორებით მოსვლას! ------ 491
როცა დაწყდება ძალწირები - პლანეტის ველის, ------------ 492
არავინ იცის, სამზეოზე ვის რა მოელის! ------------------------ 493
ჩემი ცხოვრების ჰორიზონტზე მზე მალე ჩავა ----------------- 494
ოცნებასავით იყავ მუდამ მიუწვდომელი, --------------------- 495
მე ბოტანიკურ ბაღში ვდგავარ აუზთან ახლოს, -------------- 496
შეუძლებელი რად ამკიდე, ცხოვრებავ, ტვირთი? ------------ 497
ამ ღრმა ჭრილობას დროის ქროლვა
ვერასდროს მომბანს, ------------------------------------------------- 498
ოთხმოცდაათის შენ არასდროს იქნები ლადო, -------------- 499
საიდან მოდის, ო, ამდენი ბოღმა და ზიზღი! ------------------ 500
შემომეცალნენ მეგობრები და რა ვარ ახლა? ----------------- 501
ქარი არხევდა გაზაფხულზე, ლოლუებს ყინვის, -------------- 502
შემოგვიტია მერამდენედ, სიკვდილმა ძლიერ ---------------- 503
ცეკვავდნენ წყალზე, უჩვეულოდ წვეთები წვიმის, ---------- 504
ხან წვიმა მოდის და ხან თოვლის ფანტელი ხშირი, --------- 505
აქ უწინ ფეხბურთს ვთამაშობდით და გული ჩვენი ---------- 506
შენი სახელი მივიწყების ღირსი როდია, ---------------------- 507
ხსოვნა, ძვირფასო, სიცოცხლისკენ მოგიხმობს უკან, ------ 508
ისევ მოზღვავდა გაზაფხულის ფერები მინდვრად, ---------- 509
შენგან შორს მყოფი, როგორ ვწუხვარ, ჩემო აბაშავ! ------ 510
თქვენ, ქალბატონო, ცხრა ათეულ წელიწადს გასცდით, ----511
მაისი ისევ აღიმართა მწვანე დროშებით --------------------- 512
მე შენი ჭალის მეძახიან ისევ მერცხლები, ----------------------513
თუ ერთხელ წახველ, აქ მეორედ ვერასდროს მოხვალ, -- 514
წვიმს... რა მუსიკას გამოსცემენ წვეთები წვიმის? -------------515

როგორ ხარობენ ჩიტუნები აპრილის მოსვლით, ------------ 516
ჩემი ბავშვობის ნაფეხურებს, გავძახი ღელვით---------------- 517
სიმებს ვაჟღერებ გაზაფხულის, მოურიდებლად---------------- 518
იმ დღეთა ტკივილს დიდხანს ვეღარ გადავაბიჯე------------- 519
ამ ჩემი სულის საიდუმლო, მხოლოდ შენ განდე,-------------- 520
ო, ეს პლანეტა შემკობილი სიმშვენიერით,--------------------- 521
წინ გვიდგას წყება ტაძრების, ჯვრებით ზეცაში ნაშვერი, - 522
იავარ მექცა ჩემი სოფლის პატარა ბაღი,------------------------ 523
ო, გაუფრთხილდეთ პლანეტას ღვთიური
სპექტრით ნაშუქარს,------------------------------------------------- 524
მე გზას არასდროს, არ ვირჩევ, მარტივს,---------------------- 525
უკვე დაღმართზე მარტოდმარტო მივექანები,----------------- 526
ამ პლანეტაზე, მეგობარო, მოვედით მისთვის, --------------- 527
მიდიან დღენი, უჩვეულოდ მოსილნი შავით--------------------- 528
ცხრა პლანეტიდან ეს ერთია სიცოცხლის ბაღი, -------------- 529
ფოთოლცვენაა... ხეივანში მე ვდგავარ ერთი,----------------- 530
მესმის „ხარხარი ჰომერული“ და გული მეწვის, --------------531
ჩემმა ვენახმა მოისხა მწვანე მტევნები ხშირი,--------------- 532
შენდამი ამ ჩემს აღტაცებას, არა აქვს ზღვარი,---------------- 533
ო, როგორ მინდა, შენთან მუდამ, რომ ვიყო ახლოს,-------- 534
მე ვერის ბაღის ხეივანში დავდივარ მარტო, ------------------ 535
ქალთა სამოთხეს, ულამაზესს, ოხვრით გავცილდი, --------- 536
მსგავსი ქალობა, აღარ ახსოვს ამ ბებერ მიწას,--------------- 537
ის ღვთაებრივი სილამაზე აქ განისვენებს,---------------------- 538
მშობლიურ ენას იცავდით, დიდი რუსთველის ბაღნარის --- 539
მინდა დავწერო ისტორია ჩემი ცხოვრების,-------------------- 540
მე მახსოვს თქვენი დაუღლელი, მუხლები მარდი,------------ 541
რა დამავიწყებს, მე იმ დღეთა, ფერებს სანატრელს, -------- 542
აქ ნავერხვალზე, გთხოვთ, დამიდგათ ძეგლი მაღალი,------ 543
სული ვერ უძლებს მოსკოვური ყვავების ჩხავილს,----------- 544
მე შენი ტემბრის ჯადოსნური რხევების ტყვე ვარ,----------- 545
მე მოწყენილი დავდივარ, როცა შენ აღარ გხედავ, ---------- 546
ჩემი აივნის სტუმრებო, რატომ არ დამემშვიდობეთ,--------- 547
ვუახლოვდებით სასაფლაოს - დუმილს მრისხანეს, ---------- 548

მზე ზენიტზე ავიდა და ძირს იწყებს დაშვებას...------------------ 549
ძვირფასო მერი! მე შენს მოსვლას დაველოდები,------------- 550
მე მაგონდება სანატრელი ჩემი სახლ–კარი,---------------------551
თოვლი ჩამოდის, გაგვითენდა დილა ნეტარი,------------------- 552
შენი კაცობა როგორ არ ვაქო, ----------------------------------------- 553
ჩემი თვალებით ნახულ სამყაროს,---------------------------------- 554
ამ გვიან ღამით, ასე რატომ რეკავენ ზარებს? ------------------ 555
აქ ვერასოდეს მოვალ მეორედ, ---------------------------------------- 556
მინდა ჩემს საფლავს, რომ მთაწმინდის
ცა დასცქეროდეს,------------------------------------------------------------ 557
აბაშავ ჩემო! მხიბლავს შენი ტალღების რხევა, ---------------- 558
სულს ისევ რხევით ეფერება ნიავი რიდით,--------------------- 559
საიდან მოდის ეს ვირუსი, ო, ასე რისხვით ----------------------- 560
ჩვენ ამ ბუნების საიდუმლო ცოტა რამ ვიცით,------------------ 561
დატვირთულია დედამიწა იარაღებით: ------------------------------ 562
მახსოვს, ვცურავდით, სიყვარულით ფერებში ატმის---------- 563
უკვე ფანტელებს ველოდები, სულ მალე, თოვლის,------------ 564
ამ ქვეყანაზე სიკვდილი, ვინ მოთვლის, ვნახე რამდენი,---- 565
ჩვენთან ბავშვობის გაიარე ის სამი წელი,------------------------ 566
რად მეჩვენებით სიზმარში, ასე ზღაპრულად, ნეტავ?------- 567
ჩემი ბავშვობის წლებს გავძახი, რომ დამიბრუნდეს,---------- 568
შენ მთელი ძალით შეუტიე უსამართლობას,--------------------- 569
მე ვარსკვლავების, უჩვეულო მუსიკას ვუსმენ,------------------ 570
საგნების კავშირს ერთმანეთთან, ცის რხევა შვენის,------- 571
აკაციების მიყვარს მხოლოდ ტყეები თეთრი,------------------- 572
ისევ მოფრინდნენ სიშორიდან ჩემი მერცხლები --------------- 573
სულს ისევ ღელვით ეფინება ფერები მწვანე,------------------- 574
ვისთან მივიდე, როცა არავინ არ დარჩა სოფლად------------ 575
უშენოდ ყოფნა, მეგობარო, არაფრად მიღირს------------------ 576
ხშირად სიზმარში, შენს ნაპირზე მოვდივარ მარტო---------- 577
შენ ცხრამეტი წლის იყავი, რომ ბრძოლის
ველზე გახვედი,-------------------------------------------------------------- 578
შენს ლამაზ სიცილს ვუსმენდი და მახარებდა მეტად--------- 579
ივლისი მიდის მზის ხანძრებით და ფათერაკით --------------- 580

მივდივარ მარტო, უსულგულოდ მივემართები,--------------- 581
შენ იცი ყველა საიდუმლო ჩემი ცხოვრების,------------------ 582
მიყვარს თამაში ბელურების მწვანე მინდორზე,--------------- 583
სონეტი იქცა ჩემთვის ლექსის,   უმაღლეს ფორმად, --------- 584
ყველა პირობა იქმნება მისთვის,----------------------------------- 585
სიმწვანემ მოიცვა მინდვრები, ქალაქის ლამაზი ბაღები---- 586
მე ისევ ჩემი ყრმობის დღეებს ვეჩურჩულები,----------------- 587
ცხოვრების მორევში ნიადაგ ბრუნავდი,------------------------- 588
ამდენ სისხლისღვრას, როგორ უძლებ, დასაბამიდან,-------- 589
ვხეტიალობდით მთვარიანში მე და შენ, მერი,---------------- 590
შეღამებისას, მახსოვს, თქვენთან თოვლში თამაში,---------- 591
მე უშენობა ძლიერ მტანჯავს, არ ვიცი რა ვქნა,-------------- 592
მაშინებს სევდა დაგუბული, გაუდინარი,------------------------ 593
ყოველ საღამოს მიდიოდი საფლავზე შვილთა,--------------- 594
რა სიშორიდან მოდიხართ, ხმლების უზადო კვეთებით,---- 595
შენ ამ ბექობზე მარტოდმარტო ამაყად დგახარ,-------------- 596
დიდ კონსტანტინეს შვილიშვილი მხეცებმა დაჭრეს,--------- 597
რად მეტირება ასე მწარედ იმ დღეთა გამო, ------------------ 598
შენი არყოფნის წელიწადი გავიდა უკვე,----------------------- 599
შენ ხაიამის საფლავი, მოხველ, ცრემლებით ნამე, ------------600
შენ იყავ დიდი და უბადლო აღმზრდელი მეფის,--------------- 601
აღმოსავლეთში შენ იყავი ფორპოსტი რწმენის, --------------602
დღეს ჩემს სოფელში ჩამოვედი დაღლილი მძიმედ,----------- 603
შენი დროშის ქვეშ საქართველო იდგა ამაყად,---------------604
ლაწვებზე ბნელში სიყვარულით შეგახე ხელი------------------605
სხეული მიწამ შეიერთა, სად გაქრა სული? -------------------606
შენ ხარ ჩემი სიყვარული დიდი,----------------------------------607
ნაღვლიანია დედამიწა შეღამებისას,-----------------------------608
შენ წახველ უკვე გაიყოლე ზღვა სიყვარული, ----------------609
ამ ჩემს სატკივარს ბოლო არ უჩანს------------------------------ 610
დგახარ ცოტნეს გვერდით მამაცი კოლხი ბიჭი,-----------------611
ო, ეს ბაღნარი, სილამაზით გვავსებს ნიადაგ, ------------------ 612
ამ დედამიწის გაჩენისთვის, მადლობა უფალს, ---------------- 613
ვიხსენებ წარსულს და თვალები გვევსება ცრემლით,------- 614

რა დამავიწყებს შენს  კაცობას ბრძოლებში გავლილს, ---- 615
შენს თავის ქალას შევცქერი, ევროპულ
მწერალთ რაინდო,-------------------------------------------------- 616
მე მთელი ღამე ღელვით სავსე დავდივარ მარტო,  --------- 617
მე მთელი ღამე ამ კოშმარულ ღამეებს ვებრძვი,------------- 618
შენს სილამაზეს თეთრი ლოდით დაფარულს ვხედავ, ------- 619
რევოლუციამ რუსეთის, პარიზის სითავხედემ,---------------620
სული სიბერეს ველარ გაურბის, ------------------------------- 621
მე შევიყვარე აფხაზეთის ცა უმწვანესი,----------------------622
თებერვლის ქარი მრისხანე, უკვე ყველაფერს წეწავს,------ 623
ვეჭიდებოდი დასაბამით ხელებს სიკვდილის,-----------------624
სიკვდილი მუდამ გზარავდა და, ახლაც
გაკრთობს საშინლად,-------------------------------------------- 625
თერმობირთვულ და ნეიტრონულ ბომბების არეს,-----------626
შენ იყავ ჩემთვის, საყვარელო, დაცა და დედაც,--------------627
ზამთარი მოდის... შლის იალქნებს მოურიდებლად, ----------628
მე სტუდენტური ბედნიერი დღეების ტყვე ვარ ----------------629
შენი ღიღინი შერჩა სახლის ეზო–კიდეებს, --------------------630
სოფლის ბილიკზე ისევ მივალ სვენებ–სვენებით, ------------- 631
სიშორიდან ქარიშხლების ქროლვა,--------------------------- 632
ძალზე მარტივი ფორმულებით გზა გაიკვლიე  ---------------- 633
მე არ მახსოვხარ, შენ დაღლილი და ასე ჩუმი,--------------- 634
შენს სიყმაწვილეს, გაზაფხულის ფერებით ნაქსოვს,--------- 635
გავლილ წლებს დიდი სიხარულით ვიხსენებ ისევ,----------- 636
რა უსიცოცხლოდ მიირხევა ხეების წყება,--------------------- 637
გასძახი წარსულს, მაგრამ პასუხს არავინ გაძლევს,-------- 638
მიწის სიღრმიდან ამოვიდა ფესვებით მძლავრით, ----------- 639
შენი ტრფიალის გზა, ძვირფასო, ჩემს გულზე გადის----------640
სისხლის წვიმებით დედამიწა დღემდე ვერ გაძლა,----------- 641
ჩემი ბავშვობის ლამაზ დღეთა ხმაური ისმის,-----------------642
ვერ მოვიშორე დაბურული კოშმარი ღამის,------------------643
ჩვენი ცხოვრების ლამაზი ხანა,-------------------------------644
ეს ღამე ურჩი, რა ულმობელ წამებად მექცა,------------------645
ჩინეთს ვაბრალებთ ამ ვირუსის მოსვლა - გაჩენას,---------646

დავცქერი საფლავს და ეს არის აუტანელი, ---------- 647
მზე დილით ადრე შემოიჭრა ჩემს სავანეში ---------- 648
სონეტი იქცა ჩემთვის ლექსის უმაღლეს ფორმად, ---------- 649
სულს, ასე რატომ მიეფინა ტკივილი მწარედ, ---------- 650
ხეები ისევ შესამკობად ემზადებიან ---------- 651
დავემშვიდობე, ჩემი ყრმობის, სანატრელ დღეებს ---------- 652
რატომ გაურბის სული ფერებს შემოღამების ---------- 653
შენი სიცოცხლის ბოლო დღეებს ტანჯვით ვიხსენებ ---------- 654
ზამთარი მოდის... ჩიტუნების ისმის წივილი, ---------- 655
ვიცი, სიკვდილი ულმობელი ჭაობად მაქცევს ---------- 656
მერი, მე შენი სილამაზე ოცნებად მექცა, ---------- 657
რად მენატრება ზამთარი სოფლის ---------- 658
შენ გახდი მეფე ძლიერი და რაინდებში რჩეული, ---------- 659
მე ვეფერები ულამაზესს-დღეებს ბავშვობის, ---------- 660
გაფრენილ დღეებს რა დამავიწყებს, ---------- 661
შემოდგომა მიილია და ზამთარი მოდის, ---------- 662
არავინ იცის ისტორია, სამყაროს შექმნის, ---------- 663
მთავარდება იმით ისტორია ჩემი ცხოვრების, ---------- 664
შენ პიტიახშის ასულო, ციურო ანგელოზო, ---------- 665
განშორების წინ ვუსმენ რტოზე მზეწვიას – წივილს, ---------- 666
შენ დიდ პოეტს და ფილოსოფოსს, ღრმა მოაზროვნეს, ---------- 667
მივარღვევ დღეებს უდაბურს და ისევ ვუტევ ძლიერ ---------- 668
ისევ მომავალს ვენდობი და, თან ვერხვივით ვშრიალებ, -- 669
აქ წყაროს პირას იცრემლება ყვავილი ერთი ---------- 670
ცის სიღრმეებში ვახერხებთ ტელესკოპებით შეჭრას, ---------- 671
ისევ აწვება გაზაფხული ზამთრის ნაპირებს, ---------- 672
გაუსაძლისი გახდა ჩემთვის, წუთისოფელი, ---------- 673
უკვე მეოცე საუკუნის ახალ წელს ვხვდები, ---------- 674
რა ძალა მართავს ამ სამყაროს არავინ უწყის, ---------- 675
გამოვლე გზები უვრცესი, შიში არ გქონდა არავის, ---------- 676
შენ სასიკვდილოდ მიდიოდი შეუშინარი, ---------- 677
საავდრო ღრუბელმა, ცის თაღი დაფარა ---------- 678
თქვენი ადგილი სამშობლოში ვერ მოინახა, ---------- 679
შენ მუნჯი ბიჭი გახდი სოფლის სათაყვანები, ---------- 680

რატომ იღვრება ოკეანე სისხლის მიწაზე, ------------------------ 681
ჩემს ღრმა ჭრილობას ველარ არჩენს ჭიკჭიკი მერცხლის,- 682
შენი სიკვდილი იყო ჩემთვის სასჯელი დიდი,-------------------- 683
ოცი ივნისი იქცა ტანჯვად და დიდ ტკივილად,------------------ 684
ჩემი მამული დაიძენძა უკუღმართობით, -------------------------- 685
მივცურავ დილით მთაწმინდისკენ მორევში თოვლის, ------ 686
რამ გაგაჩინა, მზეო, ცაზე ამგვარ ღვარებით, -------------------- 687
ღუპავდა მამულს აშლილობა მეტად წყეული,------------------- 688
დიდი გიორგის ეშინოდა შაჰაბას მუდამ, --------------------------- 689
შენ განისვენებ უდაბნოში, სადღაც ლიბიის,---------------------- 690
შენს სიდიადეს სიშორიდან მე ისევ ვლანდავ,------------------ 691
ჩემი სამშობლო, ასე რატომ გამიტიალეთ, ----------------------- 692
მიდის და მიდის სოფლის ცენტრში პატარა ღელე------------- 693
ეს ჰომერული სიცილი, ვერაფრით გადავაშენე,---------------- 694
მე სანთელს ვანთებ ამაღამ ისევ,------------------------------------ 695
ამდენ ყუმბარებს რა განმუხტავს ამ ცისქვეშეთში?------------ 696
ო, რა დიდი დრო გვაშორებს შენგან,------------------------------ 697
ღმერთმა გვაჩუქა ღვთაებრივი შენი ნათება --------------------- 698
ხმელი ფოთლებით დაიტვირთა ხეები ჭადრის, ---------------- 699
რატომ გამწირა უღმერთოდ ბედმა, --------------------------------- 700
აპრილის თვეა, ლაჟვარდები ზეცის მახურავს ------------------ 701
თოვლი მოვიდა და გაფანტა ღამის კოშმარი,------------------- 702
თქვენი გალობა მე სულს მივსებს ფერთა სიალით,----------- 703
ერთმანეთს მედგრად ვედავებით მე და სიკვდილი, --------- 704
ჩემო სოხუმო, კვლავ მიტაცებ შენი ხელებით,------------------ 705
თებერვლის ბოლოს თოვლი მოვიდა,------------------------------ 706
ჩვენი მწერლობის შენ ხარ ნაღდი მემატიანე, ------------------ 707
ჩემი ხომალდი მოქანცული იალქნებს კეცავს -------------------- 708
შენ ამერიკელ დიდოსტატს ტოლი არ გყავდა დაფაზე ------ 709
მე ბანძის სასაფლაოზე, შეღამებისას დავდივარ,--------------- 710
ზამთარი უკვე წავიდა, მიდის დღეები ქროლივით,-------------711
ჩამოდის თოვლი და ქუჩაში გავედი მარტო --------------------- 712
არ მახსოვს, მერი, ჩვენს შეხვედრებს ჰქონოდა ბზარი,----- 713
მე არ ვიქნები. ათას წლის მერეც ------------------------------------ 714

ძლიერ მიყვარდა, გრძნობით ვამბობ მე ყოველ სიტყვას, - 715
შენ სწორუპოვარ სარდალს, მეფეო, ------------------------------ 716
ჩვენ დედამიწა გიწოდეთ, სათაყვანო ხარ მართლაც,------- 717
დავითის სახელს ვეფერებით და გული გვტკივა,-------------- 718
შერჩება მიწას ეს სხეული დაღლილი მძიმედ, ---------------- 719
ისევ დავეძებ უიმედოდ მშობლიურ მხარეს, ------------------720
მე მახსოვს თოვლით დაბურული ჩემი სოფელი-------------- 721
თოვლმა დაფარა სევდიანი ჩემი სოფელი,----------------------722
აწვართულ ალვის ხეებთან გიყვარდა ღამით ლოცვა, ------ 723
მე მიზიდავდა მუდამ, შენი ლამაზი მზერა-----------------------724
ისევ თეთრ ხიდთან გელოდები, იჩქარე, მოდი,---------------- 725
ისევ ყმუიან სიშორიდან მგლები ტრამალის, ------------------726
გაფრენილ დღეებს რა დამავიწყებს, ----------------------------727
ღამის კოშმარებს ვერაფრით ვძლიე, ---------------------------728
ზეცა გამიცისკროვნა ამ ჩიტების მოფრენამ, ------------------729
ბევრჯერ ვეკვეთე, მაგრამ ველარ გავინაპირე,---------------- 730
შენს სინატიფეს, საყვარელო, წამართმევს ვერვინ,---------- 731
ბროწეულებით გაბადრულ სივრცეს----------------------------- 732
კრავდი ბარგსა და ბარხანებს, ჩამოიშორე ყველა,---------- 733
ნოსტეს მინდორ–ველს ახსოვს მხოლოდ შენი ბავშვობა,-- 734
შენს მოლოდინში სანაპირო საოცრად ფეთქავს, ------------- 735
ჩემი თბილისი თოვლმა უკვე გადაივიწყა,--------------------- 736
მე დილით ადრე მზეს ვხვდები, როგორც
მშობლიურ დედას,---------------------------------------------------- 737
მე ვერ გიწოდებ ყოფილს, თუმც გული მტკივა ძლიერ, ----- 738
მიირხეოდი ჩამავალ მზის სხივების ჩქერში,------------------- 739
ბიოგრაფიული ქრონიკები------------------------------------------740

დავით (მაქსიმე) გაბუნიას 2022 წელს გამოცემული სონეტები და ყველა მის წინ დასტამბული წიგნები (2000წ. 2001წ. 2012წ. 2021წ. და სხვ;) დაიბეჭდა ავტორის შვილების ნანა და გიორგი (გოჩა) გაბუნიების ფინანსური დახმარებით.